

МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

პრელუცირება ყველა ქვეყნისა, შერტდით!



54925

110

№ 2

წელიწადი მეოთხე.

შოველთვიური სალიტერატურო, სამხატვრო
და სამეცნიერო ჟურნალი

თებერვალი

თბილისი: სახელგამი:

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა
1927 წლის
თებერვალი





ქართული
ბიბლიოთეკა

ს. მ. უ. ს.
პოლიგრაფიულ
ტრესტის მე-3
სტამბა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო
რუსეთი
დასავლეთი



სიტყვა აქვსი წლის თავზე

უწინ პოეტი თაობების იყო მედროშე,
 ერთის სიკვდილით მოკვდებოდა მთელი თაობა;
 დღეს კი ცხოვრება განახლებულ საქართველოში
 ისე ჩქარია, რომ პოეტიც უკან დატოვა.

— მოღელღავს მტკვარი, გამურული შავი ქარხნები,
 ირგვლივ ნაპირებს ჩაშავებულ ზეცას ხურავენ;
 შორს უგზო-უკვლოთ გაბნეული ცის ვარსკვლავები,
 კვამლების მურში თევზებივით თვალებს ყურავენ.
 კვლავ ვინახულე ეს ნაპირი; ზვირთები რბოდენ,
 ვისმენდი დუდუნს ავქალაში რკინით გატკვერილს;
 ვერ წარმოვიდგენ დღეს ცხოვრებას ის ემდუროდეს,
 ვინც ძველათ იყო დაჩაგრული და გულ-ნატკენი.
 აქ განიცდიდა მარტოობას პოეტის ლანდი.
 მე მიფიქრია; ამ ნაპირზე რა იზიდავდა:
 ნუ თუ მხოლოთ რო უსაქმური ზვირთები გარბის,
 და მთვარის შუქზე აღმასივით კენჭები ბზინავს!
 ჩვენ მარტოობის გრძნობა როგორ გაგვექარება,
 როცა წუთები, დატვირთული საქმით, გველიან;
 ამხანაგებო, საქართველოს ახალ კარებთან,
 მწამს მწუხარება სიხარულზე უფრო ძნელია.
 ჩვენ წინ მივდივართ და სიცოცხლე ჩვენით ინთება;
 ვხედავ, მდინარე, თავადივით უსაქმოდ მქროლი,
 დღეს მთიდან მთაზე ფრინველივით გადაფრინდება,
 რომ ბნელ ღამეებს დააყაროს სხივების ბროლი.

— დავმუნჯდებოდი ვეუბებივით ჩვენი გულები,
 დროთა ტრიალში ამ გრიგალს არ გადაეყარა.
 მე მაგონდება უცხოეთში დაღუპულები
 და ვეუბნები ვინც გაურბის მშობელ ქვეყანას.
 თუ დედის გულთან შენი გულიც ერთ ფიქრებს ჰკონავს;
 არ შეიძლება, რო დედის რძე შეგერგოს შხამად;
 ორი სამშობლო იმ მიწაზე ვინ გაიგონა,
 სადაც შრომაა სიყვარულის აღსანიშნავად.

— დღეს წითელ ფერს თუ ეპარება ფერი ყვითელი,
 და თუ ელიან ფოთლებივით დღეთა დაცვენას...
 ჩვენ გავცოფდებით ვით მხურვალე გული სკვითელის,
 და კვლავ მოგასმენთ ამხედრებულ ტყვიების ენას.



მხედრული

ჩვენ თუ ვინმესთან შევზრდილვართ, — მთები ხართ მაღალ კლდოვანი: —
 ვდგევართ დათოვლილ ნაბდებით, ტან დიდი ძალგულოვანი!
 რომ ვერ ჩავვეკლა სიბერე, — ჩრდილები შემოგვბურვიდენ,
 და მიტომ მძაფრად ვეგულვით მომავალ ქვეყნის სურვილებს...
 ხარობენ ჩვენი თვალები! — ამოქოლვილი ქედებით,
 მაგრამ, თუ მტრები მოგვაწყდენ, — შეხვდებათ რკინის მკერდები! —

თუმცა სხვა და სხვა „გორის“ ვართ, გვარჩევენ სხვა გვარ-ტომებით,
 სწრაფვა და გრძნობა ერთი გვაქვს, — ხორციით და სისხლით ტოლები!
 ეხლა ხევიდან ხევებში მტრობით ხომ არვინ გადარბის, —
 ძმად შეფიცული მოვდივართ: — როგორც ზვირთები არაგვს...
 ხარობენ ჩვენი თვალები! — ამოქოლვილი ქედებით,
 მაგრამ, თუ მტრები მოგვაწყდენ, — ნდობაც გვაქვს კლდოვან მკერდების.

ყოველი ტალღა მდინარის გულ-გაფრენილი ორბია; —
 მთების დაპობილ მკერდებში სისხლის ღვარებათ მორბიან!
 მშობლიურ მიწის ხორციდან, ჩვენც ხომ ვართ გამოძერწული
 და თბილი სისხლით მდინარის ზვირთებზე გამძაფრებული...
 ხარობენ ჩვენი თვალები! — ამოქოლვილი ქედებით,
 მაგრამ თუ მტრები მოგვაწყდენ, — ზვავებათ გადმოვეშვებით.

და ვერ ამოსჭრან მახვილით ხარბი გულების კრებული;
 მშობლიურ მთების ძარღვებთან შეზრდილი, შეხორცებული!
 და ჩვენ დაჩეხილ გვამებზე ქუსლით ვერ გადაიარონ —
 სანამდე კავკასიონის თვითონ ქედი ვერ მოთხარონ...
 ხარობენ ჩვენი თვალები! — ამოქოლვილი ქედებით,
 მაგრამ, თუ მტრები მოგვიწყდენ, — ბრძოლისთვის მზად ვართ მხედრები!



თაგურვალი

მოილტვის ჩემ თვალწინ დღეების პლეადა,
 მოილტვის ჩემ თვალწინ დღეების სერია:
 აპრილი „აღდგომის“ განცხრომით თვეა და
 მაისი—ოქროსი და სისხლის ფერია.

ოქტომბერს ქურაში ანთებულ ცეცხლით წვის
 ახალი ქურჭელის სულ ჰქონდა ხალისი,
 მძლე იყო, ვით დენა ევკსინთა ზღვისკენ—მტკვრის,
 ვით პონტოს მკერდს სოლებრ ესობა ჰაღისი.

დაიწყო ნევიდან წამოსვლა ვოლხოვით—
 ცეცხლოვან ფენების—ფოლადის ღონითა,
 გზა ვოლგით, ოკით და მდინარე მოსკოვით
 მოხაზა მან დნესტრით, დნეპრით და დონითა...

ურალის მთებს ზურგზე მოადგა კეხები,
 გახედნა იმისი განდგომა, ეული,
 კოლჩაკის ურდოებს აუცდათ ფეხები,
 ვრანგელს შთა იშედი, ზღვის ქაფად ქცეული!...

და დარჩა რიონი, მტკვარი და არეზი,
 და დარჩა შავი ზღვა, მძვინვარე ნორდოსტით,
 მაგრამ მზე სამხრეთის ამ ტურფა მხარეზე
 ჩვენ გვაკლდა და ესეც გადმოგვცა მან „ფოსტით!“...

ვერ მივხვდი ამაში რა ნახეს ბოროტად,
 გაგებით მუშათა და გლეხთა ბედისა?
 თუ ეს ზოგს ემწვავა აქა-იქ სოროტად,
 აქ რაა სამძიმო მშრომელთა ქედისა?!

მუშებმა დალეწეს სიმდიდრის ხუნდები
 და ქარხნის კარები წარწერით დამშვენდა:
 „აქ შრომის არმია, იმისი გუნდები
 დაბრძანდენ და ტახტიც თანხმობის აშენდა!“..

გლეხებმა „დაჰკარგეს“ მიწების ნაკვეთები,
 რადგანაც სამშობლო მოიგეს, მთლიანად:
 „ნორმებათ“ დაიყვეს მთა და ბრის კალთები
 და მიწის წიაღი გადახსნეს ფხიანად!..

სოფელმა მოზიდა ქალაქში პურები,
 მიიღო ტრაქტორი, ხნულები შეღარა...
 ამიტომ თებერვალს მეც დავემდურები:
 „ოქტომბრით მძიმე ხარ, ღალი და მკვებარა!...“

კაპროკლანი სოფლად

სოფელს დაეცა რკინა მყეფარი.
მოულოდნელად ცა ახმაურდა.
ეს რა გუგუნებს გაუგებარი?
ულრუბლო ცაში ქუხილს რა უნდა?
გლები თოხის ტარს დაებჯინება,
მზეს მოიჩრდილებს მარჯვენა ხელით, —
რკინის არწივის გასეირნებას
ჯერ არ ჰყოლია სოფლად მნახველი. —
გრძნობა უჩრდილო და მამობრივი
მეტის სიამით გულს აუჩუყებს,
მოწმენდილ ცაში შალალ ორბივით
როცა მოტორი გადაიქუხებს.
იტყვის: „არა ვარ ხომ მცირე ხანის,
ურემს მივსდევდი მუდამ კუსავით.
არც ერთი ბელტი მე ჩემი ყანის
არ დამრჩენია დაუქუსლავი.
კაბუკობის დროს მიყვარდა რბენა,
ვეფხის ნახტომიც ბევრი მქონია,
მაგრამ ჰაერში კაცის გატრენა
მხოლოდ ზღაპრებში გამიგონია.
დღეს კი... ზღაპრები და აჩრდილები
სიცხადეს ციდან გაუკრეფია...
სხვა დრო დაგვიდგა: ჩვენი შვილები
ცაში არწივებს ეჯიბრებიან...“
და ისევ მოსწევს თოხის ტარს მკლავი,
მკლავი მაგარი და ეანგიანი,
გულს ჩაუდგება მოხუცს ვარსკვლავი,
თვალებს აუნთებს სხივი გვიანი.

ადგილები კოეფიდან

„კოეფი და ალაფიანი“

16.

მე მენატრება ცხოვრება
პატიოსანი,
მაგრამ რა ვქნა, რომ გამათხოვრება
ბედი ყოფილა ქართველ მგოსანის.
მე მენატრება ბრწყინავდენ
ისევ თვალები...
ვაზაფხულიდან ზამთრის ყინვამდე
არ მასვენებენ ქვეყნის ვალები.
სურვილი დიდი როდია:
მცირეოდენი....
მაგრამ ყოველ დღე ჩემთან მოდიან
და აღწერების მოაქვთ ორდერი.
ფიქრი ირევა ჩემს თავში
როგორც მწერები,
რა მაქვს ქონება: ცოლი და ბავში.
ძალი და ცოტა ხელთნაწერები.
მეტყვიან: გული გქონიათ
ვაფა ნაჭრობით,
მაგრამ არსად არ ვამიგონია,
გული გაჰყიდონ ვალში ვაჭრობით.

17.

ნუ გეშინია გულო! დარჩები
ყოველთვის ოქრო უზარმაზარი
ვინ მისცემს ნებას, მართლა ჩარჩებმა
გამართონ „ძვირფას გულთა ბაზარი“.

ვინ მისცემს ნებას არჩეულ პოეტს
 გაუნადგურონ ბუდე ნაგები,
 ხალხის სიყვარულს თუ მოიპოვებს
 პოეტს მრავლად ჰყავს ამხანაგები.
 უიმედობა რად დამიბრუნდა
 ან რისთვის დასხდნენ ლექსზე ლაქები,
 როცა რჩეულის სიტყვებით „უნდა
 ოქროთი ვაგოთ ფეხსალაგები“.
 რა არის ფული, რა არის ვალი
 მოწყენილობა და მწუხარება,
 როდესაც ხალხის ხორცი და ძვალი
 გადაქცეულა მშრომელ ხარებათ.
 ვინც გაიტაცა ახალ ძიებამ
 გადაქცეულან რკინის კაცებათ
 ნუ თუ პოეტებს გვეპატიება
 აზნაურული გაზარმაცება?
 ამხანაგებო! ნუ გვეზარება
 ჩამოცილება ძველი ფესვების
 დროა გადიქცენ ოქროს ზარებათ
 აცრემლებული ჩვენი ლექსები.



ქართული
 ენის ენციკლოპედია



სტალინი

ვინ გამოუშვა ეს გრიგალი პირცეცხლიანი,
 ლენინი მოკვდა... ვის უჭირავს ცეცხლის სადავე?
 ამდენ ხანს ქარი ჩადგებოდა, შენ რომ გეცლია,
 მაგრამ მუშები რკინის ნებით შენ ერთს გადალავენ.
 შენ ხარ ფოლადი... კახაბერი—მართლა სხვა კაცი
 რკინის პალოთი ეს ქვეყანა დააბარბაცე...

ვინდა რომ მზეზეც გააჩინო შენ კომუჯრედი,
 მალე მოიტანს ცისარტყელას ამბავს აქ მტრელი.
 ვათავდა წარლენა... კიდობანი დადგა არარატს
 ძველი ქვეყანა ველარ იკრებს უკვე არაქათს
 მოდულს გრიგალი გრიგალებზე გადაგრაგნილი
 და ამ სტიქიას დირიჟორობს კობა სტალინი.

ციკ ტიმბირიდან, ტაიგებით, ცხელ კოლხიდამდე
 შებრძოლთა ძვლების გამოხრული იდგა ზღვეილა.
 კატორლა, ციხე, ეშაფოტზე ხალხს რომ ზიდავდენ
 ატირდა ხორცი შორკილებზე, რომ დაიფლეთა
 და როგორც რისხვა ამ ლანდების გამოგზავნილი
 ჯალათ მეფეთა საფლავეებზე დადგა სტალინი.

რბილია მართლა ხალხის კრემლით ნაქედი გრდემლი
 მაგრამ გატეხა ქვით ნათალი მეფეთა კრემლი..
 ბევრი სისხლი სვეს... სისხლიანი შეხვდათ ქელები.
 როცა დაადგა მაგარ ფეხით: მუშა და გლეხი.
 ახალ ბრძოლისთვის დროშებია გამოტანილი
 და ამ დროშების თავსარდალი არის სტალინი...

ნ ე პ

ის მაშინ მოდის ჩემთან ოთახში,
როს გულსაკლავი წვიმები ასწამს—
და მის უბრალო ქუდის მოხდაშიც
ვგრძნობ, ჩემნაირი გული აქვს მასაც.

დაჯდება: მეტყვის—მოვიდა წვიმა,
შენთან მსურს მოვკლა მძიმე წუთები;
ნეტავ სად გაჰქრა რაც იყო წინად,
რამ მომიღუნა ყველა კუნთები!

ვხედავ დღეები სიჩუმით კვდება,
შემოხვევია ცისფერი ნისლი:
ნუ თუ ამისთვის ვიბრძოდით მტერთან,
ნუ თუ ამისთვის დავღვარეთ სისხლი?

მოურჩენელი კრილობა გულის
ისევ გამეხსნა, ისევ ვწვალდება;
რატომ დავტოვეთ ეს ნავთსადგური,
თუ აღთქმულ ნაპირს ვერ მივალწვედით!

ჩუმდება. უცქერს ფანჯრის შინაში,
აკანკალებულ ფოთლებს ვერხვისას:
მე ვფიქრობ;—ხშირად მსხვერპლის წინაშე,
გაინაბება წუთით ვეფხიცა.

მსხვერპლს კი ჰგონია, საფრთხე შენელდა—
და სანაევადოთ ახალ გზებს არჩევს:
ვეფხი—ვეფხია, მოულოდნელად
მსხვერპლს მაინც დასცემს გაბასრულს კლანჭებს.



ს ი ს ხ ლ ი

როგანი

(გაგრძელება)

VI*)

არჩილის ფოთიდან წასვლის დღესვე ანდრო სამსონასთან დააბინავეს ლემის გასათევად. იქნება, შემთხვევით მოხდა ეს. მაგრამ შესაძლებელია, რომ ვრასტო გერგაძეს საკონსპირაციო ხასიათის მოსაზრება ჰქონოდა.

ყოველ შემთხვევაში იმ ღამემ ანდროზე წაუშლელი კვალი დასტოვა: გარდა იმისა, რომ ორი მეგობარი შესძინა, სამსონა და ამისი ამხანაგი დათა, შემთხვევა მისცა ნიკოც უფრო ახლოს გაეცნო და ამ, მის წარმოდგენაში, საიდუმლო პიროვნებას საკმაოდ დაჰკვირვებოდა.

სამსონა ფოთის განაპირას სცხოვრობდა, ნაბადას ბოლოს. მიუგნებელი ბინა ჰქონდა, ტყეში მიკრუნჩხული. უეზოვო და ხულას მსგავსი სახლი უმეტეს შემთხვევაში გამოკეტილი იყო. კაცს მიტოვებული ეგონებოდა, ან კალადიდის ტყის მეშვეობის დროებითი სადგომი.

შებინდებისას სამსონამ და დათამ ანდრო ამ ბინაზე მოიყვანეს. თან მოდიდო დოქით ღვინო წამოეღოთ, ერთი დიდი მრგვალი პურიც და შემწვარი კუბატები სავახშმოდ.

სალამო დახშული იყო. ზღვის სუსტი ნიავი სამსონას სახლამდის ვერ ატანდა. ზაფხული მიწურული იყო, მაგრამ ფოთის ჰაერის ორთქლიანი სიმძიმე მიინც გართხვით დასწოლოდა ნაბადას და ჭაობიან მიდამოსთვის სუნთქვა შეეხუთა.

სამსონას სტუმარი სახლში არ შეუპატიებია. გამოიტანა ძველი ჭილოფის ფარდაგი, მახლობელ ხის ძირში გაშალა და ზედ მოტანილ საქველი დაალაგა.

*) წინა №-ში დაბეჭდილ I თავში აღსანიშნავია ორი კორრექტურული შეცდომა: გვ. 11, სტრიქონი 4 კვეიდან — დაბეჭდილია: „მზიარულის დაჰკვრია“, უნდა იყოს: „მზარულია დაჰკვრით“. გვ. 14, სტრიქ. 7 კვეიდან — დაბეჭდილია: „კიდევ იფიქრებს? უნდა იყოს: „კიდევ იფიქრებს?“.

კილოფზე მალე ორი თეფში და მოზრდილი, ხელიანი თიხის ჭიქაც გაჩნდა.

ამხანაგები პურის ქამას შეუდგენ.

— ანდრო, პატივი ნუ გინდა. მიირთვი... ერასტოს ბიჭა შეეწივს რომ არ ხარ, ვიცი. მაგრამ კაი ბიჭი რომ ხარ, კი გეტყობა... შენი სადღეგრძელო იყოს, ძამია... იცოცხლე.

ანდრო მოწყენილი იყო და ნალვლიანი. ოპლად დარჩენილის შთაბეჭდილებას სტოვებდა. — არჩილის ფოთიდან უეცარ გამგზავრებას სწუხდა მთელი დღე. მაგრამ სამსონას უბრალოებამ და გულითადმა მოპყრობამ გულიდან ჯავრი თანდათან გადაუყარა და პურის ქამასა და ღვინის სმაში ცოტა მოხალისდა.

სამსონაც იმას სცდილობდა, რომ სტუმარი როგორმე გაერთო. იგი მკვირცხლი მიხვედრის კაცი იყო და ანდროს სულისკვეთების ამბავი სრულიად გამოერკვია. ამისდა მიხედვით სათანადო კილოც აელო და სადღეგრძელოს სახით ისეთ რასმე უამბობდა, რაც ანდროს გულზე საამოდ ხვდებოდა.

მაგრამ სამსონას მარტო სტუმრის გართობა კი არ ჰქონდა მიზნად. — ძალიან მოსწონებოდა ეს თავაზიანი და თავდაჭერილი მეგრული და გულში გადაწყვიტა მისი სრული ნდობის დამსახურება.

სულ მცირე ხანში მათ ბევრი რამ იცოდნენ ერთიმეორის. ანდრომ ალტაცებით მოუსმინა სამსონას მოკლე ბიოგრაფია, რომელიც მის საკუთარს ძლიერ აგონებდა, აგრეთვე რევოლუციონური წარსულიც, — თუ როგორ დასტოვა სამსონამ გურიის მივარდნილი სოფელი და ბიძას წამოჰყვა ბათომში სამუშაოზე. მერე ქარხანაში მუშაობის ამბავი. ბიძაშისის დაპატიმრება, გადასახლება და მისი გარდაცვალება ციმბირში. მარტოობა. შემდეგ საიდუმლო წრე. გაფიცვის დაწყება. პირველი რევოლუციონური თავგადასავალი. ქარხნიდან დათხოვნა. უმუშევრობა. სოფელში დაბრუნება. 1905 წელი და ფოთში ჩამოსვლა. ბოლოს არჩილის გაცნობა და მასთან დაახლოვება.

„ეს ის უნდა იყოს, ვისაც ვეძებდი“. — ეწერებოდა გულზე ანდროს და აგზნებით უსმენდა სამსონას. — „ნეტავი არსენა და იონაც იყვნენ აქ! ჰო, როგორ შევეთვისებოდით ერთმანეთს ყველანი!“.

მერე თვითონაც უამბო სამსონას, თუ ვინ იყო, სად იყო და ახლა კიდევ რას ესწრაფოდა.

ვათავა თუ არა ანდრომ თავისი მოკლე მოთხრობა, სამსონა უეცრად ზეზე წამოხტა. ხელის ერთი გაკვრით ჩამოიხსნა წელზე რევოლვერი ბოხჩიანად და ანდროს გაუწოდა. — (ეს იყო სმიტისა და ვისსონის დიდი ყალიბის რევოლვერი).

— ჩვენი შეამხანაგების საწინდრად მომიცია შენთვის. გამომართვი!

ამის დანახვაზე დათაც წამოიჭრა ადგილიდან და სამსონას გვერდში ამოუდგა.

ანდროც წამოდგა.

მოულოდნელად ზეიმისებური სახე მიიღო სცენამ.

— რაღა დაგიმალო, მომეწონე. მინდა ძმად გაგიხადო. ეს რევოლუციური ჩემი მარჯვენა ხელია. შენთვის არ მშურს.

ანდროს კი პირისახე სულ ალექსოდა ამ მოულოდნელი ბედნიერებისაგან. თითქოს არ სჯეროდა რასაც თვალით ხედავდა და დაბნეული მსონას.

გამოწვდილი იარაღის გამორთმევა კი ვერ მოეხერხებინა. ხმაც ვერ ამო-
ელო.

— გულწრფელად გაძღვე. გამომართვი. — გაიმეორა სამსონამ.

ანდრომ ერთი წამით კიდევ დაუგვიანა პასუხი და მერე თავის ნიშნებით
ჰკითხა:

— შენ?

— მე სხვაც ბევრი მაქვს. ნუ მოგერიდება, რადგანაც ვიცი, რომ იმალე-
ბი. მართლა, ლაჩრულებ კი არ უნდა დანებდეს კაცი მტერს... ჩვენც შენთან
ვართ!

ანდრომ ახლა ჩამოართვა ძვირფასი საჩუქარი სამსონას და ის-იყო გრძნო-
ბიერი მადლობის გადახდა უნდოდა, რომ ანაზღად მეგობრების ყურთა სმენა
მოახლოვებულმა ფეხის ხმამ მიიქცია. გაიხედეს: ორი ლანდი გაპირდაპირებით
მათკენ მოდიოდა. ვერ გაარჩიეს ლამეში ვინ იყვნენ.

— ყმაწვილებს გაუმარჯოს! — დაასწრეს მოსულებმა.

ანდრომ გავონებისთანავე იცნო არჩილის წუხანდელი სტუმრის ხმა. შეკ-
რთა. რევოლუციური ზურგს უკან მოიგდო მაშინაღურად და უკან დაიხია.

— არ შეშინდეთ! ჩვენა ვართ! — სთქვა ახლა მეორე, უცნობმა, ხმამ.

— მობრძანდით. მოგელოდით და რატომ შეგვეშინდებოდა! — გახარებით
მიმართა მათ სამსონამ და წინ შეეგება.

მოსულები იყვნენ: ნიკო და მასთან ადგილობრივი მუშა, ბოლშევიკი, —
მიხელა-იმერელი, ნიკოს ძველი მეგობარი.

ნიკომ ხელი ჩამოართვა სამსონას. მერე დათასაც. ანდრო ვერ იცნო. აათ-
ვალიერ-შეათვალიერა.

— ეს ვინ არის? — მოკლედ იკითხა.

— ჩემი სტუმარია და ამიერიდან კი ძმა და მეგობარი. ნუ გერიდება —
უპასუხა სამსონამ.

— არ შემხვედრია... — თითქოს თავისათვის ჩაილაპარაკა ნიკომ, ერთხელ
კიდევ მუშტრის თვალი შეავლო ანდროს და ისევ სამსონას მიუბრუნდა:

— აბა, სამსონ, სასწრაფო საქმე გვაქვს შენთან... მომყევი აქეთ ერთი
წამით...

— ჯერ ერთი კიკა ღვინოზე გვეწვიე...

— ჰა, არ იქნება... დროც არ არის. მოდი აქეთ, — და ნიკომ ხელი ხელ-
ში გაუყარა სამსონას და მოშორებით მდგომ ხისკენ გაიყოლია. მათ მასთან მო-
სული მიხელაც მიჰყვა.

ანდრო და დათა ისევ კილოფზე მოკალათდნენ.

ორივესთვის ნათელი იყო ნიკოს მოსვლის მიზანი, მაგრამ ~~ანა~~ ერთმანეთს უმაღლავდენ. თავი ისე ეჭირათ, თითქოს ჩვეულებრივი ამხანაგის ჩვეულებრივი სტუმრობის მოწმენი და იყვნენ.

დათას პარტიული დისციპლინა ავალებდა ასე მოქცეულყოფილს ზედმიწევნით იცოდა ნიკოს ფოთში ჩამოსვლის მიზანი და მთელ მის განზრახვას გაცნობილი იყო სამსონასთან ერთად.

ანდრო კი სდუმდა, როგორც ახალი კაცი, რომლის საქმე არ იყო სხვის საიდუმლოებაში გარევა, თუ მას არ გარევედენ. მით უმეტეს არჩილისაგანაც იყო გაფრთხილებული, სიტყვა არავისთან დაეძრა წუხელ ნიკოსთან კამათის დროს შემთხვევით გაგონილ პარტიულ საიდუმლოს შესახებ.

იგი ჩუმად ლელავდა გულში და სმენის დაჭიმვით აღევნებდა ყურს ნიკოს ჩურჩულს, რომელიც ღამის მკუდროებაში დროგამოშვებით უცნაურად აფეთქდებოდა ხოლმე და გარშემო საფანტოვით მიმოიბნეოდა. თუმცა სიტყვები ვერ აღწევდენ ანდრომდის, მაგრამ ის ამ სიმორეზედაც გრძნობდა, რამდენად ბეჯითი და შეუპოვარი იყო ნიკო. — ანდროზედაც კი ძალდატანებას ახდენდა მისი ჩურჩული.

— ვაი, თუ დაითანხმოს სამსონა და არჩილისათვის ალალატებინოს! — ფიქრობდა ანდრო და სმენათ იყო გადაქცეული, ცდილობდა სამსონას ხმა არ გამოჰპაროდა, ვინძლო მის კილოზე შეეტყო ახალი მეგობრის პასუხი...

მაგრამ შუალამედაც მოაწია და საიდუმლო მოლაპარაკება კიდევ არ გათავებულა.

დაეღალა ყურადღება ანდროს. რომ ვერაფერი ვერ გამოარკვია, წუხილი დააწვა გულზე.

ბოლოს მოულოდნელად შესწყდა ჩურჩული, და კილოფზე მსხდომმა ამხაგებმა მათკენ გამალებით მომავალი ნაბიჯის ხმას მოჰკრეს ყური.

— დათა, მანდ ხარ? — გაისმა ერთდროულად სამსონას ხმა.

დათა მყისვე წამოხტა და სამსონასკენ გაეშურა.

— ნიკო გეძახის, ბიჭო... შენი ნახვა უნდა... შიდი. — მოაძახა უცებ მას მოახლოვებულმა სამსონამ. დათაც უსიტყვოდ, შეუჩერებლად გაექანა ნიკოსკენ.

სამსონა კი ანდროსთან მივიდა.

— უკაცრავად, ანდრო... არ მოგწყინდეს... პაწა საქმე გვაქვს, და ახლავე დავბრუნდებით. — უთხრა და თავაზიანად გაულიმა, თითქოს ბოდიში მოიხადა. მერე სახეშიც ჩახედა ცდით: საიდუმლოსთვის ყური ხომ არ ნოუკრავსო.

ანდროს რაღაც ცუდად ენიშნა სამსონას ბოდიშიანი და გადაქარბებული თავაზიანობა. ფარული აღელვებაც შეატყო ხმაზე.

„დაუთანხმებია“, გაუელვა თავში.

— აქ იყავ... ახლავე მოვალთ. — დაასრულა უცებ სამსონამ და აღარ დაუყოვნებია ანდროსთან, ისევ ნიკოსკენ გაიჭრა.

სახტად დარჩა ანდრო.

მის წარმოუგენაში უცბად შეიცვალა სამსონა.

„რა საჭიროა თვალთმაქცობა, თუ ძმობა შემომფიცა“, გაიფიქრა ძალაუნე-

ბურად. მაგრამ მალე მოიაზრა, რომ, რაც უნდა ყოფილიყო, პიროვნულ გაცნობაზე საიდუმლოს მაინც არაფერს გაანდობდა, და შეურიგდა სამსონას საქციელს.

— „ასეც უნდაო“, — სთქვა გუნებაში.

პირველი გაცნობა

მარტო რომ დარჩა, ფიქრები უფრო აეშალა. ახლა ზის წინააღმდეგი იყო მისი, არჩილთან გაგონილის ზეგავლენით. ახლა კიდევ სამსონას გადაბირებას სწამებდა. ნამდვილ ბოროტ კაცად ჰყავდა წარმოდგენილი. მაგრამ მეორე გულით კი მისადმი ფარულ პატივისცემასაც გრძნობდა. — მატარებელზე თავდასხმის განზრახვა და მისი მოწყობა, ანდროს ფიქრით, ისეთი დიდი საქმე იყო, რომლის გაბედვა არსებულ პირობებში მხოლოდ არაჩვეულებრივ გმირს შეეძლო. იდუმალ შურსაც კი გრძნობდა ნიკოსადმი, რომ იგი ასე გაბედულად ასეთ დიდ საქმეს ატრიალებდა.

„არჩილთან რომ არ ჰქონდეს უთანხმოება“... დაიწყო ფიქრში, მაგრამ შეეშინდა ამისი. არ დაათავა. ნაცვლად ახალ შეძენილ რევოლვერს გადაუსვა ხელი და გულისკენ მიიზიდა. მიესიყვარულა.

— „ვსთქვით, მართლა დაეთანხმა სამსონა... ამან კი თავის მხრივ მე მომცა წინადადება: წამოგვეყვიო... მაშინ?“ — განავრძო ისევ.

ასეთი წინადადების მოცემის შესაძლებლობამ შეაკრთო. ვერ წარმოედგინა, როგორ ეტყოდა უარს სამსონას მას შემდეგ, რაც ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს. შერე მისგან კიდევ ისეთი საჩუქარი მიიღო, როგორც სახაზინო ყალბის რევოლვერი.

შეწუხდა.

მაგრამ ნიკოს საშინელ განზრახვასთან არჩილის დამოკიდებულება რომ მოაგონდა, ასეთი გამოსავალი ჰპოვა:

— ტყუილია... შეუძლებელია, რომ სამსონა დასთანხმდეს... არჩილს იგი არასოდეს არ უღალატებს!

ასე მოიშორა მაწუხებელი აზრი.

მაგრამ იჭვი მაინც ისევ მალე დაუბრუნდა. დროთ ესეც კი ელანდებოდა! აი, მოდის მასთან სამსონა უმეტესად ალევლებული, ვინემ იყო დათას გახმობის დროს, და საიდუმლო ჩურჩულით ეუბნება:

— ანდრო, სიტყვა გვაქვს შენთან... გენახეო! —

ხოლო სამსონა არ სჩანდა ნამდვილად, და ანდროს ერთ წამში ეს რომ უხაროდა, მეორე წამში სწყინდა კიდევაც:

— არასანდოთ და გლახათ ხომ არ ჩამთვალესო.

ნიკოსთვის ხელსაყრელი გამოდგა არჩილის ქუთაისში წასვლა. — მან ერთ დღე-ღამეში დაამთავრა ექსპროპრიაციის ჩასატარებლად საჭირო ორგანიზაცია: საკმაო თოფი და ტყვია იშოვნა, შვიდი გამოცდილი ფოთელი ამხანაგიც დაითანხმა. ამათ შორის, მიხელა-იმერლის გარდა, იყვნენ სამსონა და მისი მეგობარი დათა.

სამსონას დათანხმებას განსაკუთრებული მნიშვნელობაც ჰქონდა ნიკოსათვის. ჟურნალი „მნათობი“ № 2 (32).

54925
410

საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა



ვის. გარდა იმისა, რომ ეს სამსონა ფოთის მიდამოებს ზედმიწევნით იცნობდა და იშვიათად გაბედული მებრძოლის სახელს ატარებდა, ფოთის არგანიზაციის იარაღის საწყობიც მას ებარა, და ყოველთვის შეეძლო ორგანიზაციის ნებადაურთველად, ასე ვსთქვათ, შინაურულად, ნიკოსთვის საჭირო მიეწოდებინა.

ნიკოსაც უმთავრესად ეს მოსაზრება ჰქონდა, როცა სამსონასაგან ექსპროპრიაციაში მონაწილეობის მიღებას დაჟინებით მოითხოვდა.

ამ ღამეს კი, სამსონას დათანხმებამდე, ნიკო არაჩვეულებრივად დელავდა და ჩქარობდა. სამსონას ყოყმანი მოთმინებას უკარგავდა. იერიშად იყო გადაქცეული. თუმცა ამის მიზეზიც ჰქონდა:— დღითი-დღე მოელოდა ქუთაისიდან ცნობას, თუ რომელ მატარებელს უნდა დახვედროდა და დაგვიანების ეშინოდა. ისიც იყო, რომ პროფესიონალური თავმოყვარეობა ელახებოდა: ამდენი დაყოვნება მარცხად ეჩვენებოდა. ჯავრი მოდიოდა.

იმის ფიქრის დაშვებაც არ უნდოდა, რომ გაწბილებული და შერცხვენილი ფოთიდან უკან დაბრუნებულიყო.

მაგრამ სამსონას დასტურმა ფრთები შეასხა და გამარჯვებულის გუნებაზე დააყენა.—ახლა წინ ვერაფერი ვერ გადაელობებოდა.

ანდროს კი მისმა ახალმა მეგობრებმა ნიკოსთან შეთანხმების ამბავი არ გაუმხილეს. სამსონამ ისეთი სახე აჩვენა მას, თითქოს არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარიყო.

მაგრამ ანდროს არ გამოჰპარვია, რაც მოხდა. ხოლო რაკი საიდუმლოება არ გაანდვეს, თვითონაც გული ჩაიკეტა. ისე დაიჭირა თავი, რომ ამლამინდელი მოლაპარაკების საგანს ვითომ იქვითაც კი მიხვედრილი არ ყოფილიყო.—

ღამე მიწურული იყო.

სამსონას პატარა ოთახის ბუხარში ნიკოს ანთებული ჭრაქი შეედგა და მთელი ტანით ზედ ისე მიმჯდარიყო, რომ სინათლე ბუხარშივე დაეხშო.

ოთახში ბნელოდა. მხოლოდ ბუხრის პირდაპირ მალლა, კერის კიდურს, ნიკოს ტანსა და ბუხრის პირს შუა გამოსხლეტილი მკრთალი სინათლე შეჰფენოდა და ზედ ნიკოს ბეჭებისა და თავის უცნაურად მოძრავი ლანდი აეტანა.

ნიკოს გვერდით მიხელა-იმერელი იჯდა და იქვე მიწის იატაკზე დაზვინულ ბერდანის სისტემის თოფებიდან თითო-თითოს იღებდა და წინასწარი მოკლე გასინჯვის შემდეგ ნიკოს აწვდიდა. ის კი ჭრაქთან ახლოს მიიტანდა და კონდახიდან ტუჩამდის ყველა ნაწილს ზედმიწევნით უსინჯავდა. მერე საკეტს მომართავდა, ჩახმახს დასცემდა. ვაზნასაც ჩააგდებდა, საკეტს შეასრიალებდა, გამოასრიალებდა და დახშავდა. შემდეგ ამოაგდებდა ვაზნას, მომარჯვებით შეუშვერდა ხელის გულს და დაიჭერდა.—მოწონებულ თოფს ცალკე გადადებდა. დაწუნებულს კიდევ ცალკე.

დროგამოშვებით ოთახში სამსონა და დათა ლანდებივით შემოიპარებოდნენ: საწყობიდან მოტანილ გაქონილ-დაზეთულ თოფებს ნიკოს გვერდით

ფრთხილად დააღაგებდენ, დაწუნებულს იდღიაში ამოიჩრიდენ და ისევ ლანდე-
ბივით უსიტყვოდ გარედ გადიოდენ.

მთელი ეს ოპერაცია უხმოდ სწარმოებდა, სასტიკად და ცუდ ქაჩუნეში.

შეთქმულებს გარედან ანდრო ქარივადე ყარაულობდა, ემსახურებდას მო-
ვალეობა დაეკისრებიათ მისთვის.

ანდროც სამსონას ნაჩუქარი რევოლვერით ხელში ქურდივით უვლიდა გა-
რშემო სახლს და ყურებ-დაცქვეტილი ყოველი მხრიდან ათვალიერებდა გზას.
თვალი ღამეშიც კატასავით უჭრიდა მას და სმენაც სათანადოთ ჰქონდა გამას-
ვილებული. იმის იქვიც კი არ ეპარებოდა, რომ ამხანაგებს საჭიროებისამებრ
დროზე ვერ გააფრთხილებდა და ამ მხრივ რაიმე მარცხი მოუვიდოდა.

მაგრამ მცირეოდენ ნაწყენი კი იყო, რომ ბრმა იარაღით ხმარობდენ და
ასე თვალსა-და-თვალს შუა ატყუებდენ. თუმცა კმაყოფილებასაც გრძნობდა:
— ყოველივე ეს ხომ მას იმ წრესთან აახლოვებდა, რომელზედაც სოფლიდან
წამოსვლის წინ ოცნებობდა და რომლის წიაღში მისი საკუთარი ტერორისტუ-
ლი მოღვაწეობა უნდა გაშლილიყო.

როცა ცნობისმოყვარეობა მოერეოდა, სახლს დაუახლოვდებოდა და ოთა-
ხში შეიჭვრეტდა.

— ემზადებიან... გაიფიქრებდა ფარულად და ძალაუნებურად ჰერის იმ
კიდურს მიაპყრობდა შემკრთალ თვალებს, რომელზედაც ნიკოს ლანდი ფანტა-
სტიურად მოძრაობდა. ამის დანახვაზე, ზღაპრული დევ-გმირის სახე გაუელვებ-
და თვალწინ. შეშურდებოდა და გაუმხილავი ნატვრა გულზე დაუკაკუნებდა:

— ნეტავი, ამ კაცს დამაახლოვა და მისი ხიფათიანი ცხოვრება გამაზიარ-
ებინაო.

მაგრამ თავს შეიკავებდა უმაღვე: ნიკოსადმი ისევ შიშისებური გრძნობა
მოიქცავდა და, მტრისგან ლტოლვილივით, კვლავ თავის საყარაულოზე გასწევდა.

VII

ქალადიდსა და პატარა ფოთს შუა ფოსტის მატარებელზე მომხდარი თავ-
დასხმა დიდი მარცხით დამთავრდა.

ეს იყო სამსონასთან შეთანხმების მეორე დღესვე, ნაშუალამევს.

თავდამსხმელებმა მატარებელი გააჩერეს. მაგრამ ფოსტის დამცველმა რაზმ-
მა მოულოდნელად ისე სასტიკად შემოუტია დამხდურებს და საომარი წესით
გამართა ფრონტი, რომ ფულის გატაცებაზე ფიქრიც ზედმეტი შეიქნა.

ეს ძალიან იშვიათი მოვლენა იყო იმ ქაზად. ჩვეულებრივად (— ხშირი იყო
მატარებლებზე თავდასხმა—) ასეთ შემთხვევაში მცველები შეტევის უმაღვე
იარაღს ჰყრიდენ და ნებდებოდენ.

მაგრამ ახლა ეს ჩვეულება არ განმეორდა.

გაიმართა ომი.

სროლის დროს ჯერ ნიკო დაიჭრა ფეხში, მერე კიდევ სამსონას ორი
ტყვია მოხვდა: ერთმა მკლავები დაუმსხვრია, მეორემ შიგ მკერდში გაუარა.

ამის შემდეგ ნიკოს რაზმი უკუიქცა. დიდი გაჭირვებით შეეფარა ტყეს

და იქ მიმოიბნა. ნიკოსა და სამსონას მხოლოდ ორი ამხანაგი შეჩნათ: დათა და მიხელა-იმერელი.

ყველაზე უწინ თავდასხმის ამბავი ფოთის მთავრობამ შეტყობილი ფიცხლად შეპკრეს ქალაქი და ყაზახთა რაზმი კალადიდის ტყისკენ წაიხრეს. შეიქმნა დიდი ალიაქოთი.

• • •

ჯერ კიდევ განთიადის ნისლი ჰბურავდა ნაბადას, როცა შემთხვევით გადარჩენილ დაქრილ ნადირივით სამსონას მეგობარი, დათა, ერასტო გერგაძის ბინის აივანზე ქლოშინით ავარდა და დარაბ-მიხურულ ფანჯარაზე დააკაკუნა.

თითქოს მოელოდენ: მყისვე გაიღო ფანჯარა და მოაჯირზე ანდრო გადმოდგა.

— დათა?! — შიშით აღმოხდა მას. — რა ამბავია?

მაგრამ დათას პასუხისათვის არ ეცალა. ერთი დაკვრით ფანჯრიდან ოთახში შეხტა.

— ერასტო!... — სად ხარ, ერასტო? — დაიყვირა მან და ერასტოს ლოგინს მიაშურა.

— რომელი ხარ? — შეუტია თავის მხრივ ერასტომ, რომელსაც ცალი ფეხის გადმოდგომა და მოესწრო ლოგინიდან.

— მე ვარ, ერასტო... მე — დათა! — და დათას ხმა სლოკინმა დაფარა.

ანდრო უკვე მიმხვდარიყო, რომ დათა კარგის მახარებელი არ იყო. თვალები გიჟივით გაფართოვებოდა და ასე შესცქეროდა სამსონას მეგობარს.

— რა იყო, ბიჭო? აგერ ვარ! — მივარდა დათას ერასტო. მოჰკიდა ხელი და ფანჯრის მკრთალ სინათლისკენ გაიყოლია. ესეც მიმხვდარიყო, თუ ამ სახით საიდან უნდა მოსულიყო დათა.

დათას ენა ვერ მოებრუნებია პირში. ხრიალით სუნთქავდა. სახე ისე მოქცეოდა, თითქოს შიგ გულში ყოფილიყო დაქრილი.

დაგლეჯილ-გატალახიანებული იყო. კაცის სახე არ ჰქონდა.

— დავილუბეთ! — ამასლა იმეორებდა და ხან ერასტოს შეხედავდა, ხან კიდევ ანდროს. სიტყვა სიტყვაზე ვერ გადაება.

— განა არ ვიცოდი, რომ უბედურება დატრიალდებოდა? — სთქვა ერასტომ და სასოწარკვეთილმა დათას ხელი შეუშვა. ახლა ცოტა შორიდანაც შეათვალიერა. საქმის ვითარება უნდოდა ეკითხა, მაგრამ დათას ხალათის მკერდსა და სახელოებზე სისხლის კვალი ენიშნა, და შეკრთომით ისევ მივარდა მას. ხელი მოჰკიდა. მკერდი გაუსინჯა.

— ბიჭო, შენ, მგონი, დაქრილი ხარ?

— არა... მე არა... სამსონაა...

— ა? — შეიცხადა ერასტომ.

— ჰო... ძალიან მძიმედ... მკერდშიც... ხელებშიც.

— დაიჭირეს კიდევაც?

— არა... დაჭერით არა... მაგრამ მისი გადარჩენა ძნელია... ნიკოც დაქრილია... მსუბუქი კრილობა აქვს ფეხში... არა უშავს. რა ვქნა, ერასტო? სამ-

სონას მე მარტო შევრჩი და ველარ ვატარე... ნიკოს კი ერთი...
რა ვქნა, სამსონა უთუოდ დაილუპება!

— სად არის?

— რიონის მხარეს, ტყეში დავტოვე... ნიკოსთან არის...
დოა. მაგრამ... აქეთ რომ მოვრბოდი, შევნიშნე, რომ ქალაქში დიდი მოძრაობაა.
პოლიცია ფეხზე სდგას... ცნობა მიიღეს ალბად. საშიშია... ვინ წამომყვება სამ-
სონას საშველად? ერთიც კმარა... ორი შეეძლებოდა მის ტარებას...

სანამ ერასტო რასმე მოიაზრებდა, ანდროს უკვე წაეკრა თავი ყაბალახით
და რევოლვერი ხელში აეღო. ცეცხლივით ანთებულყო.

— წამიძეხ, ამხანაგო... მოვდივარ!

ერასტოს სიტყვის ამოღება არ დააცალა. ქორივით მოიმართა.

— თოფი და ტყვია თუ შეგრჩათ, რომ დაგვჭირდეს?—ჭკითხა დათას.

— არის...

— მაშ, ვიაროთ!

დაიბნა ერასტო.

— ორივე გამოუცდელი ხართ... იარაღის კაცი არ ვარ, მაგრამ მაინც
ჩემი წასვლა აჯობებს... მოიცა, ბიჭო ანდრო...

მაგრამ მას აღარავინ უსმენდა. ანდრო და დათა უკვე აივანზე გასულიყ-
ვნენ.

მისდია ერასტომაც.

— ფოთში დაბრუნება არ იფიქროთ, იცოდეთ: ან სამეგრელოში, კუ-
რიით, ან გურიაში, რიონის პირით... ძლივს გააგონა მან ყმაწვილებს, რომ-
ლებიც ამ დროს უკანა ეზოს ლობეზე გადადიოდნენ.

დათამ და ანდრომ მშვიდობით განვლეს უბანი და იქით გაუპირდაპირეს,
სადაც ტყის სიბშირე ჰორიზონტს ეკვროდა.

გზა-და-გზა ანდრომ დათას გამოჰკითხა, თუ რა პირობებში მოხდა სამსო-
ნასა და ნიკოს დაჭრა, და ისიც, თუ შემდეგ როგორ უშველეს თავს.

დათამაც მოკლედ, კანტი-კუნტად, უამბო თავგადასავალი.

— ნიკო და სამსონა რომ არ დაჭრილიყვნენ, იქნება, გაგვემარჯვნა...
თუმცა მატარებელს მთელი ჯარი ახლდა და დაუხოგველად შემოგვიტყეს... დიდი
ომი იყო... არ მოველოდით ისეთი... ახლა თუ სამსონა გადარჩა, კიდევ არაფე-
რია... მაგრამ... იცი, ამხანაგებმა რა გვიყვეს? მიგვატოვეს და თავს უშველეს.
ნიკოს მიხელა და შევრჩა, და სამსონას კი—მე...

ასე იარეს, სანამ წინ მინდორი არ დახვდათ. აქ კი შესდგენ და მი-
მოიხედეს. მინდორის გადაჭრა ჭკუაში არ დაუჯდათ.—დილის სინათლე საკმაოდ
გამლილიყო და შორი საგნების დანახვაც კარგად შეიძლებოდა. ამ მხრით
უსაფარო, ტრიალ მინდორზე გადასვლა სახიფათო რამ იყო. მაგრამ მისი შე-
მოვლაც უზრუნველყოფილად არ ეჩვენებოდათ, გზასაც აგრძელებდა. წამით მო-
ითათბირეს. ბოლოს, ისევ მინდორის გადაჭრა ამაჯობინეს.

ისე გარბოდნენ, თითქოს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

ის-იყო გალიეს ეს მინდორიც და ტყეში შესდგეს ფეხი, რომ უკანიდან ჯერ სტვენა და მერე რუსულ ხმაზე დაძახება მოესმათ. მოიხედეს.

რამდენიმე ჩაფარი, ერთიმეორეზე დაშორებით, მინდვრის თავიდან მათკენ გამორბოდა და თოფებს ჰაერში აქნევდა.

— ხშირი ტყისკენ, დათა! მოგედევნე! — რევოლვერის მომარჯვებით შესძახა ანდრომ ამხანაგს.

— მომყევი! ჯავრი ნუ გაქვს.

გზის ხაზი რამდენჯერმე გასტეხეს. ასე ირბინეს კარგა ხანს, სანამ ტყის სიღრმეს მოექცეოდნენ.

აქ შესდგენ და მიაყურეს.

მშვიდობა იყო. სული ამოითქვეს.

— რამდენი იქნებოდნენ? — იკითხა დათამ, რომელსაც თავი უკვე სამშვიდობოს ეგონა.

— სამს მოვკარი თვალი. შეიძლება, მეტიც იყო... ნეტავი საიდან დაგვიჩაბეს იმ ურჯულოებმა?

— რუსები იყვნენ თუ აქაურები?

— მგონი, რუსულად მოგვაძახეს. ისე კი ვერ გავარჩიე.

— მეშეშეები ვეგონებოდით, თორემ უთუოდ გვესროდნენ... აღბად თავი დაგვანებეს! ა? შენ რას იტყვი?

— რა ვიცი... თუ სამის მეტი არ იყვნენ, ტყეში ვერ შემობედავდნენ... ვიაროთ!

ისევ განაგრძეს გზა.

მალე ტყის ჭაობიან ნაწილს მიაღწიეს.

— აქ ფრთხილად, ანდრო... ცოტალა დაგვრჩა...

ტყის ამ ნაწილში სულა მხოლოდ ბილიკებით შეიძლებოდა, ხიდან ხემდის-გარშემო მიწა ხავსმოკიდებული ღრუებით იყო დახეთქილი. შიგ ზოგგან ძელი ჩაყირავებულიყო, ზოგგან კიდევ კუნძი ამოჩრილიყო. ურუმში იდგა.

დათა საკვირველი მოხერხებით იყენებდა ერთსაც და მეორესაც: ბილიკიდან ძელზე გადადიოდა, ძელიდან კუნძზე და გზას ასე მიიკვლევდა.

ანდროსთვის თუმცა უჩვეულო იყო ასეთ გზაზე სიარული, მაგრამ მაინც კვალ-და-კვალ მისდევდა მეგობარს. მას განსაკუთრებით დაეჭიმა სმენა. ეშინოდა, ჭალადიდის ტყის თავისებურ სისინშერეულ შრიალში მტრის მოახლოება არ გამოპაროდა.

კარგა ხნის სიარულის შემდეგ დათა შესდგა. გამარჯვებული სახე უჩვენა ანდროს და ანიშნა რომ ისიც შემდგარიყო. მერე ლიანითა და ეკლნარით დაბურულ ერთ ადგილთან წელქვეით დაიწია, მიიხედ-მოიხედა და ზედი-ზედ მოკლედ სამჯერ დაუსტვინა.

— ახლოს უნდა იყვნენ! — წასჩურჩულა ანდროს. პასუხი არ იყო.

მაშინ დათამ ხელმეორედ დაუსტვინა.

პასუხის მაგიერ მახლობელ სუროშემოკრულ რთხმელიდან თორღონი კაცი გამოჩნდა და დათას ხელი დაუქნია. მერე ისევ დაიშალა.

— მიხელაა. წამოდი!—ესროლა დათამ ანდროს და იქვე გაიქცა. სადაც მიხელა მიიშალა. ანდროც მიჰყვა.

როგორც კი გასცილდნენ სუროიან რთხმელას, მათ წინ თვითონ ნიკო შემოეგება. იგი თავშიშველი იყო და პერანგსამარა. მოჩვენებას ჰგავდა. თოფი ყავარჯნათ მოემარჯვებია და ყაბალახითა და ხალათით შეხვეული მარცხენა ფეხი მარჯაფა ცხენივით განზე წამოეყოლებინა.

— აბა, ბიჭებო... დაყოვნება არ იქნება. სამსონასთან მიდიო!—შესძახა მან მოახლოვებისთანავე დათასა და ანდროს და წინ გაუჩერდა.

ანდროს ჯერ ექვით შეხედა. წარბების შეკვრით. მერე მოაგონდა. სად ენახა. მაგრამ სახე არ შეუცვლია, ისე შეუღიმა. შეტევით ჰკითხა:

— შენი სახელი, ამხანაგო?

— ანდრო... სანდრო... სულ ერთია!—მიუგო ბორძიკით ანდრომ და გვერდი აუარა.

— დათა, გზაზე დაგვაყენე... შორს აქედან რაც შეიძლება! გესმის?

დათა და ანდრო თითქმის ერთდროულად წააწყდნენ ერთი ხის ძირში თავაწეულად მიწოლილ სამსონას.

იგი სისხლით გაუღენტოილი ჭინჭებით იყო შებურული წელზევით და მკერდზე კიდევ ორფად ყაბალახი ჰქონდა გადანასკვნილი. ცალი ხელი ხედვე ჰქონდა მიკრული. ცალიც ჩვარივით ჩამოეკიდა.

ორი თოფი და სავაზნეები გვერდით ედვა.

სასიციოცხლო ფერზე არ იყო.

— დათა, მოდი?—მიღეული ხმის ჩახრიალებით ჰკითხა მან დათას და სიკვდილის შიშით დაფერფლილი თვალებით ახედა ქვემოდან.

— ისევ შენთან ვარ... ჯავრი ნუ გაქვს.—მიუგო დათამ და მის წინ მუხლებზე დაეშვა.—ჭრილობა ხომ არ შეგსხნია?—ჰკითხა და შეხვეული გაუსინჯა.—აი, ანდრო მოგიყვანე.

— ეხედავ... ჩემი ახალი და უკანასკნელი მეგობარი...—წარმოსთქვა რაღაც დათუთქვით სამსონამ და ანდროს მიაპყრო თვალები. სახე ტკივილმა მოუქცია. მძიმედ ამოიოხრა და თვალები მიბნეღვით დახუჭა.

— თავი გაგიწირავს, მეგობარო...—მადლობის კილო-დატანებით სთქვა მცირე სიჩუმის შემდეგ და ობოლმა ცრემლმა დახუჭული თვალების გუბე შეუთრთვილა.

— არაფერს გაგიჰირვებთ... ნუ გეშინია...—ძლივს წაილულულა ანდრომ და სამსონასკენ მიიწია. მაგრამ უმაღვე მისავე ხმამ შეაკრთო და შეაყენა.—სამსონას მოულოდნელ სანახაობას ისე ემოქმედნა მასზე, რომ ხმაში ძალაუნებურად უიმედობა შეჰპაროდა, და ნუგეშის მისაცემად სიტყვა ვერ მოენახა. იგრძნო მარცხი.

მაგრამ სანამ მას გამოასწორებდა და ვაჟკაცურ ხმას გააგონებდა ჭირში მყოფ ამხანაგს, სამსონამ დაასწრო:—უცებ გაახილა თვალები, თავი წინ წამოწია და შეშფოთებით მიმოიხედა, თითქოს ხიფათის მოახლოვება ეგრძნოს.

— გვიან არის... გვიან...— ყრუდ მაგრამ ორაზროვნად წარმოთქვა.

ანდროს საყვედურიც მოესმა სამსონას ხმაში, რომ დააგვიანეს, და გაფრთხილებაც: „ყური დაუგდეთ: არ გესმით, რა ამბავია?“

მაგრამ სამსონა თავს ვერ შეიმაგრებს, მოწყვეტით კისტავს მისი ტყუილება და თვალებს კვლავ მინამავს.

სამსონას სიტყვები და ხმა შეათორიაქებენ ანდროს. მოეჩვენება, თითქოს სადღაც წინადაც გაეგონოს ისინი. თითქოს მას მეორეჯერ უსაყვედურებდნ დაგვიანებას და მეგობრის დაკარგვას. შეოცდება. მეხსიერებაში ვარდოს გატაცების ღამე გაუბრუნს და ვარაძეების ხეივანში გამოცხადებული ტყის დედოფლის უიმედო სახე მოელანდება.

„გვიან არის“, მოესმება ხელმეორედ უცნაური მოჩვენების საბედისწერო სიტყვები, და თან წინათგრძობას შიშინანი მოლოდინი ყალყზე დაუყენებს, თითქოს სამსონას შემოთვალული მიმოხედვის მიზეზი მის გულისყურსაც გაენაწილებიოს და საშიში წამის მოახლოვება ეგრძნოს.—სწორედ ისე, როგორც იმ საშინელ ღამეს საბედისწერო ეგვნების ჟღარუნის გაგონების წინ.

„აჰა ... კიდევ ის ტიალი ბედი!“— გაუფლვებს გულში.

ყველა კუნთი დაეჭიმება.

— თავი არ მინდა ცოცხალი, სამსონა, თუ არ გადაგარჩინე!— შეუბოვარი შეტევის ხმაზე დასჩხავლებს, თითქოს ბედი ბრძოლაში გამოეწვიოს, და სამსონას გვერდით მდებარე თოფსა და ტყვიებს ელვასავით დასწვდება.

— დათა, რომელია სამსონასი?

— ეს ... ეს კი ჩემია!— უპასუხებს დათა, და ორივენი უმაღვე შეიარაღდებიან.

მაგრამ ამავე დროს ნიკოც მოიჭრება მათთან: თვალებ-გადმოკარკლული და ჯოჯოხეთივით ასისინებული.

— რად აგვიანებთ, თქვე რჯულძაღლებო!.. დათა, გზა მეთქი ჩქარა! არ გესმის რომ გვიახლოვდებიან?

მაგრამ სამსონას რომ დახედავს, ელდა ნაცემივით შესდგება. მხოლოდ ახლა შეიქნება მისთვის ცხადი, თუ რა დაბრკოლებას წარმოადგენს მათთვის სამსონა.

უცებ რაღაც შეთრთოლებით დააქრიალებს კბილებს და თვალებში ცივ ფოლადს ჩაიყენებს.

ამ დროს სწორედ სამსონაც გამოფხიზლებულივით გაახელს თვალებს და ნიკოს ისე შეხედავს, თითქოს მისგან ისარი მოხვედროდეს.

მაშინ ნიკო უმაღვე შეიცვლის გამომეტყველებას. ლმობიერ, მოალერსე სახეს მიიღებს და ისე გადასდგამს ნაბიჯს მომაკვდავ ამხანაგისკენ.

— მოგვდევენ, ნიკო?— მოულოდნელად მტკიცე კილოზე მიმართავს მას სამსონა და თავს წამოსწევს.— მაშ, ვაჟკაცი იყავი ბოლომდის, ამხანაგო, და თავი დამანებე! წადი! თავსაც უშველე და ეს ბიჭებიც გადაარჩინე... ჩემთან ნუ შეაგვიანებ. იცოდეთ: ბედს შეეუფრავდი და არ მეშინია.

ეტყვის და თვალებს გაუსწორებს. ამითაც დაადასტურებს, რომ მტკიცე გადაწყვეტილებას ამბობს.

— დაიცა, სამსონა. ასე არ იქნება, ხომ იცი, შენს თავს არაფერს დაეანებებთ. აი, ერთი ამხანაგი კიდეე შემოგვემატა. თუ გავალთ, ყველანი ერთად, თუ არა—ერთად დავიღუპებით. ნუ ჩქარობ, ჯერ კიდეე არაფერე გვექვას...

დიდი თავდაჭერით, მშვიდად უპასუხებს ნიკო, თითქოს ძალაღიწყო ყოფილიყოს საფრთხე.

სამსონას პასუხს არ დააცლის. იქვე მდგომ დათასა და ანდროს უბრძანებს სამსონას ხელზე აყვანას და შეუჩერებლივ წინსვლას.

მაგრამ, სანამ მეგობრები დიდი გაჭირვებით აიყვანდნენ სამსონას, ანაზღაოთ მათ მახლობლად რამდენიმე თოფი დაიჭიქებს და იმავე დროს თავის საყარაულოს შიშით მოწყვეტილი მიხელაც გამოჩნდება.

იგი გარეული კატის სიმარდით ხიდან ხეს ახტებოდა და ამხანაგებისკენ ასე მოიწევდა.

— წადით. თავს უშველეთ!—ანიშნებდა ხელით.

პირველად თითქოს დაიბნევა ნიკო. გაქცევის შესაძლებლობის აზრი შეიპყრობს. მაგრამ უმაღვე გაითვალისწინებს მდგომარეობას და, თითქოს დაჭრილი თეხი გამთელებოდეს, წინ გადახტება, მიხელასკენ და საფარს ამოეფარება.

— შესდეგ მანდ, მიხელა.—შესძახებს მიხელას. ჩემს გვერდით საფარში! შემდეგ დათასა და ანდროს მიუბრუნდება:

— თქვენ ცოტა განზე! სამსონა სულ უკან! ჩქარა!

— გაქცევა სჯობდა, ნიკო.—შეუჩურჩულებს მოახლოვებული მიხელა ნიკოსა და მის გვერდით მონახავს საფარს.—ალყას შემოგვარტყამენ... ცოტანი კართ... დამიჯერე. გვიან არ არის: გაქცევა სჯობს.

ანდრო და დათა სამსონას უკან გააქანებენ. მაგრამ ათიოდე ნაბიჯსაც ვერ გადადგამენ, რომ მტრის საფარიდან ისევ დაიჭიქებენ თოფები, და ხეივანს მდაბლად გართხული კვამლი შემურავს.

მეგობრები პირველსავე ხის ძირში მიაწვენენ სამსონას და თვითონ ჩასაფრდებიან. დათა ცოტა განზე მდგომ ხეს მოეფარება, ხოლო ანდრო სამსონას საფარს შერჩება.

— გასწყვიტეთ ეს ურჯულოები! ცეცხლი, ამხანაგებო!—დასკექს ეხლა დიდი ჯარის სარდალივით ნიკოც და მიხელასთან ერთად მდევრების საფარს ცეცხლს შეუნთებს.

ნიკოს ნიშანზე ანდროც და დათაც სროლას ასტეხენ.

გაჩაღდება ბრძოლა.

მალე გამოიჩვენა, რომ ნიკო და მისი ამხანაგები აქ მტერს ვერ გაუმკლავდებოდნენ.

ნიკომ დროზე შენიშნა, რომ მოწინააღმდეგეთა რიცხვს თანდათან ემატებოდა, —ტყეში მიმოფანტული პოლიციის რაზმები სროლის ადგილისკენ მოიწვედნენ და თავისიანებს უერთდებოდნენ.

ახალმა საფრებმა იფეთქეს.

აღყის ხაზი ცეცხლად გაეფლო ბრძოლის ზღვილს.

სხვა ხაზველი არ იყო: რომ მტერს გზა არ მოეჭრა, მეგობრებს დაუყოვნებლივ უნდა დაეხიათ.

ცალ მუხლზე შესდგა ნიკო. მარცხენა ხელში ეჭმუნებოდა მარცხენა და ტყვიისმფრქვეველივით აამოქმედა თავისი ძველი ბერდანის თოფი.

მიხელაც აპყვა.

აზუზუნდენ ანდროც და დათაც.

თითქოს ცა დამხოზოდეს მიდამოს, ისე შეირყა ტყე.

მტრის წინახაზზე რამდენიმე მხრიდან უცებ სასიკვდილო ამოგმინვა გაისმა, და სროლაც მყისვე შესწყდა.

— ტყვია არ გამოილიო! წამო! — მიაძახა მაშინ ნიკომ მიხელას, შესწყვიტა სროლა და მიწაზე დაკრულმა ცურვა-ხოხვით იქითკენ გაუპირდაპირა, სადაც ანდრო და დათა ეგულებოდა.

— კმარა! მომყევით! — შეუსისინა ახლა ამათ გაპირისპირებისთანავე.

დაინახა თუ არა, რომ ნიკო და მიხელა უკან იხევედენ, ანდრომ მხარზე მოიგდო თოფი და სამსონას მივარდა. ხელზე აყვანა გაუპირა, რათა ნიკოს დროზე აღევენებოდა.

მაგრამ სამსონა ისე აბორგებულიყო, რომ ხელი არ მოეკიდებოდა.

მკერდზე შეხვეული ყაბალახი შეხსნოდა და სისხლით შეთითხნილი ხელები შენჯარავი ფართხალით ანდროსკენ გაეშვირა. თან ფეხზე წამოდგომას სცდილობდა და ზურგგადატეხილი გველივით ერთ ადგილზე იკლაკნებოდა.

— მომეცი ჩემი რევოლვერი! — შეუხროტინა მან ანდროს და ევერი ხელები წინ მიაგება.

ანდრომ მოუაზრებლად მყისვე ამოიძრო ქამრიდინ მისი ნაჩუქარი რევოლვერი და გაუწოდა. მაგრამ რომ შეხედა, შიშით უკან გადაატა: საშინელ განზრახვას მიუხედა.

— მაშ, შენ უნდა მომკლა... ძამია, სიკვდილია ახლა ჩემი მხსნელი... ნუ მაწვალე: ძმა ხარ... გადამარჩინე... გაეკაცი თუ ხარ, ახლა უნდა გამოდგე.

ანდრო ჯერ კიდევ კარგად ვერ მიმხვდარიყო, თუ რას სთხოვდა მას სამსონა.

— მომყევი, სამსონ... მტერი ჩაჩუმდა, დაიხია... — ეს-ლა უთხრა და კვლავ ასაყვანად მიუახლოვდა.

ამ დროს დათაც მოიჭრა მათთან.

— ჩქარა, ანდრო... ჩვენ წინ უნდა ვიაროთ... მოჰკიდე ხელი! — მიეშველა იგი ანდროს.

— ბიჭო დათა, შენ მაინც ივარგე... გამათავე... ხომ ხედავ, სხვა გზა არ არის... ამ შეგრელივით ლაჩარი არ გამოდგე. — ხვეწნით მიმართა ეხლა სამსონამ დათას.

— რას ამბობ, სამსონა? დაიცა... ხომ ხედავ, გამარჯვება ჩვენია...

მაგრამ სანამ მეგობრები ასაყვანად ხელს მოჰკიდებდენ, სამსონა უცბად

სასწაულებრ ფეხზე წამოდგა და მთელი სიმაღლით მათ წინ აიშარტა სამარი-
დან ამოსული მოჩვენებასავით.

— ჩემთვის ერთი ტყვიაც ვერ გაიმეტეთ... გლახეზო!!! შმშმ—შშა, ახლა
შაინც მომშორდით!—იტყვის იგი და მთელი ტანის ერთბაშად მოწყვეტის იქვე
მდგარ ხის სვეტს ქვასავით შეეხეთქება.

— სამსონა! რას სჩადი?—იყვირებს ამის დანახვაზე დათა და სამსონას
ზედ დაემხოზა.—რას სჩადი? თავი მოიკალი? ვაიმე, ვაიმე...

ანდრო კი, სადაც იდგა, იქვე დარჩება გახვევებული.

სწორედ ამ დროს გახვლებული ნიკო ცალფეხზე ხტუნვით მათ თავზე წა-
მოადგება.

— სადა ხართ ამდენხანს, მამაძაღლებო!—ბრაზისაგან ძლივს გამოსცრის
იგი კბილებში და წითლად გაალებულ თვალებს პირველად უაზროდ მდგარ ან-
დროს შეანათებს.

— ნიკო, სამსონა კვდება... თავი მოიკლა!—ბავშვივით შესჩივლებს მას
დათა და მისკენ მოიხედავს.

ისევ ცივი ფოლადი გაუელვებს ნიკოს თვალებში.

— ადექი, გეუბნები! მიხელასთან მიდი... და გზა უჩვენე, სანამ გვიან არ
არის... თორემ...—უკანასკნელ ზომამდე დაჭიმულ ბრძანების ხმით მიმართავს
დათას ნიკო და ცახცახ-შემდგარ ხელებში თოფს მოიმარჯვებს.

— ჩქარა! გესმის?—დაასრულებს იგი თვალების უცნაური დახუჭვით და
ისევ უმაღლე გახელით.

დათა წამოდგება. შეხედავს ნიკოს. მაგრამ თვალს ვერ გაუსწორებს. პირ-
ში ენას ვერ მოაბრუნებს. შეყოყმანებასაც ვერ გაბედავს ისე ბრძანების შე-
სასრულებლად გასწევს.

მაშინ ნიკო პირაღმა უძრავად გათხლაშულ სამსონას მიუახლოვდება და
დახედავს.

წამით სიჩუმე ჩამოვარდება.

— საბრალო სამსონა... ძმაო...—წაილულულულებს იგი გულის ძარღვების
დაწყვეტით, ცრემლიანი ხმით, თითქო სხვა კაცი ყოფილიყოს და არა ის, ვინც
წუთის წინ დათას სასტიკ ბრძანებას აძლევდა.

მაგრამ თქმის უმაღლე ანდროსკენ მობრუნდება და წინანდებური ხმითა
და ფოლადის თვალებით მიმართავს:

— ვიარკო!

მიუახლოვდება და დასაყრდნობელად მხარზე ხელს დაადებს.

ანდრო მაშინაღურად გადადგამს ნაბიჯს.

მაგრამ მეორე ნაბიჯის გადადგმაზე მათ უკან სამსონას გულშემზარავი
ამოკენესა გაისმება, და მიმავალთ მომაკვდავი მეგობრის ხრილიანი ამოსუნთქვა
შეაყენებს.

წამით სიჩუმე.

— მიდი... გაათავე.—და ნიკო ხელის კონვულსიური ბიძგებით ანდროს
სამსონასკენ გზას უჩვენებს.

... თითქოს მიწის გულს სადღაც სიღრმეში დაეგმინოს, ისე გავარდება პირველად ანდროს ხელში განწირული ამხანაგის ნაჩუქარი საბედისწერო რეკლამები...

ეროვნულ
გზაში

VIII

ფოთიდან წამოსული არჩილ დადიანი ქუთაისს ჩავიდა. — რკინისგზელი დაბალი მოსამსახურის ტანთსაცმელი ეცვა და სანახაობაც სათანადო ჰქონდა, მუშური: მოუპარსავი წვერი, შეჭუჭყიანებული ხელები და პირსახე.

დილა იყო ადრიაანი და ქუთაისს ჯერ კიდევ ეძინა.

არჩილი ვერ იყო გუნებაზე: ზოგი პირადი საქმე აწუხებდა, ზოგიც პარტიული. მთელი ღამე არ ეძინა.

პირისპირ თავის თავთან მარტოდ დარჩენილს ათასი ფიქრი აღძროდა.

ქუთაისი ჩვეულებრივად განსაკუთრებულად მოქმედებდა არჩილზე: გაუმხილებელი ტკივილის გრძნობას იწვევდა მის გულში და თან ტკბილ მოგონებათ ახვევდა თავს. —

ახლაც, გასცილდა თუ არა რიონის სადგურს, მოგონებებმა დაასწრეს და მებხიერებაში საოცარი სისწრაფით გაიელვენ მისი ბავშობისა და სიყრმის დროს სურათებმა: ქუთაისის ნაცნობმა ქუჩებმა, გიმნაზიამ, მეგობრებმა, ნაცნობებმა.

რონოდის ფანჯარასთან დადგა და დილის ბურუსში გახვეულ საყვარელ ქალაქისაკენ დაიწყო ცქერა.

ასე ეგონა, თითქოს წლები გასულიყვნენ, რაც იგი არ ენახა.

ქუთაისი არჩილის შეგნების პირველი დამრწევი აკვანი იყო, სადღაც მისმა პიროვნებამ საკუთარი სახე მოიპოვა და გრძნობებმა კი ქვეყნიერება იხილეს.

მაგრამ ის, რასაც ინტიმური სიმწვავეთ განიცდიდა ქუთაისთან დაკავშირებით არჩილი, ახლა მოგონებაშიაც დაფარულად ჰქონდა.

ეს იყო ცაცა რამაძის ქალი.

და როცა შენელებით მიმავალ მატარებლიდან არჩილმა რიონის ქალებს გააყოლა თვალები ვიდრე ქალაქამდის, ბალახვანის ქუჩის მიდამოები გადაეშალნენ წარმოდგენაში და ძველი ქადრის ჩრდილიან ძირით ოდნავ ელამმა შავმა თვალებმა ორაზროვანი შემოღიმებით სახეში ცეცხლი შეაფრქვიეს.

— ქუთაისი და... — ჩაითქვა გულში, ხოლო აღარ დაათავა. „ცაცა“ უნდა ეთქვა, მაგრამ საიდუმლოდ შეინახა თავისთვის.

ქუთაისის სადგურიდან არჩილმა უახლოეს შესახვევში გადაუხვია და ბალახვანის ქუჩას გაუპირდაპირა. აქ მისი სიყრმის მეგობარი ეგულებოდა, შალვა რამაძე, რომელთანაც ჩვეულებრივად ბინად სდგებოდა ქუთაისში.

რამაძეების ერთსართულიანს, მაგრამ საკმაოდ მაღლად მდგარ სახლს ფართო ადგილი ეჭირა ბალახვანის ქუჩაზე. იგი ქუჩის პირად იდგა, რიონის მხრით. უკან დიდი ბალი ჰქონდა გაშლილი, ვიდრე მდინარის ნაპირამდის, რომლის გაყოლებაზე, ქვითკირის გალავანს შიგნით, დარაჯებივით მწყობრად ჩარაზმულიყვნენ ძველი ტოტემგაშლილი ქადრები. (არჩილის მეგობრის

მამა, ნოდარ რამაძე, იმერეთის ერთ-ერთ შეძლებულ თავადად ითვლებოდა და ქუთაისის „დეპუტატთა“ საკრებულოს თავლსაჩინო წევრი იყო.

დაუახლოვდა თუ არა ნაცნობ სახლს, არჩილმა უწინარეს ყველაზე დახურული დარაბები შეათვალიერა. ერთი მათგანი ნახევრად დახურული იყო. იგი ჩრდილოეთის მხრით ზედ კუთხესთან ჰქონდა კედელს განცალკევებით ჩატანებული და შალვა რამაძის ოთახს ეკუთვნოდა.

— ალბად არ სძინავს... გაუხარდა არჩილს და გამოღებულ დარაბის პირდაპირ დადგა დარაბს შიგნით ფანჯარაც ღია აღმოჩნდა.

არჩილი დაწვდა ქუჩაზე კენჭს, აიღო რამდენიმე და ოთახში ფრთხილად შეისროლა.

პასუხს არ დაუყოვნებია: გაიღო დარაბი და ფანჯარაში ფერმკრთალი მკერდ-გადაღეღილი პერანგსამარა სახე გამოჩნდა, თავზე თმააბურღვნილი. თვლების ბეციანი ხუჭვით შეხედა არჩილს, კითხვის ნიშნის გამოხატვით, და რომ ვერ იცნო დილის სტუმარი, ისევ ოთახში შეჰყო თავი. მაგრამ უმაღვე ისევ გადმოეყუდა ფანჯარაზე, ახლა უკვე ცხვირზე პენსნე აცმული.

— აი, შე ბეცო... ვერ მიცანი?— ხუმრობით შეუტია მას დაბალ ხმაზე არჩილმა.

— არჩილ!— ხელების გაშლით გაიკვირვა შალვამ.— მოდი, კაცო! მოდი... კართან... ახლავე გაგიღებ...

არჩილმა კიბეზე აირბინა და სახლის შესავალ კარებთან აიტუხა.

...

შალვა რამაძის ოთახი ძალზე არეულ-დარეული იყო. ნაომარ აღვილს ჰგავდა.— მაგიდაზე ნაწერი და უწერი ქალაღებების ზვინი იდგა. იქვე წიგნები და ჟურნალები უწესრიგოდ, ზოგი გადაშლილი, ზოგი დაკეცილი, პაპიროსის და ასანთის ნამწვებში არეული. იატაკზე გახეთები. ლოგინთან სასთუმლის მხრით მიდგმულ სკამზე ლამპასთან ერთად კიდევ წიგნები, ჟურნალები და გახეთები. აქაც პაპიროსის ნამწვები. ბალიშის ქვეშ ამოჩრილი მოზრდილი ტანის გადაკეცილი წიგნი ასანთის კოლოფითურთ.

— რა ამბავი?— სახეზე დამცინავი ღიმილის აკვრით ჰკითხა მეგობარს არჩილმა, როცა ოთახში შევიდა და თვალში არეულ-დარეულობა ეცა.

შალვამ ლამპიანი სკამი სასწრაფოდ გაათავისუფლა და სტუმარს მიაწოდა.

— დაჯექი... არაფერია... წუხელ შენთანებთან ჩხუბი მქონდა.— უპასუხა მან რუსულად არჩილს, გაჰკრა ასანთს, პაპიროსი გააბოლა და ლოგინში ჩაგორდა, ზეწარი გადაიხურა.

— იმათ კი დაუფეთე ანგელოზები!— არჩილს შეხედა. შეათვალიერა. მერე ისევ რუსულად:— სად დაიკარგე, კაცო?— ჰკითხა. ერთხელ კიდევ შეათვალიერა სტუმარი და განაგრძო:— ეს რა ჩაგიცვამს? მუშა ხარ ვითომ ნამდვილად რაღა!

— მაშ, რა გეგონა... შენსავით ბურჟუა კი არ ვარ...

— აუცილებელია: მუშათა პარტიას ობიექტი უნდა ჰყავდეს, და რაკი სა-

ქართველოში პროლეტარი აღარ აღმოჩნდა, თვითონ უნდა გაპროლეტარდეთ, შეტი რა გზა გაქვს!

(შალვა რამაძეს და არჩილსაც ქართულზე უკეთ რუსულზე ეხერხებოდათ. შერეულად ლაპარაკობდნენ რუსულ-ქართულად, როგორც იმდროინდელი ახალგაზრდობა).

— ალბად წუხანდელი კამათის გაგრძელება გსურს... მერე იყოს, თუ ძმა ხარ... შენ ჯერ ეს მითხარი: შენიახები სახლში არიან?—სიტყვა ბანზე აუგდო მეგობარს არჩილმა.

— პირდაპირ სთქვი, ვინ უფრო გაინტერესებს?—მცდელი თვალებით შეხედა შალვამ და ცბიერად გაუღიმა.

— დაიცა, შალვა... მაგას თავი დაანებე...—ცოტა არ იყოს დარცხვენითა და სახეზე შეწითლებით მიუგო არჩილმა. კარგად იცოდა, ვის შესახებ გეკითხები: მამაშენის მერიდება.

— ჰო... მამა ტფილისშია. ხომ იცი, ჩვენმა თავად-აზნაურობამ დეპუტაცია მიუგზავნა ნამესტნიკს... აქაო, ქვეყანა დაწყნარდაო და ახლა ასე და ისეო... ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა... დედა სახლშია. შენი ნახვა გაუხარდება... რაც შეეხება...—მნიშვნელოვან ხმის აწევით გააგრძელა უკანასკნელი სიტყვა შალვამ და კიდევ ცბიერად შეხედა არჩილს.

— ჰო, ნეტავი, მოცლილი არ იყო...—ესროლა გაჯავრებულივით არჩილმა. ადგა და მაგიდაზე წიგნებს დაუწყო თვალიერება.

— მართლა, ცაცა სამი-ოთხი დღეა რაც სოფლიდან დაბრუნდა... გაჯავრებულია შენზე. წერილი არ მიგიწერია... ამ მხრივ ვერ არის, მგონია, შენი საქმე კარგად... გეცოდინება, წელს მოსკოვს აპირებს წასვლას. მადლობა ღმერთს, მგონი, მობეზრდა თქვენი „ერფრუტის პროგრამა“ და „რევოლიუციის მეორე დღეს“... ახლა უკვე სერიოზულად აცნობა მეგობარს შალვამ.

— კარგი ამბავია!..

— ყოველ შემთხვევაში, არ გირჩევ, რომ ამ სახით დაგინახოს: სოციალ-დემოკრატიზმს, მაგრამ მაინც თავადის ქალია, ძმაო... ხუმრობა-გაშვებით: შენ აქ რევოლიუციონერად არავინ არ გიცნობს გამოიცვალე ტანსაცმელი. მანდ, კუთხეში ჰკიდია... ამოირჩიე. წვერიც გაიპარსე: სამართებელი მანდ დევს პატარა მაგიდაზე... სარკის წინ.

— აი, ეს კი მართლა საკიროა... ქუთაისში მუშა უფრო საეჭვოა და იშვიათი. ფოთში კი ინტელიგენტი. სწორეთ ამისთვის გამოგვიარე, თორემ ძალიან სასწრაფო საქმე მაქვს.

ამ სიტყვებით არჩილმა კუთხეში კედელზე ჩამოკიდებული ტანსაცმელები გასინჯა. ერთი ხალათი და შალვარი ჩამოხსნა.

— ხომ არ დაგჭირდება... შეიძლება?

— რატომ მკითხაე? რომელიც გინდა ჩაიცვი... მე სულ სახლში ვარ... საწერი მაქვს სასწრაფო.

არჩილმა ჯერ პირსაბანზე ხელპირი კარგა დაიბანა. ქუქკი მოიშორა

მერე ტანსაცმელის გამოცვლას შეუდგა. ამასობაში შალვაც წამოდგა და ტანთ ჩაცმა დაიწყო.

— უნდა გამოგიტყდე, ძალიან ძნელია არალეგალური მუშაობები... პირობები პირდაპირ საშინელია, აუტანელი. არ მეგონა, რომ შეგეწვოდო... ისე იდეალური ყოფილა ეს მდგომარეობა როგორც წარმოდგენილი მქონდა. — ლაპარაკობდა არჩილი და კუთხეში მიმდგარი რკინისგზელის ძველ ტანსამოსს იხდიდა.

— მართლა, რას ფიქრობ, ბიჭო, უნივერსიტეტისას?... წელსაც არ აპირობ წამოსვლას? — ჰკითხა შალვამ.

— ჯერ ვერ გადამიწყვეტია. ბევრი საქმე მაქვს. არ ვიცი, თავს როგორ დავაღწევ... მეორე მხრივ, აქ რომ დავრჩე, ისე მდევენ, რომ უთუოდ ჩავარდები... რა ვქნა, არ ვიცი... გზის ფულიც კი ვერ მომიმარაგებია... დედაჩემს კიდევ ჩემი სწავლის არაფერი არ სჯერა... საქმე ვერ მაქვს კარგად.

— ფულის ჯავრი ნუ გაქვს: ერთად ვიქნებით და იოლად წავალთ. შენ ოღონდ მოშორდი მაგ შენ პარტიულ რეზიდენციას. სხვა რომ არა იყოს, მაღარია დაგახრჩობს, ჩემო ძმაო... მერე შენთვის სულ ერთი არ არის, სად იმუშავენ: სამშობლო ხომ არ გწამს, და პროლეტარიატი რუსი იქნება თუ ქართველი, რა გარჩევა აქვს?

— დიალა, ჩემო შალვა.

— მაშ, მეტი რაღა გინდა?... წამოდი. აი, ცაცამაც გადასწვიტა წამოსვლა. ჭკუას შერება. მამამისმა ბანკში მამული დააგირავე. კარგა ბლომად აიღო. ცაცას ორმოცდაათი მანეთი დაპირდენ თვეში.

— ჰო-ჰო. კარგად ჰქონია საქმე...

— თუმც ამ ბოლო დროს ძალიან არეულია... ჯერ მაგ თქვენს პარტიას იყო გადაყოლილი... ჰმ.. იქნება, შენი ხათრისათვის. ახლა კიდევ მუსიკაზე ოცნებობს და სხვა ყველაფერი ეჯავრება. წუხელ მაინც გაიხსენა ძველებური და კამათში გაება: ბევრი ახსენა თქვენი წმიდანები: მარქსი, ენგელსი, ბებელი, კაუტსკი... რას მიქვიან თქვენი საქართველოო, ავტონომიაო. ამას წინად რომ ჩემი წერილები იბეჭდებოდა ეროვნულ კითხვაზე, თავზე გადამახია. მისი ტემპერამენტის ამბავი ხომ იცი... თქვენი პარტიის მოწამლულია... ჰეე, ჩემო არჩილ, სწორე გითხრა, რომ ვაკვირდები, თანდათან ვრწმუნდები, რომ ძალიან რყენით ახალგაზრდობას.

— ჰერიჰეა... მერე... მერე... ილაპარაკე. გისშენ, სანამ წვერს მოვიპარსავდე... გადაცმული არჩილი, ახლა სარკის წინ დაჯდა და სამართებელი მოიმარჯვა.

— არ შეგრჩებათ, იცოდე, აი... ნეტავი, ახლა შენც თუ იზიარებ პარტიულ ნიგილიზმს ეროვნულ საკითხში? — გამოცვლილ კილოზე, სერიოზულად შეეკითხა მას შალვა და უკვე ჩაცმული თავზე წამოადგა. სარკეში შეხედა. მეგობრების თვალები ერთდროულად შეხვდენ ერთმანეთს.

არჩილს გაეცინა.

— რას იცინი. მე სურიოზულად გეკითხები.

— ხომ იცი, შალვა, რაც გვაცალკევებდა თავიდან: შენი პლატფორმა მუდამ ნაციონალიზმი იყო, ჩემი კი—კლასთა ბრძოლა. როგორც შენ არ გილათნია შენი პრინციპებისთვის, ისე არც მე—ჩემისათვის.

— კი, მაგრამ ჩემი პლატფორმა არასოდეს არ ყოფილა მანტისაბლიზმი. — თითქოს გაუბედავად გაიკვირვა შალვამ და სარკეს მოშორდა. მაგიდასთან მივიდა, ჩუმად ამოიოხრა და პაპიროს მოუკიდა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჩვენ, ძმაო, დაღუპულები ვართ!—ნაღვლიანი სიმწარით წარმოსთქვა ბოლოს შალვამ, ჯიბეში ჩაიწყო ხელები და გაიარ-გამოიარა.

არჩილი გაუჩუმდა. მალულად შეავლო სარკიდან თვალები. ტანჯვა შენიშნა სახეზე, უცები ნერვიული აცახცახება.

— კი, მაგრამ აკი ანარქო-სინდიკალიზმისკენ იხრებოდი, შალვა. ამდენს რომ არ გაინტერესებდა ეროვნული პრობლემა?—შემპარავი სილბილით შეეკითხა სიჩუმის შემდეგ არჩილი. — მართალი ვითხრა, სოციალისტისთვის ეს არც ისე მთავარი საგანია.

ახლა შალვა გაუჩუმდა არჩილს. ხოლო მცირე ხნის შემდეგ ოდეკალონის შუშა აიღო მაგიდაზე. მიუტანა არჩილს და უხმოდ წინ დაუდგა.

— ანარქო-სინდიკალიზმი... ანარქო-სინდიკალიზმი... ორჯერ ჩაილაპარაკა მან თითქოს თავისთვის დიდმნიშვნელოვანად და ისევ გაისეირნა ოთახში.

მერე უცებ შესდგა არჩილთან სახე შეფითრებული, თეატრალური პოზის დაგვარად გაუჩერდა წინ და მარჯვენა ხელი მაღლა აშართა საჩვენებელი თითის გაშვებით.

— ჩვენი საქმე იქ... იქ, ბიოლოგიურ სათავეში, არის წაგებული... — სთქვა პატეტურად, მაგრამ გულის სიღრმით, და, სანამ არჩილი თავს ასწევდა და შეხედავდა, მოწყდომით ოთახიდან გავიდა.

„რა, გაუსწორებელი მეტაფიზიკოსია, — ნეტავი რა მოუვიდა?“ გაიფიქრა არჩილმა. ცოტა არ იყოს შეაფეთა შალვას მოულოდნელმა ტრაგიულმა ტონმა. მაგრამ ისევ განაგრძო თავისი საქმე: საჩქაროდ მოათავა წვერის პარსვა. სახეზე ოდეკალონი შეივლო, პუდრი შეიფრქვია. თმა დაივარცხნა. შელამაზდა.

სარკის წინ დადგა. მთელ ტანზე მოივლო თვალები. — მაღალი იყო. კარგად სხმული. სწორი სუფთა სახე ჰქონდა, ქერა, კეთილშობილური. ლაქვარდით ღრმა და მომწვანო თვალები.

შალვას საყელო და სახელოებ-მოქარგული ხალათი შვენოდა.

სულ არ ჰგავდა ფოთელ არჩილს.

— იქნება, ეს გირჩევნია? — ჰკითხა თავის ორეულს სარკეში და თვალების დაპატარავებით დააცქერდა.

მაგრამ უცებ არ მოეწონა საქციელი. სერიოზული სახე მიიღო და სარკეს მოშორდა.

ის-იყო არჩილი თავის ტუალეტს მორჩა, რომ მოულოდნელად ფართოდ გაიღო შემოსავალი კარი და ოთახში ცაცა შემოფრინდა განასროლი ისარვიით. თითქოს დაერჭო არჩილის წინ, ისე შესდგა და შეხედა.

ბორანი აირჩია. მოტრიალდა და რაძაძის სახლის წინა ფანჯარას გაჰყვა აჩქარებით.

ის-იყო გასცილდა სახლს, რომ უკანასკნელი ფანჯარა ჩანდა მისი გვირგვინი და დარბები კედელს აქეთ-იქით ისე შეეხეთქენ, რომ არჩილმა მსხვერპლურად მოიხედა.

ფანჯარაზე ცაცა გადმომდგარიყო ცეცხლის ალივით და აფეთქებული უმზერდა არჩილს.

შესდგა არჩილი. შეკუმვით შეხედა ცაცას.

„მართლა მიდიხარ?“

„ჰო, წადი, მე არ გაკავებ“...

„ნუ თუ ვერ გაიგე, რისთვის შემოგიწყერი.“

„დაბრუნდი“.

„არა გრცხვენია...“

„არა, წადი... სულ წადი, თუ შეგიძლია.“

ყველას ამას ერთდროულად გამოხატავდა ცაცას ანთებული ფიგურა.

„ნამდვილი არტისტია“, გაიფიქრა გულში არჩილმა. მაგრამ იგრძნო, რომ ცაცას ეს საქციელი მის გამარჯვებას მოასწავებდა და ახლა თვითონ გადავიდა შეტევაზე:— გაჯავრებული და შეურაცყოფილი სახე უჩვენა. ჯერ შერისხვით გაუსწორა თვალები და მერე დემონსტრატულად მიტრიალდა. თავისი გზა განაგრძო.

ბეჯითად გაიარა კარგა დიდი მანძილი, ვიდრე გადასახვევამდის, აქ კი მობრუნდა და ცაცასკენ გაიხედა.

წასული ეგონა.

მაგრამ ცაცა ისევ იმავე პოზაში იდგა ფანჯარასთან და ისევ თვალების მოუცილებლად უცქეროდა მას.

ცხადი იყო, იგი შერიგებას სთხოვდა არჩილს.

ვერ მოითმინა ახლა არჩილმა. გაუღიმა, თითქოს კირი მოჭამა შორიდან, და მისკენ გაჰქანდა შურდულივით.

ცაცას სახეზე ნახევრად დამცინავმა ღიმილმა გაიციალა. მაგრამ უმაღლე ისევ გამოეცვალა გამომეტყველება. ბავშვივით ენა გამოუყო არჩილს გასაჯავრებლად და მის თვალწინ ფანჯარა სწრაფად მიხტრა. მიიმალა.

კიდევ დამარცბდა არჩილი.

— დამაცა... გადაგიხდი.— დაემუქრა იგი ცაცას დარცხვენით და ბორანისკენ გაეშურა უკანმოუხედავად.

IX

რიონს გაღმა არჩილი ჯერ გეგუთის ქუჩაზე გავიდა.

რადაც მომლიმარი ეჩვენებოდა ქვეყანა და თვითონაც იღიმებოდა. გულში უხაროდა ცაცას „გამოთამაშება“ და იმაზე ფიქრობდა, რა სახით უნდა მომხდარიყო მასთან შერიგება. წინასწარ წარმოედგინა ყველა ხერხი, რომლისათვის უნდა მიემართა ამ თავნება ბავშვის გულის მოსაგებად.

„ფანჯარაზე რომ გადმოდგა, უთუოდ მოინანია ცული ^{შეხვედრა} — ფიქრობდა და ბავშვივით უხაროდა.

გულის სიღრმეში კი რაც ხინჯი ჰქონდა და ფარულ ^{მარქვინულ} ^{ქვეყნი} ^{თქცასადმი}, ამას ახლა აღარ გრძნობდა. სხვანაირად იყო განწყობილი.

გეგუთის ქუჩამაც გაუმხიარულა გუნება. ამ ქუჩასთან არა ერთი ნეტარი მოგონება ჰქონდა დაკავშირებული: მოწაფეობის უმეტესი ხანი მის მიდამოებში გაეტარებინა.

თითქოს მიესალმენ არჩილს ნაცნობი ადგილები: სახლები, ეზოები, ხეები, ქვებიც კი.

ნული ნაბიჯით მიდიოდა. თვითონაც ესალმებოდა გულში საყვარელ ქუჩას. აგონდებოდა ბავშობა. ყოველ კუთხეში იცქირებოდა. ყოველ წერილმანს აღნიშნავდა.

წინ პატარა არჩილი მიუძლოდა, ხან კოჭებით უბეავსებული, ხან რიკტაფელით შეიარაღებული. ლაქლაქა ლოყებიანი. ბედნიერი. ცელქი. ბავშობის ამბებს მოუთხრობდა.

— აი, ეს აქ იყო... ის კიდევ — იქ. იმ დიდ მინდორზე — ბურთი. ი იმ დიდ ეზოში — ოთურმა. აი, ამ დიდ სახლში კიდევ ჩვენ ვცხოვრობდით...

საკვირველია: ათვალეერებს არჩილი შენაზარდ ადგილებს და მინდორიც პატარა ეჩვენება ახლა და ეზოც... „დიდი“ სახლი კი სულ დაბალია, პატარა. მის სახურავს კაცი ხელითაც კი აწვდება.

რა უცნაურია!

რა მოხდა? რატომ არის ასე?

ის მოხდა, რომ არჩილი გაიზარდა... ახლა არჩილია სამაგიეროდ დიდი...

რა კარგია!

საუცხოვოა!

მაგრამ აქ მცირეთ შეფიქრდება არჩილი. აზრი აუმუშავდება.

„სად მიდის, სად იკარგება ეს დრო? რა აზრი აქვს ყოველსავე ამას“?

შესდგება. ფიქრები მოიტაცებენ.

თავის თავზე ფიქრობს. თავის რაობაზე.

მის აზრებს უმაწვილური სითამამე დაჰკრავს. შორს მიდიან ისინი, ბუნდოვან არეში.

გეგუთის ქუჩა მაინც თვალწინ გადაშლია. მის აფრენილ აზრებს აღევნებია. თავისკენ ეწევა, უღარდელ ბავშობისკენ ახედვინებს.

ერთი გული მისკენ მიუბჰურია არჩილს. ვერ ეშვება. მეორე კი — მომავლისკენ.

— რაც იყო, ხომ იყო. ამიერიდან კი რა უნდა იქნეს არჩილი?

სერიოზული სახე გაუკეთდება.

— რა უნდა იქნეს არჩილი?..

რაღაც უძნელდება პასუხის გაცემა.

რამდენჯერმე გაიმეორებს ამ კითხვას, მაგრამ გარკვეულ პასუხს მაინც ვერ იძლევა.

ნუ თუ, მართლა, არა აქვს გარკვეული მომავალი?

გაუკვირდება: თითქოს არ იყო ასე, თითქოს ყოველთვის იცოდა, რაც უნდა ყოფილიყო. ძალიან მოფიქრებული ჰქონდა მომავალი. *ეჭიჭიღუღუღილილიც-ახლა კი ერთ აზრზე ვერ დამდგარა...*

მხოლოდ ერთი რამ არის მისთვის ცხადი: იგი არ უნდა იყოს ის, რაც ამ უამად არის, არამედ გაცილებით უფრო დიდი. რაღაც სხვა.

ეს ცხადია.

მაგრამ... სახელდობრ რა?..

ამას კი ვერ არკვევს.

ახლა კიდევ სხვა მხრით მიუდგება საკითხს:

ის დიდი, ის რაღაც სხვა, სად უნდა იყოს? რომელ არეში?

იქნება, აქედან სჯობია დაიწყოს, „სად“-იდან, რომ მომავალ სახეს მიაკვლიოს.

ამ „სად“ ზე წინად სულაც არ უფიქრნია.

— მართლაც:—სად?

ფოთში? ქუთაისში?

დახუჭავს თვალებს. წარმოიდგენს.

არა, ეს „სად“ მის შეგნებას შემოხაზული არ აქვს.

ამ მიმართულებით არჩილის ფიქრები ხან სად იკარგებიან, ხან კიდევ—სად: ძალიან შორს. ძალიან ახლოს. დასაყრდნობი კი ვერ უპოვნიათ.

შეწუხდება.

გუნება შეეცვლება. უნებლიედ უმწეობის მაგვარ რაღაცას იგრძნობს.

ვის გაუგონია: სოციალისტი, რევოლუციონერი, მარქსისტი და ასეთი რამ ამბავი?!

თუ დაავიწყდა არჩილს, ვინც არის იგი?

რა თქმა უნდა, არა... ნამდვილად, კარგად იცის, რაც არის და რაც უნდა იქნეს...

ამ შემთხვევაში გადასცდა ცოტა...

მაგრამ აქ ანაზღეულად არჩილის თვალთახედვას კუთხური სახლის გვერდით, მის პირდაპირ, მიკრუნჩხული პატარა საბაულო მოიტაცებს. საბაულოს თაროიან სარკმელში ვარდისფერ შაქრისყინულს დაინახავს და დუქნის სიღრმეში კი—ნაცნობი ბაყალის, ბებერ დათიკას, სილუეტს.

გაუხარდება, რომ ეს სურათი მაწუხებელი ფიქრების დენას შეუწყვეტს.

მაგრამ უცბად რაღაც გააოცებს და, თითქოს სასწაული რამ მოჩვენებოდეს, ისე შეკვირვებით შაქრისყინულიან სარკმელს მზერას დაუწყებს.

ეს ხომ ის საბაულოა, რომელიც ათი წლის წინადაც იდგა აქ... სწორედ ასევე, როგორც ახლა სდგას. მოხუცი დათიკაც ხომ იგივეა... მაგრამ საკვირველებად ეს კი არ მოეჩვენება ახლა არჩილს.—მას იმ ვარდისფერი შაქრისყინულის ნატეხი გააოცებს, რომელიც სარკმლის მინიდან გამოსჰვივის:—ის ისე დევს თაროზე, რომ ოდნავადაც შეცვლილი არ არის.

ეს სწორედ ის ნატეხია, რომლის დანახვაზე პატარა არჩილს არა ერთხელ პირი ნერწყვით ავსებია.

არც მეტი, არც ნაკლები: სწორედ ის არის.

და არჩილში ბავშობის დროინდელი ნატვრა გაიღვიძებს. უცნაურად აენტეება. პირში ნერწყვი ჩაუდგება. თავადაც თითქოს დაპატარავდება. გაბავშდება. ამას წინად რომ მოგონებაში თავისი პატარობის სახე მიუხტოდა წინ ქუჩაში, სწორედ იმად გადაიქცევა, და ერთბაშად მოსწყდება თავის ადგილს. ქუჩას ხტუნვით გადასჭრის. საბაყლოსთან მიიბრუნს.

სარკმელთან შესდგება. შაქრის ყინულს შეხედავს. შეულიმებს.

მართლა, უცნაურია!

უნდა იყიდოს უთუოდ...

მაგრამ ამის გაფიქრებისთანავე შეეცვლება აზრი. სახეც გამოეცვლება. ზედ მისტიური, უცხო აზრის ანარეკლი ჩრდილად დააფრინდება. თვალებს დაიპატარავებს. სადღაც შორს გაიხედავს...

თითქოს აეკრძალოს ვისმე, შაქრისყინულის ყიდვას ვერ გაბედავს.

დათიკა ბაყალი შეამჩნევს არჩილს. კარზე გადმოდგება.

— მობრძანდი... რა გნებაეს?—ვაჭრულ კილოზე მიმართავს არჩილს. დუქანში შეიპატიეებს.

— გამარჯობა, დათიკა!.. ვერ მიცანი?

ბებერი ბაყალი დააკვირდება არჩილს. მერე ხელის გულს თვალეებზე ჩაშოიფარებს. ნაბიჯით უკან დაიხევს.—

მოიგონა. იცნო. გაუკვირდა.

მერე გაუხარდება. გაუცინებს. თავისებური ჩიფჩიფით მიუალერსებს:

როგორ გამოცვლილა, დავაეკაცებულა არჩილი! ეტყვის: ასეთი იყავიო, ხელით უჩვენებს ზომას, პატარა...

კიდევ შეხედავს. კიდევ გაიკვირვებს. თავს გააქნევს:

— საკვირველია: ადამიანი!—დაასრულებს დაფარული შელონებით და თვალებს ისე დაახამხამებს, თითქოს ლოცვის წარმოსათქმელად გამზადებულიყოს.

— როგორ გიკითხო, დათიკა? სულ არ გამოცვლილხარ... შენი დუქანიც ისეთივეა...

— ჩვენ აწი სიკვდილი თუ გამოგვცვლის... მეტი გზა აღარ გვაქვს...— მოსწრებით უპასუხებს მოხუცი და თვალებს შიგნით უაღრესად მშვიდსა და ხათუთ სევდას დაანახვებს არჩილს...

ახალი რამ ეცნაურება არჩილს დათიკას გამოხედვაში...

ეს სხვაა, ვიდრე ის, რასაც არჩილი განიცდიდა ამას წინად.

შეხედავს დათიკას. მისი თვალების სიღრმეში მიმაღულ სევდას დააკვირდება ფარულად.

უაღრესად ადამიანური განცდა ენიშნება არჩილს დათიკას სევდის სახით.

არა... უცნობი როდია ეს განცდა არჩილისათვისაც...

და იგი უნებლიედ დათიკას თვალეებით შეხედავს ამას წინად წარმოდგენილ თავისი პატარობის სახეს.

„საითკენ მივდივარ!!“—გაუფლვებს ახრში და იღუმალი შიშა შეიპყრობს იმ ცხოვრებისადმი, რომლის წარსულის ერთ ფურცელს ასე უღარდელად ათვალეებდა იგი თავის პაწია ორეულთან ერთად...

უკრძნუნუნუნუნ
გუნუნუნუნუნუნუნუნ

ასე გაიარა არჩილმა გეგუთის ქუჩა.

ახლა აღარ უღიმოდა იგი ქვეყანას. არც ქვეყანა ეჩვენებოდა მომლიმარი. გუნება შეცვლოდა.—

რალაც მძიმე ტვირთი აკიდებოდა. უსახო, უსახელო.

წინ პარტიული მოვალეობა ედვა. ორ აღგილას უნდა მისულიყო: საერთო პარტიულ საქმეებზე მოსალაპარაკებლად ამხანაგი ვასო უნდა ენახა, მერე კი ვასოსთან ერთად იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ბინაზე უნდა შესულიყო, ნიკოს მიერ ფოთში აღძრული საკითხის გამოსარკვევად.

საქმე საქმედ უნდა წამართულიყო.

შინაგანი სულიერი განწყობილება სხვა დროისთვის უნდა შემოენახა.

ამ სახით ამხანაგი ვასოს ბინის კარს მიაღწეა.

ვასოს მეტ სახელად ხან „ქუთაისის კომიტეტს“ ზ ხან კიდევ „დიდ ვასოს“ ეძახდნენ ქუთაისში.

ნამდვილად ის პატარა ტანის კაცი იყო, დაბალი, ვერცხლის-წყალისებრ მოძრავი. მაინც იშვიათი პიროვნება იყო: სრულიად დამსახურებული ჰქონდა „ქუთაისის კომიტეტის“ სახელწოდება. ლეგალურად ვასოს გარდა აღარავინ სცხოვრობდა ქუთაისში, და მთელი პარტიული მუშაობა მას დასწოლოდა ამ შავი რვაქციის თარეშის ხანაში. პირნათლადაც ასრულებდა თავის მოვალეობას.— საკვირველ ენერგიას იჩენდა და მოხერხებას.

არჩილს მასთან პირადი, მეგობრული განწყობილებაც ჰქონდა.

— რა ამბავია შენს ფოთში, არჩილ?—ჩვეულებრივი მისალმებით შეეგება ვასო არჩილს და ოთანში შეიყვანა.—კარგია, რომ ჯერ კიდევ არ დაუჭერიხართ... მობრძანდი.—მერე მოულოდნელად დაუდგა წინ, წარბებ ქვეშიდან ცქრიალა ჭრელი თვალებით ახედა ზ საყვედურიანი სერიოზულობით ჰკითხა:—

— ნიკო ფოთში დასტოვე?

არჩილს არ გაჰკვირვებია ვასოსაგან ასეთი შეკითხვის გაგონება. „ქუთაისის კომიტეტს“ იშვიათად თუ გამოეპარებოდა რომელიმე პარტიული საიდუმლოება.

— კი...—თავის დაქნევით უპასუხა არჩილმა.—რატომ ჰკითხა? არ უნდა დამეტოვებინა?—ჰკითხა მერე შიშდაკრულად თავის მხრივ.

— არავითარ შემთხვევაში—თითქოს შეუწყრა ვასო. მაგრამ მერე შეღბილებული გამოთქმით დაასრულა:—თუმცა ჩვენ საკმაოდ ძლიერი ვართ ფოთში... არაფერია.

— ამ მხრივ მე ნიკოს ფოთში ჩამოსვლა სულაც არ მაშინებს.—სთქვა ახლა თამამად არჩილმა.—მაგრამ მისი მიზანი სხვაა, ამხანაგო ვასო... და მეც სწორედ იმიტომ გამოვეშურე აქეთ, რომ როგორმე ხელი შეუშალო და...

— არ დაიჯერო. — გააწყვეტინა უცებ ვასომ სიტყვა არჩილს. — ვითომ მატარებელს უნდა დავხვდეთო და სხვა ასეთიო... არა?

— შენც გცოდნია... — გაიკვირვა არჩილმა და ეჭვით შეხედა ნინას.

— მე ისიც ვიცი, ამხანაგო არჩილ, რომ ეს ნიკოს კრინაძის ტექნიკური ტაქტიკა, მეთოდი, ასე ვსთქვათ, თორემ რა შვილია იგი ახლა მატარებელზე თავდასხმას გაბედავს!

— არაფერი მესმის... — გაიკვირვა არჩილმა.

— უნდა გითხრა, ჩემო არჩილ, რომ ნიკო ერთად ერთი კარგი ორგანიზატორია აქაურ ბოლშევიკებში. ამხანაგ ხერხს მიმართავს იგი ხშირად, როცა გარშემო ამხანაგების შემოკრება უნდა და ბოლშევიკური ორგანიზაციის მოწყობა. ეშმაკია: აქაო და ასეთი პარტიული, რევოლუციონური საქმე უნდა გაკეთდეს და ვინ ვარგხარ, მსურველი ვინ ხარო... გესმის? მსურველები უთუოდ გამოჩნდებიან. ნიკოც სამხადისს შეუდგება. ჩაიყოლიებს ერთს, მეორეს... მერე გაიხედავ და ორგანიზაციაც მზად აქვს...

— მე კი ეს არ ვიცოდი. — გაუხარდა არჩილს გავონილი. — მეშინოდა, ალიაქოთს დააყენებს ფოთში და ზედმეტ რეპრესიებს გამოაწვევინებს მეთქი, თორემ ამ ხერხით ჩვენთან რას გააწყობს. შეხედე: მე კი სერიოზულად მომცა წინადადება. ბევრიც შეკამათა. გამლანძლა კიდევაც... ჩვენი ზოგიერთი ბიჭების ამბავი ხომ იცი: მითხრეს, ორიოდღეს მართლა უფიქრნია დახმარების აღმოჩენა... გესმის?

— აი, აი...

— მაგრამ მე მაინც უნდა ვნახო აქ ზოგიერთი მისიანი... რომ დაბრუნებულმა კარგა შევარცხვინო... ნეტავი ვინ არიან ახლა აქ?.. შენც წამომყევი ვასო...

— მე და ბოლშევიკებთან? — გაიცინა ვასომ და ცოტა არ იყოს ამაყად მოიმართა არჩილის წინ. — რას მეუბნები, კაცო? ის კი არა, დასანახავად ვეზარებით. სულ მე მამბრალეებენ, რაც მაგათ აქ ორგანიზაცია შეუმოკლდათ... ისევ ის სჯობია, რომ შენ მარტო ინახულო... მე არც მცალია, წარმოიდგინე: ამდენი სამუშაოა და ხალხი კი აღარ არის... ამ უამად მხოლოდ ციხის გარშემო ვმუშაობ და ამასაც ველარ ვავწვდი.

— ბევრია დაპატიმრებული?

— ბევრი რომელია? ხომ იცი, ყველა კუთხიდან ხალხი აქ მოჰყავთ... ციხეში ტევა არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი კვირა ას-ასობით გზავნიან ჩრდილოეთსა და ციმბირში... დიდი უბედურება ტრიალებს. დახმარების საშუალება ძალიან ცოტაა... ციხიდან კი აქას ლა გვითვლიან: თბილი საცვალიო, ფულიო... პასპორტო და სხვა ასეთი... ხო, კაცო, თქვენ რას შვრებით ფულისას? ამდენ ხალხს საგზალი არ უნდა?

— ცოტა გამოვიგზავნეთ ამას წინად... ისე კი მაინცა-და-მაინც ძალას არ ვატანთ მუშებს. ხომ იცი: ისეთი დროა, გვეშინია, არ დაგვიფრთხენ.

— ასეც არ ვარგა, ამხანაგო! უწინარეს ყოვლისა, ჩვენ რევოლუციონერები ვართ! — ოფიციალურ ტონზე გადავიდა ვასო. — უნდა შეავნებინოთ დროს

მოთხოვნილება... გეცოდინება, რომ ეს საკითხი ამ უამად ყველაზე უფრო მწვავედ სდგას პარტიის წინაშე...

და ვასომ რამდენიმე პრაქტიკული რჩევა მისცა არჩილს, თუ როგორ მოეგვარებინა ფოთში დაპატიმრებული ამხანაგების დახმარების საჭმე-სმერე ნამდვილი პარტიული ხელმძღვანელის როლში ჩადგა და დირექტივებით განაგრძო ლაპარაკი.

— გარდა პარტიული ამხანაგებისა, ინტელიგენციაც უნდა ჩავრიოთ ამ საჭმეში... მთელი საზოგადოებაც, განურჩევლად მდგომარეობისა, მიმართულებისა. უნდა განემარტოს ყველას, რომ თითო-ოროლა ამხანაგს კი არ შეეხება ჯალათი მთავრობის მიერ წარმოებული რეპრესია... დამნაშავეს და უდანაშაულოს შორის გარჩევა არ არის!.. ამნაირად საკითხი ფართო აგიტაციისა და პროპაგანდის ცენტრად უნდა გადავაქციოთ. მასები უნდა ავამოძრაოთ!.. უსაქმო, ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, რომელიც დღეს უმიზნო ლაყბობაში ატარებს დროს და ნაციონალური შხამით სწამლავს ჰაერს, ამ ინტელიგენციასაც, — ვამბობ მე, — საჭმე უნდა გავუჩინოთ, მუშაობაში უნდა ჩავაბათ. მართალია, ცუდ, ძალიან ცუდ პირობებში იმყოფება დღეს პარტია, მაგრამ ერთგვარი მუშაობის წარმოება მაინც შეიძლება და სწორედ ამ საჭმის გარშემო ჩვენ შეგვიძლია დიდი საორგანიზაციო მუშაობა გავაჩალოთ... ჩვენ ვულაღატებთ პარტიას, თუ ამ გარემოებას არ გამოვიყენებთ და პარტიის რიგებს არ გავაძლიერებთ, მის გავლენას არ გავაფართოვებთ...

ვასო როლში შედიოდა. ფანატიური გადაწყვეტილებით ლაპარაკობდა. ანთებით. ცალი ხელი შალვრის ჯიბეში ედვა. ცალით კი არგუმენტაციის მაგვარ რალაცას ხაზავდა ჰაერში ხან წრის შემოვლებით, ხან კიდევ უროდ მოქნეული მუშტის სახით.

ეს პატარა, დაბალი კაცი ახლა ისე სჩანდა, თითქოს არჩილზე უფრო მაღალი და ახოვანი ყოფილიყო.

— რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა... — უდასტურებდა მას ყოველ წინადადებას არჩილი და, ცოტა არ იყოს, ძალდატანებული ალტაცებით შესცქეროდა. თან ფიქრობდა: „აი, თურმე რატომ ვეძახით ამ პატარა კაცს „დიდ ვასოსო““.

პარტიული ტირადა რომ დაამთავრა, ვასომ ისევ ჩვეულებრივი სახე მიიღო. მერე მცირე ხნით სიჩუმე ჩამოაგდო. ეტყობოდა, კმაყოფილი იყო თავისი თავით.

— ჰე... რა ხალხი ხართ ეს ინტელიგენცია! — ნალელიანად ამოიოხრა ბოლოს, — ტყუილად კი არ ამბობენ, სანდონი არ არიანო!

— ხე-ხე-ხე... — ცალი ყბით ჩაიციხა ამაზე არჩილმა გარეგნული თავაზიანობით.

— არ გჯერა? — ჰკითხა უცებ მას ვასომ. მერე მოტრიალდა და მაგიდაზე პატარა წიგნაკი აიღო, არჩილს გაუწოდა.

— აი, საბუთი!

არჩილმა წიგნაკი ჩამოართვა.

„სოციალიზმი და ეროვნება“, ეწერა წიგნს. ავტორი ცნობილი მწერალი იყო, სოციალ-დემოკრატი.

— წაკითხული გექნება.

— არა... წარმოიდგინე, პირველად ვხედავ.

— წაკითხე... სამარცხეინო ამბავია... ამის ავტორი მარქსისტი ვარო ვაიდახის!

— ცოტა გადახრა ყოველთვის ემჩნეოდა.

— გადახრა რომელია, კაცო... პირწავარდნილი ნაციონალისტია! ასე იცის რეაქციამ: მერყევ ელემენტებს პარტიიდან ერეკება...

— სამწუხაროა სწორედ... უთუოდ წავიკითხავ... თუ ძმა ხარ, ვასო, გამომიგზავნე ხოლმე ყოველთვის ახალი ლიტერატურა.

— ეს რა ლიტერატურაა, ჩემო არჩილ!.. ნამდვილი შემონახული მაქვს შენთვის... თუ გინდა გადმოგცემ.

— წასვლის წინ შემოვივლი, სჯობია.

— როგორც გინდა... ბინად სად ხარ? ალბად ისევ იმ შენს მეგობართან?

— შალვა რამაძესთან... — დაუმტკიცა არჩილმა რაღაც ძალაუნებური დარცხვენით.

— ხო, მართლა, უნდა მეკითხნა შენთვის: კაცო, ცაცა რამაძის ქალი ჩვენგან ხომ არ წასულა? — შეეკითხა მოულოდნელად ვასო და ცბიერად გადახედა არჩილს.

გაუკვირდა არჩილს, არ მოელოდა ასეთ შეკითხვას. კითხვის ნიშნის გამოსახვით შეხედა ამხანაგს და იგრძნო, რომ სახეზე წამოწითლდა.

— ხო, რას გაწითლდი?... შენი მეგობარი ქალის, ცაცას შესახებ გეკითხები. ძალიან გვეხმარებოდა წინად: ფულიც კარგა მოჰქონდა ციხისათვის, საცვალისც... ხომ იცი, რა მოხერხებულები არიან ასეთ საქმეში ქალები... ის კიდევ განსაკუთრებულ ენერჯიას იჩენდა... ახლა კი, ერთი ხანია, რაც თვალთ არ დამინახავს. მის ბიძაშვილს ხომ არ გადაუბირებია, თუ იცი, ფედერალისტი რომ არის, თუ ანარქისტი... ისიც შენი მეგობარია.

— ამის შესახებ ცნობა არა, მაქვს. — მოჭრით უპასუხა არჩილმა ვასოს და თვალები აარიდა, — თუმცა არა მგონია... რომ ასეთი რამ მომხდარიყოს... — ალბად, ამ ზაფხულს აქ არ იყო...

— რომ ნახო, უთხარი, ამხანაგი ვასო უკმაყოფილოა თქო.

— უთუოდ გადავცემ.

მერე ისევ პარტიულ საკითხებს დაუბრუნდნენ. კარგა ხანს ისაუბრეს. ვასომ ბევრი ახალი ამბავი გადასცა არჩილს. აცნობა, თუ სად იმყოფებოდნენ ცნობილი ამხანაგები, რას აკეთებდნენ, თუ როგორი განწყობილება არსებობდა პარტიაში მომავალი მეორე სათათბიროსადმი. უახლოესი პერსპექტივები დაუსახა:

— მოსალოდნელია, ეს მეორე სათათბირო დამფუძნებელ კრებად გადაიქცეს. დიდი შზადებაა საჭირო. რევოლიუცია აუცილებელია რუსეთის სინამდვილეში. მისი მესაჭეც ჩვენ უნდა ვიქნეთ, რევოლიუციონური პროლეტარიატის პარტია! — დაასრულა ვასომ დიდი პათოსით.

X



ეროვნული
გეგმვის

ვასოსაგან არჩილი მესხეთის ქუჩით წამოვიდა.
დაღლილად გრძნობდა თავს.
ქუჩაში უფრო იგრძნო, თუ რა დიდი ლოდინით აწვა ეს პატარა ტანის
ამხანაგი ოთახში.

— იქნება, ფოთში მეც ასეთი ვარ: დიდი...— გაიფიქრა საკუთარი თავი-
სადმი მიმართული ირონიით.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის დიდ პატრიოტად მოჰქონდა თავი, ვა-
სოსებური ფანატიზმი მისთვის მაინც უცხო რამ იყო.

არჩილი პარტიასთან უფრო ფსიქოლოგიურად იყო დაკავშირებული, გან-
ცდებით.—იგი გიმნაზიაშივე პარტიის გავლენის წრეში მოჰყვა.—ეს ის დრო
იყო, როცა საქართველოში სოციალ-დემოკრატიის იდეური გეგმონია მყა-
რდებოდა.

არჩილის თაობის დიდი ნაწილის გზა ასეთი იყო: ჯერ მარქსისტული წრე-
რევოლიუციონური იდეების პირველი მაგია. არალეგალური ხალხის გაცნობა. აკრ-
ძალული ლიტერატურის ჯადო. მერე თანდათან პრაქტიკულ მუშაობაზე გადას-
ვლა. გატაცება. შემდეგ რევოლიუცია. ბრძოლა.

არჩილიც თავიდანვე ამ რკალში იყო მოქცეული.

როგორც წინად, პირველი გატაცების წლებში, მას ახლაც სწამდა, რომ
დიდსა და აუცილებელ საქმეს აკეთებდა, და რომ ეს მისი მოვალეობა იყო.

იმის შეგნება, რომ დიდი მსხვერპლი ჰქონდა გაღებული რევოლიუციისა-
თვის და ახლაც ერთხელ აღებულ გეზს არ დალატობდა, მორალურ კმაყოფი-
ლებას ანიჭებდა, საკუთარ თავს აწონებდა.

ხოლო ის, რაც ამ დილას, ვასოს ნახვამდის, გეგუთის ქუჩაზე განიცადა,
ახლა მესხეთის ქუჩით მიმავალს, უმნიშვნელო აფეთქებათ ეჩვენებოდა, ფანტა-
ზიათ. ამისთანა გაოჩების მაგვარი რამ არა ერთხელ დამართნია. მაგრამ ეს
მისი შეგნებისა და ნების გარეშე მომხდარა, რაღაც თავისთავად, უჩინრად, და
კვალი არ დაუტოვებია.

თუმცა ამ გარემოებაში ერთი რამ კი არის მაინც საყურადღებო: არჩილს
ამ მოვლენაზე დაფიქრების დროს ყოველთვის ენიშნება ხოლმე, რომ ის არ
არის ისეთი, როგორც ნამდვილად უნდა იყოს, ან თვითონ მას უნდა იყოს, რ
რომ მისდა უნებურად ხანდახან თავის თავს დალატობს.

მაგრამ, ეს მისი ახირებული ხასიათის ერთი გამოცხადებათაგანია, და ხელს
არ უშლის არჩილს იმუშაოს ისე, როგორც მუშაობდა და მუშაობს.

ვასოს წყალობით მას ახლა ერთი დიდი ტვირთი გულიდან ჰქონდა გადა-
გდებული: ეს იყო ნიკოს ამბავი.

თუმცა მესხეთის ქუჩით იმიტომ წავიდა, რომ ნაცნობი ბოლშევიკები მო-
ენახულებია (იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი სწორედ ამ ქუჩაზე იმყოფებოდა),
მაგრამ გზა-და-გზა გადაიფიქრა: ვასოს განმარტების შემდეგ საჭიროდ აღარ
დაინახა ნიკოს ფოთში ჩასვლის მიზნის შესახებ მოლაპარაკება გაემართა. მაინცა

და-მაინც იმისი იმედიც არ ჰქონდა, რომ კომიტეტის ბინაზე უთუოდ ნაცნობ ამხანაგს შეხვდებოდა.

ნიკოს ამბავი ახლა აღარ აწუხებდა არჩილს. ეს გარემოება ~~არაა~~ დალიან.—გარდა იმისა, რომ ფოთის ორგანიზაციას განსაცდლები ~~არა~~ არჩილსაც საშუალება ეძლეოდა ქუთაისში რამდენიმე დღე დარჩენილიყო: ფოთი აღარ საჭიროებდა ახლა მის სასწრაფო დაბრუნებას. ანდროს კი ერასტოც კარგად უპატრონებდა მის ჩასვლამდე.

ქუთაისში დარჩენა აუცილებელი იყო არჩილისთვის: ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გამოერკვია ცაცასთან დამოკიდებულება და რომელსამე ერთ გზაზე დამდგარიყო.

არჩილს ახლა უმთავრესად ცაცა აწუხებდა.

რაც ამ დილის აქეთ გაიგო მის შესახებ ჯერ შალვასაგან, მერე კიდევ ვასოსაგანაც, რის მოწამეც თვითონაც გახდა ამ დილას, ყოველივე ეს თანდათან არწმუნებდა არჩილს, რომ ცაცაში რაღაცა დიდი ცვლილება იყო მომხდარი.

ამდილანდელი არჩილის გახარება ცაცას საქციელით უთუოდ უსაფუძვლო იყო: რატომ ჰგონია მაინცადამაინც, რომ ცაცა მასთან შერიგების მიზნით გადმოდგა ფანჯარაზე?.. იქნება, პირიქით, ცაცა ამ სახით გამოეთხოვა მას...

ახლა ეს უფრო შესაძლებლად მიაჩნია არჩილს...

გულზე ათასი იქვი დაუკაკუნებს.

უცნაური რამ სჭირდა არჩილს: ცაცაზე დიდხანს ისე ვერ იფიქრებდა, რომ აზრი რამდენჯერმე არ შეცვლოდა.

დროთ რომ გულუბრყვილო ბავშად წარმოიდგენდა, დროთ ბოროტებით აღსავსე ქალად ეჩვენებოდა.—ერთ აზრზე ვერ დგებოდა.

გულში ყოველთვის რაღაც იდუმალ შიშს განიცდიდა მისადმი, არ ენდობოდა და არასოდეს არ იყო სრულიად დარწმუნებული, რომ ცაცას იგი გულწრფელად უყვარდა.—იქვიანობდა.

თვითონაც რაღაც არეულად განიცდიდა სიყვარულს.—ერთ წამში უყვარდა, მეორეში—არა.

ახლაც ასეთი რამ სჭირდა.

—ჰე, რას გადავეკიდე!—გაიფიქრა ბოლოს თავმობერებულმა.—სჯობია, ერთხელ და სამუდამოდ თავი დაეანებო.

მაგრამ ამ აზრს იქით კიდევ იმასაც გრძნობდა, რომ მისი ფიქრები სიყრმიდანვე ცაცას სახეს შეხორცებოდნენ და რომ მისდამი სიყვარულს ვერასოდეს ვერ დასთმობდა.

თეთრ ხიდზე რომ გადმოვიდა, გულმა არ უქნა გიმნაზიისათვის არ შეეხებოდა და ქუთაისის ბულვრისკენ არ შეეხვია.

გულში იმის იმედიც ჰქონდა, რომ ამ მხარეს, შესაძლებელია, ცაცასაც სადმე შეხვედროდა.

„საინტერესოა ვისთან იქნება“,—ჩაითქვა გულში.

გიმნაზიის ახალ შენობის წინ ნაბიჯი შეანელა. გულდათუთქულად შეხებდა

იმ კუთხეს, სადაც უკანასკნელი, მერვე კლასი იყო მოთავსებული. მეგობრების სახეების მთელი თაიგული წარმოუდგა თვალწინ. ათიოდე დაუვიწყარი სახელი და გვარი გულზე დაეწერა.

„სად არიან? რას აკეთებენ?“

მხოლოდ ორიოდ მეგობრის ამბავი თუ იცის არჩილმა. დანარჩენები კი დაეკარგენ მხედველობის არედან... მიმოიფანტენ.

„კარგი დრო იყო“...

არჩილს ისეთივე სევდიანი გრძნობა დაუპირებს გულზე დაწოლას, რომელიც ამ დილას, გეგუთის ქუჩაზე დათიკა ბაყალის წყალობით უნებლიედ განიცადა:—

კიდევ ერთი სახე ცხოვრების უცნაურებისა... კიდევ მისტიური მოლანდება იმისა, რაც გონებისაგან დაფარულია, მაგრამ მით უფრო დამაფიქრებელი...

მაგრამ არჩილი ახლა გადაჭრილად წინააღმდეგია ასეთი რამისა.—თავიდან იშორებს მას.

დიდებულ ჭადარსაც არ ნახავს გიმნაზიის ეზოში.—კარგია, რომ მას ამ ქუჩის მხრით შენობა მიფარებია. არჩილი გივანტი ხის ცად შეზნექილ ერთი ტოტის მედიდურ გაშლილობას ლა მოჰკრავს თვალს.

ნაბიჯს აუჩქარებს და გაივლის.

მაინც ენიშნება შორეულ აზრად, თითქოს ჭადარს დაედევნებოს:

„სიმბოლო ჩვენი გარდაუვალობისა“... და ბებერი ჭადრის იშვიათი გამძლეობა ერთხელ კიდევ იღუმალ შეაკვირებს.

მაგრამ ეს თქმა ხომ მისი არ არის... სხვისგან გაუგონია... და ახლა ასოციაციით მოაგონდა...

გაახსენდება: იგი შალვა რამაძეს ეკუთვნის.

გაიღიმებს არჩილი:

— მაშ, ვასო ხომ არ იტყოდა!?!.. უთუოდ უცნაურია ეს შალვა; რაებს ჩაკირკიტებს, სად რას დაეძებს! მისტიკოსია. სპირიტუალისტი... ჭადარი—ჭადარია. მორჩა და გათავდა... მეტი რა უნდა იყოს?

ასე გაივლის გიმნაზიის ქუჩას.

ბულვარს რომ დაუახლოვდა, გზას მოშორებით დაიჭერს: მთავარ ანგელოზის საყდრის ქვაფენილს აჰყვება.

თან ბულვარის ხეივნებისკენ გაიციქრება.

შუა ხეივნის ერთ კუთხეში, კიოსკის მხრით, ახალგაზრდების ერთ ჯგუფს მოჰკრავს თვალს. თითქმის ყველას იცნობს: ქალებსაც, ვაჟებსაც. გული ვერ მოუთმენს. გადაწყვეტს მათთან მისვლას.

კმარა, რაც ფოთის ბუნაგისაგან ხავსი აქვს მოკიდებული. გაერთობა.

ის-არის ქუჩა უნდა გადაჭრას, რომ ნაცნობთა ჯგუფიდან ცოტა დაშორებით, განმარტოვებულ სკამზე მჯდარ ქალ-ვაჟს შენიშნავს.

ქალსაც იცნობს და ვაჟსაც.

შესდგება. უკან დაიხევს.

იგრძნობს, რომ ფერი შეეცვალა.

ცაცას რალაც წიგნები ედვა მუხლებზე და პირი არჩილისკენ ჰქინდა მო-
ბრუნებული. წითელი ყვავილი ჩვეულებისამებრ მკერდს უმშვენებდა. არჩილმა
შეხედვისთანავე შენიშნა, რომ მას კეკლუცად ეჭირა თავი და გულმთმელ საუბა-
რში იყო გართული.

არჩილი ამ სცენას უთუოდ არ მიაქცევდა ყურადღებას, რომ ცაცას სახეს
არ შეეოცებინა.

დააკვირდება.

მისი თვალები გამადიდებელი აპარატივით მოიზიდავენ ცაცას სახეს.

ჰო, სწორეა.

განა არჩილი არ იცნობს ცაცას?

რომც არ დაინახა, უნდა ეგულისხმა, რომ ცაცა უთუოდ ასეთი იქნებოდა
ლევან პატაშვილთან!

არჩილმა კარგად იცის, თუ როდის და ვისთან აჩენს ცაცა ასეთ სახეს!

რა საძაგლობაა!..

ლევან პატაშვილი...

უცებ ყვითელ ფერად მოელანდება არჩილს გარემო. ძარღვებში სისხლი
აუჩქროლდება და აკივლებული გულის ტკივილი ყურთან დაუწივლებს...

ასე გაივლის რამდენიმე წამი.

მაგრამ მალე ისევ გამოიცივლება არჩილი. აღელვებას მოერევა. გრძნობას
დაიმორჩილებს.

გამოერკვევა.

— რა იყო? რა მოხდა? — შეუწყრება თავის თავს, მიმოიხედავს.

მერე მოულოდნელად სახეზე უცნაურ ლიმილს მკვდრის ფერად აიფრენს
და ჩქარი ნაბიჯით ქვაფენილს გაჰყვება.

თითქოს ბულვარისკენ არც გაეხედოს და ცაცასთვის თვალიც არ მოეკრას...

მხოლოდ შეღამებისას გამოცხადდა არჩილი ბალახვის ქუჩაზე, შალვას
სახლთან.

თითქოს მოიპარებოდა, ისე მოდიოდა. ინერციით. თავისდაუნებურად.

შალვას ოთახი უკვე განათებული იყო. არჩილმა ქუჩიდან დაინახა, რომ
შალვა საწერ მაგიდას უჯდა და მაცადინობდა. — სხვა ფანჯრებში კი ბნელოდა.
მყუდროება იყო. სიჩუმე.

„აღბად, შინ არ არიან“, — გაიფიქრა არჩილმა და გვერდის პატარა კარით
ბაღში შევიდა.

გაიხედ-გამოიხედა: ბაღშიც არაფერი არ სჩანდა.

ქანდრებისკენ გაემართა.

აქ გრილოდა. რიონის სიო ბიბინებდა. ოდნავ ირხეოდენ ქადრის ტოტები
და რიონის შხუილთან შეთანხმებით გულჩათხრობილად შრიალებდენ.

არჩილმა ბაღის ყველაზე უფრო ბნელ და მივარდნილ კუთხეს მიაშურა.
აქ პატარა ფანჯატური ეგულებოდა და ზურგიანი გრძელი სკამები რიონის გა-
დასახედზე.

დასვენება უნდოდა. განმარტოება.

ფანჯარის წინ, ბზის ბუჩქებთან, სკამზე ვილაცის ლანდი შენიშნა.

შეფეთდა. ის-იყო, უნდა მოტრიალებულიყო, რომ მოულოდნელად ნაცნობ-
მა ხმამ შეაყენა.

— მშიშარა!

თითქოს ხაფანგში გაბმულიყო, ისე იმოქმედა ბალის ამ ბნელ კუთხეში არჩილზე ცაცას ხმამ.

მაინც გადასწყვიტა ამ ადგილს მოშორებოდა.—რა უნდა ელაპარაკა ახლა ცაცასთან? არ იცოდა, თავიც როგორ დაეჭირა მასთან.

— ნუ გეშინიათ... არავინ შეგკამათ.—წამთამამებელ კილოზე განაგრძო ცაცამ, როცა არჩილს შეყოყმანება შეემჩნია.

— უკაცრავად... უნებლიეთ ხელი შევიშალეთ... მაგრამ არ მინდოდა, შალვა მომეცდინა და ბაღში ამიტომ შემოველ.—უპასუხა არჩილმა გადამეტებულ იოფიციანობით და უკან დაიხია.

— უკაცრავად... არც მე ვარ უსაქმო.

— მე არ ვიცი, თქვენ აქ რას აკეთებთ.

გაეცინა ცაცას, მაგრამ ოდნავ. რაღაც ჩუმად.

მცირე პაუზა ჩამოვარდა.

— მე აქ „რანდეუზე“ ვარ, ბატონო არჩილ!—ხმალივით მოუქნია მერე ცაცამ სიტყვა არჩილს და კიდევ გაიცინა. ახლა უფრო მალლა. ორაზროვნულად.

იგრძნო არჩილმა, რომ უკან დახვევა გვიან იყო. რაკი ერთხელ ხმა გასცა, უნდა განეგრძო და ცაცას გამოწვევა მიეღო.

და თითქოს ხმაღზე ხმალი აეკრას, ისე დამცინავად უპასუხა:

— საინტერესოა ვინ არის ის ბედნიერი, რომელსაც თქვენ აქ მოეღიბათ!

— თქვენ ეს ძალიან გაინტერესებთ?

— არა... ისე. პასუხისათვის ნუ შესწუხდებით: უკან მიმაქვს ჩემი სიტყვა.

— მე მაინც გეტყვით: არჩილ დადიანი.

თითქოს დაიქრა არჩილი, მაგრამ არ შეუმჩნევენიებია.

— მე არც მიფიქრია თქვენთვის აქ რანდეუ შედგენილი. ღმერთმა დამიფაროს.

— სამაგიეროდ მე დავნიშნე და, როგორც ხედავთ, თქვენც იკადრეთ მოსვლა.

— ჰე, ნეტავი თქვენ, რომ კარგ გუნებაზე ხართ.

— რად უნდა ვიყო ცუდზე?

მცირე პაუზა.

— სადილად რად არ მობრძანდით? მოგელოდენ. შალვა მე წამეჩხუბა, შენი ბრალია.

— თქვენ რა შუაში ხართ?.. სხვაგან შევრჩი...

— ვიცით: თავდავიწყებით განაგრძობთ პარტიულ მუშაობას.

— დიალაც. თქვენსავით მოვალეობა არ დამივიწყნია.

— არაფერიც. მე ახლა არ მცალია: რუსეთში გასამგზავრებლად ვემზადები.

— გავიგეთ... გზა დამილოცნია.

— მომბეზრდა აქაურობა. შემძულდა ყველაფერი.

— საეჭვოა... იქაურები ხომ ძალიან გაინტერესებთ...

ეს შეტევა ძალიან მარჯვე მოეჩვენა არჩილს.

— ლევან პატაშვილი ჩემი კარგი მეგობარია... მხოლოდ.— დიდი ღირსებით მოიგერია ცაცამ.

— რად გგონიათ, რომ მე ლევანზე ვლაპარაკობ?

(გაიმარჯვა არჩილმა: დაიჭირა ცაცა. უხარია.)

— თქვენს გარდა, სხვებსაც აქვთ თვალები, ბატონო არჩილ: კარგად დაგინახეთ, რომ მთავარანგელოზის ეკლესიასთან მითვალთვალეზდით...

მოხდა რაღაც მოულოდნელი: — ცაცას მაგიერ არჩილი დაიჭრა.

შერცხვა არჩილს: თითქოს სამარცხენო ქურდობაზე დაიჭირეს.

ენა დაუდგა. სიტყვა ვეღარ იპოვა საპასუხოდ.

გალაუნისაქენ გაიწია. ზედ მკლავებით დაეყრდნო და რიონს დაუწყო ცქერა.

— რატომ მოვიდა აქ?... რომ არ უნდოდა? რომ გადაწყვეტილი ჰქონდა არასოდეს არ გაეცა ხმა ცაცასათვის?!

ბავშვით გაუჯავრდა თავის თავს.

ასე გავიდა მცირე ხანი.

ცაცამ იგრძნო გამარჯვება. მაგრამ არჩილის დადუმებამ და უბერხულობამ მასაც იარაღი აპყარეს, თითქოს გული ეტყინა, რომ ასე აწყენინა არჩილს.

წამოდგა სკამიდან. მიუახლოვდა არჩილს და მის გვერდით დადგა. მერე ინტმიური ალერსით უთხრა, ჩურჩულით:

— არჩილ... კმარა.— და ხელი მკლავზე მოჰკადა. ფრთხილად გაუბედავად.

როცა არჩილმა თავი მისკენ მოატრიალა, ცაცას თვალების შერხეული უფსკრულის ელამმა გამონათებამ ჯადო-მახესავით შეიპყრო იგი და დაიმორჩალა.

— კმარა შეოქი.— გაიშეორა კიდევ ცაცამ ატკივებული ხმით და არჩილს სახე მიუახლოვა.

არჩილმა უცებ შეთრთოლვებით დასტაცა ცაცას ხელს ხელები და ისე შეკუმშა, თითქოს მისი მოგლეჯა უნდოდა და შორს გადატყორცხა. მაგრამ მოულოდნელად შეაღბილა სუქციელი: დაჭერილი ხელი გულთან მიიტანა და ცაცას თვალებში ჩააცქერდა.

ცაცამ დაანება ხელი და თვალები გაუსწორა.

ასე დიდხანს უცქირეს ერთმანეთს.

— საძაგელო! — შერიგების ნიშნად სთქვა ბოლოს არჩილმა.

— ჰო, საძაგელი ვარ... მაგრამ შენი ბრალია... წაიბუტბუტა ცაცამ და არჩილს გულზე შეეკრა. — ჩემთან არა ხარ... მე კი... ასე არ შემძლია.

დაფარული ტკვილი დაინთხა ცაცას სიტყვებისაგან. მის ხმაში განატანჯი სიყვარულის საყუედურმა გაიწკრილა.

სრულიად მოღბა არჩილი.

— მერე რა, რომ შენთან არა ვარ...— ვნებიანი წაჩურჩულებით უპასუხა მან ცაცას და ხელი მოხვია, გულზე მიიკრა. — ხომ იცი, რომ შენთან...

— არა... არა... არ მინდა! — გაუსხლტა უცებ ცაცა და მშობლებს მშობლებს მშობლებს: შენ შენი ფოთი უფრო გიყვარს... მე არ მინდა ასეთი სიყვარული!

— ცაცა... — წაიღულულა არჩილმა და მისკენ გადადგა ნაბიჯი.

— ცაცა... ცაცა... — გამოაჯავრა ცაცამ. — რატომ ჩამოდი? ამხანაგმა ვასომ გიხმო ხომ? ცაცასთვის არ ჩამოსულხარ...

— დამაცა... მოდი აქ... მათქმევიინე.

ისევ მოჰკიდა ხელი. გულთან მოიხიდა.

— ჰა? რა გინდა? — დანებდა ცაცა. — გისმენ.

— ცაცა, ნუ მაწვალებ...

— ან მე ან ფოთი! — გააწყვეტინა ცაცამ.

— დაანებე თავი ამ ფოთს.

— არა... ჯერ შენ დაანებე.

— კარგი, ოღონდ მომეცი ხელი... მოდი ჩემთან... აკი შემირიგდი...

— იცოდე, მხოლოდ ერთი პირობით.

— ფოთს დავანებო თავი, არა?

— უსათუოდ!

— კარგი... მაგრამ შენის მხრითაც არის პირობა საჭირო...

— ჩემი მხრივ არავითარი პირობა...

— ეს არ იქნება... ესეც უთუოდ... ესეც აუცილებლად...

მაგრამ არჩილმა აღარ იცოდა, რასაც ამბობდა: ცაცას ტანის ვნებას დაეწვა და მისი მკერდისა და პირის სურნელს დაეთრო.

რალაც გაუგებარს ჩურჩულებდა და ასე ჰკოცნიდა ხელებზე.

ცაცა თვინიერად ჩახუტებოდა გულში და არჩილისაგან ალერს ოდნავ გაღიმებული იღებდა.

ამით შეთამამებულმა არჩილმა ახლა მკლავეებიც დაუკოცნა ცაცას. გული. ყელი. მერე თმაზე ლოყით დაეკონა. ყურებთან ხელის გული მოხვია, თავი მცირედ დაიშორა და ასე თვალებში ჩახედა. პირსახე აუწია ბავშვივით, უცქირა სუნთქვა-შეყენებულად. თითქოს არ სჯეროდა, რომ ასე ბედნიერი იყო, რომ ცაცასთან ასე ახლოს იმყოფებოდა.

მაგრამ ცაცამ მოულოდნელად შეუწყვიტა ტკობა: — ხელები გაჰკრა მკლავეებზე. თავი გაითავისუფლა. შემდეგ ცერებზე შესდგა. არჩილს მკლავეები კისერზე შემოართყა. აიწია და გახელებული კოცნით ტუჩები მოსკამა:

— აი, ასე... — სთქვა და განშორდა.

(გაგრძელება იქნება)



მხარტა სასკლო

აბბას ახმად ოღლი გზის პირად მორზე იჯდა. თავს სოფლის დალაქი ედგა და პირსა ჰპარსავდა. დალაქი რაღაცას ელაპარაკებოდა, ახმად ოღლი დინჯად აძლევდა პასუხს—დინჯად, რომ დალაქისათვის მუშაობაში ხელი არ შეეშალნა. სამართებელი მყრალი საპნის ქაფს რომ ჰფხეკდა და ლოყებს უტიტვლებდა, სახეზე ხანში შესულობის ნაოჭები უჩნდებოდა. გრძელი, ჩამოძენძილი და თეთრი ბეწვებით დაზოლილი უღვაშები სამართებელს ედებოდა და დალაქს პარსვაში აფერხებდა. დალაქი თავის შავ, კუჭყიან თითებით მოწიწებით სწევდა მალღა, მაგრამ მოუხეშაობით საპნის ქაფს ტუჩებზე სცხებდა. საპნის ქაფით სავსე პატარა მოკალული ტაშტი ღობის ძირას იდგა.

აბბასა ფიქრში იყო. თან წვერის პარსვას ადევნებდა თვალყურს და თან რაღაცას ვარაუდობდა.

ახალუხის ღილები გახსნილი ჰქონდა და შავ მკერდზე ქალარა შერეული, შავი და ჯაგარივით მაგარი ბალანი უჩანდა. თავზე თეთრი კუჭყიანი ხილაბანდი ჰქონდა წაკრული. ფეხთ ქოშები ეცვა.

სექტემბრის მზე დასავლეთით გადახრილიყო. ჰაერში შემოდგომის სიგრილე ტრიალებდა. ხეების და ქოხების ჩრდილი დედა-მიწაზე გრძლად გაწოლილიყო. წვრილ კენჭებს გზაზე იმდენი გრძელი ჩრდილი დაეყარნათ, რომ გზა პირნაყვავილარსა ჰგავდა.

პირის პარსვასა და თავის ანგარიშში გართული აბბასა ნახირის მოლოდინშიც იყო. თავისი სიცოცხლე საქონლის მოვლასა და მწყემსობაში ჰქონდა გატარებული. უყვარდა კიდევ საქონელი. თითო ძროხა, ხარი, კამეჩი თუ ცხვარი სათუთობით ჰყავდა გაზრდილი. ბევრიც ჰყავდა საქონელი. მისი ფარა ცხვარი ათი ათასს დაითვლიდა. მარტო ძროხებიც საკმარისი იყო, რომ იმათ პატრონს დოვლათიანი ადამიანის სახელი ჰქონოდა. ზოგი შრომით, ზოგი კრიჭანგობით, ზოგიც ნაქურდალის შეძენით გაიმრავლა. საქონელმა სხვა დოვლათიც შესძინა და იმ სოფელში შეძლებულთა რიგში ჩააყენა. სოფელში ქვიტკირის სახლი, ან როგორც იტყვიან „კრიბალი ეუფ“—„კრიშიანი სახლი“—პირველად მან აიშენა და შემდეგ მისი წაბაძულობით სხვებმაც. მიწურები კი ეხლაც ბევრია.

ეხლა ორმოცდახუთი წლისაა აბბასა და უდარდელად სცხოვრობს. აქამდის ისე იცხოვრა და შვილებიც ისე დაზარდა, რომ მტერი არ გაუჩენია. სისხლისა

ეშინიან. კარგად იცის სისხლის ადათი: მთელი გვარის სიტყვებსა და ქონებას ანიავებს.

ეხლაც მისი ფიქრი ეს არას. ეს ერთი საქმე ისე მოგვაროს, რომ არც ხარალი ჰნახოს და არც მტერი გაიჩინოს. ერთი ხანია, ეს ფიქრი მოსვენებას არ აძლევს.

აბბასა ხშირად ამთქნარებდა. დალაქმა ეს შეამჩნია და ჰკითხა:

— ხომ არ გაციებს, ალავ!

— მაციებს.

— მაგ ციებამ მეც დამჯაბნა. კარგი გიქნია, რომ თავი შეგიხვევია. თავის გაციება ცუდია. არა წამლობ?

— როგორ არა. შულავერში ნასწავლმა ექიმმა ხინა მომცა. ბევრი ესვი, მაგრამ არ მარგო. ციებამ ამ ზაფხულს მთაშიაც არ დამანება თავი.

— ხინა ვერა ჰშველის. გოგრის ყვაფილია კარგი. მე გაგიკეთებ წამალს.

— ეგეც ბევრი მიცდია. არა მშველის. ჰაერია ჩვენში ეგეთი.

— შენს ოჯახსაც ხომ არ აციებს?

— ყველას აციებს, ქალის მეტს.

— კაი დროს მოვედი, კარგ ლაპარაკს მოვუსწარ!— შემოესმათ ხმა. ორივემ თავი ასწიეს და თავიანთ წინ მაღალი, გამხდარი კაცი დაინახეს!

— ოჰ! სეიდ სოიუნ! შენა ხარ? ამბავი?

— რაზე ლაპარაკობდით?

— არაფერზე. ჩვენ ისეთი რამ არა გვითქვამს რა.

— როგორ არა! შენი ქალის გათხოვებაზე ლაპარაკობდით.

— არა, ვალლაჰ, გათხოვებაზე არა გვქონია ლაპარაკი.— უპასუხა აბ-

ბასამ:— ჩვენ ციებაზე ვლაპარაკობდით.

— ჰოი? არა უშავს რა ეხლა ვილაპარაკოთ.

— რაშია საქმე?

— იმაში, რომ დრო აქვს გათხოვებისა.

— რა მეჩქარება? ჯერ პატარაა!

— რაღა პატარაა? განა რამდენი წლისაა!

— თორმეტისა.— იცრუა აბბასამ. მახედა, რომ სეიდი მთხოვნელის მოგზავნილი იყო. იმასაც მიხედა ვისი მოგზავნილიც იქნებოდა.

— ჰო-და, გიშველა ალლაჰმა! თორმეტი წლის ქალი განა პატარაა?

— არც თორმეტი წლისას დაუგვიანდება გათხოვება!

— რას ამბობ, ალავ! კურანში ნათქვამია: ქალი ცხრა წლისა უნდა გათხოვდესო.— სიტყვა ჩაურთო დალაქმა.

— ხომ გაგიგია: ქალს ქედი ესროლე და— ვერ წააქციე, მაშ გასათხოვრად გარგებულაო. შენ კი ამბობ— თორმეტი წლისა პატარააო— უთხრა სეიდმა.

— ეეჰ! რას ამბობ, სეიდ! კარგი მთხოვნელი მიშოვნე და გავათხოვებ.

— განა ცოტაა ჩვენს სოფელში მაგის შესაფერი ბიჭი?

— მაინც, ვინ არის?— ჰკითხა აბბასამ და დამცინავი თვალებით შეჰხედა, რადგანაც უკვე მიხვედრილი იყო, ვისი მოციქულიც იქნებოდა სეიდა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

- მახმულა არ მოგწონს?
- ვინ მახმულა?— ვითომ ვერ გავიგეო აბბასამ.
- არ იცი ვინ მახმულა? დალი ოლლი.
- იმან გამოგგზავნა?
- თუნდაც ვგრე. მერე რა?
- მაშ მე გეტყვი რაცა: მახმულამ სხვაც გამომიგზავნა—თავისი დედაც.
- მერე?
- მერე და არაფერი.
- რა პასუხი მიეცი?
- უფრო კარგი მოხოვნელი მყავს.
- ვიცი ვინც არის, მაგრამ სტყუვლები. მახმულა სჯობიან მეითის.
- რითი სჯობიან? მეითი უფრო დოვლათიანია, რუსულიც იცის.
- მეითი მარტოხელი კაცია. უნათესაო. ერთი პატარა ძმა ჰყავს, ბებერი დედა და ერთი ობოლი ბიძაშვილი. მახმულა კი ნათესავეებით სავსეა. მეითის რუსული კი შენთვის გამოუსადეგარია. ქალაქში ნათრევი ბიჭია. პაპიროზს ეწევა. ღვინის მსმელია. ქალაღდის თამაშიც კი უყვარს. მახმულა კი ჩვენი კაცია, ფხიზელი, კარგი მუსულმანი, მუყაითი.
- მახმულას ქურდის სახელი აქვს, ხომ იცი.
- აღაფ! ქურდობით კაცი არ დაიწუნება. ქურდობა ყოჩალობაა. მახმულაც ყოჩალია.— კიდევ ჩაურთო სიტყვა დალაქმა და აბასას ქონიანი სილა წაუსვა ლოყაზე, სუფთად არის მოპარსული თუ არაო.
- არა!— სთქვა აბბასამ.— მე ქურდი არა ვყოფილვარ და არც სიძე მინდა ქურდი.
- კარგი, აბბას. არ მეგონა, თუ მე მეტყოდი უარს, თორემ შენთან ამ საქმეზე არ მოვიდოდი.— გამწყრალი კილოთი სთქვა სეიდმა.— სოფელში პატივდებული კაცი ვარ და შენ კი მაწბილებ.
- შენი ბრალია. ქურდის სიძეობას რად მირჩევ?
- შენც მიზეზს ამბობ, რაღა!— უპასუხა სეიდმა.— მართალია, შენ ქურდი არა ყოფილხარ, მაგრამ ნაქურდალი საქონელი რამდენი გავისაღებია!
- აბბასას ეწყინა. ახლად გაპარსული ლოყები გაუწითლდა და დალაქს გადაჰხედა, რომელიც ამ დროს დობესთან ჩაკუნტული იჯდა და თავის იარაღს ხელსახოცში ახვევდა.
- სეიდი მიხვდა, რომ სიტყვა უადგილო-ადგილას წამოსცდა და აბბასას აწყენინა. ამით საქმე უფრო გააფუჭა.
- რა ვუყოთ მერე?— ჩაილაპარაკა აბბასამ.— ეგ ცოდო არ არის. თუ კაცს რამე დოვლათი თითონ უვარდება, ხელიდან არ უნდა გაუშვას. ღმერთის მოცემულია.
- მაგას თავი დაანებე. მე ვიცი, რომ მაგაში არ არის საქმე.
- არაფერიც არ იცი.
- ვიცი. მეითი ქებინს მეტსა გპირდება.



— თუ იცი, რაღას შელაპარაკები!
 — მახმუდაც კარგ ქებინს დაგპირდება.
 — საქმე მარტო დაპირება ხომ არ არის, საქმე ^{შესრულება} მახმუდა-
 ვერ შეასრულებს.

— რასაც დაგპირდება, შეასრულებს კიდეც. იმასაც გეტყვი, რომ მახმუ-
 და ისე არ წაიყვანს საქმეს, რომ მაგ დაპირების შესრულება დასჭირდეს.

— ვინ იცის, ცხოვრება როგორია, რას მოიტანს! ერთიც ვნახოთ — გაი-
 ყარნენ, მაშინ?

— მაგის თავდები ვარ, რომ მახმუდა გაყრაში დამნაშავე არ იქნება და,
 მაშასადამე, არც ქებინის გადახდის მოვალე გახდება.

— აბა, რა იცი?

— მახმუდა სიტყვას არ გასტეხს. შენი ქალი უყვარს და თვალის ჩინივით
 შეინახავს.

— ალავ! ჩემი საქმე კი არ არის, მაგრამ გეტყვი, რომ მახმუდა პატიოსა-
 ნი ბიჭია. ტოლებში ყველას უყვარს.

— ყველა ღარიბი და უქონელია მისი ტოლი, ყველა მისი ამხანაგი, ქურ-
 დები ხართ. — უბასუხა გაჯავრებულმა აბბასამ დალაქს.

დალაქმა შეატყო წუნა, მდაბლად თავი დაუჭრა და გასამრჯელო მოსთ-
 ხოვა. აბბასამ ზაფრიანი ჩაუდო ხელში.

— ღმერთმა ხეირი მოგცეს, აბბას ალავ! — უთხრა დალაქმა. — მე ჩემი საქ-
 მე გავათავე და მივდივარ, მაგრამ ჩემი სიტყვა მაინც ნუ გეწყინება: სეიდა კარგს
 გირჩევს. მთელი სოფლის ბიჭები მახმუდას ამხანაგები არიან და შენი ქალის
 საქმეში მახმუდას მარტო არ დასტოვებენ.

— შემუქრები კიდეც! გასწი, შენ წვერები ჰპარსე ხალხსა. რა შენი საქმეა
 ჩემს საქმეში რომ ერევი?

— მე წავალ მაგრამ მამალივით კი ვყივი. — უთხრა დალაქმა. ღვთის ამა-
 ნათი იყავიო, უსურვა აბბასას და წავიდა.

— ტყუილად ცხარობ, აბბას. — უთხრა სეიდმა. — მართალს ამბობს დალაქი.

— რას ამბობ, სეიდ სოიუნ! ვის მივათხოვო ქალი, რატომ არ დაფიქრ-
 დები? ერთი ღარიბი, უქონელი კაცია. რით უნდა შეინახოს? სახლიც კი არა
 აქვს. მიწურში სცხოვრობს. არ ვიცი რაც მამის შვილია ეგ შენი მახმუდა! მა-
 გას დალი თლლის ეძახიან. მაგის მამა გიჟი იყო და ეგეც გიჟია.

— ეხლა შენ ისე ამბობ, თითქოს მართლა გიჟი ყოფილიყო იმის მამა.
 ფიცხი კაცი იყო და იმიტომ დაარქვეს დალი ახმადა. შეუპოვარი და ყოჩალი
 იყო. მაგასაც მამის სახელი დაჰყვა. ხასიათიც ისეთივე. საქმე თუ ქებინზეა, მახ-
 მუდაც კარგ ფულს დაგიწერს ქებინათ.

— ვერ დამიწერს. მეითი ას თუმანს მპირდება.

— მახმუდაც მაგდენს დაგპირდება.

— აკი გიოხარ, მარტო დაპირების საქმე არ არის, ასრულების შნოც უნ-
 და ჰქონდეს მეთქი. მახმუდა ვერ შეასრულებს მაგ პირობას.

— მე კიდევ გეუბნები, რომ მაგ პირობის ასრულება არ მოუხდება მახმულას. სიკვდილამდის ერთად იქნებიან.

— კარგი, ვთქვათ ეგ დაგიჯერე და მომავლის იმედად დაგეუბნე—მეითი საქორწილო ხარჯსაც მაძლევს. მახმულა მამცემს?

— განა რას გაძლევს მეითი, რომ მახმულამ ვერ მოგცეს.

— რას მაძლევს? შენ დასთვალე:—სამი ურემი შეშა, ხუთი ფუთი ერბო, ათი ფუთი ყველი, ათი ძროხა, ოცდახუთი ცხვარი, სამი ფუთი შაქარი, ხუთმეტე ფუთი ხორბალი, ერთი ფუთი კამფეტი. მე საჩუქრად მაძლევს ერთ ცხენს და ოც თუმან ფულს ქორწილის ხარჯათ. თითონაც კარგ ქორწილის გადახდას მპირდება.

— მაგდენს გაძლევს მეითი? მერე ეგ სულ ქორწილში უნდა დახარჯო?— გაიკვირვა სეიდმა.

— რაც დამრჩება ხომ არ გადავყრი, დამრჩება!

— არ ვიცი. ძალიან ბევრი უძლევია, თუ მართალია. მახმულა მაგდენს ვერ მოგცემს. არც ძალიან ხეირია მაგდენის აღება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მზითევიც ხომ შესაფერი უნდა მისცე?

— მეითი მზითევს არა თხოულობს.

— არც მახმულა თხოულობს მზითევს, მაგრამ შენ დოვლათიანი კაცი ხარ. თავს ხომ ვერ შეირცხვენ.

— ეგ ჩემი საქმეა. ჩემ ქალს იმდენს მივცემ, რამდენიც ჩემი სურვილია.

— მე მაინც მახმულას გირჩევ. იცოდე თუ მახმულას ეტყვი უარს, სისხლი ჩამოვარდება.

— მე რა შუაში ვარ, რომ მემუქრებით? ყველა კაცი თავის სამჯობინარს იქმს. ან რა იცი, რომ მეითის თუ უარი ვუთხარ, სისხლი არ ჩამოვარდება? განა მეითი კი მოითმენს?

— შენ იცი.

— მე ვიცი. მაშ, შენ იცი? განა მე კი ცოტა ვიფიქრე? სისხლი ორივე მხრიდანაა მოსალოდნელი. ისე კი მეითი სჯობს: გასული კაცია, რუსული იცის, დოვლათიანია.

— მახმულა პირობას იძლევა, რომ მეორე ცოლს არ შეირთავს. მეითის კი უკვე ჰყავს ცოლი და შენი ქალი იმისთვის პირველი არ იქნება.

— რა ექნა ახლა! მაგის გულისათვის ღარიბს მივცე ქალი? ერთი გაწყალებული კაცი დავისიძო, მერე ჩემ ქონებაზე ეჭიროს თვალი და მწოვოს?

— შენ იცი.—უბასუხა სეიდმა.—სოფელში თავი კაცი მქვიათ, მაგრამ შენ არად ჩამაგდე. მე გირჩევ და ეხლა შენ იცი.—უთხრა გაჯავრებულმა სეიდმა და წასვლა დააპირა.

— მოიცა, სეიდ. ნუ ჯავრობ. მე ქალი მეითს უნდა მივცე. ასე სჯობიან ჩემთვის. შენ რომ ჩემს ადგილას იყვე, ესევე მოიქცეოდი. იცი რას გეტყვი? რასაც მახმულა გაძლევს საშუაკაცოს, მე მოგცემ, ოღონდა მახმულა დაამშვიდე,

სხვა ქალი ურჩიე. აი, ჩემი დისწული გაურიგოთ. კარგი ქალია. ჩემსას არაფრით დაუვარდება. მე თითონ მივცემ კარგ მზითევს.

— მე ფულმა არ მომიყვანა აქა. — იწყინა სეიდმა. — მტრკატხს — გბრჩევ და არ გინდა.

— ხეირი არ არის და რა ვქნა, სეიდ სოიუნ!

სეიდმა ხმა აღარ გასცა. გაბრაზებული წავიდა. არ ეგონა, თუ მისი შუაქაცობა უნაყოფო გამოვიდოდა. — ის დაწყევლილი მეითი რამდენს აძლევს! ადრევე მცოდნოდა მაინც! აღარ მივიდოდი.

თავმოყვარეობაც შელახული ჰქონდა და მახმუდას დაპირებული სამაჭანკლოც დაჰკარგა.

II

მთელი სოფელი ორად გაიყო. ძველი მტრობა და მოყვრობა ეხლა შეკავშირდა. ნათესაობაც ეხლა გამოჩნდა. სეიდის დამარცხებამ მეითს და აბბასას ბევრი მტერი გაუჩინა. სეიდ სოიუნა, თავის გეარს მაჰმადის ჩამომავლად სთვლიდა, მამა-პაპით სეიდები იყვნენ და სოფელში პატივდებულნი. ამისთანა კაცის დამარცხება მოხუცებულებს არად ეამათ. ამიტომ მოხუცებულები მახმუდას მომხრეები გახდნენ, ყველანი, ვისაც კი მეითასთან ნათესაობა ან დალი ოღლისთან მტრობა არ ჰქონდა. მახმუდას უფრო მეტი მოკავშირენი ჰყავდა, ვიდრე მეითის. მეითი ნათესაობით ღარიბი იყო, მახმუდას კი დიდი ნათესაობა ჰყავდა. ამას გარდა სოფლის მოჯამაგირეებიც, მწყემსებიც და ღარიბებიც მახმუდასი გახდნენ. შეძლებულებმა და ალაღარებმა კი მეითის და აბბასას დაუჭირეს მხარი. რუსულს მცოდნე და გარედ გასული მეითი ბევრისათვის იყო საჭირო. ყველა ჰგონებდა, რომ ბრძოლა ასე მალე და ადვილად ვერ გათავდებოდა. მეითი თუმცა საქორწილოდ ემზადებოდა, მაგრამ დალი ოღლი და მისი მომხრეები მაინც არ სცხრებოდნენ. ბევრი ბჭობა იყო სოფელში, ბევრი მითქმა-მოთქმა. ქალის მოტაცებისა ბევრნაირი განზრახვა იყო მახმუდას ბანაკში და აბბასასაც ბევრნაირი მუქარი მიუვიდა.

სისხლისა და თოფის წამლის სუნი დატრიალდა.

მეითი იარაღს არ უშვებდა ხელიდან. ჰგონებდა, რომ როგორც გამარჯვებულს, მას უფრო მოელოდა ხიფათი, ვიდრე მახმუდას. მაგრამ არც მახმუდა იყო გულშეშიდად. საკუთარ თავის გადასარჩენად მეითის შეეძლო მახმუდა მოეკლა. ოღონდ მისი ნათესაობის სიმცირე იყო იმის თავდები, რომ მეითი ეგრე ადვილად ვერაფერს გაჰბედავდა.

მეითიმ თავის კაცებს დაავალა — დალი ოღლზე თვალყური დაიჭირეთო: იმედი ჰქონდა სადმე რამეს შოიპარავს და სამართლის ხელში ჩავარდებოთ. მახმუდას ეს შეატყობინეს ამხანაგებმა და იმანაც სიფრთხილე ირჩია. დიდი ქურდი არ იყო, უფრო სახელი ჰქონდა ქურდისა, მისი მოპარული ბევრი არ ახსოვს სოფელს, მაგრამ ეხლა კი ნამდვილ ქურდებთან დაიჭირა კავშირი და ყველას სთხოვა დროებით ხელი აეღოთ ამ საქმეზე. მართლაც იმ არე-მარეში ერთ ხანად ქურდობა მოისპო.

აბბას ნელ-ნელა შეუდგა ქორწილისათვის მზადებას.

მეითი კი ჩქარობდა. ეშინოდა, საცოლო არ მომტაცონო. თავის საქონელში საქორწილო ძროხები გადაარჩია და საგანგებო მწყემსებს ჩააბარა. მთავრობასაც შეატყობინა, თუ რამ ხიფათი მომივიდეს, მახმუდას რჩენება დამნაშავეო. მახმუდას ამან, ცოტა არ იყოს, ხელები შეუკრა. ამას გარდა მეითი ეხლა ისეთი უნათესაო და მარტო არ იყო, როგორც აქამდის: ქალთან ერთად ახალი და მდიდარი ნათესაობა შეიძინა—აბბასა და მისი სამი შვილი, მათი ბიძაშვილები. ყოველივე ამან დალი ოღლის ბრძოლა გაუძნელა.

ერთ საღამოს მახმუდა თავის უფროს ბიძასთან მივიდა და შესჩივლა:

— რა ვქნა, ბიძია კოჯავ, დამარიგე. ჩვენი გვარი დაიჩაგრა. ერთმა ქალაქში გაზრდილმა, გაქსუებულმა, რჯულის გამტეხელმა, ლოთმა დოვლათით და რუსულით გვაჯობა. აბბასამ თავისი ქალი იმას მისცა. ჩვენი დიდი ნათესაობა არად ჩააგდო და ერთი უნათესაო ირჩია. სეიდ სოიუნსაც კი აოა სცა პატივი. ამ საქმეს მე უსისხლოდ ვერ გავათავებ. ან ქალი უნდა მოვიტაცო, ან...

ტახტზე მოკეცილმა ბიძამ წვერები მოიფხანა და ჩაფიქრდა.

მახმუდა მართალი იყო. ჯეელ ბიქისათვის საწყენია ასეთი მარცხი. მაგრამ სწორი და საკადრისი რჩევა მაინც უნდა ეთქვა.

ბოლოს თვალეზში შეხედა ახალგაზრდას. დალი ოღლი მიხვდა ბიძის თვალების ნათქვამს. ბიძია კოჯა მოფიქრებულს ვერ დაუწუნებდა. განა თითონ კოჯას მოტაცებული ქალი არა ჰყავდა ცოლად? ყოჩალი ვაჟკაცი ყოველთვის ასე მოიქცევა.—ალბად ასე ფიქრობს მოხუცი ბიძა, მაგრამ ერთბაშად კი არას ეუბნება.

— მაგის პასუხს მარტო მე ვერ მოგცემ.—უთხრა ბოლოს ბიძამ:—მოფიქრება უნდა მაგ საქმეს. მარტო მე და შენ არ გვებება. მთელს ჩვენს ნათესაობას ეხება. შენსა და მეითის შორის სისხლი რომ ჩამოვარდეს, ჩვენც ვიქნებით პასუხისმგებლები—მეტადრე შენი ძმები.

— მაშ რა ვქნა?

— ქალის მოტაცება სჯობიან, თუ ქალის თანხმობა გაქვს.

— ქალის ამბავი მე საიდან გავიგო! მაგრამ ის კი ვიცი, რომ ქალისათვის, მე თუ მეითი. სულ ერთნი ვართ.

— კარგი, მაგრამ ქალმა ხომ უკვე სთქვა თანხმობა მეითის ცოლობისა?

— არა. ჯერ რწმუნებულებიც არა ჰყავთ არჩეული.

— მაინც. ქალი რომ მეითის თანახმა არ იყვეს, ხმა გამოვიდოდა.

— კიდევაც რომ ეგრე იყვეს, ქალს ვინა ჰკითხავს? აბბასა მაინც მეითსს მისცემს.

— ჰო-და, მეც მაგას ვამბობ: თუ ქალის თანხმობა არ გექნება, მოტაცებას არ გირჩევ. ბევრი ხათაბალა იქნება. მაგრამ ეგ შენი საქმეა. სისხლს კი არ გირჩევ.

— მაშ რა ვქნა?

— ცოტა მოიცადე. ამ დღეებში გეტყვი პასუხს. სხვებსაც ვკითხავ.

— მინამ კი ქალს წაიყვანს და!..

— ვნახოთ. წაიყვანოს, თუ ვერა მოვახერხეთ-რა. ბოლოს ჩვენი იქნება ქალი.

დაღონებული და დაფიქრებული გამოვიდა მახმუდა მუქი სახლიდან. მოითმინეო — ადვილი სათქმელია! ვისაც კიზხანუმა გულში ~~მტერი~~ ჩაეჭრუნია, ასე იტყვის.

მაგრამ მარტო ქალზე არ არის ეხლა საქმე. ეხლა შეურაცყოფაც სავარაუდოა. როგორ უნდა მოითმინოს ჯველის გულმა ეს უარი? აბბასამ ფულის გულისათვის სიძედ მეითი ირჩია. იმას ერთი ცოლი უკვე ჰყავს. მე კი პირობას ვდებდი, რომ სხვა ცოლი აღარ შემერთო, აბბასას ქალის გარდა. მეითი — ღვინის მსმელი ირჩია აბბასამ! მართალია, კარგი ვაგაკაცია, მაგრამ არც თითონ დაუვარდება.

ამხანაგები აქეზებდენ — ქალი მოვიტაცოთო. მაგრამ მახმუდას მარტოს ვერ გადაეწყვიტნა ეს საქმე. ბიძია კოჯა მართალია. ქალის მოტაცებით მტრობა უფრო გაძლიერდება და სისხლი ჩამოვარდება. ეს სისხლი ორივე ნათესაობას მოედება და ამიტომ მახმუდას თავის ნათესავეების თანხმობა უნდა ჰქონოდა. ძმები კი მისდევდნენ, ყველაფერში თანახმანი იყვნენ, მაგრამ ესენი ჯერ პატარები არიან და ნათესავეებში ყველაზე უფროსმა კი, აგერ როგორ დაუჭირა ხელი: მოითმინეო. მართალიც არის: თუ ქალი თანახმა არ იქნება, ძნელია მისი მოტაცება. თავს უნდა დაესხას ქალის მამის ოჯახს და ძალით წაიყვანოს. კაციც ადვილად მოკვდება. მოთმინებაც არ შეიძლება. მეითი წაიყვანს ქალს. იმის ნათესაობას ახალი ნათესაობა შეემატება. ორივე მდიდარი ნათესავეები შეიყრებიან და მაშინ ბრძოლაც გაუძნელდება. ჯერ ეხლაც გასაჭირია.

იმ ღამეს ძილი არ მიეკარა მახმუდას. თოფ-გადაკიდებული დადიოდა სოფელში. ამ ხეტიალის დროს აბბასას სახლს მიაღვა. იქ უკვე ყველას ეძინა. კრამიტით დახურული აბბასას სახლი, გრძელი და განიერ-აივნისანი, პირქუშად იყურებოდა. ფანჯრებში სანთლის შუქი არ მოსჩანდა და, ამით უფრო უცხო და შორეული, გულ-ცივი და მტრული, მაგრამ უფრო სანატრელიც იყო. მახმუდას მიწურთან შედარებით კი — ძლიერი და მიუდგომელი. მაღალი ღობით შემოვლებული და გრძელი ხარიხებით შეკრული ეზო მახმუდას ციხედ მოეჩვენა. თუ არ მოხერხებით და მოტყუებით, პირდაპირ შესვლა ამ სახლში ძნელია. მახმუდას სახლში კი ადვილად ჩაძვრება კაცი. მიწური ბანი ადვილი გადასათხრელია. აბბასას სახლს შუშიანი ფანჯრები აქვს. მახმუდას მიწურს კი ერთი სანათური აქვს, და საკვამლეც ის არის. აგერ, აბბასას ოთახის ფანჯარაში თუნუქის მილია გამოშვერილი და იქიდან გამოშავალი კვამლი ღამის სიბნელეში გულ-გრილად, დინჯად და ამაყად ტრიალებს, სახურავზე გადადის და მახმუდას ცხვირს რომ ჰხედება, აღიზიანებს. რასაკვირველია, ქალს ამ სახლიდან მიწურში არ გაუშვებენ. მაგრამ ამ სახლშია მახმუდას მტერი, რომელიც მოყვრავდა ჰსურს.

უცებ სახლის კუთხიდან ძაღლმა გამოჰყო თავი. სოფელში ერბინა ჯაჭვიდან ახლად აშვებულს და ეხლა დაბრუნდა. უცხო კაცის სუნი იგრძნო და დაიღრინა. თავი ასწია, დაიყეფა და მახმუდას ეცა.

ამ სახლისა ძაღლიც კი ჰმტრობდა. მახმუდამ უკან დაიხია და ნელ-ნელა

წავიდა. თან თოფის ქნევით იგერიებდა აფთარს. გაბრაზებული ძაღლი არ მოეშვა და ორლობის ბოლომდის გაჰყვა.

ხბოსოდენა და პატრონის ერთგული მყეფარი მტერს თანვეს მტრებდა. თვალებს აბრიალებდა და თითის სიგრძე წვეტიან კბილებს ბაზრის მსგავსებაში ანათებდა.

მახმუდა გაბრაზდა. რა უნდა ამ ძაღლს! პატრონმა დასჯაბნა, ახლა იმის ცხოველმაც უნდა შეაშინოს? ქოფაკის ყეფაზე მეზობლის ძაღლებიც აყეფდნენ. შეიძლება ვინმემ გამოიხედოს და მახმუდა აბბასას სახლთან დაინახოს. ცუდი ხმა გავარდება. სჯობს დაჩუმდეს ეს აფთარი, თორემ თუ აღარ დაეხსნება... მახმუდა მობრუნდა და ძაღლს წინ დაუდგა. ცხოველმა უკან დაიხია. გაიქიმა, კისერი დაიგრძელა, ყეფას თავი დაანება, იერიშისათვის მოემზადა.

მახმუდამ ხანჯალი ამოიღო. ძაღლი მიხვდა საშიშროებას და უფრო გაბრაზდა. ბნელ ღამეში ცხოველი და აღაშინი იბრძოდნენ. მახმუდამ იცოდა, რომ იმ უბანს კიდევ ათიოდე ნაბიჯით რომ გასცლოდა, ძაღლი დაეხსნებოდა, მაგრამ გულმა აღარ დაუთმო. ასეთი ჩამოციება ძაღლისა მისთვის შეურაცყოფა იყო, და ეს შეურაცყოფა მტრის ბინიდან გამოდიოდა. ეხლა უკან დახევა აღარ შეიძლება. ძაღლი უკვე გაბრაზდა და უვკველად დაჰგლეჯავს.

— მე დალი ოღლის მეძახიან! — გაიფიქრა მახმუდამ: — მტრის ძაღლს არ დავეჩაგვრინები.

ერთი ცოცხალი არსება ჩაუვარდა ხელში მტრის ოჯახიდან და ჯავრს შინც იყრიდა, გულს მოიფხანდა. დალი ოღლი ანგარიშობდა. ძაღლიც საზრისობდა. მახმუდა მოხერხებულ წუთს ეძებდა, რომ ძაღლისთვის ყელში წაეელო ხელი: მაშინ ვერ უკბენდა. — ნიშანი არ დამადოს, თორემ მიმიხვდებიანო — ბრთხილობდა მახმუდა.

ძაღლი შეხტა, წინა ფეხები მკერდზე დააყრდნო და დინვი მახმუდას ყელისაკენ წაიშვირა — დახრჩობას უპირებდა. მახმუდამ დროზე წაავლო ხელი ყელში და წაუჭირა. ძაღლმა წინა ფეხები გულზე მიაჭირა, უკანა ფეხებით მიწას დააწვა. მახმუდა წაიქცა, მაგრამ ძაღლს ხელი არ გაუშვა და თან ვადიტანა. შემდეგ ქვეშ მოიქცია და ხანჯალი გულში დაჰკრა. ძაღლმა მხოლოდ ერთხელ დაიწკმუტუნა და გზის მტვერსა და საკუთარ სისხლში გაიქიმა. სხვა ძაღლები შეშინდნენ და დაიმალნენ.

ეხლა კი მორჩა. მტრობამ თავისი დასაწყისი იპოვნა. მეგობრები ძაღლის მიზეზით ხშირად გადაემტერებიან ხოლმე ერთმანეთს და აქ ხომ მტრობის ყოველივე საფუძველი იყო.

მაგრამ ეხლა თავის აცდენა, დამალვაა საჭირო. მტერს ისე უნდა უმტროს ადამიანმა, რომ მტერმაც ვერ გაუგოს. თუ გაუგო, სამაგიეროს გადუხდის.

გაბრაზებულიც იყო მახმუდა და გულ-დამშვიდებულიც, როცა ამ ბრძოლის შემდეგ გაჩქარებული მიდიოდა მინდორში. ხანჯალი ჯერ იქვე გასწმინდა, მოკლულ ძაღლის ბალანზე. ეხლა არხთან ჩაცუცქდა და წყალსა და ქვიშაში გარეცხა.

დალი ოღლი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. თითქმის მირბოდა. პირდაპირ

მიდიოდა, გორებსა და ხრამებზე, უგზოდ, რომ არავის შესვლადროდა, თან მოკლედ სჭრიდა გზასა. ჩქარა უნდა ასულიყო თავის ბინაში, უმცროს ძმებთან. ხვალ დილით, ან ამაღამდღე თუ მოიკითხავენ, სოფელში არა უნდა დასვლეს: ამ ღამეს მახმუდა ცხვარშია.

სოფელში გაწურული მივიდა თავის ბინაზე. ძაღლები ჯერ ყეფით, მერე კი ალერსიანი წკმუტუნით მიეგებნენ. თითონაც მოყვარულის ხელი გადუსვა ბაღანზე და ხელები დაალოკვინა. გულის ღიტივით იგრძნო მოკლულ ცხოველის დანანებაც და შურის გების სიხარულიც. თითონ რომ უყვარს ძაღლი, ესე ყველა პატრონს უყვარს და დილაზე აბბასას შეიძლება ცრემლებიც მოადგეს.

— იუსუფ! — უთხრა თავის მომდევნო ძმას: — ეს არის ეხლა სოფელში აბბასას ძაღლი მოვუკალი. ეგრე მოხდა.

— რომ გაგიგონ?

— ვერ გამიგებენ. შენ ეხლავე წადი შინ და, თუ მიკითხონ, უთხარით, რომ ამაღამ, საღამოს აქეთ, მე ბინაზე ვარ, შენ კი შინა ხარ. ცხვარი როგორ არის?

— ფარეხშია. როგორ უნდა იყვეს!

— არავინ ყოფილა?

— არავინ.

— უკეთესი. წადი. მოკლედ და ჩქარა იარე. არ დაყოვნდე.

იუსუფამ უსიტყოდ დასრულა უფროსი ძმის ნათქვამი. თოფი გადიკიდა და შინისკენ გაეშურა.

მახმუდა ფარეხის წინ ქვაზე ჩამოჯდა. დაფიქრებული ისვენებდა. რაც წელან გადახდა სოფელში, ეხლა აღარ ესიამოვნება. ძაღლის მოკვლა აბბასას უფრო გააბრაზებს და ამით უფრო დაშორდება მახმუდას. მტრისაგან მიყენებული ზარალი, თუნდაც უმნიშვნელო, ნათესავეებს უფრო შეაკავშირებს და ამის შემდეგ აბბასა და მეითი უფრო დამეგობრდებიან. ხვალ მეითი თავს გამოიდებს და, ვინ იცის, იქნება შულავერშიაც წავიდეს საჩივლელად. მაგრამ რაც მოხდა — მოხდა. შეცდომის გასწორება ეხლა აღარ შეიძლება.

მახმუდა ფარეხში შევიდა და ცხვარს დაჰხედა. დასასვენებლად მწოლარე ცხვარში შეერია. ცხვარი შეინძრა, შეტორტმანდა, დაფრთხა. თხებმა ფრუტუნნი დაიწყეს.

ისევ ის ფიქრი მოადგა მახმუდას, რასაც წელან ფიქრობდა — აბბასას სახლთან.

დალი ოღლი თავის სიმდიდრეს დაჰყურებდა და ჰხედავდა, რომ ამ სიმდიდრის დანახვა თვალის ერთი გადავლებით შეიძლებოდა. სამასი ცხვარი — სულ ეს იყო სამი ძმის ქონება. აბბასას კი ამაზე ათჯერ მეტი ჰყავს. მეითისაც აბა, სად შესწვდება! ეს იცოდა მახმუდამ და სწყინდა, რომ ქონებით აჯობეს, ეხლა მისი ცხვარი ზღვად რომ იქცეს, ერთბაშად გამრავლდეს, ათიათასად იქცეს, — ერთს ქალს კი არა, სამსაც იშოვნის.

ისევ მოაგონდა წელანდელი ამბავი — ძაღლის მოკვლა. რომ გაუგონ, რას უზამენ? ჩხუბი მოხდება. ჩხუბში შეიძლება ვინმე მოკვდეს. უკეთესია. მიზეზი იქნება. მაშინ მკვლევლობის მიზეზი ჩხუბი გამოვა და არა ქალი. მაგრამ ჩხუბის

საბაბი ძალის სიკედილი იქნება. ძალი კი მახმუდას მოკლოლორ. საბაბი ჩხუბისა ისევ თითონ იქნება, მაშასადამე მკვლელობისაც. ბიძია კოჯამ კი აუკრძალა სისხლში გარევა. მაგრამ არა ჰგონია, რომ აბბასამ ჩხუბის მწება მისცეს სიძესა. ისიც ძალიან ერიდება სისხლს. ისევ ჩვილს დაიწყებენ, სესძლება დაატუსაღონ მახმუდა. მერე გააწვალეზენ დატუსაღებულს. მაშინ მეითი უფრო ადვილად შეირთავს კიხხანუმას: მახმუდა ხელს ველარ შეუშლის.

ჟუბად რალაცა მოისაზრა. ფარეხიდან გამოვიდა, უმცროს ძმას წიხლი ჰკრა, გააღვიძა და უთხრა:

— ბრთხილად იყავ. ამ საათში მოვალ.

ბიჭი ნაბადზე წამოჯდა, თვალეზი მოიფშვნიტა და ხანტად წამოდგა. მიმავალ ძმას თვალეზი გააყოლა.

— იქით საით მიდის? მეითის ბინისაკენ! — გაიკვირვა ბიჭმა.

მისი ძმა კი გაჩქარებული მიდიოდა. ხელში კრაქი ეჭირა და ნავთს გზაგზა ღვრიდა.

შორიახლო მიადგა მეითის ბინას და შესძახა. ძაღლებმა შეჰყეფეს.

— ჰეი, ვინა ხარ! — გამოსძახეს მწყემსებმა.

— მე ვარ, მახმუდა, დალი ოღლი. ერთ-ერთი აქეთ წამოდით.

მეითის მწყემსები შეფიქრიანდნენ, ერთმანეთს გადაჰხედეს და ჩურჩული დაიწყეს.

ყველამ იცოდა, რომ მეითი და მახმუდა თუ გადამტერებულნი არ იყვნენ, ერთმანეთისათვის სიკეთეს მაინც არ მოინდომებდნენ და ერთმანეთს ერიდებოდნენ და ეხლა ამ შუა-ღამისას აქ მოსვლა მახმუდასი რის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო?

— მოდით შეთქი, არ გესმით!? რა შეგეშინდათ. მე ვარ მახმუდა, დალი ოღლი.

თავის თავს მახმუდა დალი ოღლობით იშვიათად იხსენიებდა ხოლმე, ეხლა კი განგებ და ხმა მაღლა ყვიროდა ამ სახელს.

მეითის მწყემსებს ერთი მოშორდა და მახმუდასკენ წამოვიდა.

— რა იყო, მახმუდა. რამ მოგიყვანა აქა?

— არაფერი. აი კრაქი. ცოტა ნავთი გექნებათ, ჩამისხით. საღამოთი ბიჭი გავგზავნე სოფელში და აღარ ამოვიდა. ბნელაში კიდევ ცხვარი არ ისვენებს. დილაზე ორჯელ მეტს მოგცემთ.

მინამ მწყემსი ნავთს მოუტანდა, მახმუდამ იქაურობას თვალეზი გადააეღო. მწყემსობაში შეჩვეულმა თვალმა მაშინვე დაინახა, რომ აქ რალაც ცვლილება იყო.

— ჩობან დურსუნა აქ არის? — ჰკითხა მახმუდამ მწყემსს, რომელმაც ნავთით სავსე კრაქი მოუტანა.

— დურსუნა ქალაშია. იქ აძოვებს საქონელს.

— თქვენს ალას რათ გაუყვია საქონელი?

— საქორწილო საქონელი ქვემოლ ქალაში ჰყავს. ასუქებს. — უპასუხა მწყემსმა.

წამოვიდა მახმუდა თავის ბინისაკენ. ეხლა ნელა მოდიოდა. აღარ სჩქა-

რობდა. დაღალულიც იყო. რაც უნდოდა, აისრულა: მეითის მწყემსებს დაენახვა. ეხლა ამათ იცვიან, რომ ამ ღამეს მახმუდა აქ იყო, ბინებზე და არა / სოფელში. ეს მწყემსები, მისი მტრისავე მწყემსები მოწმეებად გამოყვანილნი იქნათ დასჭირდება.

მაგრამ ქალაში მყოფი საქონელი, მეითის ამ საქონლიდან რომ გამოურჩევია, დალი ოღლის თავში ჩაუჯდა. ქალა დებედა-ჩაის ნაპირზეა. იქიდან მტკვარი შორს არ არის. მტკვრის გაღმა ყარაიაა.

— უუჰ! ეხლა ერთი ათიოდე მარჯვე ბიჭი იყვეს! დაიღალოს კაცმა ეს საქონერი, მტკვარში გარეკოს და მერე ბაქოსკენ უკრას თავი! რა მშრალზე დარჩება მეითი!

მაგრამ ბიძია კოჯას ნათქვამი მოაგონდა და გუნება გაუფუჭდა.

— ნეტა რასა ფიქრობს კოჯა, რა უდევს გუნებაში!?

III.

ძაღლის მოკვლამ მეითი უფრო გააბრაზა, ვიდრე ძაღლის ნამდვილი პატრონი. გუმანი რასაკვირველია მაშინვე მახმუდაზე მიიტანეს.

აგერ ორმოცდახუთი წლის კაცია აბბასა და მისთვის ძაღლი არავის მოუკლავს. მისი ძაღლები, კარგად მოვლილები, ოც წლამდის სცოცხლობდნენ ხოლმე. კარგი ჯიშის ძაღლებსაც ინახავდა აბბასა. სხვა მტერი არავინ ეგულეობდა თუ არ დალი ოღლი. მაშ ვინ მოჰკლავდა იმის მეტი?

მეითიმ კი ამ ამბავში უკვე თავის საკუთარი თავის ხიფათი ჰნახა. დღეს თუ ძაღლი მოჰკლეს, ხვალ მე მომკლავნო.— გაიფიქრა. ვანა რომ, სოფელში ბევრნაირი ხმა დადის! უბრალო არ არის ეს მითქმა-მოთქმა. ისიც გაუგონია მეითის, რომ ქალს მოტაცებას უპირებნო. ეჭვი არ არის, რომ წუხანდელი ამბავი მხოლოდ უბრალო შემთხვევა არ უნდა იყვეს, არც შური. აქ ცდაა. მტრებმა სცადეს, რას იზამენ მეითი და აბბასა, რა მარიფათს გამოიჩინენ, რა ძალასაო. იქნებ ამით მათი გამოწვევაც უნდათ მტრებსა, რომ სისხლის მოთავენი მეითი და აბბასა გახადონ.

— მაგრამ, არა უშავს რა. ამით მტრებმა თავიანთი თავი გასცეს კიდევაც. — ამბობდა მეითი.

მამასახლისმა საქმე გამოიკვლია. აღმოჩნდა, რომ მახმუდა იმ ღამეს ბინაზე იყო. მეითის მწყემსებმა თითონ ჰნახეს. დილით გზირმა მახმუდა ბინიდან ჩამოიყვანა. მართალია, სოფელში ისეთებიც იყვნენ, რომელთაც მახმუდა წინა საღამოთი სოფელშიც ჰნახეს, მაგრამ ამ მოწმეებმა თავი არ გაამხილეს. ეს ამბავი მეითის ყურამდის მივიდა, მაგრამ ვერავის ათქმევინა. სოფელმა ისეც მახმუდას დაუჭირა მხარი.

საღამომდის იყო მახმუდა სოფლის კანცელარიაში დატუსაღებული. მერე გაანთავისუფლეს. ერთი ძაღლის გულისათვის მახმუდას მაინც და მაინც დიდად არ დასჯიდნენ, დატუსაღება და საქმის გადიდება კი უფრო გააბრაზებდა. ამაში ხეირი არაფერი იყო. ამიტომ სიძე-სიმამრმა საქმის მიფუჩეჩება ირჩიეს.

— გაანთავისუფლე მამასახლისო, ტუსალი. ეტყობა ეგ არ ყოფილა ჩემი დუშმანი.—უთხრა აბასამ მამასახლისს კანცელარიის წინ.

— მაინც და მაინც ერთი ძაღლისათვის კაცს ხომ ვერ ~~ბანაკს~~ დაუშატა სიტყვა მეითიმ.—მართალია ზოგი ძაღლი კაცსა სჯობიან, მაგრამ გვიპატრობია.

ეს სიტყვები მახმუდას სილასავით მოხვდა. ძაღლს დაადარეს, ძაღლის უარესი განადგეს და თანაც მოწყალება გაიღეს. იმ წუთს დამცინავ მტრების წინ ხელცარიელი იდგა, თორემ არას დაჰხედავდა და თავის წადილს აისრულებდა. დრო და საბაბიც კარგი იყო.

მამასახლისმა ხელი ჰკრა და გააგდო:

— გასწი. მოგვწორდი. თვალით აღარ დამენახო.—დაუყვირა.

პირდაპირ ბიძასთან წავიდა მახმუდა.

მოხუციც აღელვებული დაუხვდა. დღეს სოფელში არ გასულა. მახმუდას საქმეს შინიდან ადევნებდა თვალ-ყურს და საშველს საზრისობდა. ძმისწულის დანახვამ გაახარა, მაგრამ მაინც პირქუში დაუხვდა.

— ნახე რას მიშვრებიან შენი ძმის, დალი ახმადას შვილსა?—მორჩილებით უთხრა გაბრაზებულმა მახმუდამ.—ძაღლთან ბარიბარ განხადეს. კიდევ რას ვუცადოთ?

სასაყვედურო განა არა ჰქონდა მახმუდას? ბიძა მოქმედების ნებას არ აძლევდა. სხვა ნათესავეებთან მოლაპარაკებას დაჰპირდა და ჯერ კი არაფერი სჩანს. ძმები მომხრეები ჰყვანან, ბიძაშვილებიც. ახალგაზრდობა-ნათესავეებიც, სოფლის ტოლებიც მხარს აძლევენ. ერთი-და დარჩა მამიდა—დედით ბიძა და სეიდ სოიუნა, დედის დისწული. მართალია, ნათესაობაში ესენი უფროსები არიან, მაგრამ ამათ ხომ არ უნდა გააკეთონ საქმე. მოქმედება მისი საქმეა, ძმების და ბიძაშვილების. კოჯას აზრისა ეშინოდა მახმუდას. მტრის გაჩენისა ის მუდამ წინააღმდეგია.

— ისევ შენი ბრალია, მახმუდ!—უთხრა კოჯამ.—ხომ გითხარ, ბრთხილად იყავ და მოითმინე მეთქი. ძაღლი რათ მოუკალ?

— ძაღლის მოსაკლავად არ მივსულვარ იქა: დამედევნა და მოვიგერიე არც კი ვიცოდი, თუ ძაღლი იმათი იყო. შენ ეს მითხარ, ეხლა როგორ მოვიქცე!? კოჯამ ხმა არ გასცა. თავის პატარა შვილს დაუძახა და ბიძია მამუდას მოსაყვანად გაჰგზავნა.

მამუდას სეიდ სოიუნაც მოჰყვა.

— მამუდ!—უთხრა კოჯამ.—აი შენი დისწულის საქმე მოვაგვაროთ როგორმე. რჩევასა გვთხოვს როგორ მოვიქცეო? თითონ რომ ჰკითხო, სისხლს აპირებს.

კოჯა სოფელში წლოვანობით ყველაზე უფროსი იყო—უკვე სამოცი წლისა. ამ ხნის ადამიანი ამ მხარეს იშვიათია: უკურნებელი მალარია ადამიანს დიდი ხნის სიცოცხლეს არ აძლევს. კოჯა კი შერჩა სიცოცხლეს. თეთრი წვერი და ხშირად დანაოქებული სახე ჰქონდა; თვალები—სინათლე გამოლეული და ცრე-

მლიანი, სოფელში—დიდი პატივი, ნათესაობაში კი ხომ უფრო მეტი: უიმისოდ არა კეთილებოდა რა.

მამედამ შეხედა დისწულს და უთხრა:

მარტო მუქი

— ჩვენს სოფელში, ან ბორჩალოში ქალი გამოიღობს, გულისათვის მთელი ნათესაობა სისხლის საქმეში გინდა ჩარიო?

— მარტო ქალი არ არის საქმე. — უპასუხა მახმუდამ. ფეხზე იდგა. გვერდით ახალგაზრდა ბიძაშვილები ედგნენ. მოხუცებულები ტახტზე იყვნენ მოკეცილნი.

— მაშ რა არის?

— ისა, რომ აბბასამ ყველა დაამცირა.

— ბიჭო, ქალი იმისია! ვინცა ჰსურს, იმას მიათხოვებს. ჩემი რომ იყვეს ქალი, მეც ეგრე მოვიქცეოდი.

— მართალია. ქალი მამისაა და თავის ნებისათ გაათხოვებს. ყველა თავის ხეირს ეძებს. მაგრამ მე კიდევ ის ქალი ჩემთვის მინდა. ეგეც ჩემი ხეირია.

— მაშ რათ ამზობდი, საქმე ქალი არ არისო?

— ეხლაც მაგას ვიტყვი. მეითი მე ხომ არ მჯობია. აბბასამ კი მას სიმდიდრისათვის მისცა. მეითიმ მე ფულით მაჯობა. მაშ აბბასამ გაგვყიდა და მეითიმ გვიყიდა—მარტო მე კი არა, მთელი ნათესაობაც.

— მაშ როგორ გინდა მოიქცე?

— როგორც ყველა იქცევა, ვინც ჩემს დღეშია. შენ ხომ მოტაცებული ქალი გყავდა ცოლად, ბიძია კოჯასაც.

— მაშ შენ ქალის მოტაცება გიღევს გუნებაში?

— მარტო მოტაცება კი არა, ჯავრის ამოყრაც. ვინც ფულით მაჯობა, მე ვაყვაცობით უნდა ვაჯობო. დღეს ძაღლის ბაღალი გამხადეს.

— მართლა-და, არც ეგრე იქნება ლაპარაკი, მამედ, როგორც შენ ლაპარაკობ!—სთქვა სეიდ სოიუნამ:—აბბასამ არად ჩაგვაგდო, არც მე, არც ქევხა მამედა. შენი დედაკაციც უარით გამოისტუმრა იმისმა ცოლმა. ეხლა მართლა, რა გახდა მეითის ფული?

— აბბასას მეითიმ მეტი მისცა და იმიტომ გვითხრა ჩვენ უარი. ქალი დოვლათიან კაცს მიჰყავს. იქ ურჩევნიან ქალსაც. აბბასაც მამაა და თავის ქალის სიკეთე სურს, რა გაკვირვებს? განა აგრე არ ვაძინებთ ქალებს? შენ თითონ ეგრე არ გაათხოვე ქალი?—უპასუხა მამედამ.—შენც მიეც იმდენი, რამდენსაც მეითი აძლევს და იქნებ მოგათხოვოს. უთხრა მახმუდას.

— სად მაქვს იმდენი? ქებინს მეითი ას თუმანს უწერს. მეც დაუწერ. მაგრამ საქორწილოს იმდენს აძლევს, რამდენიც მე ცხვარი მყავს.


— ეხლა გვიანდაა.—სთქვა სეიდ სოიუნამ.—აბბასამ უკვე მისცა პირობა.

— მაგას არა უშავს რა. პირობა შეიძლება დაირღვეს.—სიტყვა ჩაურთო კოჯამ.

კოჯა აქამდის ჩუმად იჯდა და სხვების ლაპარაკს უგდებდა ყურს.

— ჰო, მაგრამ... თუნდაც რომ დაარღვიოს პირობა აბბასამ, მაგდენი ფული მე სად ვიშოვნო!

— ძნელი არ არის. ქებინი ასი დაუწერე. თუნდაც მეტი. რაც საქონელი უნდა მისცე აბბასას, იმას ჩვენ მოვიხერხებთ. შენს ქორწილს კი ჩვენ გადავიხდით, ნათესავები—უთხრა კოჯამ.



— იცოცხლეთ. მაგრამ რომ არა გამოვიდეს რა?

— ეგ მაშინ ვიფიქროთ, თუ არა გამოვა რა. ათ თუმანს მე მოგცემ. ხუთი მიჩუქებია, ხუთი სესხად გქონდეს. მამედაც შემოგეწევენ სოიუნა. ასი სული ცხვარი გყავს. ცოტა ამას მოაკელი, ცოტაც გხინარჯე, შენით იშოვნე.

— სამი ძროხა მე მომიცია შენთვის.— უთხრა მამედამ:— რაკი კოჯა ამბობს, რა გაეწყობა. თუ შეიძლება, გადამიხდი.

— ათი ცხვარი ჩემგან მიიღე.— დაუმატა სეიდ სოიუნამ:— ხუთი შენი იყოს, ხუთი გადამიხადე.

მახმუდასათვის საშინელება იყო, რასაც ბიძები ეუბნებოდნენ. თავით ფეხამდის ვალში უნდა ჩამძვრალიყო. შიგ ჩაიხრჩობოდა და ვერ ამოვიდოდა. ეხლავე მთლად უნდა გალატაკებულიყო. იმდენი ვერც მოგროვდებოდა, რომ აბბასა დახარბებულიყო და მეათისთან პირი გაეტეხნა. მეითის მხოლოდ საქორწილო ფულისათვის ხომ არ აძლევდა ქალს. მეითი მდიდარი იყო და ქალს კარგად შეინახავდა. ბიძების რჩევას რომ აჰყვეს მახმუდა, უარესად გალარიბდება, აბბასამ ეს განა არ იცის! არ მისცემს ქალს.

თითონ მახმუდას უფრო იოლი გზა ჰქონდა არჩეული— ან მეითის მოკვლა, ან ქალის გატაცება. თუ ქალს მოიტაცებს, აბბასა მაშინ ცოტასაც დასჯერდება, რადგანაც ქალი უკვე მახმუდასი იქნება. ბიძების რჩევა კი მტრისასა ჰგავდა.

მართალია, აბბასა თავს არ შეირცხვენს და ქალს შხითევს გამოატანს, მაგრამ ვინ იცის რა იქნება ეს შხითევი? ამით ვალს მაინც გაისტუმრებს? ტანისამოსი და ნივთები რომ გამოატანოს, რა გამოვა! კიდევაც რომ დაჰფაროს შხითევი ვალი, მახმუდა მაინც ვერ ამოვა ვახშიდან. ახლა ცოლის მოვალე გახდება და ცოლს ხომ ყოველთვის შეუქლიან თავისი შხითევი მოითხოვოს! ან რათა ჰგონია კოჯას, რომ აბბასა პირობას დაარღვევს? ასე რომ მოხდეს მახმუდამ ორჯელ მეტი უნდა მისცეს აბბასას, უნდა დაახარბოს.

— თქვენ იცით.— უთხრა უფროსებს მახმუდამ.— მაგრამ აბბასა ქალს მაინც აღარ მომცემს. მტრობა გავუწიე. ძალლი მოვუკალი. არ ვიცი ბიძა კოჯას რის იმედი აქვს.

— ვნახოთ. ხვალ მე თვითონ მოველაპარაკები აბბასას.— სთქვა ბიძია კოჯამ.— ნამდვილ პასუხს გავიგებ.

ეს მეორედ გამოვიდა მახმუდა ბიძის სახლიდან დაღონებული და ხელშეკრული.

შეუძლებელს აპირებდა კოჯა. აბბასა ეგრე აღვილად ვერ გასტებს სიტყვას. თუ გასტებს, მტრობა მაინც არ დაირღვევა. უფრო გამწვავდება. მაშინ მეითი აბბასასაც გადაემტერება და მახმუდასაც. ■

შინ გული აღარ უდგება მახმუდას. ცხვარში ყოუნა ეზარება. ეს ცხვარი იყო მისი სიმდიდრე და უბედურებაც, ეხლა ჰქონდა უდიდესი გასაჭირი და ეს სიმდიდრე კი ვერ გამოდგა.

უთავბოლოდ დადიოდა ხან სოფელში, ხან ბოსლებზე, ხან ქალებში. კოჯას პასუხის ლოდნაში აღამებდა დღეს. იცოდა კი, რომ საქმე სხვაფრივ ვერ

ვათაედებოდა თუ არ ქალის მოტაცებით. მოტაცება კი ადვილი იქნებოდა, თუ ქალი თანხმობას ეტყოდა. ქალისაგან კი მახმუდამ არაფერი იცოდა. ეხლა ამ ხეტიალში ნხოლოდ იმას ჰფიქრობდა, თუ როგორ გაეგო იმისი ჰქონდა თუ უნდა მოესყიდნა ქალის გული?

კიზხანუმას კი თავისი ბედი ვერ გადაეწყვიტნა. მამამ შეითის მისცა მისი თავი. რასაკვირველია, შეითი სჯობდა: მდიდარი იყო. ნხოლოდ მეორე ცოლად მისვლა კი სწყინდა. შეითი ორთაშუა გაიყოფა. მახმუდასი კი მარტო თითონ იქნებოდა საკუთრება და იმასაც მარტო კიზხანუმა დაიჩემებდა. მოწონებით კი ორივენი მოსწონდა. ამხანაგებიც ზოგი მახმუდას ურჩევდა, ზოგი შეითს.

როგორც ახალგაზრდა ბიჭები გაიყვნენ ორად სოფელში, ქალებიც ისე დაბანაკდნენ. კიზხანუმას ხან ერთის ძაგება ესმოდა, ხან მეორესი. მაგრამ აქაც საზომი ისეთივე იყო, როგორც თვით ზომავდა და გადაწყვეტი ვერა ენახა რა. ეუბნებოდნენ, — შეითის ცოლი ავი დედაკაცია და დაგამწუხარებსო. მაგრამ ზოგი ამხანაგი ამბობდა: მდიდარი ქმარი ყოველთვის მოარიგებს ცოლებს. იმისთვის ადვილია ორივეს ერთნაირი პატივი სცეს, ერთნაირად დაასაჩუქროს და ცოლებს სადაო არაფერი ექნებათო. ზოგი ამხანაგი კი ირწმუნებოდა — ავი დედაკაცი ქმრის ხელში ჩავდებას მუდამ მოახერხებს და მეორე ცოლს დასჩაგრავსო. ღვინის სმა, შეითის რომ ჰყვარებია, მთლად აფრთხობდა კიზხანუმას. ჯერ მთვრალი კაცი არც კი ენახა, მაგრამ რაც მთვრალის შესახებ გაეგონა, ისიც საკმაო იყო, რომ მისი გული დაეფრთხო. ეგონა მთვრალი შეითი ღამე დამახრჩობსო.

ყველაფერი ეს ანგარიშს ურევდა და არ იცოდა, გულით მისდევდა შეითის, თუ უგულოთ.

კოჯამ სიტყვა გასტეხა და აბბასასთან მოსალაპარაკებლად მეორე დღეს არ მივიდა, არც მესამე და არც მეოთხე დღეს. მხოლოდ მეხუთე დღეს ეწვია აბბასას.

მოხუცს თავისი მოსაზრება ჰქონდა, საქმეს რომ აგვიანებდა.

თითონაც კარგად იცოდა, რომ აბბასას ეხლა ვეღარ დაიყოლიებდა. თავის ძმისწულს კი იმიტომ ურჩია, რომ დრო მოეგო, დრო გაეჭიანურებინა. იქნებ რამე მოხდეს, ან მახმუდა დამშვიდდესო.

წინდაწინვე იცოდა, რომ აბბასას პასუხი უარი იქნებოდა და იმიტომ საქმეზე არც პირდაპირ დაუწყო ლაპარაკი. საუბარში მოხერხებულ დროს ელოდებოდა, რომ სიტყვა ჩამოეგდო. ამის საბაბი თითონ აბბასამ მისცა.

— შენს ძმისწულს უთხარ, ცუდად ნუ იქცევა. რათ მომიკლა ძალლი?

— ძალლი იმას არ მოუკლავს, აბბას! ჰუიცავს, ჩემი ხელის საქმე არ არისო.

— ვიცი, რაც არის, შენი ძმისწული. ძალი ახმადას შვილია, კი არ გეწყინოს.

— რა უნდა მეწყინოს, აბბას. მაგრამ შენც ვერ მოიქეც კარგად. თუ უარი გინდოდა გეთქვა, ცოტა სხვანაირად უნდა მოქცეულიყავი. გეთქვა, ჯერ არ ვათხოვებ-თქო. დამშვიდდებოდა. სხვა ქალზე დაიჭერდა თვალსა. ეხლა კი

გააცეცხლე ბიჭი. აშკარად დასჩავრე იმით, რომ სიღარიბით დაიწუნე და მდიდარი ირჩიე.

— რას ამბობ, კოჯავ! ვისაც ჩემი ქალი მოეწონოს, იმეს მიშეთ... მე ჩემი საქმე უკან დავწიო?! ან თქვენ თითონ როგორ მთხოვდით ქალსა? მენც ხომ იცი, შენს ძმისწულს ქურდის სახელი აქვს.

— რა ვუყოთ რომ აქვს. სადღაც ერთი შემთხვევა მოუვიდა და იმის გულისათვის მართლა ქურდი ხომ არ არის. ისიც ჯეელობით იყო.

— მართალია, მაგრამ ის ერთიც საკმარისია. თანაც ღარიბია. რითი უნდა აცხოვროს ცოლშვილი?

— შენც ერთ დროს ღარიბი იყავ, მაგრამ ეხლა სოფელში კაცი არა გჯობიან. ისიც შეიძენს. ეგრე ხომ არ დარჩება.

— რათ ვუცადო მაგის გამდიდრებას, როცა მდიდარი მზათა მყავს?

— მარტო სიმდიდრეა ახლა საქმე? იქნებ ქალსაც მოსწონს.

— ახლა ქალისათვის მაკითხვინე ჰკუა.

— რათ ამბობ მაგას, აბბას. მე კი გამიგია, რომ შენს ქალს ჩემი ძმისწული მოსწონს.

— ვინ გითხრა, ტყუილია!

— ტყუილი კი არ არის, სოფელში ლაპარაკობენ. გინდ ეხლავე შენთან ვკითხო ქალსა?

— შენ იცი—უპასუხა კოჯამ.

აქეთ სწორედ ამ აზრით მოდიოდა კოჯა—როგორმე გაეგო ქალის გუნება. თუ ქალი თანახმა იქნებოდა, კოჯავე თითონ მოუწყობდა ხელს მის გატაცებაში.

მამის ძაბილზე თავ-ჩაღუნული და ფეხ-აკრებით შევიდა კიხხანუმა ოთახში და კარებთან გაჩერდა.

მამამ შეხედა და უთხრა:

— აი, ძია კოჯა მოვიდა და შენს თავს თავის ძმისწულისათვის მთხოვს. შენ რას იტყვი?

ქალი ჩუმად იყო.

— გაჰყვები ცოლად დალი ოღლისა? სოჭვი, ნუ გეშინიან.

— არ ვიცი.—წაიჩურჩულა ქალმა.

— მაშ ვინ იცის?

— შენ იცი.

— მეითის წაჰყვები ცოლად?

— არ ვიცი.

— მაშ ვინ იცის?

— შენ იცი.

— გასწი.—გაისტუმრა მამამ ქალი.

— აჰა, ხომ ჰხედავ. განა შენ არ იცი, რომ ამისთანა საქმე ქალს არ უნდა ჰკითხო. რა ესმის!

— არა, აბბას, ქალი თავის გულის ნადებს ეგრე ადვილად არ გეტყვის.

IV



აბბასამ პირობის დარღვევაზე ცივი უარი სთქვა, ეხლა უკანასკნელი იმე-
ლიც გადუწყდა მახმუდას. სამაგიეროდ ხელები გაეხსნა.

ბიძებმა სისხლის დაღვრა აუკრძალეს. არა ჰსურდათ, რომ სისხლის, მტრო-
ბის პასუხისმგებელი მთელი ნათესაობა გამხდარიყო. ეხლა ერთად ერთი გზა-ლა
დარჩა—ქალის მოტაცება. მაგრამ ეს ადვილი საქმე არ იყო.

აბბასას ქალს სახლიდან აღარ უშვებდნენ. ლობესაც არ გააცილებდნენ
ხოლმე. სოფელმა უკვე იცოდა მახმუდას გადაწყვეტილება. დიდი ამბავი უნდა
დატრიალებულიყო. ძალით მოტაცება ქალისა, მის უნებურად, იშვიათი და
ძნელი საქმეა. ქალის ნათესაობა და მთავრობაც ფეხზე იდგნენ.

აბბასამ და მეითიმ ფრთხილობა დაიწყეს. მართალია, მახმუდას გიჟური
საქმე ედო გულში, მაგრამ სიფრთხილე უფრო მეტად იყო საჭირო. აბბასას
შვილები შეიარაღებული ჰყავდა. მეითი ქორწილს ჩქარობდა. მაგრამ სიმამრი
აყოვნებდა: მზითვევი არა ჰქონდა შხათ.

ერთბაშად მახმუდა სოფლიდან გაჰქრა. საღ წავიდა, არავინ იცოდა. სო-
ფელში ხმა გავარდა, მახმუდა გადიკარგა, აქაურობას მოშორდაო. მისი ამხანა-
გები ავრცელებდნენ ამ ხმას: აღარ მოვა, გადასახლდაო. ზოგი კი ამბობდა, ყა-
ჩალად გავიდაო. ამის პირველი მთქმელი მეითი იყო. მახმუდას ყაჩაღის ხმა
დაუფარდებია, მთავრობა დაუწყებს დევნას. შემდეგ საღმე რომ მოხდეს ყაჩაღობა,
მახმუდას დაჰბრალდება, დაატუსაღებენ, გადაასახლებენო. მაგრამ ყაჩაღობისა
არსად არა ისმოდა რა არც იალღუჯის მთებში, არც ბინებზე, არც გზებ-
ზე. იმ ხანად ქათამიც კი არ დაკარგულა სოფელში. მახმუდას მომხრეები
ფხიზლად იყვნენ, რომ მას არაფერი დაჰბრალებოდა—თითქმის მთელ სოფელს
ყარაულად დაუდგნენ.

ახლად დაბინდებული იყო. სოფელმა ის იყო ჩაიძინა, როცა ქალაში ორი
თოფი გავარდა. სოფელმა ყურები სცქვიტა. ძაღლებმა ყეფა დაიწყეს, მაგრამ
ყველა მალე დამშვიდდა. განა მწყემსები ცოტას ისვრიან ნადირის დასაბრთხო-
ლად! იქნებ მონადირეც იყო.

ზამთრის უმთვარო და წვიმიან ღამეში სოფელს მშვიდად ეძინა. მხოლოდ
არ იყვნენ მშვიდად მახმუდას დედა, რომელსაც შვილის ამბავი აწუხებდა; მეითი—
რომელიც მახმუდას დაკარგვამ დააფიქრა, და კიზხანუმა: თუმცა მისი ბედი
მის და უნებურად გადასწყდა, მაგრამ ჯერაც არ იცოდა ვისი ცოლი გახ-
დებოდა. ეს სოფელშიაც ჯერ ბევრისთვის იყო საეჭვო. ბრძოლა ჯერ კიდევ არ
გათავებულა. მახმუდას დაკარგვამ ხომ მთლად აურიო გონება. დიდი ხანია მის
ყურამდის ხმა მივიდა, მახმუდა მოტაცებას რომ უპირებდა.

ამ ფიქრებით ახალი ჩაძინებული იყო, როცა ეზოს ძაღლმა ყეფა დაიწყო
და დერეფანში ხმაურობა გაისმა.

კიზხანუმა წამოჯდა ლოგინში, თვალები დააქვიტა, ყური მიუგდო. წელან-
დელმა თოფის სროლის მოგონებამ მის თავში ერთბაშად გაიელვა. მამამ აკი
სთქვა, მწყემსები ისვრიანო—გაიფიქრა ქალმა. მისმა დაშინებულმა გონებამ ეხ-

ლანდელი ხმაური და წელანდელი სროლა ერთმანეთს სწრაფად დაუკავშირა.

— ალბად მახმულაა... ამხანაგებით...

ჩაძვრა საბანში, თავი ბალიშში ჩაჰყო და გულის ძგერიტყვას დაელოდა, ებლავე შემოამტვრევინ კარებს, დაავლებენ ხელს... თავის მკლავებზე დასწვლზე იგრძნო კიდევ ვაჟკაცის ხელი.

დერეფანში ვილაც გავიდა. რალაც აჩქარებული ლაპარაკი ისმოდა. მამის ხმა იყო. მერე ყველაფერი დაწყნარდა. ხმაურობის გათავებით კიზხანუმას გული დაუმშვიდდა, მაგრამ საბნიდან ამოდრომას მაინც ვერა ჰბედავდა.

სახლის უკან, გზაზე, გაჭენებულ ცხენების ფეხის ხმა გაისმა. სახლიდან ვილაც, სადღაც გაეშურა. მეორე ოთახში კი დედმამის ლაპარაკი მოესმა. უმცროსი ძმა ცხარობდა, სადღაც წასასვლელად იწევდა, მაგრამ არ უშვებდნენ. კიზხანუმამ ამ ლაპარაკში მხოლოდ ორი-ოდუ სიტყვას მოჰკრა ყური: საქონელი... ყაჩაღები... მოიტაცეს.

ქალი დამშვიდდა. რაც მოხდა ამ წუთში, მას არ ეხებოდა. სადღაც იყო... შორს.

მთელი სოფელი აყაყანდა. კაცები გამოიშალნენ. მეითი ქალისკენ მიაჭენებდა ცხენს. თან მისდევდნენ მოჯამაგირეები, აბბასას უფროსი შვილები და მეგობარი აღაღარები.

შუალამისას ერთმა მწყემსმა შეატყობინა, რომ პირველ დაღამებისას, ქალაში საქონელს ყაჩაღები დაეცნენ, მწყემსები გათოკეს და საქონელი გაირეკესო.

ამბის მომტანი მწყემსი შინ იყო და როცა ქალაში ჩავიდა, გათოკილი მწყემსებიღა ჰნახა. ხელები დაუხსნა. მწყემსები კვალს გაჰყვნენ, თითონ კი მოამბედ წამოვიდა.

მეითი ეხლა მდევრად მიდის.

ათი შეიარაღებული ცხენოსანი სოფელზე მიჰქრის და ხალხს აღვიძებს. მდევრისა მხოლოდ გაქროლება იყო საჭირო და სოფელს უკვე მოედო ამბავი. გარედ გამოსული ხალხი თავს იქნევდა, რამდენი ხანია ამ არემარეში არა მომხდარა რა. ეხლა ისევ დაიწყო?

სოფლის დუქანთან ხალხი შეკრებილიყო და ყაყანებდა. მდევარს ვილაცა გადუდგა წინ და შესძახა:

— რა ამბავია? საით მიდიხართ?

მეითიმ ცხენიდან გადმოჰხედა, და, დაკვირვებულმა, ხმა ველარ გასცა. მახმულა იყო, ორი კვირის დაკარგული მახმულა. მაგრამ მეითის ეხლა ამ გასაკვირალ საქმისათვის არ ეცალა. ეხლა ყველაზე საჭირო სიჩქარე იყო. მხოლოდ სიჩქარე და კვალდაკვალ მიყოლა იხსნიდა მის საქონელს, მის ქორწილს და კიზხანუმას. მხოლოდ ეს სიჩქარე იხსნიდა მას სირცხვილისაგან.

ქალაში ობლად იდგა ორიოდუ ძროხა. თითქოს ისინიც გაკვირვებულნი არიანო, ზანტად იცოხნებოდნენ და კუდებს იქნევდნენ. პატარა მწყემსს ხელები უბეებში ჩაეწყო, ილღიაში სახრე გაეყარნა და გულ-ხელ დაკრეფილი ისიც ძროხებსავეით უაზროთ იდგა და, დაღონებული, ისე ჰყარაულობდა ნარჩენს, თითქოს ეს ყარაულობა საჭირო აღარც კი იყო.

- ბიჭები რა იქნენ?— შეჰყვირა მას მეითიმ.—
- კვალს გაჰყენენ.— უპასუხა პატარა ბიჭმა.
- ვინ იყვნენ?
- რა ვიცი. აქაურები არ იყვნენ.
- როდის დაგესხნენ თავს?
- ახალი დაღამებული იყო. ორი გვესროლეს და მერე შეგვეკრეს.
- რისთვის მოგეცით იარაღი თუ ვერ მოიხმარებდით?!— შეუყვირა მეითიმ.—
- მოგვეპარნენ. ვერ გავიგეთ. თოფები დაგვიღერეს.
- საით წავიდნენ?
- იქით გარეკეს, რიყისაკენ.— ხელი გაიქნია პატარა ბიჭმა.



საქონელი
საქონელი

ასეთი მოწყვეტილი და აჩქარებული ლაპარაკით რისამე გაგება შეუძლებელი იყო. სხვა რამის ცოდნა ამ ქამად არც საჭირო იყო. უმთავრესი უკვე იცოდა მეითიმ და ეს პატარა ბიჭი ახალს ველარას ეტყოდა: ცხენი გააბრუნა, მათრახი დაჰკრა და გააჰენა. ცხენების ფეხის ხმამ ლამის ჭალა გააღვიძა.

ცისკიდურზე მთებს თეთრი და ვიწრო ზოლი გადაეკრა. განთიადის სიომ დაუბერა და სიცივემ მოუმატა. ორი საათის შემდეგ მზე გამოჩნდებოდა, გზა განათდებოდა და კვალი ადვილი საპოვნელი იქნებოდა.

მეითი საზრისობდა. უნდა მიხვედრილიყო, თუ ვინ იქნებოდა ამ საქმის ჩამდენი. მარტო მდევრებით არაფერი გამოვა. უკვე შვიდი საათია გასული, რაც საქონელი გაიტაცეს. ყაჩაღები უკვე დიდი მანძილის გავლას მოასწრობდნენ. დასვენებული, ნასუქი საქონელი, სიჩქარით გარეკილი კარგად ივლიდა. ეხლა ფონს უკვე გასული იქნებიან, ბორჩალოს სამხლვრებს გაცილებულნი. სხვის ქვეყანაში რისამე გაგება ადვილი საქმე არ იქნება. იქაურები თავისიანებს შხარს დაუჭერენ. თუ ამალამვე ვერ მიატანა კვალს, ხვალ საქონელს ისეთ ადვილას დაჰმალავენ, რომ პოვნა შეუძლებელი გახდება. მაგრამ ვინ იქნებოდა? ყაჩაღები? ეხლა ყაჩაღად გასული რომ არაფინ არის? ვილაცამ შეათვალაიერა ჭალაში საქონელი და გაიტაცა. ვინ არის ასეთი გაბედული, რომ ამ წვიმაში, სველ დედამიწაზე, თხუთმეტი სული საქონელი, წერილი და მსხვილი, დაილაღა და გაჰრეკა?! კვალი ხომ ადვილად დააჩნდება დედამიწას. უბრალო ქურდი, გინდა ყაჩაღი ამას ვერ გაჰბედავდა. მაშ ვინ არის? დუშმანი?— ჰფიქრობდა მეითი.— დუშმანი?

მდევრის წინ მდვრიე მტკვარი გაიშალა. მისი მდინარეობის ქვემო ნაწილი დაცემულ, ბუჩქნარს ჭალებში გაფანტულიყო. ცის გაცრეცილ ფერზე შავი ზოლივით იყო, მდორე და პირქუში. ხალა და ბუჩქნარი თავის შრიალს მდინარის ჩუმ შხუილს უერთებდნენ.

მტკვრის დანახვამ მეითის ფიქრებს გეზი შეუცვალა.

მაინც და მაინც აქეთ რად წამოვიდა! გზაზე კვალს რატომ არ ბევირდებოდა? რა იქნენ მწყემსები, წელანვე რომ დაედევნენ? ისინი ხომ ქვეითით მოდიოდნენ და კვალს გაჰყვებოდნენ. ისინი ხომ უკეთესად იპოვნიდნენ კვალს! მაშ მწყემსმა რად ჩააგონა მტკვრისკენ წამოსვლა? რატომ წითელი ხიდისკენ არ წავიდა? რად ეგონა, რომ ყაჩაღები საქონელს უეჭველად ფონში გაიყვანდნენ? იმიტომ, რომ ხიდი შორს არის და მტკვარში გასულა ეხლა ადვილია. ხიდის გზა-

ზე კი მდევარი ადვილად დაეწეოდა. დუშმანი? ვინ არის დუშმანი! — ისევ წელან-
დელი ფიქრები მოუვიდა. მაგრამ ფიქრი ცხენის ფეხის ხმაზე შეწყვიტა. უკან
ვიღაც მოსდევდა და უძახდა:

— აქეთ, ალავ, აქეთ! — ერთი მისი მწყემსი იყო. — აქეთ! საქონელი ხიდის-
კენ არის გარეკილი. კვალი ვიპოვნეთ.

ხიდისკენ? ასე შორს? განა ფონში გასვლა არ ერჩივნათ ყაჩაღებს! ყაჩაღე-
ბი, ქურდები, ზამთარში მუდამ ფონში გადიან. ამ დროს ცოტა წყალია.

მაგრამ სიტყვა დუშმანი თავში ჩაუჯდა და არა ჰშორდებოდა.

— მახმუდ! იმან მომტაცა საქონელი? დუშმანია მახმუდა. მაგრამ მახმუდა
ხომ ეხლა სოფელში იყო. როგორ მოიტაცებდა!

ერთბაშად გონება გაუნათლდა. შუბლში ხელი გაირტყა, ცხენს პირი სოფ-
ლისკენ უყო და დაიძახა:

— მახმუდ! ქოფაოლლი, მახმუდ! დონღუზოლლი.

მდევარი ორად გაჰყო: მწყემსები საქონლის კვალს გაატანა, აბბასას შვი-
ლები და ალაღარები კი თითონ წაიყვანა და სოფლისკენ წავიდა.

მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

მახმუდამ გააცრუა. განა არა, ის მწყემსი, რომელმაც საქონლის გატაცე-
ბის ამბავი პირველად მოუტანა, ექვში ჰყავდა, მახმუდას მეგობრად მიაჩნდა,
და განა მარტო ის მიაჩნდა მახმუდას მეგობრად?! სხვა მწყემსებსაც ნაკლებად ენ-
დობოდა. ყველა ღარიბს და მოჯამაგირეს ხომ იმისი მხარი უჭირავს.

მახმუდამ საქონელი სხვას გაატაცებინა. იქნება ყარაიელებსაც გაატანა,
იქნება ყაზახელებსაც. ამიტომ იყო ორი კვირა დაკარგული. თითონ კი სოფე-
ლში დაბრუნდა. განგებ დაენახვა წელან და განგებ დაეხმაურა მდევარს. გან-
გებ იდგა დუქნის წინ, სასოფლოზე. ქვეყანა იქნება მოწმე, რომ საქონელი ქა-
ლაში გაიტაცეს და ამ დროს მახმუდა სოფელში იყო. — მერე თითონვე შეატ-
ყობინა ამბავი თავის მომხრის პირითა. ყველაფერი ეს მოწყობილია. საქონლის
მოტაცება უმთავრესი მიზანი არ არის მახმუდასი. მისი სურვილი ის არის, რომ
მეითი და მისი მეგობრები სოფლიდან გაიტყუოს, თითონ კი სოფელს დაეპა-
ტრონება. სოფლის ჯველობა მახმუდას მხარეზეა. აბბასა და მისი ოჯახი მარტო-
ნი იქნებიან. ქალს მხოლოდ მოხუცი მამა და მცირეწლოვანი ძმა ეყოლება პა-
ტრონად და მისი მოტაცება ადვილი იქნება.

სწორედ ამიტომ გალალეს საქონელი ხიდისკენ, შორ გზაზე, რომ მეითი
სოფელს დააშორონ. სწორედ ამიტომ აუბნიეს მწყემსებმა გზა, რომ დრო და-
აკარგვინონ, შორს გაიტყუონ და ისარგებლონ.

დაქანცული ცხენები ველარ მიდიოდნენ, მაგრამ მეითი ცხენებს არ იბრა-
ლებდა: დარწმუნებული იყო, რომ ქალს ამაღამვე გაიტაცებდა მახმუდა. მიდი-
ოდა მეითი და ყური სოფლისკენ ეჭირა: კიჟინის, ან თოფის ხმას ელოდებოდა

ჲ.

მეითი თავის მოსაზრებაში არ მოსტყუვდა. მახმუდას სწორედ ეს განზრა-
ხვა ჰქონდა: მეითი საქონელს გამოუდგება, სოფელს მოშორდება და ქალის მო-

ტაცება ადვილი იქნებოდა. თუ მაზრის საზღვრებს გასცილდებოდა/მეითი, იქ რამდენიმე დღეს დარჩებოდა. საქონელს თუ იპოვნიდა, მისი ბედი იქნებოდა. თუ ვერ იპოვნიდა, დიდი ზარალი მაინც მოუვიდოდა. ქალი დალი რძლის ეყოლებოდა. მერე შეარიგებდნენ: ცოტა რამეს მისცემდა ქალის მამას, მზითევს არ მოსთხოვდა და ქალი მას დარჩებოდა.

მხოლოდ აჩქარდა მეითი. მახმუდა ქალის მოტაცებას იმ ღამეს არ აპირებდა. სოფელი ფეხზე იყო, არ ეძინა. მოხერხებულ ჟამსაც ვერც ადვილად ვერ იპოვნიდა. მახმუდას იმედი ჰქონდა, რომ მეითი ბორჩალოდან გავიდოდა. რამდენიმე დღეს დააყოვნებდა იქ. სოფელი დაწყნარდებოდა. მინამ მოხერხებულ დროსაც შეურჩევდა და მოიტაცებდა. მაგრამ მეითი იმ ღამესვე დაბრუნდა და სოფლიდან აღარსად მიდიოდა. ერთ ღამეს კიდევ შიშობდა მეითი: ადვილი საქმე იყო უცხო მხარეში მისი მოკვლა. ვინ იცის, იქნება მახმუდას ამისათვისაც ჰყავს კაცები დამზადებული! აბბასამ მისი მოსაზრებანი გაიზიარა და თითონაც ფხიზლობდა.

მეითიმ საქონლის გატაცების ამბავი მთავრობას აცნობა და ორი მეგობარი გაჰგზავნა საძებნელად. სიძე-სიმამრი საქორწილოდ აჩქარდნენ. აბბასამ დაზარალებულ სიძეს ცოტა რამ დაუკლო, დიდი ქორწილის გადახდაზედაც ხელი აიღეს. ქალს მზითევი სრულად არა ჰქონდა მზად, მაგრამ მამა დაჰპირდა—მერე იყოსო.

სოფელში უკვე ხმა გავრცელდა, საქორწილო დღე ამორჩეულიაო.

მახმუდას მდგომარეობა ისევ წინანდელი იყო. ისევ ხერხი უნდა მოენახნა რამე. ლოდინი აღარ შეიძლებოდა, ერთად ერთი გზა ის იყო, რომ ქალი ყაჩაღურად მოეტაცნა: აღარაფრისათვის დაეხედნა, აღარც სიფრთხილე ეხმარნა, აღარც ხერხი—ღამე დასცემოდა თავს აბბასას სახლსა და ძალით წაეყვანა კიზხანუმა.

ერთბაშად მოულოდნელი და საკვირველი რამ მოხდა. მეითი ღამე დაატუსაღეს.

სოფელში ხმა გავრცელდა, რომ გატაცებულ საქონელს ყარაიაში ვიღაც სომეხმა თავი დაუჭირაო, სამი წლის წინათ დაკარგული საქონელი იპოვნაო. მის საქონელთან ერთად სხვის საქონელიც იყო მოპარული.

ერთ დღეს მეითის ბინები დაჩხრიკეს და ბევრი ნაქურდალი ცხვარი უპოვნეს. მეითი გაება. დაატუსაღეს და გამოძიება დაიწყეს.

ქორწილი ჩაიშალა.

აბბასაც შერცხვა: მახმუდას წუნი დასდო—ქურდიო, მისი სიძე კი ნაქურდალისათვის ციხეში ჩასვეს.

მახმუდა და მისი მომხრეები ხარობდნენ. აბბასას ყურში აგონებდნენ: მაშ რით გამდიდრდა, თუ არ მაგისტანა საქმითაო.

— ქვეყანამ იცოდა, რომ ნაქურდალი საქონელი ჰყავდა და განა აბბასას კი არ უნდა სცოდნოდა?

აბბასა დატრიალდა. სიძის დახსნა აუცილებელივსაჭირო იყო, მაგრამ ჯერ ქალი გაარიდა სოფელს და სადღაც დამალა, შემდეგ სიძის დახსნას შეუდგა.

სადაც ქრთამი სთხოვეს—არ დაზოგა, სადაც დახმარების თხოვნა იყო საჭირო—
ითხოვა. სადაც არზის შირთმევა ურჩიეს, მიართვა, ვექილებშიაც დახარჯა ფული.
მეითის დედაც არ ასვენებდა აბბასას: დამხმარე და პატრონი ჩვენს ჩემ
შვილს და შენ უნდა უპატრონოო. მეითის ცოლი ხომ აბბასას კარსაც აღარ
შორდებოდა. მაგრამ ყოველდღე ამაო გამოდგა. მეითის მაგრად ჩასკიდეს ხელი.
იმდენი ნაქურდალი აღმოაჩნდა, რომ ქურდობასა და ყაჩაღობასაც კი აბრა-
ლებდნენ. ექვსი თვე სდია აბბასამ სიძის საქმეს. თავის საკუთარი ფული და-
ხარჯა, მაგრამ თვით მეითისა კი ბევრი გასცა. დედა და ცოლი ჰყიდნენ საქო-
ნელს და აბბასას აძლევდნენ. ბოლოს მოჰბეზრდა სიძის კვალზე სიარული და
თავი დაანება. მაინც და მაინც ნამდვილი სიძე ხომ არ იყო!

აბბასას გული იმან უფრო გაუტეხა, რომ მეითის ბევრი რამ დაჰბრაღდა
—ტყვილიცა და მართალიც. ვისაც ხუთი და ათი წლის დაკარგული ჰქონდა ან
ჰყავდა რამე, ეხლა წამოეტანნენ. მეითი ერთ რამეში იყო მართალი: თითონ
ქურდი არ იყო. მაგრამ ნაქურდალის მყიდველი კი იყო. ყველა საქონელი მოწ-
მობებით ჰყავდა ნაყიდი, მაგრამ ბევრი მოწმობა ყალბი გამოდგა. მოწმეების შეგ-
როვება გახდა საჭირო. ამით საქმე გაზვიადდა. საქმეს ბოლო აღარ უჩანდა.
ხალხი კი ამბობს: „იმ სუდა დუშტი, სუია დუშტი“—საქმე სასამართლოში ჩა-
ვარდა, წყალში ჩავარდაო.

— რუსის „ზაკონი“ მეითის საქმეს ეგრე მალე არ გაათავებს.

აბბასა ყველაფერმა დააფიქრა. თუ ქურდობა ან ყაჩაღობა დაუმტკიცდა
მეითის, სამუდამოდ გადაჰკარგავენ ციმბირშიო. ამით მთლად ჩაეფუშა ქალის
გათხოვების საქმე. ეხლა თავიდან უნდა დაეწყოს. მეითისთანა კარგი მთხოვნელი
აღარავენ იყო. მართალია, რამდენიმე ახალ-გაზრდამ დააპირა ქალის თხოვნა,
მაგრამ სოფელმა ჩააჩუმა. ეს ქალი მახმუდას ბედიოა. მახმუდას მომხრეები თი-
თონ აღარ თხოულობდნენ ქალს. იყვნენ ისეთი შეძლებულებიც, რომლებიც დიდი
სიამოვნებით დაესიძებოდნენ აბბასას, მაგრამ მახმუდასი და მისი ამხანაგების
შიშით ვერა ჰბედავდნენ. ყველამ კარგად იცოდა, რომ სოფელი მთლად მახმუ-
დას მხარეზე იყო, რომ მახმუდას გადამტერება სოფლის გადამტერებას ჰნიშ-
ნავდა. განა ამ მტრობამ არ დაჰკლუბა მეითი!? ყველამ კარგად იცოდა, თუ რა
ჰქნეს მისმა მწყემსებმა საქონლის გატაცებაში.

კიზხანუმას სოფელში ბედი შეეკრა.

აბბასამ სასიძოს შოვნა სხვა სოფლებში სცადა, მაგრამ ზოგი მახმუდას
ერიდებოდა,—მთელმა ბორჩალომ იცოდა მისი ამბავი. ზოგან კი საქმე ვერ
ხერხდებოდა. შორს სოფელში გათხოვება კი არც აბბასას უნდოდა და არც ხმა
მიუწვდებოდა.

აბბასას ისევ ეწვია სეიდი.

— ეხლა რას იტყვი, აბბას? მახმუდა არ გერჩივნა სიძედ?

— რას ამბობ, სეიდ სოიუნ.! კაცმა რომ იცოდეს რომელ გზაზე წაიქცევა,
იქით არ გაივლის. ისე კი, რასაკვირველია, მეითი სჯობდა.

— მაშინაც გეუბნებოდი და ეხლაც გეტყვი—მახმუდა სჯობდა.



— კარგი. მაგას თავი დაეანებოთ. შენ ეს მითხარი, რა გაქვს გულში? რისთვის მოსულხარ?

— პირდაპირ გეტყვი. შენი ქალი ეხლა მაინც მიეცემა მახმუდას.

— როგორი კაცი ხარ, სეიდ სოიუნ! ის ადამიანი რომ გამოეცა ციხიდან, რა პასუხი მიეცე?

— ერიპა! შენ არ იცი, რომ მეითი მაგრაა ჩაბმული და ეგრე აღვილად ვერ გადაჩრება? შენ თითონაც ბევრი სდიე, მაგრამ მოგბეზრდა და თავი დაანებე.

— რათ გგონია აგრე?

— რათა? არ იცი რათა? აბა ნახე, სოფელში რას ლაპარაკობენ. ციხიდან გამოსულები ამბობენ, მეითის გადაასახლებენო.

— ეგ ყისმათის საქმეა.

— ყისმათი—ყისმათია, მაგრამ რამდენი ხანი უნდა უცადო? საქმეს რომ ბოლო არ უჩანს? აგერ ერთი წელიწადია კაცი ციხეშია და მისი საქმე ჯერ არ გარჩეულა. ერთი ხუთი წლით რომ ჩასვან, მაშინ რაღას უნდა უცადო?

სეიდ სოიუნა მართალს ამბობდა. ლოდინი აღარ შეიძლებოდა. ვისთვის ან რისთვის უნდა ეცადნა? ქალი უკვე თხუთმეტი წლისა ხდებოდა და შინ მხოლოდ მჭამელად იჯდა. მეითის, მართლაც-და, ვინ იცის, რა მოელოდდა? მოხუცი დედა, ბიძა, ცოლი ბევრსა ცდილობდნენ, მაგრამ ბებრები და დედა-კაცები რას მოახერხებდნენ! ბევრს დადიან თავ-კაცებთან, ვეჩილებთან, მაგრამ კაცის ბედი კაცისავე ხელში არ არის. ალლაჰმა იცის, როდის რა იქნება. ერთი პირობა ხმაც გავარდა ხალხში, მეითი გადაასახლესო. ამისთანა გარემოებაში ლოდინი აღარ შეიძლებოდა.

ეს ყველაფერი დიდი ხანია ივარაუდა აბბასამ.

— მაინც, რას იძლევა მახმუდა, ან რასა მთხოვს, ხომ უნდა ვიცოდე?

— თხოვნით ის არასა მთხოვს. ეგ შენი მარიფათის საქმეა. ის კი იმას მოგცემს, რაც შეუძლიან. სამი ძროხა, ათი ცხვარი, სამი ურემი შეშა, ორი ფუთი ყველი, ერთი ფუთი ერბო. ღარიბია, ხომ იცი. ამასაც ბიძები აძლევენ.

— ცოტაა. მე კარგი ქორწილი უნდა გადავიხადო. უბრალო არ შემეფერის. რასაც მეტს მომცემს, მეც მზითვეს იმის შესაფერს მივცემ.

— კაცო, შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს მე ბავშვი ვიყვე. რასაც ჩვენ მოგცემთ, ის შენ უნდა დაგჩრებს და ქალის მზითვეს კი ქალისავეა. მახმუდას მაგ მზითვესში რა ხეირი უნდა ჰქონდეს?

— რატომაც. კარგი მზითვესი ქალს დიდ-ხანს ეყოფა და ქმარს ხარჯი არ მოუფა.

— მაგას რათ ამბობ. განა სხვა ხარჯი არ ექნება. გარდა ჩაცმისა და ნივთებისა?

— ექნება. მაგრამ, ეგეც ხომ დიდი შეღავათია. ქალიც მეცოდება. ამ სახლიდან გავიდეს და მიწურში შევიდეს? სახლი მაინც აიშენოს.

— სახლს მერმე აიშენებს. ეხლა შენი ქალის საქმეში თავი აქვს დაკარგული.

— სამერეოდ რაღა გადადება უნდა? ბარემ სახლი აიშენოს, რომ ახალი

სული ახალ სახლში შეიყვანოს. ჩემი მზითვეი დაეხმარება სახლის აშენებაში—
ეს ვიცი. მხოლოდ ცოტა უნდა მოუმატოს. ქებინს რამდენს დაეხმარება?

— იმდენს, რამდენსაც შეითი გიწერდა. მაგაში ლაპარაკი არ იქნება. შენ
ას თუმანს თხოულობ, ისიც მაგას დაგიწერს.

— მაგას დამიწერს, ვიცი. ეგ ნაღდი გადასახდელი არ არის, და დაწერვა
კიდევ მოლას საქმეა.— ჩემი პირობა ასეთია: ხუთი ძროხა, ოცი ცხვარი, ყველი
და ერბო ორ-ორი ფუთი, შაქარი ერთი ფუთი და ათი თუმანი ფული. ეგ ერთი
ქალი შეავს და ქორწილი კარგი უნდა გადავიხადო.

— ეხლა შენ შენი სტუმრები მარტო მახმუდას ქონებით უნდა გააძლო?

— არა, ჩემი ორჯელ მეტი წავა. ერთი სიტყვით უთხარ ცოტა მოუმა-
ტოს. სახლი უეჭველად აიშენოს. მოელაპარაკე და უკანასკნელი შემატყობინე.
ქალი ლამაზია, კარგი ნათესავები ჰყავს. მარტო ჩემი ვაჟების დანათესავება
ღირს რამედ.

— მოველაპარაკები, მაგრამ შენც ნუ გაჯიუტდები. სახლს აიშენებს. ვალში
ნუ ჩააგდებ, ცოდოა. მერე შენი სიძე უნდა გახდეს, რათ გინდა ვალიანი სიძე?

სეიდ სოიუნამ, ცოტა არ იყოს, საიმედო პასუხი მოუტანა მახმუდას. და-
ფაცურდა მახმუდა. ახლა სხვა კაცები მიუგზავნა სასიამოროს.

გაიმართა ვაჭრობა. ცოტ-ცოტას უკლებდა აბბასა, ცოტ-ცოტას უმატებდა
მახმუდაც. მაგრამ სახლის აშენებას კი აბბასა უეჭველად მოითხოვდა: ქალის
ნათესავები აჯანყდნენ: კაცს სახლი არა აქვს და ქალსა გვთხოვსო? ჩვენთვის
სირცხვილია ჩვენი ქალი გომურში გაეათხოვოთო.

დალი ოღლისათვის სახლის აშენება ამ ეამად ძნელი საქმე იყო, მაგრამ,
ბოლოს და ბოლოს, მაინც აუცილებელი. ამიტომ გადასწყვიტა ერთი ოთახი
მაინც ჩაედგა. დედას და ძმებს ისევ მიწურში დასტოვებდა დროებით, ოღონდ
აბბასას გული მოეგო. თან იმისიც ეშინოდა, ვაი თუ ქალმა ამ უსახლობისათვის
თითონ მითხრას უარო, და სახლის შენებას შეუდგა. ბიძებმა ფული ასესხეს.
ტოლმა ბიძებმა სახლის საძირკვლის გათხრაში უშველეს. მეზობლები და მეგობ-
რები ურმებით და საქონლით დაეხმარნენ: ზოგმა ქვა მიუზიდა, ზოგმა ქვიშა
და კირი, ზოგმა ხე-ტყე და—ლარიბ კაცის ძველებურ მიწურის გვერდით ახალმა
სახლმა დაიწყო ზრდა.

ამის დანახვაზე აბბასა მოლბა. ცოტა რამ დაუკლო მახმუდას, ზოგი სა-
მერმისოდ დააცალა, თანაც ამბობდა: არის ვიღაცა, რომელიც მახმუდაზე
ორჯელ მეტს მაძლევსო, მაგრამ ჩემი ქალი მაგისი ყისმათი ყოფილაო.

ეს ყისმათი კი მაშინ გამოჩნდა, როცა აბბასამ დაინახა, რომ შეითის საქმე
უკან-უკან მიდიოდა: მის საქონელს პატრონი დააკლდა და დაზარალდა: ზოგი
მოიპარეს, ზოგი დაიხოცა. ბევრიც მისმა დედამ და ცოლმა გაპყიდეს საცხოვ-
რებლად და შეითის საქმეზე დასახარჯავად. იმ წელს მოსავალი დროზე ვერ
მოიმკო და განახევრდა. ამის შემდეგ შეითი, ციხეში ნაჯდომი, შერცხვენილი,
რასაკვირველია ისეთი სახარბიელო სასიძო აღარ იყო.

აბბასა თანახმა გახდა.

ქორწილის დღე ცოტა გვიან დანიშნეს—სახლის დამთავრებამდის.

VI



ქალის გათხოვების ამბავი მეითიმ ციხეში გაიგო. ერთ დარღნ ეხლა ესეც მიემატა. აბბასასაგან ამას არ მოელოდდა. ძალიან იყო დარღმუნებული, რომ არ უღალატებდა და მტრის ვულისად არ გახდიდა, მაგრამ სწორედ ის მოხდა, რაც მისთვის ყველაფერზე უარესი იყო. მტერმა მოსტაცა საქონელი, მისი მიზნით ციხეში ზის, დიდი ზარალი ჰნახა და ეხლა საცოლევ წაართვა—ამაზე მეტი გამარჯვება მტრისა შეუძლებელია. აუარებელი ქონება წაუვიდა ხელიდან, თავი კი ვერ დაიხსნა. „ძალიან გამოუსადეგარი რამ ყოფილა სიმდიდრე“. ბრა ზობდა მეითი ციხეში. ეხლა დარჩა ან სიკვდილი ან თავისუფლება, რომ ქალი დაიბრუნოს, მტრის ვულისად არ გახდეს. ჯოჯო-ბაყაყი რომ იყვეს აბბასას ქალი, მაინც ჩემი უნდა იყვესო. — გადასწყვიტა მეითიმ.

მისი საქმე ძალიან აწეწილი იყო.

გარემოებამ დანაშაულთა გორგლის ერთხელ აშლილ წვერს წაავლო ხელი და ამ წვერს თან ბევრი რამ ამოჰყვა, ბევრი ქურდი და ყჩაღი გამოაშკარავდა. ერთი პირობა აბბასასაც დაუწყეს სასამართლოებში ტარება—მეითის სასიმამროა და კავშირი ექნებაო. კინალამ ისიც გააბეს. ამან უფრო აუცრუა გული აბბასას მეითიზე.

ერთი წლის შემდეგ გამოირკვა, რომ მხოლოდ ნაქურდალის ყიდვა დაუმტკიცდებოდა, ეს რომ გაიგო მეითიმ, დამშვიდდა. ქალის გათხოვების ამბავმა კი გააბრაზა. დედას წერილი მისწერა: უკანასკნელი გაჰყიდე და ვეჭილებს მიეციო.

საუკეთესო ვეჭილებმა მოჰკიდეს საქმეს ხელი, აჩქარებინეს, გაჩნდნენ მოწმეები, გაჩნდნენ მოწმობები, რომ მეითი პირნათლად ყიდულობდა საქონელს, რომ მან არ იცოდა მისი ნაქურდლობა. მაგრამ მხოლოდ ერთი დასტა ნაქურდალი ძროხების ყიდვა მაინც დაუმტკიცდა. ამისათვის ერთი წელიწადი მიუსაჯეს, მაგრამ რაკი ციხეში უკვე თექვსმეტი თვე იყო ნაჯდომი, ეს დრო გამოუბარეს. და ერთ დღეს მეითი სოფელში გაჩნდა.

მეითის განთავისუფლება მოულოდნელი იყო. ხალხში ათასნაირი ხმა დადიოდა მისი გადასახლების შესახებ, ეხლა კი ველარავის გავგო, თუ როგორ დაიხსნა მეითიმ თავი.

მისმა მოსულამ სოფელი ისევ ორად გაჰყო. მტრობა უფრო გაძლიერდა. კიზხანუმაზე ეხლა ორივესა ჰქონდა უფლება. ორვენი თავისად სთვლიდნენ ქალს. აბბასასაც გაურთულდა საქმე. კიდევაც რომ დაებრუნებინა მეითისათვის ქალი, მახმუდა ეხლა იმდენს ველარ მოითმენდა, რამდენსაც წინად ითმენდა. ეხლა ქალი მისი იყო. რამდენი ტანჯვით, ვაგლახით, ოფლის ღვრით, ვალით და ვახშით ნეიძინა კიზხანუმა. ეხლა რომ ხელიდან წასვლოდა მისი დაღუპვა იქნებოდა.

მეითი ქალის პირველი დამნიშვნელი იყო, მაშასადამე ეხლაც მისი უნდა ყოფილიყო. არც ეგრე ადვილი ასატანია დანიშნულის დაკარგვა, ისიც ისეთი ხიფათის გამო, რომელიც მეითის გადახდა.

დავა ისევ აბბასას უნდა გადაეწყვიტნა, მაგრამ სოფელი ჰგონებდა, რომ ეხლა ამ დავას მხოლოდ სისხლი გადასწყვეტავდა.

მეითი აბბასასთან მივიდა როგორც სიძე, როგორც ნათესავი, უხუცესების მქონე.

გულცივად და პირლიმილით მიესალმა აბბასა.

მეითიმ შეატყო, მაგრამ არ შეიმჩნია. აქამდის კიდევ იმედიანად იყო. ჰფიქრობდა: მართალია, აბბასამ ქალი სხვას მისცა, მაგრამ მაშინ საქმე სხვანაირად იყო, მაშინ მეითის დახსნის იმედი არავისა ჰქონდა, აბბასაც თავისუფალი, იყო მაგრამ ეხლა, რაკი დაებრუნდი, თავისუფალი ვარ, უფლებაც მაქვს ჩემი დანიშნული მოვითხოვო. იმედიც ჰქონდა, რომ აბბასა ქალს დაუბრუნებდა. მაგრამ ისე შეხვდა აბბასა, რომ მეითის იმედი გაუცრუვდა.

აბბასამ თვალეში არ შეხედა მეითის. არც სახლში შეიპატივია. თავი ჩალუნა. კალოზე გაიარა და სტუმარიც თან გაიყოლა.

— როგორა ხარ, მეითი? რა ამბავი გადაგხდა!

— რაც გადამხდა, შენც იცი. ყოფნით კი კარგადა ვარ.

— ძნელია ციხე?

— ალლაჰმა ნუ გამოგაცდევინოს. მარტო მტერს ვუსურვებ.

აბბასა ამ სიტყვებს მიხვდა: მეითი მას მტრად არა სთვლიდა, და ეს ხომ მეგობრობის იმედია.

— დიდი ხარჯი კი მოგივიდა, მეით.— უთხრა აბბასამ. სცდილობდა, რომ მეითი მისი გულის სატკივრის ლაპარაკიდან შორს წაეყვანა.

მეითის კი ამ სიტყვებისა შეეშინდა. ამით აბბასა თითქოს ეუბნებოდა, შენ ეხლა იმდენი აღარა გაქვს, რამდენიც წინათ გქონდა და იმდენსაც ველარ მომცემ, რამდენსაც მაძლევდიო.

— მართალია, ხარჯი დიდი მომივიდა. შენც იცი, თუ რა არის უკაცო ოჯახი და უპატრონო საქონელი, მაგრამ იმდენი კიდევ მაქვს, რომ სოფელში ბევრს ვაჯობო.

აბბასამ აღმაცერად შეხედა. მისი მოსაუბრის სიტყვები შორს უმიზნებდა, მაგრამ ახლო სცემდა მათრახს. მეითი ამბობდა: მახმუდაზე მაინც მეტი მაქვსო.

აბბასას გულში უკბინა— მისმა მოუფიქრებელმა სიტყვამ ლაპარაკი იქ მიიტანა, სადაც არა ჰსურდა.

— ღმერთმა მოგცეს, მეით! ყოჩალი კაცი ხარ. შენს ქონებას მართლაც ბევრიც რომ დაჰკლებოდა, მაინც შენი სამყოფი დაგრჩებოდა.

— ჩემი სამყოფიც მაქვს და სხვასაც ვამყოფინებ.

პირველში მეითიც აბბასასავეით სცდილობდა საქმის ლაპარაკი ერთბაშად არ დაეწყო, მაგრამ, რაკი შეატყო აბბასა ერთდება ამ ლაპარაკსაო, პირდაპირ უთხრა:

— მე შენთან საქმეზე მოვედი, აბბას. ხომ იცი.

— რა საქმეზე?

— რა-და... ისე გავიგე, ვითომც ქალი მახმუდასთვის მიგიცია.

— მართალია.— უპასუხა აბბასამ და შერცხვა. ცერები ქამარში ჩაირქო და

სადღაც სივრცეს გაჰხედა. მეითის სახეს ველარ შეხედა, მისი გაწითლებული ყურები კი დაინახა.

— რათა? განა ვისია ქალი?

— ქალი ჩემია.

— ქალი შენია, მაგრამ საცოლუე ჩემი იყო.

— რა ვქნა, მეითი! ისედაც დიდხანს გელოდე, თითქმის წელიწადი. არავინ იცოდა, შენი საქმე რით გათავდებოდა. მეც ქალს სახლში ხომ ვერ დავაბერებდი!

— კარგი. რაც იყო, იყო. ეხლა ხომ მოვბრუნდი. ქალი ჩემია.

— ეხლა გვიანლაა. მე შენი თავი მერჩივნა, შენც იცი. მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ... შენი ბედი არა ყოფილა. ხომ იცი, კაცი თავის ბედს ვერ წაუყვ.

— ბედი? ბედი მუდამ ბედია, აბბას. მაგრამ კაცური სიტყვის შენახვა სულ სხვაა.

— მეც შეგინახე და გინახავდი, მანამ შეიძლებოდა. როცა შეუძლებელი გახდა, მაშინლა გავტეხე.

— ეხლა ხომ შეიძლება შენი სიტყვა გაამართლო? თუ კი ჩემთვის გასტეხე სიტყვა, ეხლა სხვისთვის გასტეხე.

— ეხლა გვიანლაა მეტქი. ზეგ ქორწილი გვაქვს. რამდენჯერ უნდა დავნიშნო ქალი? სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა.

მეითიმ თვალი თვალში გაუყარა, ქუდი გაისწორა, თვალეებში შეხედა აბბასას და უთხრა:

— დალი ოლლი გაშინებს?

— შენ ხომ გამოსცადე, რაც საშიშია.

— რომ მოგაშორო?

— მაშინ სხვა ვინ იქნება შენს მეტი, ვინ დავვედავება? მაგრამ არ გირჩევ.

— ეგ ჩემი საქმეა. შენი რჩევა არ მინდა.

მეითიმ მეტი არა უთხრა რა და წავიდა. უსასიამოვნო გრძნობა მოადგა აბბასას. მეითი არ ისვენებს. რაღაც ხათაბალა გამოვია.

მეითი გაბრაზებული წავიდა აბბასასგან. მართალია, ქალი აბბასასია. ვისაც უნდა იმას მიათხოვებს. იმაშიაც მართალია აბბასა, რომ მას აღარ მოუცადა. მაგრამ ხელიდან გაშვება ქალისა მეითის არ უნდოდა. ამ ორი წლის ბრძოლაში მახმუდამ უნდა გაიმარჯვოს? მერე ვისი ბრალია? მახმუდასი. მახმუდას რომ საქონელი არ გაეტაცნა, ის სომეხი თავის საქონელს ვერ იპოვნოდა, მეითის ბინებს არ გაუჩხრეკავდნენ, სხვა ნაქურდალს ვერ უპოვნოდნენ და მეითი ხაცლავს გადარჩებოდა. მახმუდას მიზეზით წაუვიდა ხელიდან ქონება. ეხლა ქალიც მისდის.

მართალია, არავის უთქვამს საქონელი მახმუდამ მოიტაცაო, მაგრამ ქვეყანამ იცოდა, რომ საქონელი დალი ოლლიმ მოატაცებინა. ნამდვილი მომტაცებლები ეხლა ციხეში არიან. იქ შეხვდა მათ მეითი. ბევრი ელაპარაკა. ბევრი ეხვეწა, სხვებიც შეუჩინა, ფულსაც დაჰპირდა, ოღონდ გაეცათ მახმუდა, მაგრამ

ყაჩაღებმა არ გასცეს. ჩვენ კანონის ხელში კაცს რა ჩავაგდებთო. ^{განა} ჩვენ მა-
დლიერნი ვართ კანონის ხელში ტანჯვას, რომ ახლა სხვა ^{ამ დღეში} ჩავაგ-
დოთო?—უთხრეს მეითის ყაჩაღებმა.—მახმულა ჩვენი ამხანაგი არ არის. ან რა
ვაეკაცობაა კაცის გაცემა! განა ადათი აღარ არის ქვეყნად? ^{ქვეყნის მტერს}
ადათით უნდა გასცეს პასუხი. „ურუსის ზაკონი“ რა ვაეკაცის საქმეა!

ამას ჰფიქრობდა მეითი, როცა აბბასას მოშორდა და შინ მიდიოდა.

მაშ, მეითიმ თითონ უნდა გასცეს პასუხი მტერს. კანონი საქირო აღარ
არის.

მახმულაც ფხიზლად იყო. ღამე კარში არა რჩებოდა. იარაღს არ იშორებდა.

აბბასასი და მეითის ლაპარაკის ამბავი აბბასასგანვე გაიგო და მიხვდა,
რომ საქმე გამწვავებული იყო: მეითი ქალს თუ ვერ მოიტაცებს, მახმულას წყალს
მაინც არ დაუწყნობს.—

VII.

მახმულა აქამდის არა ქჩარობდა. საქორწილო ხარჯი, აბბასას რომ დაჰ-
პირდა, შესაგროვებელი ჰქონდა. საცოლოსათვის საჩუქრები იყო საქირო. ყვე-
ლაფერს ფული უნდოდა. ნაღდი არა ჰქონდა, შეგროვებამდის კი დრო გადიოდა.
და იაფად გაჰყიდა ყველი, ერბო, რაც მცირე ფარა ცხვრის მოსავალი ჰქონდა
ამ ზაფხულს შეგროვილი. ერთი ათიოდე ურემი შეშაც ჩაიტანა ქალაქში. ზოგიც
ბიძებმა ასესხეს. რაც შეაგროვა ქორწილს კი ეყოფოდა, მაგრამ სახლის აშე-
ნებაზე ბევრი ეხარჯებოდა. ახალი სიძე და აბბასა არა ჩქარობდნენ, მაგრამ
მეითის მოსვლამ ყოველივე განზრახვა აურიო. ეხლა უკვე აჩქარება იყო საქირო.
აბბასაც აჩქარდა: ეს ხათაბალა თავიდან მოვიშოროო. მახმულა ხომ უფრო ჩქა-
რობდა. აბბასას ვერ ენდობოდა: შეიძლება მეც ისე მითხრას უარი, როგორც
მეითის უთხრაო.

აბბასამ ტყუილი უთხრა მეითის, ქორწილი მაზეგ გვაქვსო. ამ სიტყვებით
მისი თავიდან მოშორება ჰსურდა, მაგრამ ეს ტყუილი თითქმის გამართლდა.
სიძე-სიმამრმა გადასწყვიტეს, რომ ამ ერთ კვირაში საქორწილო პირობის ქა-
ლადი—ქებინი დაეწერნათ. ქორწილი კი სხვა დროისთვის გადასდეს—როცა
მახმულა სახლის აშენებას დაამთავრებდა, მაგრამ საჩუქრების ყიდვა აუცილე-
ბელი იყო. რაც სახლში ფული მოახერხა მოჰკრიბა მახმულამ, ცოტაც ამხანაგებში
ისესხა და ჩუმად გაიპარა ქალაქში.

სოფლიდან სადგურამდის თავისი ამხანაგი წინ გაჰგზავნა, ყველა საშიში
ადგილი დაათვალიერებინა, მტერი არსად იყოს ჩასაფრებულიო.

მეორე დღით მახმულა სოფელში აღარ იყო. მაინც ყველამ იცოდა, რომ
საჩუქრების სასყიდლად იყო წასული. ამხანაგებს დაუბარა, სამი დღე დავრჩები
ქალაქში და გზა შემინახეთ, მეითის თვალყური ადევნეთ, არსად ჩამისაფრდესო.

საუცხოვო საჩუქრები იყიდა. ბორჩალოში ყოველ ქალს დარჩება თვალი
ასეთ ტანისამოსზე: ატლასის მწვანე საკაბე, წითელი სახალათე—ეს ერთი ხელი;
მეორე ხელი აბრეშუმის ალისფერი საკაბე და ყვითელი სახალათე, ყვითელი
ხარაზული ტუფლები, თეთრი წინდები, გულის ქინძისთავი—ფუტურო ოქროსი,

წერილი ფირუხებით მორთული; ლალის თვლიანი ბეჭედი და ფირუხის საყურეები. იყიდა ვერცხლის ბუზმენტის ქამარიც, რომელსაც ლუორჯი მინანქრით მოქედილი ვერცხლის ბალთა ჰქონდა. გულითადი სურვილი ჰქონდა, ნამდვილი ვერცხლის ქამარი ეყიდნა, დიდ ბალთიანი, მაგრამ სამიგულმანქანა დაუფასეს და ამდენი ველარ გაიშეტა. ისევ იაფის ყიდვა გაჰბედა: მართალია, ძალიან ლამაზი იყო, ქრელი, მაგრამ ნამდვილ ვერცხლის ქამართან ვერ მოვიდოდა. აგრედვე იყიდა კამფეტები, ყინვარ შაქარი, ნულლი, ალჯანაბადი, ხმელი ხილი, ჰალვა. საცოლესა და სასიდედროს თითო დიდი ქალაღა უყიდა. ორი ხურჯინი გატენა და ლამის მატარებელს დაუჯდა.

სადგურზე ამხანაგები დახედნენ. შუალამე იყო, უმთვარო. ნაცრისფერი გზა ლამის სიბნელეში ინთქმებოდა. გზის პირად ყანა შრიალებდა. ფრთხილად მიდიოდნენ, თოფ-მომარჯვებულნი. მართალია, გზა დათვალიერებული ჰქონდათ, მაგრამ სიფრთხილე მაინც საჭირო იყო. ყოველ ქვას აკვირდებოდნენ, ყოველ ხეს შორიდანვე სინჯავდნენ. ჩრდილებში მიდიოდნენ, რომ მათი შავი აჩრდილი გზის ნაცრისფერ ნიადაგზე მკაფიოდ არ გამოჩენილიყო.

— აქ ყანებია. ყანებში ჩასაფრება ადვილია. მოდი მთის ფერდობზე ვიაროთ. ვერავინ მიხვდება, თუ იქ გავივლით.—სთქვა ერთმა.

— ტყუილია.—უპასუხა მახმუდამ:—მეითიმ თუ ჩასაფრება განიზრახა, იცოდეთ მთებში ჩაგვისაფრდება. იქ კაცის მოკვლა ადვილია. ისიც მოისაზრებს, რომ ჩვენ შარა გზაზე არ გავივლით და იქ ჩასაფრდება, სადაც ჩვენ ნაკლებად საშიში ადგილი გვგონია.

განაგრძეს გზა. ერთგან ყანებში გზაზე რაღაც ნადირი გადმოხტა. შეჩერდა, ჰაერს დაჰყნოსა. ერთმა თოფი მოიმარჯვა. მახმუდამ ხელი დაუჭირა.

— რას სჩადიხარ, ბიჭო! გინდა ესროლო?

— მეღაა. მოვარტყამ. ერთ სამ მანეთს ვიშოვნო.

— არ შეიძლება, ეხლა თოფის სროლა არ იქნება. მტერს ნიშანს მივცემთ, რომ მოვდივართ. გაიგებს საცა ვართ.

სოფლის პირად ისე მივიდნენ, რომ გზაში არავინ დაჰხვედრიათ. კაცმა კი არა, თითქმის გზამაც ვერ გაიგო მათი მისვლა. მხოლოდ სოფლის ძაღლებმა შეჰყეფეს ლამის სიჩუმეში ფეხის ხმაზე.

— მე აქ უფრო მეშინიან, ვიდრე გზაზე.—სთქვა ერთმა:—აქ სადმე ლობებში ადვილია ჩასაფრება.

— არა, აქ ვერ ჩასაფრდება. სხვის ეზოში ძაღლი არ შეუშვებს და მეგობრები კი აქეთ არა ჰყავს.—უპასუხა მეორემ.

მხოლოდ მახმუდას კარმიდამოსთან ამოისუნთქეს თავისუფლად. ახალ სახლის ნახევრად ამოყვანილი კედლები ბნელაში ლაპლაპებდა. მიწური სახლი სათლავსავით ამოხნექილიყო. სანათურში ქრატის შუქი მოსჩანდა. ეტყობოდა სახლში დედა ელოდებოდა.

— აი, ეხლა კი სამშვიდობოსა ვართ.—აღლაჰმა გიშველოთ, როგორც თქვენა მშველით. ეხლა წადით და მე თქვენი მოვალე ვარ.—გამთვმშვიდობა მახმუდა ამხანაგებს და თავი შეჰყო კარებში, დედამ ხმაურობაზე რომ გაუღო.

გულის კანკალით ელოდდა დედა შვილს, და ცოცხალი რომ დაინახა, დამ-
შვიდდა, ხურჯინები ჩამოართვა და ვახშამი მიუტანა: ყველი და საჯის პური.

ტახტზე იჯდა მახმუდა, ნამგზავრი, მშიერი, და გემრიელად ეჭმებოდა. თავს მიწურის შებოლილი ქერი ჰბურავდა, მახმუდას მამის დატყვევებულ გრძე-
ლი ძელები უკვე დამპალიყო და ადვილად ჩამოიქცეოდა. სწორედ კარგ დროს დაიწყო სახლის აშენება. ხომ უნდა გათავდეს ამ მიწურში ცხოვრება! ახალ სა-
ხლში რომ გადავა, ამ მიწურს შეაკეთებს და საქონლის გომად გახდის. ამ ფი-
ქრში წასულმა მახმუდამ ყბები ერთბაშად შეაჩერა, თავი ასწია, რაღაცას მიუგდო ყური და დედას შეხედა.

— ძაღლები რატომ, არ გამომეგებნენ?

დედის გულმა გაიელვა: მართლა, ძაღლები! რა იქნენ ძაღლები?

— არ ვიცი შვილო. ავუშვი კია—და. შეიძლება წავიდნენ სადმე.

მთელი დღის დაბნული ძაღლი, რაკი თავს აშვებულსა ჰნახავს, მაშინვე სირბილს დაიწყებს სოფელში. ეს იცის მახმუდამ. მაგრამ აქამდის უნდა მობრუ-
ნებულიყვნენ. მაინც გული დაიმშვიდა. აქ სადმე ახლოს იქნებიანო. არც ეგრე საშიშია მისი ყოფა. ეხლა უკვე შინ არის.

ვახშამი გაათავა. ჭრაქს ჩხირით ცხვირი მოსწმინდა, კარებს ურდული გაუ-
მაგრა და ტახტზე ჩამოჯდა. ძალიან ეძინებოდა. ფეხი ფეხზე შემოიღო და ქა-
ლამნის თასებს დაუწყო ხსნა. ანგარიშობდა, რაც იყიდა, რაც ხარჯი მოუვიდა, ან ვალი. თან ვარაუდობდა, ქალს მოეწონება საჩუქრები თუ არაო.

ერთბაშად რაღაცა მოუსვენრობა იგრძნო. თავი ასწია. რაღაცის მოსაზრე-
ბა უნდოდა... გაისმა გრიალი. ჭრაქი ჩაჰქრა. მიწურში თოფის სუნი დატრიალდა.

ახლად ჩაძინებული დედა წამოვარდა, შეჰკივლა და შვილს დაუძახა:

— მახმუდა!

პასუხი არ იყო. გრიალისაგან დახშული ყურთა სმენა რომ დაუბრუნდა, ტახტის ბოლოდან ხრიალი შემოესმა. უბედურების სურათმა თავში სწრაფად გა-
უფელვა: მახმუდა მოჰკლეს. სანათურში ესროლეს და მოჰკლეს. დაუჯერებელი ამ-
ბავი იყო. დედის გული არ იჯერებდა, მაგრამ ჰგრძნობდა, რომ უტყუარი და საზარელი იყო.

სოფლის ძაღლებმა ყეფა დაიწყეს. დედას მუხლთ მოეკვეთა. ძირს დაეცა. გონს რომ მოვიდა, ოთხით მიჩოჩდა კარებთან, ხელების კანკალით ძლივს გაუგ-
დო ურდული და ისევ ისე ოთხით გაჩოჩდა გარედ.

გარედ არავინ მოსჩანდა, შეშინებული მეზობლები კარში ვერ გამოსული-
ყვნენ. როცა დედაკაცის წივილი და ძახილი გაიგეს, მაშინლა გამოიშალნენ.

ხალხი მოგროვდა. მოდიოდნენ, და ყველა უკვე მიხვედრილი იყო, რაც მოხდა: ყველამ იცოდა მეითისა და მახმუდას ბრძოლა, და ეს ბრძოლა, სის-
ხლით უნდა გათავებულიყო.

ჭრაქების შუქზე დაინახეს მახმუდა. ტახტზე გადავარდნილიყო. თავის ქალა-
ტყვიას გაეტანა.

მისი ძაღლები გვიან მოვიდნენ, გათენების პირას.

— შეხეთ! ძაღლები წაუყვანიათ, მოურიდებიათ. ეხლალა გამოუშვეს.

VIII.



ყველა მეითის ახსენებდა. ყველა იმის მხარეს იცქირებოდა, თითქმის მთელი სოფელი მოგროვდა, მაგრამ ამათში შეძლებულთაგან მხოლოდ ერთი იყო — ისიც ჩუმად და თავ-ჩალუნული დადიოდა ხალხში და ხანსაც დაუგდებდა ყურს, ხან მეორეს. ხალხი მას აღმაცერად უცქეროდა და ხმას არა სცემდა. ყველამ იცოდა, რომ მზვერავად იყო მოგზავნილი.

მახმუდას ბიძებმა და ბიძაშვილებმა ხმა-მალლა დაიწყეს გინება. ახალ-გაზრდები ძალიან ცხარობდნენ, იარაღს აქლარუნებდნენ. ათიოდე მწყემსი ცალკე ღელავდა. ყველანი გამეტებით მზად იყვნენ ეხლავე წასულიყვნენ და სისხლი აელოთ.

მოვიდა მოხუცი ბიძა კოჯა, შეხედა ნათესაებს და გაჩუმება უთხრა. ყველა ცალკე შემოიკრიბა, რაღაც უბრძანა და დაშალა. ამის შემდეგ დასაფლავების საქმეს შეუდგნენ.

მამასახლისმა მეითი დაიბარა. რაკი ყველა მეითის იხსენიებდა, ამიტომ მისი დაკითხვა იყო საჭირო.

მეითი მახმუდას კარებზე არ მივიდა. მამასახლისს კანცელარიაში უცდიდა.

— მეით, შენ გაბრალებენ! — უთხრა მამასახლისმა.

— მე რათ მამბრალებენ? ვინ მნახა?

— არავის უნახვიხარ, მაგრამ გუჰანი შენზე აქვთ, სხვა არავინ იქნებოდა.

— ჩემი სახლი აქედან სამ ვერსზეა. წუხელის სტუმრები მყავდა. ვახშმად ვისხედით, როცა თოფის ხმა გავიგეთ. როგორ მივიდოდი იქ, როგორ მოვკლავდი და წავიდოდი? ჰკითხეთ სტუმრებს. ჩემი მოწმენი ისინი არიან. ისინი იტყვიან თუნდ ერთი წუთით მოვშორებულვარ იმათ თუ არა.

მაგრამ თავის მართლება ეხლა საჭირო აღარ იყო. კოჯას თათბირის შემდეგ ნათესაუბიც გაჩუმდნენ და ამხანაგებიც, აქამდის რომ იარაღზე ეჭირათ ხელი. რაღაც ერთსულოვანი, ჩუმი და საიდუმლო რამ ჩამოვარდა მათში.

— კოჯავ! თქვენი მხარე მეითს აბრალებს ამ საქმეს. მეითი კი უარს ამბობს და მოწმეებიცა ჰყავს. შენ რას იტყვი?

— მე რა უნდა ვთქვა? კაცი თავის ყისმათს ვერსად წაუვა. მახმუდას ყისმათიც ეს ყოფილა.

— კეთილი, მაგრამ მეითის რომ აბრალებთ?

— ჩვენ არავის არაფერს ვამბრალებთ, ყველაფერი ბედის საქმეა.

— მაშ მეითი თავისუფალია?

— ეგ არც ჩემი საქმეა და არც შენი, განა არ იცი? კანონის საქმეა. გამომძიებელი მოვა და იმან იცის. ჩვენ კი თავი დაგვანებეთ. ჩვენ მკვლარი გყავს დასამარხი.

შვილები და ძმისწულები, დისწულები, ყველა ნათესაობა კოჯას გარს შემოხვეოდნენ; დოინჯ შემოყრილები, დაბლვერილები იდგნენ და მოხუცის ლაპარაკს ყურს მშვიდად უგდებდნენ, მაგრამ ისე იყვნენ, თითქოს მის ბრძანებას თუ ნიშანს ელიან, რომ ვიღაცას ეცნენ, გაგლიჯონო.

— შენ, მამასახლისო, ისა სჯობიან გამომძიებელს მალე შეატყობინო, მალე მოვიდეს, ან დასაფლავების ნება მოგვცეს, რომ ჩვენი მიცვალებული ერთ დღეზე მეტი არ დაგვრჩეს დაუშარხავი, კაცი მოგვიკლეს, ადათს ~~საქონლს~~ დაგვარღვევინებთ.

მოლა მეორე დღეს მოვიდა, მიცვალებული გაჰბანა, შიშველი შესუდრა და ლოცვები წაიკითხა. შემდეგ საკაცეზე დაასვენეს და სოფლის პირად სასაფლაოზე წაასვენეს. ნათესავი კაცები უკან გაჰყვნენ. დედამ და ქალებმა კი მარტო კარმიდამომდის მიაცილეს. დედა გაღელვილ შკერდში ხელს იცემდა და გაჰკიოდა. ნომტირალი ქალები ბანს აძლევდნენ. და იმ დროს, როცა მახმუდა ვიწროდ გაჭრილ საფლავში ჩაასვენეს და პირი სამხრეთით—მექისაკენ უყვეს, გამომძიებელი სოფლის კანცელარიაში მახმუდას დედას დაჰკითხავდა.

დედამ დაწვრილებით უამბო მოკვლის ამბავი: ქალის გამო შულლიც, ყველაფერი დაწვრილებით, თუ ვინ ჰყავდა მის შვილს მეგობარი, ვინ მტერი. ისე დალაგებით ლაპარაკობდა მოხუცი, რომ გამომძიებელს გაეხარდა, ეს არის დამნაშავეს მივაგენო. დედაკაცის პირს მეითის სახელი არ შორდებოდა. მისი ნათქვამი მხოლოდ ამ სახელს უტრიალებდა და გამომძიებელი იმის ლოდინში იყო როცა ეს მოხუცი უტყუარ საბუთს მისცემდა დამნაშავეს საპოვნელად.

— მაინც, ვინ იყო, ვინ ესროლა თოფი?—ჰკითხა გამომძიებელმა.

— არ ვიცი. მაშინ ნეძინა.

— გუმანი ვისზე გაქვს?

— არავისზე.

ასეთი იყო კოჯას დარიგება.

— მეითიზე არა გაქვს ეჭვი?

— ხელს ვერ დავადებ, როგორც მეითიზე მაქვს გუმანი, ისე სხვა მტრებზედაც. აბა, როგორა ვთქვა ვინ იყო. მართალია, ქვეყანა იმას აბრალებს, ცოტა მტრობაც ჰქონდა ქალის გულისათვის, მაგრამ... მე არაფერი მინახავს.

სხვა ნათესავებიც ასევე ლაპარაკობდნენ. შეთქმულებივით გაიძახოდნენ—არა ვიცი რა, გუმანი ყველაზე გვაქვს და არც არავისზეო.

მეითის ეჭვისი კაცი ჰყავდა მოწმედ, ექვსივე შეძლებულები, და სოფლის მწერალიც, რომ იმ დროს, როცა მახმუდა მოჰკლეს, სწორედ იმ წუთს ყველა ვახშმად იჯდა მეითის სახლში და მასპინძელი არსად წასულა. დიალ! სწორედ იმ წუთს, როცა თოფი გავარდა—ერთი თოფი გავარდა. იმ საღამოს, იმ ღამეს მეტიც არ გავარდნილა სოფელში.

კანონმა ამ საქმეს თავი დაანება. მკვლელი ვერ იპოვნეს.

რამდენიმე დღის შემდეგ კი კოჯასთან მახმუდას ნათესავები, ბიძები, ძმები და ბიძაშვილები შეიკრიბნენ.

კოჯამ წვერებზე ხელი ჩამოისვა და სთქვა:

— ალლაჰ! ეხლა ჩვენი ჯერია. ჩემი ძმის სახელი და ძმისწულის სისხლი არ მომასვენებს. ალლაჰმა იცის, რომ სისხლი არ მიანდოდა. მაგრამ მაინც ჩამოვარდა.

— ჩემი ძმის სისხლი მე უნდა ავიღო.—სთქვა მახმუდას შუათანა ძმამ.

— ჩუმად იყავ, იუსუფ! შენ არავინა გკითხავს.—~~შაუბლვირა~~ კოჯამ.

— ჩემი ძმა მოჰკლეს, მაშ შე არ გეკუთვნის მისი სისხლი?

— მარტო შენ არ გეკუთვნის. მთელი ნათესავებსა. შენ ჯერ პატარა ხარ, ჯერ თვრამეტი წელიწადიც არ შეგსრულებია, შენზე უფროსები და გამოცდილებიცა გვყავს გვარში, რომელთაც სისხლის აღება შეჰშვენით. მაგრამ საქმე აქ მარტო სისხლი არ არის. მე გული იმაზე მომდის, რომ კაციც მოგვიკლეს და ჩვენ სარძლოსაც ჩვენი მტერი წაიყვანს. რაც ხარჯები მოგვივიდა, ის კიდევ სხვაა. ამაზე ნურც ვილაპარაკებთ.

— მაშ ის ქალი ისევ ჩვენში უნდა დარჩეს.—სთქვა ბიძა მამედამ.

— მეც მაგას ვამბობ. მაგრამ ჩვენში რომელმა უნდა ითხოვოს აბბასას ქალი? უპასუხა კოჯამ:— მე და შენ დაებერდით და ცოლის შერთვის ფიქრი აღარა გვაქვს. ჩემს შვილებში კურბანას უნდა აბბასას ქალი. მეც დიდი სიამოვნებით შეუწყობდი ხელს. მაგრამ ეხლა მეითი აღარავის დაანებებს იმ ქალს. ვიდრე ცოცხალია, იმ ქალს ჩვენ ვერ შევირთავთ. მაშასადამე, ჯერ ის უნდა მოვიშოროთ. ამით ჩვენი მკვდრის ვალსაც მოვიხდით და ქალსაც წამოვიყვანთ.

— ჰო-და გამიშვით, ჩემი ძმის მკვლელს სამაგიერო გადავუხადო.

— პატარა ხარ.—უთხრა ბიძია მამედამ.

— მართალია, პატარაა, მაგრამ, სისხლი მაგისია, როგორც ოჯახის უფროსისა.—სთქვა კოჯამ.— ჩვენ, სხვა ნათესავებს, მხოლოდ მაშინ შეგვეფერის სისხლი, თუ მოკლულს ძმა არა ჰყავს. მაშასადამე, უნდა მოვითმინოთ, ვიდრე ეს ძმა წამოიზრდება.

— მანამდის აბბასა ქალს გაათხოვებს.

— გაათხოვოს. არა უშავს რა. თუ სხვამ წაიყვანა, იმის ყისმათი იყოს, თუ ჩვენმა დუშმანმა, მაშინ მისი ცოლი ჯერ დაქვრივდეს და მერე გახდეს ჩვენი.

— მაშ სისხლიც უნდა შერჩეს და ქალიც.—დაიძახა ისევ პატარა იუსუფამ.

— არც ერთი არ შერჩება. შენ გსურს სისხლი აილო. ცოტა მოიცადე. წამოიზარდე და მაშინ სისხლი შენი იქნება. ეხლა კი ვერ გაგიშვებთ მაგ საქმეზე. ხალხი რას იტყვის, ნათესაობაში კაცი აღარავინ ჰყავდათ, რომ სისხლის ამღებად ლაწირაკი არ გამოეშვათო? რაც მეტი დრო გავა, ისა სჯობიან. მტერიც დამშვიდდება, დაიძინებს. მთავრობაც ნაკლებად მოიტანს ჩვენზე გუჟანსა.

კოჯამ კრება დაშალა. მეორე დღეს კი აბბასას ამბავი მიუვიდა: შენი ქალი გაათხოვე, ჩვენ არავის გვინდაო.

სისხლის აუღებლობა სოფელში არავის გაუკვირდა. იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან მეითი დალი ოღლების ტყვიას ვერ წაუვიდოდა.

IX

მეითი კიდევ მივიდა აბბასასთან და პირდაპირ მოსთხოვა ქალი.

— ეხლა ხომ ჩემია ქალი, აბბას. პირობა გაქვს მოცემული.

— ცოტა მოვიცადოთ, ქვეყანა დაწყნარდეს, დამშვიდდეს.—უპასუხა აბბასამ.

— მაშ უსტა. ეხლა რამდენიც გსურს იმდენს მოვითმენ.—

— აბბასაც ჰხედავდა, რომ ერთხელ მკვლელი კაცისა, ციხეში ნამყოფი მეითი ეხლა ბევრს აღარას დაერიდებოდა და თავის მუქარას აასრულებდა.

ქალი ისევ ძველებურ მდგომარეობაში ჩაეარდა. მახმუდუქდუქდუქო. მისი გვარისაც აღარავინ თხოულობდა მას. რაკი სისხლი დაიღვრას მისი სისხლისათვის, სხვა არავინ ითხოვდა. მტრობას ერიდებოდა ყველა:

თავისთავად კი მეითი ხომ კარგი სასიძო იყო. ამ ამბავსაც ხომ ბოლო უნდა მოჰლებოდა.

ერთ საღამოს აბბასამ თავის ქალს უთხრა:

— მეითი გთხოულობს. ეხლა რწმუნებულები მოვლენ და პასუხი მიეცი. კიხხანუმამ თავი დალუნა.

— იმან რომ საქმრო მომიკლა.

— ეგ რა შენი საქმეა. კანონმა ვერ დაიჭირა და შენ რას ერევი მაგ საქმეში. მეითიც ხომ შენი საქმრო იყო!? წადი და როცა მოლლა და რწმუნებულები მოვლენ, პასუხი მიეცი. რწმუნებულებში ერთი შენი ბიძაშვილია—ისსა. მეორეც მამედ ალა კურბანოვი. ალაღარი იქნება შენი რწმუნებული.

შოვიდა მოლლა. რწმუნებულებიც მოჰყვნენ.

კიხხანუმა მათ წინ თავჩალუნული იდგა და წითლდებოდა. მოლამ ჰკიოხა, ვსურს მეითის ცოლობა თუ არაო.

ქალმა ხმა არ გასცა, მხოლოდ თავი დაიქნია.

— სიტყვა არ მესმის, სიტყვით უნდა მითხრა—გსურს თუ არა? თავის დაქნევა რა პასუხია!

— მსურს.—ნაზად წაიჩურჩულა ქალმა.

კარგა სთქვი, ხმა მაღლა, რომ რწმუნებულებმაც გაიგონ.

— მსურს.—ისევ ისე გაიმეორა ქალმა.

— შენი რწმუნებულები ესენი იქნებიან. ანდობ შენ საქმეს ამათ თუ არა?

ქალმა კვლავ თავი დაიქნია.

— კიდევ! ქალო, თავის ქნევა რა პასუხია, სიტყვა სთქვი, ჰო თუ არა? ჩვენ შენს მაგიერად პასუხი უნდა მივუტანოთ შენს საქმროს, ქორწინების ქაღალდი უნდა დავწეროთ და შენგან ნამდვილი სიტყვა უნდა გვქონდეს, რომ შემდეგ არა სთქვან ძალად გაათხოვესო.

ქალი ისევ ჩუმად იყო.

— ის გავიგეთ, რომ მეითი ქმრად გსურს. ეხლა ეს მითხარი, ესენი ტაულიქიმებად გსურს თუ არა?

— ბალი.—ღიად.

— არა, ბალი არა. სთქვი, გსურს თუ არა?

— მსურს.

— ეგრე. მაშ ჩვენ ხვალვე დავწერთ ქებინს.

ქალმა ხმა არ გასცა. ჩუმად გაბრუნდა და თავჩალუნული გავიდა გარეთ.

ქორწინების შესასრულებლად მოლლას სახლში შეიკრიბნენ ქალის ორი ტაულიქიმა, წუხელის რომ იყვნენ მასთან და ქალმა რომ თავის რწმუნებულებად აირჩია; ასეთივე ორი ტაულიქიმა მეითისა; აშეხუტები—ოთხი მოწმე იმისი, რომ

ქალმა და ვაჟმა სწორედ ესენი აირჩიეს რწმუნებულებად და ქორწინების შესრულება დაავალეს. რწმუნებულობის მოწმენი საჭირონი არიან, რადგანაც ადათით სასიძო, და მით უმეტეს სასძლო, ქორწინების შესრულებას არც ესწრებიან და მათ მაგივრად ქორწინების ქალად მათი რწმუნებულები ტაულიქიმები — აწერენ ხელს. აქვე იყო სამი სხვა მოწმე, რომელნიც ქორწინების შესრულების ფაქტს დაამოწმებდნენ.

მოლლა მოკეცილი იჯდა, მუხლებზე ქალაღდი ედო და მარჯვნიდან მარცხნით არაბულად სწერდა:

„ჰააზა მუალლიფაჟუ ბეანალ გლუბ.“ — ესე არს კავშირი სულთა შორის. „სასიძო — ბორჩალოს მაზრის სოფ. კირაჩლოს მცხოვრებელი მეითი ჰასან ოლლი, ოცდაათი წლისა, მეორე ქორწინებით. სასძლო — იმავე სოფლის მცხოვრებელი კიზხანუმ აბბას კზი, თექვსმეტი წლისა, პირველი ქორწინებით. ტაულიქიმა (რწმუნებულები) სასიძოსი: იმავე სოფლის მცხოვრებელი ალაღარი მააპერამ ალა მურთუზ ალაოღლი და ჰაჯი მუსტაფა ოლლი. ტაულიქიმა სასძლოსი — იმავე სოფლის მცხოვრებელი ალაღარი სამედ ალა ალიბეკ ალა ოლლი კურბანოვი და ისსა ისსა ოლლი... ასსადაკ¹⁾ — ასი თუმანი რუსული ფული. ანნიკაპ (ქორწინება) — უვადოა.²⁾

ამის შემდეგ მოლლამ დასწერა პირობა, რომელიც მეითიმ დასდო: მეტი ცოლი აღარ უნდა შეერთო და ღვინის სმაზე ხელი აეღო. თუ პირველი ცოლით დაქვრივდებოდა, სხვა ცოლი მაინც აღარ უნდა მოეყვანა. ამ პირობის დარღვევისათვის კიზხანუმას უფლება ექნებოდა გაჰყოლოდა და ასსადაკი მოეთხოვნა.

შემდეგ მოლამ დასწერა აშებუტები და ქორწინების მოწმენი. ყველამ ხელი მოაწერა, ვინც წერა არ იცოდა, ჯვარი დასვა.

ქებინის ქალაღდი ამ სიტყვებით დასრულდა: „ქორწინება ესე ბორჩალოს მაზრის სოფ. კირაჩლოს მცხოვრებელთა მეითი ჰასან ოლლისა და კიზხანუმ აბბას კზის შორის შარიათის ყოველი წესისამებრ შესრულა იმავე სოფლის სამრევლო მოლლამ მაჰამედ მაჰამედ ოლლიმ.“ მოლამაც მოაწერა ხელი.

ეს ქალაღდი მოლლამ ორმოცჯერ წაიკითხა. ყოველ წაკითხვას სხვა და სხვანაირ თანდებულთი იწყობდა.

აქვე დასწერა მოლლამ სია მზითვისა, რასაც აბბასასთვის ქალს აძლევდა. ესეც საჭირო იყო: მზითევი ქალისაა და მუდამ შეუძლიან უკან მოითხოვოს. კიზხანუმა მეითის კანონიერი ცოლი გახდა. ეხლა მხოლოდ ქორწილის გადახდა იყო საჭირო.

აბბასამ თავისი ქორწილი დიდი ამბით გადიხადა: მის სახლში სტუმრები სამი დღე არ გამოლუულან. მეითის ქორწილი ერთ კვირას გაგრძელდა.

X

მეითიმ ქალი სახლში მიიყვანა, ამით დაუმშვიდდა გული, თავისი აისრულა: ქალი მეტოქეს არ დაუთმო. ეხლა დაუკვირდა ყველაფერს, რაც ამ ორ წელი-

¹⁾ ასსადაკ, მეჟე, ქებინ — ქორწინების პირობაში ჩაწერილი თანხა: გაიხოვილის უზრუნველსაყოფლად: თუ ქმარი იქცევა დამნაშავე ცოლ-ქმრის გაყრაში, ეს თანხა უნდა მიცეს ცოლს.

²⁾ ქორწინება ვადიანიც შეიძლება, რამდენიმე თვით, კვირით, წლით.

წადში გადახდა. ამ ორი წლის უბედურება, ციხეში ჯდომა, ქონებრივი ზარალი, კაცის კვლა—ყველაურის მიზეზი კიზხანუმა, ეხლა მისი ცხოვრებისათვის მას თავის უბედურება თითქოს შინ შეჰყვა. მართლაც, რაც მისი ქვრივის მან მტრები გაიჩინა, ეხლა აღარ მოასვენებენ. დღე და ღამ ფხიზლად უნდა იყვეს. თავის თავსაც უნდა უბრთხილდებოდეს, შვილებსაც და ამ ცოლსაც. აქამდის მშვიდი ცხოვრება ეხლა აუშფოთდა. რისთვის?

მხოლოდ ეხლა-ლა, როცა ქალის სილამაზით დასტკბა, ველარ გაეგო, თუ რისთვის გადიკლა თავი და გაიჩინა მტრები. მხოლოდ ჯიბრმა და სიამაყემ ჩაადენინა ყოველივე. ქალის სილამაზე ისე არა ჰხიბლავდა, როგორც თავმოყვარეობის შელახვა აშინებდა. ამიტომ გადახდა თავს იმდენი უბედურება. კიზხანუმა კი ისეთივე ქალი გამოდგა, როგორც მისი პირველი ცოლი იყო და როგორც ბორჩალოში ყველა ქალია. „თუ მეორე ცოლი მსურდა, განა სხვა აღარავინ მოინახებოდა ამის სილამაზისა, გინდ უკეთესიც, უფრო მდიდარიც?“ — ეკითხებოდა თავის თავს.

რაც დრო გადიოდა, კიზხანუმას, როგორც დედაკაცს, ნელ-ნელა ეჩვეოდა და ცეცხლს თანდათან ჰკარგავდა. ბოლოს, ხელში შერჩა მხოლოდ ჩვეულებრივი დედაკაცი, რომელსაც მარტო ხარჯები ჰქონდა, რომელმაც მტრობა და უბედურება შესძინა.

ცუდი ის იყო, რომ კიზხანუმა თავის გიუნოუს—სონას ვერ შეუთვისდა. ცოლებმა ერთმანეთი მოიძულეს. პირველი მიზეზი ის იყო, რომ კიზხანუმამ პირველ ცოლს ქმართან გასატარებელი ღამეები გაუყო. აქამდის მეითი ყოველ ღამე იმასთან იყო. ეხლა კი, რაკი მეორე ცოლი მოიყვანა, წესისამებრ ცოლებთან ღამეები ჯერით უნდა გაეტარებინა. ღამეების გაყოფას ქმრის ყურადღების გაყოფვაც მოჰყვა. მეითი აქამდის მხოლოდ პირველ ცოლისთვის ჰხარჯავდა ფულს, ეხლა კიზხანუმაზედაც უნდა ეხარჯნა. ამან სონას კიზხანუმა შეაძულა, მათ მუდამ შუღლი და ბურტყუნი ჰქონდათ ერთმანეთში, ამ ბუზღუნმა მეითის თავი მოაბეზრა. ორივე ცდილობდა, რომ ქმარს მოსწონებოდა და ორივე ახალ-ახალ და ღამაზე ტანისამოსსა სთხოვდა ქმარს. ორივენი მუდამ მორთულები იყვნენ და ტანისამოსის გაფრთხილებაში საოჯახო საქმეს აღარ აკეთებდნენ, მეითის ოჯახში მუდამ უსიამოვნობა იყო. ქმართან ბევრს ვერა ჰბედავდნენ, მის შინ არ ყოფნის დროს კი ერთმანეთს სჯამდნენ.

კიზხანუმა ატყობდა, რომ მეითიმ გული აიცრუა მასზე. ამის მიზეზსაც მიხვდა, რადგანაც ქმარმა რამდენჯერმე წასძახა: შენი გულისათვის დავიღუპე, მტრები გავიჩინეო.

მაგრამ უბედურება მაშინ მოხდა, როცა მეითიმ ერთხელ წესი დაარღვია და კიზხანუმას საჯერო ღამე სონასთან გაატარა. აქედან გასკდა აქამდის შეკავებული მტრობა ქალთა შორის. ეხლა იგი გარეთ გამოვიდა და თავდაუპყრლად გაკაპასდა.

კიზხანუმამ ასეთი შეურაცყოფა ვერ მოითმინა, მთელი ოჯახი დალანძლა და მთელი დღე ტიროდა. ქმრის სიყვარულით არ მოსვლია. ქმარი მან ვერ

შეიყვარა, მაგრამ ის ვერ აიტანა, რომ სონამ დასჯაბნა, რომ ქმარმა წესი დაარღვია, სონას მისცა მისი ღამე და უპირატესობა.

მეითი ეფიცებოდა—შევცდიო, ანგარიშში მოვტყუედითხარდახმეშენიანერიო, მაგრამ კიზხანუმა არ უჯერებდა. მეითი სტყუოდა. იმ დღეს კიზხანუმას და სონას დიდი ჩხუბი ჰქონდათ, რადგანაც სონამ წასძახა, შენი გულისათვის მთელმა ოჯახმა მტრები გაიჩინა და სიმშვიდე დაჰკარგაო.

— რა ჩემი ბრალია, ჰკვიანი კაცი მტერს არ გაიჩენსო. — მიაძახა გაბრაზებულმა კიზხანუმამაც.

სონამ ეს სიტყვები ქმარს უთხრა. მეითის გული აემღვრა და ის ღამე კიზხანუმას წაართვა. ეს იცოდა კიზხანუმამ და მეითის ფიცს არ უჯერებდა. ტყუილმა უფრო გააბრაზა და სალამოთი მამასთან გაიქცა.

— აღარ შემიძლიან იმასთან ყოფნა, უნდა გავეყარო. — უთხრა ქალმა მამას და წუხანდელი ამბავი უამბო.

აბბას ახმად ოღლი გაბრაზდა, მხარი დაუჭირა ქალს და იმანაც მოითხოვა გაყრა.

მეითი ცუდ დღეში ჩავარდა. ცოლის გაშვება მას არაფრად უღირდა. კიზხანუმა არ ენანებოდა. მისი შერთვით მან გულის წადილი აისრულა: ლამაზი ქალიც იყოლია და მტერიც დაამარცხა. მისი ცოლობა ეხლა მეითისათვის სახარბიელო აღარ იყო, მაგრამ ქებინის გადახდა იყო ძნელი: ასე თუმანი უნდა გაეღო. სჯობდა არ გაჰყროდა ცოლს.

საპატიო კაცები, მოლლა, ნათესავები შეუჩინა და შერიგება ითხოვა. პირობა დასდო, რომ იმისთანა შეცდომას აღარ ჩაიდენდა.

ველარც აბბასამ, ველარც კიზხანუმამ ამდენ პატივსადებ კაცებს უარი ველარ უთხრეს. ასე თუმნის მიღებაც ჯანჯლდებოდა. კიზხანუმა ისევ დაბრუნდა ქმრის სახლში, მაგრამ ოჯახში უფრო მეტი აურზაური გაჩნდა.

ოჯახურ შინაურულ საქმის გარდა მეითის სხვა საქმე და სადარდებელიც ბევრი ჰქონდა. რაც ზარალი ჰნახა ციხეში ყოფნით და ცოლის შერთვით, იმის ანაზღაურება უნდოდა. ამიტომ ვაჭრობას მიჰყო ხელი: სოფელში ყიდულობდა ერბოს, ყველს, მატყლს, თავის მოსაველსაც ზედ უმატებდა და ქალაქში ეზიდებოდა გასასყიდად. ხანდახან საქონელსაც მიერეკებოდა და ჩალვარდრობას ეწეოდა. საქონელი გაიმრავლა; ქონებას მოუმატა, ამას მოვლა უნდოდა. მტრები კი გარს ეხვივნენ და არ ასვენებდნენ. ხან ცხვარსა ჰპარავდნენ, ხან ძროხებს. თავისი თავისაც ეშინოდა. განუწყვეტლივ შიშსა და სიფრთხილეში იყო.

რაც დრო გადიოდა, ეს შიში უფრო ემატებოდა: მახმუდას ძმები იზრდებოდნენ და ძლიერდებოდნენ. იუსუფ დალი ოღლიმ ცოლი შეერთო, ამით მისი ნათესაობა კიდევ უფრო გამრავლდა.

მართალია კიზხანუმას შერთვით მეითისაც მიემატა ნათესაობა, მაგრამ ამათთან ძალიან კარგი განწყობილება არა ჰქონია. აბბასა და მისი შვილები მეითის აბრალებდნენ თავიანთი ქალის გაუბედურებას. მას შემდეგ კი, რაც კიზხანუმამ გაყრა მოისურვა და შეარიგეს, სულაც დაშორდნენ ერთმანეთს. პირველა

ცოლის ძმებიც უკმაყოფილონი იყვნენ მეითისა; მეორე ცოლი ზეირთი და ჩვენს ქალს ცხოვრება გაუმწარაო. ამისთანა ყოფაში მეითი ისევ მარტო იყო.

გავიდა ხუთი წელიწადი. კიზხანუმას ორი ქალი გაუჩნდა. ახალ მკურნალს გააბრაზა მეითი და თავის მეორე ცოლი გულიდან ამოირეცხა: მას ვაჟიშვილები მსურდა, გვარის გაძლიერება, კიზხანუმა კი ქალებს იძლეოდა.

გაზაფხული მოახლოვდა, სოფელი სამთაბაროდ აპირებდა წასვლას. ყველა მზადებაში იყო. მეითიც დაფაცურდა. სამთოდ მეტი მწყემსი დასჭირდა და ორი ახალი მწყემსი უნდა მიემატებინა. შეუდგა ძებნას, თავის სოფლებს არ ენდობოდა. მახმუდასთან მტრობის შემდეგ თავის სოფელს მოჯამაგირეებს ერიდებოდა და მუდამ სხვა ურემს ქირაობდა. ეხლაც ასე მოიქცა: მწყემსების დასაჭირავებლად ყაზახში წავიდა და იქიდან მოიყვანა ორი ბოგანო.

ლამდებოდა, როცა ბორჩალოს მაზრის საზღვრებში შევიდა და ცხენს აუჩქარა. დაქირავებული კაცები უკან მისდევდნენ ფეხით. ჩუმად იყო სოფლიდან წამოსული, რომ მტერს მისი გზა არა სცოდნოდა. ამის იმედით იყო.

ფიქრში და ანგარიშში წასულმა მეითიმ ცხენს მოუსვენრობა შეატყო. მიდამო დაათვალიერა და დაინახა, რომ სწორედ სახითათო ადგილას მისულიყო — ხევის პირად, გზა დასაქანზე, შესდგა. უკან მომავალთათვის უნდოდა დაეცაღნა. მერე რაღაც იფიქრა, ჩამოიქვევითა, მხრებიდან თოფი მოიხსნა და ქვაზე დასაჯდომად დაიკუზა ცხენი ფრუტუნებდა. ამ დროს ხევიდან ერთი თოფი გავარდა. დაკუზულ მეითს ტყვიამ ზურგზე ზუზუნით გადაუარა, მეითი მაშინვე დაწვა მიწაზე, თოფი მოიმარჯვა და იქით გაისროლა, სადაც თოფის ცეცხლს მოასწრო თვალი, მაგრამ ალაღბედზე გაისროლა. თოფის ალმა ახლა სხვაგან იფეთქა. შემდეგ ალაგ-ალაგ ჩნდებოდა თოფის ალი.

— ერთი კაცია. — გაიფიქრა მეითიმ: — ალაგს იცვლის და ისე მესვრის. ჩქარა მაინც მოვიდნენ ჩობნები.

მაგრამ უკან მომავალთ თოფის სროლა რომ გაიგეს, გაჩერდნენ და წინ აღარ წამოვიდნენ. გზაზე მეურმეებიც იყვნენ. ყველა ფრთხილობდა.

როცა სროლა შესწყდა, მაშინ-ღა წამოვიდნენ. გზის პირად, ქვის ძირში ორი ტყვიით მოკლული მეითი ჰნახეს. იარაღი, ქამარ-ხანჯალი, ვერცხლის მუსულმანური საათი, წაღები, ყველაფერი აეცაღნათ. ცხენიც აღარსად იყო.

მისი სიკვდილის ამბავი სახლში ამ ცხენმა მიიტანა, უპატრონო რომ მივიდა.

X.

სოფელში ხმა დადიოდა, რომ მკვლელები დალი ოღლები არიანო, მაგრამ ამას ცოტანი ლაპარაკობდნენ — მხოლოდ მეითის მომხრეები. გლეხოვა კი ყველა ამ ხმას ავრცელებდა, ვითომ მეითი ყაჩაღებმა მოჰკლეს და გაძარცვესო. არც ისეთი ვინმე ჰყავდა მეითის, რომ ამ ეამად თავი გამოედო — უძმო კაცი იყო. შვილები მცირეწლოვანები ჰყავდა. მახლობელი ნათესავეები აბბასა და მისი შვილები იყვნენ, მაგრამ ესენი სისხლის ნათესავეები არ იყვნენ და სიძის გულისათვის მოსისხლე მტრებს არ გაიჩენდნენ. თანაც ხომ უკმაყოფილონი იყვნენ იმი-

სი. მაშ სამაგიეროს მიმზღველი ჯერ შორს იყო—ვიდრე შეითის შვილები წამოიზრდებოდნენ. კოჯას ასეთი ანგარიში გამართლდა. თითონ ეხლა აღარ იყო, მაგრამ მისი ანდერძი კი დარჩა.

— ხომ ხედავთ, კოჯა ქკვიანი კაცი იყო. იმან დროს შეგეც არა. ამ ხუთი წლის შემდეგ ეხლა ჩვენზე გუმანს ველარავინ მოიტანს.—ამბობდა ნათესაობაში ბიძია მამედა.—კაცი მოჰკლეს და გაძარცვეს. ეს ქვეყანამ იცის. მთავრობა ყაჩაღებს დაეძებს. აბა, ეხლა ისა ვთქვათ, შევირთოთ ქვრივი თუ არა.

— შევირთოთ. წამოიძახა მამედას შვილმა.—დეე ქვეყანამ სთქვას: მტერიც მოჰკლეს და მისი ცოლიც წამოიყვანესო.

— ჰოო! კოჯასაც ეგ უნდოდა.—უბასუხა მამედამ. საქმე მხოლოდ ის არის, ვინ შეირთოს ქვრივი.

— მე.—დაიძახა მახმუდას უნცროსმა ძმამ.

— არა. ეგ არ ვარგა. ქვრივი შენთვის დიდია. შენ არც ცოლი გყავს. შენ რომ შეირთო, აბბასას ქალი პირველი ცოლი იქნება შენთვის. ეს კი საჭირო არ არის: შეითისა მეორე ცოლი იყო და ჩვენშიაც მეორე ცოლად მოვიდეს.

— ცოლი ცოლია. ეგ სულ ერთი არ არის?

— სულ ერთია, მაგრამ პირველობა ნაქვრივალისათვის საჭირო არ არის.

— მაშ იუსუფამ შეირთოს. ამას უკვე ჰყავს ცოლი.

— შენ რას იტყვი, იუსუფ?—შეეკითხა მამედა.

— მე რა უნდა ვსთქვა! მაგრამ თქვენც იცით, რომ ქორწინების ქალაღში პირობა მიწერია, სხვა ცოლი აღარ შევირთო. ეს პირობა რომ დავარღვიო. შეიძლება ცოლმა არ მიყაბულოს და გამეყაროს. მაშინ ქებანი უნდა მივცე ოცდაათი თუმანი. მე კი ფული არა მაქვს.

იუსუფა მართალი იყო. ქორწინების პირობის დარღვევა ძნელია. ან რად უნდა ვაპყროდა ცოლსა იუსუფა და აეწეწა ოჯახი მტრის ცოლის გულისათვის.

— მე მგონია, სამედ შენ შეგიძლიან შეირთო.—უთხრა მამედამ ერთ ხანში შესულს. ერთი ცოლი ამ სამი თვის წინედ მოგიკვდა და კიდევ დაეძებ ახალს.

— მე თანახმა ვარ. აბბასას ქალი ჩემი შესაფერია. მაგრამ ვინ იცის, გათხოვდება? შვილები ჰყავს. შეიძლება იმათ უერთგულოს.

— გათხოვდება, რატომაც არ გათხოვდება! მაშ ოცი-ოცდაორი წლის ქალი გაუთხოვარი დარჩება? შეითის ქონება ბევრი არა დარჩა რა. ქვრივი ეხლა ღარიბად არის. ცხოვრება გაუჭირდება. მამა შეინახავს, მაგრამ თითონ ქალი ჯეელია. უქმროდ არ დადგება.

— მართლაც შეითის ქონება ბევრი აღარა დარჩა რა. კიხხანუმას მაინც ცოტა ერგო: კანონიერი წილი უძრავ-მოძრავისა—ერთი მერვედი; ამდენივე ერგო პირველ ცოლს, რადგანაც ორივენი შვილებიანი იყვნენ. ოთხ ვაჟს, თუმც მცირეწლოვანნი იყვნენ. ქონების ნახევარი ერგოთ, თითოს ორჯერ მეტი, ვიდრე დედას. კიხხანუმას ორ ქალს დედის ოდენა ქონება ერგოთ, ერთი მერვედი თითოს. ძმასაც ერგო წილი, დედასაც. მაგრამ მისი ქონება ვალებმა გაანახევრეს. შეითი ვაჭრობდა და მოვალეები ჰყავდა. ამათ შემდეგ მემკვიდრეებს აღა-

რადარჩათ რა. კიზხანუმამ მზითევი კი წამოიღო, მაგრამ მემკვიდრეობით ცოტა რამ ერგო. მზითევი ამ ხუთ წელიწადში ბევრი გაცვდა.

მართალს ამბობდა ბიძია მამედა: კიზხანუმას იმდენი არა ჰქონდა, რომ ქვრივობაში თავისუფლად ეცხოვრნა და შვილებიც დაეზარდნა.

ქმრის სახლში ყოფნა კიზხანუმასათვის ეხლა სახეირო არ იყო. ჯერ ქმრის დროსაც უსიამოვნობა ჰქონდა თავის გიუნეუსთან და ეხლა უარესი გახდა მისი იქ ყოფნა. კანონიერი ქერიული ოთხი თვე და ათი დღე დაჰყო ქმრის ოჯახში, ოთხჯერ გაიწმინდა ოთხი თვიურით. გამოირკვა, რომ ორსულად არ იყო და შეეძლო გათხოვება და მამის ოჯახში დაბრუნდა. შვილები დიდებას დაუტოვა.

აბბასამ უკვე დაუწყო ძებნა ახალ სასიძოს, მაგრამ ქვრივის ბედი სოფელმა უკვე იცოდა: კიზხანუმა სამედას ბედი იყო. ეს ამბავი აბბასამაც გაიგო. მართალია, სამედას ნათესაობამ მოუკლა სიძე, მაგრამ ის სისხლით ნათესავი არ იყო და ამისათვის სისხლის ძიებაც, საჭირო არ იყო. სამედა კი კარგი სასიძო იყო. პირველი ცოლი მოხუცი ჰყავდა, ეს იმის თავდები იყო, რომ კიზხანუმას ახალ ქმრის ოჯახში კარგი ბედი ექნებოდა.

თითონ კიზხანუმამაც ისურვა სამედა. მეითი არ უყვარდა, მის სახლში სიხარული ვერა ჰნახა-რა და მის მტერს რომ მისთხოვდებოდა, რა უშავდა.

აბბასას ქალს გათხოვება ეხლა უფრო გაუადვილდა: ქალს ძველი მზითევი ჰქონდა, ამას ქმრისაგან მემკვიდრეობითაც ცოტა რამ დაემატა. მამას ეხლა ხარჯები აღარა მოუვიდოდა რა.

ქებინზე ეხლა ლაპარაკიც არ შეიძლებოდა: ეს პირველ ქებინით იყო გამოკვეული. სამედას ეხლა იმის ნახევარი ქებინი უნდა დაეწერნა, რაც პირველ გათხოვების დროს იყო დაწერილი. მეითის ქებინი ასი თუმანი იყო, სამედასი კი ორმოცდაათი უნდა ყოფილიყო, რადგან ქალი მეორედ თხოვდებოდა.

ყველა დამშვიდდა, მაგრამ მეორე სისხლი აუღებელი დარჩა. ეხლა ჯერი მეითის ნათესაობისა იყო. ყველა მის უფროს შვილის დავაქვაცებას ელოდდა: ჯერი ეხლა იუსუფ დალი ოღლიზე იყო მიმდგარი.



ტფილისი *)

რომანი

თავი მეხუთე

სახლი, სადაც მე ვცხოვრობ

გვიან არის.

ტრაქტირებიდან, ქუჩებიდან, საზოგადო სახლებიდან და სარდაფებიდან დაბრუნებული ღამის ნათევი, დაღლილი მდგმურები შეძვრენ სოროებში და ისვენებენ.

ეს სახლი, სადაც მე ვცხოვრობ, ჰგავს გადარეულის კუზიან პოდვას.

დაღამებისთანავე დაიწყება მოძრაობა, მიდი-მოდიან, ყვირიან.

სადღაც ბავში სტირის, აქ ვილაც ქუჩურ უწმაწურ სიმღერას მღერის, იქ გინება ისმის და შუალამით, როცა ყოველ პატიოსან მოქალაქეს სძინავს ღრმა ძილით, სახლი იგი მთვრალ დედაკაცოვით აბორგდება და დაიწყებს შმაშურს.

ქურდები, პროსტიტუტები, რეციდივისტები, ვოლგის სანაპირო გუბერნიებიდან გადმოხვეწილი უპატრონო ბავშვები და კაცისმკვლელები ბაცილებივით გამოხობდებიან ბნელ ჯურღმულებიდან და თვალაცეცებულნი მიიპარებიან შესახვევებში და ქუჩაბანდებში.

მთელი ღამე მუშაობენ, იღწვიან, მოქმედობენ და მერე, როცა ცამტრედის ფრად ინათებს, სისხლში დასვრილ ბებუთებს ქარქაშში ჩააგებენ და მოჭანკულნი, სახე ნაგვემნი ბრუნდებიან ისევ სოროში, ჩაძვრებიან ბნელ ჯურღმულებში და ასე სძინავს მერე მთელი დღე ამ კბილჩაბდღვნილ სახლს ბებერ ინვალიდით მყუდრო ღრმა ძილით, ისე თითქოს ის არაფერ შუაში იყოს.

პატიოსანი და წარჩინებული მრავალსართულიანი სახლები ალყაფებს უზარმაზარ ხანებივით დააბჩენენ, გამოძინებულ მდგმურებს ნესტიან ყრონტიდან ქუჩაში გადმოყრიან და აყეფდებიან მეფხოვებით, მილიციონერებით და ნახევრად ჩაუცმელ პირდაუბანელ, თმაგაწეწილ კორიკანა დედაკაცებით.

სისხლის სამართლის მილიცია თავზე თმებს იგლეჯს, ოქმს ოქმზე აღგენს.

*) იხ. „მნათობი“ № 1, 1927 წ.



მაგრამ ბოროტმოქმედებათა სია მაინც მეორდება შემდეგი დღის გაზეთის ფურცლებზე.

ეს ხალხი, ჩემ მეზობლად რომ ცხოვრობს, დაებოტებიან ქაფქაფ ქორეოტ სულელებით და ტფილისი ბორგავს ძილში მოუსვენრად, ხროტიანობის ხუხუხებით და ჰგუდავს კოშმარი.

მე ხშირად მეჩვენება, როგორ დაბორგავს ქუჩებში ეს თავის ადგილზე გულავარდნილი მაწანწალა სახლი, დაძრწის ბოდვასავით, დასდევს როყინთ პროსტიტუტებს და მერე დაღლილი და აქლოშინებული დაჯდება კრუხივთ ქალაქის რომელიმე მოედანზე და ფრთების ფათქუნით აკრიახდება, მიჯრიათ მიწყობილ კრამიტებს გაშლის, ფრთას ფრთას შემოაჭკრავს და ცად აფრენილი დასჩხავის ქალაქს ყორანივით ნავსიანად.

მე და ყვაფი რიფსიმე ვცხოვრობთ ამ სახლში და მე ჩიტის აფრენის სიმალლიდან აკანკალებული დავცქერი ქალაქს.

ყვაფი რიფსიმე ფანჯარაში იცქირება, იცინის ნიშნის მოგებით, უხარია და ისიც ამ სახლთან ერთად დათარსული დასჩხავის ქალაქს თვალბედიტად.

დაფრინავს ცაში სახლი იგი უხნეო, ლოკავს დაშაქრულ მთვარეს, დაძრწის ქალაქის თავზე ფრთაასხმულ ყუბაქივით და მერე მთელი ღამის წანწალით დაოსებული ფუნეკულორზე ავადმყოფ ძალღივით ჩამოჯდება და შეჭყმუის ვარსკვლავს.

დიდხანს იყმუვლებს იგი ასე ატირებული ღამეებში, მერე ჯდება ტრამვაის ღიანდაგზე და ხრიალით, კივილით ჩამოდის ძირს და ეს კივილი და ატირებული ყმუილი ისმის ზარივით ბოსტან-ქალაქში, ხოფში და ძველ დბანისში. და ასე, იგი მთვრალი, მიეყუდება, ბარბაციით ზაჰესის სვეტს და გალემილ ლოთივით არწყევს უკუნეთ ღამეს.

მე ხშირად მესმის ღამეებში როგორ აგინებს იგი ხუთბოლოიან ვარსკვლავს ყოვლად წმინდას, მაგრამ მრცხვენია გამხელის, ვიცი: არავინ დამიჯერებს.

და, როცა დილით, ღამით მომხდარ უცნაურ ამბებით აღშფოთებული ქალაქი აწრიალდება, — ამ დღინძალლ სახლს სძინავს თავისთვის ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და ისვენებს, რომ შემდეგ ღამეს ადგეს ისევ ხორთუმთან კოშმარივით, დააძროს მიწაში ღრმად გაყრილი დამპალ კბილის ძირებივით ჩაქმული ბალავერები და უხარმაზარი უხნეო კუბიკივით დაიწყოს წანწალი ქუჩა-ქუჩა, იღრინოს ალაყაფებით, იხროტინოს ბრონხიტიანივით გაციებულ ბუხრებით, გადამთვრალ ლოთივით წაიქცეს სადმე შუა პროსპექტზე, დაიფშენას, ისევ აშენდეს და ასე ოჯახდაქცეულმა და ხელახლა აშენებულმა აითრიოს წელკავიანი კვნესით გახრული, კედლები, რომ მერე სახურავგადახდილმა იაროს უქუდოთ პროსტიტუტებთან ერთად ბნელ ქუჩებში და იცინოს როყინით „ვეფხის ტყაოსნის“ პერგამენტზე უზრდელად დაწოლილ ჩარლი ჩებლინის უადგილო ოხუნჯობაზე.

კარმინითა და იაფფასიან პუდრით პირშეცხებული კახპა ჰკოცნის ცინიკურ კისკისით კუბიკის კედელს, ჩებლინი ბამბუკის ჯოხით ფეხის გულებს ჰფხანს და ალერსით დამთვრალი სახლი ხარხარობს დაღებულ ალაყაფებით, ხორხოტობს

ვნებით ატრუებული და სოფელ ხოფიდან ყეფითა და საცოდავ წყლით მოვარდნილი შეშინებული ხატი ძახთაპირი მიფორთხავს მამადავითზე.

სახლი იგი არის ორთავიანი, გაშლილი ფრთებით, კარებს და მხრებსზე ჰკიდია ძველ პაგონებივით აივნები, კარები, ფანჯრები და განფორთხილი ჰკორტნის ნისკარტით ცას გალურჯებულს.

ასე დაძრწის ეს ბებერ სიფილისიანივით ცხვირჩანგრეული პირძაღლი სახლი, დაათრევს მუცელში სკამებს, სავარძლებს, ვანებს, უნიტასს, კანალიზაციას და საშოდან უდღეურ ლეკვივით გადმოვარდნილი კომოდი მისდევს როყინით პროსპექტზე გაქცეულ თმახუჭუჭა მეოცნებე პოეტს.

მე ვცხოვრობ ამ სახლში და მუდამ შიშში ვარ, ფეხი არ მოუსხლტეს და მტკვარში არ გადიჩეხოს, იმიტომ რომ მე ვცხოვრობ ამ სახლში, მეშინია დალუპვის და მთელი ღამეები არა მაქვს ძილი და მოსვენება. მე ვხედავ მუდამ ყოველად უცნაურ ამბებს და ყოველ დილით, როცა ვდგები, თავი მტკივა და ყურები მიშხუის.

მინდა ბინა გამოვიცვალო, მაგრამ არ მოხერხდა, ახლა ბინის კრიზისია და მე ვიცი რომ ეს სახლი შემიჭამს და ჩემი საშველი არ იქნება.

დილით, როცა ის თავის ადგილს დაუბრუნდება, ძირმომპალ საძირკვლებს მიწაში წურბელივით გაუყრის, თავზე ძველ კრამიტებს წაიწყობს და მკლავზე დაწოლილ მათხოვარივით დაიძინებს.

ცად ავარდნილი ძზე ცეცხლის კრუხივით დააცხრება მას, ჰკორტნის კრიახით სახურავზე წაყრილ კრამიტებს, ჰფხოჭნის ძველ კედლებს, ლოკავს აღმურით და საღამოთი იგი ღონემიხდილი და უნიათო ავადმყოფ კახპასავით თრიალეთის მთის გრებილებზე გადაწვება და მოჭრილ თავივით სისხლიანი ჩაიძირება საღამოს ბინდებში.

ახლა შუადღეა და სახლს სძინავს.

ქენინა რიფსიმეს ყრუ-მუნჯი შოახლე სირანუშა დადის ბნელ დერეფანში და ეძებს მამაკაცის აღერსს, — არავინ ეკარება. მოწყურებული დაალებს სურავანდით შეგჭმულ თევზივით უკბილო პირს და თვალზე ამღვრეული ბლავის ნადირივით, ბლავილი იგი იმწყვდევს ბნელ დერეფანში და ძუძუებივით რბილად მიგორავს კიბეებზე.

ახლა ყველას სძინავს, ყველა ისვენებს, გარეთ ცხელა და მე ვვრძნობ, როგორ უახლოვდება ეს ყრუ-მუნჯი გოგო ჩემ კარებს ფეხაკრეფით და როგორ იცქირება გასაღების ხვრელში ჟინატებილი.

მე ვბრაზობ, არ ვიცი რა ვიღონო, გაზეთის ქალაღდს ვხეე, ვკმუჭნი და გასაღების ხვრელს ვკმანავ.

დავდივარ ოთახში, ვფიქრობ, მერე საწერ მაგიდასთან ვჯდები და განვაგრძობ შეწყვეტილ მუშაობას.

ირგვლივ სამარისებური მყუდროებაა.

მე ვწერ სიყვარულის ქებათა-ქებას.

მე ვოცნებობ როგორ დაიბადა ოქროს კვერცხიდან ტყის დედოფალი დალი, როგორ დასდევდა მას ატრუებული პანი ნერჩი-პატენი და როგორ შე-

უყვარდა მას მოსავეით დაწოლილი დევგმირი სულკალმახი... ბეთქილ... ტყაში
მაფა... ირევა ყველაფერი და სადღაც ტვინში მივარდნილ კუნძულებს შორის
ზარმაცი ნაცარქექია ზურგზე აკიდებულ ნაცარით სავსე გუდით ~~ქიქველეს~~ კად-
გისით გუდას და იბღღვირება ტუტით ყველაფერი. სტყუის იგბ ~~სტყუის~~ კამ-
ბობს არაკებს, ის ზარმაცია, უმაქნისი, ყბედი, მაგრამ მტვერს მაინც დიდი საქ-
მიან კაცის ოდენს აყენებს... ეშმაკია ის... ზარმაცი, ცბიერი და უყვარს ბუხარ-
თან ზღაპრის მოყოლა და ლაზღანდარობა...

ასე ვიყავ მე გატაცებული და, როცა გამოვერკვიე, ფანჯარას მოლოდინით
აღსავსე თვალებით შევხედე, მე მოველოდი როგორ შემოვიდოდა ჩემთან ოთახ-
ში დედინაცვალისაგან ნაგვემი ქალი ეთერი: (მანანა), მაგრამ ვხედავ რომ ფან-
ჯარაში არავინ არის და მზე მალლა ასულა.

დერეფანში ისმის სტუდენტების ხმა: ოსტეოლოგიის ჩასაბარებლად ეშხა-
დებიან და მე ასე მგონია, თითქოს მათ ჩემი ნედლი ძვლები უჭირავთ ხელში
და ლათინურ სახელებით ულოცავენ.

ერთი მათგანი ჩემი მეგობარია, მისი სახელი: ჯაბა.

ის ხშირად შემოდის ჩემთან და მებაახება ჩემს უკანასკნელ რომანზე, მედი-
ცინაზე, სექსუალურ ფსიქოპათოლოგიაზე, ევგენიკის ახალ პრობლემებზე და
ატავიზმზე.

არ მოსწონს რომ მე მიტაცებს ლეონ ტოლსტოი, ვაჟა-ფშაველა და იაკობ
ხუცესი.

ის დოსტოევსკის მალმერთებელია, ფროიდის ახალ თეორიებით არის გა-
ტაცებული და აოცებს მისი ოიდიპოს კომპლექსი და სიზმრების სიმბოლიკა.

ერთხელ მე მას ჩემი ფიქრები მოუყევი ფალლუსისა და გველის კულტის
შესახებ საქართველოში, ვლადპარაკობდით ქართულ დიონისოზე, ბერიკაზე, თრია-
ლეთის დიდგორობაზე, აზაზელზე, მეგრულ თხაქურობაზე და ის გაშტერებულ
თვალებით მიცქეროდა.

ჯაბა არ მსახურობს.

დღე და ღამე სწავლობს.

იცის გერმანული ენა და ახლა ფრანგულში მეცადინეობს.

სამეგრელოდან ჩამოსდის ხის კოთხოვებში ჩაწყობილი გამხმარი სულგუნე-
ბე და სიმინდის ფქვილი.

ის ხშირად შემოდის ჩემთან და მეხვეწება რომ ჩემი სიზმრები მოუყევი,
ფროიდის თეორიის შესამოწმებლად უნდა, მაგრამ მე იმას მუდამ ბაყალ გეოს-
თან ვგზავნი.

გეო ხედავს მუდამ ეროტიულ სიზმრებს და უყვარს კიდევ მათი მოყოლა.

რა უნდა უთხრა მე მას, როდესაც მთელი ჩემი ცხოვრება ჰგავს უზარმა-
ზარ ბოდვას და სიზმარი და ცხადი ერთი მეორეში ამერია, როდესაც მათ შო-
რის ერთიანად წაიშალა საზღვარი და ამბავი, რომელიც ხდება ჩემს ცხოვრება-
ში, ვერ გამირკვევია სიზმარში იყო თუ სინამდვილეში.

სწორედ გუშინ ვსაყვედურობდი მე ბაყალ გეოს, რომ მას ევროპული
კოსტუმი ეცვა და ისე ჩაშიარა გვერდით, თითქოს ვერ მიცნო.

გეოს სიცილად არ ეყო ეს ამბავი.

— ეპ, რას ამბობ, ძმაო!... მე და შტატსკი!.. სიზმარში ხომ არ ნახე? —
მიპასუხა მან და უეცრად მომაგონდა, რომ ამას უკვე კვლავ სიზმარში
ვნახავდი.

ასე შემართება მე.

ჯაბა მუდამ მაფრთხილებს, რომ მე ნერვები მაქვს დაწეწილი, მოსვენება
შინდა, თორემ ავად გავხდები. მირჩევს ექიმს მივმართო, მაგრამ არ მივდივარ.
ისინი ზედმიწევნით სუფთა, წესიერი და მეთოდური არიან. ეს მე მამბრახებს
და შოთმინებიდან გამოვყევარ.

ახლა მთელ სახლში სამარისებური დუმილი არის შემომწყვდეული და
სტუდენტების ლათინური ტერმინები ბოდუასავით ხმაურობენ დერეფანში.

მე თავბრუ მეხვევა ამ გაუგებარი ტერმინების პუტუნში და ვგრძნობ რომ
გულს შეყრება.

სირანუშა, ეტყობა, არ იცქირება გასაღების ხვრელში (მე ვგრძნობ ამას).

დერეფანში დადის ერთი ფილოლოგი სტუდენტი და სანსკრიტულ ფრა-
ზებს იზეპირებს. ყველა ბინებში სიჩუმეა, მხოლოდ ჩემ ნაცნობ პროსტიტუტის
ოთახიდან ისმის ქალის ხრინწიანი ტირილი და მთვრალი ოღრაშის დაჭრილი
ნადირივით ბლავილი.

დერეფანში გდია აგური და მე მომაგონდა სალამანდრას ფოსფორიულ
სინათლით ნიმბმოსილი წმინდა მორიელი.

არ ვიცი რატომ, რალაც უცნაურმა ძალამ ამაყენა და დერეფანში გავველ:
აკური ფრთხილად გადაეწიე და სიბნელეში იატაკზე ძლივს გავარჩიე გას-
ნატული ყვითელი მორიელი. იკრუნჩხებოდა იგი ბოროტი, ლოშქრით გაყვი-
თლებული ჟინიანად და თავს იშხამავდა.

სტუდენტი ფილოლოგი მომიახლოვდა და გაკვირვებული ბეცი თვალებით
მორიელს დააჩერდა.

მორიელს ფეხი დაეაჭირე, გავსრისე და მას არ უთქვამს:

— ასეთი გვარისა ვარ, თუ ვინმეს არ უკბინე, ისე არ შემიძლიაო...

სამაგიეროდ მე გამიელვა:

— ვინც მე მკბენს, თუ არ გავსრისე, ისე არც მე შემიძლია მეთქი და
გამეცინა.

სტუდენტი გაკვირვებული თვალებით მიცქეროდა და, ალბათ, სულელი
ვეგონე.

მე ვერ მოვითმინე, სულმა წამისწრო და რატომღაც ნიშნის მოგებით უთ-
ხარ:

— რას იზამ, მეგობარო, როცა კვიცი გვარზე ხტის და სხვა გზა არ
არის!..

სახტად დარჩენილი სტუდენტი სულელურ ბეცი თვალებით მიცქეროდა
და მე ამაყრ და სასაცილოდ კმაყოფილი (თვითონვე ვგრძნობდი ამას) შეველ
ჩემს ოთახში.

ჯერ კარი მიხურული არ მქონდა, რომ ნუშოს ოთახიდან ყრუ ტირილი

მომესმა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, დაჯექი მაგიდასთან, ვადავშალე ისევ „ქილილა და დამანა“ და კითხვა დავიწყე.

კარგა ხანს ვკითხულობდი მე, მაგრამ თავში არაფერი შედიოდა მკვამრებზე, რაზედღე იქით მივაგდე.

სტუდენტი დგას, ალბათ, ახლა დერეფანში, სადღაც გაფრინდა სანსკრიტული ფრაზები და ფიქრობს რომ მე ან გადარეული ვარ და ან ფარსავი არ მჭირს.

მე ეს რატომღაც მახარებს, პაპიროსს ცეცხლი მოუკიდე და ლოგინზე წამოვწექი.

დიღხან ვიწექი მე და ვფიქრობდი.

ვისზე უნდა მეფიქრა, თუ არ მანანაზე!.. განა სხვა რამეზე ფიქრი შემიძლია!.. ყველა ფიქრებს მე მანანასთან მივყევარ. გულს სევდა შემომახდა, რაღაც მეტკინა შივნით და სიმწრით მკლავზე ვიკბინე. მე ვიცოდი რომ ასე არ შეიძლებოდა. რომ ერთ დღეს მე უნდა შეთქვა მისთვის გულახდილად ჩემი ტკივილი, უნდა გამოვმტყდარიყავ ჩემ სიყვარულში, ან-და თავისთავად უნდა მომხდარიყო რამე ამგვარი და არ ვიცოდი როგორ. სად ეცალა ახლა იმას ჩემთვის! მისი გრძნობა-გონება დაპატიმრებულ მამაზე ფიქრით იყო დაკავებული.

კარგა ხანს ვიყავ მე ასე ფიქრად წასული, თავბრუ დამეხვა, თვალები მოვიშმუშნე და კუთხეში მიკიდებულ ჯვარცმას შევხედე. დედამ დაჰკიდა იგი წმიდა ნინოს ხატის გვერდით. შარშანდელი ბზა იღო იქვე ხატს უკან გამხმარი და მტვერიანი.

უეცრად ვხედავა ქრისტემ ვერ გაუძლო თავის სიმძიმეს, ჯვარს მოსწყდა და ცალი ხელით სამკვალზე უმწეოდ დაეკიდა. ახლა ქრისტე არ არის ჯვარზე, — მორიელი იკრუნჩხება ზედ და შხამავს მაცხოვარს.

მე მივხედი რომ აქ იყო ჩეპლინიც თავისი უადგილო ოხუნჯობით და წმიდა რაბბი, — იესო ქრისტე, გაკრული იყო ორ ავაზაკს შორის, მარჯენიე მორიელი და მარცხენიე ჩეპლინი. მე შემეცოდა რაბბი, ავდექი, მიუახლოვდი, — არაფერი... ქრისტე ისევ ისე არის ჯვარზე გაკრული, ფერდი შევარდნილი აქვს და სისხლი მკერდზე შეხმობია.

ჩემი ფიქრები ისევ რომანს უბრუნდება.

მე ვფიქრობ თავზე, სადაც ღმერთი ჩამოდის მიწაზე და დადის პროსპექტებზე.

დგას ის სახელგამის წინ ხეების ძირას და პოეტები და ერთი გაკრეკილი მღვდელი ელაზღანდარებიან მას. მე მინდა ეს თავი გავაკეთო დოსტოევსკის დიდ ინკვიზიტორის ლეგენდის მსგავსად, მაგრამ ეს არ იქნება ლეგენდა, ეს იქნება ირონია და გაბითურების ხასიათი ქართველი კაცისა. ეს იქნება ამბავი იმის შესახებ, როცა ღმერთი ქართველ კაცთან არის, მას არა აქვს ნება იყოს ღმერთი, იმიტომ რომ აქ არავინ არ ჰგრძნობს თავის თავს მასზე ნაკლებად. რომ ახალ ინკვიზიტორს სრულებით არ უნდა აწამოს მისი ძე მისივე ავტორიტეტის განსადიდებლად, არამედ უნდა ძირს ჩამოიყვანოს მისი მამაც, მონახოს მისი ცოლის ნათესავები და ასე დააბას იგი მიწაზე და ახადოს გვირგვინი.

სახატეს მოვშორდი.

ფანჯარაზე გადავდექი.

დავცქერი მტკვარს.

მე მომაგონდა ერთი უცნაური მეგრული ლეგენდა: ერისთავთა

ნოქალაქევეთან ტეხური ისე ვიწროა, რომ გადახტები.

ეს ოსმალების შემოსევის დროს მოხდა.

მთელი სოფლები ციხეებს შეეხიზნა. მირბოდა ხალხი და უკან სტოვებდა გადამწვარ სახლ-კარს, შვილი მოხუც მამას სტოვებდა და მამა ოჯახს, იმიტომ რომ მათ მოელოდა მცონარეთ და ღირწი ოსმალეთის მონის ბაზრები.

იყო კიენა:

— არიქა, თავს უშველეთ!.. ციხეში!.. ციხეში შეაფარეთ თავი!..

ბუკი ხროტინობდა, ზარები რეკდენ, ზმუოდა საქონელი და ძაღლების ყეფამ და ქალებისა და ბავშვების წივილმა ზეცა დააყრუა.

ყველამ მოასწრო ციხეში შესვლა, ვერ მოასწრო, მხოლოდ ერთმა ქალმა. ის ფეხმძიმედ იყო, გათქვირული და სირბილი არ შეეძლო. ტეხური მოდიდებული იყო და პირდაპირ გასვლა არ შეიძლებოდა, — ფონი შორს იყო, მტერი ფეხდაფეხ მოსდევდა. მაშინ მდინარე აღივსო დედის სიბრაღულით, მას შეებრაღა ორსული ქალი, უეცრად გველივით გაიზმორა, გაიწვართა მიწაზე, მოასწურა ნაპირები, ქალი გადახტა და ციხეში შეასწრო.

რამდენი მზრუნველობა, სიყვარული და კეთილშობილება არის ამ თქმულებაში!..

მტკვარი მოშუის და ასკდება წისქვილებს ტლაშუნით.

ვერის ხიდზე დასაულავების მწუხარე კორტეჟი მიემართება და გულდათუთქული დედა, ბედდამწვარი მეუღლე და ღრმად დამწუხრებული დაე და ძმები მიჰყვებიან უდროვოდ (იქნებ, ტრადიკულადაც) გარდაცვალებულ ცხედარს და შავად შემოსილ ჭირისუფლებში თეთრად მიირწევა „კიენაძისა და მაიერის დასაფლავების ბიუროს“ ბალდახინი. ბალდახინის გუმბათზე მსუქანი მოვერცხლილი ანგელოზი ზის და ხელში მძიმე ჯვარი უჭირავს.

ტრამვაები და ავტომობილები დაჰქრიან ბუზლუნით, სივრცეებს ბამბებივით ყლაპავენ და კლოუნებივით უზრდელად კისკისებენ.

იქ, ძირს, სადაც ძველი ტფალისის მიდამოების საარტილერიო ხევია, ირწევიან ქრელი კარუსელები, უკრავს ხმაჩახლეწილი არღანი და ეს კარუსელი შემოვიდა ჩემს ტვინში უსიცოცხლო გაცრეცილ ხის ცხენებით ისე, როგორც ავეიუსის თავლაში, აჭიხვინდენ ყრუდ, ბუტაფორიულად და ჭიხვინში დაჰყარეს დაღეჭილ შაქრის ქალაღდის ნეხვი.

მანეჟზე წითელარმიელები ვარჯიშობენ.

ექვსი ცხენი დააგორებს სამთო ზარბაზანს.

მე მომაგონდა ჩემი ჯარისკაცობის დღეები, როცა მე მეორე საარტილერიო ბრიგადის, პირველ ბატარეის უმცროსი ნაცვალ ვიყავი სოფ. მუხრავანში.

ყაზარმაში მაშინ იყო სევდა და ჯარისკაცის მაზარასავით უფერული და

მოსაწყენი დღეები... წინ გადაშლილი იყო: სოფ. ხაშში, სარტყიჭალა, ცლაუბერის მარილის ქარხანა და თათრის სოფელი მულანლო... იორი მთიანეთში გველივით... ეს არ არის ახლა, ახლა მე აქ ვარ ტფილისში და დავცქერი მტკვარს, გულში მანანაა და სიყვარული...

თავი მერვე

ხილთა ქება

მზე გავარვარებულ ღუმელივით ახურებს ქალაქს და ლოკავს აღმურით გეოს ხილის დუქანს.

გობებზე აწყვია ხილი მრავალგვარი და გობები ივსება ციდან ჩამოღვრილი ცხელი დორბლით.

დუქანში დგას ციების ხაშში, მიწის მძიმე სუნი, ალხი, სინესტე და ხილისა და მწვანეხილის მებრუებელი სურნელება. გეო თვრება ქინძის, სუნნელის, ატმებისა და ნესვების სუნში, ზის გრილ კიტრებში მიწაზე და თვალები ელულება.

ფუტკარი ზუზუნებს ყველგან: დუქანში, თავში, ყურებში, ბუხები მიძვრებაან ცხვირში, პირში და გეო აგინებს მათ პირსა და გამჩენს უწმაწურად, იქნევს საღავათ გამოლეული ცხენის ძუის ბუზის საგერიებელ ფუნჯს და ეს ფუნჯი შრიალობს ტვინში და ტვინში დგას გობებით შემოტანილი ხვავი და ბარაქა. ლპება ხილი, შრება წყალმოპკურებული მწვანელი.

სადღაც შორს ისმის ყრუდ:

— აი წიწმატი, ბოლოკი, პერსიკ ადალაიცა, მალადოი აგურე-ეც!—და მერე არის დუმილი და ამ დუმილში ზუზუნობს გვალვა.

გობებში ჩადგა წყალი და ხილის ტკბილი წვენი, დაფორთხავენ შიგ ამებისა და ხოლერის ვიბრიონები და, ჩემო მანანავ, შენი სპარსული ხავერდის თვალები ტრიალებენ შიგ ღვთის თვალვით.

ჰკი, თქვენ, ლოყაწითელო თურაშაულო ვაშლებო, ლეკეთიდან ჩამოსულო ყვითელო გულაბო მსხლებო, კურკაში გახეთქილო ხიდისთაურო წითელო ატმებო, კახურო და შულავრულო რქაწითელა ყურძნის მტევნებო და გულ გაღვდილო სისხლივით წითელო ბროწეულებო, იხარეთ და დამშვენდით! მზე გაყრის თქვენ შაქარს უხვად და თქვენ მწიფდებით, ჰლუით პატარძლებივით,—ხედავთ, დავცქერისთ თქვენ თქმოდანიერ მანანას ღვთის მადლივით ტკბილი თვალები, თვალები გადმოსული სპარსულ ხახვისფერ მინიატურიდან და თქვენ შორის წევს კოლოტივით გასუქებული, თქვენის ბარაქით მადლიერი პატრონი საწყალი გეო და მისი უხარმაზარი ინით შუბლშეღებული რქაგრეხილი დაბუა ყოჩი წევს თქვენ შორის ცოდვასავით ტკბილი მილულულ თვალებით და ხარმაცად იცოხნება.

გეო ნებერ ხილთა ხალიფივით წევს თქვენ შორის და თქვენ წლის განმავლობაში ჩაველით მსუქან ბავშებივით გობზე ბარაქიანად დაწოლილი. ათასერთ ღამესავით ჩაატარებთ თქვენ გეოს სიცოცხლეს და შეხერაზადას ცხელი



ზღაპრებით დაატკობთ მის ყურთასმენას, წყალს დააღვინებთ მის თვალებს, აბრუებთ მას აფშვენილ სურნელებით, რომ ასე მიაძინოთ იგი ნიღბის სიმთვრალეში და გადურჩეთ შექმას.

შუა ტფილისში დადგით თქვენ ქალაქად ხილის ბაღდადი და ქრელ ბაღდადში ჩავარდნილი მზე ბულრაობს შაქრად დამდნარი.

გეო წევს კიტრებში გრილად და ღუქანში არის ხილეულობის აშარ ქალებივით კაპასი, თავაგდებული ამპარტავნობა და თავის ქება.

ღნებიან ვაშლები, იბნიდებიან ატმები, ლუიან ბროწეულები, იქარგებიან ფარლულის მძივივით დაყრილი ბარაქიანი ყურძნის მტევნები, ინერწყვებიან ყვითელი გულაბი მსხლები სიტკბოში და ასე ფერადფერადი ხილეული იღვრება მურაბის წვენად მუხის განიერ თაბახზე.

ბუხები ზუზუნობენ, ფუტკარი თვრება და ღუქანში არ არის ყურთასმენა.

პირჭორფლიანი ხარაგოულის მარწყვი ვერ ითმენს, ის კოპწიაა, მშვენიერი და უნდა თავი იჩინოს მთელი სიტურფით, ერთ ადგილას ვერ ისვენებს, ცმუტავს თაბახზე და მერე წითელ ქათიბს ეშხიანად იბერტყავს, მოკლე კაბიანი, ხორცისფერ თხელ წინდებში მოქნილ ფეხებით აკეთებს მდაბალ რევერანსს ისე, თითქოს მენუეტის საცეკვაოდ იწვევდეს გეოს და ამბობს ტიტინით:

...— მოვალ პირველად, მე ვერა მისწრებს ხილია,
ფერად მსგავსი ვარ ლალისა, მერმე საქმელად ტკბილია,
წინად მომისწრებს ტყემალი, — შეავე არის და გრილია,
მისგან ჩივიან ყოველნი: ვჭამეთ მოგვკვეთა კბილია!...

სთქვა მარწყვმა, შემკრთალი სახით ტყემალს გადახედა, და სულ-შეტაცუბული, რომ მას, ასე პატარას, მორცხვსა და მეტად ტკბილს, ამდენი ლაპარაკი დასჭირდა თავის ღირსების დასაცავად, დაღლილი წაწვა თაბახზე და თვალცრემლიანს ყუნწი მიაწყდა.

იქვე ტარხუნასთან მიდგმულ გობზე ეყარა იმერული ტყემალი. აენტო იგი მარწყვის კაღნიერებაზე, ბრაზით ვერ გალურჯდა, მერე გამწვანდა და მისმა სიმეავემ დაღვარა გობზე უხვად ნერწყვი და პირგამწკლარტებული გეო ინერწყვება და ბრაზობს, ეშინია რომ ამ პირნერწყვიანმა ძირგასახმობმა ტყემალმა არ დაამეაოს ხილი და სიტკბო და ღირსება არ დაუკარგოს.

გეო დგება ქოშინით, პირს აღებს, რომ დედა შეაგინოს მის ძირსა და ბარაქას, მაგრამ უზრდელი ტყემალი მაინც დგას უტიფრად, გეო ჩუმდება, უნდა უყუროს მის ჩივილსაც და პირდაღებული უსმენს ქოშინით.

ტყემალმა უთხრა:

— შეგარცხვენს, მარწყვო, ეგ საუბარია,
უარესი ხარ ყოველთა, არა ხილთა რა დარია,
თავსა მოგჭამენ ჭიანი, ძირი გაქვს მეტად მწარეა,
უჩემოდ ლხინი არ ვარგა, არც-ლა რა სანუკარია!...

ეს რომ ბალმა გაიგონა, ტუჩები ავხორცულ ფინიანობით მოიწუწნა, ლა-

ლის საყურესავით ყუნწზე აკანკალდა, მოსწყდა სისხლისფერი და გეოს შესაგინებლად ამყრალებულ ენაზე დაეცა და დაშაქრა იგი.



ბაღმა უთხრა:

— ამხანაგო, თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსა,

ხესა თეთრად ავაყვავებ, დავიმშვენებ ჩემსა ძირსა,

ბროლისავით გადვიქცევი, ლალის ფერად შიგნით ქვიცსა,

შაქრის მსგავსად მე დავდნები, რა ჩამიდებს კაცი პირსა...

სთქვა მან და ამპარტავან ქალივით კაბის კალთა აწეული დაადნა გეოს ხაოიან ენაზე. დაშოშმინებულმა პატრონმა მძიმედ ამოიხვნეშა, ქოშინით ისევ კიტრებში წაწვა და ისმენს ასე ხილთა პაექრობას.

ეს რომ თხილმა გაიგონა, დარდით გული გაუხმა. მას არ მოეწონა გაუმართავი სიტყვა: „ბროლისავით გადვიქცევი“, გობზე მოუსვენრად ახატუნდა და თავისივე ხმაურით შეშინებულმა მიიხედ-მოიხედა და, როცა ნახა რომ თავი არსად იყო, თავაგდებულმა დაიწყო უზრდელად:

— გკადროთ მართალი, ჩემი პასუხი გულისა,

მოჰყევით ტყუილ-ტყუილსა, მე ამან გამაგულისა,

სალხინოდ შესაქცევარი მე ვარ ყოვლისა სჯულისა,

ვარ მატკივნელი კბილისა, მერე დამწველი გულისა.

ამბობს იგი და ხილი ისმენს მის ტრაბახს და წვანან გობებზე, იზმორებთან ვნებიან სიტკბოში ზანტად და ამთქნარებენ.

— ეს რა რითმია!..— გაიფიქრა იქვე გეოსთან მიყრილმა კიტრმა: — „პასუხი გულისა დამწველი გულისა!..“— მაგრამ აზრი გულში ჩაიკლა და დაიწყო:

— რალა ვიკადრო საქმე ქებისა ჩემისა,

ტკბილი და მკავე არა ვარ, კაცი რად მემოყვრებისა,

გრილი ვარ, კაცსა გავბერავ, თავი მე არ მექებისა,

ვინცა ჩემითა გაძლება,— ციება შეეყრებისა.


და თვითონვე უკმაყოფილო რომ ტაეპის მესამე სტრიქონი უვარგისი იყო უნდოდა ბოდში მოეხადა, მაგრამ გეო გაბრაზდა, რომ მისმა საამაყო კიტრმა ასე გაიბიაბრუა თავი, იმ დროს, როცა ის მთელი დღე მის ქება-დიდებას გაჰყვირის, ბრაზიანი ხმის ამოუღებლად მეორე გვერდზე გადაბრუნდა, მუცლით ზედ დააწვა და გაჰყლიტა იგი.

კიტრს ხმა გაუწყდა და გახეთქილ მუცლიდან გადმოღვარა ხაშმი და ციების თესლი.

დიდხანს ისმებდა ხილთა ქებას გულლაბზიანი და ღრძო ღუთმა ნესვი, ბრაზით გაყვითლებული ციების კანკალმა აიტანა იგი, მერე ყვითელი და ტყირპით მუცელ გაბიზინებული ავადმყოფ ქალივით დაწვა თივაში და მუცელ-თესლიანმა ჩაავდო სიტყვა უკმეხი:

ნესვმა სთქვა:

— ვჩივი ამისთვის, მიწასა მომაყრიანო,



რა გავიზრდები, საქმელად ყველანი მინატრიანს, მხოვლენ, მძებნიან, მპოვებენ, ხორცსა დანითა შერიახო, ციებას, მერმე ცხელებას, ჳირს ჩემგან შეიყრიანო.

კახური ყარფუხი ბრაზიან მიკიტანივით უწმაწურად აყვირდა, დაბლიდან გაანჩხლებული გადმოიქრა, მიწაზე მუცლით რუმბივით დაეცა, გასკდა შუაზე ღდინძალლი და გადმოშალა ცეცხლივით წითელი შაქარმოყრილი ლორთქო გულ-ფილტვი, პირგამეხებულმა კურკები შავად წამოჰყარა და აყაყანდა:

— ნუ უბნობთ მე არვის დაგიცილებო,
თავსა ნუ იქებთ ჩემთანა, ყოველსა შეგარცხვინებო,
შეწუხებულსა სიცხითა მე გულსა მოუგრილებო,
ვარ ჯანაოზი ექიმი, სნეულსა მოკალხინებო.

დაფრთხა ხილეული, შიშით თაბახებს აესნატა და ასე შიშში დაღვარეს გობებზე სიტკბო და ჩატკბენ შიგნით. ცოტა ხანს კიდევ იყო გეოს დუქანში დუმილი, ბუხები ისევ ზუზუნობდენ და ისევ ისმოდა სადღაც მიყრუებულად:

— დული-იაბლუკი, კიტრი მოვიდა, კიტრი!..

ხიდისთაურმა ატამმა, როგორც იქნა, გაბედა, დაღვრილ ნერწყვში ქათიბი რომ არ დასველებოდა, წვივებამდე კაბა ურცხვად აიწია და ტკბალი ხორცი და ვნებით გახსნილი პირი გამოუჩნდა. ასე უსირცხვილო და ვნებით დამდნარი დაეყრდნო ის გობის კაბრას მოაჯირივით, ბაყალ გეოს მსუქან ტუჩებს ვნებიან კოცნით დააკვდა და დაატკბო პატრონის სული და ხორცი. მერე აღეწილი და ვნება დაუშუშებელი, შიშველ მკლავებით, საყვარელ ცოლივით კისერზე მოეხვია, გულაძგერებული მის მკერდს მიეხუტა და ვნებით დაყურსულმა მიზეზიან საყვედურით და მძიმე სუნთქვით დაიწყო:

— რა ვიკადრო საქმე ჩემისა ქებისა,
უკეთესი ვარ ყოველთა, ხე ჩემით ტურფად ჰყვავისა,
შეყრა უხარის ყოველთა, ტურფისა სანახავისა,
მე და ნესვი ვართ ამშლელი ყოვლის სენისა თავისა!..

თხილს არც მისი რითმა მოეწონა (ის მიზეზზე იყო): აბა რას ჰგავს ეს: „ქებისა“ და „ჰყვავისა“, გაიფიქრა მან, მაგრამ გაჩუმდა.

თურაშაულმა ვაშლმა ატამს შურვილით გადახედა და წითლად აიღეწა, შერცხვა მისი უტიფარი საქციელის, სახეზე წიწმატის ფურცელი აიფარა და ასე გაწიწმატებულმა დაიწყო კაპასით:

— შევენებით თქვენ ვერა ხართ ჩემი დარი,
ვარ ყოველთა საყვარელი, საამური, საქებარი,
სალხინო და სანადიმო, სუფრაზედაც მაღებარი,
გულის ჳირის უკუმყრელი, არრად უნდა საუბარი!
ბროწეულმა სთქვა:

— ვერ უბნობთ მართლითა სამართალითა,
ჩემს უტურფესი ნაყოფი არვის უნახავს თვალითა,
მე ჩემსა ხესა მოვკაზმავ, ტურფად შევამკობ ხილითა,
დარბაზს სუფრასა ავაესებ იავუნდითა, ლალითა!..

და ასე ბაყალ გეოს ხილის დუქანი დაემსგავსა უზარმაზარ ფანტასტიურ ბროწეულის ქარვასლას, გატენილს ხილეულით: ქლიავით, შინდით, მუშმალით, ლელვით, კომშით, ჭერამით და რა გინდასულო და გულო!... და, როცა დუქანი იგი ღუოდა ჭრელად ანთებულ სპარსულ ფარდაგვით, უცნაურად დაეცა ღვთის თვალგვით მანანას ნარგისის თვალები მადლად, — დუქანმა ვერ გაუძლო ღვთის კალთა დაბერტყილ გობებით შემოსულ ხვავსა და ბარაქას, გასკდა შუაზე და გაჩნდა ხილთა ჟრიაშული.

შედიოდენ ისინი გეოს სულში პირსავე თაბახებით, ტანთ მწვანეხილის კაბა ემოსათ, ცეკვაედენ, ჰვალობდენ და ასე ვნებიან როცაში მოარწევდენ შილიფ ელელში ვარდისფერ პატარა ჯერ მოუტეხელ ძუძუებს.

ღირწი ყოჩი იდგა ცოდვასავით, ვნებით აკანკალებული ეფვანს აწკარუნებდა, იხვანებოდა და ასხამდა სიტკბოს ქვირითივით დაფანტულ ხილზე.

ვაშლი ვაშლს მისდევს დახვანილი, მსხალი მსხალს და ასე გაიშალნენ ისინი ღვთის კალთასავით დაბერტყილნი ცაში გალობით, ჰმადლობენ ღმერთს გაჩენისათვის, ასხამენ ხოტბას სულწაწყმედილ პატრონს — ბაყალ გეოს და მერე ყველამ ერთად ასწიეს ჟრიაშულით მსუქანი პატრონი მაკე მუცელივით და გააფრინეს იგი ცოდვილი ოსანას გალობით სამოთხისაკენ.

გეო გამოერკვა: თვალები მოიშმუშნა, — არაფერი.

შუადღეა და ცხელა.

ბუხები ირევიან და გეო ავინებს მათ პირსა და გამჩენს.

სწყურია.

— ადუ, ბიჭო, ერთი ზელცკი დამისხი!... ლამის დავიღრჩო ეს ამოდენა კაცი ამ სიცხეში!... — გადასძახის იქვე სკამზე ჩამოძინებულ ბიჭს, ღიად დარჩენილ პირში ბუხები რომ ჩასძრომია და ფშვინავს ოფლად გაღვრილი.

ბიჭი გამოერკვა, თვალები მოიშმუშნა, მერე ადგა, ცივი წყალი დაასხა და ხაზინს მიართვა.

გეომ დალია, სიცხით დახაშმულმა ოფლიანი ღლიავი მოიფხანა, ჭრელი ბაღდადით შუბლზე ოფლი მოიწმინდა და უცრად გარინდდა ერთ ადგილას: —

მის დუქანს მანანა დასცქეროდა და კევსა ჰღეკდა...

თავი მეცხრე

Бедни Гео

ჩამოცხა.

ჰაერი ჩამოიხუთა.

შავი ღრუბელი ფურკამეჩივით დაწვა ცაში, მერე წამოდგა, შეიგდო რქებით ზურგზე მზე და გაიქცა.

გრძელი ჩრდილი რიდესავით გადაეფინა ტფილისს, მაგრამ კამეჩმა ვერ შეირგო ცხელი მზე, ამოცოხნა და დადობლილმა მზემ დაღვარა ქალაქში ლოშკრი და პაპანაქება.

მე ახლა არ ვფიქრობ შენზე.

შენზე, ალბათ, ბაყალი გეო ოცნებობს.

ბაყალ გეუას უყვარხარ შენ და იმიტომ ლაპარაკობს შენზე უწმაწური ამბებს. გეო წარმოგიდგენს შენ ათასგვარ პიკანტურ მდგომარეობაში, ლაპარაკობს დაულაღვად შენზე ჟინატეხილი და ვნებისაგან აკანკალებულ მსუქან-ბიჭობით ხალს იგრებს ლოყაზე, იმიტომ რომ შენ მას უყვარხარ ბიჭუნებურად სუცნაურად და მე რატომღაც არ ვეჭვიანობ, არ ვბრაზობ, პირიქით, საერთო სიყვარულმა განამტკიცა ჩვენი მეგობრობა.

სულს ურჩევნია გეოს უწმაწური ამბები და ანეკდოტები.

ამიტომ არის, რომ მას არ შეუძლია ერთი წუთი გასძლოს, თუ მის გვერდით ვინმე არ არის, რომელთანაც მას შეუძლია ილაპარაკოს თავისი გარყვნილი ამბები. ასეთი ვინმე არის მეტაჩქე ზახარ ზახარიჩი და მიკიტანი ბაბაჭუა.

როცა დუქანში არავინ არის და მუშტარიც ნაკლებად ეძალევა, ის გამოეწყობა სადღესასწაულოდ ისე, თითქოს თელეთობაზე მიდიოდეს სალოცავად, თმას გადივარცხნის, ხალს გადიგრებს, ვერცხლის ქამარს შემოიკრავს და დადის საგანგებოდ საზოგადო ფეხისადგილებში. ალექსანდრეს ბაღში, ოპერის გვერდით და კითხულობს კედლებზე მიწერილ უწმაწურ წარწერებს, უხარია და ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი ათვალეიერებს უმსგავს ნახატებს.

— ვაჰ, დუდეჯან, მოდი ერთი კარგი ჩისტობისანიე მასწავლე რაღა, სულ გადმოვწერო ის მაწალო ამბები!.. — შემეხვეწა ერთხელ გეო, მაგრამ მე იმედი იმითი დაუკრიფე რომ ის საკმაოდ ბებერი არის ამისთვის და განზრახვაზე ხელი ავალეზინე.

გეომ სინანულით გულში მუშტი დაიკრა და კბილები გააკრაჭუნა.

— ვაჰ, მე რა უთხარ იმ სულძაღლ მამაჩემ აბრაგუნეს, რომ კარგი წერა არ მასწავლა. რაც ვიცვი, ჩემმა მზემ, ისიც ჩემდათავად ვისწავლე იმ სულწაწყმედილ ხაზეინთან, საღავათი რომ გამაცალა.

მისი ხილით სავაჭრო ფარდული დგას შანანას აივნის პირდაპირ ზედწარწერით:

ბაყალ გეუას ხილით სავაჭრო

БЕДНИ ГЕО

მობრძანდით ხილი ჭამეთ.

გაამოს

ის მხოლოდ ხილეულითა და მწვანელით ვაჭრობს.

ზაფხულში ლალიძის ხილეულ წყალსაც ჰყიდის.

ხილი აწყვია მის ირგვლივ მრავალფერი და მისი დუქანი ჰგავს მურებით აკივლებულ აღმოსავლურ კრელ ნოხს. გეო ზის ამ ნოხში უხარმაზარ რუმბივით გასიებული შიშველ კოტიტა ფეხებით და მძიმედ ჰხენეშის. ტანთ განიერი ტოტა-

მოშვებული შარვალი აცვია და გადმოდებული მუცელი ცხრაგირვანქიან ვერცხლის სამარხ ქამრით აქვს აკრული.

ირგვლივ დგას მობრუებული სურნელება და სიგრილე ^{ბოლოები}, პიტნის, ტარხუნის, ცერეცოს, ქინძის, ვაშლების, მსხლების, ნესეების, ნაჭების და ვაბერილი ოფლად გაღვრილი გეო თვრება ამ სურნელებით და სურნელებით შესცქერის შენს ძველებურ ცისფერ სურაიან ქართულ აივანს.

შენ მის დუქნის პირდაპირ ცხოვრობ, მაგრამ შენ ხარ ულმობელი, უმოწყალო და ერთხელაც არ გადმოხედავ შენის ეშხით დამწვარ საწყალ გეოს. გეო სწუხს.

გეოს არ ასვენებს შენი სიყვარული.

რა ჰქნას გეომ, როცა სისხლი შავ ღვინოსავით სდულს ძარღვებში, სიყვარული მწიფე მტევნად უკიდია სულში აკიდოებივით და ვნება ქელში ბოლმად აწვება.

სად არ დადის გეო გულის გასართობად!

მარტყოფელ მკითხავ ვარდუასთანაც კი იყო, სიყვარულის თილისმაც იშოვა, თელეთობას არ აკლდება და მუდამ სამღვთო მიუდის, მაგრამ შენ მაინც არ გიყვარს იგი და გეო დათვივით ღმუის თავის ფიცრულ დუქანში, ხან აქეთ ასკდება, ხან იქით, მერე მიწაზე გაშლილ თივაში წაეგდება და ფშვინავს გახურებულ კუროსავით.

დადის საჭეიფოდ ორთაქალის ბაღში და თვალცრემლიანი ხვნეშით ისმენს ეთიმ-გურჯის დამწვარ ყაფიებსა და ბაიათებს. არღანი ავარულ პესნას ტყივის და გეო დნება უცეცხლოდ, იწვის წმიდა სანთელივით და ეშხში შესული ბლავის დასაკლავ ხარივით:

— შენი ქირიმე, შენ კი გენაცვა, ეთიმაჯან, მაგ დუდუკივით ყაყრანტოში!.. შენ დაუკა, დაუკარ გენაცვა, შენი არღნის კორბაც კი ვქამე რალა!.. — გაიძახის ხელებგაშლილი გეო, თვალეები გადაჰბრეცია, ქვედა ლაში გადმოვარდნია, წელში წითელი ბაღდადი გაურქვია და ტოკავს ერთ ადგილას, მხრებს ლაზათიანად იქნევს, მერე შეარღნეს ბარბაცით უახლოვდება, ქუდ ქვეშ ქალაღდის ხუთმანეთიანს უდებს, ჰკოცნის და შეარღნე ატრიალებს კორბას გამოთაყვანებულ სახით, ავტომატიურად და უაზრო თვალეები იდიოტურად აქვს გაშტერებული.

— დალიე, გენაცვა, დალიე!.. მოდი ერთი, ჩემი გულის მურაზი მიდღეგრძელე და!.. სიყმე ნუ მომიკვდება, აი ეს მოგიკვდეს, აი, თუ არ დალიო!.. — ლოყაში ტკაცუნით ხელს ირტყამს და ღვინოს აძალებს შეარღნეს. — მაშ ეს ყარაჩოდელი ბიჭი მოგიკვდეს, თუ ისეთი გატკეცილი ჩერვონეცი არ გადმოვიდე, რომ მთელი ამ ორთაქალის შეარღნეები შურით ღიპზე სკდებოდენ.

— იცოცხლე, გაგიმარჯოს!.. ღმერთმა ის გულის მურაზი გიდღეგრძელოს, რომელიც რომა შენს გულ-ღვიძლსა სწვავს და მალე დაგიამებს!.. — ამბობს შეარღნე ამღვრეულ თვალეებით, ღვინოს სვამს და თან ცალი ხელით კორბას ატრიალებს.

არღანი ჭყივის და გეო დნება შექერივით, იშაუშნება და ვლევა ეს ამოდენა კაცი არღნის ტირილზე.

— უპ, შენი ჭირიმე, შენი, რალა!.. კაცებო, ძმებო, მოდიეთ ერთი მითხარით რა ვქნა, წყალში ჩავარდე თუ ცეცხლში?.. მითხარ ~~ყველავე~~ ~~შე~~ ~~ბერძან~~ ~~ლო~~.. — ემუდარება ზახარ ზახარიჩს, ოფლს იწვენდს, სტირიბს ~~და~~ ~~მარ~~ ~~სტეპან~~ ~~არა~~ უყოს მოხეთქილ ვნებას, მაგრამ ამ დროს ბიჭურად შეკრეჭილი კახპა დროს იხელთებს, გეოს კალთაში ჩაუჯდება და მის გაღეღილ საკინძეს მორიდებითა და ნაჭირავებ ალერსით ეღიზნება.

გეო ჰკოცნის მას, ჰკბენს პირში, ხორცი ფუვდება მოვარდნილ ვნებისაგან და ჰკრძნობს, როგორ მიექანება იგი აურუოლებულ სიღრმეებში და ეს არღანი, ქორია შეარღნე რომ ასე ატირებს, ეს გადამთვრალი ეთიმ-გურჯი თავისი გარმონით მღერიან სადღაც შორს, ალბათ, ედემში და ამღვრულ ვნებით სავსე უზარმაზარი ხელადა აიძართა მის წინ, ტკბილად ჰქვითინებს შირაზული ბაიათი დუდუკზე და ბაყალი გეო შენი სიყვარულით ანთებულ ჟინს იკლავს კახპასთან.

მაშ რა ჰქნას გეომ, როცა მისი სისხლი ასე აიმღვრა შენი სიყვარულით, რა იღონოს, მონასტერში ხომ არ წავა და ბერად არ აეყუდება, როცა ხატი მას არა სწამს და ღმერთი!

სანამ შენ ვნახავდა და მისი გული დაიკოდებოდა, ის იყო თავისთვის უდარდელად, არაფერი აწუხებდა და ღიღინებდა არხეინად თეიმურაზ მეფის „ხილთა ქებას“, მე რომ ვასწავლე:

— ფერად მსგავსი ვაარ ლაა-ალისა
მერე საქმელა-ად ტკბი-ილია-ა!..

ან-და:

— ვაი-ი რა დავკა-არგე-ე,
წითელი-ი ლა-ალი-ი!..

გეოს უყვარს ჭიდაობა და მუდამ ალტაცებით ლაპარაკობს ხიზანბარელისა და კულა* გლდანელის ბიჭობაზე და ნანობს რომ ახლა ჩვენ დროში, ასეთი მოჭიდავეები არ არიან და ყველანი კატებს დავემსგავსეთ.

სულ ამ ხონონიკა იმერლებმა გააფუჭეს ქვეყანა!.. ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა!

ყოველ კვირა დღე ის მეტაჩვე ზახარ ზახარიჩთან ერთად დადის ცირკში და უცქერის შაშო ვერელისა და ნავთლულელ მალაკნის ჭიდაობას.

სხედან პირველ რიგში და ალტაცებულნი ქონით დამხრჩვალნი ხმით გასძახიან ცხრათითა მედოლეს:

— შენ დაუკა, ცხრათითავ!..
— ტარანანა კულა,
ჯერ არ ვალახულა,
როცა ვაილახება,
მაშინ დაინახება!..

ხერე ჭიდაობის გათავების შემდეგ ბაბაჭუას სამიკიტნოში ერთად მიდიან და მთვრალი გაღეშილი გეო ლაპარაკობს თავის სიყვარულზე.

მეტაჩვე ზახარ ზახარიჩი შეწუხებულ ქირისუფალივით უყარს უგდებს გეოს, თავს თანაგრძნობის ნიშნად იქნევს და ცხელი ღველფოვით ესმება მის ტვინს მოგონება: მასაც უყვარდა ერთ დროს ერთი ხუთმეტეი წლის რუსის ქერა გოგონა მარუსკა.

ასე სხედან ისინი შუალამემდე და ლაპარაკობენ შენზე. გეოს იცნობს მთელი ტფილისის ძმა-ბიჭები. მამა მისიც, ცხონებული აბრაგუნეც, ასეთივე დარდიმანდი ყარაჩოღელი იყო, როგორც მისი შვილი.

მას ორთაქალაში ბალი ჰქონდა და ექვსი ვირის პატრონი იყო. ყოველი ვირი საკუთარ შვილს ერჩია და პატარა გეოს ჰშურდა მათი ბედი.

კვირაში ხუთი დღე მუშაობდა. შაბათ საღამოს დაჯდებოდა თავის ვირებთან ერთად ბაღში და ქეიფობდა, აქმევდა მწვანილს, ეალერსებოდა და პირში ღვინოს ბოთლით ძალაზე ასხამდა.

— დალიე, ვიროჯან, დალიე, შენი მადლის ქირიმე!.. უუჰ, თქვენ კი გენაცვათ რაღა, ჩემო დიდყურებო!.. თქვენ რომ არა მყავდეთ, პურს ვინ მაჭმევდა!.. — ეფერებოდა ის ვირებს, ყურებსა და თვალებს უკოცნიდა, აქმევდა სტაფილოს და მერე მთვრალი, გაღეშილი ქირაობდა ცხრა ეტლს, წინაში მისი კალმუხის ქუდი იდო, მეორეში მეზურნეები, დანარჩენ ექვსში თითო-თითო დამთვრალი ვირი (შეჩვეული ჰყავდა) და უკანასკნელში თვითონ იჯდა საკინძე გაღელილი და მღეროდა ჩახლეწილ ხმით:

— ქვეყანა ჩალად არა ღირს,
სიცოცხლე ჯაფად არა ღირს,
გინდ გქონდეს ქვეყნის სიმდიდრე,
ერთ ლამაზ ქალად არა ღირს!..

ჰყიოდა ხურნა, დოლი ხმაურობდა და ყროყინობდენ გადამთვრალი ვირები. ქალაქის ძველი უბნელი ქალები სახლის ბანებზე გადმოეფინებოდენ და უცქეროდენ უცნაურ მოქეიფეებს, პირზე თითს იფარებდენ და ამბობდენ სიცლით:

— ქა, ერთი ამ მიწაგასახეთქ აბრაგუნეს დამიხედეთ და რა ამბავშია!.. აბრაგუნე ბლაოდა, ეტლები მიჰქროდენ კოჯრის გზისაკენ, ფეხშიშველი ბიჭები მისდევდენ ყიფინით და იყო ყვირილი:

— აბრაგუნეს გაუმარჯოს!.. აბრაგუნეს გაუმარჯოს!..

ასე იქეიფებდა ის ორ დღე და ლამეს ვირებთან ერთად, მთელ კვირაში მონაგარ ავლა-დიდებას გაფლანგავდა და მერე ორშაბათ დღიდან იწყებდა ისევ მუშაობას თავის ბაღში, რომ შემდეგ შაბათიდან ისევ ისევ მოეგიჟიანებინა თავი.

აბრაგუნე მთელ ქალაქში განთქმული მოჭიდავე იყო, ის ხარფუხელების ფალაფანი იყო, იხვივით ცურვა იცოდა და ყვინად ქველიერობას მუდამ მას ირჩევდენ.

გეო პატივს სცემდა მამის ხსოვნას და ყოველ წელიწადს ქეიფობდა მამის საფლავზე ხოჯივანქში.

გადამთვრალი გეო გაწვებოდა პირქვე საფლავზე და ჩასძახოდა მამას საფლავში:

— მამაჩემო, აბრაგუნე, ეი, შე ღმერთძაღლო, შენა! შითხარ, მასწავლე რა უყო ამ ბემურაზ სიყვარულს, გულში რომ ჩამთესლებოდა იგი და დასტიროდა მამის საფლავს აკყვიტინებულ ზურნის ხმაზე.

გეომ იცის შენი სახელის ობა და არასოდეს არ გამოეპარება.

ყოველ წელს, როცა შენი სტუმრები შევლენ ე'მხში და სადღეგრძელოები აღრჩობს თამადას, მაშინ შენს ხელზე მოსამსახურე ბიჭს შემოაქვს ოთახში წმიდა კელაპტრებით აქათქათებულ მალაღი თარფი ხილველობით დაყურსული.

თარფის შუა გულში დგას დიდი ქილა, შიგ ცოცხალი გელაქნური და იშხანი ყრია და ზედ პატარა ბარათი არის მიკრული ზედწარწერით:

От Бедни Гео

მე ახლა შენ დღეობაზე ვარ. გვერდით მიზის შენი დეიდა კნეინა რიფსი-მე და ტვინი ამომჭამა ქაქანით.

მე ჩემი გასესხებული დღეები მომაგონდა და თავს უხერხულად ვგრძნობ. მეშინია მისი და ხმას ვერ ვიღებ. არც ვიცი რაზე ველაპარაკო, — მას, გარდა თავისი პრინცისა და ვალეტებისა, არაფერი არ აინტერესებს.

მელაპარაკება მე ის ამ შთისას, იმ შთისას და მე არ ვიცი როგორ დავიხსნა თავი მისი მეზობლობისაგან. ხანდახან მინდა ვიყვირო, რომ მომაშორონ ეს უცნაურად აყბულებული ყვავი, ტვინი რომ ამომჭამა თავში, მაგრამ თავს ვიკავებ.

როცა სუფრაზე გეოს თარფი მოიტანეს, მე კიდევ უფრო უხერხულად ვიგრძენი თავი, მოვბრუნდი და თვითონ არ ვიცი რატომ (საათი მე თვითონაც მქონდა) ვკითხე კნეინას:

— უკაცრავად, ჩემო ბატონო, რომელი საათი იქნება?

კნეინამ თავის ძველებურ ოქროს საათს დახედა და ფრანგულ გამოთქმით სთქვა:

— ცხლის ნახევალია! — და მერე დაიწყო ისევ რაღაც გაუთავებელი თავის პრინცზე, პეტერგოფის ბალებზე და თავი მომაბეზრა, — ყურს აღარ უვდებ.

მე ახლა გიცქერი შენ და ვხედავ როგორ იღებ ხელში ბაყალ გეოს აღგზნებულ სულივით აქათქათებულ თარფს და დგამ შუა სუფრაზე.

თარფი ირწევა, პარპალობენ წმიდა სანთლები და მის სინათლეზე იღვენთება სისხლივით ლოყაწითელი თურაშაული ვაშლები და შიგ ჩადგმულ ქილაში ჭყუმპალობენ ცოცხალი თევზები.

გადმომხედე, — გავწითლდი და თავი დავლუნე: იმიტომ რომ შენ იცი ჩემი და გეოს მეგობრობის ამბავი.

— მოგწყინდათ? — მეკითხები შენ და თვალით დეიდაზე მანიშნებ.

მე მხრები ავიჩეჩე და არაფერი მითქვამს, მაგრამ შენ მიხვდი, რომ თუ

ამ მდგომარეობიდან არ დამიხსნიდი, ეს შენი გამოტვირთული მოხუცი დეიდა სულს ამომამძრობდა პირში.

შენ მთელი საღამო განსაკუთრებული ყურადღებით მეპყრობი. მე ვგვრძობ ამას და არ მესმის, რატომ შეიცვალე ჩემდამი განწყობილება. ჩემი პინტლურ ზრდილობისათვის მეტყვევი ასე, ან ქალური ხერხია, რომ ეჭვი და შეური აღძრა ჩემ მოქიშპე თმახუჭუჭა მეოცნებე პოეტში, ახლა თამადასთან ახლოს რომ ზის, ვითომ ყურადღებას არ გვაქცევს და მომიხეხებულ საქმიანი კილოთი ედავება თამადას რალაცაზე, ტოკავს ერთ ადგილას და ვატყობ რომ ბოლმა აღრჩობს და მე მიხარია.

როგორც არ უნდა იყოს, თავს მაინც ბედნიერად ვგვრძობ და მე მინდა გელაპარაკო ჩემ სიყვარულზე, ან ახლა, ან არასოდეს, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ, ენა მუცელში ჩამივარდა და მგონია, თავს გაწყენ ჩემი უხერხული სიჩუმით.

ვფიქრობ და არ მესმის, რა მოხდა შენსა და იმ პოეტს შორის ისეთი, რომ არ ეკარები.

მთელი ღამე ყბედობს იგი განგებ ხმამალლა, რომ როგორმე შენი ყურადღება მიიპყროს, მაგრამ ამაოდ, შენ არ გცალია მისთვის, მეკითხები: რას ვაკეთებ, რას ვწერ ახალს და შენს თვალეში არის რალაც დაფარული და ტკბილი მზრუნველობა.

მე არ მიყვარს ეს პოეტი, იმიტომ კი არა რომ ის ჩემი მოქიშპეა, სრულიადაც არა, მე მამბრაზებს მისი უსევდონიმი: იაკობინო თორელი და მისი ხუჭუჭი თმა.

უეცრად მე მომაგონდა, როგორ მისდევდა უზრდელი კომოდი როყინით ამ მეოცნებე პოეტს წუხელ პროსპექტზე და გამელიმა.

— რაზე იღიმიით?— შემეკითხე შენ და ცნობისმოყვარე ტკბილი თვალე-ბით მომაჩერდი.

— არაფერი... ისე... გამელიმა...— გიპასუხე და მე ვივრძენ, რომ შენ მიხვდი თუ ვისზე ვიღიმიოდი.

გაჩუმდი.

ხმას არ იღებ.

განა შეიძლება ასეთი ამბის მოყოლა!.. ვინ დაიჯერებს, ან რა ფასი აქვს ასეთი ამბის მოყოლას! ასეთი ამბები არ ემორჩილებიან ადამიანის მეტყველებას კანონებს!

უეცრად ჩვენი ყურადღება დამთვრალ თამადის ხრინწიანმა ყვირილმა მიიპყრო.

— აბა, მგოსანო, ლექსი, ლექსი!...— იძახდა იგი მთვრალი ჭირვეულად და აკრიატებულ თვალეებით ულვაშებს იწმენდა.

— ლექსი!.. ლექსი!..— დაიძახეს სტუმრებმა ერთხმად.

იაკობინო თორელმა ბევრი არ დააყოვნა, წამოდგა, გულზე ოპერის არტიტრვით ხელი მიიჭირა და კერში თვალაპყრობილმა დაიწყო რალაც გაცვეთილი და ბანალური სიყვარულზე.

მე ჭირივით მეზარება უნიჭო ლექსების მოსმენა და განსაკუთრებით ეს

ოჯახური დეკლამაცია. თავს მუდამ უხერხულად ვგრძნობ და ფიზიკურად ვიტანჯები.

პოეტი საკუთარ სონეტს კითხულობდა. მის ლექსს არ ახასიათებდა არც სონეტის უკარებელი სიცივე, არც სიტყვათა გამოზოგვა, არც სიტყვების სიმკაცრე და ჩემს ყურს სერავდნენ სიტყვები: ლაურა, მადონა, მარგარეტა, ჭვითინი და კიდევ სხვა.

კახეთიდან ჩამოსული მოხუცი კნეინები ცრემლებს აფრქვევდნენ.

ოდესღაც ეს კნეინები იყვნენ მოხდენილი.

ტანი ტატანი იყვინთებოდა კრინოლინების არშიებში და თქვენ, ჩემო საყვარელო და უტვინო კნეინებო, ისხედით ერთ დროს მტკვარზე გადაკიდებულ შაბაქიან აივანზე მთვარიან ღამეში, გადასცქეროდით მოვერცხლილ მტკვარსა და მუხარადივით ცად ასულ მეტეხს. მტკვარზე მიდიოდა კელაპტრებით განათებული ნავტიკი და თქვენი მიბნედილი თვალებით შეზარხოშებული და ეშში შესული ოქროს ბუზმენტებიანი მილიციის თავადი ოფიცრები ამოგძახებდნენ გრ. რჩეულოვის რომანსს:

ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო,

მსურს ჩემი ტანჯვა შენ გაგიბედო!..

მთვარევ, ხომ გახსოვს ის ბნელი ღამე,

მხოლოდ შენ იყავ იმ დროს მოწამე...—და სხვა.

ახლა იაკობინო თორელი ათრთოლებს თქვენ გულს ძველ სურნელების გატსენებით.

პოეტის ხმა ისმოდა ისტერიულად და ეს ლექსი შენდამი იყო მოძღვნილი. მე მომწყინდა და შევხედე თარფს: „От бедни Гед“. ის ისე გულწრფელად ქათქათობდა, რომ შეშეცოდა.

თარფს თვალი მოვაშორე და ჩანგლით ქათმის ძვალს ვატრიალებდი.

საწყალი გეო!

მისი დუქანი ჩაყვინთულია ახლა ხილვეულობაში და გულამღვრეული პატრონი წევს ლოგინში, ტახტი კრაქუნობს, ტრიალებს იგი, ხენეშის, ვერ ისვენებს და ესმის მანანას ოთახის ფანჯრებიდან სტუმრების ყაყანი.

— ბრავო!.. ბრავო!..

— ვაშა!.. ვაშა!..

ტაშის ხმა.

გამოვერკვიე.

პოეტს ლექსი გაეთავებინა.

შენ დაღლილი და მიბნედილი თვალებით შემომხედე.

სთქვი:

— მომწყინდა!...—და ბავშვივით მიზეზიანმა ქვედა ტუჩი ჯიუტად ზევით ასწიე.

— რით გაგართოთ?... მე სრულებით არ მეხერხება ვისიმე გართობა!..

შენ საყვედურით აღსავსე თვალები მომაპყარ და თვალებზე ნამი გადაგე-

ფინა და ასე, ეს შენი წყლიანი სპარსული ნარვისის თვალები შემოვიდნენ ჩემ სულში და დასხდნენ ვარსკვლავებად.

— რა მშვენიერია ეს თარფი!..— აღმოგხდა შენ და, ხმას მოელოდაო ისე, თარფის შუაგულს ჩადგმულ ქილიდან ცოცხალი თევზი ამოვარდა, წიწმატის ფურცელზე დაეცა და მოდუნებული სუფრაზე ბოლოს ოდნავ სცემდა.

სტუმრებმა მზიარული ჩოჩქოლი ასტეხეს.

შენ სათუთად აიყვანე იგი ხელში და ნახა ალერსით ისევ წყალში ჩააგდე.

მე მომაკონდა შენი სიყვარულით ამ თევზივით აფართქალებული გეოს გული და ექვმა შემიბყრო.

სადღეგრძელოები მოთავდა, ზოგი ადგა სუფრიდან, მხოლოდ ქირვეული თამადა, პოეტი და კიდევ რამდენიმე კაცი ისხდნენ და სვამდნენ.

— აივანზე გავიდეთ!— სთქვი შენ რალაც უცნაური სიჯიუტით და კისრის მოღერებით, მერე არც მოგიცდია ჩემთვის, ისე ადექი და მე სიამოვნებით გამოგყევი.

აივანზე სიწყნარე იყო და შენ დაქანცული შეზლონგში ჩაჯექი.

— დაბრძანდით!..— სთქვი მოკლედ და სკამი, რომელზედაც მე უნდა დავმჯდარიყავი, ახლოს მიიწიე.

მე დაუჯექი.

შენ საწოლაკის ზურგზე გადაწექი და მკლავები თავს უკან გადიწყე. თხელი მარკინეტის განიერი საბელოები ღლიავებამდე ჩაგეკეცა და მთვარის სხივებზე შენი შავგერემანი მკლავები გამოჩნდა თბილად.

კედლის საათმა შუალამის დარეკა.

სადღაც მამალმა დაიყვილა, მაგრამ არც ერთი მამალი არ გამოეხმაურა და ისიც გაჩუმდა. სადღაც ეზოში ძალი აყეფდა. ქუჩაში ღიღინით თეთრ ფეშტაქალ აფარებული მეფხოვე დადიოდა.

ქალაქი გუგუნობოდა, შორიდან ისმოდა ავტომობილებისა და ორთქლმავლების ყრუ ხმაური.

შეზარხოშებული სტუმრები ისევ სუფრას უსხდნენ და სადღეგრძელოს სვამდნენ, ვილაცას თავი ჩაეკიდა და ღიღინებდა თავისთვის:

— ლოთებო, ნეტავი-ი ჩვე-ენა!..

თამადა სტუმრებს წესიერებისაკენ მოუწოდებდა და ჩანგლით თევზს არაკუნებდა.

მთვარე თავლად იღვრებოდა და გეოს აცურებული ღუქანი ტივტივებდა მის სხივებში.

— მითხარით რამე!..— სთქვი შენ უცნაური კაპრიზით.

მე რალაცამ დამკრა თავში, ტანში ყრუანტელმა დამიარა და მხრები ავიჩჩე.

მე მხოლოდ ორი რამ შემეძლო: ან სიჩუმე, ან ლაპარაკი ჩემ სიყვარულზე და მე გადავწყვიტე: ან ახლა, ან არასოდეს. შენ ეს, მგონი იგრძენ, გაუუჩდი და იჯექ ასე გალურსული.



— მანანა!...—დავიწყე მე აკანკალებული ხმით, მაგრამ მეტი ვერ შევძელ, რალაც ეშმაკი გამებოგირა ყელში და ხმას ვერ ვიღებდი. — მერე შევეჩვიე ჩავიქნიე და გავჩუმდი.

დამნაშავესავეთ გავჩერდი შენ წინ და ვიდექი ასე თავდახრილი.

ფეხის ხმა მომესმა, მოვიხედე, — კარებთან ის თმანუჭუჭა მეოცნებე პოეტი იღვა და ბრაზისაგან თვალები მუგუზლებივით ენთო.

— ახ, სენიორე!...—გამიელვა თავში რომელიღაც ესპანური კომედიიდან ამოღებულ სიტყვამ თეატრალურად, მაგრამ არ მითქვამს.

გამელიმა მხოლოდ.

— ბატონო დუდე!...—სთქვა მან ტრალიკულ აქტიორის რალაც ახირებული ტონით და მე უკვე არ შენეძლო ღიმილის დაფარვა.

თუმცა, ჩემი თავი ათასი ახირებული ფიქრებით არის დამძიმებული, მაგრამ მკლავი მაინც საკმაოდ ღონიერი მაქვს, გულიც მერჩის და არაფერზე უკან არ დავიწყვი.

— ბატონო დუდე!...—გაიმეორა მან კიდევ ერთხელ.

მე ვიდექი და უცდიდი როგორ გაიმეორებდა კიდევ მესამედ ამ სიტყვებს, მაგრამ ვერ მოვითმინე და აგდებით შევეკითხე:

— რა გნებავთ, ბატონო იაკობინო!..

იაკობინო აენტო.

— მე გთხოვთ, რომ ფრთხილად იყოთ!.. მეტი არაფერი!..

მე გული მომივიდა ასეთ უმსგავსო სცენაზე; ავენთე და მკვახედ მიუგე:

— პირიქით, ბატონო იაკობინო!.. მე მზად ვარ თქვენდა სამსახურად!..

მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ამისი არც ადგილი არის და არც დრო!..

შენ ერთი წუთით დაიბენი და იჯექი ისე. მერე უეცრად მიხვდი, ფერმა გადაგკრა და ფეხზე წამოიჭერი. აფუსფუსებული პოეტთან მივარდი და მოთმინებიდან გამოსული სთრთოდი.

— ბატონო იაკობინო, — სთქვი შენ აკანკალებული ხმით მტკიცედ და შეუდრეკლად: — გთხოვთ აქ სცენებს ნუ გამართავთ!..

მე გაოცებული გიცქერდი შენ და მიკვირდა, სად იყო აქამდე ეს ამდენი ენერჯია, ახლა რომ ასე მტკიცედ ისმოდა შენ სიტყვებში.

მერე მობრუნდი, მოხველ ჩემთან სულ ახლო და სახეზე შენი სუნთქვა მომხვდა თბილად, მომუდარე საყვედურით აღსავსე თვალებმა გაანათა ჩემი გული და აღმომხდა:

— უკაცრავად!.. მომიტევეთ!..

იაკობინო დემონსტრაციულად მოტრიალდა და ოთახში შევიდა. მე რატომღაც კომიკურად მომეჩვენა ეს და გამეცინა.

ასეთი სცენის შემდეგ ჩემი დარჩენა უხერხული იყო და მე გადავწყვიტე: ან მე უნდა წავსულიყავ, ან ის, და, რადგან ის არ მიდიოდა, — ამიტომ შენთან ბოდიში მოვიხადე, გამოვეთხოვე ყველას და წამოველ.

შენ კარებამდე მომაცილე და აღერსიანად გამომეთხოვე. — — —



საქონისა

ქუჩა.
სახლის კედელს მივეყრდნე, გული დავიწყნარე.
ცას ბარაქიანად გაეშალა კალთა და გორავდა შიგ შტერონ-შტერონ ტკბილი
და ცოდვილი.
უკვე ინათა.

თავი მეათე

პაპანაქება

მზე ჩამოემხო ქუჩებში და აბორგდა მთვრალი დედაკაცივით.

ჰაერი ჩამოიხუთა და გახურებულ ტროტუარებზე ავარდა ალი და ასფალტის სუნი.

დამტვერილი და ჩამოძონძილი ცაცხვები დგანან მომლოაღნი და ზედ შემსხდარი მოკუჭული ბედურები სიცხისაგან სულს ძლივს იბრუნებენ.

ბენზინის, ოფლის და შეღებილ თუნუქის სახურავების სუნით დამძიმდა ჰაერი.

ფიქრი გაშრა თავში სიცხისაგან და აზრი არ მოძრაობს.

ქალების თეთრი ბატისტის არშიებიანი საცვლები ილანდება შილიფ სამოსში, ღრმა დეკოლტეებში ძუძუები მწიფე მტევნებივით ირწყევა და თხელ მარკიტის სიმკვირვალეში მოსჩანს მზისგან დამწვარი ვნებით დაყურსული გრილი მკლავები.

მკლავები გრილად ეალერსებიან სიცხით და ეს დაყურსული მწიფე მტევნები ვნებით მოთენთილ ტვინში ირწყევიან ძუძუებივით.

გულგაღელილი ბაყალი გეო ზის დუქნის წინ, შიშველ ფეხებზე ქუსლჩათელილი ჩუსტები აცვია და პერანგის გახსნილ საკინძეში მოსჩანს ბალნიანი მსუქანი მკერდი. ზის იგი და სიცხით გულშეღონებული ანთებული თვალებით ლანდავს შხის სინათლეზე თხელ კაბებს და ინერწყვება.

— ვაპ, ეს რა არი, კაცო!.. ფრანკუცკი ბულკია, თუ სლოიკა!.. მაშ მე ბემურაზი ვიყო, თუ მეტი შამეძლოს, ზაპლა წავიდა რალა!.. — იძახის გეო, მუშტს, რაც ძალი და ღონე აქვს, გულში იცემს და გაპკივის:

— პაპ, პაპ, პაპ, მალადეც, მალადეც!.. ბიჭოს, ეს რა მოსულა, ეს რა მოსულა!.. პაპ, პაპ, პაპ!.. ვაპ, რა მოსულა? — ტარხუნა მოსულა, კიტრი მოსულა, პატარძლის ხელით დაკრეფილი და კობტა ვირით მოტანილი კიტრი მოვიდა, კიტრი, კიტრი!.. ჰაი, თალიში ხახვი, ბოლოკი, ვაპ, მოგიკვდეს სიყმე ატამო, ვინცა გქამოს და ჯიჯარი არ მოჭფხანო, ღორებს გადაუყრი შენ თავს სალაფავად აი, ვაპ, ვაპ!.. იფ, იფ, შენ დაილოცე კიტროჯან, იმისი მარჯვენა კი ვქამე, ვინც შენ დაგთესა და კიტრად მოგიყვანა! შუშა კიტრი, ხიდისთაური ატამი, იაბლუკა, იაბლუკა!.. პერსიკ ადალაიცა, პერსიკ!.. — ჰყვირის გეო და ციბრუტივით ტრიალებს დუქანში, მუშტარს ხილს უწონის, მზარეულებს მწვანის, ხამ მყიდველს პინაზე ხელს დაუკრავს, ცოტას წონაში მოატყუებს, ცოტას ფასში, თან საქონელს უქებს, პარკს დარდიმანდულ ლაზათით თავს მოუკრავს და ჩასპანდურ თავაზით მიაწოდებს.



— ინებე, ბარინჯან, გაამოს!.. კიტრი ქამე, — ჯანზე მოხვალ!.. აბა, ერთი შეხედე რა კიტრია, შეხე, ბარინჯან, განა სამოთხის ხილს მარტო ვაჭყვს?.. სიყმეს გეფიცები, ევა კიტრმა შეაცდინა. მიჰქარავენ ი წვერებ! ცანცანა! სტერტერები და ტერაცუები!.. ერთი შეხედე და, პატარძალს სამოთხეში მოუკრეფია და ისე მოუტანია, რამდენს ინებებ, ბარინჯან!..

მუშტარი იღიმება, ხათრს ვერ უტეხს, არ უნდა გააწიბილოს დარდიმანდი ბაყალი და კიტრსაც ყიდულობს.

მერე, როცა მუშტარს გაისტუმრებს, ბუხების საგერიებელს იქნევს, ბუხები ბზუიან, ფუთკარი ზუზუნებს და გეო აგინებს მათ უწმაწურად პირსა და სალავათს.

დუქანში დახლთან ჰკიდია ბუხებისაგან დასვრილი ლანძა, გეოს ფოტოგრაფიული სურათი, ბოდლოს საპნის წითელი იარლიკი და „კუპეჩესკი“ გასაღებიანი ვერცხლის საათი.

და ის ბუხებით გაბეზრებული ოფელს ბაღდადით იწმენდს, მოთმინებიდან გამოსული ხელებს შლის და იძახის:

— ვაჰ, შემქამეს რაღა ამ ბუხებმა ეს ამოტელა კაცი!.. — მერე აბაზიან გაცრეცილ სარკესთან მიდის, შიგ მისი სახის შეოთხედი ჩნდება, ხალს იგრებს და მერე ისევ გაჰყვირის ჩახლეწილი ხმით:

— ბალი, კლუბნიკა, ხენდრო, ჩერეშნი, ჩერეშნი!..

ასე ტრიალებს გეო სათაგვესავით პატარა დუქანში და თოთხმეტი წლის წითელ ხალათიანი ბიჭი ვანუა ავტომობილის შინების საბერავით მწვანილს წყალს აჰკურებს, დუქანში დგას ტენიანი არომატი, მიწის ალხი და სიცხით მოთენთილი ბიჭი ვანუა ამთქნარებს ძილმორეული და ხილის სურნელებით გაბრუებული.

ვაკრობა შუადღემდის არის.

მიაქვთ მზარეულებს: კიტრი, პამიდორი, პატრიჯანი, კარტოფილი, მწვანილი. ნაშუადღევს ვაკრობა მინელდება და სამის ნახევარზე, სამსახურის გათაფების დროს ისევ მიეძალება მუშტარი დუქანს და გეო ისევ ისე გაჰკვივის ერთგულად:

— ეს რა მოსულა, ეს რა მოსულა?.. კიტრი მოსულა, შუშა კიტრი!.. მაღალი აგურე—ეც!.. იფ, იფ, შენ კი იხარე, კიტროჯან, შენი ჭიპის კირიმე, რაღა!..

ასე ცხოვრობს გეო, ვაკრობს თავისთვის და უყვარს მანანა.

ხანდახან მილიციის უბნის კომისარი თუ შეაწუხებს: პატენტს უსინჯავს, გადასახადსა და სადარაბო ჭირას ახდევინებს. გეო ბრაზობს (რა ამბავია ამდენი გადასახადები!..) და სჩივის:

— ვაჰ შაგვეჰამეს რაღა ამ ხოხონიკა იმერლებმა. ვის არ გინდა, კაცო. იღლიაში პორტყელი ამოუჩრია, ჩემ სიგრძე ლევორველი დაუკიდია და ზაჰლა წაიღეს რაღა!.. ეს რა ფინთი დროება დადგა და ვა!.. იფ შენი კუჭის კირიმე, ჩემო გარადოვოჯან, რატომ შენ არა ხარ, ჩემო სულის კლიტეჯან, რომ სულ მაგ არაყით გაღეშილ რუსულ ტუჩებს არ დაგიწუნდი!.. ერთი თლაშოი და

მორჩა და გათავდა. ისიც კარგი კაცი, მეც კარგი კაცი... ვაჰ, მამ ~~შეიძლება~~ ფინ-
თები როგორა ვართ, კაცო?... ეს რა დროება დადგა და ვა!.. ~~ვერათუო~~ გამი-
გია!.. ყველანი ვირისთავეები როგორა ვართ, კაცო, ასე ჰგონია, ~~აბუეკარსკი~~ სა-
სწორზე ვიყოთ აწონილი!.. მაშ ეს საშართალია, ჩემი შაგირდი ~~ჩემი აწინააღმდეგო~~ რო-
გორ იქნება და!.. —სჩივის გეო და თავს სინანულით იქნევს.

შუადღისით, როცა გეოს ვაჭრობა არა აქვს, ის წევს თივაში მიყრილ გრილ
კიტრებში და ოცნებობს შენზე.

— გამარჯობა გეო!.. — ვესალმები მე და ხილით გატენილ ღუქანში ძლივს
შევედივარ.

ხილისა და ოფლის სუნი სუნთქვას ამძიძებს.

— აი, გაგინარჯოს!.. — ამბობს გეო, ხარმაცად ღგება და ხელს მართმევს.
— დაჯექი რაღა, კაცო, რა პასტავოი მელიციონერივით დამდვარხარ ფეხზე?.. —
განაგრძობს იგი და ხის გაჩოგნილ უბრალო სკამს მაწვდის.

მე დავჯექი და უფეროდ, არ ვიცვი რატომ, მხოლოდ ახლა ვიგრძენ, ალ-
ბათ, წუხანდელ დღეობის შემდეგ, რომ მე და გეოს შორის გათავდა ყველაფე-
რი. მე ცალკე ვიყავ და ის ცალკე, ამიერიდან საერთო სიყვარული ჩვენ კი
არ დაგვაახლოვებდა, — პირიქით, დაგვაშორებდა და მე მამრახებდა გეოს მსუქა-
ნი ხალიჩი და კოტიტა შიშველი ფეხები.

გეომ ბაღდადით ოფლი მოიწმინდა, მერე დახლზე მუშტი ისე ღონივრად
დაჰკრა რომ ღუქანმა ხანხარი დაიწყო.

— ვაჰ, ღუდეჯან, ერთი მითხარ, თუ ძმა ხარ, როგორ მოვიქცე, რა უყო
ამ ბემურან სიყვარულს!.. ზაქლა წავიდა რაღა!.. ხანდახან ისეთ გუნებაზე ვდგე-
ბი! რომ ლამის ამ ტიელ ღუქანს ნავთი გადავასხა, დავწვა და სადმე გადავარ-
დე. — სთქვა გეომ მხრების აწევით და ხელები გაშალა. მერე თავი მოწყვეტით
ჩაჰკიდა და დაჯდა.

მე ხმის ამოუღებლად ვიჯექი და ისე შევეცქეროდი მანანას იივანს.

სახლში მყუდროება იყო და დარბები მიხურული. ეტყობოდა მანანა ან
სახლში არ იყო, ან-და ეძინა. წუხელ გვიან დაიძინებდა. იქნებ, მამის სანახავად
იყო წასული გამსახლში?..

მე ჩუმად ვიყავ, გეო თავჩალუნული იდგა, მერე ვნებით მიბზნედილი თვა-
ლები ჭერში აღაპყრო და ჭინიან მუდარით, თავისებურად გადაკეთებული საჭ-
თნოვას ლექსი დაილიღინა:

ვიწვი ეშხისგან, ალი არა მაქვს;
ნებით გებვეწები, ძალი არა მაქვს;
საწყალი გეო ამბობს: ბრალი არა მაქვს,
ნულარ დამწვავე, ეს მეყოფა ჯაზადა!..

მე უცქერ გეოს, ბრაზით ვიღრჩობი, მაგრამ არ მინდა ჩხუბით გავწყვიტო
ეს მეგობრობა და თავს ვიკავებ, ხმას არ ვიღებ, ვზივარ ჩემთვის და ჩუმად
ვარ.

უკვე ჩამოცბა: მუშტრის დენა მთლად შეწყდა.
გეო რაღაცას გაცხარებით ლაპარაკობს, მუშტით დახლსა სცემს, მაგრამ

მე ყურს არ უგდებ, შევეცქერი შენს აიეანს და ვფიქრობ წუხანდელ თამეზე, შენ თვალეზზე და პოეტ იაკობინო თორელზე: მე რატომღაც მომავინდა რომ ის ქართველი კათოლიკეა...

ასე ვარ მე და მხოლოდ ხანდახან გადავხედავ გეოს ^{მეტი მსახურებს} მისი ეს ჯიუტი და ბილწი სიყვარული.

გეოს ისე უყვარს მანანა, რომ მისი დღეები უცნაურად არის მისგან დამოკიდებული.

როცა მანანა საზაფხულოდ სოფელში მიემგზავრება და მისი თალიანი ძველებური ფანჯრის დარაბები რამდენიმე ხნით იხშობა, გეომ არ იცის რა ჰქნას, წრილობს, სწუხს, იმიტომ რომ მანანას წასვლასთან ერთად, გეოს ეკარგება ის ეროტიული და ბილწი სიზმრები, რითაც ის ცოცხლობს და არ იცის თავს რა აუტეხოს.

დადის ექიმთან და საწყალ ექიმს ვერ გაურკვევია, რა სჭირს მის უცნაურ პაციენტს.

გეო თანდათან ხმება, დნება და წონაში კლებულობს.

ასე სწუხს იგი მის ჩამოსვლამდე, ბორგავს, სტირის, ლოთობს, მაგრამ მისი საშველი მაინც არ არის.

როცა ის ჩამოვა, იმ დღეს გეო გიყდება, მთელი კვირა ქეიფობს, „მალარიჩი“ აჭვს და ლოცავს ყველას, ლოშნის, აგინებს თავის გაჩენის დღეს, ღმერთს, სალაყათს და გაჭკივის:

— აბა, ბიჭებო, იქეიფეთ, დრო ატარეთ, თქვენი სულის ქირიმე, თქვენი!.. იქეიფეთ, დღეს გეოს ქელეხია, გეო მოკვდა, სულძალი გეო აღარ არის!.. კაცებში აღარ სწერიან!..— იძახის იგი და ეს უზარმაზარი კოლოტივით გასიებული კაცი სტირის და ცრემლებს ბალდადით იწმენდს.

სიზმრები ისევ უბრუნდება, წონაში თანდათან მომატებას იწყებს და ყელში მოწოლილი ქონი ისევ აღრჩობს. თვალეზში ახრი უჩნდება და მის გარყვნილ ტვინში იბადება უცნაური ეროტიული ამბები.

— იცი, დუდეჯან, რა გითხრა!..— მომმართა მან უეცრად და მუხლზე ხელი დამარტყა. — ერთი ფლანი ამბავი მინდა გითხრა, რაღა!.. ასი წლის წინად, თურმე, ნეფე ერეკლეს კარზე შეიყარნენ რაღა საბაეჭროდ თუ სადმე ღუნიაზე ფილასოფოსები და აშულები იყვნენ, საჯათნოვაც იქ იყო თურმე და ეს ჩვენი ჰაზირაც, ახლახანს რომ მოკვდა, ღმერთმა აცხონოს მისი სული!.. და ერეკლემ თურმე სთქო გამოცანა: ვინცა სთქომს, რა არის ქვეყანაზე ყველაზე ტკბილი, იმას ას ოქროს და სამ სოფელს ვაჩუქებო, თუ არა და ყველას თავებს დაგაყრეინებთო!.. ფილასოფოსები და აშულები ცხრა დღე და ღამე ფაქრობდნენ თურმე. ზოგმა სთქო ძილიო, ზოგმა ქალიო, ზოგმა ენა და ზოგმა ღვინო, მაგრამ მაინც ვერ გამოიცივნეს და ვერა, ზაჭლა წავიდა რაღა! მაშინ ერეკლე ნეფეს გული მოუვიდა და სთქო თურმე: მახლას, ცხრა დღეს კიდევ გადროვებთ და თუ ვერ გამოგიცივნიათ, ყველას თავებს დაგჭრით და ძაღლებს გადაუყრიო. ფილასოფოსებს ელეთ-მელეთი მოუვიდათ, სუ დაჭკარგეს თურმე ქეუა, — ვეღარ გამოიცივნეს. მაშინ, თურმე, ერთი ასი წლის ბებერი უკბილო ფილასოფოსი ადგა,

ძლივას ჩიფჩიფებდა, ნეფესთან მივიდა და უთხრა: ახარ, ქალის სიტყვისაგან პაპიროზის ქალაღდი გააკეთე. შიგ თუთუნი გაპხვიე და იმაზე ტკბილი რაღა იქნებაო!.. ყველამ მხრები დაპყარეს. ვრეკლემ აიღო და იმ მუხამუნ ქალასოფოსსო ასი თეთრი და ხუთი სოფელი აჩუქა. სადათნოვამ მუხამუნის ქალასოფონა ამაზე და ქალაქის ბიჭები მღეროდენ. ხედავ შენ, ამ პირდაღლ ბებრუხუნა ფილასოფოსს, რა ზორბად უთქომს არა, დუდეჯან!.. ესეც მაზაღო რამეა რაღა!..— დაიძახა გეომ და ბინძური საცილით თითი მუცელში დამატაკა.

მე გული მომივიდა, მაგრამ თავი შევიკავე, ვიჯექი ხმის ამოუღებღად.

— შენ ერთი ამ ღმერთდაღლ ბებერს დახედე და!..— ჰკვირობღა იგი და თან სიცილით კვდებოღა.

მე თავს ავტომატიურად უქნევ და თან შენ სარკმელს შემოვცქერი.

აივნის მოაჯირზე ჰკიდია ნოხი და შენი წითელი კოფტა, ისე რომ გიხდებღა.

სად ხარ ახღა შენ? იქნებ, მამასთან ხარ ციხეში სანახავად, — ვფიქრობ მე და წავღლ შენზე ფიქრებში.

— ჩემმა მზემა!.. — მომესმა უეცრად და გეომ მხარზე ხელი დამკრა.

გამოვერკვიე:

— სიყმე ნუ მომიკვდებღა, კარაბადინში სწერია!.. ჩემი თვალით ვნახე და ეა!... ხომ კარვისაა?.. ოოჰ, ეს ტაბასტა!.. — ამოიოხრა გეომ და თავი გაიქნია.

მე არ მესმოღა რაზე ლაპარაკობღა გეო, მაგრამ თავს მაინც უქნევღი. მივხვღი, — როცა მე შენზე ფიქრებში ვიყავ წასული, ის მაშინ რაღაც ბინძურ ამბავს მიამბობღა. მე არ გამიგონია. ეს შემატყო გეომ, თიეაში ნაწყენი გადაწვა და გაჩუმღა გაბუტული.

კარგა ხანს ვიყავით ასე ხმის ამოუღებღად. მე ჩემთვის ვფიქრობღი, ის თავისთვის. რა უყო, მე ხომ მეტაჩკე ზახარ ზახარიჩი არა ვარ, რომ მისი უწმაწური ამბები ვისმინო!

შევხედღე გეოს: იწვა კიტრებში და რაღაცას ბუტბუტებღა, მერე გამოვერკვა და რომელიღაც შიქასტის ნაწყვეტი დაიღიღინა.

მომწყინღა, წამოვდექი, წასვღა მინღოდღა.

მე უკვე მამრახებღა მისი ცქერა. საღ შემეძღო მისი ატანა, როცა გული საკეთარ სიყვარულსაც ვერ იტანღა, მაგრამ გეო ხელში დამწვღა და არ მიშვებღა.

— მოიცა, რა გეჩქარებღა, ერთბაშად ზარაფხანა არ გაგიცდეს რაღა!.. დაჯექ, ერთი კვარტი ღვინო დავღიოთ!..

მე უარზე დავდექ, მაგრამ გეო არ ნეშვებოღა. დავრჩი. ბიჭმა ლალიძის წყლის გასაციებღლ საყინულეღან კვარტიანი ამოიღო და ოფლდასხმული ბოთლი დახლზე დადგა, მერე სახელდახეღოთ შოთი დასჭრა და თიხის ჯამით ძმარმოსხმული კიტრი და პამიდორი მოგვართეა.

დავსხუღით.

გეომ ღვინო დაასხა და დამღოცა. ილაპარაკა რაღაც გრძელი, დაუსრულებელი ჩემ საღღეგრძეღოდ და დაღია. მერე მეორე ჭიქაც გაავსო და დაიწყო:

— ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ ვარსკვლავს, რომელიცა რომა შენ ბედზე

არ არის გაჩენილი, მაგრამ მაინც შემბრალება და გზას გინათებს... ვთქოთ...
ბნელა... ღამეა და ცაში მარტო ერთი ვარსკვლავი ანთია რაღა და არ ეს ვარ-
სკვლავი გზადაკარგულ კაცს გზას უნათებს!.. ღმერთმა გაუშინა ეს ვარსკვ-
ლავს!..—სთქვა გეომ, ღვინო გადაჰკრა, ზედ კიტრი მიატანა... სწრაფი ღვინო:

— ბეგუ, დუხტერ, ქი ბაბე ტუი გედაი,
დუ ჩეწმე ნარგისი ქარი ქუჯაი?

მე ხმის ამოუღებლად დავლიე და ტიქა იქით გადავდგი.

უფერად გეომ სიმღერა შესწყვიტა და დაიწყო:

— კაცო, ერთი ნითხარ, თუ ძმა ხარ, რა ვქნა?.. ჯვარიძამის სალოცავი
გამიწერეს, თუ ვიცოდეს!.. ცეცხლი შედება, გენა გამიჩნდა რაღა, რა უყო ერთი
შენ მაინც მასწავლე ამ პირდაღლ სიყვარულს, გულში რომ ჩამთესლებია!.. მოდი
ერთი ასეთი უბედო. კაცის სადღეგრძელოც დავლიოთ!..—სთქვა მან, ღვინო
დაასხა და დაიწყო:

— ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ მეფურგუნეს, რომელიცა რომა... ვთქოთ,
დიდი წვიმაა და ქარაშოტი, ფურგუნი ხალხით არის გაჭედილი და ტევა არ
არის რაღა!.. ამ დროს ერთი საწყალი კაცი მოდის, სულ მოლად სველი, სია-
რული არ შეუძლია და სბცაა გზახე წაიქცევა და დარჩება კარში... ჰამაც ჯი-
ბეში არაფერი უჩხავის... ეს მეფურგუნე საწყალ კაცს დაინახავს, კოზლაზე
მიიწევა, დაუძახებს და ეტყვის: „მოდი, ძმაო, დაჯექ, წაგიყვანო.“ მაშ მოდი
ღმერთმა ამ მეფურგუნესაც გაუმარჯოს!..

დავლიეთ.

ხმას არ ვიღებთ.

დუქანთან წევს ინით შებლ შეღებილი უხარმაზარი ყოჩი და იცოხნის.

კარგა ხანს ვისხედით ასე ჩუმად და ღვინოს შევექცეოდით. იშვიათ მუშ-
ტარს ბიქი ისტუმრებდა და ფულს გეო იბარებდა.

მე ღვინოს არ ვსვამდი. გეო მეხვეწებოდა, მაგრამ როცა არაფერი გაუ-
ვიდა, თვითონ განავრძობდა სმას.

ერთ კვარტს მეორე მოჰყვა.

გეო დათვრა. თვალები მიელულა და რაღაც მუხამბახის ნაწყვეტს ღიღი-
ნებდა. მერე თავი ჩაჰკიდა, უმწეოდ გაიქნ-გამოიქნია და ქრელ ხელსახოცით
ცრემლი ნამალავად მოიწმინდა.

ავდექი, გამოვემშვიდობე და წამოველ.

გეო დარჩა იქ ატირებული.

(გავგრძელება იქნება).

მეფისქვილე

პოემა

IX

მიდიან ასე... უკვე წისქვილის
 მძლავრი ხმაური გარკვევით ისმის.
 ხევს აღარ ჰბურავს ლიბრედი ჩრდილი,
 ღრმა ნაპრალებში ჩამდგარა ნისლი, —
 ხოლო ნაძვნარის დაღუნულ ტოტებს
 გრილი ნიაფი რონინათ არხევს;
 იქვე გულის წვით იძახის კოტი —
 მუდამ რომ მწარედ დასტირის ამ ხევს.
 ძახილი იგი თვით მთის ნადირსაც
 ხვდება ღრმად გულში მწველი ნალველით,
 და ამ ღამეში მისი სიმღერა
 იღუმალების გამომსახველი —
 თითქო არისო ხანგრძლივი წყევლა,
 მრისხანე მეტად, უნდო და ავი,
 და ამ წყევლაში სჩქეფს შადრევანად
 ქვეყნის სიმუხთლე, ქვეყნის სიავე.
 ამ დროს კი ჯიბუ წისქვილში მარტოდ
 ზის და სევდებით ვესება გული:
 თან სწუხს: — ნეტავ ჭაღს რა დაემართა?
 და შიშისაგან ატაცებული
 ხან წისქვილის ბანს ეცემა შმაგად,
 ხან გორაკიდან გადაიძახებს,
 მაგრამ პასუხად წინ ეფუინება:
 მთვარიან ღამის ფერკმრთალი სახე.
 — აუ, გეძახი, სადა ხარ მზია?
 აუ, არ გესმის? პასუხი გამე!
 მაგრამ არ ისმის გამოძახილი,
 თითქო ამ ძახილს იჭერდეს ღამე.
 — აუ, გეძახი საბრალო ქმარი,
 აუ, ვინ გიჭერს ოხერ-ტიალი?
 მაგრამ პასუხად მოისმის მხოლოდ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქოტის კენესა და თერგის ღრიალი.
იძახის კიდევ, მაგრამ ამ ძახილს
ახმობს მრისხანე თერგის ქუხილი.
აქ მოაგონდა საბრალო მოხუცს
თუ რა სიზმარი ნახა წუხელის
და გული, ისეც შელონებული,
სულ მთლად აიღო შიშმა და ზარმა,
თითქო ეგ არი—აიტაცაო
მთიდან მოვარდნილ გრიგალის ქარმა!
აი, სიზმარიც: მზია ცხვარს მწყემსავს.
მზე ახალისებს ბუჩქნარს და ტყესაც.
და მდევრებივით მალალი მთები
სხედან მოწყენით და გარინდებით.
უცებ მყინვარზე დაიძრა კუმტად
არწივი, იგი ფრინველთა ღმერთი,
და მწყემს ქალისკენ, დაუნდობელი,
გამოექანა მახვილი მკერდით.
გაჩაღდა ბრძოლა. არწივი ფრთებით
სცემს ქალს ძალუმად ბროლის გულ-მკერდზე,
მის ბასრ კლანჭთაგან ნაგლეჯი თმები
სცვივა მყინვარის მოფლეთილ ქედზე.
აი, შეირხა... ავ მტაცებელმ
მომართა მყისვე მახვილი ბრჭყალი
და ახლა ცდილობს ბრაზნორეული,
რომ ქალს ნისკარტით დასჩიქნოს თვალი.
ჯიბუ ხედავს ამ საზარელ სურათს,
ცოლს რითმე მაინც უშველოს უნდა,
მაგრამ შეელა მან როგორ შეიძლოს,
თითქო ფეხებიც სულ დაეკუნტა!
სწორედ აქ, ამ დროს, ამ უბირ წუთში
გამოირბინა ლალმა ირემმა,
და იქვე ხევის ქვემო ორწოხში
თავი გამოჰყო მონადირემაც.
ის, ღრმად დაჭრილ მსხვერპლს მისდევდა უკან,
რომ ხელში ეგდო ნანადირევი,
მაგრამ ხევის ერთ სალ-კლდოვან შუქას
მყის შეეფარა ლალი ირემი.
დაინახა რა ვაჟმა აქ ქალი
და მისი ბრძოლა არწივთან ცხარე,
თოფი მიზანში შეასწორა და
მყის არწივს გულის გაუპო ფარი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადარჩა შზია. ჯიბუს სიზმარი
 ამით გათავდა ესოდენ მწარე,
 და დილას, როცა ზეზე დგებოდა,
 განცდილი ჯავრი გულს ედო ლოდით.
 საბრალო ჯიბუ ტოკავს და ლელავს,
 ახლა იგონებს იმ მძიმე წუთებს;
 ხან გულს ცრემლებით აისათუთებს;
 ნალვლობს: მთაში რად გაგზავნა ცოლი
 და ჯავრი კვნესად ამონასროლი
 გულში ხედებოდა ამ ხევის არეს,
 როგორც ნახვილი, მჭრელი ისარი.
 სწუხს ჯიბუ ასე, მაგრამ უეცრად
 გამხიარულდა წისქვილის ეზო,
 თვალი მოჰკრა რა მომავალ მზიას,
 ჯიბუს სიამის შუქი დაესო.
 წამს მიეგება წინ გულის მურაზს,
 გადაეხვია ცრემლ-მორეული
 და დიდხანს აგრე უძრავად იდგა,
 ვით სომნამბულა და მთვარეული.
 ბოლოს იკითხა ღმობიერებით:
 — რად დაიყოვნე ესოდენ, ქალავ?
 გელოდე, გული ამევესო დარდით.
 მოხუცს სადა მაქვს ლოდინის ძალა?
 ვფიქრობდი ხევში გადაიჩეხა,
 ან და ნადირი შესჭამდა სადმე,
 მაგრამ გულის წვა მოთქნა და ეხო
 ამო იყო თვით მიწისადმი.
 შზიამ უამბო მოხუცს თავისი
 შემთხვევა იგი სიკვდილზე ავი
 და ქმარის გულის სანუგეშებლად
 ნაზ ცბიერებით დაჰხარა თავი.
 მან უთხრა:— ჩემი სიცოცხლის მზსნელი
 უნდა შეიტკბო 'შენც თვალის ჩინად'
 და თან გააცნო ჭაბუკი იგი,
 რომელმაც ავ-მარცხს გადაარჩინა.
 მოხუცმა მხოლოდ ახლა შენიშნა
 მუდაყან იქვე ჩუმად რომ იდგა,
 რომელიც ქუშტად გადმოჰყურებდა,
 ვით გნოდს—არწივი მალალი მთიდან.
 — შენა ხარ ჩემი მეუღლის მზსნელი?
 — დიახ,— გაისმა ხმა უღარდელი...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ახლა ჯიბუმ მოხვეურ მადლით
დაუწყო ჭაბუკს კურთხევა, ლოცვა,
გადაეხვია და გადაჰკოცნა!
ჭაბუკმა გული გადუხსნა მოხუკს
ტკბილ მზრუნველობით და სიხალისით.
უთხრა:—არა ვარ ძვირფასო მამავე
ესოდენ ლოცვის და მადლის ღირსი.
მაგრამ ჯიბუ აქ როდი სცხრებოდა,
რომ მის ღარიბულ ოჯახის ჭერ ქვეშ
თუნდაც ეს დიდათ საძნელო იყოს,—
ერთ ღამეს მაინც დარჩენილიყო.
დასთანხმდა ვაჟი... გაჰყვა მასპინძელს.
მისი თვალები ელავდენ მკვეთრად...
მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველი
და უცაბედი თბილი შესვედრა.

X

ღამეა წყნარი. პირ-ბადრი მთვარე
მიცურავს ცაზე ალისფერ ტივით.
მყინვარის არეც მუდამ მშფოთვარე
აღარ გრძნობს სევდით ანთებულ ტკივილს.
აქ კი, წისქვილის შუა იდგილას,
გიზგიზებს ცეცხლი გაომებული,
ამღვარი ბოლი დაგრაგნილ ჩრდილად
ჭერსა და ჩარდახს ზოლებად უვლის.
ჯიბუ სწვავს მწვადებს. ტრიანებს მზიაც;
აი, ვახშამიც მომზადდა უცებ!
ჯიზვს ცალი გვერდი სულ დაჰბრაწვია,
ცხიმი კი ღვარავს მკერდსა და მუცელს.
აგერ, სუფრა და სუფრაზე ღვინო
კიაფობს წითლად მარჯანის ფერი...
ოჰ, რა ტკბილი ხარ გულუბნო ღზინო,
როცა შენს გულის სიმებზე მღერი:
როცა მწვადები იწვება ჯიბვის
ცხელ-ცხელი, მსუყე სახელდახელო,
როცა სუფრაზე ბოსტნეულობაც
არის გაშლილი მკერდ-მწვანე მდელით;
აქ, ჭიქით, კულით და აზარფეშით
არ ერიდება ღვინოს არავინ;
თრობის შემდეგ კი საურთი-ერთო
შურსა და მტრობას ველარ ჰფარავენ..



სად მძლე ბახუსის ჭროლა თვალები
 იხალეებიან წვითა და ალვით,
 სად მერიქიფე ცბიერი მელა
 ყველას რომ ფეხ-ქვეშ ეგება კრძალვით;
 სად, მთვრალი მისებრ, დამთვრალ მოქიშპეს
 ღვინით სავსე ბოთლს ბრაზით შესტყორცნის
 და, როცა გულის ჯაფრს ამოიყრის,
 შემდეგ გაღახულს ტირილით ჰკოცნის;
 სადაც ცეცხლია და მძლე ხალისი,
 სადაც არავინ ფიქრობს ხვალისთვის,
 სად ყველა ღვინში არის გართული,
 თუმცა გონება უკულმართული
 შენდება უცებ გულის-ხმაური—
 აი, აქ არი სიმშვენიერე.

XI

მოუსხდნენ სუფრას. ჯიბუმ პირველად
 სავსე ჯიხვის რქით ახსენა ღმერთი.
 შემდეგ გადასცა იგი მუდაყანს:
 — ჰა, შენ ჯეელო, გადაჰკა ერთი!
 შეექცენ სუფრას. კეთილი გული
 უფრო და უფრო გადახსნა ღვინომ.
 მზიას ვნებების აღმური უვლის,
 ჯიბუც გულგაშლილ ხალისით ღვინობს.
 ხან სტუმარს ზვერავეს, უცქერის მორცხვად,
 აკვირვებს ვაჟის არწივის სახე,
 მახვილი, მკვეთრი, ცეცხლი თვალები
 თითქო მდევეების იყო ტუსადი.
 მკლავები ბრგე და კუნთებ მაგარი
 მოხუცს წიფელის ტოტებს აგონებს,
 რომლებშიაც დგას გასაოცარი
 მამალი ღომის ხალასი ღონე.
 წელი წერწეტი—ვით ბეჭდის თვალი,
 მკერდი განივრად ამობურთული,
 და იმის ქვეშ მძლედ მფეთქავი გული
 არის ლალი და თავისუფალი.
 ზვერავეს მოხუცი მუდაყანს ჩუმად,
 შუბლზე ნაოკებ შემოგარსული.
 ბოლოს სთხოვა მან:— გვიამბე შვილო
 შენი აწმყო და შენი წარსული!
 ჩვენ ყურს დაგიგდებთ, ვფიცავ ჭაღარას,
 მოხუც გულის ყურს აამებ ამით;

სთქვი, რაც ყრმობიდან გამოგივლია:
 ლხინი და ქირი, სიტკბო და შხამი!
 ჯიბუს სიტყვებზე მუდაყან უცებ
 მოიხუშა და ეცვალა ფერი.
 თითქოს ამ წუთში იგრძნო მან მხოლოდ,
 რომ იგი არის ამ ქვეყნის გერი.
 მაგრამ ვაჟკაცმა სახის ნაკვთები
 კვლავ შეასწორა თამამად ისე,
 რომ აღადგინა მან წინანდელი
 დარბაისლობა და სიხალისე.
 დაიწყო ვაჟმა: მკვეთრი სიტყვები
 შრიალებს რბილად, საამო ხმაზე,
 ყრმის ბადრ სახეზე კი უხვად სტოვებს
 ძველი ნაღველის ირიბულ ხაზებს.
 — მაშინ ჯერ კიდევ ვიყავ პატარა,
 როცა მომიკვდა საბრალო მამა.
 და ეს შემთხვევა, ვარამი მწარე
 გადიქცა ჩემთვის გესლად და შხამად.
 არ მყავდა დედაც, ის უფრო აღრე
 გარდაიცვალა, დამტოვა ობლად,
 და მაშინ ჩემზე უბირი ბედით
 არავინ იყო ამ წუთისოფლად.
 დაღონდა გული. ჩემს მეგობრებში
 მხოლოდ მე ვიყავ ასეთი ბედით.
 ვებეტებოდი ხევსა და ღრეში,
 როგორც ისარით დაქრილი გედი.
 ხშირად, როდესაც ხევის ბიჭები
 ხტოდნენ, ხუნრობდნენ და თან ჰყვიროდნენ—
 მე ჩემთვის ვიყავ, მწარე იქვეებით
 და მუხთალ ბედზე ჩუმიად ვსტროდი.
 მათი ჯერ კიდევ ნორჩი გულები
 იყო სიცოცხლით, ხალისით სავსე,
 მე კი გულბოკლულს სევდა უღვევი
 ყელს დასახრჩობად მიჭერდა თასმებს.
 მაგრამ ერთ დღით, მოულოდნელად,
 როცა ასეთ ავ ყოფაში ვიყავ,
 როცა კეთილის მრჩეველიც ჩემთვის
 არ იყო, ბედმა ისე გამრიყა,—
 შემხვდა ბილიკზე სათნო მოხუცი,
 მან ჩემი ქირი გაიზიარა
 და ამის შემდეგ გულიდან უცებ



ერეკლესული
 ბიზნისი



ამოიწურა მწველი იარა.
 მიშველა. მეც მას მივინდე გულით,
 მან უანგაროთ მიყო ეს მადლი.
 და მწარე ყოფას დავშორდი უცებ
 მეც ქვეყნის ერთი საბრალო მატლი.
 გზას გაუდექით. ირაიბი მთები,
 რაც არ ვიარეთ, მაინც წინ გვედო.
 მწვერვალები კი ჩვენ დაგვეურებდა
 სასიამოვნო და საიმედო.
 წინ მიმიძლოდა მოხუცი იგი
 მე, მას მორჩილად მივსდევდი უკან.
 ვიარეთ მთები. ამ მთების იქით
 მრავალი ხევი, მრავალი შუკა,
 მაგრამ ჩვენ წინსვლას არ ჰქონდა კიდე.
 მზე გადიხარა. ბოლოს მოხუცი
 შემოტრიალდა ვეფხვივით უცებ,
 და შემეკითხა:—იქნება შვილო,
 დაიღალე და მგზავრობა გიჭირს?..
 თუმცა გეტყობა თვალის სხივზედაც,
 რომ უნდა იყო ყოჩაღი ბიჭი!
 — არა, ჯერ კიდევ, არ მოგქანცულვარ.
 გავე პასუხი... ჩავლუნე თავი.
 თუმცა სჯობს ახლა მაინც გამოვტყდე:
 ფეხების ტერფზე მძვრებოდა ტყავი.
 უცებ, მთის მწვერვალს რომ გაუსწორდით,
 გამოჩნდა ქვემოთ პატარა ხევი,
 სადაც ხარობდა მღელო დ კორდი
 გრილი ნიავის ლამაზი რხევით.
 დავეშვით კიდე. ძვირფასი არე
 იყო გაშლილი მთების სახლობლად,
 ხოლო ყველაზე ხალისიანად
 კრთოდა ამ ხევის ერთი მაღლობი,
 სადაც ორ ნაძვის სქელ ტანთა შორის
 იდგა კარავი, როგორც ურემი,
 და მისი მკრელი თვალეზი ქორას
 ხევის ორწოხებს გადაჰყურებდა.
 სოდლის მზე-თვალა ყმაწვილ-ქალები
 ამ მთის ფეოლობზე ჩამონსმდარიყენენ,
 და იშვიათი მათი გალობა
 ატკობდა შორით ატეხილ რიყეს.
 ერთი იწყებდა. ხავერდოვან ხმას



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ველარ ჰკვეთავდა ნიავი ცივი,
და მეტად ტკბილი სიმღერა იგი
სმენაში ახლაც ჰანგებად წივის.
აი სიმღერაც... — აქ მუდაყანმა
დაიწყო მათებრ წკრიალა ხმაზე,
თუმცა ვაჟის ხმა ვით შეედაროს
ქალის მოხდენილ ხმის სილამაზეს!
მაგრამ სიმღერა იგი საამო
მაინც აფრქვევდა ტკბილ ხმოვან ჰანგებს,
თითქო სიტყვები ნაკვეთი თაფლით
შეუსწავლია მუდაყანს განგებ!
კავკასიონის მთემო,
ბარს მხოლოდ ეს ახარებს,
რომ კლდის ცხიმი და თემო,
მოაქვს ლანქერის ღვარებს,
ვხედავ, რომ დავაეკაცდი...
ცის ტატნობების მოვლით,
შენს მწვერვალს როგორ ასცდეს:
წვიმა, სეტყვა და თოვლი!
ამირანივით გული
ცის მკერდზე აღმართული,
არის სარტყელი ბროლის
მადანით მოქარგული.
არე ძვირფასი, კარგი
ნაძუნარის ხშირი ტყეა.
აქ დღე საამო არი,
საღამო აქ თვით დღეა.
ხშირი ნისლების ქულა,
რომ მოდის ქარავნებად —
იგია ხევის სისხლი,
იგია ხევის ვნება.
გადახლართული გზები,
სად ჯიხვსაც გავლა უჭირს,
გვანიშნებს, რომ სიცოცხლე
ამაოა და ფუჭი.
მაგრამ ამ ხევის გული
თითქო მუხია მაინც,
რადგან ყოველ დღე გხვდავს
დაუმარცხებელ რაინდს.
ქარი ხახ ღმუის ავად,
არხევს თელას და იფანს;
მთვარე გეღია თითქო,
ღრუბლებში ტანს რომ იბანს.
ორწოხებს იქით ხევი
ფიქალ მკერდ დანახევი
ჯიბრს უწევს ცის კამარას,
შენ რათ ხარ ჩემზე ზევით!
აქ, შხის ობოლი სხივი
უხვად რომ ეფინება.

მთების მწვერვალი ცივი
 მყისვე ლამქერად დნება.
 ლანქერი იგი მორბის
 ცის და ბუნების ნიქთან,
 მან ააფრინა ორბი
 კლდის ორწოხში რომ იჯდა...
 და ახლა თავდაღმართზე
 გაქენებული მიპქრის;
 სულ სხვაა მისი ნდომა
 და ნაღვლიანი ფიქრი.
 ნეტავე სად არის ახლა
 ამ ხევის მონადირე?
 ხომ არ ეტყობა დაღლა,
 რატომ არ მისდევს ირემს?...
 მოხუცდა, მაგრამ გული
 მაინც ქვაა და ლოდი,
 თუ სანადიროდ მიდის
 მსხვერპლს არ დაუწყებს ლოდინს.
 წამს გააბოლებს ლულა
 ნისლებს შავი ქელით,
 და მის წინ უკვე ჯიხვი —
 გდია მკერდ გაფატრული.
 ნატამილ-ნაოხარი
 ჰქუხს მთის ლანქერ — ავეში,
 ო, შიგ რამდენი არი
 სილა და წვრილი ხრეში.
 პიტარა რუ მთის პირას,
 ხაზს რომ მიჰყვება ირბს
 ყოველ დღე ტუჩზე ჰკოცნის
 შტოებ-დახლართულ ტირიფს.
 ტირიფი იგი ტირის,
 როცა რუ არ ჩნდიალებს,
 მოკლებულია რადგან:
 ხვევნას, კოცნას და ალერსს.



XII

აქ უკვე შეწყდა იმა საამური,
 მუდაყან იჯდა განცდებით სავსე
 და წითელ ღვინით დაღალულ თავებს
 თითქო ზედი-ზედ სცლიდა ამური.
 სუფრა საოცრად მიბნედილიყო,
 ჯიბუც დაღლილი ხშირი მთქნარებით
 იჯდა მოწყენით. წისქვილის ხულას
 შუქს ჰფენდა კვარის ჩირაღდანები.
 წისქვილის ღარში წყალის სისწრაფე
 ატრიალებდა ქვებსა და ბორბლებს
 და ნაშხეფების სპეკალი ქაფი
 ჰფარავდა კოდის კორძსა და ხორკლებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოლაბები კი თავგამოდებით
სცემდა ზათქსა და ყიჟინას ზღვაურს,
თითქო ეგ არი: სკდება ლოდები
და იგი უშვებს შემზარავ ხმაურს...
მზია ზის წყნარად. თან გარინდებით—
თუმცა გულში ღრმად ცეცხლი ინთება...
და მუდაყანის ვაჟკაცურ ცქერას
იგი ცბიერი სინაზით ზვერავს.
ჯიბუც აქვე ზის, მაგრამ მოხუცის
თვალები თითქო დახუჭვას ცდილობს.
ბოლოს წარმოსთქვა: — შენი მოთხოვნა
ჩემს გულს იაშა, განაგრძე შეილო!
აქ მზიაც ქმარის სურვილს მიემბრო,
მუდაყანს ამბუის განგროძობა სთხოვა
და თხოვნის შემდეგ ბროლის სახეზე
ენების აღმურმა ჩამოათოვა.
დაიწყო ვაჟმა. მისი სიტყვები
წისქვილის ხმაურს უერთდებოდა,
და ნაამბობი გულ სათნო მსმენლებს
სულის სიღრმეში რჩებოდათ ლოდათ;
სთქვა მან: — მოხუცი, რომელიც შემდეგ
შეიქნა ჩემი მზრუნველი მამა—
იყო განთქმული მონადირე და
წელს უმშვენებდა თოფი და ყამა.
ხშირად, როდესაც საღამო გრილი
ანთებდა შორით ვარსკვლავთა კრებას,
შეგროვდებოდა ყმაწვილ-ქალები
და ამ მოხუცზე მღეროდენ ქებას.
ზოგს მისი სროლა მოსწონდა მხოლოდ,
ზოგს კი სირბილი არჩევით სწრაფი,
ბუჭუჭი თმა სქლად დაყრილი ბეჭზე
ელავდა, როგორც მდინარის ქაფი.
მიყვარდა იგი. მასაც ეუყვარდი.
თითქო ის იყო ჩემი მზობელი.
თავის ალერსით მან სულ დამიხშო
გულში კოცონი ჩაუჭრობელი.
ამ დროს მე უკვე ჭაბუკი ვიყავ,
ლონივრად სცემდა ამაყი გული,
თან სანდომიან ახოვანებას
მოსდევდა ღონე ახალგაზრდული.
მოხუცს ყოველ დღე დავყავდი ტყეში,
ჩვენს ნადირობას არ ჰქონდა ბოლო.
ტყე ჩვენთვის იყო ედემის ბაღი,
რომელს მდინარე წელს ერტყა როგორად.

(დასასრული იქნება).



წერილი

იანვრის ღამე ყინვას ჰფანტავს და მდინარის ზედაპირს ჰქარგავს, თითქო ლეჩაქს ჰქსოვდესო.

პატარა ქალაქის შენობები თეთრ ზეწრებში გარინდულან. სახურავებზე ბუჩქებად გადმომდგარი ბაშბის ქულები მყუდროებას იცავენ. ეზოში ხის ტოტებს თეთრი პერანგები ჩაუცვამთ და ხელები მლოცველებივით მალლა აუბყრიათ.

მიწყნარებულ მიდამოს ხშირად გააპობს ორთქლმაგალის ყივილი და ჰაერში შეიჭრება, როგორც აწყვეტილი შურდულის ბზრიალი.

იქ, პატარა ქალაქის შუა გულში—ხმაურობაა, ხივილი, ყვირილი. მალალ და შავ შენობის წინ გაშოლიტლი რკინის რელსები თასმებივით გაჭიმულან და ამ დაჭიმულ თასმებზე მისრიალებენ ინდაურივით აფხორილი ორთქლმაგლები და დატვირთული რონოდები.

შაეია ეს ნაწილი პატარა ქალაქისა და თეთრი ზეწარი ვერ ჰფარავს მას. მის ორივე მხარეს ბატებივით გაფანტული შენობები გარინდულან, საცოდავით მოკრუნჩხულან და ნაცემი ძაღლებივით კუდები ამოუძუებიან. აქ დუმილია, როგორც ტყის მივარდნილ კუთხეში.

შენობათა შორის გაყოლებულ ორლობეში, ვინმე მოხუცი ლანდივით მიპყვება ლობის მესერს. მის ნაბიჯებს ჩუმი შრიალით უკან მისდევენ თეთრი ნამცეცები.

დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიდის იგი. დინჯად და ნელა გამოაღებს ქისკარს. ბილიკით ეზოს გაივლის. მოკლე კიბეზე ფეხებს დაბერტყავს და აივანზე აიშართება მალალი, გამხდარი ტანით, ჩოხით და ჭალარა წვერებით.

ჯიბიდან გასაღებს ამოიღებს. კარს გააღებს. ბნელ ოთახში გაივლის, როგორც აჩრდილი. აფეჯთა შორის გაპყვება და კედლის განჯინიდან წუმწუმას გამოიღებს. მაგიდაზე მდგარ სანათს შუშას მოხდის. ანთებულ წუმწუმისაგან კედლებზე ჩრდილები აირევიან, როგორც ღამურები. მერე ოთახი განათდება და ამ სინათლეზე გამოკრთება მოხუცის ჭალარა წვერ-ულვაშში ჩაფლული ღრმად ჩაცვიფნული თვალები და მათ შუა კეხივით ამართული მოგრძო თხელი ცხვირი.

ქუდს მოიხდის და სინათლეზე აპრიალდება მოტვლეპილი თავი და ნაოქიანი შუბლი—მის სახეს რომ საპატიო და დარბაისლურ იერს აძლევს.

გახდილ ჩოხას ტახტზე ისვრის. დერეფანში გავა და დაპობილ შეშას ილლით შემოიტანს.

ბუხარში აყირავებულ შეშას მალე მოედო ცეცხლის ენები. მალალი ტანი დაბალ სკამზე დაუშვა. წელში მოიხარა. იდაყვები გაშლილ მუხლებზე დაიდო. ნაკვერჩხლების ტკაცა-ტკუს შეაცქერდა და მთლად ჩაეფლა გაურკვეველ უცნაურ ფიქრებში.

ღამე იყო სიკვდილივით ყუჩი და ეს დუმილი მის ფიქრებს ამწვავებდა. ფიქრები ნალღელის სიმწარით ტკივილებს აგრძნობინებდენ. ბუხარს შესცქეროდა ორი შავი სოროსავით ჩამყვრალი თვალები. და როდესაც ბოლმა და სვედა მის გულს უხილავი კუთხეებიდან შემოვსეოდენ, როგორც ბუხარში ავარდნილი აღის ენები, როცა ტანჯვის ცრემლები მის ქუთუთოებს დასწვავდენ, როგორც ნალღერდალი ბუხრის კუნძს, — მაშინ, ახმაურებული ღუნ-ღუნი, ნაკვერჩხლების ტკაცა-ტკუსი და აცვენილ ნაპერწკლების ციალი — მუსიკის ხმებად იფანტებოდა მარტოდ მყოფ ნოხუცის სხეულში. და შეიძლება ამ მუსიკის საშუალებით მშვიდდებოდა მისი გული. თორემ აფორიაქებული, მწვავე და სევდიანი ფიქრები გონებას დაუკარგავდენ მას.

შეშებზე მოდებულნი აღის შიგნით მალე დაეღაჟა ლადარი გამოჩნდა. აზიდული, ფერულ გადაკრული გრძელი ღერი მოიღუნა, თავი დაქინდრა, შუაზე გადატყდა და ნალღერდად ნაცარში აირია. ამან გამოიწვია ახალი აღის ავარდნა.

გავარვარებული ნაკვერჩხლების ჩხრიალი, იმედის და ნუგეშის სიტყვებად შეესმოდა მას. ბუხარს შესცქეროდა ისე, თითქო ეს შეადგენდეს უკანასკნელ დასაყრდნობ ალავს აფორიაქებულ ფიქრებისთვის.

რამდენჯერმე წამოდგა, თითქო ვიდაცას ეძებსო, თითქოს უნდოდეს მიზეზი ტანჯვებისა ჰკითხოს ვისმეს, მაგრამ ყოველი წამოდგომა და ოთახის მოთვალიერება ახალ წყლულებს უხსნიდა მას.

ერთხანად კედელზე ჩამოკიდებულ, ჩარჩოში ჩასმულ სურათს შეაცქერდა. სახეს დააკვირდა, ლეჩაქით და კაეებით რომ იყო შემოთვარგლული. ზევიდან დასცქეროდა, თითქოს, ეს არის, სიჩუმეს დაარღვევს და ძირს ჩამოვა, რომ ქმარს მოუაღეროს და ნუგეშის სიტყვა უთხრასო.

ფანჯარაში კი ყინვა გამოიციქრებოდა, თითქოს შუშებზე კირის სითხე წაუსვამთო.

მოდუნებულ-მოთენთილი სხეულით ნოხუცი მაგიდასთან დაჯდა. სანათი ახლო მიიწია. ნიკაპთან წვერებში ხელის გული შეუშვა და ზედ დაეყრდნო ნიბნედილი. თითქო არ გრძნობდა სხეულს, ისე იყო ფიქრებისაგან ამჩატებული. ხოლო გული სცემდა, როგორც დიდი ხარის ენა — ახმაურებული.

უცბად ოთახში შემოიჭრა შორიდან მოვარდნილი ორთქლმავალის ყივილი, როგორც დაჭრილი ნადირის ღმუილი.

ახალუხის უბეში ხელი ჩაიდო. კონვერტიდან წერილი ამოიღო. სანათის გვერდით მაგიდაზე გაშალა და კითხვა იწყო.

ეს წერილი იყო მის იარებს რომ შლიდა, მის ფიქრებს რომ ამწვავებდა. დიდ ხანს ჩასცქერდა წერილს უკვე წაკითხულს და ებლა, — სტრიქონებად გა-

ყოლებულ სიტყვებს რომ უცქერდა აბნეული მხედველობით, — გონების თვლით შორს, წარსულის მოგონებაში გადადიოდა, ათრთოლებული.

ახლა ფიქრები აღარ იყვენ ისე აფორიაქებული, სამაგიეროდ უფროდამოდიოდენ და წეროებსავეთ ერთმანეთს მისდევდენ არა ნაკლებ მძიმე და მტანჯველი მოგონებანი.

ქინძისთავის ოდენა, სიღრმეში წასული თვალებით, გონების ერთ მიხურულ კარს მიადგა, მის ჭუჭრუტანაში შეიხედა და იქ თავის ცხოვრების ბილიკი შეამჩნია. ჯერ კიდევ ბავში, ბილიკის მიხვეულ-მოხვეულებში, საბრით ხელში, ძროხას მიერეკებოდა ტყეში. გაცვეთილი ქალამნიდან გორახსავით და გამაგრებული ქუსლი გამოიყურებოდა, როგორც დაბეჭილი კომში. გამხმარი, გაციებული ჭადის ნატები და ჩილიკაობა ტოლ-ამხანაგებში. სოფლიდან ხუთი ვერსის მანძილზე დაშორებულ სკოლაში სიარული. სკოლიდან დაბრუნების შემდეგ პატარა თოხით ხელში, მამის გვერდით სიშინდის მარგვლა; და შემდეგ პატარა ქალაქში ცხოვრება.

მერე. — ცოლი. შვილი. ოჯახი.

ორი პატარა ოთახი. შრომა და მზრუნველობა ოჯახისთვის. რონოდების მუდმივი ხრიალი. ეს ხრიალი და ორთქლმავალის ყივილი, ეხლაც სხეულში გაქლენთილი, თითქო მის არსების ნაწილს შეადგენდეს, — აბორგებს და ათრთოლებს მთელ ტანს. აი, ხელში უჭირავს მუხრუჭის მკლავი, ზედ დაყუდებია ნაბადში გახვეული, და მიჭკრის ღამის წყვდიადში მატარებელი. ბორბლები ხრიალით მისრიალებენ. რონოდა ქანაობს, როგორც ქარისაგან ამოძრავებული ტოტი. შორს, სიბნელეში მიძვრებიან ლანდები, როგორც მოჩვენებანი. ამ დროს ფიქრები განმარტოებულა, მწუხრია და აგონდება მიტოვებული ოჯახი: პატარა ვახტანგი. ცქრიალა თვალებით, ფუნჩულა თითებით ცხვირის ნესტოებს რომ უკირტნის დედას, კალთაში ჩამჯდარი... და უეცრად პაერს გააპობს ორთქლმავალის ყივილი. ხელები ინსტიქტიურად მუხრუჭის მკლავს მოსწევენ, შემოატრიალებენ. კიდევ და კიდევ გაპკივის ორთქლმავალი თითქო შევლას ითხოვდესო, თითქო უფსკრულში ექანებოდესო... მოკერილი მუხრუჭი რონოდას აახრიალებს და კაცს ეგონება — ორი დიდი ხროვა ლომებისა ღრიალით და კბილთა ღრჭენით ერთმანეთს ეძვერნენო. და კვლავ ყივილი ორთქლმავლისა პაერს გააპობს, ხოლო ახლა კი დაწყნარებული, ნელი ხმით, თითქო ხიფათს გადარჩა და ბოდის ითხოვდესო... და კვლავ მუხრუჭის მოშვება და ლომთა ღრიალის შენელება.

სადგური და სახლში დაბრუნება. პატარა ვახტანგი, ოჯახური ალერსი და სიყვარული...

ასე მისდევდა ერთმანეთს წამთარ-წაფხული. თან მიჰყვებოდა შრომა შეუწყვეტელი, დაუღალავი და ფიქრები ოჯახის კეთილდღეობისათვის.

და არ ახსოვს მოხუცს სანეტარო დღეები, შვება და სიხარული წარსულში... თუმცა... ერთხელ! როგორ არა!.. ეს მაშინ იყო, მისმა ვაჟმა რომ გიმნაზია დაასრულა და სტუდენტურ ტანისამოსში ჩაცმული ოჯახს მოევლინა გახარებული. მაშინ იყო მამის გულმაც რომ გაიხარა, სიამაყით და მედიდურებით აივსო

მაშინ მოხუცის თვალები, გულზევიადობით დაიარებოდა მეზობელთა შორის და თავის სტუდენტ შეილზე ლაპარაკობდა.

მერე—ერთი წლის შემდეგ, შეილის დაბრუნება რუსეთიდან და კვლავ მოხუცის გახარება. ხოლო ჩამოსულმა სულ სხვა აზრები ღვინოში ჩაქვიტანა. მამას არ მოსწონდა მისი ლაპარაკი ხელმწიფეზე, ღვინოებზე... არ მოსწონდა შეილის აზრები თანასწორობის შესახებ. მამა ხედავდა შეილის შემცდარ გზაზე დადგომას. ხედავდა, რომ შეილი სახიფათო წრეებში დაიარებოდა, ქეშმარიტ გზას გადადგომოდა... მერე?.. მერე მოხდა მამისათვის მოულოდნელი რამ: შეილი დაიჭირეს და ცივ ქვეყნებში გაგზავნეს...

დაძმარდა, დაიფერფლა მამის გული. განა ამას მოელოდა? მას ეგონა, შეილი ინჟინერი გამოვიდოდა და სადგურის უფროსს უკან ჩამოიჩინდა! ვერ გაიგო, რაში იყო საქმე, რატომ მოხდა ასე?.. ცოლს ეჩხუბებოდა, ამტყუნებდა. შეილს უსაყვედურებდა, რომ შრომა და ამაგი არ გაუმართლა... მერე ცოლი ავად გახდა. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მარტოობაში გაატარა მოხუცმა ათეული წელი. და როცა შეილი გადასახლებიდან დაბრუნდა მამის გულმაც გაიხარა. იფიქრა, ესლა მაინც გამომადგება შეილიო. მაგრამ გავიდა ორიოდე წელი. და როდესაც წითელი ზეწარი საქართველოსაც გადაეფინა, შეილმა მიატოვა იგი და უცხო ქვეყანაში გადაიხვეწა.

ამის შემდეგ მოხუცის ცხოვრებაში მოხდა რაღაც შეუსაბამო, გაურკვევი, მიუწოდომელი. ახლაც ვერ მიხვდა მოხუცი, რაში იყო საქმე, რატომ მოხდა ასე?!..

და ჰკვირობდა მოხუცი: რა იყო ის აუცილებელი, გარდაუვალი მის ოჯახურ მსვლელობას რომ არღვევდა, მთლიანობას უკარგავდა. სად იყო მიზეზი ყოველივე ამისა!.. ის ხომ შრომობდა, მხნეობდა, პატიოსნურად ოჯახის კერას ემსახურებოდა!.. და მერე, რად მივიდა ცხოვრება ასეთ დასასრულამდე? არაფერი გარეშე ოჯახისა მისთვის არ არსებობდა. და იყო გაუწყვეტელი ჯაფა და შრომა ოჯახის კეთილდღეობისთვის... და მერე, ეს იყო ჯილდო ყოველივე ამისთვის?.. რატომ მიატოვა შეილმა ოჯახი? რატომ იყო მამა შეილს დაშორებული და ვერაფერი გაეგო შეილის ზრახვების?..

და ნალვლობდა მოხუცი: მოესწრება კიდევ შეილის ნახვას? ეღირსება კიდევ ხელი გადაუსვას შეილს თმაზე, შუბლზე, მხრებზე... გაიგონოს მისი ხმა... ჩახედოს მის ქკვიან თვალებს? თუ... იქნება ასე გათავდეს ცხოვრება?..

მერე, რატომ არ ბრუნდება შეილი სახლში? რატომ არ უნდა მოხუც მამას მიხედოს?.. რით იმართლებს თავს?.. არაფერი, არაფერი!.. სტყუის შეილი!.. ყველაფერი წარმავალია! მამა და ოჯახი კი ურყევია! მერე, რა არის მამა შეილისათვის? მამამ შეასრულა თავისი ვალი შეილის წინაშე... შეილმა?..

— სტყუის შეილი, სტყუის! — გესლით წარმოთქვა მოხუცმა. წერილს ხელი წაატანა და დაქმუჭნა.

სანათთან დაყუდებული მოტვლებილი თავი მოაბრუნა. ფეხზე აიმატა მალალი. წვერებზე ხელი გადისვა. დაბნეული შეაცქერდა ფანჯრის თეთრ არშიებს, იღუმალებას რომ იცავდნენ.

უცბად შორიდან სროლა მოისმა. მას მოჰყვა მეორე, მესამე, აიროს ვრთ-
მანეთში. ახმაურდა მიდამო. შეკრთა მოხუცი. ფიქრებიდან ამოძვრა, როგორც
წიწილა ნაქუჭიდან, და უმაღლესად მოაგონდა, რომ ეს ახალი წლის მარტო...
იწყებოდა ახალი წელი! ბოღმა და გესლი, მწვევე ტკივილები ბრძანებდა...
ერთმანეთში აირია. სხეული ამოძრავდა და კუნთებმა იწყეს თრთოლა.

მასაც მრავალი ახალი წელი გაუტარებია ოჯახში. მაშინ მზიარული იყო
მისი გული. მზიარული იყო ოჯახი, ყრიამული იყო სახლში... წავიდენ, მიიმა-
ლენ, წეროებივით გადიფრინეს ამ წლებმა. სამოცდაათი წელი ამოეფარა ფარ-
დას უცნაური სისწრაფით.

მიბრუნდა, თაროს კარი გამოაღო. აყუდებულ ბოთლებში თეთრი ბოთლი
მოძებნა. არაყის პატარა ჭიქა მაგიდაზე დასდო, ბოთლიდან სითხე ჩაასხა და
ერთის მოსმით უღვაშებში ჩაფლული ტუჩებიანი ჭიქა ააყირავა. სახე შეეკმუნა.
ტანში ყრფოლამ გაუარა და გულმა ბაგა-ბუგი უწყო. მერე ერთხელ კიდევ
ააყირავა ჭიქა, ტუჩებთან სითხემ აუშოძრავა კუნთები.

სანათის ახლო დაქმუქნული წერილი დაინახა. ეხლა და მოაგონდა ტანჯვე-
ბის მიზეზი. უცბად განჯინისაკენ მობრუნდა, უჯრა გამოსწია, მივარდნილ კუთ-
ხეში სამელნე და კალმის ტარი მოძებნა. მაგიდის უჯრიდან ქალაღდი ამოიღო.
სანათთან გაშალა. კალამი სამელნეში ჩააწო და ქალაღდზე ამოხატა: „შვილო
ვახტანგ...— შეჩერდა და კიდევ არაყი დალია. უნდოდა შვილისთვის მიეწერა
წერილი ისეთი, რომ შვილი მამის ზრახვებს და მის მოთხოვნას დამორჩილე-
ბოდა. აზრების მოსაკრებად არაყს მიმართავდა, თითქო მასში ეძებდა დაგრო-
ვილ ფიქრთა გამოსავალს, გული უჩუყდებოდა როგორც პატარა ბავშს. ერთ
წერტილს ჩასცქეროდა და იქ ხედავდა შვილის სახეს... ოო!.. ეხლა რომ აქ
გაჩნდებოდეს შვილი, როგორ ჩაიკრავდა გულში!.. ორი გამშრალი ცრემლი
გადმოცურდა ქუთუთოებში და იქვე ლაწეებში აცივდა...“

კიდევ არაყი დალია. შემდეგ კალამი მოიმარჯვა და დასწერა: „შენი წე-
რილი მივიღე და ყველაფერი ყურადვიდე. შვილო, მოეხუცდი და შენი ნახვა
მენატრება. ვინ იცის, კიდევ გიხილავ თუ არა! შენ კი არ ფიქრობ მოხუც მა-
მის სიცოცხლეზე! მომიწერია, შვილო, და კიდევ მოგწერ, თავი ანებე სხვების
აზრს და ყური უგდე მამა-შენის რჩევას. წამოდი შვილო, წამოდი და ინახულე
შენი მოხუცი მამა. სიბერის დროს მაინც ანუგეშე მარტოდ მყოფი. აბა, რა
ეჭნა, შვილო, მოხუცმა, შენ თუ ახლოს არ მეყოლები!.. ვერაფერი გავიგე შვი-
ლო, ცხოვრებისა. ვერც ის გავიგე, პირველად რომ რევოლიუციას ესწრაფოდი
და ამისთვის თავს სდებდი— მოხუც მამას კი ყურადღებას არ აქცევდი. და მა-
შინაც ხომ მარტოობაში მტოვებდი!.. ახლა, შვილო? ახლა ხომ სულ გადიკარ-
გე! რა ეჭნა, შვილო, როგორ არ გისაყვედურო, როგორ არ გითხრა! მაგონდე-
ბიან შენი სიტყვები— პროლეტარები და მშრომელი ხალხი, თავის დაღება მათ-
თვის და სიყვარული, ღვდლების სიძულვილი და მათი მოსპობა!..— ჰო და, და-
ვიდგა, შვილო, სწორედ ეს ხანა!.. შენ კი ამ დროს უცხოეთში წასულხარ და
არ გინდა ნახო შენი ნანატრი. ველარ გავიგე ველარაფერი!.. მოდი შვილო, და
ნახე, როგორ განაგებენ მუშები თავიანთ საქმეს. ქალაქის აღმასკომში, მხოლოდ

მშრომელი ხალხია. დაიარსეს კლუბები და ყოველ საღამოს წარმოადგენას ან ლექციას თვითონ აწყობენ. შენ რომ ახლა აქ იყო, იმათში ხომ პირველი კაცი იქნებოდი!.. ჩვენი პატარა ქალაქის ქუჩები ახლა ისე როდია, როგორც ქალაქი იყო... სადგურის ქუჩა გაავადგულეს და გააფართოვოს. ეზოებს დააკლეს და ქუჩებს შეუერთებიათ. ელექტრონის სადგური აამუშავეს და ქუჩები გააგანიერეს. უცოდინარი არავინ დასტოვეს და ანბანი მაინც ყველას შეასწავლეს. თავად აზნაურებს მიწები ჩამოართვეს და გლეხებს დაურიგეს. ერთი რამ ვერ ჰქნეს შეილო კარგი, ეკლესიები რომ დაკეტეს. მაგრამ ახალგაზღვობისთვის ისიც აღარ იყო საჭირო. ხოლო ჩვენ რა ვქნათ, მოხუცებმა? ამის მომხრე ხომ შენც იყავი, შეილო, წინად და იძახდი, ღმერთი არ არისო... მართლა არ ყოფილა, შეილო, ღმერთი, თორემ როგორ დაუშვებდა სალოცავი ადგილების დაკეტვას, ღვთაების შეურაცყოფას?..

ასეა შეილო აქ... და რატომ არ უნდა დაბრუნდე!.. რას აკეთებ მანდ!

დღეს ახალი წელია, შეილო. მრავალს დაესწარი... ოჯახებში ვრიაბულია. ღვთაებები შეილებს ჰკოცნიან. შეილები მამებს ახალ წელს ულოცავენ... მე ვინ მომილოცოს, შეილო, ახალი წელი? მარტო ვარ, მარტო, და არ მესმის შენი ხმა გამამხნეველი! შენ ხომ ჰკვირავი იყავი შეილო, ახლა რაღა დაგემართა? შეილო, შენც იცი, რომ...

ოთქლმავალის ყივილი გაისმა მიყუდრებულ მიდამოში. მოხუცი ჩაუიქრდა.

უცბად გულზე თითქო ხანჯლის წვერის გაელვება იგრძნო. დაკოდილი არწივის წივილი წიაღში გაისმა. სხეული შეინძრა, როგორც მიწისძვრის დროს, თითქო ნიადაგი ფეხქვეშ ეცლებოდა... ერთის მოსხლეტით ტახტისკენ გაეშურა...

—

დილას, როცა ბუხრის თავებიდან შავი კვამლი სივრცეში გაიფანტება, თეთრი ზეწრით დაფენილ ქუჩებზე შავი წერტილები აირევიან. ეზოებიდან ეზოებში გადივლიან, ფიფქ თოვლს გასჭრიან. სახლებიდან ყრუდ გაისმის ადრიახი მრავალ-გამიერი. იწყება ახალი წლის მილოცვები, ხმაურობა და სიმღერა.

ორი ვინმე მოხუცის ქისკარს შეაღებს. აივანზე ფეხებს დაბერტყავენ. ელიან, — კარი გაიღება ძალე. თეთრად შეღებილი კარი, ორ უჯრედად მწვანე ხოლით დასერილი, დიდ ხანს არ ინძრევა, მოსულნი ერთმანეთს კითხვის თვალებით შეხედავენ. ერთი შეეკითხება მეორეს:

— ხომ სახლში იყო წუხელის?

— ნამდვილად იყო სახლში, მითხრა, ადრიახ შემოიარეო. — მიიღებს პასუხს.

ფანჯარაში შეიხედავენ და მაგიდაზე ანთებულ სანათს შეამჩნევენ. თავში ორივეს ერთი აზრი გაუფლის: ხომ არაფერი დაემართა მოხუცს? კარებს ჯერ დიდხანს აბრახუნებენ. მერე ორივენი მიაწევიან. მხარი და ზურგი კარს მიხნიქავენ. ჯახუნით გაიღება. ოთახის თბილი ჰაერი გარედან შემოვარდნილ ცივ ჰაერს დაეჯახება; და მოსულებს თვალებში ეცემათ ტახტზე გაშოტილ მოხუცის ღია თვალები, ლურსმებივით რომ გამოიყურებიან. შეკრთებიან. ერთ ნაბიჯს ხელნაკრავივით უკან გადასდგამენ, მერე ტახტიდან ჩამოვარდნილ მკლავს ასწევენ, მოტეხილი ტოტივით რომ აპყვება და, მოსხლეტილი, დაეშვება გულზე...

შეშინებულნი და დაბნეულნი, ორივენი ტახტის წინ იდგნენ და მათ აკრთობდა მოხუცის ღია, სივრცეში მიშტურებული გამსჭვირვალე მინის თვალები და მაგიდაზე დატოვებული დაუმთავრებელი წერილი...

იანვარი, 1927 წ.

ს ა ლ ი

(რომანი)

II

ოთახი მდიდრულად მორთული არ იყო. მუთაქა-ხალით გაწყობილი ტახტი, სუფრა-ვადაფარებული მაგიდა, რამდენიმე სკამი.

მაგიდასთან იჯდა ოთარი, შევერცხლილი თმა ასწეწოდა, წარბები მოღუშოდა, აშტერდებოდა თავისივე ხნის კაცს, რომელიც სამხედრო ტანისამოსში იყო.

— შენის აზრით მაშ ნატო გადარჩება?— შეეკითხა ოთარი მკურნალს. მკურნალი ნიდაყვით მაგიდას დანდობოდა, მეორე ხელი პირთან მიეტანა, პაპიროზის ბოლს წყნარად უშვებდა. მაგიდაზე იდგა ერთი ბოთლი მაგარი სასმელი, დასაწყობებულ საკმელს ივანე დაუდევრად ხელს წაატანდა, პაწია ჭიქით სასმელს მიაყოლებდა, ეტყობოდა სასმელისთვის სასურველი ნუგბარი იყო.

— ხომ გითხარი, ქალი მაგით იშვიათად კვდება მეთქი, რასაკვირველია, თუ ხელის შემწყობ ჰყავს. მაგ დროს თვით ბუნება უეცარი დამხმარეა!— უპასუხა ივანემ, ჭინა თეფშზე პირქვე დაამხო, ტუჩები გაილოკა.

— ამბობ ორიაო და ორი ხომ...— ველარ გაათავა ოთარმა, საზე დაუნაღვლიანდა.

— რა ვუყოთ რო ორია! ზოგჯერ სამიც არი. პირველი შემთხვევაა შენ სახლში?..

— ორი ერთად მაინც...

— სულ ერთია, ჩემო ძმაო, ერთი იტნება, ორი, თუ სამი...

— ლაჩარი ყოფილხარ, ოთარ! არა მგეეხარ შე! არც ჩემი ცოლი ჩამორჩება შენს ცოლს. ისიც მარჯვედ არის. ყოველ წლის თავზე ახალი ჰყავს. მაგ მოვლენას ბუნებრივ მოვლენას ვეძახი. გული არ მიტყდება... წარმოიდგინე, ჩემი ავაფია ეხლა უფრო ჯანსაღია, ვიდრე ქალიშვილობაში იყო. მეც რა მენაღვლება. არც შვილების გამრავლება-დაზრდაზე ვწუხდები. ზოგი გაიზრდება, ზოგი მოკვდება. სადაც ბევრია, იქ ხარჯსაც ნუ დაინანებს!..

— შენ ხუმრობ, ივანე, მე კი არა მკითხავ. შედი, იქნება შველა სჭირდება.— ივანე ზღაპვნით წამოდგა, ოთარმა თავი ხელებზე დაადო. მოუთმენლად ელოდა შენიკას, რომელმაც ვაჟის გაჩენა ორჯერ ახარა, თუმცა ცოცხლები აღარა ჰყავდნენ.

— რად იგვიანებს?— ფიქრობდა ოთარი და ჯიბეში ფერცხლის / აბაზებს სამახარობლოდ აჩხრიალებდა.

მენიკაც გამოჩნდა, ფეხაკრეფით ბატონისკენ წამოვიდოდა.

— ქალბატონი განთავისუფლდა!— დაიჩურჩულა და ტუჩებზე თითი მიიღო.

— კიდევ რას იტყვი?..

— ქალბატონი განთავისუფლდა!— ოდნავის ხმით კვლავ გაიმერრა დედა-კაცმა და ჩაჩუმდა.

ოთარი საიდუმლოებას მიუხვდა, შუბლი შეიკრა. მის არსებაში გაურკვეველი გრძნობა ტრიალებდა, უნდოდა ნატოს მდგომარეობა გაეგო, გაუბედაობა დაღაედა.

— ივანე იქ არი?.

— ქალბატონს თავს ადგია, ამბობს არა უშავსრაო..

— წადი, მიხედე!.

ოთარმა შვეებით ამოისუნთქა, რა იგრძნო რომ უცხო თვალი აღარ უყურებდა.

* * *

— თქვენ კი გაქრით აპანდე! თქვენმა მზემ, ძაან საჭირონი იყავით! ღმერთმა სწორედ ამ ქალისთვის მოიცალა. ასე ზედიზედ მიყრა გომბიოებისა რა ცოდვის კითხვაა?— წარმოსთქვა ბებია ნინომ და ახლად შობილს ღონივრად გაუწყაპუნა.

— ქვეყანა რას იტყვის?. სარცხვილია, სხვა რომ არა იყვეს რა.— უმოწინა მენიკამაც.

ახლად შობილებს ყველამ უგულოდ შეხედა. ბუხარში შეშას ტკაცანი გაჰქონდა, შიგა და შიგ მომწვედელი ნედლი ხის ნაქერი ცეცხლის აღის სიმხურვალეს ასუსტებდა, ბუხარშივე ატრიალებდა, თითქო ბუხარსაც წელილი გამოეზომა, ენანებოდა მეტი სითბო დაუპატიჟებელ სტუმრებისთვის, რომელნიც ნაბად-გაშლილ იატაკზე დაგორებულნი ჩხაოდნენ, თითქოს იქ მყოფთ თავს იგონებდნენ: აი მოვედით, ვითხოვთ ყურადღებასო.

მათთვის კარგა ხანს არავის მოუცლია. გულშელონებული ქალი ლოგინზე უგონოდ იდო, ექიმს მაჯა ეჭირა. ქალს თავთ უჯდა კრიკაშეკრული მარიამი, მკურნალს მისჩერებოდა.

— ფიქრი აღარ არი! მაჯა მოულონიერდა!— ტკეპნათ წარმოსთქვა ივანემ. იქვე მდგარი ოთარი გრძნობდა თავისკენ დამიზნულს, საყვედურით აღსავსე თვალებს და საყვედურს ანგარიშს უწევდა. მარიამმა შვილი გასაბედნიერებლად ჩააბარა. ნატო ყოველ წელს მშობიარობას ებრძოდა, უთმობდა ნაწილს თავის არსებისას, თვითონ კი რჩებოდა სუსტი, უღონო. მარიამის თვალებმა დაღალვა იგრძნეს. მაგრამ ამ დროს შენიშნა: მელნის ტბად დაგუბებული თვალები ნატოს დედისთვის მიემართა, სათუთი გრძნობით აღვსილი დედის მზერა მელოგინის თვალწინ კრთოდა, სმენაში ერეოდა. ნატო სუსტად იყო, მაგრამ ყველაფერი ესმოდა. ვაჟი ყოფილიყო, ოთარ დაღონებული არ იქნებოდა, თუნდ მარიამი. ქალიშვილები კი მოსწყენოდნენ.

ნატოს ბურანში ბრძანება მოესმა:

— არ დაიძინოთ!

გონებადამძიმებულ მელოგინეს მკურნალი თვალწინ უდგა,

— სუსტად არის. ჰმ! ორ-ორი ერთად სათქმელადაც ძნელია, თორემ—...

წაილაპარაკა ივანემ, როდესაც ოთახიდან გამოვიდა.



ქართული

ლიტერატურა

* * *

მეორე ოთახშიაც ბუხარი გიზგიზებდა, ცეცხლთან სამფეხა სკამზე ჩამო-
ჯდარი ნინო ბურნუთსა სწევდა.

პატარა დედაკაცი ბეწვმოვლებულ ქათიბში ბურთსავით გამოხვეულიყო, წვრილი თვალები საგნიდან საგანზე მოუსვენრად მიმოურბოდნენ, ნაოჭებით დასერილ შეწითლებულ სახეზე ეხატებოდა თავის თავის პატივი. გრძობდა, მას სჭირდებოდა არა მარტო ეს ოჯახი, არამედ სანატრელი იყო ყველგან, სადაც ამ ქალაქში აკვნის გადარწევა მოელოდათ.

— მენიკა, მელოგინე სხვაგანაც მელის, გობი მოიტა, ბავშვები ვაბანავო.— წარმოსთვა ნინომ.

— ფალასები ერთი ბავშვისთვისა გვექონდა. როგორ ვიფიქრებდი, მეორეც მოპყვებოდა. დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!— ჩაილაპარაკა დაღონებულმა მარიამმა, რომელიც ის იყო შემოვიდა.

— ესენი დღესვე თუ არ დაინათლნენ ამ სახლში ამაღამ ცოდო დატრიალდება. ღამე ეშმაკისაა, ავმა სულმა არ დაჰკრათ. გირჩევთ ეხლავე ღვდელი მოიყვანოთ. — უთხრა ნინომ მარიამს და თვალით ანიშნა ერთ ბავშვზე, რომელსაც სული უფუბდებოდა.

— ჯერ ჩემ სიძეს შევეკითხო.

— თუ შევეკითხეთ, მე ვიცი გადირევა! ჯერ ვერიკოს და ბაბუცას უჭირთ. საყვარელი შვილები, არიან, თორემ ეს საცოდავები ვიღას ახსოვს.— ჩაერია ლაპარაკში მენიკა. საბანაო გობი ნინოს წინ დაუდგა. დაბანილი ბავშვები ფალასებში შეხვიეს, ავადმყოფი საღს მოაშორეს.

— აზგამ, შე ვერანავ! რა ფეხებში მეღები?— მოისმა კარებთან. ხმას მოპყვა ძაღლის წკმუტუნნი.

— გიორგია, არა იცის რა, უთხარი ნუ ხმაურობს!— მიუბრუნდა მარიამი მენიკას.

— აჲა მშვიდობა!— წარმოსთქვა გიორგიმ და სავსე ხურჯინი ოთახში შემოიტანა. დაინახა ნინო, მარიამს შეხედა და შეჩერდა.

— უკაცრავად... არ ვიცოდი თუ...

— გიორგი, ორი ქალი კიდევ ერთად შეგვეძინა.— დამცინავის კილოთი უთხრა მენიკამ.

— რა ვუყოთ, მადლობა უფალსა! ქალიც შვილია.— უბასუბა ნორჩილებით გიორგიმ, თან ხელები გადაშალა, შემდეგ ბუხრისკენ გადიარა, ცეცხლს ხელები მიუფიცხა.

— ოჯახი ხომ კარგად დასტოვე, გიორგი?— მოიკითხა მარიამმა.

— იცოცხლე... ღვთით არა უშავთ რა!

გიორგის გაქალაქავებულ ქერა სახეზე რაღაც სათნოების წყვილი გიდასწრებოდა, კისფერ თვალებში ალერსი უკრთოდა.

— გიორგი, დაღალული ხარ, მაგრამ მეტი ღონე არ მქონდა, უნდა შეატყობინო, რომ ბავშვები ამაღამვე დაანათვლინოს.

— ასე მოფუსფუსებით ნათლობა? თქვე დალოცვილებო, როგორ გეკადრებათ?

— რა მეტი ღონეა. ერთი ბავშვის ამაღამ მოუნათლავედ დატოვება საშიშია. გიორგი გაჩუმდა.

* * *

ოთარი სასტუმრო ოთახში დაღონებული უსმენდა გიორგის, რომელიც რაღაზედაც არწმუნებდა. ამ დროს მენიკამ კარებიდან შემოიძახა. ბავშვი ცუდად გამზდარიყო. ნინო იხვეწებოდა მის საჩქაროდ მონათვლას. გიორგიც ღვედლისაკენ გაიქცა. მოხროტინე ბავშვი ყველას აშინებდა, რომ მოუნათლავი არ მომკვდარიყო. ღვედელი მოვიდა, მოხუცმა მამა ბესარიონმა იცოდა საჭმე რაშიც იყო. კისერზე ოლარგადაგდებული წავიდა ბავშვების ოთახისკენ, სადაც მოუთმენლად ელოდებოდნენ. მის დანახვაზე ყველამ შვება იგრძნო.

— ნათლიები ვინა ბრძანდებიან? — იკითხა ღვედელმა.

ოთახში მარტო ნინო და მოსამსახურეები იყვნენ.

ღვედელმა ავადმყოფი გიორგის დაატყობინა ხელში, საღი ბავშვი მენიკას და დაიწყო ღოცვა. მამა ბესარიონმა საღ ბავშვს მირონი წასცხო, სახელად დარია უწოდა. შემდეგ მიუბრუნდა გიორგის.

— სახელი შენი ნათლულისა?.

— სალომე. — უპასუხა მორჩილებით გიორგიმ.

— უფალი წინ გიძლოდეთ, ანგელოზებო! — წარმოსთქვა ღვედელმა, როდესაც ნათლობას მორჩა, ბავშვებს პირჯვარი გადასახა. ოლარი მოიხსნა და გამოვიდა ოთართან, რომელიც მეორე ოთახში ბოლთასა სტემდა. მაინც და მაინც ნუ შეწუხდებით, თუ ქორთას უფალი ანგელოზთა გუნდში გარეეს. შვილები ისეც საკმაოდა გყავთ, ყველა არ გაიზრდება. ჩემი ნათლული კი ყოჩაღად იყურება. — ღიმილით უთხრა მამა ბესარიონმა.

— განა ორივენი თქვენ არ მონათლეთ?..

— რა საჭიროება მოითხოვდა, ორივე მე მომენათლა?.. მირონი ღვთისაა, შელონებულს მირონი გიორგიმ წასცხო.

ოთარმა უცბად ხმა ჩაკმინდა, ოთახში სიარულს უმატა. მამა ბესარიონი მიხვედრილი იყო — თავადი რაზედაც ღელავდა.

— ჯერ ჩემ ნათლობასაც მაინც და მაინც კმაყოფილებით არ შეხვდა, თორემ გიორგის... — ფიქრობდა ღვედელი.

ღიღმა თავადმა მირსკიმ და გლეხმა გიორგი ბალიძემ ოთარის შვილებზე ერთნაირად მიიღეს მირონი? გიორგი არამც თუ ნათლიად, მხსნელადაც მოეფლინა. იმ შემთხვევაში, თუ სულთმობრძავი ბავშვი ნათლიის მკლავზე გარდანიცვლებოდა, მაშინ ოთარი პირნათლად წარდგებოდა ღვთისა წინაშე... ოთარმა შუბლზე ხელი მიიღო, ჩაფიქრდა.

— შეშოვიდეს გიორგი!—სთქვა მან.

მამა ბესარიონს სადაც ეგულებოდა გიორგი, იქ აღარ დახვდა. კარზე გასულიყო, სივრცეში იყურებოდა.

— რა დამნაშავესავით ატუხულხარ მანდა, კაცო?—დაუძახა ღვდელმა. გიორგი ფიქრებიდან გამოერკვა და მამა ბესარიონისკენ მოტრიალდა.

— რა იყო, მამაო? ბატონი ხომ არა წყრება, ბავშვი რო მოვნათლე?— შეეკითხა შემკრთალი, მაგრამ როდესაც დაინახა მოძღვარის სახის ამაყი მეტყველობა, დამშვიდდა.

— გასაწყრომი რა აქვს?.. პირიქით, უნდა გიმადლოდეს, შვილი მოუნათლავი არ მოუკვდა. დღეს შენ და ის სულიერი ნათესავეები ხართ.

გიორგიმ ხმა აღარ გაიღო, მისმა თვალებმა ისევ სიბნელისკენ იწყეს ცქერა.

— მოდი, გიორგი, ალბად განგებას უნდოდა, რომ შენ ჩემთვის შვილი მოგენათლა!—დაუძახა ოთარმა, როდესაც გიორგი კარებში გამოჩნდა.

ოთარმა გიორგი გადაკოცნა, გვერდით მოისვა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. წუთები ლაპარაკობდნენ.

— ეს არის ნათლობა გავათავეთ და თქვენც სულზე მოგვისწარით, ექიმო.— წარმოსთქვა ღვდელმა, როდესაც ივანე ოთახში შემოსული დაინახა.

გაიგო თუ არა ივანემ აჩქარებული ნათლობის მიზეზი, თავისებურის ზღაზვნით შეწუხებულ ბავშვისკენ წავიდა.

— ცოტა კიდევ რომ დასცლოდა, ბავშვი გათავდებოდა!—ბუზლუნებდა ივანე, თან ქორფას ყელს უწმენდავდა. მენიკა თავს ადგა, გულგრილად უსმენდა. ბავშვმა როგორც კი შვება იგრძნო თავი ძილს მისცა. ივანემ ოთარს ბავშვის გადარჩენა მიულოცა. ეს ამბავი ყველაზე მეტად გიორგის იამა და ხალისიანად მაგიდაზე სუფრა გაშალა.

* * *

შეორე დღეს ნატო თავს უფრო ღონიერად გრძნობდა. ბავშვები მოაყვავინა. პირით საჭმელს ეძებდნენ. ნატომ დიდხანს ვერ შესძლო მათი ყურება. დედას ანიშნა, რომ თვალიდან მოეშორებინა.

— ციციხო უფროს ბავშვებს არ უშვებს. ამბობს, პატარა ხანს ჩემთან იყვნენო, სანამ ნატო მოლონიერდებო. სწუხს, რომ თვითონაც ავად არის და შენთან ვერ მოდის.—წარმოსთქვა მარიამმა, როდესაც მალევე შემოტრიალდა და ნატოს დალონება შეატყო.

— საცოდაობაა ამ ბავშვებისა. ორი დღეა მშვივრები არიან. ის შეჩვენებული ღიზიკას ძიდა არ თანხმდება ძუძუ ჩაუღოს. ამბობს: სად შემიძლიან სამსამის კვება, ხომ გული შემიჭამესო!

— რძე რომ არა მყვება, დედა ჩემო, ეგ ჩემი ბრალი არ არი. არც ღიზიკას ძიდაა გასამტყუნარი.

— ეგ რა სთქვი, შვილო? დავიჯერო არა გრძნობს ბავშვების გაჭირვებას, ქალი არ არი?..

— ყველა გრძნობას საზღვარი აქვს. როდესაც გრძნობა საზღვარს სცილდება, ყრუვდება, ხან კიდევაც კვდება.

— არა უშავს რა, მაგასაც მოვახერხებთ როგორმე. ^{ქარი ქონს ქალი} ვერცხვით ვეჭვებო, უთუოდ ვიშოვი ვისმეს მაწოვარსო. — შიატანა მარიაშმა, თითქო ნატოს უკანასკნელი სიტყვა არ გაეგონა.

— ოღონდაც, რომ ნათლულისთვის დათაცურდება. მაინც, რა დაარქვა ნათლიამ ნათლულს? — დამცინავის ღიმილით იკითხა ნატომ.

— სალომე.

— სალომე, მელანო, კაკატო, აბა მაგაზე მეტი რა მოუვიდოდა თავში! ყველა ეგენი კი სულ პურისმცხობელი დედაკაცები არიან, გიორგის დედა-მამიდები. ხუმრობა არ არი, სალომე არავინ დაუძახოთ.

— ნათლობის სახელი რაა?

— რა ვუყოთ. ვინ გაიგებს, წიგნში რა სწერია. ისე კი სახელი სალომე არ გამავგონოთ!

— მაშ ისევ შენ გამოუგონე, მაგრამ ნათლობის სახელთან ახლო იყვეს.

ნატო ჩაფიქრდა, ბევრნაირად გადაატრიალა სახელი სალომე. ბოლოს ღიმილით წარმოსთქვა:

— სალი. სალი ქართულ სახელს არ მაგონებს და იმისთვის მომწონს.

— სალიც ქართულია, გენაცვალე. სალი კლდე დაგვიწყებია?

— ჰოო, მართლა!.. მაგრამ მაინც მომწონს. სალომეს ისევ სალი კლდე აჯობებს.

— აგრე იყვეს. ამასთანავე უნდა გითხრა, შეილო, რომ გიორგი მეტად სინდისიანი კაცია. თქვენ საყმოში მაგისთანა ჯერ არავინ მინახავს. სხვა რომ ყოფილიყო, აქაო და შვილი მოეუნათლეო, თავს წავიდოდა.

— მერე თავწასვლით რას აიტაცებდა? შენც იცნობ ოთარს, პირველში ფაფხურაა, მერე ბავშვიც კი დაიმორჩილებს. ოთარის გარდა სახლში სხვებიცა ვართ! ყველას თავისი შესაფერი ადგილი უნდა ექიროს. — წარმოსთქვა ნატომ. მისი ნუშივით გაზიდული თვალები აღარ მილულულიყვნენ, ცოცხლად თინგარეულ ნებივრობაში ინაზებოდნენ.

— კარგია, დამშვიდდი, ნუ ღელავ. — მოავონა მარიაშმა. მაგრამ, როდესაც თვალწინ წარმოუდგა თავისი სიძე, მოწყენა დაეტყო.

— გეთაყვა, გააჩუმე როგორმე ის ბავშვები, თორემ იმათი ჩხაეილის ატანა აღარ შემიძლიან... — უთხრა ნატომ.

მარიაშმაც ბავშვებს პირში დოღბანდი ჩაუდო, სამზარეულოსკენ გაუხვია. იქ თეთრებში ჩაცმული მიხა ხორცს კებავდა.

— აქეთ, საბედო, აქეთ, მაგრამ დაიცა, დიდი ქალბატონი აქა ყოფილა. — მოისმა გიორგის ხმა. ის იყო ქალს ოთახის კარი უნდა შეეღო, მაგრამ გიორგის სიტყვებზე იმანაც სამზარეულოსკენ შეუხვია. დედაკაცმა თავზე წამოფარებული შალი გადაიხსნა, სიცივისგან შეწითლებული სახე მარიაშისკენ მიიღო და მოკრძალებით თავი დაუკრა. საბედა ლამაზი არ იყო. შემხედვარეს არც საწყენად დარჩებოდა.

— ქალბატონო, აი ეს ქალი მოვიყვანე ბავშვებისთვის. ახალი რძე საჭეს იქნება მოახერხოს ბავშვებთან სიარული. — წარმოსთქვა გიორგიმ. მარიამმა ქალს გაუღიმა.

— ღმერთმა გიშველოს, რომ მოხვედო, ლამის ბავშვები შიმშილით დაგვეხოცნენ. სწორედ მაღლია ამათი ძუძუს მიცემა. — მათხოვარსავეთ წაიწუწუნა მარიამმა.

— რა თქმა უნდა, ქალბატონო, რომ მაღლია. ოხრად დარჩა ქვრივ-ოხრობაი! ვინ თავმკვდარი დაგზარდებათ, ყოველდღესაც ვივლიდი, მაგრამ მეც ძუძუთა-ბავშვის პატრონი გახლავარ, მე თვალდამდგარი. მუდამ დღე ვწვალობ უბედურო კმრისაგან გაოხრებულნი! — ისეთისავე წუწუნით უპასუხა საბედამ, მერე სთხოვა ბავშვები ეჩვენებინათ. დედაკაცმა ქორფებს ძუძუ რიგრიგად ჩაუდო.

— ესენი გარედან მოსიარულეს რომ მიანაბროთ, შიმშილისგან დაიხოცებიან. — შენიშნა საბედამ, როდესაც ორჯერ პირის მოსმის შემდეგ ბავშვებმა მიიძინეს.

— ბარემ ჩვენც ვეძებთ ძიძას. მაგრამ როდესაც იგებენ ორიოა, ფრთხებიან. ერთი ძიძა სახლშიაცა გვყავს, მაგრამ ზედ არ ეკარება.

— რახან აგრეა, ერთს მოგახსენებ, თუ არ მოგეწონოს, ნურც გეწყინება. — წარმოსთქვა კარგა ფიქრის შემდეგ საბედამ.

— წყენას რაღას გერჩი?

— თუ შეეღვეით ამ უმცროსს, მე წავიყვან. მაინც სუსტია. რძე ბლომადა მაქვს, ორ ბავშვს თამამად გამოვკვებამ. მეც ერთი ღარიბი ქალი ვარ, რასაც სახლში დაახარჯებთ, ჩემი შაქროს გაზრდამა, იმაზე მეტს მეც არ გამოგრჩებით. მოვზრდი, მოვჩიტამ, სანამ თქვენი ნება იქნება ჩემთან ვიყოლიებ, მიბრძანებთ და მზამზარეულ შვილს მოგიყვანთ.

მარიამს ერთის მხრივ თითქო ჭკუაში დაუჯდა, მეორე მხრივ თავმოყვარეობა კიმუნჯსა სცემდა: როგორ?! მარიამის შვილიშვილი, გარემოშვილის ქალი ვილაც გლებ დედაკაცთან ეგდოს?!

— ერთი ყოფილიყო, ადამიანი კიდევ რამეს მოუხერხებდა, მაგრამ ორორ მშიერს საზრდოს ვინ მისცემს?! სულ ერთია, სახლში თუ დარჩა, სიკვდილი არ ასცდება, სიკვდილი, ან ამ ოჯახიდან გასვლა!“

— იქნება სიკვდილი ურჩევნიან! ბავშვის ქუჩაში გაგდება მშობლების თავის მოჭრაა!.. ამ ბავშვმა თავის გაჩენით ეს მეორე სირცხვილი მოუტანა ოჯახს.“

მარიამი გრძნობა-გონების შეკამათებას განაბული უსმენდა. რაც ხანი ვადიოდა, გადაჭრილი პასუხის მიცემა უძნელდებოდა. — საბედო კი მოუთმენლად ელოდა, ეტყობოდა ეს შემთხვევა მისთვის ხელსაყრელი იყო.

— ჩემით ამ საქმეს ვერ გადავწყვეტ. ჯერ მაგის დედ-მამას შევეკითხები. მე ერთი შვილი მყავდა, ავად იყო თუ კარგად, გამოვზარდე, დავაბინავე. მაგაზე-დაც ახლა მაგისმა დედ-მამამ იზრუნოს. მე კი დარწმუნებული ვარ, შენთან არა გაუჭირდება რა, რადგან დედა ხარ.. — ფიქრიანად წარმოსთქვა ბოლოს მარიამმა.

— ბარემაც! ბავშვის გაზრდა, და ისიც სხვისი ცოდოში ჩადგომა, ადვი-

ლი არ არის, ქალბატონო. მართალია, გლახი ვარ, მაგრამ, როგორც ადამიანს, მეც გონება მიჭრის. — მიატანა საბედამ და თვალეში კმაყოფილებს ნაპერწკალ-მა გაჰკრა.

— მაშ ასე, გენაცვალე, კიდევ იფიქრეთ. თუ ჭკუაში დაგიჯდეთ, ბავშვი გიორგის ხელით გამომიგზავნეთ.

ქალი წამოდგა წასასვლელად. მარიაში და გიორგი კარგა ხანს გაჩუმებულები იყვნენ. გიორგის სარტყელში ხელი ჩაეყო, ძირს იყურებოდა.

— რას იტყვი, გიორგი? — შეეკითხა მარიაში მოურავს, როდესაც ოთახში მარტონი დარჩნენ.

— დალოცვილო, რაღას მეკითხებით? თვითონ თქვენის თვალთ ხედავთ ამ ბავშვის ბედი როგორ ეწყობა. უსათუოდ ამ ოჯახიდან უნდა გავიდეს. მთელი გარეთუბანი მოვიარე და, როდესაც გაიგეს ორი ბავშვი იყო გამოსაკვები, ყური აღარაფინ მათხოვა. ეს დედაკაციც ძლივს დაფიქროლიე, რომ ბავშვებთან ევლო და, ხომ ნახეთ, ეგეც როგორ უკან გადგა. ისეე ლიზიკას ძიძას ფული დაეხარბოთ, ღონიერი ბავშვი ვაკისრებინოთ, მეორეს კი საბედას მივკვრი.

— ნეტა ჩემი სიძე რას იტყვის? შეეკითხოთ. წუხელის მთელი ღამე თერთრის თვალთ გაათენა ივანესთან ქალაქის თამაშით. არ დასდევს თუ ცალკე აქ მელოგინე გვიწევს, ცალკე ბავშვებს პატრონობა უნდათ. როგორცა სჩანს, ამ ოჯახზე ზრუნვა ისეე მე და ჩემ ქმარს გვაწვება თავზე. — წარმოსთქვა უკმაყოფილოდ მარიაშია..

— ისეე თქვენ, ქალბატონო, თორემ ბატონს მაგეებისათვის სადა სცალიან! ოჯახი ქალისაა, ქალიც თქვენა ბრძანდებით.

მარიაში წელში გასწორდა.

— მაშ ამ ბავშვის ბედს ისეე მე და შენა ვწყვეტავთ, გიორგი?

— არ ეტყობა?

— კვირაში გირვანქა საპონი, გირვანქა ნავთი და თვეში თუმანი?

— ნაკლებ არ აიყვანს. ბავშვს დიდი მოვლა სჭირდება. იმასაც უნდა დარჩეს რამე, მაშ რის მუშაა?

ამ დროს მეორე ოთახიდან მოისმა ოთარის ხმა. გიორგის უძახოდა. მარტოდ დარჩენილმა მარიაშია ნიკაბი ხელებზე დაანდო, ბავშვს ცქერა ღაუწყო, თან მის სახეს შედიდური გარდაწყვეტილება არ შორდებოდა.

დღე სევდიანად იყურებოდა. მოჭურუშებული, მშფოთარე ცა სუსხს და სიცივეს აღარ ზოგავდა: განყინავი, ელვისებურად გამკრავი მოზუზუნე ქარი შეუბრალებლად მწვავ ისრებად იფანტებოდა.

სარკმელთან შემომდგარი ცაცხვის ნორჩი შიშველი ტოტები იზნიკებოდნენ, ორთოდნენ. სულის მღაფავ ზამთრისგან დარჩენილი ოდნავი ძალა გაონავრებულყო, წინ იჭრებოდა, მზად იყო საუკუნო მყინვარად დაეხვედრებინა გაზაფხულისთვის, რომელიც მარტო მოსახრებითაც კი წინ და წინვე ბუნებას ცხოველყოფელ მზის გაშუქებით ხიბლავდა.

— დღე როგორ უცბად შეიცვალა! — წარმოსთქვა ოთარმა, თავზე ხელი

გადაისვა. ფეხი ფეხზე შემოდებული თავადი ბუხრის წინ იჯდა, ხარკმლისკენ მოუსვენრად იყურებოდა. სარკმლის შუშებზე გაყინულ თოვლის ფიფქებს კრი-
ალი გაჰქონდათ. გიორგი იქვე სკამზე ჩამომჯდარი ელოდა, თუ ჩუქურფი რას
ეტყოდა. განოძინებულ ოთარს აშფოთება და შიში მოშორებოდა, ხეცხეცხეც
დაუდევრობა აღბეჭდოდა. მის თვალში ყოველივეს ჩვეულებრივი ელფერი მიე-
ლო. ოთარმა გიორგის სიტყვა არც კი გაათავებინა, როდესაც მოუყვა თუ დი-
დი ქალბატონი და ეს პაწია რა გადაწყვეტილებას დაადგენენ ყმაწვილების შე-
სახებ. მან ხელი ჩაიქნია, საჩქაროდ მიატანა:—გეთაყვა, გიორგი, შეწყვიტე მა-
გაზე ჩემთან ლაპარაკი! შენ იცი და მაგათ! როგორც სამჯობინაროდ დაინახოთ,
ისე მოიქეცით. ფული დაგჭირდეთ, ექიმი, წამალი, მზათა ვარ. დანარჩენზე არა-
ფერი გამახსენოთ.


ოთარი ზეზე წამოდგა, აღელვებულმა ოთახში რავდენჯერმე გაიარა. ამას
ამ ყამად სულ სხვა აზრები აწუხებდნენ. ორი დღის შემდეგ მარშლის ნადიმზე
იყო მიწვეული. რუსეთიდან ჩამოსულ დიდ პირს თავადაზნაურობა პატივ-საცემ
წვეულებას უმართავდა. ოთარიც იქ უნდა დასწრებოდა თამადის ფიალით. მჭერ-
მეტყველობით განთქმული იყო. გრძნობდა, რომ იქ იყო მისი ადგილი, მისი
მისწრაფება. იქ მალალ მთის მწვერვალზე მოექცეოდა, დაწმენდილ მჩქეფარე
ნაკადსავით მარგალიტ სიტყვებს გადმოაქუხებდა. ოთარს ბევრჯერ მოუხიბლავს
უცხო სტუმარი, ბევრჯერ დაურწმუნებია, რომ საქართველოს მშვენიერ ბუნებას
შესაფერი შეილი ჰყოლია, თორემ აქ? რა უნდა ამ ოთახში?... თუნდ ამ ბავშვე-
ბის ჭყავილი რა ამისი საქმე იყო?... ოოხ, რა დაციწვია ბედისა!..

შუბლი შეიკრა. თავისებური მკვეთრი გამოხედვა ჰქონდა.. ფირუზი თვა-
ლები გაუგებრად ციალებდნენ, თვალების ციალი უშედევოდ რჩებოდა: შემყურე
ვერ ამჩნევდა, ჩვეულებრივ ბატონურ ნების ყოფას აწერდა. ნატო დიდ განსაც-
დელში იყო და შეიძლებოდა მომკვდარიყო. გონებამ გრძნობა გაუყრუა, თვალ-
თახედვას ნატოს არსება განზე დაუყენა.

ნატო აღგება ლოგინიდან და დაიწყება ისევ ის ერთგვარი წვრიმალეებით
აღვსილი ცხოვრება, რომელსაც, თითქო ქედსაც უხრიდა, მაგრამ ამასთანავე
მისი არწივისებური ღონიერი, ამაყი გონება ირცხვენდა ამ ქალაჩუნობისაგან.
მედგარის ფრთებით სცემდა, რომ ვასცლოდა ამ საპატიმროს, რომელიც უქადო-
და დაჩლუნგება-სიკვდილს, მაგრამ მეორეს მხრივ ეს საპატიმრო რაღაც გრძნე-
ულებისგან მის მხრებზე იყო აშენებული და თავდახრით წინსვლას უბრძანებდა.

ოთარმა შავ ფიქრებს სძლია, ოცნების მერანი მიაგლო ისევ ქალებით გა-
ჩალებულ დარბაზისკენ, სადაც ბრწყინვალე სუფრაზე სხვა და სხვა ფერად კრთო-
დნენ მოელვარე, ხელოვნურად მოვარაყებული ფაიფურები, რომელზედაც აღის-
ფრად და თაფლად ქვივოდა ტკბილი ნექტარი სტუმრების გონების გასალიზი-
ანებლად და სასიციოცხლოდ. იქით!.. ისევ იქით... გარეთ!.. ოჯახს გარეთ!.. თო-
რემ აქ. სული მეხუთება, სული!

— გიორგი, ქურქი მონიტანე! მგონი კიდევაც დამიგვიანდა. ნესტორთან
უნდა წავიდე. შესძახა მან, როდესაც ოცნებით დაიღალა.

გიორგიმ საჩქაროდ მოართვა სიასამურ-დადებული ქურქი,  ოთარმა საათს დახედა, მოურავს დაუდევრად მიუბრუნდა.

— თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარით საცა ვარ.

— რა გიშავს, ჩემო თავადო, ყველაფერი უდარდელად შეგეცხრომთომაც არი რო თვასი არ იცი. ნესტორთან რა საქმე აქვს, თუ არა ისევ ქალაქის თანაში?! — გაიფიქრა გიორგიმ და თვალი გააყოლა. ამავე დროს გადასწყვეტა შებინდებისას ბავშვი უსათუოდ საბუღალსოვის მიეყვანა.

— ქალბატონო, ბარემ ბავშვს მივგვრი ი დედაკაცს, ჯავრსა და დარდს მოვიცილებ. — უთხრა მარიამს, რომელიც თვალსებს არჩევდა.

— შე კაი კაცო, რაღა ამალამ მოგინდა წაყვანა ამ სიტუაციაში? სანამ მიიყვანდე, ბავშვი გზაში გაიყინება. — თითქო მზრუნველობით უთხრა მარიამმა..

— ფიქრი არ არი. ჩემ თბილ ტყავსა და ნაბადში შევახვევ. — უპასუხა გიორგიმ და თვალბში დაცინვა გამოუკრთა.

მარიამმა ბავშვი საბანში გამოჰკრა, გიორგიმ ფრთხილად ჩამოართვა, პატარა ბოხჩა მხარზე აიკიდა, კარი გააღო და მსწრაფლ ქუჩაში გაჩნდა.

ბავშვმაც რაღაც უხერხულობა იგრძნო, წამოიკნაულა, მაგრამ მამაკაცმა ნაზად შეანძრია და წასჩურჩულა:

— საწყალო ბავშვო, ეხლა ჩემ ხელში ხარ, მშიერს არ მოგკლავ. მენტვის ვიზრუნებ.

ბავშვი განძრევამ დააწყნარა.. გიორგი თავის ტვირთით აჩქარებული წავიდა. ლამის სიბნელემ ჩაშაყებულ კალთა მოახვია.

* * *
ქალაქის განაპირას რიყე ფართოდ იშლებოდა. მდინარის ვიწრო ზოლების სუსხისგან გალურსულიყვნენ, რაღასაც ელოდნენ. რიყის პირზე გამწკრივებულ იყვნენ ქობნახები, სადაც ლატაკ ხალხს თავი შეეფარებინა. ზამთრის მიწურული მარყუტებს ჯერ ვერა ხსნიდა გარინდებული რიყე მიძინებულისო, თუმცა მისი გული მოუსვენრად ბობოქრობდა, ჩიოდა ისე. როგორც ჩიოდა მის ნაპირზე გაშენებული უბანი. ესენი სახლებში ჩაკეტილიყვნენ. ვისაც მცირეოდენი კაწაწი მოეპოებოდა, ცეცხლი აეფუებინათ, ვისაც ჰქონდა — ლოგინებში ჩაყრილიყვნენ და საცოდავად კანკალებდნენ. ამ უბნის ერთერთ ქობნი ცხოვრობდა ვანუა ხარაჩის ქვრივი საბედა. წელიწადზე მეტი იყო, რაც ქმარი დამარხა, დარჩა პაწია შაქრო, რომელიც აკვანში ჰყავდა ჩაკრული. პატარა კოხტა ალიზის ოთახს საბუღალს მზრუნველობა ემჩნეოდა. ფარდულში შენახული ჯღანები, ძველი და ახალი ტყავების სუნი აბლად მოსულს არეტიანებდა.

საფენ-გადაფარებულ ტახტზე რწევის დროს კაკლისაგან ლამაზად გამოკვართულ კოხტა აკვანს კრიალი გაჰქონდა. იქვე ბუხარში ანთებულ ცეცხლთან იდგა კოქბით ლობიო. საბედა მარტო იყო. ლამდამობით მეზობელ ქალს მოიყვანდა, სიბნელისა ეშინოდა.

საბედა მეზობლებს საქმეში ეხმარებოდა, ისინიც მაგიერს უხდიდნენ. აქვე ოთახში უდგა დიდი გობი, მოზრდილი ქვაბი. ეტყობოდა სარეცხს რეცხდა. დღე დღეზე ასე მიჰყავდა. საბედა ტახტზე იჯდა, ფეხის ცერი აკენისთვის გამოედო,

ნელნელა ანძრევდა. მუხლზე ფალასი დაედო და აკერებდა. დედაკაცის სახეს მოუსვენრობა ეტყობოდა: ხან იღიმებოდა, ხან ჩრდილები დაუკრთოდნენ, ხან კარებისკენ იხედებოდა, ვიღაცას ელოდა. რავდენადაც ლოდინი გრძელდებოდა, მოთმინებასაც საზღვარი ეკარგებოდა.

— ნეტა თუ გიორგიმ რად დაიგვიანა? ხომ არ გადაიფიქრეს და ბავშვს აღარ გზავნიან! თუ ასეა, მშვიდობით იმედებო! სარეცხისთვის ისევ კარდაკარ სირბილი, თონეში ხრაკვა და ათასი ვაი ვავლახი! — ფიქრობდა საბედო.

ამ დროს ქარმა შედგრად დაუბერა და ზუზუნზე გადავიდა, თითქო შემალონებელის სტვენით მიეტია რაღასაც, თითქო უბინაოდ დარჩენილი ვიღაც აკვნესდაო.

საბედას გულმა მწარედ გაიბრძოლა. ქობის აივანთან ფეხის ხმა მოისმა. სარკმელთან მოდგა ყაბალახით თავშეხვეული გიორგი. ქალი წამოვარდა, ოთახში შემოუშვა. გიორგის ტყავში რაღაც შეხვეული მოჰქონდა.

— საბედო, აი მოგიყვანე ჩემი ნათლული.

ქალმა საჩქაროდ გადახსნა მძიმე ტყავი. ტახტზე ჩამომჯდარმა ბავშვი მუხლებზე დაიწვინა. გიორგისაც შესთავაზა ადგილი დასაჯდომად.

— ოთარი განთქმული თავადია და დახე, იმისი შვილი რა ღლეშია!

— საწყალ ხალხს საზრდოსა და თავშესაფარსა სთხოვს. — დაილაპარაკა გიორგიმ.

— გიორგი, ეს სახუმარი საქმე არ არი. თუ მდიდრებს ხანდისხან გაჭირვებაც არ დაადგათ, ღარიბი ხალხი უფრო პირქვე დაემხოება, გაძალღებულ ცხოვრებას ველარ გაუძლებს. როცა უჭირო, ჩვენსკენ მარტო მაშინ იხედებიან. ჩვენც ცოტათი შეღავათი გვეძლევა. იმიტომაც არი, რომ არ ვისპობით და კიდევ ვლონლილობთ. ასე რომ არ იყვეს, განა ეს ბავშვი ჩემი სახლის ქერს ნახავდა?

— მართალს ამბობ. აბაჰე, თუ ქალი ხარ, ჩემ სინიდისს არ დაუმძიმებ და კარგად შეინახავ, პირნათლად გამომიყვან როგორც ღმერთთან, ისე ბატონთან.

— ბეჩა, გიორგი, განა ჩემი თავის მტერი ვარ? მაგაზე რაღა თქმა მინდა! ამ სიტყვებით ქალმა ბავშვი ბალიშზე დააწვინა და დაიწყო ბოხჩიდან ფალასების ლაგება.

— ეგენი შენს ბავშვსაც გამოადგება. — უთხრა გიორგიმ ღიმილით დედაკაცს, რომელმაც თვალი აკვნისკენ გააპარა.

— მაშ ასე, საბედო, ბავშვს კარგად გაუფრთხილდი, მეც მალიშალ დაეხედავ. — გაიმეორა მან და წამოდგა წასასვლელად.

— დამიდგეს თვალები!. ბარემ კაი დახვედრა გინდოდა, მაგრამ ეს ვერანა ლობიო ჯერ არ არი მოხარშული. ცოტას თუ მოიცდი, კიდევ რასმეს მოვახერხებდი. — მოიბოდიშა საბედამ და ხეზე წამოდგა.

— მადლობელი ვარ. შეჩქარება, საქმე მაქვს.. — წაილაპარაკა უფრო თავისთვის გიორგიმ და საჩქაროდ კარი გაიხურა. საბედამ დახარბებული თვალები დააცეცა შესახვევებს, დაგროვილ საპნებს, ხელში დამუკულ ათ მანეთიანს. ყველა ეს რომ მიედო, რავდენი უნდა ეწიალა! ეხლა კი მზამზარეულად ხელში უვარდება, რათა ისედაც ძუძუსი მოწოლილი მეტი რძე რავდენიმე ცვარად მიაწო-

დოს საწყალ ბავშვს. რაო? საწყალიო!. დიდი ოთარის ქალი და საწყალი?! თუ ამას საწყალს დაეუძახებთ, საბედას შაქრო ეილაა?!—ამ გაფიქრებაზე ქალის გულმა მწვავე ტკივილი იგრძნო, აკვანს მივარდა, ბავშვს პირსაჭერი ეგდებოდა, მიჩერდა მძინარეს, რომელიც მშვიდობიანად სუნთქავდა. შიშაღმოსმენა

— საბედა ცოცხალი იყვეს და შაქროს გაუჭირდეს რამე? მშიერი შაქრო ქუჩაში დარბოდეს?. უწინ დღე გაპქრობია მის დედას!

წაილაპარაკა დედაკაცმა, ამაყად მოუბრუნდა მეორე ბავშვს, ხელში აიყვანა და პირში ძუძუ მისცა.

— ალალი, ალალი იყვეს ჩემი რძე შენზე, უბედურო!—წარმოსთქვა, ხელი დაპკრა ძუძუს, როდესაც მოზღვავებული რძე ქორფას ყელზე დაადგა. სლოკინი აუტყდა.

დედაკაცი ფიქრებმა წაიღეს. ეხლა სწორედ ის დრო იყო, როცა გულგადაღებული ვანე ბარბაცით შემობრაცუნდებოდა ოთახში და კინწმომწყვეტილი ტახტზე მიეგდებოდა. საბედას ვანესგან დიდი გაჭირვება ადგა. ვანეს ოქროს ხელი ჰქონდა. მისგან კობტად გამოკვიართული ჩუსტები არამცთუ ქალაქში, ახლომახლო სოფლებშიაც განთქმული იყო. მეორე ხარაში არა სჯობდა, მაგრამ მერე რაო? ეს ფონი კარგია, ოღონდ ერთ ადგილს არჩობსო. ვანეს საქმეც ასე იყო. ლოთობისგან ხელობა და ოჯახი არმალა ჰქონდა ნაქცევი. ერთი ხელი რომ იღებდა, მეორეს სამიკიტნოში გაჰქონდა. სახლს კი ვალეშილი კაცი რჩებოდა. საბედა მაშინაც თავისი შრომით ცხოვრობდა.

ქალი ფიქრებმა გადიყოლიეს. მეზობლის ნოყვანაც დაავიწყდა, მაგრამ ბავშვის ხრუტუნმა გამოაფხიზლა. ლოგინი დაავო, ერთ მხარეს შაქროს აკვანი მოიდგა, მეორესკენ პაწია გოგოს ბალიში ახლო მიიწია, ჭრაქს პატრუქი ჩაუწია. საბედას თვალები ჭრაქის შუქზე დიდხანს საგნიდან საგანზე გადადიოდნენ, ფიქრი ფიქრს ეჯარებოდა. თუმცა თვალს ხუჭავდა, ცდილობდა თავი ბურანში შეეყვანა, საშველი მაინც არ იყო.

„—მშიერი ბავშვი, მდიდრის შვილი შემოიჭრა ამის ღარიბ ქოხში?!

დედაკაცს სახეზე აღუჩნდა დამცინავი ღიმი, სიამაყე-სიბრაალულთან შერეული.

„—ნეტა თუ რა მოჰყვება ამას? რა მოჰყვება ბატონობისა და წყრომის მეტი?! მაგრამ ამაგი?. ამასაც მოვესწრობით.. სულ თუ არაფერი იქნება, ცოტა ხანს ხომ სულს მომაბრუნებინებს. ესეც კარგია.. მაგრამ..“

ამ დროს საბედას თვალებს დამამშვიდებელი შუქი მოხვდათ, დასაწყნარებელი მოსასვენებელი წვეთები შეეპკურნენ, დაქანცულმა დედაკაცმა ფშვინვა დაიწყო. მაშინ, როდესაც ტრედისფერმა ზოლმა ცის სამყარო შეარხია, ბნელი უკუნეთი დასერა, განთიადმა სარკმლის შუშაში შემოაყენა ნაზი ნათელი, რათა შემდეგში, უფრო გაცხოველებული, შარავანდედად დასდგომოდა მოქანცულ ადამიანს, მის გვერდით მწოლარე ბავშვებს.

* * *
ელდების ქარიშხლებმა გადაიარეს. ნატო ზეზე ადგა. მდიდრულად მორთული, ისევ თაიგულის ვარდად გადაშლილიყო, განვლილი განსაცდელი გონები-

დან მოშორებოდა. სახლში სტუმარი არ ელევოდა, ცდილობდა შეეფესო დასაკლვისი, რაც ლოვინობას წაერთმია, თუმცა სახეზე მაინც დასჩენოდა ახლევინებები, რომელიც პიწუსტაკით დაემალა. მარიამიც ხელს უწყობდა დასჩენის ცდილობას მისთვის გული არ დაეჩაგრა, ხელს არაფერზე ახლევინებდა, ბავშვების მოვლა მოსამსახურეებს დაკისრებოდათ, ნატოს კი წილად რჩებოდა სურვილების გამოცხადება.

— ოთარ, დღეს ჩვენთან ქალები აპირებენ მოსვლას.— განაზებრით ეტყოდა ხოლმე ქმარს.

— როგორც გინდოდეს, ჩემო სიცოცხლევ!— უპასუხებდა ქმარიც და დაუზოგავად ფულს გადასცემდა სახარჯოდ.

ოთარის ნატოსადმი გრძნობა-ალერსი წრფელი იყო ვნებით აღვსილი, სწუხდა, რომ ზედიზედ ქალიშვილები უჩნდებოდნენ. ვაჟს კი, ოჯახის მემკვიდრეს ვერა ხედავდა. მაინც მოუთმენლად ელოდა. თუმცა ღმერთმა ორჯერ მოუვლინა, მაგრამ სამსამი წლისანი უკანვე წაართვა და დაუტოვა შეურიგებელი ნაღველი. ნატოც დიდხანს ქვითინებდა, სიკვდილი კი არავის ეკითხებოდა. შემდეგ შიაც ისევ ზედიზედ მოყოლილმა ქალიშვილებმაც უფრო უარესად წაუხდინეს გული ორივე ცოლქმარს. ოჯახში ოთარისთვის უმთავრესი ნატო იყო. გრძნობდა უიმისოდ ცხოვრება მეტად მძიმე და გაუძლისი იქნებოდა. მარტო ნატოს შეეძლო მისი აღელვებული ბუნების დაწყნარება, ეს ანდამატი კი ძლიერი იყო..

ოჯახის წესწყობილება, მოსამსახურეების თავთავის ადგილზე მორიგება, ბავშვებზე ზრუნვა— ყველა ეს მარიამს თავზე აწვებოდა, როდესაც ერთად იყვნენ, ერთად ყოფნა მარტო ზამთრობით უხდებოდათ ქალაქში, გაზაფხულზე კი იყრებოდნენ. ზაფხულში მარიამს ქმარი სოფლიდან არ უშვებდა. კიაზო დიდი უკმაყოფილო იყო არამც თუ სიძით, თვით ქალითაც.

— ნეტაი შენ სიძეს კუდში როდემდის უნდა სდიო?. ქალი გაგითხოვებია, თავიდან მოგიშორებია, არა შიან და არ წყურიან! თავი მიანებე. როგორც ნებადღეთ, ისე იცხოვრონ. შენმა პატიოსანმა სიძემ რომ მთელი ქონება ერთ დღეს ქალაქში ჩაფუქოს, ჩვენი რა გადასახადია?. ი შენი ქალიც ვერ ირჯება კარგადა, მის ამარ ოჯახზე თვალი გაახელინე, თორემ თუ ხელიდან გამოეცალა, ი მშვენიერებაც მალე დაუქცნება და დამრჩება ცარიელი. რაც უფრო იშვიათად დაგინახავს, იმისთვის სამჯობინაროა. ქალი როცა დედაა, მას დედა თუ სიკვდილით არ ჩამოეცლება, სიცოცხლით მაინც განზე უნდა გაუდგეს.— აი რა ესმოდა კიაზოსაგან, როდესაც მარიამი აწუწუნდებოდა, თუ ნატო მარტოდ როგორ დაეტოვებინა. თვითონ ნატომაც იცოდა მამის აზრი.

ორი თვე იქნებოდა, რაც სალი საბუდასთან მიეყვანათ. მას აქეთ თვალის მომკრავები არ იყვნენ, თუმცა მის ამბავს გიორგი ხშირად ატყობინებდა. შემდეგ გიორგისაც მოუხდა ოთართან ერთად მთაში წასვლა, მას შემდეგ უკანასკნელი ხმაც მიწყდა.

მარიამმა და ნატომ ბევრჯერ დააპირეს ბავშვის ნახვა, მაგრამ სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო მუდამ სახვალიოდ გადაჰქონდათ.

დედა-შვილს გულში ხინჯად ჩასჭროდათ ბავშვი, რომელიც გარე-უბანში ეურნალი „მნათობი“ № 2.

ვილასთანაც ჩხაოდა. ეს ჩხავილი მალევე წყდებოდა. ქალების სრულად გაღწეული გრძნობა ათასში ერთხელ სუსტად თავს აგონებდა. მალევე ირინდებოდა. — ბევრს რა უნდა უშავდეს? ძუძუ ბლომად მტკიცე მახვამაინცდამაინც მეტს რას შემატებს? — უმატებდნენ და შეაჩერებდნენ იმ საყვედურის ხმას, რომელიც ხანდისხან სუსტად, მაგრამ დაჟინებით ითხოვდა ბავშვისკენ მიხედვას.

— გონება სადა გქონდა, შე დალოცვილო, ბავშვს რო ქუჩაში აგდებდი? შენი ქალის და სიძის სუმბუქმა ქკუამ შენ მაინც აგრე როგორ აგიყოლია, რომ წინ ველარ დაიხედე? მიიღო თუ არა ეს წერილი, იქირავე ძიძა და ბავშვით წამოდი. მაგ საცოდავმა ისეთი რა დააშავა, რომ აგრე მოიძულეთ მაშინ, როდესაც ოთხი კიდე სახლში გრჩებათ? ოთარ გარემოშვილის მთელი ოჯახი მაინც ხომ ბოლოს ჩვენ დაგვაწვება თავზე და სადაც ოთხი იყვეს, ან ჯერ კიდევ ვინ იცის რავდენს გააჩენს ეს ნასწავლი ფილოსოფოსი, დაე ერთი ბავშვიც ჩვენ წილად, ჩვენ ჭერ ქვეშ გაიზარდოს“:

აი რა შინაარსის წერილი მიიღო მარიამმა ქმრისაგან. წაკითხვაზე ცრემლიც დაიღვარა. თვითონ მარიამსაც ბევრჯერ მოსვლია აზრად ბავშვის წაყვანა, მაგრამ ახალი მოვალეობა აშინებდა.

კიაზოს წერილმა საქმე სხვაფორივ დაატრიალა, ქალები მის ბრძანებას დაემორჩილნენ. ერთ დღეს მარიამმა და ნატომ მენიკა გაიყოლიეს, რომ სალი სახლში დაებრუნებინათ. ნატო გარეთ უბნისკენ პირველად მიდიოდა. მიდიოდა იქით, სადაც ლატაკთა სამყოფი იყო. ნატოს მათ გაჭირვებისთვის მარტო ყური მოეკრა, ამასაც მოსარეცხე დედაკაცი მოუყვებოდა ხოლმე. ისიც იცოდა, რომ სიღარიბე, ცრემლი არსებობდა. ამ გვარ ცრემლს ცხოვრების ნებიერი დაუდევრად უყურებდა. სჯეროდა ეს ქეშმარიტი, ძველად-ძველი ზღაპარი, რომ სიმდიდრის გვერდით სიღარიბეც იყო. ნატო ორიოდ გროშს მიაწვდენდა წინ შეხეჩებულ მითხოვარს, რომელსაც ძონძსა და ძონძს შუა შავად ნაჩენი დამწვარი სხეულის კანი სარჩულად ამოჰკროდა, რათა ძაფებით შემაგრებული ძონძები ერთმანეთს არ მოშორებოდნენ და რაც შეიძლებოდა დიდხანს შერჩენოდნენ. ნატოსთვის ეს ჩვეულებრივი სანახავი იყო ისე, როგორც თავისთვის გულზე ჩამოკიდებული ბრილიანტის ჯვარი, ყარყარა ყელის დამამშვენებელი მანიაკი, ფარჩის სამოსი, გამოგონებული მარტო ნატოსთვის! მშიერ-შიშველი, მისთვის გამწადებული პურის ნახორხლები, ყველასგან მოძულებული ბინძური მაწანწალა, ერთის თაყვანება, მეორის დევნა.. და ქვეყანაც ეს იყო.

ბევრი ამისთანა სურათები უდგებოდნენ ქალს თვალწინ, როდესაც პაწია სალის სანახავად მიდიოდა. გზა შორი იყო, ქალაქი უნდა გაევილით. რაც უფრო წინ მიიწევდნენ, ამათ ყურს უჩვეულო ხმაურობა, ყრუ გუგუნნი მოესმოდათ. გაზაფხულის ისეც სიგრილით შეხავებული ჰაერი უფრო ცივდებოდა, ქალებს სახეში უსიამოვნოდ ფრთებს სცემდა. გუგუნნი თანდათან ძლიერდებოდა, ზედ ერთოდა შხივილი, ადამიანების კვილ-ყვირილი. ქალების თვალწინ გაიშალნენ მდინარის მშფოთვარე მღვრიე ტალღები.

— ჩვენი ბრალიცა! ყველა რომ ღარიბს იბრიყვებს! უბედურმა რომელ

ერთს გაუძლოს—ღმერთსა, თუ კაცსა? — შესძახა მენიკამ და ხელები მუხლებზე დაიკრა. ტალღებს დამშვიდებული კუთხე მოენატრათ, მაგრამ უკანიდან უხილავი ძალა მდინარის ღელვაზე აგდებდა.

ბიზაიციუსა

— გზა! გზა! მოვდივარ დიდი ხნის შეგუბებული ძალა! ცოდო და მადლი არ შესმის! გამეტებით მოქნეულმა მოზომილი არ იცის! ჩემი რისხვა ერთისა არ არის. ეს რისხვა სიმრავლისაა.. აღშფოთებული მოვიღვრები! ასე მიბრძანებს დრო! — გაისწოდა მდინარის ხმაურში. რასაც ტალღა მისწვდებოდა, გლეჯდა, პირქვე ამზობდა. დიდროვან ლოდებს, დანგრეულ შენობების ძელებს, მოტივტივებულ დამრჩეალ რომელიმე ფრინველ-ცხოველებს მოაქანებდა. ხალხს გრძელი კავეები ეჭირათ, მსხვერპლის გამოჩენას უცდიდნენ.

— გამოსწიით!

— ფრთხილად!

— არ ჩაგითრიოს! — ყვიროდნენ. სიცილიც მოისმა.

— ნეტავი სასაცილოს რას ხედავთ, თქვე უბღურებო? გინარიანთ, რომ ირჩობით? — შეუტია ხანში შესულმა მანდილოსანმა.

— ნუ ჯავრობ, დიდუდო, სიცილი ხანდახან ჭირისუფალსაც წასკდება ხოლმე. შეხე იმასა. — წარმოსთქვა ერთმა და ხელი გაიშვირა მდინარისკენ, რომელზედაც ყუთსავით ჯერ კიდევ შეკრული ქდეული მოცურაედა. ქდეულის ბანზე შემკრთალი მანალი ყიოდა.

— შველა უნდა!

— სანამ არ დაშლილა ეგ ქდეული, როგორმე გამოვათრიოთ! — შესძახეს ერთხმად ბიჭებმა, კავეები მოიშარჯვეს. კავეებს ქდეული გაუსხლტა, ტალღამ ტალღას სტყორცა. გარეთ უბანი მდინარეს მისჩერებოდა, მდინარე მათ სახლებს ემუქრებოდა. ყველა სახლები ერთი გეგმისა იყო, დერეფნებით. წყალს უყურებდნენ. წყალს სახლების კედლებთან მისვლას აღარა უკლდა რა. თუმცა გარეთ უბანი გახატულზე მდინარისგან შეწუხებას შეჩვეოდა, მაგრამ მდინარეს დღეს მეტი რისხვა ეტყობოდა.

— მთაში დიდი თოვლი მოვიდა. ყინული დაიძრა, სათავე დაზიანებულია.

— ასლანმა წყალს ჯებირი გაუკეთაო?

— ასლანის ჯებირი თავის ვენახსა და წისქვილს იფარავს.

— ჰაი დედიჩემის ღმერთსა! ეს მდინარე შენ-ჩემობას არ დაგიღვეს! დაიცა, იქნება ამის ქუხილი იქამდინაც მივიღვს!

— ჩვენ საწყლებს გვეგონა, გარეთ უბანს რომ მივეტანებით, როგორც იქნება, თავზე ჭერს წამოვიფარებთ, რომ ლუკმის ძებნაში წვიმამ და თქეშმა არ შეგვაწუხოსო. წყალის სიახლოვესაც შევეხარბეთ, ეგებ ეს მაინც აღვილი საშოვარი გექონდესო, და დახე, ეს მუდრეგიც როგორ გვანადგურებს! ეს მდიდარი ხალხი ნეტა იუ რას ფიქრობს, შუა ქალაქში რომ სასახლეები წამოუჭიმავესო! ვთქვათ, ამ ზღვა წყალმა მოინებოს და იქით ჩაისერიწოს, მაშინ რას აპირებენ?

— ეჰ, გარსევან, იმათ ვინ მისწვდება? თვითონვე იციან და იმიტომაც არიან ისე არხეინად.

— მაგას ნუ ამბობ, ზაქარო, ბებიაჩემისგან გამიგონია: ეს ფშანი ერთხელ თურმე დიდ ქუჩაზე ჩამოდიოდა.

— ისიც გამიგონია, წყალი თავის დროზე ძველ კალაპატში ჩადგებაო. —
უთხრა მეორემ.

— მაზრის უფროსი მობრძანდება! — მოისმა მეორე მხრედან ^{ქუჩიდან} ჩუქჩუქი.

გზაზე თეთრ ცხენებ შებმული ეტლი გამოჩნდა. მასში მჯდომი ასლანი, აქეთ-იქით ამაყად იყურებოდა. ეტლს ცხენოსანი ჩაფრები შემოხვეოდნენ. ეტლი-ბოდა ასლანი ძლიერი იყო, მაგრამ მდინარის მძლავრ ტალღებს ცოტა არა ფიქრიანად მისჩერებოდა, ტალღები დაბლვერით ბუყბუყებდნენ.

— როგორ მოგწონს ეს ამბავი, თავადო? ძალას თურმე კიდევ მეტი ძალი უდგება წინ. ერთმანეთს შევეჭიდოთ და ვნახოთ, ჩვენში ვინ გაიმარჯვებს? — როხ-როხებდა ქვა-კლდეების შეჯახებული ტალღა, თვალწინ საშიშრად ამღვრეული, ადგილ-ადგილ ბორცვდებოდა, მეორე ბორცვის ამალღებაზე იშლებოდა. გაონავრებულმა წყალმა საბედას სახლის გვერდით მდგარ შენობას კედელი შეუნგრია. ეს სახლი საბედას ღობედ ეხმარებოდა. იმ შენობის დანგრევის შემდეგ მალე საბედას სახლიც განადგურდებოდა, ფუტურო მასალისგან შენდგარი.

დედაკაცს ბავშვები აკენიდან ამოეყვანა, უკანა ეზოში გასულიყო, ღამე ნათევი კუთხიდან კუთხეს აწყდებოდა, შეშინებული მდინარის მრისხანე მუქარას ყურს უგდებდა. საბედოს სიკვდილისა არ ეშინოდა, თავი არ ენანებოდა, მაგრამ პაწია შაქროს არ იმეტებდა, გაბლვერით იხედებოდა იქით, საიდანაც სულ ახლო ასე საზარლად მოდიოდა. ისედაც გამწარებული მძიმე ცხოვრება დღეს ერთ ნასკვად შეკრულიყო, დღესვე უნდა დაშლილიყო. საბედა ღატაკი იყო, თავმოყვარე ღატაკი. ნაშრომით გროშით აგებული ქერი თავიდან მრავალ შეურაცხებას აცილებდა, ხშირად ამ ქერ ქვეშ თავისზე უფრო დაბეჩავებულს ლუკმით სულს უბრუნებდა. მუდამ გაჭირვების გამომხატველი ოთახი დღეს საბედას თვალში ფას-დაუდებელ განძით ავსილიყო და დღეს ეს განძი ხელიდან ეცლებოდა!

ამ წარმოდგენით ქალს თავში ანთება უჩნდებოდა, უნდოდა ხელი მოეხვია ყველაფრისთვის, გაეტაცა, ამღვრეულის თვალებით ირგვლივ იხედებოდა, ადგილს ეძებდა დასაფარავად, ეჩვენებოდა — საცაა ღვთისნიერი ადამიანი წამოეშველებოდა, მაგრამ ყურში მოესმოდა მარტო შესაზარი გრიალი, შხივილი, ყიჟინი. ამ ყიჟინში აღარ ირჩეოდა თვითეული. საბედასკენ მომხედავი არავინ ჩანდა. ქვეყანას დავიწყებოდა. გონება შერყეული უბნელები თითქო დაყრუებულიყვნენ, ალბად მათთვისაც თავიანთ ქოხების იქით აღარა არსებობდა რა.

— ჯანდაბას ყველაფერი! ჯანდაბას! — ბუტბუტებდა უიმედოდ საბედა, მისი გული ძალზე ძგერდა, ყურში ერთი მეორის მოპირისპირე ხმა ჩასძახოდა.

— წადი აქედან! გასწი!

— არ წახვიდე! ამ ქერქვეშ სული დალიე, მაწანწალა დედაკაცის ხვედრი საშიშია, ნაგვის ორმოსავით საზიზღარი!

ამ ხმებზე საბედას თავი უბრუნოდა, აზრები ერეოდნენ.

— უცხო შეილი, რომელიც ხორცმეტად შემოიჭრა შენ სახლში? — ჩასწივლა ამ დროს ყურში რაღამაც. დედაკაცმა ბავშვისკენ მიიხედა. ბავშვი ეზოში გაშლილ ქილობზე დაფგორებინა, ხმას არ იღებდა.

საბედას ტანში გააზრიალა. იგრძნო რა მძიმე ტვირთი იყო ეს უცხო ბავშვი მაშინ, როდესაც საბედისწერო საათი დამდგარიყო, სულ უცხო ენაზე ეძებდა ხელის მოსაკიდებელ ხავსს, რომელსაც ერთის შემაგრებაც უნდა შეეძლებოდა, თორემ კიდევ ზედნართი ტლანქი მოვალეობა მძიმე ლოდოდ კისერზე ეკიდებოდა. მშობლის განწირული გრძნობა მსხვერპლს ითხოვდა.

რა სარგებლობა ნახა საბედამ მას აქეთ, რაც გიორგიმ ბავშვი მოუყვანა? შემოსავალი, რაც სალის მოჰქონდა, პირის ქარი იყო. ზედ ემატებოდა უძილო ღამეები, ღონე ერთმეოდა, ძუძუში რძე აკლდებოდა, ორ ბავშვს ვეღარ მორუოდა. პატრონისთვის რომ დაეპრუნებინა, ესეც ურცხვინებოდა, უნდოდა ადამიანობა ბოლომდის გაეყვანა. მოვალეობა შესრულებულს გამოკვებილი ბავშვი თავის დროზე ჩაებარებინა, მაგრამ ამ განზრახვას წინ უდგებოდა მძიმე ცხოვრება, ჯანსა და ღონეს უღევდა. ძვალ-ტყავად ნაქცევი სალი კი თავისას თხოულობდა. საბედოსაც რომ დიდხანს არ ეტირებინა, ხაშხაშს აპარებდა, ბავშვი მიბინარებული იყო. პირველში ქალი გზისკენ მოუსვენრად იხედებოდა, რაკი ბავშვთან მომსვლელი არ ჩანდა. გულზე ეშვებოდა, შესჩიოდა გიორგის, რომელიც დაკვირვებით აჩერდებოდა, რომ დარწმუნებულიყო დედაკაცის სიწრფელეში.

გიორგის წინ იდგა სახეშეშლილი ადამიანი. ხელის თითები ერთმანეთისთვის გადაექდო, შეცვივნილი ლოყები სიგამხდრისაგან ღრმა ნაოჭებად ეკმცებოდნენ, ფართოდ გახელილი მოქანცული თვალები მოხუცისთვის ვედრებით მიემართა.

— გიორგი! როგორ შევცდი, როგორ დავიღუპე! იმ ხალხთან პირი რაზე შევირცხვინე? ლაპარაკობდა საბედა, განწირულებით ხელის თითებს იმტვრევდა.

— რას ვიხამთ! ზბედურ საათზე ყოფილა ეგ ბავშვი დაბადებული და ეს არის! სადაც ამდენი მოგიტმენია, საბედო, ცოტა კიდევ მოითმინე. მეც მივდგებ-მოვდგები, იქნება უფრო კარგად მოვაგვარო საქმე. სულერთია, მაგას სახლშიაც დიდი სიკეთე არ მოელის. შენსას ნუ დააკლებ. თუ შესალო, ხომ კარგი, თუარა და, მაინც და მაინც ქვეყანა არ დაინგრევა თუ მოუვა რამე. — დაბნევით უბასუხებდა გიორგი წასვლის დროს. საბედო მას აქეთ გიორგის თვალის მომკრავი აღარ იყო. დღითი დღე ცხოვრების ბაწარს გაჩუშებული სწევდა. თუმცა ეს ბაწარი მეტად წვრილი იყო, გაწყვეტას ლამოდა. ამასობაში დღე ღამეს სცვლიდა, ღამე დღეს.

გაზაფხულდა.. წვიმა განწირდა, მდინარემ გაიღვიძა, თვალები მოიფშენიტა, მიმოიხედა, კალთები შემოიკრიფა, ხმა აიმაღლა, ფრთები გაშალა, აიმღვრა, აირია, სახლვარს გადაცდა, გარემოს შეუბღვირა, უბანს შეუტია.

აქ საბედას აზროვნება შეწყდა. გაწეწილ თმებში ხელი იტაცა, სახლისკენ მიიხედა. იქიდან ჭახანი მოისმა. ეს იყო საბედას სახლის კვნესა. ღვრიე მდინარემ კარ-სარკმლებში შეიხედა. დაზიანებულ დარბაზებიდან შხაბუნი იწყო.

საბედას თავში თითქო რალაც ძარღვი გაუწყდა, შეპკივლა, ბავშვებისკენ პირი იბრუნა. სალის მკლავები აქეთ-იქით დუნედ გადაეშალა, თვალდახუჭული თითქო მიცვლილიყო. გვერდითვე უჯდა შაქრო, ცაცეებით ტაშს უკრაფდა, პერანგის ამარა მხიარულად ქერობინობდა, ფეხების ცერებს ერთმანეთს უსვამდა,

ფართხალებდა. დედაკაცმა ხელები ბავშვებისკენ გააწვდინა. მკლავები / ორ ბავშვს შუა ბადესავით კარგა ხანს ქანაობდნენ და... საბედს ხელს შეჭროს თავი მოხვდა. ქალწაც ბავშვი საჩქაროდ ხელში აიტაცა, ერთხელ დასწვდა ხალხს, მდინარეს, საიდანაც ცივი ქარი მოჰქროდა, ზურგში სტყუნდა.

— გასწი! წადი! უკან რალას იხედები? უკან მარტო სიძველე, ნანგრევები, გული საგულეში გაქვს, ეძიე დღენი შენი, დედაკაცო!

დედაკაციც გაოგნებული გარბოდა... წყალი უფრო ხელდებოდა, ქოხები იშლებოდნენ, ხალხი ნიაღვარს ებრძოდა.

ურმებით ლოდებს ეზიდებოდნენ, ნაპირებს ზღუდავდნენ. საშველი მაინც არ იყო.

— ცოტა ხანს კიდევ გაუმაგრდეთ! ეს არი კაცი მოვიდა. ანბობს, სათავეს დახვევიან სოფლები, ამაგრებენო.

— სად იყვნენ აქამდის ის ოჯახქორები? ცოლ-შვილი სრულ ტკუაზე არ შემჩნება.. ამდენი ხნის ნაამაგარ სახლიდან გულხელდაკრეფილები გავიდნენ! — უპასუხა მეორემ და ჩოხის კალთით ცრემლები მოიწმინდა.

თუმცა ასეთი სიტყვა ისმოდა, ხალხი მაინც მოქმედობდა. მახრის უფროსი ჩაფრებით და ჯარის კაცების რაზმით ცდილობდა ზოგიერთებისთვის მაინც, რომელთაც ჯერ წყალი არ შეხებოდათ, თავშესაფარი და ავეჯი შეენარჩუნებინათ. საბედს სახლი იფშენებოდა, ეზოში ნანგრევების მტვერი იდგა, ბარგის წამლები ურემი არა სჩანდა. სალიც უძრავად იწვა. ეზო მიწყნარებული იყო, წუთით-წუთს, უფშველია, აქაც მღვრიე ტალღა შემოიჭრებოდა, ამ ნამცეცსაც გაიტაცებდა. ეზოში შემოვარდა შემფოთებული ღორი, თეთრად დაბროლილი გოჭები უკან მოქყვიროდნენ. ღორი ჰაერს სუნავდა, დრო და დრო დედამიწას დინგს წაუგდებდა, ყურს მიუგდებდა. შემდეგ, დაუკმაყოფილებელი, კუდს უსიამოვნოდ ვადიგრებდა, გასწევდა. ღორმა სხეული შენიშნა, ნესტოებიდან გამოშვებულმა ჰაერმა ფხვიერი მიწა შეანიავა..

— ტრუხ! ტრუხ! ამას რას ვბედავ? ნეტა რომელ დედას დარჩენია? — მოესმათ გოჭებს, რომელნიც ღორის დინგს მიესივნენ. ღორმა უკმაყოფილოდ თავი აიქნია, ქყვირალეები გარს შემოიფანტა, ბავშვისკენ ფრთხილად წავიდა. ბავშვის თბილმა, ნაზმა სხეულმა ოთხფეხი გააღიზიანა. მიუახლოვდა, თათს წაეტანა და...

— აქსა, შე ვერანავ! — მოისმა ამდროს. ღონიერმა მკლავებმა ბავშვი აიტაცეს.

— გენაცვალეთ, ეს რა ნახეს ჩემმა თვალებმა?! — შესძახა მენიკამ და აქეთ-იქით იწყო ცქერა. საბედს ნახევარზე დანგრეული ოთახი უნუგეშოდ იყურებოდა. მენიკამ დახედა მკლავებზე დაწვენილ ბავშვს, რომელიც ოდნავ სუნთქავდა.

— შერცხვეს შენი ადამიანობა, აჰანდე! — წაიბუტბუტა.

ამ დროს ხალხის ყვირილი და ნგრევის ხმა გაიგონა. თვალებში მიწა შეეყარა. დედაკაცზე აღარაფერი მოქმედობდა. მენიკაზე არა ნაკლებად შემკრთალი მარიამი და ნატო წინ წაწევას ველარ ბედავდნენ, გამანადგურებელი ორომტრიული გონებას უყინავდათ.

— განა არა, დღეს ყური მოვკარი, წყალი მოვარდნილაო. ლამის გარეთ-უბანი წალგოსო. ამ ხმას ყური არ ვათხოვე. ვიცოდი, გაზატხულსკე ქსეული თუ მოვარდებოდა, მალევე შეწყდებოდა, როგორ მეგონა, თუ ასეთე—აქციდურება დატრიალდებოდა?.. ნეტა ჩვენ ბავშვს რა მოუვიდა?—ეუბნებოდა შემკრთალი მარიაში ნატოს, რომელიც ეზოსკენ მოუსვენრად იხედებოდა.

— აღბად მენიკას საბედა სახლში არ დახვდა. ბავშვებს სადმე გახიზნავდა. — უბასუხა ნატომ, მაგრამ ქალები უცბად დაჩუმდნენ.

მენიკა მიდიოდა ბავშვით. დედაკაცის დანახვაზე მარიაშმა და ნატომ მესერს ხელი წაავლეს, რომ არ წაქცეულიყვნენ. მენიკამ ჯერ ბავშვს დახედა, შემდეგ ნატოს დაკვირვებით მიაჩერდა, თითქო თვალებით ეკითხებოდა, ნუ თუ შენ ამისი დედა ხარო?..

— საბედა არსადა სჩანს, სახლი ენგრევა, ბავშვიც ეზოში ვიპოვე, ღორი შეჭმას უპირებდა. — ამბობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად მენიკა და თვალებით ისევ ნატოს მისჩერებოდა. ნატომ სახეზე ხელები მიიფარა, შეშინებულმა მარიაშმა ხმა არ გაიღო, თავი ძირს დახარა და რავდენსამე ხანს დარჩა ისე, თითქო ქანდაკება იყო.

* * *

ლამის მნათობი ვერცხლის ცვარებს ნაზადა ღვრიდა. ვნებით აღვსილი ვარსკვლავი მსუბუქ ნიავს ამბორს აწვდიდა. ნიავი ყოველ საგანს ეკონებოდა. მთვარის სხივი ცდილობდა ჩაჩრდილულ კუთხესაც გულში ჩასწედენოდა, ლამაზ ბუჩქს ნორჩი ტოტი ახლად გადაეშალა.

— ყველგან და ყველასთან!

— ყველას და ყველგან!.. მედიდურად ჩურჩულებდა მნათობი. მისი გრძნეული კვერთხი ცის სივრცეში დინჯად მიმოდიოდა. იღუმალებით აღსავსე ორ-სართულიანი სახლი მწვანე ხეებში კრთებოდა. გარშემო სიწყნარე, ტკბილი ზმანება, ნაზი სულები თითქო ჩანგის ჟღერით თავს იქცევდნენ. სარკმლებში შუქი არა სჩანდა. აიენის იატაკზე მკრთალი ნათელი დაცურებულიყო, ხეების ფოთლები მასზე იღუმალ ჩრდილებად ციალებდნენ. კოშკიდან ზარნაშო კიოდა, საბლის კიბეზე მოაჯირის ხელის მოსაკიდს ვილაც ხელებს აწვდიდა, საფეხურებზე ფრთხილად ჩადიოდა, თან მოუსვენრად უკან იხედებოდა. თავს მალლა ასწევდა, ფართედ გახელილი თვალები აშტერდებოდნენ მთვარეს, რომელიც სხივებს უმიზნებდა, თითქო უნდოდა მისი მეტყველობა სამუდამოდ გულში აღბეჭდოდა.

— ეხლა თორემ მერე გვიან იქნება! — უხმოდ ჩურჩულებდნენ ტუჩები... ძალდატანებისგან თვალები უფართოვდებოდნენ. წუთს შედგებოდა, სხეული დაეგრიხებოდა, ყრუ თავშემაგრებული დაკვნესება სხეულს უწამებდა. ქალი ელოდა, როდის გადივლიდა საშინელი წუთი და როგორც კი შვებას იგრძნობდა, ისევ მიიპარებოდა.

ქალმა კიბე ჩალოდა, ძირის სართულისკენ შეუხვია. იქ მარანი ეგულებოდა. მარნის კარი მალე ფდთხილად მიიხურა. დრომ განვლო. მამლის ყივილი მოისმა. შარაზე ურემი გამოჩნდა. ურმული მიწყნარებულ ჰაერში ტკბილ ხმოვანებად

დაიღვარა. მთვარიან ღამეში მეურმე თავს თავისუფლად გრძნობდა. ჯულის ვარამს, ცხოვრების უკულმართობას ბუნების წინაშე თამამად შლიდა, მაგრამ ბუნების გარდა ამ ურმულს ისმენდა კიდევ ერთი, რომელიც მარტყვესა და ელელთან კედელს მინდობოდა, სახეზე ხელები მიეფარებინა. ქვეყნის ყველა კვიტიანს ურმულის სევდიანი ჰანგები ერთვოდა, ნისლთან ერთად ცისკენ მიიწევდა.

გათენდა. სოფელი ახმაურდა დილის სიგრილით შეზავებული შხის სხივები მაყურებელს თვალსა სჭრიდა, ბავშვებს ცალ ხელში დიდი სახრეები ეჭირათ, მეორეთი ხარებს კუდში ჩაელებოდნენ, ოროველას დასძახოდნენ. საქონელი ფეხებს ზანტად მიაბიჯებდა, კვერებს მიათრევდა, უხეიროდ იღეჭებოდა. ეტყობოდა მოსწყენოდა უხვი სუფრა, რომელიც ფეხის საქელავად გახდომოდა. უფროსები კალოს უქცევდნენ. ქვით-კირის სახლი კალოზე მოშორებით იყო. სახლის სახურავზე მოშიებს პირში მატლი ეჭირათ, ბუდეებს შესჩხაოდნენ. მარიამობის მარხვა იყო, რომ ახლად ნაზიარებ ქალბატონს არ ეცადა. ალექსამ სამოვარი დადგა, ბაბუდამ ნაღული რძე ზემოდ ამოარბენა. აივანზე დადიოდა ქალი, მკლავზე ბავშვი გადუწვანა, ანძრევდა. ქალი ბაბუდას დანახვაზე დაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიშავრა, სახე გვერდზე მიიღო, მძინარე ბავშვს ჯაჯგური დაუწყო, თითქო უნდოდა ძალით ხმა ამოელებინა. ქალს ექვსად დაწნული შავი თმა ბეჭებზე გაბნეოდა, წურბელებსავით გაკრული წარბები უძრავად იყვნენ, თვალები ძირს დახრილიყვნენ, ზევით ახედვას ერიდებოდა.

— ბიჭო გოგია!

— ალექსი!

— პეპო, ვერ უყურებ, ბიჭო, ე ვერანა მოხვრები ყანას როგორ აფუკებენ.

— ნაუ! ნაუ!..

შუადღის ლოცვა ირეკებოდა. ქალს ყველა ეს ერთად შეესმოდა, მაგრამ კრიკა შეჰკროდა, ხან თავს გააწვდენდა, თითქო ზემოდან წამოსული რაღაც საშინელება უნდა მოიცილოსო, მალევე სწორდებოდა, თუ ზევით აიხედავდა თვალები გიშრებსავით გაციებოდნენ.

— ერთი შეხედეთ ამ ურცხვსა, აივანზედაც რომ დაბრძანდება! ძირს ჩამობრძანდი შე ეშმაკის კერძო, ძირს! — მოესმა მრისხანე ხმა. ქალს არ ეოცა, ის უკვე დიდი ხანია ელოდა ასეთ შეხვედრას. მოაჯიროთან მივიდა. ბუნდად გაარჩია, ქალბატონი კიბეს მოსდგომოდა, დედაკაცებიც იქვე იდგნენ.

— ძირს!.. ძირს!.. — დაეინებით და მუქარით ამოსძახოდნენ ქვემოდან ქალები, ქალიც ნელნელა ბარბაციით კიბეზე ძირს მიდიოდა.

ანუსიამ ბავშვი ხელიდან გამოსტაცა. ქალს სანთელსავით გაყვითლებული სახე მაყურებლებისთვის მიემართა. ხალხი შეგროვილიყო და დაჰყურებდა სისხლით შესვრილ ფალასებს, რომლებსაც შლიდა მათზე არა ნაკლებ შეშინებული ალექსი.

— დედასაშვილო!

— ცეცხლი და გენია შე ძუძუ დამწვარო დედავ!

— ბიჭი მაინც არ ყოფილიყო!. ვიშვიშებდნენ ქალები, როდესაც ახლად

შობილ ბავშვის გალურჯებულ სხეულს ხედავდნენ. ბავშვს პირი ნაკრები ჰქონდა ამოვსებული. ამის დანახვაზე ქალის თვალები წუთს გაფარდნენ, წამწამები ძალზე აახამხამა, მაგრამ მალევე ისევ გაშტერდა.

კრიქაშეკრული მარიამი კარგა ხანს დაჰყურებდა დამრჩვალ ბავშვს. უცბად სახეზე აღუჩნდა რისხვა, დამნაშავესკენ თავი მიიღო, თვალები მუდგრად დაუმაზნა.

— თუთა! შე უბედურო! რად მოიხვიე თავზე ეს საშინელი ცოდო? — შესძახა მან.

თუთა ხელებდაშვეებული უძრავად იდგა.

— რო იცოდე, რა სასჯელი მოგელის! მაგრამ რა გითხრა ისეთი, რომელიც იმაზე მეტი იყვეს, რაც ჩაიდინე? სამართალში მიგცე? არა! სამართალი შენს გულშივე დარჩება, სიცოცხლეში მუდამ თანა ვდევს!

მარიამი მეტად ღელავდა, სულს ძლივს იბრუნებდა. კიბის საფეხურები აიარა, შემდეგ ისევ უცბად გამობრუნდა და უფრო მძლავრის ხმით შესძახა: —

— ალექსი! შეახვიე ეგ დამრჩვალ ბავშვი ისე, როგორც იყო ღმაგ ქალბატონს კალთაში გამოუხვიე! თუთა! შენ წინ ოთხი გზაა, რომელიც გინდოდეს აირჩიე და აქედან გასწი, მაგ ბავშვის ცოდოც თან ზიდე. მეჯავრები, გათახსირებულნი დედაკაცო!

მარიამს აშფოთებული გული ყელში მოაწვა. როგორც იყო, ოთახის კარი შეაღო. თუთა უძრავად იდგა. ბოლოს, გაწვდენილი მკლავები შეთრთოლდნენ, იუარეს ტვირთის მიღება. მიმწოდებელმა ყური არ ათხოვა. მკვდარი ბავშვი მკლავებზე დაუწვინა. ქალმა დაიკვნესა, ხალხს გადახედა. ხალხს მუშტი შეეკრა. ქალის თვალები რაღასაც ეძებდნენ. და აქ შვეების მცირედმა ნაპერწკალმა გაიპრწკიალა. ერთ დედაკაცს თვალზე ცრემლი დაუნახა. ამ დროს თუთას ზურგში ვიღამაც ხელი წაპკრა.

— რას გაჩერებულხარ, უწმინდურო? ხომ არა გგონია აქ ვინმე ამხანაგი ნახო? გასწი, წადი, წინ წყალი და უკან მეწყერი!

ქალს ისევ თვალთ დაუბნელდა. წინ აემართა ისევ წყვდიადი. მთრთოლვარე ხელი შემოხვია თავის მძიმე ტვირთს, კვლავ გადახედა იქ მყოფთ და ფეხების ბლანდვით წავიდა.

ხალხიც ნელნელა დაიშალა.

— სულ კი ამ კნაქას ბრალია, ერთი ციდაა და, დახე, რა გულის სახეთქი უბედურობა შეგვამთხვია! — სთქვა ანუსიამ და პაწია სალის, რომელიც ხელში ეჭირა, თავისივე კაბის წინა კალთით ისე მაგრა მოსწმინდა ცხვირი, რომ ბავშვს ტირილი წასკდა.

— ნურას უკაცრავად, დედამთილო. ეს არის ეხლა გიახელი. ამ საქმისა ვერა გამიგია რა, როგორ იყო ბატონო? — წარმოსთქვა ყმაწვილმა ქალმა და მართას ხელი შეახო.

— როგორ იყო, შეილო, და ასე: საყდარში ვიყავით. ახლად ნაზიარებმა ქალბატონმა სეფისკვერი აიღო თუ არა, სახე გადამტკნარებული ალექსა მოვარდა. კარზე ჩოჩქოლი ატყდა. გამოიხმეს. როდესაც აცახცახებული კაცი დავი-

ნახე, გული გადმომიქანდა — ჩვენ სახლს ცეცხლი ხომ არ გასჩენია მეთქი. კინა-
ლამ იქვე ჩავიკეცე.

— მართა! მართა! რა ცოდო დატრიალდა! — გაიძახოდა ელექსა და თვა-
ლებზე ხელებს იფარებდა.

— ვისთანა, შვილო? სადა? ჩქარა თქვი შე გულმკვდარო. ლამის შიშისგან
დავილიო!

მიუატანე:

— ჩვენ მარანში.

— ეშმაკმა ხომ არ ჩაგითრია?.

— ქვევრში.. დამრჩვალნი ბავშვი... — ძლივს ლულულულებდა გონება აბნეუ-
ლი კაცი. თუმცა ჩვენი სახლის გადარჩენამ გული მომიბრუნა, ალექსასგან ნა-
ლაპარაკევი მაინც შემზარა.

— რა გაცახცახებს, შე უკეთურო, ვაჟკაცი არა ხარ მეთქი? — შევეუტიე.
ალექსაც გაჩუმდა.

— დღეს ადრინად მარანში შევედი, მინდოდა წვრილფეხისთვის ნაკმაში
გამომეტანა. — დაიწყო უფრო დამშვიდებით ალექსამ. ეტყობოდა, ჩემმა შეტევამ
იმოქმედა.

— ცხვირში მძოვრის სუნნი შეკა. სუნმა თარომდის მიმიყვანა. სამკოკიანის
ზემოდ მიწა ახლად მიყრილი იყო. მიწაზე სისხლის წვეთები დავინახე. კუთხეში
მიყუდებულ ბარს ვეცი, მიწა გადავაბრუნე, ქვევრს სახური აღარ ეხურა. ფალა-
სებით იყო ამოჩურთული. ამოეწმინდე, ჩემ წინ გადმოგორდა ახლად დაბადებუ-
ლი, გალურჯებული, დამრჩვალნი ბავში. შეშინებულმა ისევ შევახვიე, ნარნის კა-
რი გამოვიკეტე და კარზე გამოვვარდი. აივანზე თუთა დავინახე. ხელში ბავშვი
ეჭირა. სახეზე შეეხედე, მივხვდი. თუთა სამარიდან ამოღებულსა ჰგავდა. ალექ-
სას ლაპარაკზე ქალბატონიც წამოგვესწრო, ყველაფერი გაიგო. ალექსა წინ გა-
მოიქცა და მარნის კარებიდან დამრჩვალნი ბავშვი ქალბატონს წინ მოაგება. მე-
რე რაც მოხდა, შენ თვითონაც ნახე, შვილო.

— უი! უი!. ეს რა გავიგონე! — თავპირში წაიშინა ახალგაზდა ქალმა.

— ეგრეა: დედაკაცი რომ იჯახიდან გამოვარდება, ავი კარი თან აჰყვება,
კარგს არას შეჰყრის. მაგისთანა ლამაზ ქალს სახლის გარეთ რა უნდა, ისიც ბა-
ტონის კარზე?.

— ნეტაი მაგ ქალის მოვალე ვინ არი?

— ვინც უნდა იყვეს, განა მაგისთვის სულ ერთი არ არი? დავილუპა კი ქა-
ლი და... ბატონის კარზე იმდონი მოხვრები დაიბოტებიან, რომ აბა იმათში
რომელი იტყვის მე ვარო? თვითონ ბატონი კი დაიწუნებდა? თუთა რომ მოა-
ჯირზე მოდგებოდა, ბატონიშვილზე ნაკლები კი არ იყო.

— იმ უბედურს ერთი ცოდო არ ეყოფოდა, რომ შვილიც არ დაერჩო?
მიწამ კი პირი უყოს მაგისთანას, აჰანდე! — წაილაპარაკა კაკატომ და გაბრუნდა
სახლში წასასვლელად.

ქალებიდან გამოირჩნენ სამი მანდილოსანი და გაჰყვნენ მართას, რომელ-
საც ხელში სალი ეჭირა. კიბეზე აღიოდა. ოთახი მოხრდილი იყო. თეთრად

შეღესილი. ტახტზე მიგდებულ მუთაქაზე მარიამს თავი მიედო, სახეზე მარისხა-
ნება არ უცხრებოდა. ხელში ძმარ-წყალით სავსე ჭიქა ეჭირა, საფეთქლებს ე-
ველებდა. ბაბედა და ალექსი თუნცა თავს ადგნენ, მაგრამ თითქმის ვაჭრ-
რებდნენ. ერთის მხრივ უნდოდა მარტოდ დარჩენილიყო, თავის სანჯღერს
ანგარიში მიეცა, თან მარტოდ დარჩენისაც ეშინოდა: მომხდარი ამბავი ალექსას
და ბაბედას რავედენჯერმე გაამეორებინა. მაინც ვერაფერი ვერ გამოარკვია.
ალექსას ეჭვის თვალთ ვახედავდა, მისი გაჩეჩილი დიდი თავი, ყვავილისაგან
დაკორტნილი, დაჯიჯვებული, მოკლე, დაგრეხილ ფეხებზე დანდობილი სქელი
ტანი საწინააღმდეგოს ეუბნებოდა. ეჭვი არ იყო, თუთა მას ახლო არ გაიკარე-
ბდა. ბაბედაც, ისიც წელში მოხრილი, შიშისაგან უფრო მოკაკულიყო.

— პასუხსაგები ამბავი მოხდა!

ამ გახსენებაზე მარიამმა ძმარ-წყალი კვლავ ცხვირთან მიიტანა. ოთახში
დედაკაცები შემოლაგდნენ. სალიმ ტირილი დაიწყო.

— პირდაპირ გასაოცარსა ვარ! ამდენ უბედურობას როგორ უძლებს ეს
ბავში! — წარმოსთქვა ნალვლიანად მარიამმა, როდესაც მართამ პურის ნატები
ხელში მისცა.

— ქალია და იმიტომ. აბა ვაჟი ყოფილიყო, აქამდის მაგისი ხსენებაც
აღარ იტნებოდა. ქალს რა მოკლავს, ეშმაკის კერძია! —

დაუნატა ანუსიამ და ტუჩის აკვრით გვერდზე გაიხედა. ამ სიტყვებზე
ყველას სახეზე ღიმი აღუჩნდა. ალექსამ იგრძნო, რომ აქ მეტი იყო და გავიდა.
— ამ ერთი ციდა ბავშვის გამოზრდა ასე რად გაჭირდა, როდესაც სოფელში
ამდენი დედაკაცები ვართ, ქალებო? მოდი ჩვენ ვიკისროთ, რიგრიგობით ძუძუ
ვაწოვოთ, თან ცოტაცოტა საქმელსაც შევაჩვიოთ. მაღლია! — შესძახა თეკლემ.
ქალებიც დათანხმდნენ. მარიამი ნელნელა მომხდარ შემთხვევას დინჯად უფიქრ-
დებოდა. დედაკაცები სოფლის სხვადასხვა ამბებზე გადავიდნენ, ლაპარაკში ერ-
თი მეორეს არ აცლიდა, თითქო თუთა კიდევაც დაეიწყებოდათ. მაგრამ დედა-
კაცის ლანდი ყველას თვალწინ განუშორებლად იდგა. მართას მხარზე სალის
მისძინებოდა. თეკლემ ფრთხილად ჩამოართვა, აკვანში ჩააწვინა, თვითონაც გვე-
რდით ნოუჯდა, რწვეა დაუწყო. მარიამს თავში ეღვასავით გაჰკრა.

— სად არის ეხლა თუთა? ისიც ხომ ასევე უჯდა სალის აკვანს, ღამეებს
უთევდა? ამ წუთებში კი... დამრჩვალ ბავშვით ხელში პაპანება სიცხეში შარაზე?
მარიამს ტანში გააზრიალა. მოაგონდა, დისწული უხნეობისთვის სახლიდან
როგორ გააგდო. თვით ნატოსაც ყოველ წუთს ჩასწურჩულებდა, რომ პატიოსა-
ნი ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში რისხვით ემუქრებოდა. მარიამმა თვა-
ლები მოხუჭა. დღე უფერულად მიდიოდა. სხვადასხვა მოსაზრებანი მარიამს სულს
უწუხებდნენ. დედაკაცებმა იგრძნეს, რომ ქალბატონს მარტოდ დარჩენა ერჩია,
და მალე წავიდნენ. მარიამი ბავშვს მისჩერებოდა. ბავშვის ტუჩები ძილში ცმა-
ცუნობდნენ, სიზმარში ვილასიც ძუძუს სწოვდა. ძუძუს მიმწოდებელი ერთი და
ორი არ იყო. ქორფა საზრდოს ყველასაგან იღებდა, თან ყველას ხელში დამწე-
ული იყო, თითქო არა ჰყოფნიდა.

— ასე კარდაკარ როდემდის უნდა იარო, შე საწყალო? ვითომ ჩემთან
წამოგიყვანე, მაგრამ ბედი მაინც არ გეცვლება. ისევ და ისევ კატის კნუტსავით
აქეთ-იქით თრევა, ისევ გლეხი დედაკაცების გულში ხელების ფათური!

აქ უცბად მარიამის თიქრები შეწყდა, რადგან ოთახში მეტად ატეხვებულ კიაზო შემოვიდა.

— მარიამ! ეს რა გიქნია, ქალო, რო ისედაც გაუბედურებდი ქალი შარხე გაგიყენებია? რა პასუხს აძლევ ან შენ სინდისს, ან ქვეყანას? არა ხარ? სიბრალოლე და საცოდაობა თუ შენ თვითონ არ გიგრძენია, სხვისი ხომ გაგიგონია? — შესძახა მან.

მარიამი ზეზე წამოვარდა. სახე შეშლილი თვალები მუქარის ნაპერწკლებს აბნევენ.

— კიაზო! თუ ქვეყანაზე დანაშაულობა არსებობს, არსებობს მისი შესაფერი სასჯელიც. მეც ხემ საქციელს დამშვიდებულის სინდისით ვუყურებ. შენ თვითონ იცი, თუთა ტიტველ-შიშველი წამოვიყვანე. დედობრივის გრძნობით მოვექმეცი, შესაფერ საქმეს მიფუჩინე. როდესაც მითხრა, რომ ქმარს ვიღახედაც კვდი აელო, გამოვეგდო, ვიფიქრე: არა უშავს რა, გამოსწორდება და ვინსნი დაღუპვისაგან შეთქი. მალე თუთას ფეხმძიმობა შევამჩნიე. მაინც შემეცოდა, გავაფრთხილე. ვთხოვე მორჩენის დროს ჩემთვის ეთქვა. თუთამ ჩემი თანაგრძნობა ტალახში ამოსვაოა, სისხლში ჩაარჩო და მეც დავსაჯე, როგორც შეილის მკვლელი დედა. ჩემს საქციელში სამართლიანი ვარ, კიაზო!..

ლაპარაკობდა მარიამი, თან თამამად პირდაპირ თვალებში უყურებდა ქმარს. მის ცქერაში თითქო ზიზლიც იხატებოდა.

კიაზოს და მარიამის ოჯახში მომხდარი უბედურობა დროსგან თანდათან ნელდებოდა. მარიამი სოფლის დედაკაცებისაგან თანდათან იგებდა, თუ თუთა რა თვალთმაქცი ყოფილიყო, ქალბატონს ხშირად როგორ ატყუებდა. ძუძუგამშრალს ბავშვი სოფელში მალვით გაჰყავდა, დედაკაცებს რიგრიგად ძუძუს ატყვინებდა, სახლში კი ხაშხაშით ბანგავდა.. ამ მითქმა-მოთქმამ მარიამი დაამშვიდა, თავს საყვედური მისცა, წინდაუხედავ საქციელზე, რომ მსუბუქი ზნის ქალი სოფელში მოიყვანა ხალხის წინაწამლავად. რაც ქალაქიდან ამოსულიყო მარიამი, შვიდი თვე იყო და თუთასაც ალბად თავისი ცოდო ქალაქიდანვე მოჰყოლოდა.

— ამდენ გულის ხეთქას როგორ გავუძლო? რომელ ერთისთვის ვიხრუნო? იქ იმ საწყალ ქალს მივხედო, რომ წვრილმა შვილებმა გული არ შეუქამონ, საქმრეულობაც თავისი ზვიადობით არ დამიჩაგრონ, თუმცა გასათხოვარი მული როგორც იყო, თავიდან მოაშორა მაზლმა, მაგრამ მაინც კიდევა ჰყვანან შემაწუხებელნი, — თუ ამ პატარას მოვეუარო? ოხ, კიაზო, კიაზო, ეს მეტი ბარგი რაღაზე ამკიდე შეჩა?! მოკვდებოდა თუ დარჩებოდა, თავისი დედ-მამის სახიდავი იქმნებოდა. — ჩიოდა მარიამი.

— მაგრამ სალის მარიამი იშვიათად ხედავდა. ის მუდამ სოფლის დედაკაცების ხელში იყო.

— შვილო, ჭკვიანად ატარე, აგრემც დაგენაცულება დედა!. ხუმრობა კი არ არი, დედებთან არ მიუშვა, თორე მაგათ პატრონს ველარ ვადაურჩები. — უუბნებოდა სოფიო თავის თორმეტი წლის ბიჭს, რომელიც პარკაკიდებული რიყრაყზე ღორ-ხბოს მინდვრად სახრით მიერეკებოდა.

დაკარწახებულ სოფიოს მეორე ხელში ეჭირა, დილის სიგრილისაგან გაცრეცილი, გაციხდლიანებული სალი, რომელსაც დამდნარის ხელებით ქალის გამხმარი ნაქერი პირთან მიეტანა და ლოლნიდა.

— დღეს მაინც პურს ვაცხობ, თუ ამ ბავშვს ლოლუა არ დავუკარი, ცოდვით წავწყდები! — დაუმატებდა სოფიო. სალი ყველგან იყო სოფელში. — სახნავ-სათესზე, კევრზე, პურის ცხობაზე, ბოსტნის მარგვლაში, რომელიმე დედაკაცს მუხლზე დაცუცქოდა. და პრასის ფოჩით პირგამწარებული, უხეიროდ ღნაოდა.

(შემდეგი იქნება).



ქართული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრ პუშკინ

1837—1927

პუშკინის მამის წიგნთსაცავში საპატიო ადგილი ეჭირათ მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფოსებს—ენციკლოპედისტებს და მათ შორის ვოლტერს, რომელსაც პუშკინი გატაცებით კითხულობდა ბავშობიდან და უფრო გვიან ბაძავე და მას თავის „გაფრილიადაში“. პუშკინის ლიცეიდანვე კავშირი ჰქონდა რუსეთის საზოგადოების მოწინავე წრეებთან. უკვე ლიცეიში ყოფნის დროს პუშკინი იცნობდა ჩაადაევს, რომელმაც პოეტის მსოფლმხედველობაზე მოახდინა განსაკუთრებული გავლენა. ლიცეის დასრულების შემდეგ პუშკინმა მოიხვეჭა პოეტის—რევოლუციონერის სახელი თავისი ეპიგრამებით, რომლებშიდაც დასცინოდა ბიუროკრატიის და სასულიერო წოდების უმაღლეს წარმომადგენლებს: ფოტიის, არაკჩეევს, გორჩაკოვს, ბულგარინს და სხვებს.

კარამზინიც კი არ დაზოგა პუშკინის სატირამ, როდესაც სახელოვანი ისტორიკოსი გამოვიდა აბსოლუტიზმის და ბატონყმობის აპოლოგეტის როლში. პუშკინი იცნობდა პირადათ ყველა გამოჩენილ დეკაბრისტებს, პუშკინი კი მისი საუკეთესო მეგობარი იყო და მას პოეტმა უძღვნა უკვდავი სტრიქონები თავის ლექსში „19 ოქტომბერი“. როგორი იყო პუშკინის დამოკიდებულება დეკაბრისტებთან 14 დეკემბრამდე და მის შემდეგ? პუშკინს უნდოდა გამხდარიყო ფარულ საზოგადოების წევრი, მაგრამ მომავალი დეკაბრისტები ვერ იმეტებდნენ მას ბრძოლისათვის, შეიძლება ითქვას პირდაპირ ეფერებოდნენ მის ნიქს, ამის გარდა ფიქრობდნენ, რომ პოეტი ვერ გამოდგებოდა არა ლეგალურ და სახიფათო მუშაობისათვის.

დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ ნიკოლოზ პირველმა გამოიძახა პუშკინი სოფელ მიხაილოვსკოედან, სადაც ის გაგზავნილი იყო ოდესიდან, და ნება მისცა პოეტს ეცხოვრა სატახტო ქალაქებში. თან მეფემ განუცხადა პუშკინს, რომ ამიერიდან წითეთონ იქნება მისი თხზულებათა ცენზორი. ფაქტიურად პუშკინი ჩაუვარდა ხელში ჟანდარმების შეფს—ბენკენდორფს, რომელიც აბეზღებდა პოეტს შფუფსთან და უმასპინძლდებოდა დამამცირებელი ნოტაციებით. პუშკინს არ უღალატნია დეკაბრისტების ხსოვნისათვის და გაუგზავნა მათ ციმბირში ლექსი, რომელშიდაც ესალმება მათ გმირობას და აღუთქვამს ჩქარ განთავისუფლებას ბორკილებიდან. პუშკინის ქაღალდებში აგრეთვე აღმოჩნდა „ევგენი ონეგინის“ ერთი დაუბეჭდავი თავი, სადაც პუშკინი თავისი ჯადოსნური კალმით ახასიათებს პესტელს, რილეევს, ნიკოლოზ ტურგენევს, მურავიოვ-აპოსტოლს.

პუშკინი სოფელ მიხაილოვსკოეში იყო დამწყვედელი, ^{ან აწყობდა გეგ-} მებს საზღვარ-გარეთ გაპარვის შესახებ, რომ არასდროს არ დაბრუნებულყო სამშობლოში. პუშკინი გრძნობდა რუსეთში თავს, როგორც ჩვეულებად და მან კიდევაც სთქვა ერთხელ: „чорт догадал меня родиться в России!“ პუშკინს სძულდა ჟანდარმების და თვითმყრობელობის რუსეთი, და იმავე დროს უყვარდა თავისი სამშობლო, რაიც სჩანს მის საკუთარ სიტყვებიდან: „მე შეზიხლება ჩემი სამშობლო თავიდან ფეხებამდე, მაგრამ მწყინს, როდესაც უცხოელი იზიარებს ამ გრძნობას“.

პუშკინმა გამოიცივალა თავის სიცოცხლეში სამი მეფე და ყველა ისინი ეჭვის თვალთ უყურებდნენ მას, რადგანაც ეშინოდათ მისი გავლენის. თავის ოდაში „თავისუფლება“ პუშკინი აღიღებს ხალხის აჯანყებას თავისუფლებისათვის და მეფის მოკვლასაც კი ესალმება, თუ მეფე ტირანია და ძალდატანებას იჩენს კანონზე. იყო ერთი მომენტი პუშკინის ცხოვრებაში, როდესაც ის თვითონ ოცნებობდა მეფის მოკვლაზე. ამაზე მოწინააღმდეგე მისი დღიური. თავის ლექსში „სოფელი“ პუშკინი ოცნებობს გლეხების განთავისუფლებაზე, თუმცა ფიქრობს, რომ ეს განთავისუფლება უნდა მოხდეს მეფის ბრძანებით. პუშკინი ახლო იდგა ხალხთან. მას უყვარდა თავისი აღმზღელი არინა როდიონოვნა, რომელსაც პოეტი დედას ეძახოდა და რომლიდანაც პირველად გაიგონა ხალხური ზღაპრები. პუშკინმა პირველად დაალაპარაკა პოეზია ხალხის ენით. ის იყო მამათმთავარი რეალისტური მიმართულების რუსულ ლიტერატურაში. ლიტერატურა კი ნით უფრო დემოკრატიულია, რაც უფრო რეალისტურია იგი.

პუშკინის თანაგრძნობა მუდამ თავისუფლებას ეკუთვნოდა. პოეტი თანაუგრძნობდა საბერძნეთის რევოლუციას, რომელსაც შესწირა თავისი სიცოცხლე დიდმა ბაირონმა. პუშკინის სიკვდილის შემდეგ ყველამ იგრძნო, რომ „ჩაესვენა მზე რუსული პოეზიის“. და ამ დროს რუსეთის მთავრობამ კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცყოფა საზოგადოებას. როდესაც ხალხი ათასობით მოდიოდა პუშკინის ბინასთან და მისი გამოხვეწების მოლოდინში იყო, მთავრობამ შუალამისას მოიპარა პოეტის ცხედარი და ფარულად გაგზავნა ის სოფელ მიხაილოვსკოეში, სვიატოგორის მონასტერში დასაკრძალავად. მთავრობამ იცოდა, რომ პოეტის დაკრძალვა პეტერბურგში გადაიქცეოდა დიდ დემონსტრაციად მთავრობის წინააღმდეგ. როდესაც დუელის შემდეგ დანტესი სამართალში მისცეს, ნიკოლოზ პირველმა უბრძანა მსაჯულებს განოეტახათ განაჩენი იმის შესახებ, თუ როგორი სასჯელით დაისჯებოდა კამერ-იუნკერა პუშკინი, ცოცხალი რომ დარჩენილიყო დუელის შემდეგ. სასამართლომ გადაუწყვიტა პუშკინს სიკვდილით დასჯა. (იხილე ჟურნალი „Русская Старина“, ოქტომბერი, 1880 წელი, წერილი ვ. ვ. ნიკოლსკისა). გახრწნილი საზოგადოება, რომლის წარმომადგენელი იყო დანტესი, თანაუგრძნობდა პუშკინის მკვლელს. მაგრამ ის აღშფოთება და გულისწყრომა, რომელსაც განიცდიდა საუკეთესო ნაწილი საზოგადოებისა, გამოსთქვა ახლად გამოსულმა ლიტერატურულ ასპარეზზე ლერმონტოვმა ლექსში: „პუშკინის სიკვდილზე“, სადაც დასდალა თავისი ზიხლით წარჩინებული წოდება და დაემუქრა მას მომავალ თაობის შურისძიებით. ანტელიგენცია

ბელინსკის სახით და ხალხი თანდათან დაეპატრონენ პუშკინს და იცვინეს მასში თავისი პოეტი.

პუშკინს, რომელიც ეკუთვნოდა თავად-აზნაურთა წოდებას, რასაც კვირველია, ჰქონდა პოლიტიკური გადახრები. ის ვერ იქნებოდა ნამდვილად რევოლუციონერი, თუმცა ასეთი არ იყვნენ თვით დეკაბრისტებიც. პუშკინი ახალგაზდობაში უფრო შეურიგებელი მტერი იყო აბსოლიუტური რეჟიმის. შემდეგ ის ამჟღავნებს თავის იმპერიალისტურ და მონარქიულ ტენდენციებს. ამას ამტკიცებს მისი ლექსი: „Клеветникам России“, სადაც ის ილაშქრებს ამბოხებულ პოლონეთის წინააღმდეგ, ამას ამტკიცებს აგრეთვე მისი წერილი რადიშჩევზე, სადაც ის ილაშქრებს ამ მეზობლის და აბსოლიუტიზმის პირველი მსხვერპლის წინააღმდეგ. როდესაც პუშკინმა დაბეჭდა „ბორის გოდუნოვი“, საზოგადოება არ შეხვდა ენტუზიაზმით ამ ნაწარმოებს. მეფესთან დაახლოვების შემდეგ პუშკინმა დაკარგა ორეოლი და სახელი ბუნტარის, მემამოხესი და მას კიდევაც ამტყუნებდნენ ზედმეტ, გადაჭარბებულ პატრიოტიზმში და არისტოკრატიზმში. პუშკინი ტრაბახობდა თავისი ექვსასი წლის აზნაურობით და ირონიით იხსენიებდა ახალ წარჩინებულთა—რაზუმოვსკის, მენშიკოვის გვარებს, რომლებმაც მეფის ფეხსაცმელების წინებით და ლაქიობით მოიპოვეს თავისი პრივილეგიები.

(„Моя родословная“).

პუშკინს არ უყვარდა ლიტერატურის სახელი, რადგანაც იცოდა, რომ წარჩინებული საზოგადოება ზიზღით უცქეროდა ლიტერატორს და ერთ დაუაზრ აყენებდა მწერალ და გადამწერელს. ამ ბრალდებებს შეგვიძლია დაუმატოთ კიდევ ის, რომ პუშკინი იცავდა წმინდა ხელოვნების თეორიას და არ ავალებდა პოეტს მოქალაქე ყოფილიყო („Поэт и Чернь“). პუშკინი თავის უკანასკნელ წლებში მემარჯვენეა გარეგნულად, მაგრამ ის ცდილობს თავი დაახწიოს სასახლეს, არისტოკრატიულ წრეს და სამსახურს. ამ დროს არის დაწერილი მისი საშინელი ლექსი „Не дай мне Бог сойти с ума“, სადაც ის ოცნებობს თავისუფალ ცხოვრებაზე ბუნების წიაღში. პოეტს მიიზიდავს სოფელი, მას უნდა გადაიხადოს ვალები და სოფელში დაბინავდეს. წარჩინებული საზოგადოება არ აფასებდა პუშკინის პოეტურ ნიჭს და უყურებდა მას, როგორც „выскочка“-ს და ღარიბ აზნაურს. გრაფ ვორონცოვი ხედავდა პუშკინში ბაირონის იმიტაციორს და პატარა მოხელეს. პუშკინის ბრძოლა წარჩინებულთა ბრბოსთან დამთავრდა კატასტროფით. ეს კატასტროფა მომხადებული იყო პუშკინის მტრების შიერ. ბენკენდორფმა იცოდა, რომ დუელი პუშკინისა და დანტესის შორის უნდა მომხდარიყო, მაგრამ მან არ მიიღო ზომები დუელის წინააღმდეგ. ბენკენდორფს კიდევაც უხაროდა, რომ განთავისუფლდა პოეტისაგან. პუშკინს არ უშველა მისმა პატრიოტულმა ლექსებმა. ბიუროკრატიული რუსეთი ხელავდა მასში თავის დაუძინებელ მტერს და უხაროდა პოეტის დაღუპვა.

ახლა ჩვენ ვიგონებთ იმ დაღებიტოს და ჩვენთვის მისაღებ ელემენტებს, რაც ამშვენებს პუშკინის შემოქმედებას. პუშკინმა იწინასწარმეტყველა თავის ლექსში ჩაადაევზე, რომ რუსეთი გაიღვიძებს, დაანგრავს მონარქიას და თვითმყოფლობის ნანგრევებზე აღბეჭდავს მის სახელს. პუშკინის წინასწარმეტყველება გაამართლდა. პუშკინს სწამდა რუსეთის მომავალი და ამ მომავალმა გაამართლა მისი იმედები:

И долго буду тем любезен я народу,
 Что чувства добрые я лирой пробуждал,
 Что в наш жестокий век восславил я свободу
 И милость к падшим призывал.

თავისუფლება

ო ღ ა

ო, დაემალე ახლა ჩემს თვალებს
— ცნების მუხა და დედოფალო!
საღა ხარ რისხვა შეფეებისა,
თავისუფლების მღალადებელო?
მე ამ გვირგვინის არა ვარ ღირსი,
მოდო, გატეხე ეს ნაზი ჩანგი, —
მინდა ვადიდო თავისუფლება
და დავამარცხო ტახტებზე სენი.

მომეცი ნება, რომ გავიარო
დიდებულ ფრანგის კეთილშობილ გზით,
ვისაც შენ თვითონ დროს ქარიშხლისას
ათქმევინებდი ჰიმნებს გაბედულს.
ფუქსავატთან ბედის შვილებო,
თქვენ, ტირანებო, დღეს გეშინოდეთ!
თქვენ-კი გამხნევდით, თქვენ-კი აჯანყდით
დამცირებულნი ქვეყნის მონებო!

სადაც მივაბურობ მწუხარე თვალებს,
ყველგან მათრახნი, ყველგან ჯაჭვები,
ყველგან მონობის ცხარე ცრემლები,
გათახსირება კანონის ყველგან.
და უსამართლო ძალა-უფლება
გამეფებული დაბნული აზრით,
ყველგან მონობის მრისხანე სული,
ვნებათა ღელვა საბედისწერო.

მხოლოდ იქ ტანჯვა-ვაება ხალხთა
არ დასწოლია შეფეებს თავზე,
სად უერთდება კანონი მძლავრი
თავისუფლების მაღალ სიწმინდეს.
სადაც კანონი მიუდგომელი
თავისი ფარით იცავს თვითეულს,
და კანონების ხმალის წინაშე
თანასწორია მოქალაქენი.



კანონი წმინდა ეშვება გრგვინვით
 ბოროტმომქმედის ცოდვიან თავზე,
 იმის მოყიდვა არ შეიძლება
 ხარბი სიძუნწით, არცარა შიშით.
 მფლობელნო! ტახტსა, ამაყ გვირგვინებს
 გაძლევთ კანონი, არა ბუნება,
 და თუმცა დგებართ თქვენ ხალხზე მაღლა,
 თქვენზე მაღალი არის კანონი.
 და ვაი ერებს, სადაც კანონი
 ძილს მისცემია გაუფრთხილებლად,
 სადაც ან ხალხი, ან თვითონ მეფე
 ებატონება უწმინდეს კანონს.
 ო, შენ უთუოდ დამემოწმები
 წინაპრებისთვის ტანჯულო მსხვერპლო,
 ავ ქარიშხალის საშიშ ხმაურში
 მეფევ, ხალხისგან თავმოკვეთილო!
 და ეშაფოტზე ლიუდოვიკი
 აღის. მღუმარებს შთამომავლობა.
 განგვირგვინებულ თავით მიეყრდნო
 იგი სასჯელის წითელ მოედანს.
 მღუმარე არის ხალხი, კანონი,
 შეუჩერებელივ ეშვება დანა.
 და შემოსილნი არიან ფრანგნი
 სისხლით შეღებილ პორფირით ახლა.
 ო, თვითმყრობელო, ბოროტმომქმედო,
 მე შენი ტახტი მძულს სამუდამოთ,
 შენი შვილების და შენს დაღუპვას
 მივესალმები მე სიხარულით.
 დადალულია ეგ შენი შუბლი,
 ხარ დაწყველილი ერებისაგან,
 შენ ხარ სირცხვილი მთელი ქვეყნისა
 და ღმერთს მიწაზე სახელს უტეხავ!
 როცა ნისლიან ნევაზე მოსჩანს
 ბნელ შუალამის ვარსკვლავი მშვიდი,
 და ეუფლება სპეტაკი ძილი
 ადამიანის უდარდელ სხეულს,
 ჩაფიქრებული უცქერს პოეტი
 განმარტოებულ ძეგლს ტირანისას,
 რომელსაც სძინავს მრისხანე ნისლში—
 ეს სასახლეა დავიწყებული.
 ამ კედლებიდან ხმა საშინელი
 მას ესმის, როგორც ბედის საყვირი,

და კალიგულას წუთს უკანასკნელს
ის წარმოიდგენს თავის ოცნებით.

ის ხედავს მკვლევებს: მთვრალეებს, ბოროტებს, გულზე
ლენტებით და ვარსკვლავებით; ზიზღით და
ჩუმად მიდიან და მათ სახეზე
სჩანს თავხედობა, გულში კი—შიში.

არა ერთგულნი სდუმან დარაჯნი,

და არის ხიდი ჩამოშვებული,
დაქირავებულ ღალატის ხელით
გაღებულია კარები ახლა...

ოი სირცხვილო, საშინელება!

როგორც მხეცები—იანიჩარები

ეტაკენ მეფეს და დაიღუპა

სისხლის მწოველი გვირგვინოსანი!

თქვენ, მეფეებო, ისწავლეთ ჭკუა!

არა სასჯელი და უხვი ჯილდო,

არა საყდარი, საპურობილენი

თქვენ გადაგარჩენთ დაღუპვისაგან,

მკვიდრ, საიმედო კანონთ წინაშე

ქედი მოჭხარეთ ყველაზე ადრე,

და მაშინ ტახტის სადარაჯოზე

დადგება ხალხის თავისუფლება.

ციმბირისაკენ

(დეკაბრისტებს)

სადაც ციმბირის მადანი არის,

იქა ხართ თქვენი ამაყი სულით.

მუდამ იქნება დაუვიწყარი

თქვენი ლტოლვები, შრომა ტანჯული.

უბედურების მკვიდრი დობილი—

იმედი ნახავს პირქუშ მალაროს,

რომ თქვენი გრძნობა კეთილშობილი

კვლავ გაამზნევოს და გააბაროს.

თუმც კატორლაში ხართ ჩაკეტილი,

თქვენ ჩემი სიტყვა გესმისთ ქარული,

თუმც გფარავთ ციხის შავი კედელი,

გეწვევათ ძმობა და სიყვარული.

დაიღწევა მძიმე ხუნდები,

დაინგრევიან საპურობილენი,

თავისუფლებას დაუბრუნდებით

და ხმალს მოგცემენ მოძმენი თქვენი.

სოფელი.



მოგესალმები სიყვარულით უდაბნო კუთხე,
 საეანე შრომის, შთაგონების და დამშვიდების,
 სადაც ჩემ დღეთა უხილავი ნაკადი მირბის,
 სადაც ვიგემე ნეტარება, თავდავიწყება!
 გარყვნილ სასახლის ცირცეებზე მე ვთქვი უარი,
 მე მომეწყინა ნადიმები, ღვინო, თარეში.
 და ვესალმები შენს მუხნარებს, მინდორთ სიჩუმეს.
 აქ შევიყვარე უსაქმობა—ფიქრთ მეგობარი.
 შენი ვარ: მიყვარს ეს ბნელი ბალი,
 მისი სივრცით და ყვავილებით.
 ეს საბალახო, აღნიშნული სურნელ ზვინებით
 და წყაროები, მოდუდუნე მწვანე ბუჩქებში.
 აქ ჩემს წინაშე არის ბევრი სანახაობა.
 ვხედავ ორი ტბის ლაქვარდიან, საამო სივრცეს,
 სადაც ხანდახან თეთრად მოსჩანს მეთევზის აფრა.
 შემდეგ ბორცვები, ზოლიანი პურის ყანები.
 შორს გაბნეული, ჩუმი ქოხები.
 სოველ ნაპირზე ბალახობენ მოხეტე ჯოგნი,
 კვამლი, ბელელი, წისკვილები მალაღი ფრთებით,
 ყველგან ნიშნები შრომისა და კმაყოფილების.
 მე აქ ხუნდები მოვიშორე ამაოების,
 ჭეშმარიტება, ნეტარება მხოლოდ აქ ვსცანი,
 თავისუფალმა გავაღწერთე მხოლოდ კანონი,
 და უგნურ ბრბოსი არ მაშინებს მე საყვედური.
 აქ თანაგრძნობით ვუპასუხებ მორცხვსა ვედრებას,
 ბრიყვებს, ბოროტებს, შემოსილებს ყალბი დიდებით,
 საუკუნეთა გულთმისანო! თქვენთან ვარ სულით
 და ამ დიდებულ სიმარტოვეში
 თქვენი ხმა უფრო გასაგონია,
 მე ის მაფხიზლებს სიჩუმისაგან,
 შრომის ხანძარი ელვარებს გულში,
 და შემომქმედი თქვენი ფიქრები
 კვლავ მწიფდებიან სულის სიღრმეში.
 მაგრამ აქ ახრი საშინელი გულს შეათრთოლებს:
 აქ აყვავებულ ყანებისა და მთების შორის
 კაცობრიობის მეგობარი წუხილით ამჩნევს
 შავ უმეცრების სამარცხვინო, დამლუპველ ნიშნებს.
 არ ხედავს ცრემლებს, არ ისმენს კვნესას,



და ბედისაგან დანიშნული კაცთ სავალალოთ
 აქ ბატონობა კანონის და გრძნობის გარეშე
 ნებიერობს, რადგან მიითვისა ძალდატანებით
 შრომა, სიცოცხლე, საკუთრება მიწის მუშისა.
 სხვისი გუთანის და მათრახის მუდამ მორჩილი,
 აქ მჭლე მონობა ამუშავებს უსაზღვრო ყანებს
 მხოლოდ უღმობელ ბატონების სარგებლობისთვის.
 აქ მძიმე უღელს სიკვდილამდე ატარებს ყველა,
 თავის იმედებს და თვისებებს დაშორებული.

აქ ქალწულები ჰყვავიან მხოლოდ
 გარყვნილ მსუნაგის ნდომებისათვის.

ჭირსა და ლხინში დამხმარენი მოხუც მამების,
 მოზიარენი მათი შრომის, მათი შვილები
 სტოვებენ ქოხებს, მშობელ კერას და ამრავლებენ
 ბატონის ყმების, შინა ყმების გატანჯულ ბრბოებს.
 ო, რომ შემეძლოს შევათრთოლო ყველა გულები,
 ო, რად ანთია უნაყოფო ჩემს გულში ცეცხლი!
 ნეტავი მქონდეს მეტყველების მრისხანე ნიჭი!
 თუ დავინახავ, მეგობრებო, ხალხს დაუჩაგრელს,
 თუ დაეცემა ეს მონობა მეფის ბრძანებით,
 რომ ჩემ სამშობლოს მოველინოს უკანასკნელად
 თავისუფლების განთიადი უნეტარესა.

ჩ ა ა ღ ა ე ვ ს

ტრფობა, დიდება, ნორჩი იმედი
 ჩვენ გვიტაცებდა, როგორც ზმანება.
 და სიჭაბუკის ამაყი ბედი
 გაჰქრა, ვით დილის ნისლოვანება.
 ჯერ კიდევ ფეთქავს გულში სურვილი.
 საბედისწერო ღამის წყვილიადით
 როგორც სუდარით ვართ დაბურვილი,
 მაგრამ იქნება სხვა განთიადი.
 ძველი იმედის ძველ დაპირებით
 შეხვედრის წუთებს თრსოლვით მოველით.
 ძვირფას სამშობლოს შევეწირებით,
 სანამ წმინდაა სული ცხოველი.
 ო, მეგობარო! იგი იალებს
 თავისუფლების მზე უნახველი:
 ძველი რუსეთი გაახელს თვალებს—
 თვითმყრობელობას შავ ნანგ რევებზე
 აღიბეჭდება ჩვენი სახელი!

ცემენტი*)

რომანი

II

წითელი თავსაფარი

I

ჩამჭრალი კერა

გლებს სახლში არ მოუსვენია: ეს მივიწყებული კუთხე მტვერიან სარკმლით (ბუნიც კი არ იყო ოთახში), მოურეცხავ იატაკით და ერთ ადგილას თავმოყრილ ჩურებით, იყო უცხო, უკაცური და სულის შემხუთავი: კედლები გულს აწვებოდა და არსად არ იყო ისეთი ადგილი, რომ კაცს სული მოეთქვა. ორი ნაბიჯი წინ და:—კედელი, მარჯვნივ:—კედელი, მარცხნივ:—კედელი. საღამომობით, როცა ოთახში ბინდები შემოწვებოდა, კედლები კიდევ უფრო ვიწროვდებოდნენ და ჰაერი ისე იხუთებოდა და დედდებოდა ოთახში, რომ ხელს მოკიდებდი. მაგრამ მთავარი ის იყო რომ ოთახი თავვეებს ჰქონდა აკლებული და სახლში არ იყო მისი მეოჯახე ცოლი დაშა.

გლები სახლში ვერ იცდიდა და მთელ დღეებს ჩამჭრალ ქარხანაში და ჩირგვებ მორეულ ქვის სატეხებში ატარებდა. დადიოდა, იჯდა, ფიქრობდა...

ღამით ისევ სახლში ბრუნდებოდა: დაშა მაინც არ იყო,—არ მოელოდა მას სახლში მოსიყვარულე ცოლი უწინდებურად კარების ზღურბლზე შემოგებულს, ისე როგორც მაშინ, იმ დროს, როცა ის საამქროდან მუშაობით დაქანცული ბრუნდებოდა ხოლმე. მაშინ ოჯახში იყო მყუდროება და ალერსი. ფანჯრებზე ჯუკანეთის თხელი რიდეები ეკიდა, დასტანდაზეზე დადგმული წითელი ყვავილის ქილები თვალს ახარებდა, გაწმენდილი იატაკი სარკესავით საქსაქობდა ელექტროს სინათლეზე და თოვლივით თეთრი სუფრა და ლოგინი თვალს დართვილულივით სასიამოვნოდ ხვდებოდა. წკრილობდა ქურჭელი და სამოვარი იორთქლებოდა... მაშინ აქ ყველაფერს დაშას მზრუნველი ხელი ეტყობოდა,—როცა ის:—მღეროდა, სწუხდა, იცინოდა, ზრუნავდა ხვალინდელ დღეზე და ცოცხალ ტიკინას,—პატარა ნიურკას ეთამაშებოდა. წარბები კი, ეს წარბები იმთავითვე იხუშებოდა რაღაც უცნაურად და ამ წარბებიდან, სიყვარულში და სინაზეში, მაშინაც გამოჰკრთოდა მისი ეს ჯიუტი ხასიათი.

*) იხ. „მხათობი“ № 1.

ეს იყო. აღარ არის. ყველაფერი ეს ახლა ჰგავდა სულ ახლახანს ნახულ სიზმარს.

და იქ, შიგნით გული სტკიოდა ვლებს, ეთანაღრებოდა და ვერცხვობდა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ წარსულში იყო და წინ კი არაფერი არის. ბრაზობდა, სძულდა ყველაფერი, იმიტომ რომ მისი ბუდე-ბუნაგი მთლად გაჩანაგებულიყო, და ობი და ხავსი გადაჰკროდა.

იქ, სადაც თავგები ცურცლას ჰყრიან, მოსვენება არ შეიძლება.

ნაშუალამევეს დაშაც მოვიდა,—აღარ ეშინია მას ახლა ღამით ქარხნის მივარდნილ და ბნელ შესახვევებში მარტო სიარულის.

ჭვარტლიან ღამის თითებით დასვრილი შუშის ბუშტში სინათლე მკრთალად იბუტებოდა და ქერში ეკიდა უქმად ბინდდაკრული თეთრი აბაჟურიანი ელექტროს სანათური.

გლები ლოგინზე იწვა და თვალებ მილულული დაშას უცქეროდა.

არა, ეს ის დაშა არ არის, იქ რომ იყო,—ის დაშა მოკვდა. ეს—სულ სხვა ვინმეა; მზისაგან დამწვარი, გაცრეცილი სახე, ნიკაპი ჯიუტი და მაგარი. თავი წითელ თავსაფარით წაუკრავს და ამის გამო მისი თავი კიდევ უფრო დიდი და ცუცხლივით ანთებული მოსჩანს.

აი ის მაგიდასთან მივიდა და თავსაფარი მოიხადა—თმები: მოკლე, შეკრეპილი,—იდგა იგი და თან ულუფის პურის კანს ჰღებდა, ერთხელაც არ მოუხედავს მისკენ. გლები კი იწვა, უცქეროდა მილულულ თვალებით და კარგად ხედავდა, როგორ იყო მისი სახე მოქანცული და ყურადღებით დაზიდული, იდგა ისე, თითქოს კრიკა ჰქონდა შეკრული.

ბოლოს გადასწყვიტა:

— ერთი ეს ამბავი ამიხსენი, თუ შეიძლებოდეს, დაშა! მე არმიაში ვიყავ—ეს ერთი. ომებშიც ვიყავ, ვიბრძოდი, ჩემთვის არც ბინა იყო საკუთარი და არც დრო და მოცალეობა—ეს მეორე. აი, როგორც იქნა, მოველ ჩემს ოჯახში—და იქ არც შენ დამხვდი. გიცდი, არ მძინავს მთელი ღამეები და თეთრად ვათენებ, ერთი სიტყვით, ვარ ასე გაძაღლებული. ჩვენ ხომ სამი წელიწადია, რაც ერთიმეორე არ გვინახავს!

დაშა არც შემკრთალა მის ღაპარაკზე—იყო ისევ ისეთი, როგორც მოვიდა. და მერე, როცა ღაპარაკი დაიწყო,—არც შეუხედავს მისთვის.

— მართალია, გლებ, სრული სამი წელიწადია!...

— ჰო და აი, შენ სრულებით არ გიხარია ჩემი დაბრუნება. რაშია საქნე, რა ამბავია?... გახსოვს ის უკანასკნელი ღამე, როცა მივდიოდი?... მე ვიყავ ნაცემი და ჯერ კიდევ არც ვიყავ ბურანისაგან გამორკვეული. გახსოვს, მე მაშინ სახლის თავანზე ვიყავ დამალული, ვიწვეტი მძიმედ დაშავებული და შენ ისე მივლიდი, როგორც საყვარელ ბავშს. რა მოხდა ახლა, რა დაგემართა?...

— მართალს ამბობ, გლებ, მე ახლა ოჯახს არ ვეკუთვნი,—მე ის აღარ ვარ, რაც ვიყავ.

— ჰო და აი... მეც მაგას ვამბობ...

— ის, ჩვენი ოჯახი მე დავიწყებას მივეცი, გლებ. მართალი ვითხრობ, არც მენანება. მე მაშინ სულელი ვიყავი.

— აჰა!.. კეთილი. როგორ ფიქრობ ახლა შენ, სად უნდა იცხოვროს ჩვენ? ნუ თუ ამ აშშ-ში თაგვის სოროში?

დაშამ წარბები შეიკრა, გლებს დააშტერდა და ასე დაშტერებული, ორივე ხელებით მაგიდას დაეყრდნო. (ქუჩიან მაგიდაზე არაფერი არ იყო გადაფენილი).

— შენ გინდა, გლებ, რომ ჩვენს ფანჯრებში ისევ ისე ჰყვოდნენ ბალახები, არა?.. ლოგინი ბალიშებით გინდა რომ იყოს აფუებული, ხომ? არა, გლებ. ახლა მე სულ სხვანაირად ვცხოვრობ, ახლა მე ზამთარში გაუთბობელ ოთახში მძინავს (იცოდე რომ ახლა სათბობი მასალის კრიზისია), სადილად კი სახალხო გამოკვების სასადილოში დავდივარ. განა არ ხედავ, რომ მე თავისუფალი საბჭოთა მოქალაქე ვარ?!.

ლაპარაკობდა ის და არ უცქეროდა გლებს უწინდელივით, როცა ის პატარძალს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოლს. აი დგას ახლა ის მის წინ ძარღვიანი, უტეხი და თავისი თავის ფასის მცოდნე.

გლები წამოიწია, ლოგინზე წამოჯდა და მის თვალებში, იმ თვალებში, რომელთაც ნახული ჰქონდა მრავალი სიკვდილი, გაჭირვება და სისხლი, გამოჩნდა შეწფოთება. იგრძნო— ის ახლა სულ სხვანაირად უნდა მოპყრობოდა ამ ქალს, მაგრამ არ იცოდა როგორ.

— ნიურკა?.. ნიურკა სად არის? თუ ისიც ისევე გადუგდე ლორებს შესაქმელად, როგორც ის ყვავილები?.. კარგი საქმეა, შენ ნუ მომიკვდები!

— ოხ, რა სულელი ხარ შენ, გლებ, რა სულელი!..

სთქვა და გაბრუნდა. მაგიდას ისე მოშორდა, თითქოს გლები აქ არც კი არსებობდა.

ღამის უკუნეთში ფანჯარაში მოიხმოდა ხეობიდან წრომის ობოლი ძახილი: წრომ-წრომ!.. და იატაკ ქვეშ ხმაურობდნენ ვირთხები.

— მაშ ასე... კეთილი და პატიოსანი. იყოს ნიურკა საბავშო სახლში. მაშინ ხვალ მე წავალ საბავშო სახლში და მოვიყვან.

— როგორც გინდა ისე მოიქეცი, გლებ. მე რა მაქვს საწინააღმდეგო: შენ მამა ხარ. მე დრო სრულებით არა მაქვს და მაშინ შენ უნდა მოუარო, აქამო და ასე იმას... ხომ ასეა?..

— და განა შენ ოდნავი სიყვარულიც არ დაგრჩენია მისი?

— მოდი, გლებ, ლოგინი გავიყოთ, ისა სჯობია: მე თავიქვეშ დასადები არაფერი მაქვს.

— მაშ კარგი. რაბან ასეა, კამათი გავხსნათ. პირველ სიტყვას მე ვიღებ!..

— ციდან ხომ არ ჩამოვარდნილხარ შენ, გლებ? არავითარი კამათი და არავითარი სიტყვა აქ არ შეიძლება. გაჩუმდი!

გლები ადგა და კარებთან მივიდა. ისევ იგრძნო ოთახში სივიწროვე: კედლები გულს აწვებოდა და იატაკი ფეხქვეშ კრაქუნით იხნიქებოდა.

უცქეროდა დაშას. ცოლმა მარჯვედ და სწრაფად დაბერტყა ლოგინი.

მკლავზე საბანი გადიგდო და არც მოუხედავს მისკენ ისე გაიწყო თავისთვის კუთხეში ცალკე საწოლი, და როცა კაბა გაიძრო, ქმარს ღიმილით შეხედა — ყოველ შემთხვევაში, გლებს მოეჩვენა, რომ ცოლმა გაუღიმა.

ახლა ერთი მთავარი საკითხი იყო გლებისათვის გადსწავლას სიყვარულად თუ არა მას თავისი ქმარი უწინდებურად, ქალურად, თუ მოკვდა ეს სიყვარული და ამ სიყვარულთან ერთად ჩაჰბარდა ისიც, დაშა, წარსულს.

გლებს ვერ გაეგო, რა უფრო სჭარბობდა მასში: ქალური სიჯიუტე, თუ ეს მტრული მორიდება, არ ესმოდა, როგორც ხვადს ისე აღიზიანებდა მას, თუ გათავდა მათ შორის ყოველივე.

წავიდა დედაკაცი ოჯახიდან და თან გაჰყვა სასიამოვნო სუნი ქალის სხეულისა და ოჯახური მყუდროება. ვის ათბობდა იგი და ვის ვალერსებოდა თავისი ტანით ამ სამი წლის განმავლობაში? განა შეეძლო მას, ჯანმრთელსა და ძვალმსხვილ, მწიფე დედაკაცს, უმამაკაცოდ ცხოვრება, როცა მთელი ამ სამი წლის განმავლობაში ის მჭიდროდ იყო საერთო მუშაობით მამაკაცთან გადახლართული? სად შეუნახავდა მას თავის ქალობასა და ცოლურ სიყვარულს! მან უექველად გაჰფლანგა იგი შემთხვევითი ვნებათა ლელვებში. იქნებ, ამისაგან არის გამოწვეული ეს განდგომა და ცივი უკარებლობა? — იფიქრა გლებმა და ამ ფიქრზე სისხლი ყელში მოაწვა, თვალები რისხვით აენთო.

— დიახ, მოქალაქე, ეს იყო, ოდესღაც... ვეთხოვებოდით ერთიმეორეს, ვტიროდით, შევიყარეთ ერთად და ახლა სათქმელი სიტყვაც ვერ გვიპოვნია. ამ სამი წლის განმავლობაში ჩემი ფიქრი მუდამ ის იყო რომ მე მყავდა ერთგული ცოლი, რომელიც აქ იყო... დაშკა... ვფიქრობდი რომ ის მომელოდა და ათასი სხვა... მოველ და დაწყევლილი ადგილი დამხვდა აქ. თითქოს ცოლი არც კი მყოლოდეს, თითქოს მე სიზმარში მყავდა ცოლი... ქმრები სხვები იყვენ — შე კი: არა. განა ეს სიზმართლე არ არის?

დაშა მობრუნდა, ქმარს გაკვირვებული თვალებით შეხედა და თვალებში ისევ ისე გამოჰკრთა ის ცივი ღიმილი.

— და განა შენ იქ არ ცხოვრობდი სხვა ქალებთან? გამოტყდი, გლებ. მე ხომ არაფერი ვიცი: ჯანსაღი ხარ შენ თუ ავადმყოფი. რა ვიცი მე, იქნებ, დამპალი სისხლით მოხველი. შითხარ, გლებ!...

ლაპარაკობდა ის და ის ღიმილი მაინც არ შორდებოდა მის სახეს. ეს ღიმილი ხვდებოდა კედელს, კედლიდან ისევ მას და მის შავ ეშხიან თვალებში აღმური ნელნელა ენთებოდა. დაშამ ყოველივე ეს ისე აგდებით სთქვა, როგორც მოსაწყენ რამეზე. დაშას ამ სიტყვებს ანკესივით წამოეგო გლები და თავი ვერ გაინთავისუფლა. ყოველივე ის, რასაც ის ასე მალავდა, — იცოდა დაშამ: აღმოჩნდა რომ დაშა მას კიდევ უფრო კარგად იცნობდა, ვიდრე ის თავის თავს. და ამის გამო, რომ დაშა ჯერ კიდევ შორიდან მიუხვდა მას ყოველივეს, გლებმა დაჰყარა იარაღი და ეს მამაცი მხედარი მოეშვა, ღონე მოელო და იდგა ასე.

გამოერკვა. ტკივილი გულს ჩაიკლა. თვითონვე გაეღიმა თავის თავზე და ნერწყვთან ერთად მოწოლილი ბოლმა გადაყლაპა.

— მაშ კარგი, გეტყვი, გამოგიტყდები: იყო ასეთი შემთხვევებიც... ვაჟ-

კაცს ფრონტზე სიკვდილი ზურგით დააქვს... ქალები, — სულ სხვა საქმეა, ცოლი
კი, — სულ სხვა.

დაშამ ტანთ მთლად გაიხადა, მაგრამ არ დაწოლილა — კედელს მისწვებოდა, მას უკვე აღარ სცხვენოდა მისი. პერანგ ქვეშ გამოჩნდა მისი მკერდი — მსუქანი და მუცელი. გამოცდილ თვალებით გვერდიდან გადმოხედა და ამ თვალებმა გასერა გლების გული. დაშამ ისევ ისე ავდებულად და ბუტბუტით სთქვა:

— კარგი საქმეა, შენ ნუ მომიკვდები: ქალი სხვა საქმე არის, ხომ? აი ბედი! — იყო შონა და არავითარი საკუთარი სურვილები არ გაგაჩნდეს: უღელში კი არა, საყვეარში იყო გამობმული!.. ერთი მითხარ, ამხანაგო გლებ, რომელ კომუნიზმის ანაბანაში ისწავლე შენ ეგეთი ამბები?

ამ სიტყვების თქმა და — გლებს სისხლი თავში აუფარდა: ტყუილ-უბრალოდ კი არ უგრძნობდა გული! ის... იმისი დაშა... მისი ცოლი... ვინ ათრობდა მისი ალერსით თავის საკუთარ ღამეებს და ვისი მოხეტქილი სისხლით ათრობდა ის თავის, ისედაც მთვრალსა, ვნებით აჩქეფებულ სისხლს?..

ცოლს მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა და პირუტყველ თვალებით ოდნავ გალიმებულ სახეში პირდაპირ შეხედა.

— მაშ ასე — სიმართლე არის არა, ეგ სიტყვები?

გულს სისხლი გადაევლო, კუნთებმა ტოკვა დაიწყეს.

ის, — მისი ცოლი, დაშა...

ფანჯარაში სულშეხუთული ვარსკვლავიანი ღამე მოსჩანდა. კრიჭინებდენ ღამის მწერები და იქ ქარხნის უკან, პირსებთან — ფოსფორიულად ანათებდა ზღვა. ტალღებს ნაპირზე მხუილით ახეთქებდა და ეს: თითქოს ზღვა კი არ ხმაურობდა, არამედ ჰაერი, მთები და ქარხნის ბუხრები.

— აბა, ერთი ბრძანეთ, ქალბატონო, ვისთან გორობდი შენ ამ სამი წლის განმავლობაში? ვის ეალერსებოდი, ამ ხელებით?

— მე ხომ არაფერს გეკითხები, გლებ, შენ ქალებზე? მაშ რა გინდა შენ, რათ ერევი ჩემ საქმეებში. მომცილდი, გლებ, დამშვიდდი...

მაშ კარგი, ხომ ეგრე, დაშა... მაშ იცოდე რომ ყველაფერს გავიგებ... ყველა შენ საიდუმლოებს გავიგებ... არ დაგავიწყდეს!

დაშა კედელს მოსცილდა და გლებს თვალები თეთრად შეანათა.

— ნუ მიცქერი ეგეთი თვალებით, გლებ. იცოდე, არც მე შემიძლია შენზე ნაკლებად თვალების ქაჩვა. წადი შენ ადგილას და ძალას ნუ მატან.

მოსისხლე მტრები: დაშა — ნალვერდალივით ანთებულ თვალებით, გლები — მოსული, ზორბა და კრიჭაშეკრული.

ნუ თუ ეს ის დაშა არის, ასე ბოროტად, ქედმოუხრელ ძუსავით რომ იცქირება, თუ ის აქამდე ვერ გრძნობდა მის ნამდვილ სულისკვეთებას, უწინ დამალული რომ იყო და ახლა, ამ სამი წლის განმავლობაში გამოირკვა და ასე გახდა იგი ჯიუტი და ქედმაღალი.

სად მიიღო, ვინ მისცა მას ეს ძალა და ღონე?

არა ომებში, არა ზურგზე მოგდებულ ტომრით სოფელ-სოფელ წანწალში

და არა დედაკაცურ მზრუნველობაში ჰპოვა მან ეს ძალა, ^{წარმედ} ~~ორ~~ ტელის საერთო მაჯისცემაში, ცეცხლიან წლების ტკივილებში და ქალის განთავისუფლების აუტანელ სიმძიმეთა განცდის ქვეშ მოიპოვა მან ეს ~~შეუღრმე~~ ^{შეუღრმე} ძალ-ლონე. მოსთოკა იგი თავისი ნებისყოფის ქედმაღლობით და ის, — სამხედრო კომისარი, — დაიბნა ბავშივით.

თავისთავად მოხდა: უეცრად ქალი მოხუშა მკლავებში და ხერხემალში გატკაცუნდა რალაც.

— სთქვი: სიკვდილი თუ სიცოცხლე?

— თავი გამანებე, გლებ! ხომ იცი რომ ძალით ვერაფერს გაიტან. განა შენ ადამიანი არა ხარ, გლებ?

გლების მკლავებში გველივით იკლაკნებოდა ქალის სხეული და მზად იყო თავგანწირულ ნახტომისათვის.

— მაშ მითხარ, სად დაკარგე შენ ქმრის სიყვარული?... მითხარ... რა უყავი?..

— უკანასკნელად გთხოვ, გლებ, დამეხსენი, თორემ მეც ვიბრძოლებ, გლებ... ვიბრძოლებ...

ამ სიტყვებზე გლებს თავში სისხლი აუვარდა, თვალთ დაუბნელდა, ცოლი ხელში ბავშივით აიტაცა, ლოგინთან მიიტანა და მასთან ერთად წაიქცა, — ტანზე პერანგი შემოახია და ლონიერ მკლავებს ჰხვევდა ობობასავით, ჰბლუჯავდა ხელებით. ქალი იკლაკნებოდა, იბრძოდა ხმისამოუღებლად კბილ დაღრჭენილი და მისი სხეული თრთოდა უსირცხვილოდ გაშიშვლებული და დაგრეხილი. მერე, როგორც იქნა, მოახერხა, მკერდში წიხლი ჰკრა, ლოგინიდან ძირს ჩააგდო და კატასავით მოქნილი კარებისაკენ გადახტა. იდგა იგი კარებთან შემოხეულ პერანგით და სცდილობდა რომ ქმრისათვის არ შეეხედა თვლებში.

— თავი გამანებე, გლებ, თორემ ინანებ. იცოდე, რომ მე უკვე მივეჩვიე თავდაცვას და იმედი ნუ გაქვს. დაწეჭი და მოისვენე. ასეთი ლაპარაკი შენ ჩემთან აღარ გამოგადგება. მართალია შენ მამაცი მხედარი ხარ, მაგრამ აზრს მაინც ვერ დაიპყრობ...

გლები ჰგრძნობდა როგორ სკდებოდა მის სულში დამწიფებული ბალღანიანი მუწუკები და ამიტომ სულის ტკივილი კიდევ უფრო მძიმე და აუტანელი იყო.

ცემაც რომ არ შეიძლება! ცემა მხოლოდ ომში უნდა, *ოჯახში, — სულ სხვა ამბავია. სად იმალება, ნეტავ. ეს მტერი, სულის რომელ კუთხეში არის იგი მიკუნჭული?

ზურგით ლოგინს მიყრდნობილი იჯდა ის იატაკზე და ტკივილისაგან სულ-შეჭივრებული კბილებს ახრქიალებდა.

დაშამ წარბები შეაკრთო სახეზე, ოდნავ გაიღიმა ისევ და მერე თავის საწოლისაკენ გაემართა კუთხეში.

— ლამაზა ჩააქრე, გლებ, დაიძინე: შენ მოსვენება გჭირია, — დაღლილი ხარ და ამიტომ ხარ ასეთი ფიცხი. მოისვენე.

— დაშა, ჩემო საყვარელო, სად არის ჩვენი სიყვარული, რა უყავ იგი? თუ ეშმაკად და ქაჯად გადავაქცია მაგ შენმა მუშაობამ და ქალობა სულ მთლად დაჰკარგე?

— დაწევი, გლებ, დამშვიდდი. არც მე შემიძლია, — დაღლილი ვარ მუშაობით. ხეალ მე ისევ მივლინებაში მაგზავენის სოფლად ქალთა ორგანიზაციის გვლივ კი ბანდიტებია, ავაზაკები. დაზღვეული ხომ არა ვართ ჩვენს საგან. სისულელეებს თავი დაანებე, გლებ!..

მაგიდასთან მივიდა და სინათლე ჩააქრო. დაწვა, აშმაწურდა ლოგინში, მერე მიყუჩდა და გლებს უკვე აღარ ესმოდა მისი სუნთქვა.

იჯდა სიბნელეში და ელოდა.

სულში იყო განუზომელი ტკივილი და შეურაცყოფა. საყვარელი და შორეული დაშა.

უცდიდა მის ხმასა და გულის ცემას. უცდიდა როგორ მოვიდოდა დაშა მასთან ფეხაკრებით რბილად, ისე, როგორც უწინ, როგორ ჩაიკრავდა მის ვაკეცურ თავს ტუძუებში და დაიწყებდა ალერსიან ჩურჩულს ისე, როგორც დედა და ცოლი, მაგრამ ამოდ.

ის იწვა იქ ცალკე, სულ სხვა, დახურული სულით. ის კი მარტოა, მიტოვებული ობლად ამ განუსაზღვრელ სვედაში და კაეშანში.

წამოდგა, ლოგინს წყნარად მიუახლოვდა, ზედ ჩამოიჯდა და ხელი მხარზე დაადო.

— დაშა, მომეალერსე, დაშა, მომეფერე, ისე როგორც უწინ... მე ხომ ცეცხლში ვიყავ, სისხლის მორევეში ვბანაობდი და არ ვიცი რა არის ნამდვილი ალერსი!..

და აი, როცა გლებმა ეს სთქვა, დაშამ აიღო მისი ხელი და ძუძუსთან ალერსიანად მიიტანა.

— რა სულელი ხარ შენ, გლებ, რა სულელი... ამოდენა ვაკეცვი ხარ, ასე ღონიერი და ასეთი სულელი... ნუ, გლებ, ნუ... ახლა არა, გლებ: მე ახლა არა მაქვს ალერსის ღონე... არ შემიძლია... დაწყნარდი... მე და შენი დროც მალე დადგება. ჩემი გული გაცივდა, გლებ, მას არ შეუძლია ალერსი, შენ კი ისევ ცხელი ხარ, ფიცხი და მე არა მაქვს ახლა საშენო ენა. წადი, დაიძინე...

გლები წამოდგა, მუშტი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჰაერში მოიქნია და თავის ლოგინში მძიმედ ჩაეშვა.

— მაშ კარგი... რახან ასეა, მე ყოველივეს გავიგებ... მაშ მე კაცი არ ვიქნები, თუ არ გავიგო... ფრთხილად იყავ მაშინ... კარგი, შენი ნება იყოს... იცოდე რომ ეს პირველად არის რომ მე ვინმეს ვემორჩილები... გახსოვდეს...

დაშა ხმას არ იღებდა, ჩუმად იყო იგი, მთლად ცივად, ასე აბლობელი და შაინც უცხო.

2

საბავშვო სახლი

დილით, გლები ჯერ კიდევ ძილის ბურანში იყო, რომ იგრძნო: თავის ოთახშია. — არა, ეს ოთახი კი არა, რაღაც ბნელი ჯურღმულია, ოთახში ირწევა, როჩინოზს გაზაფხულით დამთვრალი სიო. თვალი აახილა: — თანჯარაში მზე ანათებდა. დაშა მაგიდასთან იჯდა და თავს წითელ ცახოცით იკრავდა.

ხანდახან გლებს გადმოხედავდა და თვალებით უცინოდა.

— ამდენი ძილი ჩვენ არ გამოგვადგება, გლებ. უკვე უკვე ხანდა ერთ მზე დალაბანდივით სცემს ფანჯარაში. მე უკვე მოხსენება დაგამზადე, გაწყობილებაში საბავშო ბაგების შესახებ, ამას გარდა ბარგი-ბარხანისა და საცვლებს ანგარიშიც შევადგინე. ანგარიში კი შევადგინე, მაგრამ ფული რომ არსად არის. პარტკომს უნდა მიემართოთ, იქნებ ბურჟუაზია აიძულოს როგორმე. ამიერიდან მე კიდევ უფრო მეტი საქმე მექნება... ნიურკას ნახვა არ დაგავიწყდეს. თუ გინდა ერთად წავიდეთ, საბავშო სახლი აქვე არის, ჩვენ მახლობლად.

— კარგი. წავიდეთ... მე მზად ვარ!.. აბა ერთი, დაშკა, ცოტა ჩემკენ მოიწიე...

— ესეც მოველი... რა გინდა?..

— მომეცი ხელი. აი ეგრე. მეტი არაფერი. უწინდელი დედაკაცი და ახლანდელი დაშკა. რა იცი შენ, იქნებ, არც მე ვარ ის ძველი ზეინკალი. მაშ კარგი... კეთილი და პატიოსანი... ვისწავლოთ. ახლა მზეც სხვა გვერდით მუშაობს.

— მართალია, გლებ: ახლა მზეცა და ლუკმა-პურიც სხვა არის. მე შენ გიცდი, — ცოტა აჩქარდი.

საბავშო სახლამდე დაშა გლებს წინ მიუძლოდა და ტყისა და ბუჩქების სიმალღეში ხან იმალებოდა და ხან ჩნდებოდა მისი ცეცხლივით წითელი თავსაფარი. გლებს გულმა უგრძნო, რომ ის განგებ სჩადიოდა ამას, გაურბოდა მას — იქნებ, აღიზიანებდა? თუ ეშინოდა მისი?..

ამხ. კრუპსკაიას სახელობის საბავშო ბაღი დგას იქ, ხეობაში და ის სულ მთლად ბაღის ანწვანებულ ხეებში არის ჩაძირული. ფართოდ გაშლილა ბუხრის თავებიანი წითელი სახურავი. კარებივით უხარმაზარი ფანჯრები გაღებულა და მოისმის იქიდან ბავშვების ჩიტებივით ჟრიამული. სახლი ორსართულიანია და ყოველ სართულს თავისი აივანი აქვს და ამ აივანზე მწიფდება ნესვებივით მზეზე ბავშვების ნორჩი თავები, სახეები კი — შორიდან მოსჩანს — გამხდარი და გაძვალტყავებული. ვინ არიან ისინი: — ბიჭები? გოგოები? — კაცი ვერ გაიგებს, ყველას გრძელი ნაცრისფერი პერანგი აცვია. ძიძებიც ნაცრისფერი არიან, თეთრ ცახოცებით თავწაკრულნი.

მარჯვნივ კი, კორპუსებს უკან და თვითონ კორპუსებზედაც ზღვა ცისფრად სდულს და ჰერის თვალის მომჭრელ ჩინჩხლებს. პირსებიდან და კაბოტაეიდან შავ კრაზანასავით მიჰქრის ზღვაზე ნავთსადგურის კატერი და მისდევს უკან უხარმაზარი წყლის ზედაპირზე დატოვებული სამკუთხედი. გავარვარებული პაერი ოქროს სიმებივით წკრიალობს. ეს — ფუტკრები და ბუზები ზუზუნებენ.

აი: — მთები, ზღვა, ქარხანა, ქალაქი და სიშორეები, ცისკიდურს იქით რომ მიიშართებიან და თვალს რომ ვერ გადაუწვდენ, — მთელი რუსეთი — ჩვენ... ყველა ეს — მთები, ქარხნები და გატყორცნილი სიშორეები — ჰგალობენ თავის წიაღში შრომის სუფევას... და განა ჩვენი ხელები, ჩვენი მკლავები არ სთრთიან დიადსა და დაჟინებულ შრომას მოწყურებულნი?.. განა ეს ჩვენი გული არ არის, მოვარდნილ სისხლს რომ ვერ უძლებს?.. ეს — მუშათა რუსეთი არის, — ეს ჩვენა ვართ, ეს — ის ახალი ცთომილია, რომელზედაც მთელი კაცობრიობა

ოცნებობდა ამდენ ხანს... ეს—მხოლოდ დაწყებაა, ეს—მხოლოდ პირველი სუნთქვა არის გადამწყვეტ დაკვირის წინ. არის. იქნება. ჰქუხს და გუგუხუნებს დაშა ყვავილების ქილებთან იდგა კიბეზე, — უცდიდა გლებს და ღრმად სუნთქავდა.

— ხედავ, გლებ, რა კარგი ჰაერია, ზღვასავით... ნიურკა მეორეში ცხოვრობს.

გლებმა ჯერ კიდევ ვერანდიდან დაინახა ძირს ბავშვები, — გაზაფხულის დილის ჰაერზე ახალგაზდა ალორთქილ მწვანე, ხეებში დახტოდენ ისინი, თამაშობდნენ ქარხნის თხებივით, ჩხუბობდნენ, სტიროდნენ... ეყარნენ მიწაზე, — სთხრიდნენ საჩქაროდ, ჩუმად, ხმის ამოუღებლად და თან თვალებს აცეცებდნენ. სთხრიან, სთხრიან და მერე ყველა აირევა უეცრად ერთი მეორეში, ჰგლეჯენ ხელში ერთი მეორეს რალაცას მიწაში ნაშოვარს. რომელიც ყველაზე ღონიერი და მოქნილია, პოვნისთანავე დასტაცებს ხელს, უეცრად ყირაზე გადავა, მოსცილდება მათ და სქამს ხარბად, ინერწყვება. აი იქ, ერთად შეჭურული ბავშვები, ნეხვში იქექებიან.

გლებმა სიმწრით კბილები ააკრაქუნა და მუშტი, რაც ძალი და ღონე შესწევდა მოაჯირს დაარტყა.

— ესენი, — ყველა ეს ლეკვები, სიმშლით გაწყდება, დაშკა. დასახვრეტი ხართ თქვენ ყველა ასეთი მუშაობისათვის... სათითაოდ დასახვრეტი...

დაშამ გაოცებულ თვალებით ახედა გლებს და მერე ისევ ძირს დაიხედა. გაიღიმა.

— ეს კიდევ არაფერია: უარესსაც მოელოდე. თვალუურს რომ არ ვადევნებდეთ, ყველა ერთ დღეს გაწყდებოდა. სახლები კი გავხსენით, მაგრამ საკმე-ლი კი არა გვაქვს. პერსონალი კი ოღონდ ნება მიეცი და ყველა ამ ბავშვებს ერთ დღეს გამოლადრავდა ყელს. თუმცა კარგებიც არიან...

— ნიურკაც ასეა?.. ჩვენი ნიურკაც?..

დაშამ გლებს თვალები მორჩილად გაუსწორა.

— რითია მერე ჩვენი ნიურკა სხვაზე უკეთესი? ნიურკასაც ხშირად დასდგომია შავი დღეები. ქალები რომ არ იყვნენ, — ბავშვებს ტილი და გადამდები სნეულება შესჭამდა, სიმშლი გასწყვეტდა ერთ დღეს.

— და ამის მერე მეტყვი შენ რომ დედაკაცების ქაქანმა გადაარჩინა ეს ბავშვები და ნიურკაც მათ შორის, არა?

— დიახ, ამხანაგო გლებ, სწორედ მაგან გადაარჩინა ისინი სიკვდილს.

როცა ისინი მთიდან ძირს ჩამოდიოდნენ, მაშინ ბავშვები ვერანდაზე იყვნენ და, როცა ვერანდაზე აღიოდნენ, — ბავშვებიცა და მათი მომვლელებიც უკვე დაიკარგნენ. ალბად ამბის მისატანად გაიქცნენ, რომ სტუმრების მოსვლა ეხარებინათ.

ხალაში — მზე და ჰაერი — დახუთული, ცხელი და ძილის მომგვრელი. საწოლები ორ რიგად არის გამწყვრივებული. ზედ თეთრი და ვარდისფერი პატარა საბნები არის გადაფარებული, ალაგ-ალაგ გამოხეული და დაკერებული. ბავშვებს ზოგს გრძელი ნაცრისფერი ხალათი აცვია, ან-და სულ მთლად ჩამოხეულ-ჩამოკონკილი არიან. ფერმიხდილნი და თვალის უპეებ ამოღურჯებულნი. მომვლელი

გადიები ვხად ზალაზე გადიან კარიდან კარში და კედლებზე გაქრული არის ბავშვების საკლუბო ნახატები.

გადიები ზალაში გაივლიან და გზაში მოწიწებით ჩერდებიან.

— გამარჯობა, ამხანაგო ჩუმალოვა!.. გამგე ახლავე მოგვინახული დაშა აქ არ ეწევა კარჩაკეტილ სამსახურს, ის აქ დიასახლისია.

— ნიურკა, მოდი, აქა ვარ!..

გროძელხალათიანი გოგონა (ის ყველაზე პატარაა) ირევა ბავშვებში და დედასთან წივილითა და სიცილით მორბის. ბავშვებიც ყოვანი, მოხტიანი მასთან ერთად ფეხშიშვლები და თვალები კურდღლის ბაჭიებივით აქვთ დაჭკეტილი.

— ძალუა დაშა მოვიდა!.. ძალუა დაშა მოვიდა!..

ნიურკა, ხელაგ შენ ამ ეშმაკის ფეხს როგორია?—სრულიად გამოცვლილა: უცხო, სულ სხვა, მაგრამ მაინც არის მასში რაღაც მახლობელი.

დედას გამოქანებული ჩაეხუტა, შეეხარდა მას ზედ, აეტმასნა და ფართხალობს ჩიტივით მის უბეში, წივის, იცინის, ცეკვავს.

— დედა, დედა!.. ჩემო დედა!..

დაშაც იცინის, შვილს ხელში იტაცებს, ტრიალებს მასთან ერთად, ჰკოცნის და ისიც ისე ჰკივის, როგორც ნიურკა.

— ჩემო ნიუროჩკა!.. ჩემო გოგონაე!..

— ისევ ის დაშა—ის,—სახლში რომ იყო ოდესღაც; მაშინ, როცა ისა და ნიურკა ერთად რომ ეგებებოდნენ კარებზე მომდგარი მას, სამუშაოდან დაბრუნებულს. სინაზე, ალერსიც—ისევ ის,—თვალეები ნამიანი, წკრიალა ხმა ოდნავ ნერვიულ კანკალით...

— აი,—მამაშენიც მოვიდა, ნიურა... აი... შეხედე... გახსოვს მამა?..

ნიურკამ დამფრთხალი თვალეებით ახედა მამას, მერე უეცრად ჩაიშშუშნა და უცქეროდა გლებს უკაცური ცნობისმოყვარეობით.

გლებს გაეცინა, ხელი გაუწოდა და უეცრად იგრძნო, როგორ მოაწვა ყელში რაღაც.

— მოდი, მაკოცე, ნიურა... რამოდენა გამხდარხარ!.. დედას ოდენა გაზრდილხარ!..

ბავში უკან მიაწყდა, დედას აეტმასნა და უცქეროდა მამას, თვალს არ აშორებდა.

— ეს მამაა, ნიურა!..

— არა, ეს მამა არ არის, ეს წითელარმიელია.

— მერე რა უყოო, მე მამაც ვარ და წითელარმიელიც.

— არა, ეს მამა არ არის მამა. მამა მამას ჰგავს და არა ბიძიას.

დაშას ცრემლმორეული თვალეები უცინის. გლებს სიცილი ყელში უწყდება მოწოლილ ბოლმისაგან.

— მაშ კარგი, იყოს ახლა ასე—ნუ ვიქნები მე მამა. შენ მაინც ჩემი შვილი ხარ მოდი ამხანაგები ვიყოთ: მეორეთ რომ მოვალ, შექარს მოგიტან. მიწას გავხვთქ და მოგიტან. რითი მჯობია მერე მე დედა? შენ აქ ხარ და ის-იქ.

— დედა მუდამ აქ არის: დღეც აქ არის და, როცა დღე არაა, მაშინაც აქ არის. მამა კი—არა. მე არ ვიცი სადაა მამა, მამა ბურჯუებს ეომება...

— აბა, ყოჩაღ, ყოჩაღ... მაშ მოდი ერთი გაკოცო.

ბავშვები შემოეხვივნენ ირგვლივ, გლებს უახლოვდებოდნენ, იცინოდნენ და ხარბად ელოდნენ დაშას ალერსიან ხმასა და ხელებს. ბიჭებივით თმა შეკრეჭილი პატარა გოგოები დაშასკენ მოიწევდნენ, ერთი მეორეს ხელს უშლიდნენ. მის კონები ეჭირათ და ცდილობდნენ ერთიმეორისათვის მოესწროთ და ყველაზე უწინ ჩაედოთ დაშასთვის კალთაში.

— ძალუა დაშა!.. ძალუა დაშა!..

სადღაც მოშორებით, ოთახში, პიანინოს აბარტყუნებდნენ და სხვადასხვა ხმით მღეროდნენ ბავშვები კვინიხში ატანილ ინტერნაციონალს.

თავისუფალი ხალხის ვართ შეილნი

შრომის კომუნის ნორჩი ყვაფილი!..

დაშა იცინოდა. თავზე ხელს უსვამდა ბავშვებს და, ეტყობოდათ, რომ ისინი ისე იყვნენ მიჩვეული ამ ალერსს და ისე მოელოდნენ მას, როგორც საკმელს.

— აბა, ბავშვებო, მითხარით, რა სჭამეთ, რა დალიეთ, ვინ არის დღეს მამლარი და ვინ მშიერი?..

და ამ სიტყვებზე ყველა ისინი ახმაურდნენ ერთხმად ჟრიაშულით და საერთო ღივილით უპასუხებდნენ. იფხანდნენ თავსა და ღლიავენს. აი ერთ მთლად დაქვარქნილ ბავშვს ცხვირზე წვინტლი ჩამოსდის, თხუპუნებს, ცისფერი თვალეზი დაუჭყეტია, მწვირიან პერანგ ქვეშ ხელი შეუყვია და იქექება რაც ძალი და ღონე აქვს. გლები მივიდა მასთან და პერანგი აუწია. ნახა: სისხლიანი ნაფხანი. ბიჭი გაიქცა და შეშინებული საწოლს უკან კუთხეში და დაიმალა გამოჩნდა იქიდან მისი თავი და დაჭყეტილი ბავშური თვალები.

— ა-ტა-ტა-ტა!.. აი ნამდვილი ვაჟკაცი—მაშინვე ბარრიკადებს აეფარა!..

დაშამ, გლებმა და ბავშვებმა სიცილი დაიწყეს და ამ სიცილზე მზეც კი იცინოდა ღია ფანჯარაში.

დაშამ ნიურკას ხელი ხელში ჩაჰკიდა და ისე წავიდა წინ რომ, ერთხელაც არ მოუხედავს გლებისაკენ. გლებს რაღაც ეტკინა შიგნით: დაშა და ნიურკა—ერთია და ის კი სულ სხვაა მათთვის, შორეული. დაშა და ნიურკას ხელი ხელში აქვთ ჩაკიდებული—ის დედაა, და ის აქ უფრო არის დედა, ვიდრე სახლში. ის კი აქაც და სახლშიც—მარტოა, უშვილო.

და აი აქაც უნდა დაიპყრას მან ეს ცხოვრება.

ყველა სართულები დაიარეს: იყვნენ სასადილო ოთახში—იქ კურკელი იყო და ბავშვები, სამხარეულოშიაც შეიარეს,—იღვა: საჭმლის სუნი და აქაც ბავშვები იყვნენ, კლუბშიც იყვნენ,—იქ სიცარიელე იყო, უთვისტომობა და კედლებზე იყო ტენი და ბავშვების ნახატები. ბავშვები ვილაც თმა შეკრეჭილ ქალიშვილის ირგვლივ შექუჩულიყვნენ და მღეროდნენ ყურთასმენის წამლებად ინტერნაციონალს.

მყოფად მსოფლიოს ჩვენ ვართ ყლორტები

და აყვავება ჯეჯილებსა...

დომანხა და ლიზავეტაც აქ იყვნენ მისი მეზობლები. გლებმა მათ სახეში რაღაც სხვა ამოიკითხა ისეთი, რაც მას უწინ არასოდეს არ შეუმჩნევია. ორივე

ისე არიან აქ, როგორც თავის საკუთარ ოჯახში. დომახა სამხარეთლოში იყო და საქმელის კეთებაში ეხმარებოდა მზარეულს. ხელებ დაკარგახებულ მუშაობდა ის ისე, როგორც თავის ოჯახში. დაშა გადაკოცნა.

— აი, ჩვენი ატამანიც მოვიდა. თუ ხათრი გაქვს, გეგნათლების განყოფილებას დაუცაცხანე შენებურად: უთხარი რომ საქმეს გაკეთება უნდა. სასურსათო კომიტეტს კი შუბლი დაუჩეჩქვე: სად გაგონილა რომ ბავშებს მატლებითა და ვირთხების ცურვლით ჰკვებავდნენ?! რა, ისევ შემოგჩინდა შენი კაცი? ჩემი—ჯერ არ ჩამოსულა და კარგსაც შვრება: ჯანდაბას იმისი თავი. მაგ ხვადებს რამდენსაც გინდა იმდენს იშოვი!.. რა იყო, რომ მომაჩერდი. გული არ გამიხეთქო ერთბაშად... თუ შენი თავზე ჩამოცმული ძაბრით გინდა შემაშინო?.. სასურსათო კომიტეტში შე თვითონ წავალ, განათლების განყოფილებაშიც შე შევივლი და ამოვკრავ ერთი მაგრა ცხვირში...

დაშამ ბეჭებში ხელი დაჰკრა და გაიცინა.

— აყაყანდა ჩვენი დომახა!.. ყოჩაღ, დომახა, ყოჩაღ, მაგარი ქალი ხარ შენ, დომახა!..

— ცხვირპირი უნდა დაანაყო ყველას... ყველა თავის მუცელში იყურება, ეგ წუნკლები, ეგენი!.. მაცა, მე შენ გაყურებინებ როგორ ჩავხდი ყველას ნიფხებს...

გლებს კინალამ გაეცინა.

— აი წყვეული დედაკაცი!... იცის როგორ უნდა საქმეს გაკეთება!..

ლიზავეტა სამნეოში იყო, საკუჭნაოში. სამნეოს გამგეც და ლიზავეტაც მალალი ქალები არიან, წარმოსადგენი; ჰორივეს სუფთად აცვია, მოწყალეების დებს ჰგვანან. სამნეოს გამგე შავია, შავტრუხა, პატარა ბუსუსებით საულვაშეზე, სომხის ქალს ჰგავს, ლიზავეტა კი—ბობრი, დასივებული და ყიფიანი (სიმშილმა და ტრამამ დაასივა მისი სხეული). სურსათის სწონიდენ, ამოწმებდენ, იწერდენ დავთარში.

ლიზავეტა ამაყად შეხვდა დაშას, მხოლოდ თვალებში გამოჩნდა ოდნავი გაღიმება.

— წადი, დაშა, ერთი თეთრეულის გამგესთან შეიარე და ნახე რასა ჰგავს სარეცხი. გარეცხვის შემდეგ თეთრეული კი არა ჩვრები დარჩა. არ ვიცით ბავშებს რით გამოუცვალათ. ხვალ სადემონსტრაციოდ უნდა წავიყვანოთ ტიტლიკანები. პირდაპირ არ იცი რომელ კედელს შეახეთქო თავი. ბავშები შეშისთვის მთებში დადიან და ვერაფერს შოულობენ, მთელი ფიჩხი მუშებს წაუღიათ,— არ ვიცით სადილი რით გაეაკეთათ.

დაშამ დომახასი და ლიზავეტას საჩივრები უბის წიგნში ჩააწერა.

— შენ, ამხანაგო ლიზავეტა, საბავშვო სახლების მერე,—ქალთა განყოფილების გამოსაკვლევად ხარ მივლინებული. მიწა უნდა გახეთქო და თავიც უნდა გაიხეთქო, რას იზამ.

ლიზავეტამ მხოლოდ ერთხელ ახედა გლებს, მერე აღარც ამჩნევდა.

და მერე ისევ—ქალები თეთრ თავსაფრებით, უთავსაფაროდ, და ყველა მოწიწებით და ლაქუცით უღიმოდა დაშას.

გლებს კი ფრთხილად, მორიდებით გადახედავდნენ. ვინ უნდა იყოს? იქნებ, რომელიმე რევიზორია, საქმე რომ გააჭირეს ამდენი რევიზიებით?

გლებს უნდოდა ნიურასთვის ხელი მოეკიდა და ელულუნებოდა: — ნიუროჩკა, მომეცი რა, — ხელი... დედას ხელს აძლევ და რა დაგიშავე ასეთი?

ის კი იქით იწევდა, ხელს არ აძლევდა. და, როცა მან მოულოდნელად აკოცა მას და ხელში აიტაცა, ის გაყუჩდა უეცრად, დამორჩილდა და პირველად უცქეროდა ახლა ის მამის ხელებზე დაყრდნობილი მას თვალებში.

— თქვენი ნიურა, — მშვენიერი ბავშია...

ეს გამგემ სთქვა, თაგვივით ცოცხალმა ქალმა, კრელად რომ ეცვა, თვალებში ნაპერწკალით და ოქროს კბილებით.

დაშამ გვერდით გაიხედა, უცქეროდა კედლებს და მისი სახე ისევ მოილუშა.

— ნიუროჩკა — ნიუროჩკა არის... აქ ყველა ერთია და ყველა მშვენიერი უნდა იყოს...

— რასაკვირველია, რასაკვირველია... ჩვენ ყველაფერს პროლეტარ ბავშვებისთვის ვაკეთებთ... ახლა ჩვენი ყურადღების ცენტრში პროლეტარული ბავშვები უნდა იყვნენ. საბჭოთა ხელისუფლება იმდენს ზრუნავს...

გლებს რაღაცამ გაჰკაწრა.

მიჰქარავს. გამოკვლევლ უნდა იქნას, რა ხალხი არის აქ.

მერე: საჩივრები, საჩივრები და საჩივრები.

და საჩივრებზე დაშა სცემდა გამგეს სახეში მკვახე სიტყვებით (ასეთი ხმაც არ გაუგონია გლებს უწინ დაშასაგან):

— ნუ წუწუნებთ, თუ შეიძლებოდა, ამხანაგო სახლის გამგევ!... თქვენ საქმე გვაჩვენეთ, წუწუნს კი თავი დაანებეთ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, ამხანაგო ჩუმალოვა!.. თქვენთან მუშაობა ისე მიდის, რომ გულს უხარია!..

გლებს აქაც გაჰკაწრა რაღაცამ გულში.

დაშა დადიოდა ყველგან, ჰყნოსავდა, ამბავს კითხულობდა. ვერ მოითმინა — პერსონალის ოთახშიც შევიდა.

— აჰაა!.. ეს რა ამბავია?... რათ არის აქ ეს სკამები, ეს სავარძლები და დივნები? აქ ყვავილებიც არის, სურათებიც, ქანდაკებებიც... და ყველაფერი... მე ხომ ვამბობდი: ბავშვებს ნუ წაართმევთ მეთქი... ეს საზიზღრობაა!.. განა ბავშვებს აწყენს დივანზე გორაობა?... სურათებიც უყვართ... ასე არ შეიძლება!..

— იცით, ამხანაგო ჩუმალოვა... თქვენ მართალი ხართ, რასაკვირველია... მაგრამ აღზრდის პრაქტიკამ... პედოლოგია... ეს — მანებებელია: სიზარმაცეს ანვითარებს, — შტვერსა და გადამდებ სნეულებას...

გამკის თვალებში ნაპერწკალი კანკალობდა, დაშას არც შეუხედავს, ისე სთქვა იმავე ხმით, ლოყები აელეწა:

— ჯანდაბას თქვენი პრაქტიკა! ჩვენი ბავშვები ჯურღმულებში ცხოვრობდნენ ღორებივით... მიეცით იმათ ეს სურათები, ეს სინათლე და ეს რბილი

დგამი... ჩვენ ყველაფერი უნდა მივცეთ მათ, რისი მიცემაც შეგვიძლია... მორთეთ, გაალამაზეთ კლუბი... მათ ჭამა უნდათ, თამაშობა და ბუნების კარგად ცოდნა. ჩვენ — არაფერი, ყველაფერი იმათ: თავი მოიკალ, სუფთა მშენებელი პირში და იმათ მიეცი... ბევრ ლაპარაკს ნუ დამიწყებთ, ამხანაგო... სახლში გამგევე მე თქვენი პრაქტიკის გარეშე ბევრი სხვა რამეც მესმის...

თავგვით ცოცხალმა ქალმა ოქროს კბილები გაანათა და სიხარულით იცინოდა (თვალეში კი ნაპერწკლები ენთო ქინძისთავებივით).

— ვინ ეტვობს მაგაში, ამხანაგო ჩუმალოვა? თქვენ იშვიათი ქალი ხართ... თქვენ ბელმძღვანელობის ქვეშ ყველაფერი კარგად იქნება...

როცა მიდიოდენ, დაშა ისევ ეალერსებოდა ნიურკას, ისევ ეტმასნებოდენ ირგვლივ ბავშვები და ეიოდენ ჩიტებივით.

და ისევ ისე უცქეროდა ნიურკა დაჟინებულად გლებს თვალეში.

— სახლში არ გინდა, ნიურა?... შენ იქ ითამაშებ ისე, როგორც გითამაშია... მამაც იქნება, დედაც...

— რა არის სახლი?... აგერ ჩემი ლოგინი. ჩვენ ახლახანს ვქამეთ რძე და ახლა მუსიკის ქვეშ უნდა ვიაროთ.

და პირველად ფრთხილად და ნაზად მოეხვია გლებს, თვალეში კი (დედის თვალეში) ჯერ კიდევ ენთო გადაუწყვეტელი საკითხი ნაპერწკალივით.

სახლიდან შარაგზამდე დაშა ჩუმად იყო, ხმა არ ამოუღია და სახეზე ჯერ კიდევ სულ არ იყო წაშლილი ალერსიანი ღიმილი. შარაზე რომ გავიდენ, დაშამ უთხრა, თითქოს გლებს კი არა, თავის თავს:

— ჩვენ ქალთა განყოფილებას ბევრი მუშაობა აწევს... ბავშვებს კი არ უნდა გარდაქმნა... ჩვენ დედაკაცებს უნდა გადამუშავება... თვალყური რომ არ გვქონდეს, — ყველაფერს გაანიავებდენ, მიწასთან გაასწორებდენ. თვითონ კი... მონურად ცხოვრობენ... ეეჰ!.. ყველგან მტერია და დუშმანი... ასეთი არიან ის ოქროს კბილიანები... ჩვენთანები კი... ჩვენთანები, გლებ... მონები არიან... რას ფიქრობ შენ იძულების შესახებ, გლებ?..

(გაგრძელება იქნება)

თარგმ. ღემნა შენგელაიასი.



პრიტიკა ფათვერება
და
კუბლიცისტიკა



„რუსთველიანა“

ამ უკანასკნელ წლებში კვლავ გაიღვიძა რუსთველოლოგიურმა ინტერესმა: გამოვიდა ი. აბულაძის ოცდამეექვსე გამოცემა ვეფხისტყაოსნისა, ამბობენ, რომ შზადდება ახალი გამოცემა პოემისა ს. კაკაბაძის მიერაც, ხოლო პ. ინგოროყვამ მოგვცა საკმაოდ სქელი ტომი, რომელშიაც დასმულია ორი მნიშვნელოვანი საკითხი: ვეფხისტყაოსნის თარიღი და შოთა რუსთველის ვინაობა. ჩემს ყურადღებას იპყრობს ამჟამად პ. ინგოროყვას დასახელებული შრომა, რომლის გამოსვლას მოუთმენლად ველოდი; ეს მოუთმენლობა გასაგებია: ცნობილია, რომ პ. ინგოროყვა ჩვენი ძველი მწერლობის ფაქტებსა და მოვლენებზე ზეპირად კი არ მსჯელობს ხოლმე, როგორც ეს ზოგიერთებსა სჩვევია, ¹⁾ არამედ პირველწყაროების დახმარებით; ცნობილია ამავე დროს ისიც, რომ ეს შრომა ჯერ კიდევ დაბადებამდე მოინათლა „ეპოქალურ“ მოვლენად (საჯარო კრებაზე 1922 წელს, როდესაც ავტორმა მოხსენების სახით გააცნო საზოგადო-

¹⁾ მაგალითისათვის დავასახელებ კ. კიკინაძეს; ეს ახალგაზრდა პოეტი აცხადებს, რომ მ.ნ. იბაგა ნაშრომი გას. ლები ვეფხისტყაოსნისა: „ალიტერაცია, აი ის ნიშანდობლივი თვისება, რომლის საშუალებით საბოლოოდ უნდა გადაიქრას კარდინალური საკითხები ვეფხისტყაოსნის გარშემო“. პოეტიკის საშუალებით კარდინალური ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები არსად არ გადაწყვეტილა და ვერც ჩვენში გადაწყდება; მაინც ჩვენს პოეტს დავიწყნია, რომ მისი აღმოჩენა ძალიან დაგვიანებულია: ალიტერაციის მოვლენებისათვის ვეფხისტყაოსანში ყურადღება მიუქცევია ჯერ კიდევ ი. აბულაძეს, როდესაც ის გიმნაზიის შეგირდი ყოფილა (იხ. მისი „ვანტანგ მეექვსის გამოცემის შესწორებანი და შენიშვნანი, გვ. 26, ტფილისი 1920 წ.). როგორც „სენსაციური“ გამოკვლევიდან ვტყობილობთ, ჩვენს პოეტს ძალიან ბუნდოვანი გაგება ჰქონია ალიტერაციისა, ამავე დროს მას წარმოადგენა არ აქვს იმაზე, თუ როგორია ალიტერაცია საზოგადოდ ჩვენს ძველ პოეზიაში, როდესაც ის იცნობს თუ რამე თრი-სამი უხეიროდ დაბეჭდილი, ისიც სასკოლო სახელმძღვანელოში, ნაწყვეტით; არ იცის მან, ეხერხებოდათ თუ არა რუსთველის მიმბაძველებს მისებრი ალიტერაცია, ამიტომ, როდესაც ვეფხისტყაოსნის „ქვედა სართულში“, რომელიც დღეს მეცნიერებაში მჩნეულია შემდეგი დროის დანართად, მას დაუნახავს „ბევრი ისეთი ტაეპი, რომლებიც ატარებენ რუსთველის სტილის ურთულეს ნიშნებს“, კურიოზულად აცხადებს, რომ „ყველა ეს ტაეპები წარმოადგენენ თვითონ რუსთველის მიერ დაწერილსა. და შემდეგ მისგანვე გადაკეთებულ ტაეპებს“, ზედმეტა დაპარაკი იმ თვითნებობაზე, რომელსაც ავტორი იჩენს ისტორიულ-ლიტერატურულსა და ტექსტუალურს კომენტარიებში, „რუსთველთან ინტიმიურ მისლვის“ და „მის სულში ჩახედვის“ დროს.

ებას მთავარი დებულებანი), ხოლო დაბადების შემდეგ, 1923 წლიდან, იბეჭდებოდა ისეთი სოლიდური გამომცემლობის მიერ, როგორცაა ჩვენი სახელმწიფო გამომცემლობა. უნდა განვაცხადო ეხლავე, რომ, სამწუხაროდ, ჩემი ^{„საქართველოს“} ვერ გამართლდა, ავტორმა ოდნავადაც ვერ შეარყია ჩემი შეხედულება ვეფხისტყაოსნის შესახებ (იხ. ჩემი „ჩემი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 77-141). მაგრამ ეს არ კმარა: შრომა ისე მოხერხებულადაა აგებული, ისეთი ენერგიული ტონითაა დაწერილი, მასალები ისეა შერჩეული და გაშუქებული, რომ არასპეციალისტ მკითხველს, განსაკუთრებით ისეთს, რომელსაც შეძლება არ აქვს ხელნაწერებისა და ისტორიული დოკუმენტების რევიზია შოახდინოს, ადვილად შეუძლია დაიჯეროს ყველაფერი ის, რაც აქაა მოთხრობილი, და სრულიად ყალბი წარმოდგენა შეადგინოს ვეფხისტყაოსნის შესახებ. ამიტომ ვალად დავისახე დაწერილებით გაეაცნო მკითხველს, თუ რაა საექვო და მიუღებელი ამ შრომაში, რომელიც გამსჭვალულია უსაზღვრო პრეტენზიებით და ორიგინალობის სურვილით. ეს ორიგინალობის სურვილი გამოსჭვივის მთელს წიგნში, სათაურიდან დაწყებული (რუსთველიანა?) უკანასკნელ აბზაცამდე; ამას თან ერთვის მედიდურობა და იგნორაცია, რომელიც იქამდეა დაყვანილი, რომ არც ერთი მკვლევარი ვეფხისტყაოსნისა, რომელთა მიღწევებით ის არაერთხელ სარგებლობს, ავტორს არ მოუხსენებია თავის თხზულებაში (გარდა ნ. მარჩისა, ისიც კანტი-კუნტად), თითქოს რუსთველოლოგია, რომელიც 1712 წელს ჩაისახა, მისით იწყებოდეს დღეს.

როგორც ვთქვით, ავტორს მიზნად დაუსახავს ამ შრომაში გაარკვიოს 1) ვეფხისტყაოსნის თარიღი და 2) მისი ავტორის ვინაობა. ჩვენც ამ გეგმით განვიხილოთ ეს შრომა.

„რა უთქვამს, რა მოუხმაზავს,
რა წიგნი მოუწერია“?

ვეფხ.-ტყაოსანი.

1. ვეფხისტყაოსნის თარიღი.

ვეფხისტყაოსნის დათარიღება ავტორს სურს დაამყაროს პოემის ტექსტის ისტორიაზე. როგორც ცნობილია, საუკუნეთა განმავლობაში ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის ბევრი რამ დაუმატებიათ გაგრძელების თუ ცალკე ჩანართების სახით. ავტორი ამ დამატებათ სამ „პლასტად“ ჰყოფს: პარველი პლასტი დამატებათა მოცემულია, მისი აზრით, ვეფხისტყაოსნის იმ რედაქციაში, რომელიც ვახტანგ მეექვსემ დაბეჭდა ტფილისში 1712 წელს; მეორე პლასტი—ყველა ხელნაწერებში, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ, მესამე კი—მაოლოდ ზოკიერთებში (გვ. 16-22) ¹). გამოსავალ წერტალად, როგორც პოემის დათარიღების, ისე ყოველგვარი ქრონოლოგიური გამოანგარიშებისათვის თავის შრომაში, ავტორს აუღია ვახტანგის გამოცემა, რომელშიაც, მისი აზრით, წარმოდგენილია

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციების სამ კატეგორიად დავიყუთებთ: ი. აბულაძეს, რომელიც „პლასტის“ მკვლევარობას ტიპა (იხ. მისი განცხადება 1914 წლ. გვ. LIX და 1926 წლისა გვ. XXIV), პ. ინკაროყვა მხოლოდ იწვეობს ამ სტემას, რასაკვირველია, ზოგად ხაზებში.

ყველაზე მოკლე და ყველაზე ძველი სახე ვეფხისტყაოსნისა და რომელიც არის უცვლელი განმეორება (გვ. 12-13) რომელიღაც უძველესი ხელნაწერისა, ვინაიდან ავტორი აღნიშნულ გამოცემას ასეთს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, საჭიროა, პირველ ყოვლისა, გავარკვიოთ მისი ღირებულობა.

1. ვახტანგის გამოცემა.

რას წარმოადგენს ვახტანგის გამოცემა: არის თუ არა ის უცვლელი განმეორება რომელიმე ძველი ხელნაწერისა, რომელიც ვახტანგის დროს ჯერ კიდევ არსებულა, თუ ის არის კრიტიკული გამოცემა, ესე იგი ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი? პ. ინგოროყვა იმ აზრისაა, რომ ეს გამოცემა არის უცვლელი განმეორება რომელიღაც ძველი ხელნაწერისა; საჭიროა შევჩერდეთ ამაზე არა მარტო იმისათვის, რომ ავტორს ამ დებულებიდან გამოჰყავს მრავალი, ფუნდამენტალური მნიშვნელობის დასკვნა, არამედ იმიტომაც, რომ ამ შემთხვევაში ის იმეორებს ი. აბულაძეს (სახელის მოუხსენებლად), რომელსაც აგრეთვე ჰგონია, რომ ვახტანგის რედაქცია წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის უძველეს სახეს, ვახტანგის დროს უსათუოდ იქნებოდა სადმე უძველესი დედანი, რომელსაც არ ექნებოდა შემდეგი დროის გაგრძელება და ჩანართები, თუ დღემდის არ აღმოჩენილა ამგვარი ხელნაწერი, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი დაკარგულაო (მისი გამოცემა 1914 წლ. გვ. LVI, 1926 წლისა გვ. XXI, XXVII).

დასამტკიცებლად იმ დებულებისა, რომ ვახტანგის გამოცემაში გადმობეჭდილია უცვლელად რომელიღაც უძველესი ხელნაწერი და იგი არ წარმოადგენს კრიტიკულად დამუშავებულ რედაქციას, პ. ინგოროყვა აღნიშნავს რომ

ა) ამ გამოცემას უცვლელად იმეორებს ერთი ხელნაწერი 1825 წლისა (წერა-კითხ. № 1727) და ორი მეჩვიდმეტე საუკუნისა (წერა-კითხ. №№ 4988, 5006). ხელნაწერს № 1727 არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ამ საკითხისათვის, ვინაიდან ის გადაწერილია ვახტანგის გამოცემის შემდეგ და არ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ამ გამოცემის გავლენის გარეშე. რაც შეეხება მეჩვიდმეტე საუკუნის დასახელებულ ხელნაწერებს, თუ რამდენად უცვლელადაა მათში განმეორებული ვახტანგის გამოცემა, ჩანს შემდეგიდან: ორსავე ხელნაწერში ვპოულობთ პოემის ყველა გაგრძელებას, რაც ვახტანგის გამოცემამ არ იცის, ამას გარდა შიგ ტექსტში, ვახტანგის გამოცემასთან შედარებით, ხელნაწერს № 4988 აკლია 9 სტროფი (258, 569, 943, 944, 945, 946, 1397, 1558, 1559, გადასმულ-გადმოსმულია 1451—1452 სტროფები, და ზედმეტად აქვს 133 სტროფი¹⁾), ხოლო

¹⁾ აი ეს სტროფები ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით: 5¹, 8¹, 10¹, 11¹, 19¹, 23¹⁻², 26¹, 31, 36, 38¹⁻², 45¹, 45¹, 49, 58¹⁻², 60¹, 74¹, 76¹⁻², 83¹, 97¹, 100¹, 102¹⁻², 103¹⁻², 108¹, 113¹, 117¹, 118¹, 122¹, 124¹, 125¹, 129¹, 137¹, 138¹, 145¹, 147¹, 151¹, 161¹, 163¹⁻², 164¹, 171¹, 177¹, 185, 187¹, 189¹, 197¹⁻², 200, 208¹, 212¹, 214¹, 219¹, 231¹⁻², 231¹, 236¹, 238¹⁻², 253¹, 274¹, 276¹⁻², 277¹, 292¹, 293¹, 302¹, 307¹, 308¹⁻², 309¹, 311¹, 312¹, 341¹, 343¹⁻², 344¹, 353¹, 372¹, 373¹, 384¹, 396¹⁻², 397¹, 452¹, 512¹, 545¹, 549¹, 605¹, 677¹⁻², 621¹, 659¹, 678¹, 679, 684¹⁻², 727¹⁻², 731¹, 737¹, 763¹⁻², 768¹, 772¹, 813¹⁻², 894¹, 914¹, 970¹, 127¹, 128¹, 1293¹, 1300¹, 1341¹, 1354¹, 1452¹, 1477¹, 1758¹. ამათ გარდა კიდევ არის 4 ზედმეტი სტროფი, რომელიც ს. კაკაბაძის გამოცემაში არაა მოყვანილი.

ხელნაწერს № 5006 აკლია სამი სტროფი ვახტანგისა (325, 1581, 1589), ხელმეტად კი აქვს 90 სტროფი¹⁾. არ არის დღესდღეობით არც ერთი ისეთი ხელნაწერი, რომელიც „უცვლელად“ იმეორებდეს ვახტანგის გამოცემას.

ბ) ვახტანგს არ სწამდა სპარსული წარმოშობა ვეფხისტყაოსნისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას არ გამოუტოვებია თავის გამოცემაში შესაფერისი (16) სტროფიო, არ შეუსწორებია მას აგრეთვე ისეთი სიტყვებიც კი, რომელთა დამახინჯებაში ის დარწმუნებული იყო, მაგალ. „საროს ტანისა“-ო (გვ. 13—14). მართალია, ვახტანგს არ სწამს პოემის სპარსულობა, მაგრამ იმაში კი ურყევად დაჯერებულია, რომ პოეტს უიქველად ასე უნდა ეოქვა, — ალენიშნა სპარსულობა, — რადგანაც სპარსული ლექსის მიბაძვით დააწერინა თამარმა მას ეს თხზულებათ (იხ. კომენტარი ვახტანგისა, გვ. 295—6). რაც შეეხება „საროს ტანისა“-ს შეუსწორებლობას, ვახტანგს აქ არაფერი ჰქონდა შესასწორებელი, ვინაიდან, ჯერ ერთი, ის აქ ორს სიტყვას კი არ ჰკითხულობდა და ჰგულისხმობდა, არამედ ერთს — „საროს-ტანისა“, მეორე — მას „კირჩხიბის“ შესატყვისად მიაჩნია „საროს-ტანი“ და არა „საროტანი“ („საროსტანი კირჩხიბსა ჰქვიანო“, გვ. 349).

ამნაირად, არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება იმისა, რომ ვახტანგის დროს არსებობდა ისეთი შემადგენლობის ძველი ხელნაწერი, როგორცაა მისი გამოცემა; ასეთი რამ რომ ყოფილიყო, ის უკვალოდ ვერ დაიკარგებოდა. პირიქით, ვახტანგის გამოცემის ბოლოსიტყვაობა ეჭვს არ სტოვებს, რომ გამოცემელს ხელთა ჰქონდა სწორედ ვრცელი ხელნაწერი, რომელშიაც ჩანართებიც იყო და გაგრძელებანიც. ის ამბობს: „რაც რუსთველისაა, იმას გარდა არა მითქვამს რაო“ (გვ. 287), ესე იგი — ჩემს ხელნაწერში თუმცა ისეთიც რამ იყო, რაც რუსთველს არ ეკუთვნის, მაგრამ მე მხოლოდ ის „ვთქვი“ ან გამოვეცი, რაც რუსთველისააო. ვახტანგი, ეს დიდად განათლებული პერსონა თავის დროისა, ისეთი კაცი არ იყო, რომ მას ბრმად და მონურად გადმოესტამბა რომელიმე ხელნაწერი, მთელი მისი მრავალმხროვანი მუშაობა (ბიბლიოლოგიის, ისტორიოგრაფიის, იურისპრუდენციის, მეცნიერულის და სიტყვა-კახშული მწერლობის დარგში) მატარებელია და მაჩვენებელი მისი კრიტიკული სულისკვეთებისა და რედაქტორული უნარისა. მის დროს უკვე აღძრული იყო კრიტიკული საკითხები ვეფხისტყაოსნის გარშემო; სხვა არა იყოს რა, ბიძა მისი, არჩილ მეფე, ხომ პირდაპირ ამბობდა, რომ რუსთველის თხზულებას „ბოლოც სხვათ შეუთავეს“, ესე იგი — მიაბეს მას გაგრძელება, რომ მის „ნათქვანში“ სხვადასხვა პირებს „ბევრი რამ ჩაურევიათ“, ესე იგი ჩაურთავეთო! განა ვახტანგისებურ ადამიანს, ასეთს პირობებში, შეეძლო სრული უკრიტიკობა და ინდიფერენტობი გამოეჩინა ისეთი თხზულების მიმართ, როგორცაა ვეფხისტყაოსანი, რომელსაც ის, რო-

¹⁾ ა, 1, 26¹, 31¹, 38¹, 49¹, 58¹, 76¹, 97¹, 100¹, 102¹⁻², 103¹⁻², 108¹, 112¹, 117¹, 118¹, 122¹, 124¹, 125¹, 129¹, 137¹, 138¹, 145¹, 147¹, 15¹, 161², 164², 164¹, 175¹, 177², 185¹, 187¹, 189¹, 197¹, 200¹, 208¹, 212¹, 214², 219¹, 231¹, 236¹, 253¹, 27¹, 276¹, 277², 29¹, 293¹, 302¹, 308¹⁻², 311¹, 344¹, 344², 346¹, 353¹, 373¹, 381¹, 399¹, 452¹, 512¹, 545¹, 549¹, 605¹, 620¹, 672¹, 678¹, 674¹, 727¹⁻², 736¹, 737¹, 763¹⁻², 768¹, 772¹, 813¹, 894¹, 914¹, 1578. კიდევ არის 2 ზედმეტი სტროფი, რომელიც ს. კაკაბაძის გამოცემაში მოყვანილი არაა.

გორც „საღმრთოსა და საერო“ წიგნს, დიდად აფასებდა და რომელსაც უბრალო გადაწერას კი არ უპირებდა, არამედ დაბეჭდვას? ჩვენ შეგვიძლია ვაჩვენოთ რომოდენაზე მაგალითი ვახტანგის რედაქციულ-კრიტიკული მუშაობისა ვეფხისტყაოსნის გამოცემის დროს. თითქმის ყველა ხელნაწერი ამ პოემას შემდეგი სტროფით იწყებს:

პირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არას შეიქს ხორცს არ სულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთარსულად,
თუ უყურა მონაზონმა, შეიქნების გაპარსულად¹⁾.

ეს სტროფი ვახტანგს თავის გამოცემაში არ შეუტანია, არა „შემთხვევით“, როგორც პ. ინგოროყვას ჰგონია (გვ. 54, შენ. 2), არამედ სრული რედაქტორული შეგნებით; მას არ მიაჩნდა ეს პოემა „საერო“ თხზულებად, რომელიც „სამებას ერთარსულად არ ახსენებს“ და რომელიც იმდენად მაგნეა სულისათვის, რომ ბერს „გაპარსულად“ თუ „გაბასრულად“ შეიქმს. ამიტომ მან ეს სტროფი შეგნებულად გამოსტოვა და საკუთარს ბოლოსტროფში, სადაც პოემის დაბეჭდვის ქორონიკონს აღნიშნავს, პოლემიკურად ამბობს: „საღმრთოა და საეროცა, ვისაცა აქვს სმენა გულსა, უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა“ (გვ. 286).

შეორე, ვახტანგის გამოცემაში არ არის ის გაგრძელებანი ვრცელი რედაქციებისა, სადაც მოთხრობილია ამბავი ხატაელთა და ხვარაზმელთა მიერ ინდოთა შევიწროებისა და მათი განთავისუფლებისა ტარიელის მიერ მეგობრების დახმარებით, აგრეთვე პოემის მთავარ გმირთა გარდაცვალებისა (ს. კაკაბაძის გამოცემის 1528—1761 სტროფები). ამავე დროს ამ გამოცემაში ჩვენ ვხედავთ 22 ტაეპს (1568—1589), რომელთა ვაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიგულისხმებთ, რომ ისინი ამოღებულია ამ დანართი ეპიზოდებიდან. ასე, მაგალითად, ვახტანგის გამოცემის სიტყვები, რომ ინდონი „ამბობდიან ქირთა მათთა“ (1570) და „ავთანდილს და ფრიდონს მწედ ხალოდიან“ (1571) გასაგები ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოვიგონებთ იმ გაჭირვებას, რაც ხატაელ-ხვარაზმელებმა მიაყენეს ინდოელებს, რომელნიც ტარიელმა და ავთანდილმა დაიხსნეს ამ გაჭირვებისაგან. ესევე უნდა ითქვას იმ ადგილის შესახებ ვახტანგის გამოცემაში, სადაც ლაპარაკია, რომ ფრიდონი ეთხოვება ტარიელს (1577) და ეს უკანასკნელი მას როსტევანთან საჩუქრებს ატნევს (1578), თუმცა ფრიდონი როსტევანთან კი არ მიდიოდა, არამედ თავის სამულობელოში. ამ გაუგებრობას ჰფანტავს ვრცელი რედაქცია, სადაც აღნიშნულ სტროფთა შუა მოთავსებულია მესამე, რომელშიაც ლაპარაკია ავთანდილის გამოთხოვებაზედაც (ს. კაკაბაძის 1602). ანა და სიტყვები:

გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ლამისა,
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ეამისა“,

რომელთაც ვახტანგის გამოცემაში (1585) აზრი არ აქვთ, ვინაიდან იქ

¹⁾ უკანასკნელი სტროქონი. წერ.—კითხ. ხელნაწერში № 5006 იკითხება ასე: „არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქნას აღსასრულად“.

მოთხრობა ტარიელ-ნესტანის და ავთანდილ-თინათინის დაქორწინების ამბავით თაედება, გასაგებია ვრცელ რედაქციაში, სადაც მათ წინ ლაპარაკი შეაფარა გმირთა გარდაცვალებაზედ¹⁾. ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ვახტანგის წინააღმდეგ რედაქციის შემოკლებისას, ზოგიერთი სტროფები უხერხულად ამოუგლეჯია იქიდან და უალაგოდ შეუტანია თავის გამოცემაში.

ამრიგად, ვახტანგის გამოცემის ობიექტურ შესწავლას მივყუაროთ იმ დასკვნამდე, რომ ის არის არა უცვლელი გამეორება რომელიღაც ძველი ხელნაწერისა, არამედ თავისებური კრიტიკული გამოცემა. ვახტანგს ხელთა ჰქონია ჩვეულებრივი ტიპის ვრცელი, დამატებიანი და ჩამატებიანი, რედაქცია, რომელიც მას თავის შეხედულებისამებრ შეუმოკლებია იმ მიზნით, რომ „რაც რუსთველისაი, იმას გარდა არა ეთქვა რა“. როგორც ასეთი, ის ვერ ჩაითვლება ვეფხისტყაოსნის უძველეს რედაქციად და ვერც დიდად დაგვეხმარება ამ პოემის ტექსტის გენეალოგიის თუ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი, ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გასარკვევად.

ეხლა უნდა გადავიდეთ თვით „პლასტების“, მათი წარმოშობისა და ავტორების მიმოხილვაზე; დავიწყებთ არა პირველიდან, არამედ მესამედან, როგორც ამას სჩადის თვით ავტორი.

2. მესამე პლასტი.

მესამე პლასტის დამატებათა არსებობა მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს მართლაც საგულვებელია, ვინაიდან სარიდანს, ტარიელის შვილს, იცნობს „ომიანიანის“ ავტორი. ამ დამატებათა შედგენა, ავტორის აზრით, უნდა დაწყებულიყოს მეთუთხმეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან (გვ. 26), ვინაიდან ამ პლასტის ერთს უძველეს დამატებაში (როგით მეორეში) მოხსენებულია მეთოთხმეტე საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე შანშე ანისელი;²⁾ აი ეს ადგილი:

იყო არაბეთს მეფობა მეფისა როსტევიანისი,
მას ჰქონდა სპარსთა ქვეყანა, მართ ვითა შანშეს ანისი,
უძრწის და მონებს ყოველი, ხელთა აქვს მას საბრძანისი,
თქვეს თუ ხამს ხმელთა პატრონად ან ალექსანდრე, ან ისი.

მაგრამ, თუ შანშეს მოხსენებას ამ შემთხვევაში ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ამ პლასტის დამატებათა შედგენა რატომ მეთუთხმეტე საუკუნის ნახევრიდან უნდა დავიწყოთ და არა თვით შანშეს დროიდან, მეთოთხმეტე საუკუნიდან? იმიტომ რომ ეს დრო მას სხვა პლასტის დამატებათა თვის სჭიროდა! შანშე ანისელს იმაზედ უფრო ადრინდელი მწერალი, რასაკვირველია, ვერ ახსენებდა, მაგრამ მის შემდეგდროინდელ მელექსეს, ალორძინების ხანაში, ყოველთვის შეეძლო დავსახელებია ის, თუ ეს, მაჯაჰისა და რითმის გასამართავად, მისთვის საჭირო და გამოკადეგი იქნებოდა; მიმბაძვე-

¹⁾ შეად. ს. კაკაბაძის გამოცემა, გვ. 21—22.

²⁾ შანშეს სახელით პოემის ერთერთი რედაქციის დათარგმნება პირველად ს. კაკაბაძემ მოიგონა (იხ. მისი გამოცემა, გვ. 67); ინკოროცემა შიკი ცდის გამოყენება ეხლა თავის მიზნებისათვის მოინდომა.

ლები აღორძინების ხანისა, საერთოდ, არ უყენებდენ თავიანთ თავს ჩუნი დროის რეალ-ისტორიული რომანების მოთხოვნილებას.

ასე რომ მესამე პლასტის დამატებათა დათარიღებას მტკიცე საფუძვლებს არ მოეპოვება.

3. მეორე პლასტი.

თუ ყველაზე უგვიანესი პლასტის (მესამის) დამატებათა შედგენა მეთოთხმეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო, თავისთავად ცხადია, მეორე პლასტის დამატებანი ამაზე ადრე უნდა შედგინათ. ამ პლასტის დამატებანი სამი ნაწილისაგან შედგება, სახელდობრ—ამბავი ა) ინდობატაელთა, ბ) ხვარაზმელთა და გ) პოემის მთავარ გმირთა გარდაცვალებისა. მათ შედგენას ავტორი მეთოთხმეტე საუკუნის ნახევარს მიაკუთვნებს. რატომ? იმიტომ რომ პირველი და უძველესი ნაწილი, ინდობატაელთა ამბავი, გალექსილია თმოგვის უკანასკნელი მფლობელის სარგის მეოთხის მიერ, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნის ნახევარში ცხოვრობდაო. საიდან ჩანს, რომ ამ „ამბავის“ გალექსველი სარგის IV თმოგველია? ეს ჩანსო, გვარწმუნებს ავტორი, შემდეგი სტროფებიდან:

აწ, გონიერნო, სიტყვანი მოსმენით შეიწყნარენით,
ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით!
სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დაეაბარენით,
ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მამახმარენით.

ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად,
აგრევ თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩაობლად,
მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
მან მიბრძანა: ლექსად თქვიო, მკვერ-ქართულად, დაუშრობლად.

უნდა მოვაგონო მკითხველებს, რომ პირველი სტროფი წინ მიუძღვის დასახელებულ ხვარაზმელთა ამბავს, ხოლო მეორე მას ბოლოში აქვს დართული, მაშასადამე ისინი შეადგენენ პროლოგსა და ეპილოგს ხვარაზმელთა, მეორე, ამბისას. აქედან სრულიად ნათელია და უცილობელი, რომ ავტორა ამ სტროფებისა „ძველ ნარჩომ ამბად, რომელიც სარგისს დაურჩა უთქმელად ან ლექსთა შეუწყობლად და რომელიც მან იპოვა თმოგვის დაობლების შემდეგ და გალექსა,“ ჰგულისხმობს ხვარაზმელთა ამბავს. პ. ინგოროყვა კი სრულიად მოულოდნელად აცხადებს: „ეს ცნობა, როგორც ვხედავთ, გადმოგვცემს, რომ რალაც ტექსტი, რომელიც მოთავსებულია ამ მეორე დამატების (ხვარაზმელთა ამბის) წინ, გაულექსავს ვინმე სარგის თმოგველსაო“ (გვ. 33). საიდან და როგორ „ხედავს“ ის ამას, გაუგებარია! ამ შემთხვევაში ინგოროყვა იმეორებს იმავე შეცდომას, რომელიც თავის დროზე მოუვიდა ს. კაკაბაძეს, რომელიც ამ სტროფების მიხედვით ამტკიცებდა, რომ ყველაფერი ის, რაც ხვარაზმელთა ამბავს მიუძღვის წინ, ესე იგი მთელი ვეფხისტყაოსანი, სარგის თმოგველის დაწერილიაო (იხ. მისი გამოცემა, გვ. 39—40). ინგოროყვას ხელს არ აძლევს მთელი

ვეფხისტყაოსანი სარგის თმოგველს მიაწეროს, ამიტომ მან ~~სარგის~~ ~~შვირედი~~ ნაწილი, ინდოხატაელთა ამბავი, არგუნა.

ამნაირად, ეს სტროფები ჩვენ არ გვირკვევს ინდოხატაელთა ამბავს ავტორის ვინაობასა და მისი დაწერის დროს, ისინი გადმოგვცემენ მხოლოდ იმას, რომ სარგის თმოგველს ეკუთვნის პროზაული ვერსია ხვარაზმელთა ამბისა, რომელიც მერე უცნობ კალმოსანს გაუღუქსავს. მაშ როდისაა დაწერილი ამ მეორე „პლასტის“ ამბები? მე უკვე მქონდა შემთხვევა აღმენიშნა ერთხელ, რომ პირველი ამბავი ამ პლასტისა, ინდოხატაელთა შესახებ, დაწერილია არაუადრეს მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგისა. მართლაც, ამ „ამბავში“ ნათქვამია, რომ, როდესაც ტარიელმა გაიგო ფარსადანის გარდაცვალება, საშინელი ტირილი მორთო, და მას ამ აუტანელ სევდაში ავთანდილი და ფრიდონი „ექმნეს სულსმღებლად, ქათალიკოზ—მაწყვერელად“ (1543), ესე იგი მანუგეშებლად, როგორც კათალიკოზი და მაწყვერელიო. აქ კათალიკოზი და მაწყვერელი დაპირისპირებულნი არიან, როგორც სწორუფლებიანი და სწორპატივიანი იერარქები; მაშასადამე, ეს იმის მაჩვენებელია, რომ, როდესაც ეს ადგილი იწერებოდა, სამცხის ეკლესია უკვე ფორმალურად და საბოლოოდ იყო ჩამოშორებული მცხეთის საკათალიკოზოს და მის სრულუფლებიან თავად, როგორც მცხეთაში კათალიკოზი, ითვლებოდა უკვე მაწყვერელი; ეს კი მოხდა მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს, მზეჭაბუკ ათაბაგის დროს (1516), რომელმაც მაწყვერელად განაწესა სიმონი (ქართული ლიტერატურის ისტორია II, 218). ამრიგად, პირველი და, მაშასადამე, ყველაზე ადრინდელი ამბავი ამ პლასტისა მეთექვსმეტე საუკუნეზე ადრე დაწერილი ვერ იქნება, აქედან ცხადია, სხვები კიდევ უფრო გვიანი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ისინი სამივე ცნობილია, ვინაიდან „ომინიანში“ გადმოცემულია მათი შინაარსი.

ამნაირად, ავტორმა ვერ გაგვირკვია ვერც მეორე პლასტის დამატებათა წარმოშობა და ვერც მათი ავტორის ვინაობა.

4. პირველი პლასტი.

პირველ და უძველეს პლასტად ავტორი სთვლის ვეფხისტყაოსანს იმ შემადგენლობით, რომელიც მოცემულია ვახტანგის გამოცემაში. რადგანაც მეორე პლასტი წარმოიშვა, ავტორის აზრით, მეთოთხმეტე საუკუნის ნახევარში და ის არის გაგრძელება პირველი პლასტისა, ეს უკანასკნელი უნდა ჩამოყალიბებულიყოს საბოლოოდ გაცილებით ადრე, ვიდრე მეთოთხმეტე საუკუნის ნახევარი. ამ პლასტს, მისი წარმოშობიდან საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე, განუცდია მრავალი „ციკლიური“ ხასიათის ინტერპოლაცია, კომენტარიების, ეპიზოდების გავრცელების და სიუჟეტის შევსების სახით. უმთავრესი დამატებანი დაწერილია „ვინმე მესხი მელექსის“ მიერ, რომელიც ამბობს:

გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა,
გარდახდეს, განვლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ესწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა!

ვახტანგისეული დედანი, რომელიც პირველ პლასტს შეიცავს, არსებობდა დღევანდელი სახით მეთოთხმეტე საუკუნის ნახევარზე უფრო ადრე, იმისი უკვე შეტანილია „ვინმე მესხის“ დამატება, მაშასადამე—ის ცხოვრობდა მეთოთხმეტე საუკუნის ნახევარზე ადრე. სახელდობრ როდის? ეს ინტერპოლაციის მიხედვით თავის სახელს არ გვიმხელს, საჭიროდა სთვლის აღნიშნოს, რომ იგი მესხია; ასეთი პროვინციალური პარტიკულარიზმი მაჩვენებელია იმისა, რომ ეს უცნობი მელექსე ცხოვრობდა მაშინ, როდესაც მესხეთი დამოუკიდებელ სამფლობელოს წარმოადგენდა, ესე იგი 1267—1318 წლებში (გვ. 94—95).

არც ერთი ეს დებულება მისაღები არაა. ჯერ ერთი, უკვე ნაჩვენებია, რომ ვახტანგის გამოცემა არ შეიცავს ვეფხისტყაოსნის უქველეს რედაქციას, ის არის კრატიკული გამოცემა, რომელიც წარმოადგენს ვრცელი რედაქციის ხელოვნურად შემოკლებას. ამიტომ ის არ შეიძლება ჩაითვალოს ბაზად მეორე პლასტისა, აქედან, მაშასადამე, არ შეიძლება არც იმის თქმა, რომ პირველი პლასტი ჩამოყალიბდა საბოლოოდ მეთოთხმეტე საუკუნის ნახევარამდე, ხოლო მეორე პლასტი წარმოიშვა ამ საუკუნის ნახევარში. მეორე—საიდან ჩანს, რომ „ვინმე მესხი მელექსის“ აღმნიშვნელი სტროფი ეკუთვნის სწორედ დამატებათა პირველ პლასტს? ინგოროყვა კატეგორიულად აცხადება არაერთხელ, რომ ვახტანგის გამოცემას, მისი ინტერპოლაციებით, ყველა XVI-XVII საუკუნეთა ხელნაწერები უცვლელად იმეორებენო (გვ. 17, 23); ნამდვილად კი „ვინმე მესხის“ აღმნიშვნელ სტროფს მხოლოდ ექვსი ხელნაწერი შეიცავს (წერ.-კითხ. № № 4999, 5006, 4732, საისტ.-საენთოგრ. № № 757, 461, 54), მაშასადამე—ის ეკუთვნის არა პირველ პლასტს, არამედ ან მეორეს, ან მესამეს. მართლაც, ეს რომ ასეა, შემდეგიდანა ჩანს: ვახტანგის გამოცემა თავდება ტარიელ-ნესტანისა და ავთანდილ-თინათინის დაქორწინების ამბით, ამიტომ დაბოლოვება ამ რედაქციისა სტროფით—„გარდახდეს, განელეს სოფელი, ნახეთ სიმუთხლე ყანისა“, სადაც „ვინმე მესხი მელექსეა“ მოხსენებული, გაუგებარი და არაბუნებრივია. მაგრამ, როგორც ხვეითაც გვქონდა ამაზე ლაპარაკი, ამ გაუგებრობას არ ექნება ოდნავადაც ადგილი, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის დამატებათა მეორე პლასტს, სადაც ლაპარაკია პოემის მთავარ გმირთა გარდაცვალების შესახებ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ხელნაწერთა ჩვენებაც: ვახტანგის გამოცემის მსგავსად ამ სტროფს მხოლოდ ერთს ხელნაწერში, წერ.-კითხ. № 4732, ვხედავთ, ხუთში კი ის გმირების გარდაცვალების ამბავს მისდევს. აქედან, მაშასადამე, შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს: „მესხი ვინმე მელექსე“ არის ავტორი არა პირველ პლასტის დამატებათა, არამედ მეორესი; მართლაც, პირველი მოთხრობა ამ პლასტისა, ინდოხატავლთა ამბავი, რომელიშიაც კათალიკოზთან დაპირისპირებულია მაწყვერელი, უექველად მესხს უნდა ეკუთვნოდეს, რადგანაც მხოლოდ მესხს შეეძლო ასეთი დაპირისპირება. მესამე—ეს „მესხი ვინმე მელექსე“ არ შეიძლება იყოს მწერალი 1267-1318 წლებისა, ვინაიდან, როგორც გამოიჩინა, ის არის ავტორი მეორე პლასტის დამატებათა, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისიდან გაჩენილან ვეფხისტყაოსანში. ყოველ შემთხვევაში სახელწოდება „მესხი“ ვერ დაამტკიცებს იმას, რომ ეს ინტერ-

პოლატორი 1267-1218 წლებში ცხოვრობდა: დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრნა, რომ ნამდვილი მესხეთის მკიდრს სხვა დროს არ შეეძლო თავისთავისთვის „მესხი“ ეწოდებია, თუ არა ამ ქვეყნის დამოუკიდებელი მესხობისას.

ამნაირად, ვეფხისტყაოსნის ჩანართთა და გაგრძელებების მიხედვით ჩვენს ავტორს ფუჭად ჩაუარა, მან ვერ მოგვცა ვერც სწორი კლასიფიკაცია მათი და, მით უმეტეს, ვერც დათარიღება და ავტორები მათი. და არც იყო საჭირო ამ სიზიფური შრომის გაწევა იმის დასამტკიცებლად, რომ ვეფხისტყაოსანი არის საერთოდ თამარის და დავით სოსლანის ეპოქის ნაწარმოები, რომელიც დაწერილია მეცამეტე საუკუნის დამდეგს.

ა. პოემის დაწერის დრო.

საინტერესოა მაინც ვიცოდეთ — რა ღირებულებისაა ის არგუმენტები, რომელიც ჩვენს მკვლევარს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის დასათარიღებლად.

პირველი არგუმენტი: ვახტანგის გამოცემაში, რომელიც შეიცავს უძველეს, მეთოთხმეტე საუკუნის ნახევრამდე შემუშავებულ რედაქციას, უკვე არის 1277-1318 წლებში შეთხზული ჩანართები, რომელთა მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოემის წარმოშობა შეუძლებელია მიეკუთვნოს მეცამეტე საუკუნის დასაწყისზე უფრო გვიან დროსო. მაგრამ ჩვენ უკვე დაუინახეთ, რომ ვახტანგის გამოცემა არ არის უძველესი, მეთოთხმეტე საუკუნის ნახევრამდე დამუშავებული რედაქცია, და არც მისი ჩანართები წარმოშობილან უეჭველად 1267-1318 წლებში. მაშასადამე, ამ არგუმენტს ყოველი ძალა და მნიშვნელობა ეკარგება.

მეორე არგუმენტი: პოემის პროლოგი და ეპილოგი შეიცავს ხოტბას, რომლითაც პოეტი მიმართავს თამარ მეფესა და მის მეუღლეს, როგორც თანამედროვეებსო. მაგრამ შეიძლება დაყრდნობა ისეთს სტროფებზე, რომელთა შესახებ „სამართლიანი“ (გვ. 105) ექვია გამოთქმული, რომ ისინი შემდეგი დროის დამატებას წარმოადგენენ ვეფხისტყაოსანში? ¹⁾ თუნდაც ეს ასე იყოს, ამბობს მკვლევარი, მათ მაინც არ ეკარგებათ მნიშვნელობა, რადგანაც ეს „მეფეთა ხოტბა“ დაცულია ვახტანგისეულ დედანში, ხოლო უკანასკნელის დამატებები ეკუთვნის 1267-1318 წლებს; ცხადია, მაშასადამე, რომ ამ წლებში, რომლებიც არც ისე დიდადაა დაშორებული თამარისა და დავითის ხანას, ვეფხისტყაოსანი მიაჩნდათ ამ ხანის ნაწარმოებადო (გვ. 105-106). ჯერ ერთი, ვახტანგისეული დედნისა და მისი დამატებების დათარიღება, როგორც არაერთხელ აგვინიშნავს, ფიქციაა, მეორე — საიდან ჩანს, რომ „მეფეთა ხოტბის“ სტროფები, ნამდვილად მივიჩნევთ მათ თუ ყალბად, ვახტანგისეული რედაქციის ან პირვე-

¹⁾ ყოველ შემთხვევაში, მეცნიერული კრიტიკისათვის „საბოლოოდ გარკვეულად“ (გვ. 125) და „იქვეს გარეშედ“ (გვ. 129) ვერ ჩაიძვლება წყევლი იმ მეთოდური მუშაობისა, რომლის საყრდენია: „უშუალო შთაბეჭდილება“, ერთი დაუსაბუთებელი დებულებით მეორის დასაბუთება (პოეტის მანიქვევლობით მან-ქვევლობა პროლოგისა), თვითნებთა წაკითხვა და აქედან წარმოდინარე სუბიექტური ხასიათის ისტორიული და დოლიკურ გრამატიკული ინტერპრეტაცია ამათჯიმ ადგილითა, ასეთთა თავიდან ბოლომდე გრძელი ექსკურსი ავტორისა პოემის პროლოგისა და ეპილოგის იმ ნაწილის სინამდვილის შესახებ, რომელიც „მეფეთა ხოტბას“ შეიცავს (გვ. 108-136).

ლი პლასტის კუთვნილება? ვახტანგისეული ტექსტი, ნამდვილი და ყალბი, ყველა არსებულ ხელნაწერებშია შეტანილი და ამით შეგვიძლია ვიცნოთ ისო, გვიბა სუხებს ავტორი (გვ. 17,20). ამაზე უნდა განვაცხადოთ, რომ „მეფეთა ხობა“ ყველა ხელნაწერებში არ არის; არ არის ის, მაგალითად, წერ.-კინძ, [ხელნაწ.] წერში № 2829 და, მართალია, დღეს დეფექტურში, მაგრამ, ყველა წიგნების, ამის მსგავს (პროლოგში მაინც) მანუსკრიპტში № 4988. მაშასადამე, ეს არგუმენტიც პაერში გადმოკიდებულად რჩება.

მაინც რომელ წელშია ნიშანდობლივ დაწერილი პოემა? პოემა დაწერილია, ავტორის აზრით, 1196—1206 წლებში, რადგანაც იმისი ხსენება არაა 1196 წელს დაწერილს თამარის პირველს ისტორიაში, ერთის მხრით, და ის ლაპარაკობს დავით სოსლანზე († 1207 წ.), როგორც ცოცხალ პიროვნებაზე, მეორე მხრით (გვ. 135—136). ვიდრე დავით სოსლანზე მიგვითითებდა ავტორი, საჭირო იყო მოეყვანა მას ობიექტური საფუძვლები იმისა, რომ დავითის სახელის შემცველი სტროფი პოეტს ეკუთვნის ნამდვილად, მაგრამ დავანებოთ ამას თავი; 1196—1206 წლები საჭირო იყო ავტორისათვის იმისთვის, რომ დაესაბუთებია მეორე ჰიპოთეზი—შოთა სწორედ 1196—1206 წლებში იყო რუსთავის გამგედ, მაგრამ, როდესაც მას დასჭირდა იმ ჰიპოთეზის დასაბუთება, რომ შოთა 1200—1206 წლებში, სამშობლოდან გაძევებული, ყარიბობაში იყო და ყარიბობაში სწერდა თავის თხზულებას, პოემის წარმოშობა 1200—1206 წლებში გადმოიტანა (გვ. 302, 315—319). მკითხველისათვის მიგვინდვია გარკვევა იმისა, თუ რა მეცნიერული სისწორითაა მოცემული პოემის თარიღი!

II პოემის ავტორის ვინაობა.

როგორც დავინახეთ, პოემის ტექსტის ისტორიამ ავტორს ვერ მისცა ის, რაც საჭირო იყო, და არც შეეძლო მიეცა: გენეალოგია ტექსტისა, დაყოფა მისი რედაქციებად და დათარიღება დამყარებულია იმ მცდარ დებულებაზე, რომ ვახტანგის მიერ გამოცემული ტექსტი შეიცავს პოემის უძველეს სახეს, 1267—1318 წლებში დამუშავებულს. ავტორი ბოლოსდაბოლოს გვეუბნება, რომ პოემა დაწერილია მეცამეტე საუკუნის რიურაზე (წელიწადი ზედმიწევნით ვერც მან განმარტა), მაგრამ ეს ამდებანაც ვიცოდით, ამისათვის საჭირო არ იყო, ვიმეორებთ, ახგვარი სიზიფური შრომის გაწევა. ეხლა ვნახოთ, როგორ არკვევს ის პოეტის ვინაობას.

6. პოეტის რუსთველობა.

პ. ინგოროყვა კატეგორიულად აცხადებს, რომ ავტორი პოემისა არის შოთა რუსთველი. ვეუბნასტყაოსნის ავტორი რომ შოთა რუსთველია, ეს არ არის დამოწმებული არც თვით ავტორის, არც მისი მახლობელი თანამედროვის მიერ, ამას შემდეგიდროის ლიტერატურული ძეგლებიდან ვტყობილობთ. პირველად წარმოიშვა ცნობა „რუსთველობის“ შესახებ (პოემის პროლოგი და ეპილოგი, სერაპიონ სოგრატის-ძე საბაშვილი, იოსებ—ზილიხანიანი მე-16 საუკუნისა, კახთა მეფე დავითი). სახელი შოთა გვხვდება უფრო გვიან,

თეიმურაზ პირველიდან. მთავარი გამოსავალი წერტილი ავტორის არის პროლოგისა და ეპილოგის შესაფერისი სტროფები. მაგრამ შეიძლება მათზე დაკრძნობა, როდესაც თვით ავტორაც არ უარჰყოფს, რომ ეს სტროფები ყალბია, შემდეგ დროშია შეტანილი პოემაში (გვ. 138)? რატომ ატარებს ავტორი ეს ყალბი სტროფები ნაწილია უძველესი, ვახტანგისეული დედნის, ინტერპოლაციებისა, რომელნიც 1267—1318 წლებშია შეთხზული; ჩანს ამ დროს, რომელიც არც ისე დიდი მანძილითაა დაშორებული ავტორის ეპოქისაგან, პოემის ავტორად რუსთველს იცნობდნენ (იქვე). აქაც იგივე არგუმენტი—ვახტანგისეული დედანი, რომლის სიძველე, როგორც არაერთხელ აგვინიშნავს, ფიქციაა. არსებული მასალების მიხედვით არ შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ავტორი პოემისა არის უსათუოდ შოთა რუსთველი, ამიტომ ამათა ძებნა იმისა, თუ რომელი რუსთავი იგულისხმება აქ, ჰერეთის თუ მესხეთის.

პ. ინგოროყვა სცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ავტორი პოემისა, შოთა, იყო ჰერეთის რუსთავიდან. ასეთი შეხედულება არ ახალია, ძველია: პირველად ის გამოთქვა ბატონიშვილმა თეიმურაზმა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, მერე ამ აზრს ასაბუთებდნენ ს. კაკაბაძე და ი. აბულაძე, ეხლა მას იმეორებს ჩვენი მკვლევარიც. რატომ? იმიტომ რომ მას უნდა პოემის ავტორად სცნოს უსათუოდ მათიანეში მოხსენებული ჰერეთის მთავარი შოთა კუპრი. ვთქვათ, რომ ეს ასეა, გაუგებარი რჩება, რატომ მიიღო პოეტმა სახელწოდება „რუსთველი“ და არა თავისი სამთავროის, ჰერეთის, და მისი სატახტო ციხე-ქალაქის გიშის (გვ. 192—194) სახელი? ავტორი ხომ იმ შეხედულებებისაა, რომ დიდი ფეოდალები ძველად საგვარეულო სახელწოდებას ღებულობდნენ მათი სარეზიდენციო ციხე-ქალაქიდან (გვ. 154)! შოთა იყო ერისთავი ჰერეთის სამთავროისა, რუსთავი კი იყო ერთი, შედარებით პატარა და შემთხვევითი პროვინცია ამ სამთავროისა იმ დროს. იმიტომ, გვიპასუხებს ალბათ ავტორი, რომ პოემა დაწერილია მაშინ, როდესაც მისი ავტორი, შოთა, იყო გაჰვე რუსთავის პროვინციისა. მაგრამ აქ უფრო მეტს გაუგებრობასთან გვაქვს საქმე: ავტორი ირწმუნება, რომ პოემა დაწერილია 1200—1206 წლებში, ამ წლებში კი, როგორც ის გვირკვევს, შოთა მძიმე დანაშაულისათვის საქართველოდან გაძევებულია და უცხოეთშია გადახვეწილი ყარბად (გვ. 296—302). მაშასადამე, მაშინ ის რუსთველი უკვე აღარ ყოფილა. აი რა წინააღმდეგობაში გვაგდებს ჩვენ ავტორის ტენდენციური კონცეპცია.

საერთოდ აბსოლუტურად მიუღებელია ყველაფერი ის, რასაც ავტორი მოგვითხრობს რუსთავის ხელიდან ხელში გადასვლისა და აქ შოთას გამგებლობის ქრონოლოგიის შესახებ. თამარის მეფობის პირველს წლებში, ამბობს ის, რუსთავი ეკუთვნოდა ქართლის ამირათა ამირას აბულასანს, როგორც ეს ჩანს ლურჯი მონასტრის წარწერიდან; 1191 წელს თამარმა ჩამოართვა მას ეს ქალაქი, რადგანაც ის მეტაურობდა გიორგი რუსის აჯანყებას, და გადასცა ხაქარია მხარგრძელს. მაგრამ იმავე 1191 წელს ის იმავე თამარს გადაუცია თითქოს ჰერეთის ერისთავის ასათ გრიგოლისძისათვის და ამიტომ 1196—1206 წლებში აქ, რუსთავში, იჯდა გამგედ შვილისშვილი ასათისა შოთა, ავტორი ვეფხის-

ტყაოსნისაო (გვ.168—171). არაფერი აქ სიმართლეს არ შეეფერება: რუსთავი თამარის მეფობის პირველ წლებში აბულასანს კი არ ეკუთვნოდა, არამედ ასათ გრიგოლისძეს; მართლაც, ლურჯი მონასტრის წარწერას ვხვდებით არ აქვს, მაშასადამე—არ ვიცით როდისაა ის შესრულებული¹⁾, თანემდებრად მოგვცემს, რომ, სანამ თამარი გიორგი რუსს შეირთავდა, ესე იგი 1185 წლამდე, ასათ გრიგოლისძემ „მოსტაცა ჰერეთი მძღავრობითა და მორევითა საღირს კოლონკელისძესა და მცირედ ჟამ ქონებასა შინა იაჯა არიშიანისა ადგილსა (რომელიც, ინგოროყვას სიტყვით, იგივე რუსთავის თემია, (გვ. 173—176) დაჯდომა სასთაულითა (ქართ.-ცხოვრ. მარიამ. გვ. 411). 2) აბულასანს ვერ ჩამოართმევდენ 1191 წელს რუსთავს, რადგანაც ის მას, როგორც დაეინახეთ, არც ჰქონია მაშინ, მით უმეტეს, რომ მისთვის ქონების ჩამოართმევის შესახებ არც მათიანე, არც სხვა დოკუმენტი არაფერს ამბობს. ან რად უნდა ჩამოერთმიათ, როდესაც მემათიანე არ ამბობს, რომ ის იყო მეთაური ან მომხრე გიორგი რუსის აჯანყებისა? მემათიანის სიტყვით, ასეთი აღმოჩნდა „ნაცვალნი მეჭურჭლეთა უხუცესისა“, რომელიც 1190 წ. ელჩად იყო გაგზავნილი კარნუქალაქს, მაგრამ არსაიდან არ ჩანს, რომ „ნაცვალნი მეჭურჭლეთა უხუცესისა“ იგივე ამირათა-ამირა აბულასანი იყო. პირიქით, 1190 წელს აბულასანი, ინგოროყვას სიტყვით არა „ნაცვალნი“, არამედ „მეჭურჭლეთა უხუცესი“ იყო (გვ. 169—170). 3) რუსთავი 1191 წელს გადასცეს ზაქარია მხარგრძელს (ქართ.-ცხოვრ. მარიამ. გვ. 444) და არც მათიანედან, არც სხვა დოკუმენტებიდან არ ჩანს, რომ ის მისთვის ვისმე ჩამოერთმეოს ყოველ შემთხვევაში მის გარდაცვალებამდე, ესე იგი 1212 წლამდე, ასე რომ 1191—1212 წლებში რუსთავი ზაქარია მხარგრძელს ეკუთვნოდა და შოთა იქ გამგედ ვერ იქნებოდა. ამიტომ საეჭვოა, რომ ის შოთა, რომელიც „მეცამეტე საუკუნის პირველ წლებში“ ხელს აწერს ქიაბერის მიერ

¹⁾ ის შესრულებული უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, არაუადრეს მეცამეტე საუკუნის მეორე ათეულისა. საქმე ისაა, რომ წარწერაში მოხსენიებული ბასილი კათოლიკოზად ჩანს (თუ ის მართლა კათოლიკოზია და არა „ქართლისა მთავარეპისკოპოსი“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) თევდორეს შემდეგ. ჩვენ არ ვიცით, როდის დასრულდა თევდორეს კათოლიკოზობა, ცნობილია მხოლოდ, რომ 1206 წელს, რუქნადინთან ბრძოლისას, ის კიდევ კათოლიკოზი იყო (ქართ. ცხოვ. I, №23) მის შემდეგ გაკათოლიკოსდა ბასილი, რომლის გამგებლობა მეტი თუ არა, 1210 წლამდე მაინც გასტანდა. წარწერაში ბასილი მოხსენიებულია როგორც „ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსი ყოფილი“, მაშასადამე, წარწერა შესრულებულია ბასილის მწყემს-მთავრობიდან კარგახნის შემდეგ, აქედან შემდეგი დასკვნა დასკვნა გამომდინარეობს: ის აბულასანი, რომელიც გიორგი რუსის მოწვევისას ყოფილა „ამირა ქართლისა ტფილისისა“, მეჭურჭლეთ უხუცესად, და „რუსთავისა და შედთა მთელეთა პატრონად“ (В. Такашвили Д. В. IV, 150) გამხდარა თამარის გარდაცვალების შემდეგ. ყოველ შემთხვევაში თამარის დროს ის მეჭურჭლეთ უხუცესად არ ყოფილა: დიდგვარიან აზნაურთა გაფიცვის შემდეგ თამარმა მეჭურჭლეთ უხუცესობა კახაბერ ვარდანისძეს ჩააბარა (ქართ. ცხოვ. მარ. გვ. 410) და დოკუმენტებიდან არა ჩანს, რომ თამარის სიცოცხლეში ის ვისმე შეეცვალოს. კერძოდ, ასათ გრიგოლისძის მიერ არიშიანის თემის საპატრონოდ მიღება, როდესაც არ უნდა მომხდარიყოს ის, არ იყო დაკავშირებული მის გაეაზირებასთან მეჭურჭლეთ უხუცესობის სხით; მართლაც, „სასთაულითა დაჯდომა“ არ იყო მხოლოდ და მხოლოდ გაეაზირების აღმნიშვნელი აქტი (გვ. 176), მით უმეტეს, რომ ასათმა „სასთაულითა დაჯდომა“ იაჯა არა მეფის, დარბაზის კარზე, არამედ „არშინისა ადგილსა“.

შიომღვიმისადმი მიცემულს შეწირულებითი სიგელს (გვ. 183—186), იყოს შოთა, ჰერეთის ერისთავი და ავტორი პოემისა. მართლაც, როგორ უნდა მოეწერა ამ შოთას ხელი აღნიშნულ სიგელისათვის, როდესაც 1200—1206 წლებში ის, ინგოროყვას სიტყვით (გვ. 296—320), საქართველოდან გაძევებული და ბაღდადის ხალიფატში იმყოფებოდა? თან პროფ. ი. ჯავახიშვილმა დაამტკიცა, რომ ჭიაბერის სიგელი, თუ ნატყუარი არაა, ყოველ შემთხვევაში 1184—8 წლებზე უგვიანესი არ უნდა იყოს (ქართული პალეოგრაფია, გვ. 175—6).

7. პოეტის დაბადების წელი.

შოთა, ავტორი პოემისა, ინგოროყვას გამოანგარიშებით, დაბადებულია 1168-9 წლებში; საბუთი: 1191 წელს, მემათიანის თქმით, „შეიწყალეს და დალოცეს“, სხვათა შორის, „გრიგოლის ძენი“, მათ შორის, საგულვებელია, შოთაც. რაკი შოთას სამეფო კარზე მიღება „შეწყალებითა და დალოცვითა“ 1191 წელს მოხდა, იგი იმდროს, ამბობს ავტორი, ყოფილა 23 წლისა. ერთი ძველი ქრონიკის ჩვენებიდანა ჩანს, რომ 23 წელი ითვლებოდა სრულწლოვანობად, რა დროსაც უნდა მომხდარიყო მფლობელად „დალოცვა და შეწყალება“ (გვ. 180—181).

არ არსებობს არაერთი საბუთი იმისა, რომ მათიანეში ნახმარი სიტყვა „დალოცვა—შეწყალება“ სრულწლოვანებისა და სამეფო კარზე მიღების აღმნიშვნელი ტერმინი იყო. მართლაც, იგივე მემათიანე გადმოგვცემს „შეწყალებასა და დალოცვას“ ისეთი პირებისაც, რომელნიც დიდხანია სრულწლოვანი და სამეფო კარზე მიღებულნი იყვნენ და „დიდებულად“ ითვლებოდნენ, მაგალითად: „შეიწყალეს და უბოძეს სარგისის ძესა ივანეს პირველად მსახურთ—უხუცესობა“ (ქართლ.-ცხოვრ. მარიაშისა, გვ. 442); „შეიწყალეს და დალოცეს სხუანიცა დიდებულნი მრავალნი“ (იქვე); იმავე 1191 წელს „შეიწყალეს და დალოცეს სარგის ვარამის ძე და უბოძეს თმოგვი“ (გვ. 444), „შეიწყალეს თვითოეული თვისითა წესითა, რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა“ (იქვე). ამ სიტყვებიდანა ჩანს, რომ „შეწყალება და დალოცვა“ არ ყოფილა ერთფეროვანი აქტი, ის სხვადასხვა „წესისა“ და შინაარსისა ყოფილა. სხვა ან იყოს რა, ნუთუ ზემომოყვანილ გრიგოლს ყველა შვილები („შვილნი“) ერთსადაიმევე წელს დაებადა, რომ ყველა ისინი 1191 წელს გამხდარიან სრულწლოვანნი და სამეფო კარზე მიღებულნი? არ მოიპოვება დანამდვილებითი ცნობა იმის შესახებ, თუ რომელი წელი ითვლებოდა იმ დროს სრულწლოვანების აღმნიშვნელად; არ ვიცით, რა ქრონიკაა ის ქრონიკა, რომელიც, ინგოროყვას თქმით, სრულწლოვანებად 23 წელს აღიარებს, ვიცით მხოლოდ, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ჩვენი მკვლევარი ჩახრუხაძის სრულწლოვანებას არკვევდა, სრულწლოვანებად ის 20 წლის ჰასაკსა სთვლიდა („კავკასიაი“ № 1—2, გვ. 278—9); ნუ თუ ამ მოკლე ხანში სამი წლით გაიზარდა ეს ჰასაკი? იქნება უფრო საიმედო იყოს ამ შემთხვევაში ჩვენება თვით პოემის ავტორისა, რომელიც გადმოგვცემს შემდეგს: 15 წლის ტარიელს მამა მოუკვდა, ერთი წელიწადი ამის

შემდეგ, მგლოვიარობის ნიშნად, ის „ბნელსა შინა“ იჯდა, გამოვიდა თურა საბნელოდან, მეფემ მას უბოძა ამილბარობა, საჯდომის ახლო დაისვა, პეტრე-სცა ძისა სწორად და „მის ხელისა საურავი უთხრა წყნარად“. ¹⁾ ხომ არ არის ამ შემთხვევაში 17 წელიწადი მაჩვენებელი სრულწლოვანებისა, როდესაც შესაძლებელი ყოფილა მეფის ტახტთან დაახლოვება და დიდი თანამდებობის მიღება?

ამნაირად, არავითარი ცნობა არ არსებობს იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ გამოსაცნობი ავტორი პოემისა 1168-9 წლებში დაბადებულიყოს.

8. პოეტის საქართველოდან გაძევება.

ერთი საოცარი თვისება აქვს ჩვენს მკვლევარს: მიუხედავად იმისა, რომ თამარი, მისივე სიტყვით, იყო ნამდვილი მეცენატი მწერლობისა და ცენტრალური ფიგურა მაშინდელი კულტურისა, რომ პოეტები და მწერლები შეადგენდნენ აუცილებელ აქსესუარს მისი ბრწყინვალე კარისას (გვ. 308), მიუხედავად ყველა ამისა, ამ საცოდავ პოეტებს, რაღაცა ფატუმით, მის კარზე არ ედგომებოდათ, ხან ერთს გააძევებდნენ სამშობლოდან, ხან მეორეს. ჯერ იყო და პ. ინგოროყვამ სამშობლოდან გააძევა გამოჩენილი პოეტი თამარის კარისა ჩახრუხადე („კავკასიონი“, № 1—2 № 3—4), ეხლაა და ასეთივე ბედი არგუნა ვეფხისტყაოსნის ავტორსაც; წარმოიდგინეთ, თურმე შოთა რუსთველიც გაუძევებიათ სამშობლოდან და მას მთელი ექვსი წელიწადი (1200—1206) უცხოეთში დაუყვია ყარიბად. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჩახრუხადეს მან შემოარებინა მთელი მაშინ ცნობილი მსოფლიო და სამშობლოში დაბრუნების ნება მაინც არ მისცა, რუსთველი კი ბაღდადის ხალიფატში გადაასახლა, იქ დააწერინა თავისი უკვდავი პოემა და ბოლოს ნება დართო სამშობლო ქვეყანაში დაბრუნებულიყო.

საიდან გაიგო პ. ინგოროყვამ, რომ შოთა სამშობლოდან გაძევებული იყო? თვით მისი პოემიდან. მართლაც, აქ ჩვენ გვაქვს ორი ლირიული სტროფი, რომელშიაც პოეტი თურმე თავის თავზე, თავის ყარიბობაზე ლაპარაკობს. პირველი სტროფი:

ამ საქმესა მემოწმების მე დივანი ბრძენის ეზროს:
საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, დაცაეზროს;
ვის ბალახში არა ჰგვანდეს და ლელწამი ტანად ეზროს,
იგი სადმე გაღარიბდეს, სამყოფთაგან იაბეზროს.

აქ, ამბობს მკვლევარი, ლაპარაკია მე-12 საუკუნის პოეტის ეზროს შესახებ, რომელსაც არაბულად დაუწერია კრებული (დივანი) ლირიული ლექსებისა; რადგანაც ეზრო თვითონ ყარიბი იყო, ამიტომ მას შეეძლო ეთქვა, რომ საბრალოა აღამიანი, როცა ის უცხოეთში გადაიხვეწება, განდევნილი მისი მამულიდანო (გვ. 298—299). აღნიშნული სტროფი წინაგამოცემებში იწყება ასე: „ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი ეზროს“, ინგოროყვას კი ეს სიტყვები

1) სტროფ. 255, 257, 258, 259, 261 ი. აბულაძის მე-26 გამოცემისა. ქვემოთ, საქირო შემთხვევაში სტროფები ნაჩვენები იქნება ამ გამოცემით.

გადაუკეთებია: „ამ საქმესა შემოწმების შე დივანი ბრძენის ეზროს“ და ამის მიხედვით გამოუძებნია ვილაც ეზრო პოეტის ლექსთა კრებული (დივანი); მაგრამ გადაკეთება ამ სიტყვებისა ამნაირად და არა მარტო გაღმარებულია, არამედ გამოქვეყნება მისი ამ გადაკეთებული სახით, პირდაპირ მეცნიერული სკანდალია მას შემდეგ, რაც პროფ. ა. შანიძემ ჯერ კიდევ 1924 წელს მოგვცა ვაჭ-მიუტანელი შესწორება ამ ადგილისა: „ამ საქმესა შემოწმების დიაღნოსი ბრძენისა ეზროს“ („ჩვენი მეცნიერება“, იანვარი, № 8, გვ. 48-52), რომლითაც გამორიცხულია ყველა დიაღნოსები და ყარობი პოეტი ეზრომისი „დივანით“. მეორე—ეს სტროფი, როგორც უკვე ცნობილია, ყალბია, შემდეგ შეტანილი ვეფხისტყაოსანში (ა. სარაჯიშვილი, ა. შანიძე, ი. აბულაძე), მაშასადამე—რამნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მას ჩვენი საკითხისათვის? მესამე—ეს ლირიული ადგილი, სადაც ლაპარაკია ყარობობასა და სამშობლოს დატოვებაზე, რატომ უეჭველად შოთას უნდა ჰგულისხმობდეს, როდესაც მას უშუალოდ მისდევს ავთანდილის მიერ სამშობლოს, „არაბთა საზღვარის დაგდება“, „სხვით ზღვრითა სიარული“, ესე იგი—მისი უგზო-უკვლოდ სამი წლის განმავლობაში უცხოეთში სიარული უცნობი ადამიანის მოსაძებნად?!

მეორე ლირიული სტროფი:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას მადრუნებ, რა ზნე გქირსა!

ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა:

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა,

მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა.

აქაცო, გვარწმუნებს მკვლევარი, პოეტი ლაპარაკობს თავისი ყარობობისა და უცხოეთში ყოფნის შესახებო. საკმარისია ზერელედ გადაიკითხოთ ამისი მომდევნო ეპიზოდი, რომ დარწმუნდეთ, რომ აქაც გამოხატულია ლირიული გრძნობა გულამოსკენილად მტირალი ავთანდილისა, რომელიც მოწყვეტილია თავის სატრფოს, სამშობლოს და სამკვიდროს, რომელიც უცხოეთშია გადახვეწილი და არ იცის—ელირსიბა თუ არა მას სამშობლოში დაბრუნება. რა შუაშია აქ პოეტი და მისი ყარობობა?! ასეც რომ არ იყოს, ეს სტროფი, ყველა ნიშნებით, ყალბი, შემდეგ დამატებული უნდა იყოს: წუწუნი წუთისოფლის „ზნეზე“. მის დაუნდობლობა-სიმუხთლზე, ჩვეულებრივი მოტივია ალორძინების ხანის პოეზიისა და არა კლასიკური ეპოქის ლალი და ცხოვრების მოტრფიალე სოფლმხედველობისა.

პოეტი რომ უცხოეთშია, სახელდობრ ბაღდადის ხალიფატში, ეს იქიდანა ჩანსო, განაგრძობს მკვლევარი, რომ პოემაში მოხსენებულია მდინარეები დიჯლატი, ევფრატი, ჯეონი და აგრეთვე „მობაღდადენი ვაქარნი“, ამისი მაჩვენებელია არაბი პოეტი ეზროც, რომლის სახელსა და თხზულებებს ის უფრო ბაღდადის ხალიფატში გაიცნობდაო (გვ. 315-319). თავი დავანებოთ ეზრო პოეტს, რომელიც, როგორც დავინახეთ, აბსოლუტური ფიქციაა ჩვენი პოემისათვის, რაც შეეხება ჩამოთვლილ მდინარეებსა და „მობაღდადე ვაქარებს“, ინგოროყვასებურად რომ ვიმსჯელოთ, ავტორები სპარსულ-ქართული სადევგმირო და სა-

მიჯნურო პოემათა უმეტესი ნაწილისა უნდა ბაღდადის ხალიფატში გადაეცა-
ლოთ, ვინაიდან მათში ძალიან ხშირია ეს სახელები.

ამნაირად, არ არსებობს არავითარი ნიშან-წყალი იმისა, რომ ვეფხისტყა-
ოსნის ავტორი სამშობლოდან გაძევებულია და უცხოეთში სწერს თავის მხატვრობას.

9. რამ გამოიწვია პოეტის განდევნა სამშობლოდან?

ამის მიზეზი ყოფილა, ავტორის სიტყვით, ერთერთი სავალალო თხუზუ-
ლება შოთასი, 1196-1200 წლებში დაწერილი, რომელსაც „ქებანი“ რქმევია
(გვ. 292-295, 303-314). საფიქრებელია მართლაც, რომ ვეფხისტყაოსნის ავ-
ტორს სხვა რამეც ჰქონდა დაწერილი, ამის საწინააღმდეგოდ მაინცადამაინც სე-
რიოზულად არა ითქმის რა, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ ეს უცნობი X არის
„ქებანი“. ჩემის აზრით უნდადაგოა. ასეთი თხუზულების არსებობას ინგოროყვა
ამყარებს პროლოგის შემდეგს სტროფზე:

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა, კალმად მე ნაი რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლაზვარი გულსა ხეული.

ამ სტროფიდან ასეთი კარდინალური დასკვნის გამოტანა სრულიად შეუძ-
ლებელია. ჯერ ერთი: სტროფი ყალბია, შეტანილი პოემაში მაშინ, როდესაც
დაუკარგავთ ნამდვილი გაგება მისი და დაუწყიათ იმაში ისტორიული ალგო-
რიების ძებნა, სახელდობრ თამარის ეთეროვანი პიროვნებისა და მისდამი პოე-
ტის განწყობილებისა. აი სწორედ ამ ისტორიზმის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმარ-
თული ის პოლემიკა, რომელსაც ინგოროყვა პროლოგის ზოგიერთ ტაეპებში ხე-
დავს და რომელსაც მიზნად აქვს დასახული გააბათილოს შესაფერისი ყალბი
სტროფები (გვ. 45-55). ყოველ შემთხვევაში, ეს სტროფი არ არის ისეთს მნიშ-
ვნელოვან ხელნაწერში, როგორცაა წერ.-კითხ. № 2829, არ უნდა ყოფილიყოს
ის აგრეთვე არც საისტ.-საეთნოგრ. № 461-ში, რადგანაც პროლოგი ამ ხელნა-
წერისა. დარჩენილი ფრანგმეტეების მიხედვით, იმეორებდა პირველის პროლოგს.
ეს ფაქტი უმნიშვნელო არაა აღნიშნული სტროფის ვითარების გარკვევისათვის.

მეორე—მნელია დაჯერება იმისა, რომ „ქებანი“ აქ ერთს, მთლიან თხუზუ-
ლებას. თუგინდ პოემას, ჰგულისხმობდეს; მართლაცდა, ხომ სერიოზულად არ
შეიძლება მიუთითოთ ამ შემთხვევაში სიტყვაზედ „გამორჩეული“, რომელიც მხო-
ლოობითს რიცხვშია (გვ. 290-391)? რად ავიწყდება ჩვენს მკვლევარს, რომ, თუ
ეს სიტყვა მხოლოობითშია, დასაწყისი სიტყვები — „ვთქვენი ქებანი ვისნი
მე“, შეთანხმებული იმავე სიტყვასთან („ქებანი“), მრავლობითი რიცხვის მაჩვე-
ნებელია! ამ შემთხვევაში ისეთივე კონსტრუქცია გვაქვს, როგორც ამავე სტრო-
ფის პირველს სტრიქონში: „თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლდათ-
ხეული“; „დათხეული“ მხოლოობითი რიცხვია, თუმცა ზმნა „ვაქებდეთ“ მრავ-
ლობითშია (ინგოროყვა ტყვილად ასწორებს მას მხოლოობითად — „ვაქებდე“,
საქიროა ხელნაწერებში ჩახედვა!).

მესამე—სრულიად უსაფუძვლოა აზრი, თითქოს მოყვანილს სტროფში

ლაპარაკი იყოს იმ პირველი თხზულების შესახებ, რაც არ უნდა პრეტენდობდეს მას. რომელიც თითქოს 1196—1200 წლებში იყო დაწერილი. ინტერპოლატორი აქ გულისხმობს იმავე ვეფხისტყაოსანს; აი აზრი მისი სიტყვებისა: „... ვეფხისტყაოსანი“ თამარის ქებას, რომელიც სხვანაირად არ შეიძლება მოსმენილ იქნეს, არა სისხლის ცრემლების დათხევით; მართლაც, მე ვთქვი ისეთი ჩინებული ქება მისი („ვეფხისტყაოსანი“), რომ ვინც მას მოისმენს, ბასრი ლახვარივით ჩაესობა გულში. ამ ქების დაწერისას მე მელნად ვიხმარე გიშრის ტბა—თამარის თვალები, ხოლო კალმად—ლერწამივით რხეული წამწამები მისიო! სხვანაირი გაგება ამ სტროფისა იქნება ძებნა იმისა, რაც წინასწარ გადაწყვეტილია მოძებნილ იქნეს.

ერთი სიტყვით, ვეფხისტყაოსნის ავტორს არ ჰქონია არავითარი ისეთი თხუზულება, რომლის გულისათვის ის სამშობლოდან გაეძევებინოს ვისმე.

10. რით იყო სავალალო შოთას „ქებანი“?

ავტორი ამ თხზულებისა, შოთა, ამბობს ჩვენი მკვლევარი, არ იყო ქრისტიანი, ის ეკუთვნოდა მანიქეველთა ორდენს, უკეთ რომ ვთქვათ—იყო თავი ამ ორდენისა ჩვენში; ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ თხზულებაში წარმოდგენილი იქნებოდა მანიქეველთა მოძღვრება, რამაც მის ავტორს თავს დაატება სამშობლოდან გაძევებაო; შოთას მანიქეველობას ჩვენ თვალწინ გვიშლის თითქოს ვეფხისტყაოსანიც. აქედან იწყება სენსაციური ნაწილი გამოკვლევისა, რომელიც, ავტორის აზრით, „სრულიად ახალს ფურცელს გვიშლის ქართული კულტურის ისტორიიდან“ (გვ. 241). ავტორი ამტკიცებს, რომ მანიქეველობას მისდევდა არა მარტო შოთა, არამედ სხვა პოეტებიც, მაგალითად, ვილაც ბარმანი, მანიქეველი იყო ლაშა გიორგი, მანიქეველობას თანაუგრძნობდა დიდებული თამარიც თავისი მეფობის პირველს ნახევარში, მანიქეველობას იზიარებდა მთელი წრეები და, უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, მთელი დიდებული კულტურა თამარის დროისა საქართველოში აშენებული ყოფილა თურმე მანიქეველობაზე. ეს მართლაც ამერიკის აღმოჩენაა: ის კულტურა, რომელსაც ჩვენ ვსთვლიდით ქრისტიანულ-მუსულმანურ და ბიზანტიურ-სპარსულ გავლენათა შეჯვარდინების შედეგად, წარმოუშვია თურმე მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნისათვის საბოლოოდ გამოფიტულს, თითქმის გადაშენებულს მანიქეველობას, რომელმაც თავის ისტორიის განთიად-ზედაც კი ვერ გამოიჩინა ისეთი შემოქმედებითი ძალა, რომ გვერდში ამოდგომოდა მაზდეიზმს, ქრისტიანიზმს და ისლამს, როგორც სწორუფლებიანი კულტურული მოვლენა. საკვირველი ყოფილა მაინც ეს ქართული მანიქეიზმი: ზოგიერთებს, მაგალითად შოთას, მისი გულისათვის სამშობლოდან აძევებდენ, ზოგიერთებს კი, მაგალითად—თამარსა და ლაშა გიორგის, მან არ დაუშალა სათაყვანო გამხდარიყვნენ ერისათვის იმდენად, რომ მათი სახელის გარშემო შექმნილიყო ხალხური, წმინდა რელიგიური ხასიათის კულტი (გვ. 234).

მივყვეთ კვალდაკვალ ჩვენს მკვლევარს და ვკითხოთ: საიდან ჩანს, რომ 1) ვეფხისტყაოსანი მანიქეველური ნაწარმოებია, 2) მისი ავტორი თავია მანი-

ქველთა ორდენისა ჩვენში, 3) თამარის და ლაშა გიორგის დროის საქართველო გაქვნილი იყო მანიქეველური სოფლმხედველობით?



11. მანიქეიზმი ვეფხისტყაოსანში.

ვეფხისტყაოსნის მანიქეველობის საბუთს ჩვენს მკვლევარს აძლევს ერთი ყალბი სტროფი, რომელიც წინ მიუძღვის ხელნაწერებში ამ პოემას და რომელიც შემდგომად იკითხება:

პირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმოთ ვეფხისტყაოსნობით, არას შეიქს ხორცს არ სულად,
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთარსულად,
არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქნას აღსასრულად.

აქო, ამბობს მკვლევარი, ინტერპოლატორი პოლემიკას აწარმოებს ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ, ვინაიდან მან იცის, რომ ეს პოემა არის „სპარსული“ მოძღვრების, ესე იგი—მანიქეიზმის, შემცველი და ის სამებას ერთარსებას არ აღიარებსო (გვ. 54-55, 116-118, 218-220). ჯერ ერთი—ამ ტლანქ ინტერპოლატორში ფრაზა „ნათქვამია იგ სპარსულად“ არ შეიცავს იმ აზრს, თითქოს თხზულებაში მანიქეველური მოძღვრებაა გადმოცემული, ის უხეირო გამოძახალია იმ სტროფისა, სადაც ნათქვამია: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“. მართლაც, მანიქეიზმი არ შეიძლება ჩაითვალოს „სპარსულ“ მოძღვრებად, რადგანაც ის სასტიკად დუალისტური მოძღვრებაა, მაშინ, როდესაც ზოროასტრიზმი მონოთეისტურია, რამდენადაც იმაში არიზანი ორმუხდის ქმნ ლებად ითვლება. მანიქეიზმი იმდენადაა „სპარსული“, რადგანაც „ქრისტიანული“ და „ბუდისტური“. მეორე—ტყვილია. რომ ვეფხისტყაოსანი არ ახსენებს სამებას; პოემაში ნათქვამია, რომ მზე ხატია „ერთარსებისა ღვთისა“ (სტრ. 719), თეოლოგიურ ტერმინოლოგიაში „ერთარსება“ *implicite* ჰგულისხმობს „სამებას“, ისე მას არავითარი აზრი არ აქვს.

მეორე საბუთი პოემის მანიქეველობისა: „პოემაში გადმოცემული სოფლმხედველობის თანახმად, მზე არის ღვთაების უშუალო ემანაცია, იგივე ღვთაება, ეს სავსებით შეეფერება მანიქეიზმის იდეებს; პოემის თავდაპირველ დედანში წარმოდგენილი ყოფილა ისეთი ადგილები, სადაც პოეტი პირდაპირ მიმართავდა მზეს, როგორც ღვთაებას“ (გვ. 60-61). ასეთი „ადგილები“ პოემაში არ არის, არის მხოლოდ ერთი სტროფი, რომელშიაც ავთანდილი მზეს მიმართავს „აჰა მზეო“ (831) და რომელიც ჩვენს მკვლევარს, ერთადერთი შემთხვევითი ხელნაწერის მიხედვით, გადაუკეთებია ასე: „აჰა ღმერთო“.*) მანიქეიზმი სასტიკად არჩევს ღმერთს მზისაგან, რადგანაც უკანასკნელს ის ღვთის ქმნილებადასთვლის. ვეფხისტყაოსანიც სასტიკად განარჩევს ღმერთს მზისაგან; აქ ჩვენ

*) თუ R ხელნაწერი იგივე (—R) ხელნაწერია, რომელიც ინგოროყვას სიტყვით, „წარსულ საუკუნის სამოციანი წლებიდან სადღაც უკვალოდ დაიკარგა და არც ერთს ქართულს მუხეუმში იგი დღემდე არ შემოსულა“ (გვ. 349), საიდან გაიგო მან, რომ იმაში „მზეო“ კი არ ეწერა, არამედ „ღმერთო“?

კეთილშობილთ: „ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვის ერთარსებისა ერთიხა“, „ერთხატად ღმრთისა გიტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“ (719,720). აქ მზე წარმოდგენილია არა ღმერთად, არამედ მის ხატად, ესე იგი—მსგავსებად. ამ შემთხვევაში გადმოცემულია იმ ღვთისმეტყველთა („ფილოსოფოსნი წინანი“) აზრი, რომელნიც ღვთაების ერთერთ სახედ მართლაც მზეს ხატავდნენ და ამით ამტკიცებდნენ მის სამპიროვნებას და სამგვამოვნებას: მზე თავის თავად ერთი რამ არის, მაგრამ ამავე დროს ის სამგვამოვანია: თვით დისკო მზისა (მატერია), სინათლე და სითბო. მაშასადამე აქაც ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ჩვენი პოემისათვის არაა უცხო „ერთარსება სამების“ იდეა. დებულება, რომ მზე ღვთაების ხატია, ქრისტიანიზმისაგან შეითვისა ნეოპლატონიზმმა; ჩვენს პოემაში გამოთქმული აზრი, რომ ადამიანი „წილია მზისა“, ეკუთვნის არა მანიქეიზმს, როგორც ინგოროყვას ჰგონია (გვ. 61), არამედ იმავე ნეოპლატონიზმს, როგორც ეს თავის დროს დოკუმენტალურად აღნიშნა ნ. მარშაც (Вступительные и заключительные строфы, стр. XLVII).

ვეფხისტყაოსანი მთელი თავისი შინაარსით დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მანიქეველთა მოძღვრების მთავარ დებულებებს. მანიქეიზმს ახასიათებს მკაცრი დუალიზმი, ის ადამიანს სთვლის ეშმაკის ქმნილებად, ქალს კერძოდ არაწმიდა არსებად. უკრძალავს ქალისადმი სიყვარულს, ქორწინებას და შეიღებების გაჩენას, უკრძალავს აგრეთვე ნადირობას, სულდგმულ არსებათა მოკვლას და ჭამას, ქეიფს, ღვინის სმას, ომიანობას, ტყუილის თქმას, ცუდი სიტყვების ხმარებას, მისნობას და ვაჭრობას. ვეფხისტყაოსანს ახასიათებს გარკვეული მონოთეიზმი (719), მასში, როგორც ვიცით, გაღმერთებულია ქალისადმი სიყვარული სატრფოსთან დაქორწინება და შეუღლება ადამიანის სიცოცხლის იდეალადაა გამოყვანილი, ნადირობის დროს ცხოველების დახოცვა და ნანადირევის ჭამა ყოველდღიური ცხოვრების ნორმადაა გამოყვანილი, ქეიფი, შექცევა და ღვინის სმა აუცილებელი ატრიბუტია ცხოვრებისა, იმაში ომიანობასა და ბრძოლას მთავარი ადგილი უკავია (იხ. ჩემი „ქართული ლიტერატურის ისტორია II, 99); ადამიანი, კაცი იქნება თუ ქალი, მას მიაჩნია ღვთისაგან დაბადებულად (8,677), მისი გმირები, რჩეულებიც კი, ტყვილსაც ამბობენ (476, ავთანდილის ორჯერ გაპარვა) და ცუდ სიტყვებსაც (486, 487, 500, 964), ისინი არ ერიდებიან არც ცუდს საქმეს, როგორიცაა მრუშობა (286—290, ავთანდილი და ფატმანი), არც გრძნება—მისნობას და ცრუმორწმუნეობას (60, 560, 645, 489, 1099, 1125, 1133-1136, 1218, 1245, 1317), არც ვაჭრობას (895-925, 927-938, 942).¹⁾

¹⁾ ამ წინააღმდეგობას ვერ შეასუსტებს პ. ინგოროყვა ვერც მის მიერ წამოყენებული „განახლებული“ მანიქეიზმით (გვ. 2:3—227); მანიქეიზმის ისტორიამ, გარდა თანდათანობითი დაკნინებისა და დაქვეითებისა, არაავითარი „განახლება“ არ იცის, თუ „განახლებად“ არ ჩავთვლით ერთ დროს ჰამზად აჯრადის გარშემო მომანიქეველო მაჰმადიან მერალთა თავის მოყრას ქ. ბასრაში (А. Крымский, Абан Лахвский, манихействующий поэт, стр. 21—28). მაგრამ ეს „განახლებული“ მანიქეიზმი თვით ხალიფატშიაც არ გასცილებია მერვე მეცხრე საუკუნეთა საზღვარს, და როგორ უნდა გამხდარიყო ის მამოძრავებელ ძალად მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეთა საქართველოში? ნუ თუ „განახლებულ“ მანიქეიზმად ასაღებს ჩვენი მკვლევარი არაბულ-სპარსული მსოფლიოს კულტურულ გავლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეთორმეტე საუკუნის საქართველოში (გვ. 226)?

ამნაირად, ირკვევა, რომ ვეფხისტყაოსანში არაერთარი კვალი მანიქეის მისა არ მოიპოვება.



12. პოეტი მანიქეელი და „კუპარი“

ვეფხისტყაოსანის ავტორი სწორედ რომ ცუდს ვარსკვლავზე დაბადებულა: ჯერ იყო და ის საცოდავი კინალამ გაამაჰმადიანეს, ეხლაა და პ. ინგოროყვა მანიქეველთა ორდენში უპირებს მას ჩაწერას, თითქოს საქართველოში კარგი პოეტი კარგს ვერას დასწერდა, თუ ის მაჰმადიანი, მანიქეველი ან ამის მსგავსი რაიმე არ იქნებოდა! თუ პოემაში არ არის არაერთარი ნამდვილი კვალი მანიქეიზმისა, ცხადია, მისი ავტორი არ ყოფილა მანიქეელობის მიმდევარი, მით უმეტეს მისი მეთაური, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მას თავისი credo არ გამოემჟღავნებია ამ პოემაში. როგორ არაო, გვეუბნება ჩვენი მკვლევარი, მონგოლთა ეპოქის მემატიანე, ეგრედ წოდებული „უამთააღმწერელი“, გადმოკვცემს, რომ ჰერეთის ერისთავი შოთა იყო „მანის ფერი“ და „კუპარი“, ესე იგი — მეთაური მანის ორდენისა და სჯულისაგან განდგომილიო (გვ. 213—215). მაგრამ მემატიანე ხომ არ ამბობს, რომ ჰერეთის ერისთავი შოთა იყო ავტორი ვეფხისტყაოსანისა, ამისი თქმა არც იმას შეეძლო და, როგორც ზევითაც შევნიშნე, არც ჩვენ შეგვიძლია არსებული მასალების მიხედვით. მაინც გაუწიოთ ანგარიში წამოყენებულ არგუმენტს და ვნახოთ, რას ამბობს მართლა უამთააღმწერელი, რომლის ტექსტი, როგორც ცნობილია, მარიამისეულის დედანში ძალზე დამახინჯებულია; აქ გადმოცემულია, რომ ქართველებმა გაგზავნეს მონგოლებთან მოსალაპარაკებლად, სხვათა შორის, „ერეთის: ერის: თავი: შოთაი: რომელსა: მანისი: ფერობისა: თვის: კუპრობით: უხმობდეს“ (მარიამ. ქარ. ცხოვრ. გვ. 600). პ. ინგოროყვა ასე ჰკითხულობს ამ ბუნდოვან ადგილს: „ერეთის ერისთავი შოთაჲ, რომელსა მანისა ფერობისათვის კუპრობით უხმობდეს“, ესე იგი — რომელსაც მანიქეიზმის (მანისა) მეთაურობისათვის (ფერობისათვის) კუპარს (სარწმუნოებიდან განდგომილს) უძახოდენო. უნდა შევნიშნო, რომ დაყრდნობა ასეთს ბუნდოვან ადგილზე ასეთი კარდინალური დასკვნის გაკეთებისას სახიფათოა. ჯერ ერთი — აქ სწერია „მანისი“ (თეიმურაზის ვარიანტში „მნისი“) და არა „მანისა“, მეორე — ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც თითქმის თანამედროვე იყო მარიამისეული დედნის გადწერისა და უფრო შეეძლო მისი სულის გაგება, ამ ადგილს ასე ჰკითხულობს: „ჰერეთის ერისთავი შოთა, რომელიც მელნის სეფობისათვის კუპრობით იხსენების“ (საისტ.-საფთნოვრ. საზ. ხელნაწ. № 1240); ასეთს წაკითხვას სავსებით იზიარებს ბატონიშვილი თეიმურაზიც, რომელიც მას თავისებურ კომენტარიებს უკეთებს.¹⁾ მესამე — ვახტანგ მეექვსის სწავლულ ისტორიკოსთა კომისიას, რომელსაც გაცილებით მეტი და უკეთესი მასალები ჰქონდა

1) აი ბატ.-შვილი თეიმურაზის სიტყვები „კუპრობით იხსენების სიშავისათვის მელნისა“ ვინაიდან რუსთაფისა ქალაქისა მახლობელ არს წყარო, ვითარცა მელანი გამომდინარე, რომელიცა იხმარების საწერადცა და მახლობელთა მათ ადგილთა იპოვებიან გამომდინარენი ვაკესა ადგილსა ზედა კუპრი მრავალი და ყოველსა ადგილსა შინა საქართველოსასა მუნით წარიღებენ ყოველთვის კუპრსა“ (E. Такайшвили, Описание рукописей, II, 587).

ხელთ, ეს ადგილი ასე გაუგია: „რომელსა სიშავეისათვის კუბრობით უხმობდეს“. ამნაირად, არც ფარსადან გორგიჯანიძე, არც ვახტანგის კომისია, არც ბატონიშვილი თეიმურაზი აქ მანიქეიზმსა და მის მეტაფორას არ ხედავს, მათი გაგებით „მანისა ფერობისათვის“ არის დამახინჯებული „მელნისა ფერობისათვის“, და აზრი მისი ის არის, რომ, რადგანაც შოთა იყო შავი ფერის, როგორც მელანი, მას კუბრს ადარებდენ და შოთა კუბრს ეძახდენო¹⁾. რა საბუთი გვაქვს უფრო მეტად დაუჯეროთ პ. ინგოროყვას, ვიდრე ფარსადან გორგიჯანიძეს და ვახტანგის სწავლულ ისტორიკოსთა კომისიას (არას ვაზნობ თეიმურაზზე), რომელთაც სპარსულ-არაბულიც იცოდენ (ინგოროყვამ არ იცის), მასალებიც მეტი ჰქონდათ ამ ბუნდოვანი ადგილის შესამოწმებლად და, შეიძლება, ესაა დამწერელის თხზულების უკეთესი ვარიანტიც, ვიდრე მარიამის დედანი? ინგოროყვას წაკითხვა რომ საეჭვოა, შემდეგიდანა ჩანს:

1) „მანისა“: ვთქვათ, რომ აქ იგულისხმება მანიქეიზმის დამაარსებლის სახელი *Μανιχης*; ქართულს ლიტერატურულ ძეგლებში ეს სახელი გადმოიცემა არა „მანი“-თ, არამედ ა) მანენტოს: მაგალითად, თეოფილე ხუცესმონაზონის (XII ს.) ეპიტუანე კვიპრელის „წვალებათათვის“ თარგმანში — „მანიქეველნი, ესენი მანენტოჲს სპარსისა მოწათენი“ (სიძვ. მუზ. № 205, გვ. 296); არსენ მონაზონი გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფის“ თარგმანში (XII ს.) — „თანაზიარი ამის მანენტოსისი“ (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 245, 11); ბ) უფრო ხშირად კი — „მანი“: იგივე არსენ მონაზონი (ყაუხჩიშვილი 243, 31, 244, 31, 17, 22, 26), ქართველი პიმნოგრაფი XII ს. — „შემდგომად წყეული მანი“ (სიძვ. მუზ. № 85, გვ. 348). მართალია, აბდულმესიად წოდებულს თხზულებაში ნახმარია „მანი“ (Н. Марр, Древне-груз. описаны, 85, 2), მაგრამ ეს თხზულება ჩვენამდე შენახულა სულ ახალიდროის ხელნაწერებით, ჩვენ არ ვიცით — თვით ავტორი „მანი“-ს სწერდა თუ „მანი“-ს. მაგრამ დაუშვათ, რომ „მანი“-ც კანონზომიერი ფორმაა, გაუგებრობას იწვევს შემდეგი გარემოება:

2) რას ნიშნავს ფრაზა „მანისა ფერობისათვის“? გასაგებია „მანის მოძღვრების, ორდენის, რჯულის, მიმდევართა ფერობისათვის“ ან უფროსობისათვის, მეთაურობისათვის, „მანის ფერობისათვის“ კი სრული უაზრობაა [ისე, როგორც, მაგალითად, „ქრისტეს რჯულის მეთაურობისათვის“ მაგიერ რომ ვთქვათ „ქრისტეს მეთაურობისათვის“], მით უმეტეს, რომ მანის მიმდევარს ლიტერატურულს ძეგლებში ეწოდება „მანიქეველი“ (სიძვ. მუზ. № 205, გვ. 296, № 85, გვ. 349, ს. ყაუხჩიშვილი, ხრონოგრაფი 246, 11) და არა „მანი“; ეს იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, ქრისტეს მიმდევარს, ქრისტეანის მაგიერ, „ქრისტე“ ვუწოდოთ, მაჰმადის მიმდევარს — „მაჰმადი“ და არა მაჰმადიანი.

3) იმ ადამიანისათვის, რომელმაც არაბული ენა არ იცის, უკეთესი იყო თავი შეეკავებია „კუბრი“-ს, resp. „კუპარი“-ს არაბული ეტიმოლოგიის ძიები-

1): ამგვარი შედარების ტრადიცია იმდროის ლიტერატურაშიაც კი ჩანს; მაგალითად, ამიროანდარეჯანიანში ვკითხულობთ: „ამაზედინ კაცი ვინმე მოვიდოდა შავი, ვითამცა კუპარი, არა მარტო შოთსანი იყო ტანსა ზეჲან, თვით პირითაცა შავი იყო“ (ზ. კიკინაძის გამოცემა, გვ. 186).



საგან, თუნდაც რუსულს წიგნშიაც ენახა სიტყვა купары (ი. აბულაძე, მე-1/2 საუკუნის ქართული მწერლობა, გვ. 259, ტფილ. 1922 წ.); სპეციალურად მოწიშობით, ეს სიტყვა შეუძლებელია წარმომდგარიყოს იმ არაბულ სიტყვიდან, რომელიც ურწმუნოს, სარწმუნოებიდან განდგომილს აღნიშნავს.

ამნაირად, უამთაალმწერელი ს ბუნდოვანი ადგილის წაკითხვა ისე როგორც მას ჰკითხულობს ინგოროყვა, საეჭვოა; უფრო მისაღები და გასაგებია ფარსადან გორგიჯანიძის, ვახტანგის კომისიის და თეიმურაზ ბატონიშვილის შეხედულება, რომლითაც აღნიშნულ ადგილას ლაპარაკია შოთას მეღნისა და კუბრის მსგავს სიშავებზე და არა მანიქვლობასა და ურწმუნოებაზე. მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ შოთას საბე გამოეჩანდაკებით ეკლესიაში (გვ. 329-346), თუ ის მართლა მანიქველი და სარწმუნოებისაგან გამდგარი იყო; ჩვენ ვიცით ქრისტიანობის ისტორიიდან, რომ ეკლესიის კარისბჭეში გამოხატავდენ ხოლმე არაქრისტიან ფილოსოფოსებსაც, როგორ, მაგალითად, პლატონს და სოკრატეს, მაგრამ იმიტომ, რომ ისინი თავისი ფილოსოფიური კონცეპციით თითქოს აახლოვებდენ კაცობრიობას მომავალ ქრისტიანობასთან, შოთა კი ინგოროყვას თეორიით ქრისტიანებს განაშორებდა ქრისტესაგან.

13. „რინდნი მანნი“ საქართველოში.

3. ინგოროყვას აზრით, თამარისა და გიორგი ლაშას დროის საქართველო სულერთიან მანიქეზმით ყოფილა გაქლენთილი; ამის მთავარ საბუთს ¹⁾ მას აძლევს იგივე უამთაალმწერელი, რომელიც ლაშა გიორგის შესახებ გადმოგვცემს შემდეგს: გიორგი „ოდესმე: მსმელ: ფრიადისა: ღვინისა: თფილისს: მყოფი: წარიყვანეს: რინდთა: თანა: რათა: მუნ: განიძღონ: სიბილთწე: თვისი: ხოლო: რინდნი მანნი: მეფისა: მისღვისა: არა: მგონებელნი: და: ღვინითა: უცნობო: ქმნილნი: ზედამოეტევენეს: მგუემელნი: ძლიერად: ვიდრემდის: ერთიცა: თუალი: მარჯუენე: ხედვისაგან: უხედვო: ყვეს“ (ქართ.-ცხოვ. მარიამისა, გვ. 545). 3. ინგოროყვა უაზროსა და დიმახინჯებულ სიტყვას რინდნი მანნი ჰკითხულობს ასე: „რინდნი მანნი“, და ამბობს: რინდნი აღნიშნავს არაორთოდოქსალური მოძღვრების მიმდევარს, ასე, რომ „რინდნი“, მისი აზრით, არიან „მანნი“. ესე იგი მანიქველნი (გვ. 228-229). საქართველოშიო, ამბობს ის, იყო „რინდ-მანთა“ მრავალრიცხოვანი საზოგადოება, რომელსაც, სხვათა შორის, გიორგი ლაშაც ეკუთვნოდა, როგორც ეს ჩანს არა მარტო ზემოაღნიშნული ადგილიდან, არამედ შემდეგიდანაც: გიორგიმ „გინიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა დედისა [თამარისი] წესთა მსწავლელნი“ და დაიახლოვა „რინდნი მანნი“, რისთვისაც მას ჩამოშორდენ ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელიო (გვ. 238-242). ჯერ უნდა შევნიშნო, რომ ტყვილია, თითქოს გიორგიმ, თავისი დედის ვაზირების ჩამოშორების შემდეგ, დაიახლოვა „რინდნი მანნი“, არაფერს ამის მსგავსს მათიანეში ადგილი არ აქვს, აქ სწერია: „შეიყუარნა“ არა რინდნი

1) მე აღარ შევჩერდები „თამარიანში“ ვილაცას მიერ შეტანილ გაუგებარ სიტყვებზე „მარამ არმანმან“, საიდანაც ინგოროყვას გამოჰყავს მანიქველი პოეტი „ბარამან მანი“ (გვ. 234-237), ვფიქრობ, რომ მეცნიერებას მეტი პატივისცემით უნდა მოპყრობა!

მანნი, არამედ „თანამოასაკენი მსმურობითა და და დედათა უწესოთა თანა აღრევითა“ (მარიამ დედოფ. გვ. 544). მეორე—ყოვლადშეუძლებელია რინდი იყოს მანი ან მანიქველი; რინდი, მისი პირდაპირი მნიშვნელობითა—სპარსულიდან და მემატიანის განმარტებითაც, ნიშნავს ღვინისმსმელს, შემთვრალეს, ამიტომ რინდი-მანის შეერთება ისეთივე უაზრობა იქნებოდა, როგორც მაგალითად, „ქრიტიანი მაჰმადიანი“, ვინაიდან შემთვრალე და ღვინისმსმელი. მანიქეიზმის დოღმატიკით, არ შეიძლება მანიქველი ყოფილიყო.

დამახინჯებული „რინდნიმან“ არ არის „რინდნი მანი“, როგორც პ. ინგოროყვა ჰკითხულობს, არამედ „რინდნი მუნ“, და მთელი ზემომოყვანილი ტირადა ამბობს: გიორგი „ოდესმე, მსელ ფრიადისა ღვინისა, თფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი; ხოლო რინდნი მუნ მეფისა მისლვისა არამგონებელნი და ღვინითა უცნობოქმნილნი, ზედამოეტევნეს, მგუემელნი ძლიერად, ვიდრემდის ერთიცა თუალი, მარჯუენე, ხედვი საგან უხედვო ყვეს“; ახალი ქართულით ეს ნიშნავს: „ერთხელ, გადაჭარბებულად ღვინონასვამი გიორგი, ტფილისში, ამხანაგებმა წარიყვანეს იქ, სადაც რინდები, ესე იგი—შემთვრალეები, იყვნენ, რათა იქ უფრო დაეკმაყოფილებიათ თავიანთი ბილწი სურვილი. რინდებმა, რომელნიც ღვინისაგან გონებაშიხდილნი იყვნენ და რომელთაც ვერ წარმოედგინათ, რომ მეფე იქ (მუნ) მივიდოდა, ვერ იცნეს ის, ამიტომ მისცვივდენ და დაუწყეს ძლიერად ცემა, იქამდის, რომ მარჯვენე თვალიც კი დაუშავეს“. ჩემი წაკითხვა რომ მართალია და დამახინჯებულ „რინდნიმან“-ში მეორე ნახევარი „მან“ აღნიშნავს არა „მანი“-ის, არამედ „მუნ“-ს, ეს ჩანს ამავე ტირადის დასაწყისიდან, სადაც ვკითხულობთ: „წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ“; აქაც სიტყვა „მუნ“, შეცდომით, ისევეა დაწერილი, როგორც აღნიშნულ შემთხვევაში—„მან“, მაგრამ ვახტანგის კომისიას ის სამართლიანად შეუსწორებია.

ერთი სიტყვით, ზემომოყვანილი ტირადის ავტორს აზრადაც არ ჰქონია მანიქველობაზე ელაპარაკნა, ის აგვიწერს ზნე-ჩვეულებას ვილაც რინდებისას, რომელთაც გიორგი მეფეც ჩაუთრევიათ თავიანთ კამპანიაში და რომელნიც, უკეთეს შემთხვევაში, უნდა იყვნენ წარმომადგენელი სპარსული სუფიზმის უაღრესად დამახინჯებული სახისა. ამნაირად, საქართველოს მანიქველობას ანაზღეულად გამოეცალა პ. ინგოროყვას მიერ შეყენებული ბურჯი.

მე გავათავუე „რუსთველიანას“ მამოხილვა და დამრჩენია მხოლოდ გავიმეორო პოემაში შეტანილი სიტყვები: „გასრულდა მისი ამბავი, ვითა სიზმარი ლამისა“; ჩვენ განვიხილეთ ყველა ათითქმის მნიშვნელოვანი ისტორიული-ლიტერატურული დებულებანი ამ შრომისა და დავინახეთ, რომ არცერთი მათგანი სიმართლეს არ შეეფერება; ეს დებულებანი ავტორს დაუმყარებია ან შეცდომით წაკითხულსა და გაგებულს დოკუმენტებზე, ანდა თავისუფალი ფანტაზიის აღმადგენაზე. ვეფხისტყაოსნის ტექსტისა და მისი ავტორის ვინაობის პრობლემა ავტორმა, გაშუქების მაგიერ, — უფრო დააბნელა, შემდეგს მკვლევარს არამც თუ არ გაუადვილა მან გზა, პირიქით—გაუძნელა კიდევაც ამ გზაზედ უხვად მიმოზნეული ქვითა და ეკალ-ნარით.

რად მოსწონდა ილიჩს მხატვრული ლიტერატურიდან

ამხანაგმა, რომელმაც პირველად გამაცნო ვლადიმირ ილიჩი, მითხრა, რომ ილიჩი სწავლული კაცია და კითხულობს მხოლოდ და მხოლოდ სამეცნიერო წიგნებს, რომ მას თავის დღეში არ წაუკითხავს არც ერთი რომანი, ლექსებიც არასოდეს არ წაუკითხავს. გამიკვირდა. თვით მე ახალგაზრდობაში გადავიკითხე ყველა კლასიკები, ზეპირად ვიცოდი თითქმის მთელი ლერმონტოვი და სხვ., ისეთი მწერლები, როგორც არიან ჩერნიშევსკი, ლ. ტოლსტოი, უსპენსკი, წარმოადგენდნენ ჩემი ცხოვრების თითქმის განუყოფელ ნაწილს. მე გასაოცრად მომეჩვენა, რომ არის კაცი, რომელსაც ყველაფერი ეს ოდნავადაც არ აინტერესებს.

შემდეგ მუშაობის დროს მე დაახლოვებით გავიცანი ილიჩი, გავიგე მისი შეხედულება ხალხზე, თვალყურს ვადევნებდი როგორ დაბეჯითებით იხედებოდა ცხოვრებაში, ხალხში—და ცოცხალმა ილიჩმა განდევნა წარმოდგენა კაცზე, რომელიც არასდროს არ იღებდა ხელში წიგნებს. სადაც ლაპარაკია იმაზე თუ რით სკოცხლობს ხალხი.

მაგრამ მაშინ ცხოვრება ისეთ ნაირად მოეწყო, რომ ჩვენ რაღაც ვერ მოვიცალეთ ამ თემაზე გველაპარაკა. შემდეგ კი, ციმბირში, მე გავიგე რომ, ილიჩს ჩემზე ნაკლებათ არ ჰქონდა ნაკითხი კლასიკები, არა თუ ერთხელ ჰქონდა გადაკითხული, არამედ მრავალჯერ, მაგალითად, ტურგენევი. მე თან წავიღე ციმბირში პუშკინი, ლერმონტოვი და ნეკრასოვი. ვლადიმირ ილიჩმა ისინი დაიწყო თავის ლოგინთან, ჰეგელის გვერდით და კითხულობდა ხოლმე საღამომით. ყველაზე მეტად მას უყვარდა პუშკინი. მაგრამ ის აფასებდა არა მარტო ფორმას. მაგალითად, მას უყვარდა ჩერნიშევსკის რომანი: „Что делать?“, მიუხედავად მისი ნაკლებათ მხატვრული ფორმისა. მე მიკვირდა, ისეთი გულდასმით კითხულობდა იგი ამ რომანს და აღნიშნავდა ხოლმე მასში მოცემულ მსუბუქ ხაზებს. მას უყვარდა ჩერნიშევსკი და მის ციმბირის ალბომში იყო ამ მწერლის ორი სურათი, ერთზე ილიჩის ხელით წარწერილი იყო დაბადების და გარდაცვალების წლები. ილიჩის ალბომში კიდევ იყო ემილ ზოლას სურათი, და რუს მწერლებიდან: ჰერცენის და პისაროვის. პისაროვს ვლადიმირ ილიჩი თავის დროზე ბევრს კითხულობდა და უყვარდა. მახსოვს აგრეთვე ციმბირში გვქონდა გოეტეს ფაუსტი გერმანულ ენაზე და ჰეინეს ლექსების ტომი.

ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ, მოსკოვში ვლადიმირ ილიჩი იყო თეატრში, ნახა—„მეეტლე გენშელი“, ამბობდა, რომ ძლიერ მოეწონა.

მიუნხენში ილიჩის მოწონებული წიგნებიდან მახსოვს ჰერბროტის რომანი „Bei mama“ („დედასთან“) და „Büttnerbauer“ („გლეხი“) პოლენცისა.

უფრო გვიან, მეორე ემიგრაციის დროს, პარიზში, ილიჩი სიამოვნებით კითხულობდა ვიქტორ ჰიუგოს ლექსებს „Châtiments“, რომელიც მიძღვნილია 48 წ. რევოლუციისადმი და რომელიც ჰიუგომ დასწერა, როცა გაძევებული იყო. თავის დროს, ის ფარულად შემოჰქონდათ საფრანგეთში. ამ ლექსებში ბევრია რალაც გულუბრყვილო მედიდურობა, მაგრამ მაინც გრძობს კაცი მათში ერთგვარ რევოლუციონურ სულისკვეთებას. სიამოვნებით დადიოდა ილიჩი სხვადასხვა კაფეებში და განაპირა უბნების თეატრებში, რომ მოესმინა რევოლუციონური კუპლეტისტები, რომელნიც მღეროდნენ მუშათა უბნებში ყველაფერზე,—თუნდაც იმაზე თუ როგორ ირჩევენ შეზარხოშებული გლეხები დეპუტატთა პალატაში გასაგზავნათ გამვლელ აგიტატორს, შემდეგ ბავშვების აღზრდაზე, უმუშევრობაზე და სხვ. განსაკუთრებით მოსწონდა ილიჩს მონტეგიუზი. კომუნარის შვილი—მონტეგიუზი მუშათა უბნებში სარგებლობდა დიდი სიყვარულით. მართალია მის იმპროვიზაციულ სასიმღერო კუპლეტებში—რომელთაც ნათლად აჩნდა ყოფის ელფერი—არ იყო განსაზღვრული რაიმე იდეოლოგია, მაგრამ მასში იყო ბევრი წრფელი გატაცება. ილიჩი ხშირად მღეროდა ხოლმე მის შისალმებას 17 პოლკისადმი, რომლებმაც უარი განაცხადეს ესროლათ გაფიცულთათვის: „Salut, salut à lewous, soldatsde 17-me“ („სალამი, სალამი თქვენ, ჯარისკაცნო 17 პოლკისა“). ერთხელ რუსულ საღამოზე ილიჩმა გაუბა საუბარი მონტეგიუზს, და საკვირველია, რომ ასე განსხვავებული ბუნების ხალხმა—მონტეგიუზი შემდეგ როცა ომი დაიწყო, გადავიდა შოვინისტების ბანაკში—დაიწყეს ოცნება მსოფლიო რევოლუციაზე. ასე ხდება ხოლმე ხანდახან—შეხვედებიან მატარებელში შორი ნაცნობები და ვაგონის ბორბლების ხმაურობის აკომპანიმენტზე დაიწყებენ საუბარს ყველაზე უფრო ძვირფას საგანზე, ისეთზე რომელსაც არაფრით არ იტყოდნენ სხვა დროს, შემდეგ დაშორდებიან და არასოდეს მეტს ცხოვრებაში ერთმანეთს აღარ შეხვდებიან. ასე იყო იმ შემთხვევაში, მით უმეტეს, რომ ლაპარაკი სწარმოებდა ფრანგულ ენაზე,—და უცხო ენაზე ხმამაღლა ოცნება უფრო ადვილია, ვინემ მშობლიურზე. ჩვენთან მოდიოდა ოთახის დამლაგებელი ფრანგის ქალი. ილიჩმა გაიგონა ერთხელ, რომ ის მღეროდა. ეს იყო ნაციონალისტური ლექსი ელზასზე. ილიჩმა სთხოვა ქალს ემღერა ის და ეთქვა სიტყვები და შემდეგ ხშირად თვით ილიჩი მღეროდა მას. ლექსი თავდებოდა შემდეგი სიტყვებით:

Vous avez pris Elsass et Lorraine,

Mais malgré vous nous resterons trarncais,

Vous avez pu germaniser nos plaines.

Mais notre coeur, vous ne l'aurez jamais!

(„თქვენ წაიღეთ ელზასი და ლოტარინგია, მაგრამ თქვენი სურვილის წინააღმდეგ ჩვენ მაინც ვრჩებით ფრანგები, თქვენ შეგეძლოთ მიგვეთვისებიათ

ჩვენი მინდვრები, მაგრამ ჩვენი გული, — თქვენ ვერასოდეს ვერ მიიღებთ მას). ეს იყო 1909 წელი — რეაქციის დრო, პარტია იყო დარბეული, მაგრამ მისი რევოლუციონური სული არ იყო მოტეხილი. და ეს სიმღერა ^{არა მხოლოდ იყო} ილიჩის განწყობილებასთან შეხმატკბილებული. უნდა გაგეგონათ, როგორი სიმღერით ხმაურობდნენ მის ბაგეთაგან ლექსის სიტყვები: „Mais, notre coeur vous ne laurez jamais!“

ემიგრაციის სწორედ ამ მძიმე წლებში, რომელზედაც ილიჩი ლაპარაკობდა ყოველთვის რალაც გულ-დაკლებით, უკვე რუსეთში დაბრუნების შემდეგაც, მან კიდევ მოიგონა და გაიმეორა ის, რაც არა ერთხელ უთქვამს წინადაც: „...და რატომ წაველით ჩვენ მაშინ ენევიდან პარიზში!“

ამ მძიმე წლებში ის უფრო დაჟინებით ოცნებობდა — მონტეგეიუსთან ერთად, მღეროდა ელზასზე გამოთქმულ სიმღერას და უძილო ღამეებს ატარებდა ვეჰარნის კითხვაში.

უფრო გვიან, ომის დროს, ვლადიმირ ილიჩი გატაცებული იყო ბარბიუსის წიგნით „Le feu“, (ცეცხლი), — აძლევდა მას დიდ მნიშვნელობას. ეს წიგნი მეტრისმეტად ეთანხმებოდა მის მაშინდელ განწყობილებას.

ჩვენ იშვიათად დავდიოდით თეატრში. ხდებოდა ხოლმე წავიდოდით, მაგრამ პიესის სიმდარე ან მსახიობთა ყალბი თამაში ყოველთვის ძლიერ მოქმედებდნენ ილიჩის ნერვებზე. ჩვეულებრივ ასე ხდებოდა, რომ წავიდოდით თეატრში, მაგრამ პირველი მოქმედების შემდეგ წამოვიდოდით. ჩვენ ამიტომ დაგვეცინოდნენ ამხანაგები, — ტყვილ უბრალოთ იხარჯება ფულებიო.

მაგრამ ერთხელ ილიჩი დარჩა ბოლომდე; ეს იყო ვგონებ 1915 წლის ბოლოს ბერნში, — მიდიოდა ლ. ტოლსტოის პიესა „Жизнь Трун“. თუმცა პიესა მიდიოდა გერმანულ ენაზე, მაგრამ მსახიობი, რომელიც თამაშობდა თავადის როლს, იყო რუსი, მან შესძლო გადმოეცა ლ. ტოლსტოის ზრახვა. ილიჩი თამაშს თვალყურს ადევნებდა დიდის გულმოდგინებით და მღელვარებით.

და, ბოლოს რუსეთში. ახალი ხელოვნება ილიჩს მიაჩნდა უცხო და გაუგებრად. ერთხელ ჩვენ მიგვიწვიეს კრემლში წითელ არმიელთათვის გამართულ კონცერტზე. ილიჩს ადგილი მისცეს პირველ რიგში. მსახიობი ქალი გროზოვსკაია კითხულობდა მაიაკოვსკის ლექსს: „наш сон — сер, сердце — наш барабан“ და უტევედა პირდაპირ ილიჩს, ის კი იჯდა, ცოტათი აბნეული და გაოცებული ასეთი მოულოდნელობით და თავისუფლად ამოისუნთქა, როცა გროზოვსკაია შესცვალა ვიღაც მსახიობმა, რომელმაც წაიკითხა ჩუხოვის „ბოროტგამზრახველი“.

ერთხელ საღამოთი ილიჩმა მოისურვა ენახა, როგორ ცხოვრობს კომუნის ახალგაზდობა. გადავსწყვიტეთ ვსტუმრობოდით ვხუტემასში ვარია არმანდს. ეს იყო, ვგონებ, კროპოტკინის დაკრძალვის დღეს, 1921 წ. ეს იყო მშვიერი წელიწადი, მაგრამ, ახალგაზრდობას ჰქონდა დიდი ენტუზიაზმი. კომუნაში იმათ ეძინათ თითქმის შიშველ ფიცრებზე, პური მათ არ ჰქონდათ, „სამაგიეროთ ჩვენ ვვაქვს ბურღული!“ გაბრწყინებული სახით განაცხადა კომუნის მორიგე წევრმა — ვხუტემასელმა. ილიჩისათვის გააკეთეს იმ ბურღულისაგან ქაში, თუმცა უმა-

ჩილო. ილიჩი უცქეროდა ახალგაზრდობას, მის ირგვლივ შეჯგუფებულ ახალგაზრდა მხატვრების და მხატვარ ქალების გაბრწყინებულ სახეებს—მათი სიხარული ახარებდა ილიჩის სახესაც. ისინი აჩვენებდნენ მას თავიანთი კეთილშობილო ნახატებს, უხსნიდნენ მათ აზრს, აძლევდნენ უამრავ შეკითხვებს და ახსენებდნენ. გვერდს უხვევდა პასუხებს, შეკითხვებზე უპასუხებდა შეკითხვებით. რას კითხულობთ თქვენ:—პუშკინს კითხულობთ?—ო, არა!—წამოიძახა ვილაყამ,—ის ხომ ბურჟუა იყო! ჩვენ—მაიაკოვსკის! ილიჩს გაეღიმა—მე ვგონებ პუშკინი სჯობია! შემდეგ ილიჩი უფრო ლმობიერი გახდა მაიაკოვსკისადმი. მის სახელთან ილიჩი იგონებდა ვხუტემასის სიცოცხლით და სიხარულით აღსავსე ახალგაზრდობას, რომელნიც მზად იყვნენ თავი გაეწირად საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომელნიც თანამედროვე ენაზე ვერ ჰპოულობდნენ სიტყვებს, რომ გამოესახათ თავისი თავი და ეძებდნენ ასეთ გამოთქმას მაიაკოვსკის ნაკლებათ გასაგებ ლექსებში. უფრო გვიან ილიჩმა ერთხელ აქო მაიაკოვსკი ლექსებისათვის, რომელშიაც ავტორი დასცინოდა საბჭოთა ბიუროკრატისმს.

თანამედროვე ნაწარმოებთაგან, მახსოვს, ილიჩს მოეწონა, ერენბურგის რომანი, რომელშიაც აწერილია ომი.—ეს, იცი,—ილია ლოხმატი არის! (ერენბურგის ადრინდელი ფსევდონიმი)—ალტაცებით მოგვითხრობდა ის—კარგათ დაუწერია!

ჩვენ რამდენიმეჯერ ვიყავით სამხატვრო თეატრში. ერთხელ ვნახეთ „Потом“. ილიჩს ძლიერ მოეწონა. მოისურვა თეატრში წასვლა მეორე დღესაც. მიდიოდა გორკის „ნაძირალნი“. მ. გორკი ილიჩს უყვარდა, როგორც კაცი, რომელსაც დაუახლოვდა ლონდონის ყრილობაზე, უყვარდა როგორც მხატვარი, სწამდა, რომ მას, როგორც მხატვარს ბევრი რამ შეუძლია გაიგოს უსიტყვოდაც. გორკისთან ილიჩი ლაპარაკობდა განსაკუთრებით გულახდილად. ამის გამო, თავისთავად ცხადია, გორკის ნაწარმოების თამაშისაგან ილიჩი განსაკუთრებით მეტს მოითხოვდა: დადგმის გადაქარბებული თეატრალურობა აჯავრებდა ილიჩს; „ნაძირალნის“ შემდეგ მან დიდი ხნით მიატოვა თეატრში სიარული. მახსოვს ჩვენ კიდევ ვიყავით ერთხელ ჩეხოვის „Дядя Ваня“-ს საყურებლად. მას მოეწონა. და ბოლოს, უკანასკნელად ილიჩი იყო თეატრში უკვე 1922 წელს, მიდიოდა დიკკენსის „კრიკინა ლუმელზე“. პირველ მოქმედების შემდეგ ილიჩს უკვე მოეწყინა, დიკკენსის მეშხანური სანტიმენტალობა მოქმედობდა მის ნერვებზე, და როცა დაიწყო მოხუცი სათამაშოების გამყიდველის საუბარი მის ბრმა ქალთან,—ილიჩმა ველარ მოითმინა და დასტოვა თეატრი შუა მოქმედების დროს.

ილიჩის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში, მისი სურვილისამებრ მე უკითხავდი საღამოობით ბელეტრისტიკას. ვუკითხავდი შჩედრინს, ვუკითხავდი გორკის „Мои университеты“. გარდა ამისა უყვარდა მას ლექსების მოსმენა, განსაკუთრებით დემიან ბედნის. მაგრამ მოსწონდა ბედნის არა სატირიული, არამედ პათოსიანი ლექსები.

მახსოვს ხშირად მე ვუკითხავდი ლექსებს და ის კი ჩაფიქრებული გასცქე-

როდა ფანჯრებიდან ჩამავალ მზეს. მახსოვს ლექსი, რომელიც თავდებრივ სიტყვებით: „არასდროს, არასდროს კომუნარები არ გახდებიან მონები.“

კითხულობ ლექსს და თითქოს ილიჩს უმეორებ როგორც, ~~ფეცსულ~~ არასდროს, არასდროს არ დავსთმობთ რევოლუციის არც ერთ მუნაბეჭდს.

მისი გარდაცვალების ორი დღის წინ მე ვუკითხავდი მას ჯეკ ლონდონის მოთხრობას „სიყვარული სიცოცხლისადმი“—ის წიგნი ეხლაც დევს მაგიდაზე მის ოთახში. მეტად ძლიერი ნაწარმოებია. თოვლით დაფარულ უდაბნოზე, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, გადადის სიმშვილისაგან ძალმიღებული ავადმყოფი კაცი და მიემართება დიდი მდინარის ნავთსადგურისაკენ. კაცს ღონე ელევა, მას აღარ შეუძლია სიარული, ის მილასლასებს, და მის გვერდით მილასლასებს აგრეთვე სიმშვილისაგან ღონე მიხდილი მომაკვდავი მგელი, შათ შორის სწარმოებს ბრძოლა, კაცი იმარჯვებს,—ცოცხალ-მკვდარი, ნახევრად შეშლილი ის აღწევს მიზანს. ილიჩს ეს მოთხრობა დიდათ მოეწონა. მეორე დღეს კიდევ მოთხოვა წამეკითხა ჯეკ ლონდონის სხვა მოთხრობები. მაგრამ ლონდონს ძლიერ ნაწარმოებებთან ერთად აქვს მეტადსუსტი ნაწერებიც. შემდეგი მოთხრობა აღმოჩნდა სულ სხვა ტიპის—ბურჯუაზიული შორაღით გაჟღენთილი: ვინმე კაპიტანი პურიით დატვირთული გემის პატრონს სიტყვას აძლევს, რომ გააყიდვინებს საქონელს ხელსაყრელ ფასებში; კაპიტანი სწირავს თავის სიცოცხლეს, რომ არ გასტეხოს თავისი სიტყვა. ილიჩს გაეცინა და ჩაიქნია ხელი.

ეს იყო უკანასკნელი მისთვის, სხვა წიგნის წაკითხვის შემთხვევა მე აღარ მომეცა.



საერთაშორისო მდგომარეობის საკითხი

წინააღმდეგობათა გამწვანება

თუ ავიღებთ კაპიტალისტურ მსოფლიოს ურთიერთობას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთან, პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ დროს ამ ურთიერთობას ახასიათებს ერთგვარი უთანასწორობა, რომელიც დამყარდა ჩვენს, სოციალისტური მშენებლობის გზაზე დამდგარ ქვეყანასა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის.

ერთის მხრივ — ეს კაპიტალისტური ქვეყნები იძულებული არიან ივაჭრონ ჩვენთან. მათ ამას უკარნახებენ ეკონომიური ინტერესები. მეორე მხრით — მათ მაინც ეშინიათ ჩვენი, ვინაიდან ჩვენ, გარდა იმისა, რომ ვაჭრები ვართ და, შეიძლება, არც ისე ცუდათ ვვაჭრობთ (კარგადაც ვვაჭრობთ) ამავე დროს არც ცუდი რევოლუციონერები ვართ (კარგი რევოლუციონერები ვართ). ის გარემოება, რომ ჩვენ ვართ არა მარტო კარგი ვაჭრები, არამედ აგრეთვე კარგი რევოლუციონერებიც, აიძულებს კაპიტალისტურ ქვეყნებს შიში იქონიონ საბჭოთა კავშირის. მათ ამ კავშირის გაძლიერების ეშინიათ, ვინაიდან ჩვენი კავშირი წარმოადგენს ევროპის მუშათა მასების და აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხების მიმზიდველ ცენტრს.

უკანასკნელ დროს ეს უფრო მეტად საგრძნობი ხდება და ვამჩნევთ ურთიერთობის ერთგვარ გართულებას საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

იმ ქვეყნებს, რომელნიც ყველაზე უფრო აგრესიულ მუშაობას ეწევიან ჩვენი კავშირის წინააღმდეგ, მეთაურობს ინგლისი. უკანასკნელ დროს ის ამ მხრივ დიდ მუშაობას და აქტივობას იჩენს. ამ დღეებში ინგლისის მთავრობამ ძალიან არა-მუსიკალური ხასიათის ნოტა გამოგვიგზავნა, სადაც ის კომუნისტური პროპაგანდის წინააღმდეგ (საბჭოთა და პარტიულ ლიდერებიდან მოი-თხოვს — საერთაშორისო რევოლუციაზე მუდამ ნუ ფიქრობთ და ნუ ლაპარაკობთო!) პროტესტს აცხადებს, გვაფრთხილებს და თანაც გვემუქრება. მაგრამ „შუბლმაგართა“ მუქარა არავის შეაშინებს და ეს მკაფიოდ სჩანს ჩვენი მთავრობის ღირსეულ პასუხიდან. ორი დიდი მოვლენა აიძულებს ინგლისს ასე მოიქცეს: ერთი ინგლისელ მემალაროეთა გაფიცვა, რომელიც 7 თვეზე მეტი გაგრძელდა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ინგლისის ეკონომიკას და

რასაც არ შეეძლო არ გამოეყვანა ინგლისი წონასწორობის ინტერესებიდან; მეორეა ის დიდი მარცხი, რომელსაც ინგლისი განიცდის აღმოსავლეთში ჩინეთის რევოლუციის განვითარების სახით.

ამ ორ გარემოებას—მემალაროეთა გაფიცვას და ჩინეთის რევოლუციას გამოჰყავს ინგლისი წონასწორობიდან და აიძულებს მას საომარ გუნებაზე დადგეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

უკანასკნელი ცნობები, რომელიც ჩვენ მოგვეპოება, მოწმობს იმას, რომ ინგლისი ეწევა ჩვენი კავშირის დიპლომატიურ და სამხედრო გარემოცვის პოლიტიკას. პირველ ყოვლისა ჩვენ ვხედავთ დიდ და პატარა სახელმწიფოებს შორის მთელ რიგ ხელშეკრულებებს, რომელნიც აშკარად მიმართულნი არიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გარდა ამისა ამჟამად ზოგიერთი პატარა სახელმწიფოები ე. წ. ლიმიტროფები, რომლებიც საბჭოთა კავშირთან მეზობლად სცხოვრობენ, ფაშისმის გზას ადგებიან. ამას წინაღობდა გადატრიალება ლიტვაში. ცხადია, რომ ეს ნაკარნახევი იყო პოლონეთის მიერ, ხოლო პოლონეთის ზურგს უკან იმალება ინგლისი. ერთ მშვენიერ დღეს ლიტვაში მოხდა გადატრიალება და ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა სმეტონა თუ სმეტანა, თუ ჩვენ დავინახეთ, რომ გერმანიის მიმართ ხდებოდა დაუესიზაცია, ამ პატარა ქვეყნისადმი ვხედავთ „სმეტანიზაციას“. გამოჩნდებიან ფაშისტები, უკუავდებენ ყოველგვარ „დემოკრატიას“ და ამყარებენ ფაშისმის დიქტატურას. ყველა ეს „გადატრიალებანი“ ხდება იმისათვის, რომ გარს შემოართყან ჩვენს ქვეყანას ფაშისტების რკალი, რათა ჩაშალონ ჩვენი მუშაობა. როცა ლიტვაში გადატრიალება მოხდა, მაშინ ჩვენი პრესა ამბობდა, რომ ეს არის მხოლოდ დასაწყისი, ეს მხოლოდ სიგნალია შემდგომ გადატრიალებათათვისო. და მართლაც ლიტვას მიჰყვა ლატვია. გამოჩნდა ვიღაც პრაპორშჩიკი ოლინი დი ქალაქ ვოლმარში მოხდა გადატრიალება. სთქვეს რომ ის მთვრალი იყო, თავი ვერ შეიკავა, რომ ეს მოხდა „გაუგებრობით“ და სხვ. ეს იყო ძალების გასინჯვა, ცდა უნაყოფო დარჩა, გამოჩნდება მეორე პრაპორშჩიკი და შეიძლება მან მოახერხოს „სმეტანიზაცია“.

ჩ ი ნ ე თ ი

რას ვხედავთ ეხლა ჩინეთში? ჩინეთში ადგილი აქვს კანტონის ჯარების ძლევამოსილ მოძრაობას. ჩინეთის რევოლუციის ძალები სულ წინ-წინ მიდიან და ეს გარემოება ძალიან აშინებს ინგლისს. ჩინეთის წინააღმდეგ მიემართებიან ქვეითა, სახლვაო და საჰაერო ძალები, ისინი ყოველ მხრიდან გარს ერტყმიან ჩინეთს, მათ სურთ ჩაახშონ ჩინეთის რევოლუცია.

ავიღოთ შანხაი. მას საფრთხე მოვლის კანტონის ჯარების მხრივ. შანხაი წარმოადგენს უდიდეს ნავთსადგურს არა მარტო ჩინეთისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

აქ არის მილიონ ნახევარი მცხოვრები და ინგლისი დაინტერესებულია იმაში, რომ არ გამოეცალოს ხელიდან შანხაი. შანხაიში არის უბანი, რომელშიაც ცხოვრობენ უცხოელები. ამ უბანში ცხოვრობს 7 ათასამდე ინგლისელი,

და აი ამ შვიდი ათასის დასაცავად იგზავნება ათეული ათასი ჯარები, ეს არის მხოლოდ საბაბი, ხოლო ჯარები იგზავნებიან ჩინეთის რევოლუციის ჩასაქრობათ. თუ მოხდა რაიმე შეტაკება, იქნება ომის დასაწყისი.

აი რატომ იტყვევს ჩინეთის ამბები მთელი ქვეყნის ყურადღებას! მისუბდავით იმისა, რომ ინგლისს სურს შექმნას მთლიანი იმპერიალისტური ფრონტი ჩინეთის წინააღმდეგ, ჯერ-ჯერობით ეს ცდა უნაყოფოთ რჩება. მაგალითად, ამერიკა აქამდის არ იღებს მონაწილეობას ამ საქმეში. მართალია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამერიკას ძლიერ უყვარს ჩინეთი. მას სულ სხვა მოსაზრებანი აქვს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამერიკის უკანასკნელი განცხადება მეტად საგულისხმოა. ამერიკის დეკლარაციაში ნათქვამია: „შეერთებული შტატები მუდამ მზად არიან ჩინეთის ამა თუ იმ მოაფრობასთან ან ჩინეთის ხალხის დევნატებთან დაიწყონ მოლაპარაკება საბაჟო კანტროლის სრულიად გაუქმების და ჩინეთის სრული საბაჟო ავტონომიის აღდგენის შესახებ“. მაგრამ იმავე დროს დამახასიათებელია ის, რომ ამერიკა თავის დეკლარაციის ბოლოში ამბობს: „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები თავის წმინდა მოვალეობათ სთელიან ამერიკელ მოქალაქეთა სიცოცხლის და ქონების დაცვას. რითაც აიხსნება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფნა ჩინეთის წყლებში“

ერთის მხრით: თქვენ მოგელაპარაკებით, მაგრამ მეორეს მხრით, სიცოცხლის და ქონების დასაცავად ჩვენი კრეისერები დარჩებიან თქვენს წყლებში. თავის თავად ცხადია ეს მოწმობს იმას, რომ თუმცა ამერიკა მონაწილეობას არ იღებს აშკარა ინტერვენციაში, მაგრამ ჯარებს მაინც აგზავნის ჩინეთში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მთლიანი ფრონტი არ არის შექმნილი. ამერიკა, საფრანგეთი, იაპონია, გერმანია განზე დგანან, მხოლოდ ინგლისი მიდის იერიშებით ჩინეთზე. აი რატომ გვაქვს ჩვენ საფუძველი ვიფიქროთ, რომ ინგლისი ვერ შესძლებს ჩინეთის რევოლუციის ჩაქრობას, ხოლო თუ კანტონმა შესძლო შანხაის ხელში ჩაგდება, ეს იქნება ინგლისის დიდი დამარცხება. ინგლისი დაინტერესებულია ჩინ. რევოლუციის ჩაქრობაში, აქედან გამომდინარეობს ინგლისის სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი. ინგლისელი იმპერიალისტები ამტკიცებენ, რომ ყველაფერში დამნაშავეა მოსკოვი. მოსკოვი ებმარება ჩინეთს, მოსკოვი აჯანყებს საშთა-მადნო მუშებს და სხვ. ისინი ცდილობენ შექმნან განწყობილება, რომ ყველაფერში დამნაშავეთ გამოიყვანონ ბოლშევიკები და აცხადებენ, რომ საჭიროა გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ ფხიზლათ უნდა ვიდგეთ სადარაჯოზე.

ინტერვენცია

როცა ამბობენ, რომ არსებობს ომის საფრთხე, ძნელია იმის სავსებით გამოკვლევა, გვემუქრება თუ არა ჩვენ ინტერვენცია, არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ იქნება ინტერვენცია, არ შეიძლება ითქვას, რომ თუ ის იქნება, სახელდობრ როდის. ამის თქმა არ შეიძლება, მაგრამ მზადდება, რომელიც ამგამად სწარმოებს მთელს ხაზზე, მოწმობს, რომ იმპერიალისტები აპირებენ საბჭოთა

კავშირის წინააღმდეგ გამოსულას. ეს არ არის გასაკვირვებელი, ვინაიდან მხელი წარმოსადგენია, რომ ორ სხვადასხვა სისტემას დიდ ხანს შეეძლოს თანა-
ცხოვრება.

ამხ. ლენინი ამბობდა, რომ ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ ენერგიული აღმშენებლობა, ჩვენ ყოველივე ძალ-ღონე უნდა მოვიხმაროთ, რომ გვექნეს მშვიდობიანობა, ვინაიდან მშვიდობიანი აღმშენებლობა ჩვენთვის ყველაფერზე უფრო ძვირფასია, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ შესაძლოა იმპერიალისტური სახელმწიფოების უეცარი თავდასხმა ჩვენზე. ეს საკითხი სამხედრო საფრთხის შესახებ ამჟამად პირველ რიგშია წამოყენებული. აი რატომ დააყენა მოსკოვის პარტ-კონფერენციამ ქვეყნისა და პარტიის წინაშე საკითხი სამხედრო საფრთხის შესახებ, რომელიც ემუქრება ჩვენს საბჭოთა კავშირს. ჩვენი პოლიტიკა, რასაკვირველია, ძველებური რჩება. ჩვენ მივისწრაფვით მშვიდობიანობისაკენ და დაინტერესებული ვართ იმაში, რომ ჩვენი შესვენების ეს პერიოდი რაც შეიძლება ხანგრძლივი იქნეს. ვინაიდან სამეურნეო მუშაობის და სოციალისტური აღმშენებლობის კიდევ რამდენიმე წელი და ჩვენ უძლეველ სიმაგრეთ გადავიქცევით. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ იმაში, რომ გვექნეს მშვიდობიანი მუშაობის საშუალება. იმპერიალისტები, ხედავენ რა საბჭოთა კავშირის ძლიერების ზრდას, ჩქარობენ და სვამენ საკითხს ასე: „ან ეხლა, ან, შეიძლება, არ მოხერხდეს არასოდეს!“ აი ასე სდგას საკითხი. ამიტომ იმპერიალისტებს გადაწყვეტილი აქვთ სცადონ ჩვენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმა. შესძლებენ თუ არა ამას? ამკარაია, რომ თუ ეხლა დაიწყო ახალი ომი, ის გაცილებით უფრო გრანდიოზული იქნება, ვინემ 1914 წლის ომი. ეხლა იმპერიალისტებისათვის აღარ არის 1914 წელი. 1914 წელს იყო სულ სხვაგვარი მდგომარეობა. როცა ზოგიერთ ქვეყნებში ჯერ კიდევ ბურჟუაზი გაბეული მუშები მიდიოდნენ ამ სასაკლავოზე. ამჟამად მუშათა მოძრაობა მეტად გაძლიერდა, კომუნისტური პარტიები მოეწყო ყველა ქვეყნებში. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეხლა აღარ არის 1914 წელი და არც ისე ადვილია ინგლისის და სხვა ქვეყნების მუშების ჩათრევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინაიდან არც ინგლისის და არც სხვა რომელიმე ქვეყნის მუშა არ წავა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მეორეს მხრით ჩვენ ეხლა არ გვაქვს ის მდგომარეობა, რომელიც იყო 1918 და 1919 წელში, როცა ჩვენ ვიყავით შიშველი, დაფლეთილი, ლატაკნი, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოგვემუშებია მიყენებული კრილობები. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დავამარცხეთ გაერთიანებული კონტრ-რევოლიუცია, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ მთელი რიგი სახელმწიფოები. როცა ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდნენ კოლჩაკი, დენიკინი, ვრანგელი და სხვა გენერლები, მათ მხარს უჭერდნენ ჩვენდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფოები. მაგრამ ჩვენმა ქვეყანამ გაუძლო ამას და ყველა კონტრ-რევოლიუციონერები გაანადგურა. მით უფრო არ არსებობს არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ იმპერიალისტები რამეს დაგვაკლებენ. ვიმეორებ, ეხლა 1924 წელი არ არის, ჩვენ წინ წავედით. ჩვენ ეხლა გაცილებით უფრო მტკიცედ ვართ, ვიდრე მაშინ.

მაგრამ თუ ისინი მაინც აღმართავენ ხელს ჩვენს წინააღმდეგ, მათ წინააღმდეგობას გაუწევს მთელი საბჭოთა კავშირი და თავს დაჰკარგავს. ჩვენ ამ მომენტში დავიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას, დავიცავთ ჩვენს მონაპოვართ, დავიცავთ საბჭოთა ქვეყანას. აი, რატომ ვამბობთ ჩვენ, რომ ეს ამი არ არის ჩვენთვის საშიში, რომ ჩვენ მისი არ გვეშინია, რომ ჩვენ მას დავხვდებით მთელი ჩვენი ძალებით და რომ ჩვენს მტრის წინაშე აღმართავთ იმ ხიშტს, რომელიც ჩვენს განკარგულებაში არის ამჟამად.

ძაკთველი კონტრ-კავშირული უციო ნივთები ავანტიურისათვის ამჟამადიან

მაგრამ იმ საფრთხის გარდა, რომელიც ჩვენ გველის დასავლეთის სახელმწიფოების მხრივ, თუ დავსვამთ საკითხს იმის შესახებ, გველის თუ არა საფრთხე ამიერ-კავკასიის კონტრრევოლუციონური პარტიის მხრივ, ჩვენ უნდა ვთქვათ ერთი, — აქაც არის ზოგიერთი ახალი ცნობები იმისა, რომ კავკასიის კონტრრევოლუცია ახალი ავანტიურებისათვის ემზადება. ამხ. ბუხარინმა მოსკოვის პარტკონფერენციაზე განაცხადა, რომ პოლონეთში იყრიან თავს ყველა კონტრრევოლუციონური ძალები კავკასიიდან, თურქესტანიდან, უკრაინიდან, ისინი აღგენენ ბლოკს და რომ საკითხი საქართველოში აჯანყების მოწყობის შესახებ დადებითად არის გადაწყვეტილი. ჩვენი მოვალეობა, საქართველოში მომუშავე მუშაკების მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ყურადღება მივაქციოთ ამ საზიზღარ მუშაობას.

თქვენ იცით, რომ 1924 წელშიც ჩვენში აგვისტოში მოხდა მენშევიკური ავანტიურა. იგი დამთავრდა მათი სრული კრახით, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობენ მზადებას ახალი ავანტიურისათვის, ამ ავანტიურის განმეორებისათვის, და ეს მათ განზრახული აქვთ 1927 წელში.

უნდა ითქვას, რომ ქართველი კონტრრევოლუციონერები წინედ მართო მუშაობდნენ, ეხლა მათ მოინდომეს კავკასიის კონფედერაციის შექმნა. ისინი სცდილობენ, რომ ჩვენი გაერთიანების — ამიერ-კავკასიის ფედერაციის საწინააღმდეგო გაერთიანება შექმნან. მათ შექმნეს საკუთარი კონფედერაცია, სადაც შედიან ყველანი: მენშევიკებიც, მუსავატელებიც, ჩრდილო-კავკასიის მთიულელებიც. უკანასკნელ ხანებში ისინი დაუკავშირდნენ აგრეთვე უკრაინას. ეს მათ უნდათ იმისთვის, რომ აჯანყება დაიწყონ უკრაინიდან, შემდეგ გადავიდნენ ჩრდილო-კავკასიაში და შემდეგ ამიერ-კავკასიაში. მათი მეგობრული კავშირი თავის ჩამოყალიბებას პოულობს სპეციალურ ჟურნალში, რომელსაც ეწოდება „პრომეთე“. (ჟურნალი ფრანგულ ენაზე გამოდის). ეს ყოველთვიური ჟურნალი, ვგრძედ წოდებული „კავკასიისა და უკრაინის ხალხების ეროვნული დამცველი ორგანოა“. თურმე კავკასიის და უკრაინის ერები უნდა დაიცვას არა თბილისში, არა ხარკოვში ან კიევში, არამედ პარიზში. ამ ჟურნალში ასეთი პრინციპია: „თვითეული ქმნილების თითო წყვილი“. აი, მაგალითად: პირველ ნომერში დაბეჭდილია მოწინავე წერილი რომელიც ეკუთვნის ალბათ თვით „ბელადს“ — ნოე ჟორდანიას. ვინ უნდა იყოს, ახალი „განმთავისუფლებელი“ მოძრაობის იდეოლოგი, თუ არა იგი? ცხადია, რომ ამ საქმეში იგი უნდა იყოს უმთავრესი.

მეორე წერილი ამბობს შემდეგს: კავკასიის შეერთება რუსეთთან უაზრობაა. არა მარტო ეკონომიურად, არამედ პოლიტიკურადაც არაა იგი დაკავშირებული რუსეთთან, იგი დაკავშირებული არ არის რუსეთთან არც მხრით და სხ“. ესეც აღმოჩენაა.

ამიტომ ისინი ამბობენ შემდეგს: კავკასია როგორმე უნდა მოსწყდეს რუსეთს და შეიქნას დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც შევა ერთა ლიგაში, მით უფრო, რომ კავკასიას აქვს ბუნებრივი სიმდიდრენი—მარგანეცი, ნავთი და სხ. რასაკვირველია, იმპერიალისტებისათვის ბაქოს ნავთი გემრიელი ლუკმაა, და მათ სურთ როგორმე ჩაიგდონ ხელში, მაგრამ მათ ხელები მოკლე აქვთ და ვერ მისწვდებიან. მენშევიკები და მუსავატელები ხონჩით მიართმევენ: „აი თქვენ გქონდეთ მარგანეცი, ნავთი, ჩვენ წავალთ იქ, ჩავიგდებთ ხელში ძალაუფლებას, თქვენ კი წაიღებთ ნავთსა და მარგანეცს“. ამას ეწოდება საქონლის გაცვლა-გამოცვლა. რასულ ზადემ და ნოე ჟორდანიამ უნდა მიიღოს პორტფელი მარგანეცისა და ნავთის სამაგიეროდ. ისინი ასე სწერენ: „კავკასია, თავისი ბუნებრივი სიმდიდრით მოწოდებულია უდიდესი როლი ითამაშოს ევროპის ეკონომიურ აღდგენაში. ბაქოს და გროზნოს ნავთი ყველასათვის ცნობილია. ქიათურაში არის მარგანეცის დაუშრეტელი მარაგი. ძალიან ბევრია: სპილენძი, ქვა-ნახშირი, თევზის სარეწავეები, ტყეები, აბრეშუმი, ბამბა, მატყლი და თამბაქო“.

ცნობილი ნოე რამიშვილი კი სწერს წერილს, რომელშიაც იგი მტკიცე რწმენით ამბობს, რომ ბოლშევიზმი უნდა დაიღუპოს. მისთვის ეს ყოველ ვაჟს გარეშეა. იგი ამბობს: „ბოლშევიზმი ინგრევა. მის მოსპობას თან მოჰყვება საბჭოთა კავშირის მოსპობაც. მის ნანგრევებზე უნდა აღორძინდეს დამოუკიდებელი, თანასწორუფლებიანი სახელმწიფოს დემოკრატიული ხელისუფლება.“

ამ სახელმწიფოებს კავშირი უნდა ჰქონდეთ ევროპასთან, ვინაიდან თურმე ბურჟუაზიული ევროპა ძალიან კარგად ზრუნავს პატარა ერებისათვის: „მთელი კაცობრიობა ებრძვის იმის საფრთხეს და სურს საყოველთაო განიარაღება. დასავლეთი ევროპა მოხარულია ერთა ლიგის მიერ მიღწეული შედეგების გამო, რომლის (ე. ი. ლიგის) პრესტიჟი გაიზარდა იმის შემდეგ, რაც გერმანია შევიდა ლიგაში და რომელშიც ლოკარნოს ხელი იმარჯვებს“.

ერთა ლიგის მთელ ამ კომედიას, რომელშიაც გერმანია ჩააბეს იმისათვის, რომ იგი „მოაზადონ“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, „განიარაღების“ მთელ ამ კომედიას, ნანდვილად კი ახალ შეიარაღებას და იმისათვის მზადებას,—რამიშვილს აქვს იმდენი უტიფრობა, რომ ყოველივე ამას უწოდოს მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ. თავის მუდმივ როლს—მშრომელთა მასების მოტყუებას—რამიშვილი ასრულებს მისთვის ჩვეული გრაციით.

შემდეგ, ყველა ეს ნაციონალისტები, ქართველი და აზერბეიჯანის ნაციონალისტები ამტკიცებენ, რომ საქირთა გადატრიალების მოხდენა, საქართველო სომხეთი და აზერბეიჯანი უნდა მოსწყდეს საბჭოთა კავშირს და დაუკავშირდეს ევროპას.

უკანასკნელი ამ მწერალთაგან არის გიორგი გვაზავა. იქ იგი მეტად

უხეირო ვეკილი იყო და სრულიად უვარგისი ადამიანი, ეხლა კი იგი ხალხში გაერია, ვინაიდან მენშევიკებს არ ყავდათ არც ერთი ნაციონალ-დემოკრატიული უამისოდ კი არ შეიქნებოდა „მთლიანი ეროვნული ფრონტი“ და ამის მიხედვით ეს გვაზავა, რომელსაც ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლად მოაქვს თავი. იგი ამბობს, რომ საქართველო ყოველთვის იყო დაკავშირებული არა რუსეთთან, არამედ საფრანგეთთან. ესეც ახალი აღმოჩენაა. თურმე საქართველო და საფრანგეთი ქრისტეს დაბადებამდე იყვნენ ერთად. თურმე ამის შემდეგაც იბრძოდნენ ისინი ერთად ჯვაროსნული ომების დროს. აქ პირდაპირ ნათქვამია: „საქართველო და საფრანგეთი ემსახურა ერთსა და იმავე საქმეს ისე, რომ ერთმანეთს არ იცნობდნენ. ბედმა მოისურვა, რომ ისინი ბრძოლის ველზე გასცნობოდნენ ერთმანეთს. ეს იყო ჯვაროსნული ომების დროს... საქართველომ მიიღო მონაწილეობა მაშინდელ ბრძოლებში. ქართველი რაინდები მხარისმარ ჩაბმული იბრძოდნენ ფრანგ რაინდებთან ერთად და დახმარება გაუწიეს ჯვაროსნების გმირულ ბრძოლას. ჩვენ გვაქვს მთელი სერია წერილებისა და მიმართვებისა, რომლებსაც პაპა უგზავნიდა ქართველს მეფეებს და თავადებს. ისინი ნათლად ხატვენ საქართველოს საერთო მდგომარეობას და მის ერთგულებას საერთო საქმისადმი. ეს სჩანს პაპა გონორიუს 3-ის წერილებიდან მეფე რუსუდანის და ქართველი ჯენერალისიმუსის ივანე მხარგძელის სახელზე. აქაც იგივე მტკიცდება...“

აი, რას ნიშნავს ისტორიული დამტკიცება.

თვითონ რომის პაპამ გაუგზავნა მადლით მოსილი წერილები მეფე რუსუდანს, ერთად იბრძოდნენ ბრძოლის ველზე. ერთი სიტყვით საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული საფრანგეთთან...

აი, ასეთ აბღა-უბღას როშავს გიორგი გვაზავა. მნიშვნელოვანია არა ის, რომ ასეთ სისულელეს ამბობს გვაზავა, არამედ მნიშვნელოვანია ის, რომ მას სოლიდარობას უცხადებს ნოე ჟორდანიას და სხ. „სოციალისტები“, რომელნიც ამტკიცებენ, რომ საქართველო რუსეთთან კი არ იყო დაკავშირებული, არამედ... საფრანგეთთან.

აი, სადამდე შეიძლება მივიდეს სიგიჟე.

რისთვის ესაჭიროებათ ყოველივე ეს იმათ? ეს ესაჭიროებათ იმისათვის, რომ საზოგადოებრივი აზრი მოამზადონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომ ორიენტაცია აიღონ არა საბჭოთა კავშირზე, არა მოსკოვზე, არამედ „ევროპაზე“

აი, რა სურს ამ ხალხს, რომელნიც გაძევებული არიან აქედან და დაეხეტებიან ხან ინგლისში, ხან საფრანგეთში, ხან ჩეხო-სლოვაკიაში, დაეხეტებიან ყველგან. ისინი მუშაობენ იმ სუბსიდიით, რომელსაც მათ აძლევს პოლონეთი და სხვა სახელმწიფოები.

ეს სჩანს თუნდაც პატარა მაგალითიდან:

რამიშვილთან ერთად, რომელიც ყველა საქმეთა პრაქტიკული სულის ჩამდგმელია, მოქმედობს ვილაც გოლოვკო. იგი არის ის პირი, რომელიც სუბსიდიას აძლევს ამ ჟურნალ „პრომეთე“-ს. ის კავკასიელ ემიგრანტებს ეუბნება:

თუ თქვენ არ შეუკავშირდებით უკრაინელებს, მე არ მოგცემთ ფულს. მე მოგცემთ ფულს მხოლოდ მაშინ, როცა მომცემთ „მთლიან ეროვნულ ფრონტს“. მიუხედავად იმისა, რომ უთანხმოება არსებობს შიგნი, ყოველგვარი უთანხმოებისპოება ამ სუბსიდიის წინაშე. გოლოვკოს თავი მოაქვს უკრაინელებს, მაგრამ იგი ალბად პოლონეთს წარმოადგენს, იგი გაუკრაინელებული პოლონელია ან გაპოლონელებული უკრაინელი, იგი არის პილსუდსკის წარმომადგენელი.

„პრავედა“-ში ამას წინედ იყო ცნობა, რომ ლატვიაში მოლაპარაკებას აწარმოებს ტადეუშ გოლუვკო. სწორედ ეს არის იგივე გოლოვკო, განსხვავება მხოლოდ ერთ ასოშია, მაგრამ ამ ერთ ასოთ არ შეიცვლება მისი ცარიელი თავი, იქნება გოლოვკო თუ გოლუვკო სულ ერთია.

ეს ამტკიცებს იმას, რომ აქ მუშაობს პოლონეთის ხელი. იგი მიდის ბალტიის მხარის სახელმწიფოებში, ლატვიაში და სხ., ამხადებენ და „ამუშავენ“ მენშევიკებს, აზერბეიჯანელ მუსავატელებს და სხ. იმისათვის, რომ აღმოსავლეთით შეუტონ საბჭოთა კავშირს. აქ სწარმოებს სისტემატიური გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და კერძოდ საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ.

შემდეგ მიდის უკვე ფრანგის, ჟან მარტენის წერილი, რომელიც ალბად მხარს უჭერს მათ. შემდეგ—საქართველოს არტისტის ნოე რამიშვილის წერილი, შემდეგ ხოსროვბეგ სულთანოვის წერილი,—ეს აზერბეიჯანის წარმომადგენელია. შემდეგი წერილი შუმიცკისაა,—იგი უკრაინიდანაა, შემდეგ რასულ ზადეს წერილია. შემდეგი წერილი „საქართველო და საფრანგეთი“ გიორგი გვაზავასია. დაბოლოს მიდის ქრონიკა. ეს წერილები მეტად მნიშვნელოვანია. რას სწერენ ისინი? მოწინავე წერილში, რომელიც ალბად ნოე ჟორდანიას კალამს ეკუთვნის, ლაპარაკია იმაზე, რაც ჩვენ დღემდე არ ვიცოდით, ეს არის ის, რომ კავკასია და უკრაინა განცალკევებული, დამოუკიდებელი სახელმწიფოებია, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ რუსეთთან და უფრო მეტად არიან დაკავშირებული ევროპასთან. ნოე ჟორდანიას წინედ იყო რევოლიუციონერი, სოციალისტი, ეხლა კი იგი უკვე მოკვდა სოციალიზმისა და რევოლიუციისათვის, იგი ყოფილი ადამიანია. და აი როცა ის იყო სოციალისტი, მაშინ ის ეკამათებოდა აქაურ ფედერალისტებს, ნაციონალისტებს და ამბობდა, რომ საქართველო და ამიერ-კავკასია მჭიდროდ არიან დაკავშირებული რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. იგი ყოველთვის ამტკიცებდა ამას და კარგ შრომებსაც იძლეოდა ამ მხრივ. ეხლა ყველაფერი შებრუნდა. ნოე ჟორდანიას იმყოფება პარიზში, რწმენითა და სიმართლით ემსახურება ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებს და ამიტომ მისთვის საჭიროა უკვე სხვაგვარად ილაპარაკოს. აი, მისი სიტყვები: „კავკასია და უკრაინა დაკავშირებული არიან შავ ზღვასთან და მისი საშუალებით კი ხმელთა შუა ზღვის ცივილიზაციასთან. თავისი ეკონომიური, პოლიტიკური და ინტელექტუალური ინტერესებით „ხან ევროპასთან უფრო არიან დაკავშირებული, ვიდრე რუსეთთან“... გამოდის, რომ კავკასია და უკრაინა, მისი რჩევით, ევროპას უნდა დაუკავშირდეს და არა რუსეთს. თურმე ეს უმჯობესი იქნება ევროპისა და რუსეთისათვისაც კი, რომელიც, იმის შემდეგ როცა მას „ჩამოსცილდება“ კავკასია და უკრაინა, საპატიო ადგილს მიიღებს ერთა ლიგაში, მიიღებს ნუგეშსა და სიმშვიდეს და პროლეტარიატის ბატონობას კი არქივს ჩააბარებს, ვინაიდან დიქტატურა ეს საბაგელი რამ არის, გაცილებით უფრო კარგია

ერთა ლიგის პატივ ცემულ ოჯახში ყოფნა და იმის ქამა, რასაც იქ ყველანი სკამენ. გმადლობთ, ნოე უორდანი, თქვენ თვითონ მიირთვით, ჩვენ კი არ გვინდა.

ჩვენი ამოცანები

უარყოფითი

შეზღუდული

საქართველოს ყოველი კომუნისტის მოვალეობაა, დასვას ეს საკითხი, რათა ყველამ იცოდეს, რომ ქვეწარმავალნი ემზადებიან ავანტიურისათვის და მიღებულ უნდა იქნას ზომები იმისათვის, რომ ყურადღება მიექცეს ასეთ მდგომარეობას, ჩვენი წითელი არმიის თავ-დაცვის უნარს და ჩვენს ეროვნულ დივიზიებს. როცა ავანტიურის დროს, როცა ქართველი მუშები და გლეხები, ქართველი წითელი-არმიელები სცხებდნენ მენშევიკებს, ისინი თითქოს არ იყვენ ამის წინააღმდეგი. ცხადია, რომ აქ როლს თამაშობს ეროვნული გრძნობა. უნდა შეუწყოთ ხელი ამ პატრიოტიზმს.

და თუ მენშევიკები სასტიკად დამარცხებულ იქნენ 1924 წლის აგვისტოში, ეხლა კიდევ უარესი დღე დაადგებათ და ვერავითარი პრომეთე მათ ვერ უშველის. უნდა ითქვას, რომ მათ ტყველად აურჩევიათ ასეთი სახელწოდება.

პრომეთე—ეს ლეგენდარული გმირია, რომელმაც ცეცხლი მოიტაცა ზეციდან და ამისთვის მიჯაჭვულ იქნა კავკასიონის ქედზე. ალბად, მენშევიკები ფიქრობენ, რომ ისინიც ისეთი გმირები არიან, რომ შეუძლიათ ზეციდან ცეცხლის მოტაცება. მაგრამ ეს ფიქრი სულ ფუჟია. ვერასოდეს ისინი ვერავითარ ცეცხლს ზეციდან ვერ მოიტაცებენ, ეს ისეთი ხალხია, რომლებიც თუ შეიძლება ასე ითქვას, მუცლით ხობავენ. ხოლო ჯერ კიდევ მაქსიმ გორკიმ სთქვა, რომ მუცლით ხობვისათვის დაბადებულს ფრენა არ შეუძლიაო. ისინი არიან ყოველად უფარვისი, მხდალი ხალხი, იმპერიალიზმის მსახურნი, ლაქიები; ამიტომ ცეცხლს, ენტუზიაზმს და ასეთ რამეებს მათ თავი გაანებონ, ეს მათი საქმე არ არის. ხოლო თუ ისინი შეეცდებიან ჩვენს წინააღმდეგ წამოსვლას, ჩვენ მათ უნდა ვუთხრათ, რომ თქვენს დასავლეთ-ევროპის მენშევიკურ და მუსავატისტურ კბილებს დაიმტვრევთ კავკასიის და ყველა იმ ქედებზე, რომელნიც ჩვენს საბჭოთა კავშირში მოიპოვებიან.

აი, ამისათვის საჭიროა ჩვენი ქვეყნის შიგნით შევქმნათ სათანადო პირობები. სალი ატმოსფერა, რათა თვითეულმა მუშამ თვითეულმა გლეხმა და თვითეულმა ინტელიგენტმა იცოდეს იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ჩვენ გვემუქრება და რომ თვითეულ მათგანს საჭირო მომენტში შეეძლოს სათანადო წინააღმდეგობის გაწევა. ამ მხრივ ჩვენი პარტია ყოველივე ნაბიჯებს სდგანს, თუ ისინი უშვებენ „პრომეთე“-ს, კონტრ-რევოლუციონურ ნაჟარ-ნუყართა ორგანოს, ჩვენში გამოდის ორგანო „ახალი გზა“, სადაც მუშაობს ცნობილ ყოფილ მენშევიკების და ქართველ ინტელიგენციის წარმომადგენელთა მთელი რიგი.

იქ ქართველ ინტელიგენციის მთელი რიგი გამოჩენილ წარმომადგენლებისა სწერს ეხლანდელ ამბებზე და სავსებით იწონებს იმ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ. აი ამ ეჭრნალიდან ერთი წერილი. წერილი ნიკო ელიავასი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც სახლგარ-გარეთიდან დაბრუნდა. ეს გამოჩენილი ყოფილი მენშევიკია, რომელიც აქ ქალაქის თავად იყო. ის ამას წინად ჩამოვიდა საქართველოში და წერილი მოათავსა „ახალი გზა“-ში. ის სწერს: „ჩვენი ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა ძალას იკრებს, საკუთარ ფეხზე დგება და მალე გაიმართება წელში.“

ასეთია ჩემი შთაბეჭდილება. ხაზი სწორად აღებული. ხდება სოციალისტური მეურნეობის აღორძინება. ჩვენ გვმართებს ხელი შეუწყოთ იმათ, ვინც ამ დიდ საქმეს აკეთებენ“. აი რას სწერს ნიკო ელიავა.

ეჭრნალის მეორე ნომერში ყოფილი ესერი ლეო შენგელაია ათავსებს წერილს, რომელშიაც ეხება ომის საფრთხეს და დასასრულს აცხადებს შემდეგს:

„აშკარაა, ყოველი სოციალისტი, რომელსაც სოციალისტურ სინოლისზე მთლად ხელი არ აუღია, უნდა იყოს მთელი თავისი არსებით იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, საერთოდ და, განსაკუთრებით მაშინ, როცა უფროსი კავშირის ემუქრება. მან უნდა მიიღოს ყოველი ზომა, რომ ასეთი უფროსი კავშირის დეს, ხოლო თუ იგი მოხდა, ის უნდა ჩაღვეს საბჭოთა ქვეყნის დამცველთა პირველ რიგებში. სხვა გზა სოციალისტისათვის აქ არ არსებობს“.

და შემდეგ ის განაგრძობს: „ამიტომ ჩვენმა ინტელიგენციამ, ყოველმა მუშამ და გლეხმა, ყოველმა ქართველმა თავის სოციალისტურ და ეროვნულ მოვალეობათ უნდა დაიხანოს—არ წამოეგოს პროვოკაციის ანკესზე, არ ათხოვოს ყური უსაფუძვლო კორებსა და ჩურჩულს. არ მიეკაროს ახლოს იმათ, ვისაც ხურს 1924 წლის ავანტიურის განმეორება და ჩვენი ქვეყნის უდიდეს განსაცდელსა და საფრთხეში ჩაგდება“.

აი, ქართველი ინტელიგენციის საკმაოდ ავტორიტეტულ წარმომადგენლის განცხადება, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ამ უამად აღვილი აქვს ერთგვარ გარდატეხას, რომ ამ უამად ქვეყნის ყველა პარტიოსან ელემენტს ესმის, რომ აჯანყება საქართველოში საფრთხეში აგდებს საბჭოთა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს. აი ამიტომ ისინი ლაპარაკობენ, რომ თვითიული მოვალეა ხელი შეუწყოს საბჭოთა ხელისუფლებას.

ჩვენი ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვაწარმოოთ ჩვენი სამეურნეო მშენებლობა. მთელი ჩვენი ძალები უნდა მივმართოთ ქვეყნის ინდუსტრიულიზაციისაკენ, მთელი ჩვენი ენერჯია უნდა მოვახმაროთ ჩვენი მეურნეობის აღდგენას.

ოქტომბერში, ათი წლის წინ ჩვენ დავიწყეთ დიდი საქმე, სოციალისტური მშენებლობა. ათი წელია ამაყად ფრიალებს ჩენი წითელი დროშა და მსოფლიოს ერთი მეექვსედი ნაწილი ხელში უჭირავთ მშრომელებს, რომელთაც იცავს წითელი არმია და ხელმძღვანელობას უწევს კომუნისტური პარტია.

და ეხლა, როცა ჩვენ გვემუქრება იმპერიალისტების ძალები, როცა იმპერიალისტების მომხრეები და აგენტები მენშევიკები ცდილობენ მოაშხადონ ჩვენს წინააღმდეგ ახალი ავანტიურა, მაშინ ჩვენ მტკიცეთ და გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ იმისთვის კი არ ვიბრძოდით 10 წელს, რომ ჩვენი კომუნისტური დროშა ჩავაბაროთ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს; იმისთვის კი არ ვიბრძოდით მთელი ათი წლის განმავლობაში, რომ ჩვენი ოქტობრის მონაპოვარნი დაუთმოთ ყველა ქვეყნების იმპერიალისტებს.

ჩვენ ვიბრძვით მართალი საქმისათვის, შრომისთვის. ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ ვაწარმოოთ მშვიდობიანი პოლიტიკა, თუ ჩვენ ამაში ვინმე ხელს შეგვიშლის, ჩვენ ვაღდებულნი ვართ გამოვიდეთ მთელი ჩვენი ძალებით ჩვენი მტრების წინააღმდეგ. ჩვენ მხარს დაგვიჭერს არა მარტო ჩვენი კავშირის მშრომელი მასა, არამედ მხარს დაგვიჭერენ აგრეთვე ევროპის ქვეყნების მშრომელებიც. ყოველმა პარტიოსანმა მუშამ, სადაც არ უნდა იყვეს ის, ისიც, რომ ჩვენ ვმუშაობთ ჩვენი მეურნეობის აყვავებისათვის, რომ აქ სწარმოებს სოციალისტური აღმშენებლობა. აი, რატომ უნდა მოველოდეთ ჩვენ მხარის დაჭერას და დახმარებას არა მარტო ჩვენი კავშირის შიგნით, არამედ მის გარეშეც. ყველა მუშათა წრეებში, რომლებიც შეეცდებიან, რომ ომი მიმართულ იქნეს კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომ ომმა დააჩქაროს კაპიტალიზმის აღსასრული, იმ კაპიტალიზმის, რომელიც საკვდილის წინ კიდევ ცდილობს ჩაშალოს ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის საქმე.

ჩვენ მტკიცედ გადაწყვეტილი გვაქვს, გადაუხვევლად განვაგრძოთ სოციალისტური აღმშენებლობის საქმე, მთელი ჩვენი ძალებით დავიცვათ ჩვენი საბჭოთა კავშირი მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებამდე.



რუსეთის საკითხი კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმზე

ოპოზიციის გამოსვლების ხახიათი კომ. ინტერ. აღმ. კ-ის პლენუმზე.

საკ. კომ. პარტიაში აღმოცენებული უთანხმოებისა და შინაგანი ბრძოლის საკითხი მთელი თავისი მოცულობით წამოიჭრა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოს—კომ. ინტ. აღმ. კ-ის გაფართოებულ პლენუმის წინაშე—მე XIV პარტიულ ყრილობის ერთი წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ოპოზიციის ბრძოლამ პარტიის წინააღმდეგ განელო მრავალი საფეხური, რომელთა ძირითად შინაარსს წარმოადგენდა—1) პარტიის შიგნით არსებული ყველა ანტი-ბოლშევიკური მიმდინარეობისა და ელემენტების გაერთიანება მთლიან ოპოზიციონურ ბლოკში და 2) ამ ბლოკის გადასვლა მოქმედების ფრაქციულ და გამთიშველ მეთოდებზე, რომელიც ემუქრებოდა პარტიის მთლიანობას. ამ მიმართულებით მიდიოდა შინა-პარტიული ბრძოლის განვითარება 16 ოქტომბრამდის. მას შემდეგ რაც გაერთიანებულმა ოპოზიციამ პირველ აშკარა გამოსვლისთანავე პარტიულ კრებებზე განიცადა სასტიკი, კატასტროფიული დამარცხება, ის დადგა შემდეგი არჩევანის წინაშე: ან პარტიასთან კავშირის გაწყვეტა, ან ხელის აღება ფრაქციულ მეთოდებზე. პარტიასთან კავშირის გაწყვეტა ისეთ პირობებში, როდესაც მთელი პარტია შემოიკრიბა ცენტრალურ კომიტეტის გარშემო, იქნებოდა წარმოუდგენელი სულელური ავანტიურა. ოპოზიციონური ბლოკის ლიდერები ამ გზით არ წავიდნენ. მათ მოახდინეს მეორე არჩევანი—16 ოქტომბრის განცხადებით მათ მიაღწიეს „იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია პარტიის მთლიანობის უზრუნველყოფისათვის“. რაში გამოიხატებოდა ეს მინიმუმი? მის ძირითად აზრს წარმოადგენდა—ყოველგვარ ფრაქციულობის უარყოფა ოპოზიციის მიერ და მისი სრული დამორჩილება პარტიულ დადგენილებებისადმი. ამაში გამოიხატებოდა 16 ოქტომბრის განცხადების აზრი. შინა-პარტიულ ბრძოლის განვითარებამ მიაღწია ახალ ფაზისს, როდესაც პარტიული მთლიანობის დარღვევა თითქოს გამორიცხებული იყო საკმაოდ ხანგრძლივი დროისათვის. მას შემდეგ რაც განვილი იქნა მთელი ეს გზა „რუსეთის საკითხი“ წამოიჭრა აგრეთვე კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმის წინაშეც. როგორ შედეგებს მოელოდა პარტია ამ საკითხის განხილვისაგან კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმზე? არამც თუ ლენინის ხაზის მოწონებას და დადასტურებას, რომელსაც ატარებს ჩვენი პარტია, არამედ მშვიდობიანობის და მთლიანობის იმ პირობათა განმტკიცებას, რომელიც მიღწეულ იქნა 16 ოქტომბერს. ეს შედეგი აუცილებლად უზრუნველყოფილი იქნებოდა ოპოზიციას რომ არ ელატნა 16 ოქტომბრის განცხადებისათვის, მას რომ რამოდენიმეთ მაინც დაეცვა თავისი სიტყვა. გარეგნულათ ოპოზიციის ლიდერები სცდილობდნენ დაეცვათ ეს ლოიალობა თავის გამოსვლებში კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმზე.

ამხ. ამხ. ზინოვიევის, ტროცკის და კამენევის სიტყვებში, რამდენიც გინდათ იმდენი დაპირება იყო იმის შესახებ, რომ ისინი ერთი მილიმეტრითაც არ დაიხვეწენ უკან 16 ოქტომბრის განცხადებისაგან. მაგრამ ოპოზიციონურ ორატორების სიტყვე-

ბის მთელი შინაარსი კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმზე იმდენათ ეწინააღმდეგება ამ დაპირებებს, იმდენათ სცილდება პირობებს, რომელიც მიიღო ოპოზიციამ 16 ოქტომბერს, რომ გარეგანი ლოალობის დაცვის ცდამ მხოლოდ ვრცელ-წრფელობის და პირმოთნეობის დაღი დაასვა ოპოზიციის ბელადთა კომპრომიზ-რას წარმოადგენს გარდა შეუფერებელი პირმოთნეობისა ამხ. ზინოვიევის სიტყვის შესავალი:

„მე კათეგორიულად (!) ვაცხადებ—ჩემი მხრით ადგილი არ ექნება არავითარ აპელიაციას კომ. ინტერნაციონალის წინაშე ჩემი პარტიის დადგენილებათა გამო.“

ამხ. ზინოვიევი ამ განცხადების შემდეგ დაუყოვნებლივ გაილაშქრა მე-XIV პარტ. ყრილობის და მე-XV პარტიულ კონფერენციის უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა წინააღმდეგ—ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ. ამხ. ზინოვიევი სცდილობდა თავზე მოეხვია კომ. ინტერნაციონალისათვის პარტიის ძირითად პრინციპიალურ დადგენილებათა გადასინჯვა. თუ ეს არ არის აპელიაცია პარტიის დადგენილებათა შესახებ, მაშინ თვით ცნება აპელიაციისა ჰკარგავს თავის აზრს. ამხ. ტროცკი სცდილობდა დაესაბუთებია ზინოვიევის განცხადება შემდეგი „არგუმენტით“. აქ არავითარი აპელიაცია არ არის, რადგან ოპოზიციას არ გამოაქვს თავისი განსაკუთრებული რეზოლიუცია განხილული საკითხის შესახებ. იყო თუ არა ოპოზიციის მხრივ განსაკუთრებული რეზოლიუცია, ამისაგან ფაქტი ოპოზიციის ლიდერების გამოსვლისა პარტიის ძირითად პრინციპიალურ დადგენილებათა წინააღმდეგ, ოდნავადაც არ იცვლება. ოპოზიციონურ ბლოკს არ წარუდგენია კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმისათვის რეზოლიუციის საკუთარი პროექტი უბრალო მიზეზის გამო, რადგან ეს პროექტი ვერ მიიღებდა ვერც ერთ ხმას პლენუმის დელეგატებს შორის. ოპოზიციამ მიმართა აპელიაციით კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმს საკ. კომ. პარტიის გადაწყვეტილებათა გამო განსაკუთრებული განზრახვით, რომ კომ. ინტერნაციონალის ტრიბუნა გამოეყენებია პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებისა და გაფართოების მიზნით.

ოპოზიციის გამოსვლის პირმოთნეობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოაშკარავდა ამხ. კამენევის სიტყვაში:

„16 ოქტომბრის განცხადების ნამდვილი აზრი,—განაცხადა ამხ. კამენევი,—გამოიხატება იმაში, რათა ყოველი მუშა, ყოველი პარტიის წევრი დარწმუნდეს, რომ პარტიის მთლიანობა ჩვენთვის ისე ძვირფასია, როგორც ყოველ ბოლშევიკისათვის, რომ ჩვენ შემდეგში ვიქნებით პარტიასთან ერთად, რომ სხვა გზა არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს!“

მაგრამ, რომელია ის გზა, რომლითაც წავიდა ამხ. კამენევი პარტიასთან „ერთად“, გზა რომელიც მან მონახა თავის სიტყვაში კომ. ინტერ. აღმ. კ-ის პლენუმზე? პარტიის მე-XIV ყრილობამ, ამხ. კამენევის სიტყვით, თავის დირექტივით იდეური ბრძოლის მიმართულების შესახებ მწყობრ სისტემაში—ჩამოაყალიბა შეხედულებანი, „რომლებსაც არ შეიძლება სხვა რამე ვუწოდოთ გარდა მემარჯვენე გადახრისა“.

„ძირითადმა შეცდომამ... რომელიც დაუშვა ცენტრალურმა კომიტეტმა ინგლის-რუსეთის კომიტეტთან ურთიერთობის საკითხში, გამოიწვია „მემარჯვენე გადახრა“ ჩვენი პარტიის საერთაშორისო პოლიტიკაშიაც, რაც მუშათა საერთაშორისო ბრძოლის საკითხებში დიდი მანძილით არის დამორჩეული ლენინიზმისაგან“ (იხ. ამხ. კამენევის სიტყვა კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმზე).

ამხ. კამენევი ძლიერ კარგათ იცის, რომ პარტიის შეხედულებამ სადაო საკითხის—ერთ ქვეყანაში სოციალიზმის შესაძლებლობის—შესახებ თავის გამოხატულება ჰპოვა არა მარტო მე-XIV პარტიული ყრილობისა და მე-XIV და მე-XV

პარტიულ კონფერენციების დადგენილებებში, არამედ ყველა პარტიულ უფრედების და ორგანიზაციების დადგენილებებშიაც.

ამხ. კამენევი ეს კარგათ იცის, მაგრამ რადგან გადასწავლას უნდა გავიხსენოთ თავის გზა „პარტიასთან ერთად“, ის არ შეჩერდა ასეთი განცხადებების წინაშე:

„ერთ ქვეყანაში სოციალიზმის შესაძლებლობის თეორია წარმოადგენს ამ ეპოქით იმ თეორიას, რომელიც აერთიანებს ამ შეცდომებს, აგვირგვინებს მათ, და ამრიგათ სცდილობს გამოიმუშაოს მთლიანი პოლიტიკური ხაზი“.

ამხ. კამენევის აზრით, ალბათ, ეს გამოსვლები პარტიის ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის და ყველა პარტიულ ორგანიზაციების წინააღმდეგ, ნიშნავს ერთდარბაზოვან გზით სვლას პარტიასთან და „მხოლოდ და მხოლოდ პარტიასთან ერთად“ ყოფნას.

16 ოქტომბრის ოპოზიციის ლიდერები სწერდნენ თავის განცხადებაში:

„ჩვენ სრულიათ სავალდებულოთ ვთვლით ჩვენთვის მეXIV ყრილობის, ც. კ-ის და ცენ. საკ. კ-ის დადგენილებებს, უსიტყვოთ დავემორჩილებით მათ და გავატარებთ ცხოვრებაში (!) ამისაკენ მოუწოდებთ აგრეთვე ყველა ამხანაგებს, რომლებიც იზიარებენ ჩვენ შეხედულებებს“.

როგორ შეიძლება სავალდებულოთ აღიარო დადგენილებანი, რომლებსაც კომ. ინტერნაციონალის წინაშე აღიარებ „მემარჯვენე გადახრის მწყობრ სისტემით?“ როგორ შეიძლება მოუწოდო ვინმეს ისეთ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებისაკენ, რომლებიც დიდათ შორდებიან „მუშათა საერთაშორისო ბრძოლის საკითხში ლენინიზმს“? როგორ შეიძლება უსიტყვოთ დაემორჩილო დადგენილებებს, რომლებიც ცალკე მემარჯვენე ხასიათის შეცდომებს პარტიის ოპორტუნისტული ხაზის გამომუშავებით აგვირგვინებენ? როგორათაც ღრმა არ უნდა იყოს ოპოზიციონური ბლოკის ბელადების თეორეტიული და პრინციპიალური დაცემა, მაინც არ შეიძლება დაუშვათ, რომ ისინი სერიოზულათ სავალდებულოთ სთვლიდნენ პარტიის დადგენილებებს, რომლებიც იწვევენ „საერთაშორისო რევოლუციონური პერსპექტივის ეროვნულ-რეფორმისტული პერსპექტივით“ შეცვლას.¹⁾ (ამხ. კამენევის სიტყვიდან კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმზე. კურსივი ჩვენი. ვ. ლ.) სავსებით ცხადია, რომ ოპოზიციონურმა ბლოკმა თავის გამოსვლით კომ. ინტ. აღმ. კომიტეტის პლენუმზე ნაგლეჯებათ აქცია ის ვალდებულებანი, რომლებიც მან მიიღო 16 ოქტომბერს მთელი პარტიის წინაშე.

16 ოქტომბრის განცხადების ნამდვილი მნიშვნელობა ბევრად უფრო ცხადი და აშკარა ხდება ეხლა კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმზე წარმოებულ დისკუსიის შემდეგ. ჩვენ არ გვინდა ექვი შევიტანოთ იმაში, რომ ეს განცხადება გულწრფელად იყო დაწერილი და ხელმოწერილი ც. კ-ის 6 წევრის მიერ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს 16 ოქტომბრის განცხადება შეიცავდა შეურიგებელ წინააღმდეგობას. ოპოზიციონური ბლოკი ვალდებულებას იღებდა თავის თავზე შეეწყვიტა ფრაქციული ბრძოლა და დამორჩილებოდა პარტიის ყოველივე გადაწყვეტილებას, და იმავე დროს სავსებით რჩებოდა პარტიის მიმართ ყველა თავის იდეურ-პოლიტიკურ უთანხმოების ნიადაგზე. მაგრამ ბრძოლის ფრაქციული მე-

¹⁾ სხვათა შორის ჩვენ დიდათ უმართებულოთ მიგვაჩნია, როგორც ამხანაგების შეხედულება, რომლებიც სასარგებლო ხდება ოპოზიციისათვის, (იხ. „ბოლშევიკი“ № 23—24) თითქოს „სამოქალაქო მშვიდობიანობის ლოზუნგი ნიშნავს კლასიური ბრძოლის რევოლუციონურ მეთოდებიდან რეფორმისტულ მეთოდებზე გადასვლას“. ამ მტკიცებას არაფერი საერთო არ აქვს ლენინის დებულებასთან რევოლუციონური მიდგომის რეფორმისტული გვგზით შეცვლის შესახებ ეკონომიური მშენებლობის სფეროში.

თოდები იყო მხოლოდ შედეგი, მხოლოდ აუცილებელი „ორგანიზაციული ხაზი“ კომუნისტური ბლოკის პოლიტიკური ხაზისა.

16 ოქტომბრის განცხადება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დასაბუთებულიყო ცხოვრებაში, თუ კომუნისტური ბლოკი თანდათანობით განმარტდებოდა თავის პოლიტიკურ პოზიციებს და დაუახლოვდებოდა პარტიის ხაზს. წინააღმდეგობა, რომელიც გამოიხატებოდა 16 ოქტომბრის განცხადებაში, შეიძლება მოსპობილიყო ან ამ გზით, ან და იმ ვალდებულებათა უარყოფით, რომელიც მიიღო კომუნისტებმა. კომუნისტთა შეგნებულათ თუ უნებლიეთ, — ეს სხვა საკითხია, — არ წავიდა თავის ანტი-ბოლშევიკურ შეხედულებათა და პრინციპების გადაფასების გზით, და ამით იძულებული შეიქნა თავისივე ხელით დაეხია 16 ოქტომბრის განცხადება. და რადგან ამ განცხადების უარყოფა წარმოადგენს უდიდეს პოლიტიკურ სკანდალს, კომუნისტების ლიდერები შეეცადენ დაეფარათ ის არაგულწრფელი და ყალბი ფრაზებით:

„მე პროტესტი უნდა გამოვსთქვა იმის წინააღმდეგ, — განაცხადა ამხ. კემენევი, — რომ ჩვენ კრიტიკას, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ ამხანაგის აზრის წინააღმდეგ, აღიარებენ პარტიის მის ძირითადი პროლეტარული კადრის კრიტიკათ“.

ზევით ჩვენ დავინახეთ, რომ ამხ. კემენევი თავის სასტიკ ბრალდებას შემარჯვენე გადახრაში, ლენინიზმისაგან დაშორებაში და სხვა, უყენებდა პარტიის მე-XIV ყრილობას, პარტიის ც. კ-ს, ყველა პარტიულ ორგანიზაციას. რაღა აზრი აქვს ასეთი ფაქტის შემდეგ ამხ. კემენევის სიტყვიდან ამოღებულ ამ ციტატას? მას შეუძლია ქონდეს მხოლოდ ერთი აზრი: ამხ. კემენევის არც პარტიის მე-XIV ყრილობა, არც ც. კ-ი, არც პარტიული ორგანიზაციები არ მიიჩნია მთელი პარტიის და კერძოდ მისი პროლეტარული კადრის აზრის გამოხატველათ. ხოლო ეს კი არის უდიდესი საბაბი ფრაქციული ბრძოლის გაგრძელებისათვის. ეს ნიშნავს შეტევას მთელ პარტიის წინააღმდეგ იმ საბაბით, რომ საჭიროა ბრძოლა „ბიუროკრატიულ პარტიულ აპარატის წინააღმდეგ“. ეს კი არის მხდალი და ცბიერი, მაგრამ მაინც საბოლოო უარყოფა ვალდებულებათა, რომლებიც მათ მიიღეს 16 ოქტომბერს. საკმარისია მოვიყვანოთ კიდევ ამხ. კემენევის „გულწრფელობის“ ერთი ნიმუში:

„შემარჯვენე გადახრა, რასაკვირველია, სრულიათაც არ ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში მოხდა ტერმინორი, ე. ი. ხელისუფლების გადახრა პროლეტარიატისაგან სხვა რომელიმე კლასისაკენ; არ ნიშნავს, რომ პარტია ასცდა კლასიური პოლიტიკის ლიანდაგს და სხვა. ეს და სხვა ამის მსგავსი განცხადებანი გადაჭრით უნდა უკუგდებულ იქნას. ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს რა მათთან. ის, ვინც ემყარება ასეთ განცხადებას, გადაჭრით ეწინააღმდეგება ჩვენ პარტიას და მის ამოცანებს“.

როგორც ცნობილია, განცხადება იმის შესახებ, რომ პარტია დაადგა ტერმინორის გზას, ისე როგორც განცხადება კავენიაკების, პარტიისა და რევოლუციის მესაფლავეების და სხვ., შესახებ, წამოყენებული იყო კომუნისტების მიერ, რომლის სათავეში სდგას ამხ. კემენევი. ცნობილი ფრაზა „კლასიური

ხაზიდან აშკარა თანდათანობით გადახრის შესახებ“ ეკუთვნის ამხ. ცენტრის თვით ამხ. კამენევიც ბევრს ამბობდა ც. კ-ის იელისის პლენუმზე პროლეტარიატის საწინააღმდეგო „გადახრის“ შესახებ, რომელსაც ადგილზე ვხვდებით ქვეყანაში, ც. კ-ის პოლიტიკის ტენდენციებზე, რომლებიც სტალინის „სოციალ-რულ ხაზს“. ოპოზიციის თეზისებში ც. კ-ის იელისის პლენუმზე, რომელსაც ხელს აწერდა კამენევი, პირდაპირ არის ნათქვამი: „უმთავრესი, რაც აუცილებლათ უნდა გაკეთდეს—არის კლასიური ხაზის გამოსწორება (რომელი ხაზის, პარტიის ხომ არა?—ვ. ლ.), რომელიც დარღვეულია მთელ რიგ შემცდარი პოლიტიკური დირექტივებით“. (ამის შემდეგ იგი უთითებს მე-XIV პარტიულ ყრილობაზე, რომლის დადგენილებაც ეკუთვნის ამ შემცდარ დირექტივებს). და თვით კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმზედაც ამხ. კამენევი პირდაპირ განაცხადა:

„ახალი ის არის, რომ ამხანაგების ნაწილი (კამენევი „ამხანაგების ნაწილათ“ გულისხმობს მე-XIV პარტიულ ყრილობას, ც. კ-ს და პარტიულ კონფერენციებს) დიდათ სერიოზულ, ძირითად საკითხებში სცილდება ლენინიზმს, და სხვათა შორის, ისეთ საკითხში, როგორიც არის კავშირი ჩვენსა და მსოფლიო რევოლუციის შორის“.

საეჭვოა ვინმემ სთქვას, რომ ეს უმჯობესია, ვიდრე „კლასიურ ხაზისაგან ჩამოცილება“, ხოლო კამენევის აზრით ვინც ლაპარაკობს „ჩამოცილებაზე“ იგი „გადაქრით ეწინააღმდეგება“ პარტიასა და მის ამოცანებს. როგორ უნდა მოიქცეს ეხლა თვით ამხ. კამენევი? როგორ მდგომარეობაში აყენებს ის თავის თავს პარტიის მიმართ, იმ „განცხადებათა“ ერთ-ერთი მთავარი ავტორი, რომლებსაც ის ასე ცბიერათ გამოხსნის? ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით ამხ. კამენევიც საკმაო პასუხი გასცა ამ კითხვაზე.

კიდევ ჩენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ

ამხ. სტალინის მოხსენებაც და მისი მოხსენების გარშემო გამართული კამათიც შეეხო უმთავრესათ საკითხს იმის შესახებ,—შესაძლებელია თუ არა ჩენის ქვეყნის ძალებით სრული სოციალისტური საზოგადოების შექმნა. რომ არ მივმართოთ ყველასათვის მომადებრებელ განმეორებას, ჩვენ არ შეუდგებით პლენუმზე ამ საკითხის გარშემო წარმოებულ მთელი დისკუსიის გადმოცემას, თუმც ამ დისკუსიაში აუცილებლად ბევრი რამ იყო საყურადღებო. მან დაგვანახვა თუ რამდენად ამაღლდა ამ უკანასკნელ დროს კომუნისტური ინტერნაციონალის თეორეტიული და პოლიტიკური დონე. ჩვენ გამოვყავით ოპოზიციის გამოსვლებიდან მხოლოდ მთავარი მომენტები და დაგვამაყოფილდებით მათი ანალიზით.

ოპოზიციონერი ორატორები დაეინებით ეკითხებოდნენ პლენუმს: რატომ აღიძრა საკითხი—ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ „მხოლოდ“ 1924 წელს, ლენინის გარდაცვალების შემდეგ?

რატომ მხოლოდ 1926 წ. წაუყენეს პირველად კომუნისტურ ინტერნაციონალს ახალი შეხედულება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის განხორციელების შესახებ? რატომ ლენინის დროს არავინ წაუყენა ასეთი წინადადება კომუნისტურ ინტერნაციონალს? რატომ მხოლოდ ლენინის შემდეგ წარმოიშვა ერთ ქვეყანაში

სოციალიზმის შესაძლებლობის თეორია? კითხულობდა ამხ. ზინოვიევი და თვითვე აძლევდა პასუხს, რომ ეს შემთხვევითი არ არის, და საკითხის მხოლოდ ეს-ლა წამოყენება ნიშნავს იმას, რომ ჩვენი პარტიის რიგებში ადგილზე მსგავსი წინა-ხიონისტულ და ოპორტუნისტულ ტენდენციებს.

მართლაც, საიდან წამოიჭრა საკითხი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ? მართლაც ხომ არ ნიშნავს ეს ლენინის მოძღვრების „რევიზიის“, გადაფასების ცდას? ასეთ ცდებს მართლაც აქვს ადგილი, მაგრამ არა იმ მხრით, რომლისკენაც მიუთითებენ ამხ. ამხ. ზინოვიევი, ტროცკი და კამენევი.

პირველ ყოვლისა არ არის მართალი ამხ. ზინოვიევის განცხადება, თითქოს „მხოლოდ ლენინის სიკვდილის შემდეგ წამოიჭრა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის შესაძლებლობის თეორია“. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის შესაძლებლობის ავტორი სწორედ ლენინი არის. პირველად ეს თეორია მან 1915 წელს წამოაყენა, რაც ძლიერ კარგათ იცის ყველამ, და მათ რიცხვში ამხ. ზინოვიევიც. მაგრამ ამხ. ზინოვიევი „შესაძლო“ ამ დაბრკოლებიდან თავის დაღწევა. უმნიშვნელოვანეს თეორეტიულ დებულებას ცალკე ქვეყნებში თუ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, რომელიც ამხ. ლენინმა წამოაყენა 1915 წელს წერილები „ევროპის შეერთებულ შტატების ლოზუნგის შესახებ“, ამხ. ზინოვიევი უწოდებს „ერთი პატარა წერილის პატარა ნაწილს“.

მას სურს ეს დებულება გამოიყენოს როგორც შემთხვევითი რამ, რომელსაც არა აქვს ლოგიური კავშირი ლენინის შეხედულებათა მთელ სისტემასთან. უნებლიეთ გვახსენდება კაუტსკი, რომელიც აგრეთვე მარქსის მოძღვრების შესახებ პროლეტარიატის დიქტატურაზე ამბობდა, რომ მარქსს „დიქტატურა“ მოხსენებული აქვს თავის „ერთ წერილში ერთი სიტყვით“. ლენინი კაუტსკის ამ მანერას უწოდებდა მარქსიზმის გამასხრებას, მარქსიზმის უარყოფას. რა უნდა ვუწოდოთ ესა ამხ. ზინოვიევის ამ „კაუტსკიანურ“ მანერას ლენინის მიმართ? ჩვენ ვფიქრობთ—იგივე სიტყვები: **დაცინვა ლენინი ხმზ, ლენინიზმის უარყოფა.** ამხ. ზინოვიევი არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ლენინს შემთხვევით არა აქვს მოხსენებული დებულება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, რომ ის ემყარება ლენინის შეხედულებათა მთელ სისტემას, რომ ეს დებულება ჩვენ მრავალჯერ გვხვდება ლენინის ნაწერებში.

ყოველივე ამას უმტკიცებდა პარტიას სულ წელიწადნახევრის წინათ სწორედ ამხ. ზინოვიევი.

ამა. ბუხარინმა მოაგონა ეს ფაქტი კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმს. მე-XIV პარტიულ კონფერენციაზე, ემყარებოდა რა მთელ რიგ ციტატებს ლენინიდან (ამ ციტატებს შორის მოხსენებული იყო ლენინის 1915 წლის „პატარა წერილის პატარა ადგილი“) ზინოვიევი ამბობდა:

„ამ ციტატებიდან აშკარაა, რომ ილადიმერ ილიჩი შესაძლებლათ სოციალიზმის სრულ განხორციელებას ისეთ ქვეყანაში, როგორც არის ჩვენი ქვეყნა—თუ ჩვენ უზრუნველყოფილი ვიქნებით საერთაშორისო ინტერკონცისაგან მხოლოდ და მხოლოდ კოოპერაციის საშუალებითაც კი. და ამავე დროს

ის, როგორც საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციონერი კოვქეთის ხაზს უსვამს იმას, რომ საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო მაშტაბით, რომ საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვება ვერ იქნება მტკიცე და საბოლოო“.

ამხ. ზინოვიევი 1925 წლის აპრილში ლენინის ნაწერების საშუალებით იცავდა იმასვე, რასაც ის ამ წამათ ლენინისავე საშუალებით — სცდილობს უარყოს. მაგრამ 1925 წლის აპრილში ამხ. ზინოვიევი იცავდა სწორ ლენინის პოზიციას; ეხლა კი ის სცილდება ლენინიზმს. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო საზიზღარი რამ, ვიდრე ლენინის ციტატებით ასე ურცხვად სარგებლობა?

მაგრამ თუ პირველი მათ შორის ვინც დაასაბუთა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება იყო ლენინი, ეს კიდევ არ იძლევა პასუხს იმაზე, თუ რატომ მოექცა ეს თეორია 1924 წლიდან პარტიის ყურადღების ცენტრში.

ოპოზიციის ლიდერები სცდილობდნენ ისე დაესურათებიათ მდგომარეობა პლენუმზე, თითქოს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის შესაძლებლობის საკითხი პირველ პლანზე წამოიქრა სტალინისა და ბუხარინის წყალობით. ნამდვილათ კი ეს საკითხი წამოყენებულია და დასმული ტროცკის და არა სხვის მიერ. მიემართ ფაქტებს.

ამხ. ტროცკის პერმანენტული რევოლუციის თეორიის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს მტკიცება იმის შესახებ, რომ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატი ხელში აიღებს ძალა-უფლებას მას აუცილებლად —

„მოუხდება შეტაკება არა მარტო ბურჟუაზიის ყველა ჯგუფებთან, არამედ გლეხობის ფართო მასებთანაც, რომელთა დახპარებითაც მან ხელში აიღო ძალა-უფლება. წინააღმდეგობანი დამახასიათებელი მუშათა მთავრობის მდგომარეობისათვის ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც დიდ უმრავლესობას წარმოადგენს გლეხური მოსახლეობა, გადაიჭრება მხოლოდ საერთაშორისო მაშტაბით, მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე“.

ასე განსაზღვრავს თვით ამხ. ტროცკი 1922 წელში თავის საკუთარი თეორიის ძირითად შინაარსს. ამ თეორიის თვალსაზრისით შეუძლებელია არა მარტო სრული სოციალისტური საზოგადოების შექმნა, არამედ გარკვეული საზღვრის შემდეგ შეუძლებელია თვით სოციალისტური მშენებლობაც კი ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორც არის რუსეთი. პერმანენტული რევოლუციის თეორიის სავსებით ლოგიურ დასკვნას წარმოადგენს აგრეთვე ამხ. ტროცკის ცნობილი დებულება, რომელიც ეკუთვნის 1922 წელს.

„სოციალისტური შეურნეობის ნამდვილი აღორძინება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ რაც პროლეტარიატი გაიმარჯვებს ევროპის ყველა უმთავრეს ქვეყნებში“.

1922 წ. ბროშაურაში „ახალი კურსი“ ამხ. ტროცკი სწერდა:

„მე ვერ ვხედავ ვერავითარ საფუძველს იმისათვის, რომ უარყუო რასაც მე ვწერდი პერმანენტული რევოლუციის თეორიის შესახებ 1904 — 5 — 6 წ.წ.“.

1924 წლის შემოდგომაზე გამოვიდა ამხ. ტროცკის ცნობილი ბროშაურა „ოქტომბრის გაკვეთილები“. ამ ბროშაურის შინაარსს წარმოადგენდა ამხ. კამე-

ნევისა და ზინოვიევის 1917 წლის მენშევიკურ შეცდომების კრიტიკა ჩვენს პარტიაში ოქტომბრის რევოლუციის დროს ეგრედ წოდებულ „მენშევიკურ ფრთის“ როლის გადამეტებით შეფასება, ოქტომბრის ისტორიის კრიტიკა ტიური და არა სწორი დალაგება და, რაც უმთავრესია, პერმანენტული რევოლუციის თეორიის ხელახალი დაცვა 1921 წლიდან 1924 წლამდე. ამბ. ტროცკი ყველა თავის ძირითად ლიტერატურულ გამოსვლებში სისტემატიურათ იცავს რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს და მისი ხასიათის თავის საკუთარ შეფასებას, რომლის პოლიტიკურ დასკვნას წარმოადგენს უარყოფა ჩვენ „ჩ.მორ ჩენილ“ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის შესაძლებლობისა საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვებამდე. „ლენინიზმის ტროცკიზმით შეცვლის“ (ამბ. ზინოვიევის გამოთქმით) ამ სისტემატიურმა ცდამ გამოიწვია პარტიის მხრივ ენერგიული წინააღმდეგობა ტროცკიზმის მიმართ მთელი ხაზის გასწვრივ. ტროცკიზმის კრიტიკა ენებოდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ მშენებლობას და აგრეთვე უფრო საერთო ხასიათის თეორეტიულ საკითხს—სრული სოციალისტური საზოგადოების მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ძალებით აგების შესახებ, ე. ი. ისევ ჩვენი რევოლუციის ხასიათისა და მამოძრავებელი ძალების საკითხს. ეს საკითხი აღძრა და სადისკუსიოთ გახდა ამბ. ტროცკიმ. მაგრამ ტროცკი მას სწვევდა მენშევიკურათ. პარტია კი იდეურ ბრძოლაში ტროცკიზმის წინააღმდეგ ემყარებოდა ლენინის მოძღვრებას, რომელმაც მთელ რიგ ნაშრომებში, დაწყებული 1915 წლის წერილით „ევროპის შეერთებულ შტატების ლოზუნგის შესახებ“ (რომელიც, სხვათაშორის, პირველ რიგში მიმართული იყო ტროცკის წინააღმდეგ) და დასრულებული შენიშვნებით სუხანოვის წიგნის შესახებ და წერილით „კოოპერაციაზე“, იძლეოდა ამ საკითხის სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტას.

საჭირო არ არის აქ ლენინის შეხედულებათა მოყვანა; ეს შეხედულებანი ყველასათვის ცნობილია. ჩვენს ამოცანას შეადგენს პასუხი გასცეთ ამბ. ზინოვიევს „გასაოცარ“ კითხვაზე: საიდან „წარმოიშვა“ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის შესაძლებლობის თეორია? ეს თეორია თავის დასაწყისს ჰპოებს ლენინის მოძღვრებაში, ხოლო წამოიჭრა კი იგი ამბ. ტროცკის მენშევიკურ კონცეპციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ამბ. ამბ. კამენევიან და ზინოვიევიან დაკავშირების შემდეგ, ამბ. ტროცკიმ ბოლოს გაბედა „აშკარად აღიარებია“ თავის შეცდომა ლენინთან პრინციპიალურ საკითხებზე ბრძოლის დროს. მაგრამ ეს აღიარება ორაზროვანია.

„ყოველ ცოტათ თუ ბევრათ პრინციპიალურ საკითხში,—ნათქვამია ამბ. ტროცკის მიერ ხელმოწერილ ერთ-ერთ ფრაქციულ საბუთში,—რომლის გამოც ჩვენ ვსცილდებოდით ლენინს, სიმართლე, აუცილებლად, ვლადიმერ ილიჩის მხარეზე იყო“.

ეს განცხადება მთავარ საბუთს წარმოადგენს ამბ. ამბ. კამენევისა და ზინოვიევის ხელში. ამ საბუთის გარეშე ბლოკს ტროცკისთან სამარცხვინო ხასიათი ექნებოდა იმ ხალხისათვის, რომელმაც აქდენი ძალა დახარჯა ტროცკიზმთან ბრძოლაში. კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმზე ტროცკიმ აშკარად განმარტა ამ განცხადების აზრი:

„თუ პერმანენტული რევოლუცია“, — ამბობდა ამხ. ტროცკი, ~~არ იყო~~ სწორი, რამდენადაც ის განსხვავდებოდა ლენინის შეხედულებებისაგან, მასში მაინც იყო რაღაც მართალი, რამაც მე საშუალება მომცა მივსულიყავი ბოლშევიზმთან“.

თავის სიტყვის მეორე აღგილას ამხ. ტროცკი ამბობს პერმანენტული რევოლუციის თეორიის ზოგიერთ ნაკლზე. ამხ. ტროცკი ძლიერ გაწვრთნილი ორატორია და სტილისტი. ის შეეცადა რაც შეიძლება მეტად დაეთარა თავისი ნამდვილი აზრი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ძნელი არ არის ამ აზრის გამოცნობა მხატვრულ სიტყვიერ ფორმაში.

პირველ ყოვლისა ამხ. ტროცკი სრულიათაც არ უარყოფს სავსებით პერმანენტულ რევოლუციის თეორიას. გაუგებარია ისიც თუ მის რომელ ნაწილზე იღებს ის ხელს, რომელ კონკრეტულ საკითხებში აღიარებს ის თავის შეცდომას.

იმის თქმა, რასაც ამბობდა ამხ. ტროცკი ამ თეორიის შეცდომებზე და ნაკლზე, იმისდა აღუნიშნავად, თუ რაში გამოიხატებოდა ეს შეცდომა და ნაკლი, არაფრის თქმას არ ნიშნავს. ეს ნიშნავს ყველაფერი აიცილო თავიდან უბრალო ფრაზით, რომელიც არაფერს არ გავალდებულებს. ტროცკის ასეთი თავის შეცდომების „აღიარებამ“ შეიძლება დააკმაყოფილოს მისი დღევანდელი მოკავშირეები, მაგრამ არა ლენინის პარტია. პარტიას ახსოვს ამხ. ტროცკის განცხადება „ახალ კურსში“, იმის შესახებ, რომ პერმანენტული რევოლუციის თეორია უფრო უახლოვდებოდა ლენინიზმის მოძღვრებას, ვიდრე ბევრი რამ იმისაგან, რაც იწერებოდა ბოლშევიკების მიერ რევოლუციაზე. ეს განცხადება, რომლის წინააღმდეგ პარტია ყოველთვის იბრძოდა, ეხლაც სავსებით თავსდება ტროცკის მიერ თავის შეცდომების უკანასკნელ „აღიარებაში“.

შეიძლება მხრივ, პერმანენტული რევოლუციის თეორია წარმოადგენს შეხედულებათა გარკვეულ სისტემას, რომელიც უბირისპირდება ბოლშევიკურ, ლენინის შეხედულებათა სისტემას. თუ მართალი გამოდგა შეხედულებათა ბოლშევიკური სისტემა, მაშინ აღარაფერი არ რჩება პერმანენტული რევოლუციის თეორიისაგან. ხოლო იმის აღიარება, რომ ტროცკისტულ თეორიაში, სპეციალურ ტროცკისტულ დებულებებში თუ გინდ რაიმე მაინც იყო სწორი, ნიშნავს იმას, რომ ბოლშევიკური თეორია რევოლუციის მამოძრავებელ ძალების შესახებ შეიცავს ნაკლს, რომელიც უნდა შესწორდეს და შეივსოს ტროცკიზმით. სწორეთ ამისაკენ იხრება ტროცკის განცხადება.

მე-XV-ე პარტიულ კონფერენციაზე ამხ. ტროცკიმ განაცხადა პარტიის წინაშე, თუ რას სთვლის ის დღემდის სწორათ პერმანენტულ რევოლუციის თეორიაში. 1922-24 წ. წ. ამხ. ტროცკი სავსებით და ყოველგვარი შეიშვების გაქვეითებით იცავდა თავის დებულებებს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია სოციალიზმის აშენება მარტო ჩვენი ქვეყნის ძალებით, რომ შეუძლებელია წინსვლა მსოფლიო რევოლუციის განარჯვებამდე. ამხ. ტროცკი იცავდა ყველა ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ ციტატებს მისი 1922-24 წ. წ. ნაწერებიდან და კიდევ მრავალ სხვას. ძირითადადში და არსებითში, რაც პერმანენტულ რევოლუციას

ანსხვავებს ლენინის მოძღვრებისაგან ამხ. ტროცკი თავის თეორიის ერთგული დარჩა. ეს კიდევ ცოტაა. კამენევიცა და ზინოვიევიც მის მხარეზე გადავიდნენ. როგორი დაცინვაა თავის თავზე ამხ. კამენევის სიტყვაში იმის შესახებ, რომ „ისტორიული ტროცკიზმის“ წინააღმდეგ ის და ამხ. ზინოვიევი იბრძოდნენ და კვლავ განაგრძობენ ბრძოლას. ორივე ისინი ყველა ძირითად სადაო საკითხებში სავსებით იმ ისტორიულ და სპეციფიურ ტროცკიზმის საფუძველზე სდგანან, რომელიც წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიულ გადახრას ჩვენს პარტიაში.

ოპოზიციონურ ბლოკის წარმომადგენლებმა გააკეთეს ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა, კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმზე, რომ დაეცვათ სადაო საკითხი და დაეფართოვებინათ კომ. ინტერნაციონალისაგან ნამდვილი უთანხმოება, რომელიც ამოიღებინათ მათ პარტიისაგან. ავიღოთ მაგალითისათვის ამხ. კამენევის სიტყვა, თუმცა ამ მხრივ მას არ ჩამორჩება არც ამხ. ზინოვიევი და არც ამხ. ტროცკი.

„სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება, — ამბობდა ამხ. კამენევი, — არ შეიძლება ნიშნავდეს, უკიდურეს შემთხვევაში, სხვა რამეს, გარდა კლასების მოსპობისა. სოციალიზმის გამარჯვება ნიშნავს, მაშასადამე, გლეხობის მთლიან, განზოგადოებულ და გეგმიან ხელმძღვანელობის მქონე მეურნეობის მუშაკებათ გარდაქმნას. ჩვენი მოწინააღმდეგენი ფიქრობენ, რომ „ოპტიმიზმი“ გამოიხატება განცხადებაში, რომ ს. ს. რ. კ-ში ამ ამოცანის განხორციელება შეიძლება და კიდევ განხორციელდება უფრო ადრე, ვიდრე კაპიტალისტურ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები შესძლებენ თავის ბურჟუაზიის ჩამოგდებას. თქვენ ამას უწოდებთ ოპტიმიზმს, ჩვენ კი, ვანვითარებთ რა მას, ვუწოდებთ უღრმეს პესიმიზმს“.

ამხ. კამენევი შეგნებულადაა ართულებს სადაო საკითხს და შეგნებულადაა სწამებს ცილს პარტიას.

პირველ ყოვლისა, პარტიაში არავის და არასდროს არ მოსვლია აზრათ ამის მტკიცება, რომ მარტო ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება.

ამ საკითხის შესახებ არსებობს უამრავი განცხადებანი, სიტყვები, წერილები და პარტიული დადგენილებანი.

მეორეს მხრივ, ჩვენს პარტიაში არავინ და არასდროს არ ამტკიცებდა იმას, რომ ჩვენ შევქმნით სოციალისტურ საზოგადოებას უფრო ადრე, ვიდრე სხვა ქვეყნებში გაიმარჯვებს მუშათა რევოლუცია. ამას მხოლოდ კამენევის ეხლანდელი მოკავშირე, რენეგატი მასლოვი, ამბობდა ბურჟუაზიული გერმანიის სასამართლოს წინაშე, რომ გერმანიისათვის რევოლუციონური პერსპექტივა გამორიცხებულია ათეულ წლების განმავლობაში. ჩვენი პარტია კი მტკიცეთ არის დარწმუნებული, ემყარება რა მსოფლიო განვითარების მეცნიერულ მარქსისტულ ანალიზს, რომ, რამდენათაც არ უნდა გაქიანურდეს პროლეტარული რევოლუციის მშობიარობის ტკივილები მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში, მისი გამარჯვების დრო ათეული წლებით კი არ განიზომება, არამედ წლებით. ყოველ შემთხვევაში, მუშათა კლასი მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაიპყრობს ხელისუფლებას ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ შევქმნიდეთ სრულ სოციალისტურ საზოგადოებას. საკითხი სრული სოციალისტური საზოგადოების აშენე-

ბის შესახებ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ძალებით არის თეორეტიული პრაქტიკა და არა ემპირიული ამოცანა. პარტია ამ საკითხს სწყვეტს, როგორც თეორეტიულ პრობლემას, და არა სხვანაირად. აი რა არ ესმისთ, გნებავთ თეორიით, რისი გაგებაც არ უნდათ ოპოზიციონური ბლოკის ბელადებს.

თეორია ჩვენი მოქმედებისათვის სახელმძღვანელო იარაღია და არა დოგმა — ასე გვასწავლიდა ყოველთვის მარქსი და ლენინი. მაშ, რაში გამოიხატება ამ თეორეტიული პრობლემის აქტუალური მნიშვნელობა?

ამ საკითხის ასეთი თუ ისეთი გადაწყვეტისაგან დამოკიდებულია პასუხი უკვე ემპირიულ, ძირითად პოლიტიკურ საკითხზე: შეგვიძლია თუ არა ჩვენ უკვე ამ უამათ სოციალიზმის მშენებლობა, შეგვიძლია თუ არა წინსვლა სოციალისტურ საზოგადოებისაკენ მანამ, სანამ თუ გინდ რამოდენიმე მოწინავე კაპიტალისტურ სახელმწიფოებში გაიმარჯვებდეს პროლეტარიატი; ან შეიძლება ჩვენი ქვეყნის გლეხური ხასიათი, მისი უმთავრესად წვრილ-ბურჟუაზიული წყობა, მისი ტექნიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, მისი ეკონომიური დამოკიდებულება მსოფლიო ბაზრისაგან წარმოადგენენ გარდუვალ დაბრკოლებას სოციალისტური მშენებლობის განვითარებისათვის? საკითხი მხოლოდ ამრიგათ სდგას, და მხოლოდ ამ ხაზით იშლება პარტიის ძირითადი, პრინციპიული უთანხმოება ოპოზიციასთან.

რატომ არის საქირო სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის საკითხზე პასუხის გაცემამდე უფრო საერთო პრობლემის წინასწარი გადაჭრა, სახელდობ: — შეუძლია თუ არა ჩვენ მუშათა კლასს იმ პირობით, რომ ადგილი არ ექნება სამხედრო ინტერვენციას კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ, ააშენოს ხრული სოციალისტური საზოგადოება, გამარჯვებულ ევროპის პროლეტარიატის „სახელმწიფოებრივი დახმარების“ გარეშე? ეს პრობლემა შეიძლება აგრეთვე სხვა რიგათ ჩამოყალიბდეს: აქვს თუ არა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს ყველაფერი აუცილებელი და საკმარისი იმისათვის, რომ ააშენოს სრული სოციალისტური საზოგადოება? ამ პრობლემის წინასწარი გადაჭრა იმითომ არის აუცილებელი, რომ სოციალიზმის მშენებლობა წარმოადგენს დიალექტიურ პროცესს, კაპიტალისტურ და სოციალისტურ სამეურნეო ფორმათა ბრძოლის პროცესს, კაპიტალისტურ სოციალ-ეკონომიურ წყობის თანდათანობით სოციალისტური წყობით შეცვლის პროცესს.

განვითარების ყოველ საფეხურზე, ყოველ არსებულ მომენტში, მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტების დაძლევა სოციალისტური ელემენტების მხრივ და სოციალიზმისაკენ წინსვლა შესაძლებელია, მხოლოდ ძალთა ისეთ საერთო ურთიერთობის დროს, როდესაც ხელთა გაქვს სრული სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის ყველა საქირო პირობები. ჩვენ ეკონომიკაში, და მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის სოციალურ ურთიერთობაში რომ ჩართული იყვეს გარდუვალი წინააღმდეგობანი მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ყოველგვარი წინსვლა სოციალიზმისაკენ. ასეთ პირობებში განვითარების კაპიტალისტურ ტენდენციების უპირატესობა სოციალისტურზე ავტომატიურათ იქნებოდა უზრუნველყოფილი, საწარმოო ძალთა ყოველგვარი ზრდა აუცილებლობით წავიდოდა

კაპიტალისტური განვითარების კალაპოტით. მბრძანებელი ეკონომიური სიმალ-
 ლეები, რომელიც მუშათა კლასმა დაიპყრო სამხედრო კომუნისტურმა ხელისუფლებამ
 ეკონომიური პოლიტიკის პირობებში აუცილებლათ თანდათანობით შეცვალა
 გამოცოცხლების გზაზე დამდგარ და სწრაფი ტემპით მოხარდ კაპიტალისტთა
 კლასის ხელში. სოციალისტური აღმშენებლობის ეკონომიურ ბაზისის დაკარგვას
 აუცილებლად მოყვებოდა პროლეტარიატის პოლიტიკური ხელისუფლების დამ-
 ხობა ან მისი გადაგვარება. მხოლოდ საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვება
 შესძლებდა „ტერმიდორის“ თავიდან აცილებას და ჩვენი ქვეყნის განვითარე-
 ბის კვლავ სოციალისტური კალაპოტით წარმართვას.

ასეთია აუცილებელი დასკვნა საერთო დებულებიდან ჩვენს ქვეყანაში
 სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების შეუძლებლობის შესახებ.

**რამოდენიმე დასკვნა ოპოზიციის საერთო დებულებიდან საქათა კავშირში
 სოციალიზმის აშენების შეუძლებლობის შესახებ.**

ოპოზიცია უკვე დიდი ხანია შივიდა ამ დასკვნამდე. გაიხსენეთ რითი
 დაიწყო ბრძოლა პარტიის მე-XIV ყრილობის წინ, რომელი საკითხების გარ-
 შემო გაიშალა ეს ბრძოლა? „სახელმწიფო დაწესებულებანი წარმოადგენენ სა-
 ხელმწიფო კაპიტალიზმს“, „ახალი ეკონომიური პოლიტიკა უკან დახევის პოლი-
 ტიკაა“, „დიფერენციაცია სოფლად და კულაკის გაძლიერება გიგანტიური ნა-
 ბიჯით მიდის წინ“, „ც. კ. დაადგა ტერმიდორის გზას“ და სხვა. ამ გამზა-
 დებული დასკვნებით გამოცხადდა ოპოზიცია პარტიის მე-XIV ყრილობაზე.
 პარტიის ზეგავლენის გამო ოპოზიციამ შემდეგ უკან დაიხია მთელ რიგ საკით-
 ხებში, მაგრამ ოპოზიციის ძირითადი დებულება იმის შესახებ, რომ ჩვენი ქვე-
 ყნის განვითარება მიემართება კაპიტალიზმისაკენ და არა სოციალიზმისაკენ,
 დღემდის ძალაში რჩება. რომ არ ვილაპარაკოთ ლიტონი სიტყვებით, მოვიყვა-
 ნოთ რამოდენიმე, შემთხვევით აღებული მაგალითები. ამხ. ტროცკი ამბობდა
 ც. კ-ის აპრილის პლენუმზე, ე. ი. იმ პერიოდში, როდესაც მან ჩამოაყალიბა
 ბლოკი ამხ. ამხ. ზინოვიეფთან და კამენეფთან:

მე გეკითხებით, განა დიფერენციალიზმით ჩვენი მდგომარეობა, როგორც სა-
 ხელმწიფოსი, მეურნეობის სოციალისტური ელემენტების პეგემონიის მხრივ,
 რამოდენიმე უმნიშვნელო პროცენტით მაინც—უფრო ცუდი არ არის, ვიდრე
 ნახევარი წლის ან ერთი წლის წინათ, მიუხედავად იმისა რომ საერთოთ ქვე-
 ყანა უფრო გამდიდრდა...

თუ აღნიშნული მდგომარეობა, თუგინდ ერთი ან ორი პროცენტითაც კი
 გაძლიერდა, მაშინ საწარმოო ძალთა საერთო განვითარების პირობებში შესა-
 ძლებელია, რომ ჩვენ მივიღოთ სოციალისტური ტემპი უარყოფითი ნიშნით.
 სხვა სიტყვებით: „კაპიტალიზმი გადააქარბებს სოციალიზმს“.

უიმედო იქნებოდა იმ ფაქტების ძიება, რომელიც საფუძვლად უდევს ამხ.
 ტროცკის ასეთ დაბეჯითებთ მსჯელობას, რომ ჩვენი მეურნეობის სოციალი-
 სტური განვითარების ტემპი იქნება უარყოფითი ნიშნით, ხოლო კაპიტალიზმ: რი
 განვითარების ტემპი დადებითი ნიშნით. ამხ. ტროცკის ასეთი რწმენა გამომ-
 დინარეობს არა ფაქტების ანალიზიდან, — ფაქტები წინააღმდეგს მოწმობს, —
 არამედ მის საერთო თეორეტიულ და პოლიტიკურ პოზიციიდან.

რეზოლიუციაში, რომელიც ამხ. ტროცკიმ წარუდგინა ცენტრალურ კომიტეტის აპრილის პლენუმს, (რეზოლიუციის ხმა მისცეს ამხ. ამხ. კამენევი და ზინოვიევი) ნათქვამია:

„ჩვენი დღევანდელი სამეურნეო მდგომარეობის მთავარი წინააღმდეგობა, რომელიც იმავე დროს არის მთავარი წინააღმდეგობა ქალაქისა და სოფლის ურთიერთობაში, იმაში მდგომარეობს, რომ მრეწველობა ჩამოქვეითებულია სახალხო-სამეურნეო განვითარებისაგან“.

სახელმწიფო მრეწველობა, ჩვენი უმთავრესი სოციალისტური ბაზისია. თუკი მისი განვითარება ჩამოქვეითებულია კერძო მეურნეობის განვითარებისაგან, მაშინ ჩვენ გვაქვს არა წინსვლა სოციალიზმისაკენ, არამედ უკანდახევა კაპიტალიზმისაკენ. ეს სრულიად უდავო და ცხადია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოციალისტური მშენებლობის საქმე ჩვენში ცუდათ არის.

ივლისის პლენუმზე ამხ. კამენევი ამბობდა:

„ჩვენი ქვეყნის კლასობრივ ურთიერთობაში მოხდა ერთგვარი ცვლილება, ამის წინააღმდეგ არაფერს ამბობს ის გარემოება, რომ თითქოს ჩვენში ყველაფერი კარგად მიდის... დიახ, ქვეყანა მდიდრდება, ქვეყანა იზრდება, უმჯობესდება მატერიალური მდგომარეობა, გლეხობის აჯანყებათა და ამბოხებათა პერიოდი წავიდა, ამ მხრივ ყველაფერი კარგად მიდის. მაგრამ, განა ჩვენ ამის შესახებ ვდავობთ... ეს—საერთო ნიადაგია, რომელზედაც ვდგევართ. ქვეყანა იზრდება, მდიდრდება, პროლეტარიატი ძალას იკრებს, მთელი ქვეყნის მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდება, ხოლო კლასობრივი ურთიერთობის შეცვლა ცხადია?... რათ არ შეუძლია ცეკას სთქვას, რომ ქვეყანა იზრდება, მდიდრდება, ბობოლა გლეხი ძლიერდება და ამასთან ერთად იცვლება ურთიერთობაც არა მუშისა და ლარიზმის სასარგებლოთ და სხ.“...

როგორც ხედავთ ამხ. კამენევის უნდოდან მხოლოდ, არც მეტი, არც ნაკლები, ცეკას ეთქვა, რომ საბჭოთა ქვეყანაში მწიფდება პირობები ტერმინორისათვის.

ჩვენ არ მოვიყვანთ კიდევ ციტატებს, თუმცა ასეთები შეიძლება უამრავი მოვიყვანოთ. მოგაგონებთ მხოლოდ ამხ. პიატაკოვის გამოხვლას ცეკას ივლისის პლენუმზე, როცა ამხ. პიატაკოვი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კერძო კაპიტალი საგრძნობად წინ უსწრებს სახელმწიფო მრეწველობის ზრდას და რომ საკითხი „ვინ ვის ალაგმავს“ სწყდება ჩვენში არა პროლეტარიატის სასარგებლოთ. განსაკუთრებით საინტერესო იყო დისკუსია კომუნისტურ აკადემიაში (ოქტომბრის დასაწყისში) საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების შესახებ 1926—27 წ.

საგეგმო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებში მთლიანად უარყო ოპოზიციის მტკიცება სახალხო სამეურნეო განვითარებისაგან ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის ჩამოქვეითების შესახებ, კაპიტალისტური ელემენტების გადაჭარბების სოციალისტურ ელემენტებზე და სხ. ოპოზიცია მოემზადა საგეგმო კომისიის დადებით დასკვნების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლისათვის. მართალია ფაქტებსა და ციფრებს ოპოზიციონურმა ბლოკმა დაუპირისპირა თავისი

პორაქენცული თეორია, რომელიც ემყარება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შეუძლებლობას. ეს არის საინტერესო. კომუნისტურ აკადემიაში გახართულ დისკუსიამ გვიჩვენა, რომ ოპოზიციონურ ბლოკს, წინააღმდეგობა გვარ ფაქტებისა, მტკიცედ სწამს, რომ სოციალისტური განვითარების ტემპი უკანასკნელ ხანებში გვიჩვენებს უარყოფით ნიშანს, ხოლო კაპიტალიზმის აღდგენა კი დადებითს.

ამის შემდეგ ამხ. ამხ. ზინოვიევი, ტროცკი და კამენევი გამოდიან კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე ამგვარი განცხადებით:

„რომ ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს, რომ ჩვენ უდიდეს მაგალითს ვაძლევთ მსოფლიო პროლეტარიატს და ჩვენს ქვეყანას სოციალისტურ გზაზე ვამაგრებთ ეკონომიურად და პოლიტიკურად—ყველაფერი ეს თავისთავად ცხადია ყველა ჩვენგანისათვის—მაგრამ განა ამის შესახებ არის დავა?“ (ამხ. ტროცკის სიტყვიდან).

საქმეც ის არის, რომ დავა სწარმოებდა და სწარმოებს სწორედ ამის შესახებ. საქმეც ის არის რომ—ოპოზიცია ყველა თავის გამოსვლებში მე-XIV პარტიკრილობიდან დაწყებული—16 ოქტომბრამდე გადაჭრით უარყოფდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ გაძლიერებას სოციალისტურ გზაზე.

საქმეც ის არის, რომ ოპოზიცია უარყოფითი ნიშნით ახასიათებს ჩვენს სოციალისტურ განვითარებას და უარჰყოფს ფაქტს სოციალიზმისაკენ წინსვლის შესახებ. როგორ უნდა გავიგოთ ყოველივე ამის შემდეგ ოპოზიციონური ბლოკის ბელადების განცხადება კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე? როგორც მანევრი, როგორც ხერხი, როგორც ცდა სადავო საკითხის არევის. ოპოზიცია უღმობელი ფაქტების წინაშე უკვე არ ცდილობს აშკარად გამოიყვანოს ის დასკვნები „ჩამორჩენილ“ ქვეყნის ძალებით სრული სოციალისტური საზოგადოების შექმნის შეუძლებლობის თეორიიდან, რომელსაც იგი მრავალი თვეების განმავლობაში თავზე ახვევდა პარტიას. ამიტომ ოპოზიციის ბელადები კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე ცდილობდნენ მიემალათ თავის წარსული შეცდომები. თუ კი ამხ. ამხ. ტროცკი, კამენევი და ზინოვიევი ამ ეამად სერიოზულად აღიარებდნენ კომუნისმისაკენ ჩვენი წინსვლის ფაქტს, თუ კი მათი განცხადება პლენუმზე, რომ ჩვენი ქვეყანა მაგრდება და ვითარდება სოციალისტური გზით, რამდენიმეთ მაიც სერიოზული იყო, მაშინ მათ აუცილებლად უნდა მიეღოთ ლენინის თეორია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. რატომ? უბრალო მიზეზის გამო, იმიტომ რომ ახალი ეკონომიურ პოლიტიკის პირველ საფეხურზე სოციალიზმის მშენებლობა, ე. ი. კაპიტალისტურ მეურნეობის ალაგმვა სოციალისტურ მეურნეობის ელემენტებით გაცილებით უფრო მძიმე და რთულ ამოცანას წარმოადგენს ვიდრე შემდეგ საფეხურებზე. რას ნიშნავს დაწინაურება სოციალიზმისაკენ ეკონომიკის ენაზე? ეს ნიშნავს სოციალისტურ ურთიერთობათა ხელახალ წარმოების გაფართოებას. რამდენადაც ვითარდება ეს პროცესი, იმდენად უფრო ადვილდება იგი. ესლა ისმება საკითხი, თუ ჩვენ ახალი ეკონომიურ პოლიტიკის პირველი ხუთი წლის განმავლობაში, ე. ი. ტექნიკურათ და კულ-

ტურულათ მაქსიმალურ ჩამორჩენილობის პირობებში, — უზრუნველყოფით სოციალისტურ ურთიერთობის გაფართოებულ ხელახალ წარმოების პროცესი, რაღა შეუშლის ხელს გარდა ინტერვენციისა იმ გარემოებას, რომ ჩვენს საბოლოოდ შევქმნათ ამ პროცესისათვის ისეთი პირობები როდესაც ჩვენი სოციალისტური საფუძველი უფრო მტკიცდება და ძლიერდება? ოპოზიცია შეეცადა ამ კითხვაზე მოენახა პასუხი, რომელიც გაამართლებდა მის „პორაფენცულ“ შეხედულებას. ეს პასუხი ჩამოაყალიბა აშხ. ტროცკიმ:

„აღდგენითი პერიოდის დასასრული იმავე დროს არის მსოფლიო მეურნეობასთან ჩვენი მატერიალურ ურთიერთობის დასაწყისი... ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია... ნიშნავს უახლოეს და საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდისათვის გარე სამყაროსთან ჩვენი ურთიერთობის არა შემცირებას, არამედ მის გაძლიერებას, რაც თავის მხრით ნიშნავს იმას, რომ თანდათანობით იზრდება ჩვენი დამოკიდებულება მსოფლიო ბაზართან, კაპიტალიზმთან, მის ტექნიკასთან და ეკონომიკასთან — რომ თანდათანობით იზრდება ჩვენი ბრძოლა მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება საკითხი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ დააცილო საკითხს თუ რა დაემართება, ამ ხნის განმავლობაში კაპიტალისტურ მეურნეობას. ეს ორი საკითხი ერთიმეორისაგან განუშორებელია“.

ემპირიულად ეს ორი საკითხი მართლაც დაკავშირებულია ერთმანეთთან (რაც სრულიად არ უარჰყოფს მათ თეორეტიკულ გამიჯვნას). მათი კავშირი აყენებს ჩვენს წინაშე ძირითად სამეურნეო ამოცანას, რომ ჩვენ მივალწიოთ სოციალისტურ მეურნეობის განვითარების ისეთ ტემპს, რომელიც უკან დასტოვებს მსოფლიო კაპიტალიზმსა ან ყველაზე უფრო ძლიერ კაპიტალისტურ სახელმწიფოების განვითარების ტემპს. ასეთი ამოცანა სდგას მუშათა სახელმწიფოს წინაშე, და ჯერჯერობით იგი სრულდება წარმატებით. აღდგენითი პერიოდი არსებითად დასრულებულია. მიუხედავად ამისა ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის განვითარების ტემპი მაღალი რჩება: 18—20% მიმდინარე სამეურნეო წლისათვის. მომავალ ხუთი წლისათვის კი — მეტად დაკვირვებულ და მინიმალურ გამოანგარიშების მიხედვით — განვითარების ტემპი თუმცა რამდენადმე შემცირდება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მაინც გაცილებით მაღალი იქნება ვიდრე რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში, ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებში. ჩვენი დამოკიდებულება მსოფლიო მეურნეობასთან იზრდება. ხოლო ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იზრდება ჩვენი დამოკიდებულება მსოფლიო მეურნეობისაგან, როგორც ამას სრულიად უსაფუძვლოდ ფიქრობს აშხ. ტროცკი. როგორც არ უნდა შეიცვალოს მსოფლიო მეურნეობასთან ჩვენი დამოკიდებულებისა და კავშირის ხარისხი, ემპირიულად უკვე დამტკიცებულია, რომ ჩვენი სოციალისტურ მეურნეობის განვითარების ტემპის გამო ჩვენ ძალგვიძს სულა სოციალუზმისაკენ. საწინააღმდეგო დაამტკიცა აშხ. ტროცკიმ? მას არც კი უცდია ამის დამტკიცება.

აშხ. ტროცკი დაგვეშუქრა, მხოლოდ, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი გაუწევს კონტროლს ჩვენს სოციალისტურ მეურნეობას, და რამდენადაც წაევალო წინ

ეს კონტროლი კიდევ უფრო გაძლიერდება. საიდან გამომდინარეობს ასეთი შეხედულება? არსაიდან, თუ კონტროლის ქვეშ ჩვენ ვიგულისხმებთ ჩვენ დამოკიდებულების ზრდას მსოფლიო კაპიტალიზმისაგან. ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური ზაცია ნიშნავს მსოფლიო ბაზრიდან დამოკიდებულების მოსპობას, თუნდაც ეკონომიურ კავშირის ზრდის პირობებში.

მაგრამ ამ შემთხვევაში, ისე, როგორც სხვა საკითხებშიაც ამხ. ტროცკის „რევოლუციონურ“ „შემარცხენე“ ფრაზის ქვეშ იფარება მისი ღრმა პესიმიზმი ჩვენი სოციალისტურ მშენებლობის პერსპექტივის დაფასების საკითხში და სრულებით დაუსაბუთებელი ოპტიმიზმი მსოფლიო კაპიტალიზმის მიმართ, რომლის მდგომარეობა არც ისე ბრწყინვალეა, როგორც ეს ეჩვენება ტროცკის. რა თქმა უნდა, მსოფლიო კაპიტალიზმი კიდევ ძლიერია იმდენად, რომ მას შეუძლია წაგვართვას ის, რაც მოიპოვა ჩვენმა პროლეტარიატმა, მას კიდევ შეუძლია ხელი შეუშალოს ჩვენ სოციალისტურ მშენებლობას. მაგრამ ამას შესძლებს ის მხოლოდ **ნტერვენციის საშუალებით**. ამას ჩვენი პარტია ყოველთვის აღიარებდა, და ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას უკავშირებს საერთაშორისო რევოლუციას.

სხვათა შორის, ამხ. ტროცკი 1925 წ.—იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ოპოზიციონური ბლოკი, ბროშურაში „სოციალიზმისაკენ თუ კაპიტალიზმისაკენ“ ამტკიცებდა, რომ მსოფლიო ბაზართან კავშირის საქმე არ წარმოადგენს დაუძლევ დაბრკოლებას ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ განვითარებისათვის.

ამჟამად ამხ. ტროცკის, რასაკვირველია, „დაავიწყდა“ ისე, როგორც ამხ. ზინოვიევი, ის, თუ როგორი დასკვნები გამოჰყავდა მას ლენინის ციტატებიდან მე-XIV პარტკონფერენციაზე. არაფერი არ არის იმაზე უფრო სამაგალითო, ვიდრე ოპოზიციის ბელადების ეს ქანაობა ერთი თვალსაზრიდან—მეორესაკენ, ერთი პლატფორმიდან მეორე, პირდაპირ საწინააღმდეგო პლატფორმისაკენ. ამ მერყეობაში და ქანაობაში, რომელიც თანდათან აშორებს ოპოზიციას ჩვენი პარტიის ლენინურ ხაზისაგან, ყველაზე უფრო მჟღავნდება მისი წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება. წვრილ-ბურჟუაზიული რევოლუციონერისათვის დამახასიათებელია—რწმენის დაკარგვა, მოქანცვა, სასოწარკვეთილება და ნებისყოფის უქონლობა—აი რაც გამოააშკარავა ოპოზიციამ კომანტერნის აღმასკოშის პლენუმზე. საკვირველი არ არის, რომ კომუნისტურ ინტერნაციონალმა ერთსულოვნად დაპყრო და უარჰყო ოპოზიციონური ბლოკის ანტილენინური გზა.

გიგლიოგრაფია



ქართული

წიგნი

ნეკოლო მიწიშვილი. „წმინდანიანი“ — წიგნი ლექსების.

სხვა და სხვა დროს დაწერილი ლექსებია აქ მოთავსებული. რიცხვით თერამეტრი. ერთ რამეზე ლაპარაკობენ, სჩივიან ისინი ნიკოლო მიწიშვილის — საშინელ ბედზე. არ არის არსად ნათელი; დღე მზე არ ანათებს, ღამე — იკარგებიან სადღაც მთვარე და ვარსკვლავნი. ათასი წლების წინ ასე იყო, ასე იქნება, დღესაც ასეა. რა ვართ, რისთვის ვართ, საიდან მოვდივართ, საით მივდივართ? ბნელითაა მოცული ყოველი — გველები, დამპალი ტვინი, გამხმარი თავის ქალა, კუბო, ნაწილებათ დაშლილი ადამიანი. ტკივილები, მწუხარება. არსაიდან ხსნა, არსით საშველი — ჩავარდნილა ამ ჯოჯოხეთში ნიკოლო მიწიშვილი და სჩივის: არა არ სჩივის — მოგვითხოვს მხოლოდ.

„ვილაც კაცი აწყობს ამ დროს
საქმეს გულ შემზარავს,
როგორც ძაღლი, შემპარავი
მიდის საფლავებთან.
და ვით გველი, არღვევს მიწას
სამახსოვრო ქვებთან.
და როდესაც არაბშიდა საქმეს
გაათავეებს
დააგროვებს ცაცხვის ძირას
მკვდრების დამხარ თავებს.
გადააპობს, როგორც ჯირკებს
ის, სულ წაწყვედილი,
გადაცუთილ თავის ქალებს,
ფრჩხილით დაწმენდილით.
ყოველ თავში გაგიჟებით
ურღვს ცოდვილ ხელსა,
საქმეს ჩადის ღვთისგან კრულსა
და არ გასამხელსა.
არღვევს თავებს. არჩევს ტვინებს.
ექებს დამპალ აზრებს.
წვალობს ღამით. ქრება დილით.
მზე მას ველარ ასწრებს.
ვარბის. შემდეგ სხვაგან ექებს.
ასე — ქვეყნით ქვეყნად.“

„მოგონილ ბალადას“ უწოდებს ამ ლექსს მიწიშვილი. არაეინ დაუჯეროთ.

თვითონ იგია ეს „ვილაც კაცი“ საქმეს რომ სჩადის, ღვთისგან კრულსა და არ გასამხელსა.

კრებული „წმინდანიანი“ სწორეთ რომ ნაყოფია მაწიშვილის ასეთი „მუშაობის“. ეს 18 ლექსი სხვა და სხვა სათაურებით მოყოლილი ამბებია იმის შესახებ, თუ როგორ —

„არღვევს თავებს. არჩევს ტვინებს.
ექებს დამპალ აზრებს.
წვალობს ღამით. ქრება დილით.
მზე მას ველარ ასწრებს.
ვარბის. შემდეგ სხვაგან ექებს.
ასე — ქვეყნით ქვეყნად.“

— პოეტი ნიკოლო მიწიშვილი.
არ ტირის მიწიშვილი. არ იცის მან რა არის ტირილი. მისმა თვალებმა არ იციან თუ რა არის ცრემლები. მშრალია და უსიცოცხლო მისი მწუხარება — ისევე, როგორც ის თავის ქალა, რომელიც გმირათ გამოდის თითქმის ყველა მის ლექსებში. „ძახთა-პირი“ ყავს მას ღმერთათ, — იმას ევედრება, როდესაც საჭიროთ დაინახავს. „ძახთა-პირია“ მისი წმინდანიანი.

„ვიწამე ხატი მე ძახთა-პირი,
სხვა წმინდანებში არა მაქვს ხელი.
ის არის ჩემი ფიქრის ნაპირი
და ჩემი ლოცვის ერთი სახელი.
სრულის ღირსებით ჩამჯდარი
ძაღლი,

ვით თანასწორი ხატებში — ხატი“.
და გასაგებია აქედან: „ძახთა-პირის“ მლოცველს — რა მოელის — კუბოს შემდეგაც:

„ო, მეგობრებო მომიტევეთ
შეცოდებანი,
დაბევილ სხეულს ვინ გაულებს
სამოთხის კარებს,
განსაზღვრულია წმინდანების
იქ წოდებანი
და პატიოსნად ცხონებულებს
ვინ მიმაკარებს“.

ლექსი „გამოთხოვება“ — რომლიდანაც

თი ხალისით, როგორც ებ. სინკლერის. ვიმეორებთ—ეს ბუნებრივია, ეს ასეც უნდა იყოს. მუშათა კლასის, პროლეტარიატის ნამდვილი მხატვარ-მწერალია ებ. სინკლერი. არა მარტო იმით, რომ იგი თავის ნაწერებში სიმართლით, სიყვარულით გვიხატავს მუშათა კლასს, გვაჩვენებს მის ჭირ-ვარაშს—არა მარტო ამით არის საყვარელი—მწერალი მუშათა კლასისთვის ებ. სინკლერი არამედ და უმთავრესათ იმით რომ, იგი მუშათა კლასს აჩვენებს დღის სინათლეზე—მის მტერს, მის მკვლევებს და ბატონს ბურჟუაზიას და, მოუწოდებს ბრძოლისაკენ ამ უკანასკნელის წინააღმდეგ. თითქმის ყველა ნაწერი ებ. სინკლერისა ასე თავდება. მუშათა კლასის ხსნა—არ იქნება მანამ, სანამ არ დაემხოება დღევანდელი წესწყობილება, სანამ არ მოისპობა ბურჟუაზიის საშინელი ბატონობა, ეს კი შეუძლიან მხოლოდ მუშათა კლასს. და ამიტომ აქეთკენ მოუწოდებს მას მწერალი. ებ. სინკლერი მწერალი—მკადამდეგელია. ამაშია მისი ძლიერი მხარე. არ კმაყოფილდება ის ობიექტიურათ მყურებლის როლით. არ კმაყოფილდება მარტო სინამდვილის მხატვრული დალაგებით. არა, იგი მეტბრძოლიც არის. დღევანდელი მდგომარეობა ასეთია—ამბობს იგი: ამის მოთმენა არ შეიძლება, გამოსავალიც აქეთაა—ეძახის პროლეტარიატს. ამიტომ წავიდეთ ამ გზით—ბურჟუაზია დავამხოთ; ახალი წესწყობილება შევქმნათ.... მხოლოდ ამაშია ჩვენი ხსნა—ასეთი დასკვნები აქვს თითქმის ყველა ცნობილ ნაწერებს ებ. სინკლერისას. ასეთია კერძოდ „სამუელ მაძიებელიც“ იგი არ ჩაითვლება პირველ ხარისხიან ნაწერათ ებ. სინკლერისა. არც მხატვრობის მხრივ, არც იდეური გაშლით. უფრო მხატვრულათ შესრულებული, უფრო იდეურათ დამაჯერებელი --რომ თანამედროვე წესწყობილება აუცილებელი დასანგრევია, შესაცვლელია—ნაწერები აქვს ებ. სინკლერს, ვიდრე ეს „სამუელ მაძიებელი“. მაგ: „მეფე ნახშირი“, (იყო ნათარგმნი „მნა-

თობის“ გასულ წლის ნომრებში.) „ფულები“, „ჯიმი ზიგინსი“ და სხვა. მიუხედავად ამისა—„სამუელ მაძიებელიც“ დიდი ხალისით და ინტერესით იკითხება. ეს რომანი—მსგავსი სხვების შესახებ, თუ როგორ მიიღო ამერიკულმა ბურჟუაზიულმა ქალაქმა—სოფლიდან გამოქცეული გლეხი—სამუელი. გულუბრყვილო და თითქმის არაფრის მკოდნეა ეს სამუელი. იგი პატივს სცემს პროფესორებს, ფაბრიკანტებს, მღვდლებს, საზოგადო მოღვაწეთ ქალაქის საქმიებს რომ განაგებენ. ესენი გონია მას—პატიოსნების და სათნოების განმახორციელებელი ამ ქვეყნათ, და რას ხედავს სინამდვილეში: მექრთამეობა, მოსყიდვა, ძარცვა-გლეჯა, გარყვნილება-გათახსირება მყფობს აქ. პროფესორი, რომელიც დიდ შრომას სწერს—„სოციალურ უზრუნველყოფის“ შესახებ, მშიერ სამუელს უჩვენებს—თავი მოიკლას, რადგან შალტუსის მიმდევარია იგი. ქალაქის თვით მართველობა მოსყიდულია კაპიტალისტების მიერ, რომლებიც რამოდენიმე ათას დოლარით თავის სასარგებლოთ ათამაშებენ მათ. მოსყიდულია ყველა გაზეთები—ისინი სწერენ მას, რაც მოუხდება მათ პატრონებს. ფაბრიკანტები ცურავენ გათახსირებაში.

ბოროტმოქმედება—თუ კი ამის ჩამდენი ფულიანია—იმალეა. ეკლესია ხელს უწყობს ყოველივე ამას. ამავე დროს სიმშვილით და სიცივით იხოცებიან მშრომელთა ოჯახები.—ხედავს ყოველივე ამას სამუელი—და იმ დასკვნამდე მიდის, რომ საჭიროა ბრძოლა. ის უახლოვდება სოციალისტურათ მოახროვნე პირებს და თითონაც ხდება სოციალისტი—რადგან მისთვის ეხლა ნათელია, რომ მხოლოდ სოციალიზმით შეიძლება არსებულ უსამართლობის მოსპობა. სამუელი აქტიურ მონაწილეობას იღებს საპროტესტოთ გამართულ მიტინგში... პოლიცია პროვაკაციულ ზომებს მიმართავს, რომ დაშალოს მიტინგი... პროვოკატორები აყალ-მაყალს ასტეხენ... იმართება ხელჩართული

ბრძოლა... თავგანთქილი სამუელი
ეცემა მიწაზე... მიტინგი იშლება. ამით
თავდება ეს რომანი. ყველა მუშე-

ბს და გლეხებს ურჩევდით მის
თხვას. ქართული თარგმანი საქართველოში
მოიკოტლებს.

ქართული
საქართველოში

გიორგი ქუჩიშვილი. „შრომის და ბრძოლის სიმღერები“—გამოცემა სახელგამის.

გიორგი ქუჩიშვილი სულით და ხორცით მუშაობდა იყო და არის საქართველოს მუშათა კლასთან. მისი ჭირ-ვარამი — არასდროს გამოკპარვია ქუჩიშვილს. „შრომის და ბრძოლის სიმღერები“ ურწმუნო თომებსაც (თუ კი ასეთები მოინახებიან) დააოწმუნებს ამაში. საქართველოში დღევანდლადის ვერც ერთი მწერალი-პოეტი ვერ დაიჩქმებს მუშათა კლასთან ისე ახლო დგომას, როგორც ქუჩიშვილი. ამ მხრივ მას პირველობას ვერავინ წაართმევს, ჯერ-ჯერობით მაინც. რასაკვირველია ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ქუჩიშვილი როგორც პოეტი მუშათა კლასისა — უნაკლოა. ან და ისეთ სიმადლებზე ავ და ის, რომ ქართულ პოეზიაში კორიფეებს აკაკის, ვაჟას ამოუდგავ ვერადით. რასაკვირველია ამა. არ არის სრულებითაც საკმაო იყო რომელიმე კლასის — ჭირ-ვარამის გამომბატვლი, მასთან იყო ყოველთვის, იცოდე მისი ყოველივე, სტილით და მხიარულებდე მისი ტკივილებით და ბედნიერებით — ყოველივე ეს სრულებითაც არ არის საკმაო. რომ შენ დიდი პოეტი გახდე. ქუჩიშვილი არ არის დიდი პოეტი, ამიტომ ვერ შეიქნა ის საქართველოს მუშათა კლასის მხატვარი მებაიოლტრე. — მან ვერ წოახერხა საქართველოში ის — რაც შესძლეს რუსეთში გორკიმ და ნაწილობრივ დემიან ბედნიმ. როგორც პოეტს ქუჩიშვილს აკლია ისეთი რამ, უომლისოდაც მებაიოლტრე ვერასოდეს ვერ გახდება. შენი კლასის ხვალისდელი დღის, მომავლის — მხატვრულად გახსკვრეტა — იეს უნარი აკლია მის მხატვრულ ნიჭს. ქუჩიშვილის ლექსები საუცხოესო და კოცხალი ისტორიაა ქართველი მუშის. მაგრამ ისტორიაა მხოლოდ თუ გინდ

დღევანდლისაც. გამარჯვებული თუ დამარცხებული. რევოლიუციაში, თუ რეაქციაში, მუშათა კლასი ყოველთვის ნახულობს თავის რიგებში პოეტ ქუჩიშვილს. ხშირად თვალცოემლიანია, ხშირად ტუჩებზე ღიმლი, ხშირად ბრაზმორეული, ხშირად ლმობიერი და მოსიყვარულე — ყოველივე ეს იაი-დამიხედეთ — თუ როგორ მდგომარეობაშია დღეს, ახლა მისი კლასი, მუშათა კლასი. მაგრამ როდესაც, სიჭირბოლოა დღევანდელ დღის იქით დაინახო ხვალისდელი დღე — მომავალში განსჭვრიტო შენი კლასის გზა და მხატვრული სურათებით იქით გაძღვე მას — ამ დროს ქუჩიშვილის ხმა ან სრულებით არ ისმის, ან და ძლიერ სუსტია იგი... რომ ვინმემ გაიგონოს, მით უმეტეს გაყვეს მას... დიდი მოთხვნილებაა ეს... მართალია, მაგრამ უამისოდ მუშათა კლასის დიდი პოეტი — მებაიოლტრე ვერ გახდება.

ქუჩიშვილი იმ ლიტერატურულ სკოლას ეკუთვნის — რომლის მამათმთავარია არა ევდომილი (უკანასკნელ ხანებამდის თავის მოღვაწეობისა) და რომლიდანაც გამოვიდნ: ვარლამ რუხაძე, ნოე ჩხაკაძე, ობოლი მუშა, ნოე ზომლეთელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნოე ჩხაკაძის შემდეგ — ამ სკოლაში პირველობა გიორგი ქუჩიშვილს ეკუთვნის თავისი პოეტური სიხალისით და ნიჭით. ძნელია ამოინახოს მეორე ისეთი გულწრფელი პოეტი — როგორც ქუჩიშვილი. ეს იმას ნიშნავს, რომ პოეტური საყლებე, ტყუილი მან არ იცის არ იცინის განგებ მაშინ, როდესაც ეტირება. და არ რირის, როცა ეციაება. ხშირად ლალატობს მას ლექსის ტექნიკა, მისი პოეზიის გორა — ხშირად, ძალიან ხშირად — ყო-

ველგვარ „პოეტოკის“ კრიტიკის გარე-
შე სდგას—მაგრამ ვერასოდეს ვერ შე-
ხვდებით მის ლექსებში — თუ გინდ
ცოდა ფორმითაც გადმოცემულში,
უგულწრფელო, არა მართალ, ყალბ
ადგილებს. — მგრძნობიერება, ურომ-

ლისოდაც პოეზია არ არსებობს — არა-
სოდეს არ ლალატობს ქუჩიშვილს.
ამიტომ უყვართ ასე ქართველ მუსებს
ქუჩიშვილის ლექსები და იყვით ქუჩი-
შვილი.

— 3.

**როგორ არ უნდა იწერებოდეს ინტელიგენციის ისტორია — ამხ. ს. ხუნდაძის,
„ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე 19 საუკუნეში“ გამოხვლის გამო.**

ქართული უახლოესი ხანის საზოგა-
დოებრივი მოძრაობის ისტორია თით-
ქმის საფეხებით შეუსწავლელი და დაუ-
ბუშაფებელია, თუ მხედველობაში არ მი-
ვიღებთ ზოგიერთ პუბლიცისტურ ნა-
წერებს სხვადასხვა დროის სხვადასხვა
ჟურნალ გაზეთებში გაფანტულს.

ჩვენნი მრავლად იქნებოდა „ისტო-
რიკა“, მაგრამ ამ „ისტორიებში“ ერთ
გარკვეულ მსოფლმხედველობას და მისი
მიხედვით ამა თუ იმ საზოგადოებრივ
მოვლენებისა და ისტორიულ ამბების
სათანადო დაფასებას არ აქვს ადგილი.

ჩვენ ისტორიაში არ სჩანს კლასი,
კლასიური ინტერესები, კლასთა ურთი-
ერთობა, მათი თანდათანობრივი გან-
ვითარება, კლასთა ბრძოლა და სხვა.
ჩვენა ურა ისტორიკოსებს და საზოგა-
დოებრივი ცხოვრების მკვლევართ ქარ-
თველი ერთ მთლიან განუყოველ სხეუ-
ლად აქვთ წარმოდგენილი. იმათგან
უკეთესნი ჩვენს ერში ჯგუფებსა და
დასებს ხედავენ, მაგრამ როდესაც საქ-
მე ეროვნულ საკითხსა და ეროვნულ
გოდნებას გამოჩენაზე მიდგება, მაშინ
იქ ამ დაყოფასაც სპობენ.

ამხ. სიმ. ხუნდაძეს განუზრახავს ჩვე-
ნი ისტორიის ამ ნაკლის შევსება. უხ-
დაითქვას, რომ განზრახვა დიდათ და დი-
დათ სიმბატურია და არ შეიძლება,
მას სიამოვნებით არ მიეგებო, მაგრამ
სამწუხაროდ ამ განზრახვიდან ბევრი
არაფერი გვრჩება და მისი ისტორია
დიდათ არ განსხვავდება დაწერილ „ის-
ტორიებისაგან“. ცხადია, მე 19 საუ-
კუნის ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაო-
ბის ისტორიის დაწერა ერთობ რთუ-
ლი და ძნელი საქმეა, თუ არ მივიღებთ

მხედველობაში ამხ. ფ. მახარაძის ზო-
გიერთ ნაწყვეტ ნაშრომებს ამ მხრივ
არც ცდას ჰქონია ადგილი.

ჩვენის აზრით წიგნის სახელწოდება
„ქართველი ინტელიგენციის პროფილი
მე 19 საუკუნეში“ არ არის საფასებით
სწორი და ვერ გამოხატავს იმ შინაარსს,
რომლის მოთავესება ავტორს სურდა
ხსენებულ წიგნში. წიგნის სახელწოდე-
ბა მოითხოვდა ინტელიგენციის კლასი-
ურ დახასიათებას, ქართველი ინტელი-
გენციის კლასებად დაყოფას, მისი სო-
ციალური ბუნების გამოაშკარაებას.
ავტორი კი, ყოველივე ამას გვერდს
უვლის და ინტელიგენციაზე მსჯელობს,
როგორც ერთ მთლიან კლასებსა და
წოდებებზე მალლა მდგომ სხეულზე,
რაც არ არის სწორი. ყოველ კლასს
თუ წოდებას თავისი მოწინავე ხალხი,
თავისი ინტელიგენცია ჰყავს და საერ-
თოდ უკლასოდა უწოდებო ინტელიგე-
ნციაზე მსჯელობა, ეს იდეალისტ ესერ
ივანე რაზ მნიკას საქმეა და არა მა-
რქსისტ მკვლევარის.

ამხ. სიმ. ხუნდაძის ამ პატარა ნაშ-
რომში დაყენებულია მრავალი უდიდესი
ნაშენელობის საკითხი, როგორი-
ცაა: რუსეთის შემოსვლის მნიშვნელო-
ბა, კახეთისა, მთიულეთის და იმერე-
თის აჯანყებათა სოციალური შინაარ-
სი, მე 22 წლების აჯანყების საფუძვლე-
ბის გამორკვევა, მე 30 წლების ქართ-
ველ ინტელიგენციაში მომხდარი გარ-
დატეხა, მე 60 წლების საზოგადო მო-
ღე წეთა შეფასება, ნაროდნიკული მი-
მარსულება, მარქსიზმის დამკვიდრება
და სხვა მრავალი. მართალია, ავტო-
რის შრომა კონსპექტიურია და ის ამ

საკითხებს გაკვრით აყენებს, მაგრამ ასე ზერელეთ და ერთი კალმის მოსმით ასეთი რთულ საკითხების გადაწყვეტა მაინც დაუშვებელია.

რუსეთის შემოსვლა ჩვენში

დავიწყოთ პირველი საკითხიდან. ესაა რუსეთის შემოსვლის მნიშვნელობა. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხს არა ერთი და ორი მკვლევარი შეხებია, ყველას ის თავისებურად გადაუწყვეტია, მაგრამ ერთ სიმართლეს ყველანი აღიარებენ. ის ქვეშარბიტება ყველას მიერ აღიარებულია, რომ რუსეთის შემოსვლამ შეასუსტა საქართველოს ფეოდალიზმი და გზა გაუკაფა საქალაქო ცხოვრებას. უთანხმოება და აზრთა სხვადასხვაობა ამის შემდეგ იწყება. რუსეთის შემოსვლის შემდეგ როგორ წარიმართა ქართველი გლეხის ბრძოლა და როგორ დააფასა ეს მოვლენა ქართველმა ხალხმა. ამ საკითხს ყველა თავისებურად უდგება. მაგალითად არჩილ ჯორჯაძეს სურს ეროვნული მომენტი მაღლა დააყენოს კლასიურზე და ქართველი ხალხის კლასიური ბრძოლა მიჩქმალოს ეროვნული მომენტით. უდაოა, რომ ქართველი ხალხის ბრძოლა და წინაღობა ხელისუფლებასთან რუსეთის შემოსვლამდეც იყო და რუსეთის შემოსვლის შემდეგაც არ შეწყვეტილა, მაგრამ, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, ქართველი ხალხი იბრძოდა თავისი კლასიური ინტერესებისათვის (შეიძლება მას ამის შეგნება და გათვალისწინება მაშინ არც შეეძლო) და მას თუ სძულდა რუსთა თვითნებობა და მექრთამე ჩინოვნიკები, არა ნაკლებ სძულდა მისი სისხლის მწოველი ქართველი თავადაზნაურობაც.

ამიტომაც, ჩვენის აზრით, არ შეიძლება ითქვას, რომ „რუსეთის სახელმწიფოებრივი სისტემა მძიმე უღლად დააწვა ქართველ ხალხს და იგი უბრძოლველად არ მიუღია მასო“, როგორც ამბობს ამბ. სიმ. ხუნდაძე თავის ნაშრომში. ეს რომ ასე არ არის, ამას თვით ავტორი ამტკიცებს მის მიერ

მოყვანილ ფაქტებითა და დებულებებით ცოტა უფრო ზევით და ცოტა უფრო ქვევითაც. ის სხვა ადგილას ჩვენს ნაშრომში გარკვევით აღიარებს: „ჩვენს ქვეყნის საქართველოში შემოქრით იწყება ჩვენი გაქალაქების, განვითარების, მუდმივი შეუჩერებელი წინსვლულობის და კულტურული ამაღლების ხანაო. მეორე ადგილას აღნიშნავს, რომ რუსეთის შემოსვლამ ჩვენში დიდი სარგებლობა მოიტანა, აღმოფხვრა ფეოდალიზმი და ერს დიდი საშუალება მისცა გაერთიანებისთვის და მშვიდობიანი ხიდაგი შექმნა კულტურულ და ეკონომიურ შემოქმედებისათვისო.

მაშ რისთვის იბრძოდა ქართველი ხალხი, ვის ებრძოდა და რა მიზანს ისახავდა ის ამ ბრძოლაში?

ამ კითხვაზე პასუხს მკითხველი რამდენიმედ ზემოდ იპოვის, მაგრამ სანამ მის შესახებ არსებითად რამეს ვიტყვოდეთ, უნდა აღვნიშნოთ ერთი გაუგებრობა. რუსეთის სახელმწიფოებრივი სისტემა უბრძოლველად არ მიუღია ქართველ ერსო. ეს არ არის ასეთი რთული მოვლენის მარქსისტისთვის მისაღები ინტერპრეტაცია. ეს დებულება, რომ ხალხის და თავადაზნაურობის ინტერესები ერთმანეთზეა გადაბმული, არ გამოხატავს სინამდვილეს. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი საქართველოში შემოვიდა არა ბრძოლით, არამედ თვით ქართველ შეფეთა მრავალი წლების თხოვნის შემდეგ და რუსეთის შემოსვლის შემდეგ, თუ მის ისევ უკანვე გასარეკად აღიმართა ბრძოლა, ეს უკვე სხვა საქმეა, აქ ბრძოლა შემოსვლის შემდეგ მოხდა და ამიტომ უნდა ითქვას, უბრძოლველად შემოსვლა კი არა, დამკვიდრება არ მოამხდარაო, მაგრამ ამ ბრძოლაში მთელი ქართველი ხალხის გახვევა ობიექტიურ მკვლევარისათვის ყოველად დაუშვებელი და შეუწყნარებელია. შემოსვლის შემდეგ მას ებრძოდა, როგორც სისტემას მხოლოდ და მხოლოდ თავადაზნაურობა და ხალხის ბრძოლა კი სრულებით არ ყოფილა ეროვნული ბრძოლა მიმართული რუსული



სისტემის წინააღმდეგ. ხალხი რუსეთის ბიუროკრატიას 1905 წელსაც ებრძოდა, არა როგორც ეროვნულს, არამედ როგორც კლასიურ მტერს.

მთიულეთისა და კახეთის აჯანყებები, განსაკუთრებით მთიულეთისა ჩვენის აზრით არ შეიძლება სავსებით გლახურ რევოლუციებთან მოვინათლოთ, როგორც ამას ავტორი სწადის. ფრონელის ნაწერებიც კი ავტორის წინააღმდეგ ლაპარაკობს. როგორც პირველი (განსაკუთრებით ანტი-სოციალისტური) აჯანყების

მეთაურობდნენ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილები (იულონი, ალექსანდრე, იხ. მათი წერილები) და მისი მიზანი იყო, არა გლახთა განთავისუფლება, არამედ საქართველოს ფეოდალური ხელისუფლების აღდგენა. ამ აჯანყებების გამარჯვებით დაგვირგვინება ნიშნავდა საქართველოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების ისევ ძველ კალაპოტში მოქცევას, ჩვენი შეუჩერებელი მუდმივი წინმსვლულობის დაშლას და საერთოდ გლახთა მდგომარეობის გაუზარესებას თავადაზნაურთა უფლებების გაფართოვებით, თუმცა ავტორი თავის ნაშრომის ბოლოს თვითვე უარყოფს ამ აჯანყებათა გლახურ რევოლუციების მიზანს, როდესაც ამბობს: ეს იყო არისტოკრატების ერთი ნაწილის ხმაღზე ხელის გახობაო (გვ. 38 ხაზი ჩვენი — ვ. ა — ი.)

ასეთი აზრთა წინააღმდეგობა, რაც ამ პატარა ნაშრომში ერთობ მრავლადაა, ავტორს იმიტომ მოსდის, რომ ის საკითხს გარკვეულად არ აყენებს და გარკვეულად არ სწყვეტს და ამასთანავე საკითხის დაყენება გადაწყვეტაში ეყრდნობა ისეთ წყაროებს, რომელთაც მარქსისტ მკვლევარისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, არ. ჯორჯაძის საბუთებით და არგუმენტაციით ძნელია რუსეთის შემოსვლის მნიშვნელობის დაფასება მარქსისტ მკვლევარისათვის.

ამას გარდა, ავტორი ზოგიერთ ადგილას, რუსეთის შემოსვლის პირველ ხანებში თავის უპირატესობის და ძალა

უფლებებისათვის მეტძოლ თავადაზნაურობას რუსეთის ფრანკონიზაციას (თითო-ოროლა თავადმამულისა და მკვლელების მიხედვით) და რუსეთის წინააღმდეგ მეტძოლ ძალებათ მხოლოდ და მხოლოდ გლახობა გამოჰყავს, ეს დებულება არც ერთის მხრივ არ არის სწორი, რომ ვითომდა რუსეთის შემოსვლით თავადაზნაურობამ დაჰკარგა პოლიტიკური ხელისუფლება, ეკონომიური პრივილეგიები, ვითომდა თავადების განსაკუთრებული პოლიტიკური პოზიციები და თავადაზნაურობა მესუსტდა და თავადაზნაურობა ფრონტში იდგა და გლახობა ებრძოდა კიდევ? ეს იმას ნიშნავს, რომ ამტკიცოთ თავადაზნაურობა მუშების მხარეზე იყო და მუშები თავადაზნაურებისაზეო. არაა გასაკვირი როდესაც ამას ჯორჯაძე ამტკიცებდა, მაგრამ ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რა უნდა სთქვას ამით ამხ. ხუნდაძემ.

გავლენის საკითხი.

მეორე მოსაზრება, რომელშიაც შეიძლება ავტორს არ დაეთანხმოთ — ესაა რუსეთის გავლენა საქართველოზე.

მე 19 საუკუნეში საქართველოს ცხოვრებაზე ქობდა თუ არა სხვა სახელმწიფოს დამოუკიდებელი გავლენა, გარდა რუსეთისა?

ჩვენ ამ საკითხისადმი დავინახეთ ხსენებულ ნაშრომში ავტორის არა სერიოზული მიდგომა და მისი ზერელად გადაწყვეტა. გავლენის საკითხი არაა მარტო პოლიტიკური საკითხი მართლთა და მბრძანებელთა პლატონიურ ნება-სურვილებზე დამოკიდებული, არამედ ის უფრო ეკონომიური საკითხია. მარქსისტი მკვლევარი გავლენის საკითხს უმკველად ეკონომიკასთან უნდა აკავშირებდეს. პოლიტიკური გავლენის ასეთი ეკონომიური დასაბუთება ვერ დავინახეთ ამხ. ხუნდაძის ნაშრომში. ყოველ შემთხვევაში ასეთი დასაბუთებისათვის ივ. ჯავახიშვილის უბრალო დამოწმება, სათანადო მასალების მოუცემლად — გამოუსადეგია...

ავტორი ხშირად ახსენებს ევროპის

გავლენას, ზოგჯერ დამოუკიდებელ გავლენის გაგებითაც, ვფიქრობთ ეს არ არის სავსებით სწორი. ჩვენ ცხოვრებაზე ევროპის გავლენა იმდენად იყო, რამდენად რუსეთს ჰქონდა ევროპის კულტურა შეთვისებული და რამდენადაც რუსეთი იყო გაევროპიებული. ჩვენ ევროპასთან მე 19 საუკუნეში არც ეკონომიური და არც კულტურული ურთიერთობა ისეთი ხასიათისა არ გვქონია, რომ დამოუკიდებელ გავლენაზე შეიძლებოდეს ლაპარაკი.

რუსეთის ჩვენს ცხოვრებაზე გავლენაც მარტო რუსეთის ჩვენდამი კოლონიალური პოლიტიკით არ აიხსნება, რუსეთთან ჩვენ ეკონომიური ინტერესები გვაერთიანებდა და გვაერთიანებს, და რუსეთის ჩვენს ცხოვრებაზე გავლენას უეტველია ეკონომიური საფუძვლები ქონდა. საქართველოს ლეონო, მატყლი და ბამბა, და რუსეთის პური და ფბრთალი საქართველოს და რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების ურთიერთობაში იყო გავლენის ატრიბუტები.

არც პოეზიაზე გავლენა შეიძლება ეკონომიურ დასაბუთების გარეშე. ჩვენ თანამედროვე მწერალს, უცხოეთის მწერლის გავლენა მხოლოდ სტილზე, გარეგნობაზე დაქტყობა, თუ ეს მწერალი ისეთი ქვეყნის შვილია, რომელ ქვეყანასაც ჩვენს ცხოვრებასთან არაფერი აქვს სავსებით. ჩვენი მწერლების რუსეთის მწერალთა გავლენის ქვეშ ყოფნა ორივე ქვეყნის ერთ და იგივე ეკონომიურ ცხოვრების ფუძითაა გამაგრებული. მაგალითად ილია ჭავჭავაძე გოგოლს ვერ მიბაძაუდა, რომ ჩვენშიაც ბატონყმობის საშინელებას ადგილი არ ჰქონოდა.

ავტორი, როდესაც ჩვენს ლიტერატურაზე ევროპის გავლენას ამტკიცებს, მსჯელობს ზეპირად და არავითარ ფაქტიურ დასაბუთებას არ იძლევა. ასე, ყოველგვარი გავლენის დამტკიცებაც და უარყოფაც ადვილია. შეიძლება ავტორს ჰგონია, ჩვენს ძველ ლიტერატურაზე სპარსეთისა და ოსმალეთის გავლენა, ჩვენ მწერალთა პლატონიური

სურვილი იყო და მას ეკონომიური გამართლება არ ჰქონდა? ჩვენის ფიქრით, ავტორი ასე ვერ იფიქრებდა.

1832 წ. აჯანყება და ინტელიგენციაში გარდატეხა

ავტორი სავსებით სწორად არ უდგება 1832 წ. აჯანყების დაფასებას და ინტელიგენციაში მომხდარ გარდატეხას. დაუგდოთ ყური, თუ როგორ იოლად, როგორც იტყვიან, „ერთი ხელის მოსმით“ სწყვეტს ეს ამ რთულ საკითხს:

...პირველ ხანებში არისტოკრატის ერთი ნაწილი არ შეურიგდა ახალ წესებს და ხმაზე გაიელო ხელი. მაგრამ ეს პოლიტიკა სასტიკად დამარცხდა უკვე 1812 წელს. ხელო მისი უკანასკნელი ცდა იყო, 1832 წ. აჯანყების გეგმა, რომელიც სრულიად განადგურდა. ამ შეთქმულებაში მონაწილეობას ღებულობდა მაშინდელი ქართველ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი (დოდაშვილი, ორბელიანი, ჭავჭავაძე, ყიფიანი, ერისთავი და სხვა) ბატონიშვილების ხელმძღვანელობით. შეთქმულება დამარცხდა და ქართველ ლეგიტიმისტთა ოცნება საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის შესახებ თან წაიღო სამუდამოდ. 1832 წ. შეთქმულების ლიკვიდაციით ძირითადი უკანასკნელი გარდატეხა მოხდა საქართველოს თავადაზნაურობასა და ინტელიგენციაში. რუსეთის მთავრობასა და თავად. აზნაურობას შორის შეთანხმების ხიდი გაიღო, უკანასკნელმა ქედი მოიხარა პირველის წინაშე. (ნაციონალისტური პათასი) ამით, დაიწყო მეორე ხანა ქართველ თავადაზნაურობასა და ინტელიგენციის ცხოვრებაში.

ეს როგორდაც წააგავს ჯორჯაძე—კოტეტიშვილების ისტორიას, ზოგჯერ არა მარტო ამბავთა მოთხრობის სისტემით, არამედ წერის პათოსითაც. მე-32 წლების აჯანყება ეილაც ინტელიგენციას მოუხდენია, გარეშე წოდებრივ კლასიურ ინტერესისა და ინტელიგენცია ავტორს წარმოუდგენია ზეკლასიურ და ზეწოდებრივ კასტად თავისი განსაკუთ-

რებული პროგრამით. ჩვენის აზრით 1832 წ. ებრძოდა ფეოდალიზმი და აბსოლიუტიზმი ერთმანეთს. ფეოდალიზმის წარმომადგენელი იყო ქართველი თავადაზნაურობა და აბსოლიუტიზმის რუსეთის ბიუროკრატიზმი. მარქსისტ მკვლევარმა, როდესაც ასეთ მოვლენებს არკვევს, უეჭველად უნდა აღნიშნოს მოვლენის მისი სოციალური ბუნება.

კიდევ უფრო საყურადღებოა ინტელიგენციაში მომხდარი გარდატეხის ახსნა და დაფასება. გარდატეხის წლის დათარიღებაში ავტორი იმეორებს სერგი მაკალათიას ზეპირად წამოსრულილ თარიღს (იხ. „საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების ისტორია“). ამას გარდა ავტორს უნდა მოეხსენებოდეს, გარდატეხა ამა თუ იმ კლასსა და წოდებაში ასე ზეციდან ჩამოვარდნილი მიზეზით არ ხდება. გარდატეხის ასახსნელად მარქსისტ მკვლევარისათვის მართო აჯანყებაში დამარცხება არ უნდა იყვეს საკმაო. გამარჯვება-დამარცხება ზოგჯერ მდგომარეობას ამწვავებს და არა საკითხს სწყვეტს, როგორც ეს ამ შემთხვევაში ავტორს მიაჩნია. ჩვენი ავტორისათვის უფრო შესაფერისი იქნებოდა ეს გარდატეხა დაეკავშირებია, გარდატეხილთა ეკონომიურ მდგომარეობასთან და ორივე ძალის ინტერესთა ერთი და იგივეობით აეხსნა.

ვინ ვის იყენებს

ამხ. ს. ხუნდაძის ეს პატარა ნაშრომი ავსებულა სხვადასხვა მწერალთა და უმთავრესად მოწინააღმდეგე ბანაკის მწერალთა ნაწერებიდან ამონაწერებით. ამ შემთხვევაში ავტორი არაფითარ ზომას არ იცავს, რისთვისაც ზოგჯერ წინაღმდეგ მიზანს აღწევს. მე მესმის როდესაც ავტორი ეკამათება ჯორჯაძეს, მაიაშვილს, სერ. მესხს, გ. ლასხიშვილს და სხვებს, და მოყავს მათი წერილებიდან ამონაწერები, მაგრამ მე არ მესმის როდესაც ავტორი მარქსისტულ დებულების დასაბუთებისათვის, მიმართავს მარქსიზმის მოწინააღმდეგეთა ნაწერებიდან ციტატებს.

ამას გარდა ხშირად ავტორს მოყავს მოწინააღმდეგის იდეალისტური შეხედულება, მარქსისტული დებულების დასამტკიცებლად. *სამტკიცებლად.* **სამტკიცებლად.** მაგალითად მოყვანილია სერ. მესხის შემდეგი იდეალისტური აზრები ჩვენში სამოქალაქო ცხოვრების დაწყების დასამტკიცებლად:

„ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენმა ხალხმა ცოტ-ცოტათი დაიწყო თავის ცხოვრების წესებისა და ხასიათის მიტოვება და ახალ თანამედროვე ცხოვრებას შეუდგა. ეს ის დრო იყო როდესაც განათლებული ახალგაზრდა ქართველები გაჩნდნენ ჩვენში, რომელთაც ცოტა არ იყვეს შეანძრიეს, თითქოს გაქვავებული და დამეავეებული ჩვენი ცხოვრება“.

ავტორს მოყავს სრულიად უკომენტარიოდ ეს ციტატა, რაიც დაუშვებელია. სერგი მესხის მტკიცება, რომ განათლებულმა ხალხმა „შეანძრია გაქვავებული და დამეავეებული ჩვენი ცხოვრება“ არა მარქსისტული მტკიცებაა, და ამხ. სიმ. ხუნდაძეს კარგად მოეხსენება, რომ აქ განათლებული ხალხი ვერაფერს გვეუბნება, ამით არ შეიძლება ამ მოვლენის ახსნა.

ვფიქრობთ ავტორის შრომა ბევრს მოიგებდა, რომ ჯორჯაძე, მესხი, მაიაშვილების და ლასხიშვილების ამონაწერების ნაცვლად ნინოშვილ, მახარაძე, წულუკიძის ამონაწერები ყოფილიყო.

მე 60 წლების მოღვაწეთა დაფასება

ვერ დავეთანხმებით ამხ. ს. ხუნდაძეს ვერც მესამოცე წლების მოღვაწეთა დაფასებაში. დავიწყეთ მამათა და შეილთა ცნობილ უთანხმოებით, რაც ურთიერთ შორის ლექსებით მიმართვაში გამოიხატა. ავტორს ამ უთანხმოების შინაარსი ძალიან გაზვიადებულად აქვს აწერილი. ის ამბობს: „ეს არის არა ორ თაობათა ბრძოლა, არამედ ორი სხვადასხვა ფენისაო“. ჩვენის აზრით ეს სიმართლეს არ შეეფერება. ეს მოვლენა ტყუილად არ ატარებს მამათა და შეილთა ბრძოლის სახელწოდებას. ის

მართლაც ერთი სოციალური ოჯახის თავადაზნაურობის მამათა და შვილთა ბრძოლა იყო. აქ არავითარ სოციალურ სხვადასხვა ფენებზე ლაპარაკი არ შეიძლება: ყოველ შემთხვევაში ჩვენ არა გვაქვს საბუთი ამხ. ს. ხუნდაძის წიგნის მიხედვით სხვანაირად ვიფიქროთ. ავტორს თუ სურდა წინააღმდეგის დამტკიცება, მაშინ უნდა მოეყვანა შვილთა განსხვავებული სოციალური პროგრამა. რამდენადაც ვიცით „შვილებს“ ასეთი რამ არ გააჩნდათ. იმათ დავა სარწმუნოებასა და წერის სტილზე უფრო ჰქონდათ. ეს დავა უფრო ლიტერატურული იყო, ვიდრე პოლიტიკური, რადგან შვილები და მამები ორივე ერთნაირად წოდებრივ ნიადაგზე იდგნენ.

რაც შეეხება შვილთა თაობას, მას უსაფუძვლოდ მიაწერს ავტორი წვრილ ბურჟუაზიულ აპოლოგეტობას. აქაც ამხ. ხუნდაძე ზეპირი თქმით კმაყოფილდება და ამის დამადასტურებელ საბუთების მოყვანით თავს არ იწუხებს. როგორ შეიძლება შევათანხმოდ „შვილთა თაობა“ ილია და აკაკი და საეაქრო კაპიტალის მებაირალტრობა?

ილია და სხვები თავადაზნაურობის აპოლოგეტებად ბოლომდე დარჩნენ. ნათი მოღვაწეობა წოდებრიულ დაწესებულებების გარშემო ტრიალებდა. ნუ თუ ავტორს არ მოეხსენება, რომ შესაძლოა წლების მოღვაწეებში ყველაზე უფრო მემარცხენე და მის მიერ სოციალისტად მონათლული ნ. ნიკოლაძე თავადაზნაურობის ფეხზე დაყენების პროექტს სწერდა.

ავტორი ილიას მხატვრულ შემოქმედებაში ხედავს ბურჟუაზიულ რადიკალიზმს. ვფიქრობთ არც ეს არის მართალი. ილიას მხატვრულ შემოქმედებას ბურჟუაზიულ რადიკალიზმის არაფერი სცხია. არც „კაცია ადამიანი“, არც „გლახის ნაამბობი“ და თუნდაც არც „აჩრდილი“ წოდებრიობის უარყოფი ნაწარმოებთ ვერ ჩაითვლება. „კაცია ადამიანს“ მშვენივრათ ახასიათებს თვით ავტორის მიერ წამდღვარებული

ეპიტეტი: „მოყვარეს პირში უძრავი ილიას შრომის სუფევა, სხვის დაუგრავედ უნდა დამყარებულს“ „მგელსა და ცხვარსს“ ეძოვა“, ე. ი. თავადაზნაურობის ძირს დაუცემლად სოციალიზმის დამყარება და დამყარებულ სოციალიზმში თავადის თავადადდ არჩენა და გლეხისა—გლეხად. ილიას პუშკინიზმი, რადიკალიზმი და ლიბერალიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ თავადსა და გლეხს შორის ადამიანური დამოკიდებულება ყოფილიყო და არა ბრძოლა და არა დაუნდობლობა, შუღლი. სხვა ნაწარმოებშიაც ილია ჩატეხილ ხიდის გამთელებაზე ზრუნავს და არა წოდებრიობის მოსპობაზე. ილიას პუბლიცისტიკა ამის მტკიცების უფლებას არ გვაძლევს.

ვფიქრობთ, არ შეიძლება ილიას მოღვაწეობის არც ამდენ პერიოდებათ დაყოფვა და არც პერიოდებს შორის ისეთი განსხვავების დანახვა, როგორც ამას ავტორი სჩადის. ილია საკმაოდ გამორკვეული ფიგურა იყო ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელიც დავას არ უნდა იწვევდეს.

ავტორი ნ. ნიკოლაძეს ხშირად ახსენებს სოციალისტად, სოციალისტურ გავლენის ქვეშ მყოფად, მაგრამ თვით ავტორის მიერ მრავალ ადგილას მოყვანილი ციტატები ბევრ ვერაფერს გვეუბნება ნიკო ნიკოლაძის სოციალისტობაზე.

ნაროდნიკული მიმართულებაც ამხ. სინ. ხუნდაძის ნაშრომში ერთობ გაზვიადებულია. აქ ამ მოძრაობას „გასტროლების“ ხასიათი უფრო ჰქონდა. ადგილობრივი ნაროდნიკული მოძრაობა ლეგალურ ლიტერატურულ ფარგლებს არ გასცილებია, თუმცა არც „გასტროლიორებს“ მოუხდენიათ რევოლუციონური აქტები ჩვენში.

მარქსიზმი ჩვენში

ავტორს ძალიან უყვარს ერთი მიზეზის სამ მიზეზად გაყოფა. ავტორი მარქსიზმის აღმოცენებას 124 გვერდიან წიგნიდან, სულ 4 გვერდს უძღვნის და



ამ ოთხ გვერდშიაც — ერთობ გულუხვობას იჩენს მრავალ სიტყვაობით. მაგალითად ავტორი ამბობს:

მარქსიზმის აღმოცენებას და განვითარებას ხელი შეუწყო სამნა გარემოებამ: 1. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ ჩვენში და ახალი სოციალური კლასის — პროლეტარიატის წარმოშობამ. 2. ძველი სოციალისტური მიმდინარეობის საბოლოო გაკოტრებამ. 3 რუსეთის მარქსისტულ მინდინარეობის გავლენამ.

აქ არსებითად ერთი მიზეზია და არა სამი. მარქსიზმიც ამ მიზეზით არის წარმოშობილი. ესაა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და პროლეტარიატის წარმოშობა. დანარჩენი ორი სახსენებელი არაა. პროლეტარიატი წარმოიშვა, ვაჭრობა-მრეწველობა განვითარდა, სამრეწველო პროლეტარიატის იდეოლოგია შეიქმნა ეს თავის თავად გულისხმობდა ხალხოსნობის გაკოტრებას. ხალხოსნობის გაკოტრება მიზეზი კი არაა, არამედ, ასე ვსთქვათ შედეგია. ასევეა რუსეთის მარქსიზმის გავლენაც. ჩვენში რომ პროლეტარიატი არ წარმოშობილიყო, მარქსიზმი ვერაფრით გავლენით ვერ შეიქმნებოდა.

ჩვენში მარქსიზმის დამკვიდრების ისტორიის არც ასე ხერხელედ დაწერა შეიძლება. აგრეთვე ამ ისტორიის დამწერი გვერდს ვერ შეუღლის ჯიბლაძე — ჯორდანიას და ვერც ნინოშვილ წულუკიძეს და მრავალ სხვებს.

მენშევიზმი

ავტორი მენშევიზმის გახრწნის პერიოდს 1923 წლიდან იწყებს, ლოლიკური იქნებოდა, რომ თებერვლის რევოლუციიდან მაინც დაეწყო ავტორს მენშევიზმის გახრწნის დასაბუთება,

როდესაც მენშევიზმი ბურჟუაზიის ბანაკში აშკარად გადაბარვდა. მანამდე მუშის გამოსვლა, მანამდე მანამდე დაარსება და შემდგომ სწრაფად გაუფის გაჩენა ნუ თუ არ შეიძლება ჩაითვალოს მენშევიზმის გახრწნის საუკეთესო დამახასიათებლად.

„რევოლუციამდე მენშევიზმი ყველა პოლიტიკურ პარტიებზე მარცხნივ იდგა“-ო. ავტორი წინა გვერდებზე იმას ამტკიცებდა, რომ ეს ასე არ იყო. მაგრამ ამით თითქოს ისიც გამოდის, რომ მენშევიკები ბოლშევიკებზე მარცხნივ იდგნენო. არა, ანაჲ ჩვენ ავტორს ვერ შევწამებთ. მაგრამ უფრო გარკვევით უნდა ილაპარაკოს, თორემ შებრუნებულად გაიგებენ.

ავტორი მენშევიზმის სიძლიერეს ერთობ ხერხელეთ ხსნის. ისინი ნილაბს იფარებდნენო და როდესაც პროგრამის გარდა მოქმედებაც გამოაჩინეს, აქ მაინც ნილაბი გადაძვროს. გამოდის თითქოს, რომ რევოლუციამდე მენშევიზმს მარტო პროგრამა ჰქონდა და მოქმედება არა. ეს ხომ არაა სინამდვილე.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ წიგნი სუსტად არის შედგენილი. ავტორს ხშირად მოსდის ვგრედწოდებულ „ლიტერატურული გადაჯარღნა“. ამა თუ იმ საკითხის გასაშუქებლად ავტორს მოყავს ფაქტები. ხშირად იფიქრებს მთავარ საკითხს და მოყვანილ ფაქტის დაწვრილებითი ისტორიას სწერს. მაგალითად მეთამბაქოების ისტორია. აქ ბევრი ისეთი რამაა მოთხრობილი, რომელსაც საკითხთან არაფრითარი კავშირი არა აქვს. ანტიკომაც იქ მეთამბაქოების ისტორიას უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი, ვიდრე მარქსიზმის დამკვიდრების ისტორიას.

გ. აღ — ლი

შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

საძარტველო



1. კონ. ლორთქიფანიძე—სიტყვა ექვსი წლის თავზე	5
2. კარლო კალაძე—მხედრული	6
3. ნ. ზომლეთელი—თებერვალი	7
4. აღ. აბაშელი—ჰაერობლანი სოფლად	8
5. პაოლო იაშვილი—ადგილები პოემ. „პოეტი და ადამიანი“	9
6. ტიტუან ტაბიძე სტალინი	11
7. კონ. ლორთქიფანიძე—ნებ	12
8. დეო ქიაჩელი—სისხლი (გაგრძელება)	13
9. იოსებ ტატიშვილი—მტერთა სასძლო	49
10. დემნა შენგელაია—ტფილისი (გაგრძელება)	90
11. იონა ვაკელი—მეწისქვილე. პოემა (გაგრძელება)	117
12. დავით ხულიაშვილი—წვრილი	127
13. ანასტ. ერისთავ-ხოშტარია—სალი (გაგრძელება)	133

რუსეთი

14. —ალექსანდრ პუშკინი	157
15. ალექსანდრ პუშკინი —თავისუფლება. თარგ. ე. გაფრინდაშვილის	160
16. " " —ციმბირისაკენ " "	162
17. " " —სოფელი " "	163
18. " " —ჩაადაეცს " "	164
19. თედორე გლადკოვი—ცემენტი (გაგრძ.) თარ. დ. შენგელაიასი	165

კრიტიკა მხატვრობა პუბლიცისტიკა

20. პროფ. კ. კეკელიძე—„რუსთველიანა“	181
21. ნ. კრუპსკაია—რა მოსწონდა ილიას მხატვრული ლიტერატურიდან	205
22. მიხ. კახიანი—საერთაშორისო მდგომარეობის საკითხი	210
23. ვ. ლომინაძე—რუსეთის საკითხი კომ. ინტ. აღმ. კ-ის პლენუმზე	220

ბიბლიოგრაფია

24. მ.—ელი.—ნიკოლო შიშინაშვილი—„წმინდანია“	236
25. — — სინკლერი —„სამუელ მაძიებელი“	237
26. -ა. — გიორგი ქუჩიშვილი —„შრომის და ბრძოლის სიმღერები“	239
27. ვ. აღ.—ლი.—ს. ხუნდაძე—„ქართველი ინტელიგენ. პროფილი მე-19 საუკ.“	240

გრძელდება ხელის მოწერა



1927 წ.

ყოველთვიური
სამხატვრო
სალიტერატურო
სამეცნიერო ჟურნალ

„მნათობი“^{სე}

„მნათობი“ გამოდის ამხ. მიხ. კახიანიის რედაქტორობით.
გამოცემა საქართველოს ს.ს.რ.

სახელგამისა.

ხელის მოწერის პირობები: მთელი წლ. — 16 მან.
6 თვით 8 „
ცალკე ნომერი 2 „

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის მთავარ წიგნის მაღაზიაში,
რუსთაველის გამზირი № 22. აგრეთვე სახელგამის ყველა
განყოფილებებში და სათანადო მანდატებით
ალტურვილ აგენტებთან.

მთელ დასავლეთ საქართველოში „მნათობის“ გავრცელება დაგეგმილი აქვს
ამხ. მიტროფანე გალდავაძეს.

„მნათობის“ რედაქცია სთხოვს 1926 წ. ხელის
მომწერლებს, მათზე დარჩენილი დავალიანება
შემოიტანონ დაჩქარებით.